

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე
PROCEEDINGS OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

ენის,
ლიტერატურისა
და ხელოვნების
სერია

Series
of Language,
Literature
and
Arts



თბილისი
Tbilisi

1. 2022

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ არაბული, ვალერი ასათიანი, რისმაგ გორდეზიანი, ინესა მერაბიშვილი, ჯაბა სამუშია, მზექალა შანიძე, ელგუჯა ხინთიბიძე, ელიზბარ ჯაველიძე (მთავარი რედაქტორი), ვაჟა შენგელია, გიორგი ალიბეგაშვილი, მანანა ახმეტელი, გურამ ბათიაშვილი, ლევან გიგინეიშვილი, ნესტან სულავა, გიორგი ჯანბერიძე, მარინა გიორგაძე, მერაბ ბერიძე, ნომადი ბართაია, შალვა გაბისკირია, მარიკა ჩაჩიბაია, მარიკა ჯიქია

Editorial Board:

Avtandil Arabuli, Valeri Asatiani, Rismag Gordeziani, Inesa Merabishvili, Jaba Samushia, Mzekala Shanidze, Elguja Khintibidze, Elizbar Javelidze (Editorial manager), Vazha Shengelia, Georgi Alibegashvili, Manana Akhmeteli, Guram Batiashvili, Levan Gigineishvili, Nestan Sulava, Georgi Janberidze, Marina Giorgadze, Merab Beridze, Nomadi Bartaia, Shalva Gabiskiria, Marika Chachibaia, Marika Jikia

ნომრის რედაქტორი - **ავთანდილ არაბული**

Editor - **Avtandil Arabuli**

კორდინატორი - **მანანა გარაკანიძე**

Coordinator – **Manana Garakanidze**

კომპიუტერული უზრუნველყოფა - **პაატა ქორქია**

Computer Design - **Paata Korkia**

© Georgian National Academy of Sciences, 2022

ISSN 2720-8443

აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე - 80



მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალის „მაცნეს“
(ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების სერია)
რედაქცია ერთსულოვნად ულოცავს საქართველოს
მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს,
აკადემიკოს გიორგი კვესიტაძეს დაბადების 80 წლის
იუბილეს და მადლობას უხდის „მაცნეს“ ამ სერიის
აღდგენის საქმეში გაწეული მხარდაჭერისთვის.

სარჩევი – Content

აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე - 80.....	3
Academician Giorgi Kvesitadze - 80	3

ელიზბარ ჯაველიძე – „ენა სამღთო რამ არის... მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“	7
--	---

Elizbar Javelidze – “Language is a divine thing... not to be touched with man’s sinful hands”	7
--	---

ენა – Language

რისმაგ გორდეზიანი – ელინიზმი და ქართული სამყაროს გაერთიანების პროცესი.....	18
--	----

Rismag Grideziani – Hellenistic period and unification of Kartvelian world	18
--	----

იზა ჩანტლაძე, ნანა ქავთარაძე – სვანეთი ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით ევროპელ მოგზაურ-მკვლევართა შრომებში.....	33
---	----

Iza Chantladze, Nana Kavtaradze – Svaneti(a) from a linguo-cultural perspective in the works of European traveller-researchers	47
--	----

ნინო ჯაველიძე – პონტოს ზღვა – ცალპას ზღვა	48
Nino Javelidze – The Pontic Sea – The Sea of Zalpa	62

ავთანდილ არაბული – წინდებულთა სტრუქტურული ბუნებისათვის ძველ ქართულში.....	63
---	----

Avtandil Arabuli – On the Structural Nature of Prepositions in Old Georgian.....	83
--	----

ნინო კვიტაშვილი – მეცნიერებისა და სამეცნიერო ჟურნალისტიკის ენა	84
--	----

Nino Kvitashvili – The Language of Science and Science Journalism	95
--	----

ლიტერატურა – Literature

ელგუჯა ხინტიბიძე – ქართული რეალიები „ვარლაამ და იოასაფის ისტორიის“ ბერძნული თხზულების შესავალში	97
---	----

Elguja Khintibidze – Georgian realities in the Prologue of the Greek Story of Barlaam and Ioasaph	120
---	-----

ინესა მერაბიშვილი – როგორ გვმართებს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მოხსენიება	122
---	-----

Inessa Merabishvili – How Should We Name the Author of ‘Vepkhistkaosani’ (‘The Man in the Panther’s Skin’)	137
--	-----

ვალერი ასათიანი – ეტიუდები ქართულ-ბერძნული ურთიერთობის ისტორიიდან.....	141
Valeri Asatiani – Articles on History of Georgian-Greek Relation	154
ნომადი ბართაია – ქართული საერო მწერლობა აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე.....	158
Nomadi Bartaia – Georgian Secular Writing from East to West	166
თამარ მესხი – ტრაპიზონელი კომნენოსები და იერუსალიმის ჯვრის მონასტერი.....	168
Tamar Meskhi – Komnenoses of Trebizond and Jerusalem Monastery of the Cross	180
სალომე ბედუკაძე – ბორის პასტერნაკი ქართული პოეზიის საკუთარ თარგმანებზე (ქართველ ადრესატებთან მიმოწერის მიხედვით).....	182
Salome Bedukadze – Boris Pasternak on his own translations of Georgian poetry (Correspondence with Georgian addressees)	191

ხელოვნება – Arts

მანანა ახმეტელი – სანდრო ახმეტელი და საოპერო რეჟისურის პრობლემები.....	193
Manana Akhmeteli – Sandro Akhmeteli and the problems of opera directing	214
ელდარ ნადირაძე – ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ეთნოკულტურა და ხელოვნება.....	217
Eldar Nadiradze – Ethnic culture and Art of the South Caucasus and the Near East	242

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია – Criticism and Bybliography

ე. მაღრაძე, დ. სოსელია, ლ. შულღიაშვილი, ირ. კობერიძე, შ. ცისკარიძე, ვ. კახნიაშვილი, თ. ჭაღიაშვილი – ქართული დოკუმენტების გაციფრების პლატფორმა	257
E. Magradze, D. Soselia, L. Shugliashvili, Ir. Koberidze, Sh. Tsiskaridze, V. Kachniashvili, T. Chagiashvili – Platform for Georgian Documents Digitization.....	257
გ. გოგოლაშვილი – სამხრული მეტყველების შესწავლა თანამედროვე ეტაპზე და მისი მნიშვნელობა ქართული დიალექტოლოგიისათვის	265
G. Gogolashvili – Current Studies of the Southern Dialects of Georgian and their Importance for Georgian Dialectology	274

ნ. ბართაია – ორი წიგნი ისლამის ზნეობრივ-ესთეტიკურ სამყაროს პრობლემებზე	275
N. Bartaia – Two Books on the Problems of the Moral and Aesthetic World of Islam	275
ე. კვირკველია – ვალერი ასათიანი, ანტიკური კულტურა, ბიზანტია და საქართველო, „ლოგოსი“, თბ., 2021.....	277
E. Kvirkvelia –Valeri Asatiani, Antique Culture Byzantium and Georgia, Tb. 2021	277
ა. არაბული – დამარხული საიდუმლოს ძიების შედეგები („ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, თბ. 2021)	279
A. Arabuli – “The praise and the Glorification of the Georgian Language”, Tbilisi, 2021	279
ლ. ბინიაშვილი – რეუვენ ენოხი (რუბენ ენუქაშვილი), ქართველ ებრაელთა ქართულის ლექსიკა, იერუსალიმი, 2020.....	281
L. Biniashvili – Reuven Enoch, Dictionary of Judeo-Georgian, Jerusalem, 2020	281

„ენა სამდღო რამ არის... მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“

დღეს რომ საქართველოს, უფრო დავაკონკრეტებ, ქართველებს, გნებავთ, ქართულ ჯიშს და ეროვნებას უჭირს, ყველასათვის, თუ ძალით არ იბრძოლებს თავს, ცხადია. ქართველი ერის ყოფნა-არყოფნის პრობლემა საუკუნეთა მანძილზე არსებობდა, მაგრამ უფრო მეტად გამოიკვეთა XIX საუკუნის დასაწყისში, და მეტიც, დღესდღეობით ისეთი შემადრწუნებელი სახე მიიღო, რომ თითქოს შეხვედრისას ყველა გულმოკლული ქართველი „გამარჯობით“ კი არ გესალმება, არამედ კითხვით: „გვეშველება რამე?“ - ეს კითხვა ჩემთვისაც ხშირად დაუსვამს ნაცნობს თუ უცნობს და მეც ერთგვარი გულმოსულობით ვპასუხობდი: „გვეშველება, თუ ხელს გავანძრევთ!“ მაგრამ, რაც უფრო სწრაფად გარბის დრო (არადა დროს რა გააჩერებს?!), მით უფრო მიჭირს პასუხის გაცემა და უარყოფითი პასუხის ნიშნად ხელის ჩაქნევას ვჯერდები. განა არ მინდა გული გავუხსნა საქართველოზე მჭმუნავ ადამიანს, მაგრამ მაშინვე მახსენდება ჩემი ხატი კაცის, ყველაზე დიდი მოაზროვნე ქართველის - ილიას სიტყვები: „ვართლა სადმე ქართველები?“ ახლა შემახსენებენ, რომ, ილიას იმ ძნელბედობის ხანაში შეეძლო კითხვა ამგვარად დაესვა, მაგრამ დღეს ხომ ახალ, თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოში ვცხოვრობთ?! კი ბატონო, ასეა, მაგრამ თუ თავს არ მოვიტყუებთ და დღევანდელი ქართველების მდგომარეობას გავიხსენებთ, ილიას ეს შავბედითი კითხვა ზარის რეკვასავით ისმის! ჩვენი მრავალჭირნახული და უმძიმეს ბრძოლებს გამოვლილი ერი გადაგვარებისა და მოსპობის პირას დგას და თუ ძალზე ჩავუღრმავდებით, გადასაგვარებელ ერთა სიაში - პირველი ადგილი უჭირავს.

რა გვჭირს და რა გვემართება?! ის გვჭირს, რომ ჩვენი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი უფრო მეტად დგას, ვიდრე ოდესმე მდგარა, და ეს თავად ჩვენი ბრალია და აი, რატომ: ჩვენ დავივიწყეთ ილიასეული ანდერძი, რომელიც ჩვენი ეროვნული ცნობიერების საფუძველთა საფუძველი და ვიტყვი, ერთადერთი გზაა ჩვენი ეროვნული გადარჩენისა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დავგრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება, თუ ამათ არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით, და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას.

ენა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“... (ილია, გვ. 30).

ახლა ვკადნიერდები და ვეკითხები დღევანდელ ქართულ საზოგადოებას: ერის გადასარჩენად განა დავიცავით ეს სამი საუნჯე?! ვერა და არა! მართალია, ჩვენს ეროვნებას უტევს პოსტლიბერალური და გლობალური ქარიშხალი, მაგრამ ჩვენი წინაპრები უფრო ძლიერი ქარიშხლებისგანც იცავდნენ ერსა და ქვეყანასა. ჩვენ კი, რა გვემართება?! ვირხევით, ვითარცა ლერწამი ძლიერ ქართაგან და ლიბერალიზმის სიოს აყოლილნი ვიწყებთ ამ საუნჯეთა ჩაწიხვლას, ნაცვლად იმისა, რომ ჩვენს ცნობიერებაში და გულში დავამკვიდროთ დიდი ილიას ნაანდერძევი და ჩვენი ცხოვრებისა თუ მოღვაწეობის ერთადერთ მიზნად გავიხადოთ იგი, ვჯიჯგნით და ვჯიჯგნით მას და მის ამოძირკვას ვლამობთ. ამასთანავე, რაც უფრო გასაოცარია, ვამაყობთ კიდევ: ჩვენ მსოფლიოს ცის კიდობნის მერცხლები ვართ, მთელ კაცობრიობას საქართველოს ახალი ცხოვრების დადგომას რომ ვაუწყებთ და რაღა დროს ყავოლასული ქართველი ერის და ქართული ტრადიციების დაცვაა, როცა მთელი მსოფლიო ე.წ. დემოკრატიის და თავისუფლების ტალღამ მოიცვაო?!

ამ გაუგონარი სიბრიყვით და უზნეო თავმოძრონეობით ამიერკავკასიაში, ვგონებ, პირველმა ამოვიღეთ დაბადებისა და პირადობის მოწმობებიდან ეროვნება და მამის სახელი, რაც არც მეტი, არც ნაკლები ადამიანის თავის ჯიშისა და გენეტიკისგან მოწყვეტას და საპნის ბუმტად გადაქცევას ნიშნავს, რომელსაც საითაც შეუბერავ იქით წავა და მალევე გაქრება! შემდგომ კიდევ ვკადნიერდებით და ქართველობაზე სიტყვას ვძრავთ! ესეც არ ვიკმარეთ და საერთოდ მამულის და სამშობლოს ხსენებას ვერიდებით, მეტიც, ევროპელმა თუ ამერიკელმა მისტერ იქსმა პატრიოტობა არ დაგვაბრალოსო, საერთოდ სამეტყველო ენიდან გავაქრეთ ეს ერთობ ღრმა აზრის შემცველი სიტყვა: მამული!

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ მამულისადმი სიყვარულის დაკნინებამ ადრევე იჩინა თავი. ეს აუგის მომასწავებელი საშიშროება ფრიად აწუხებდა ილიას, სწადდა ქართველთათვის თვალი აეხილა, მათთვის შთაეგონებინა, რომ ისინი ხავსმოკიდებულ გუბეში სიამოვნებით ჭყუმპალაობენ და იმ ადგილს ზურგი აქციეს, სადაც „თვითვეული მათგანი ერთად იყრის თავს საყოველთაო საქართველოს სიკეთისათვის!“ და ამის საპირისპიროდ, წინ წამოსწიეს განკერძოებული „მე“ და „შენ“ და „საყოველთაო“ დაივიწყეს. დიახ, დაივიწყეს ის შემკრებლობითი, დიდებული ერთიანი აზრი, რომელსაც ყოველი ჩვენთაგანი ქართველობაში უნდა ხედავდეს, ის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა დიდი ხანია დაირღვა, ჩვენი გონებიდან ამოშრა, და ქართველი ეხლა ერთი კუნჭულის მცხოვრებთა საკუთარი კერძოებითი სახელიდა გახდა და არა საერთო, საყოველთაო მთელის იმ ხალხისა, რომელიც ოდესმე ერთად ტანჯულა, რომელსაც ქართველთა შესისხლულის ისტორიის მძიმე უღელი ჭირში თუ ლხინში ერთად, ძმურად უწევნია“... (ილია, გვ. 164).

ახლა ერთი წამით თუ თვალს გადავავლებთ იმ გუბესაც, ჩვენ რომ ბედნიერ ცხოვრებად მიგვაჩნია, აღმოვაჩენთ, რომ საერთო ეროვნული ტკივილი კი არა, საერთო ბედნიერი წამიც კი არ გაგვაჩნია, მეტიც, ამ მხრივ, უფრო მეტად აყროლებულ ჭაობში ვართ ჩაფლულნი, ვიდრე ჩვენი წინაპრები ჭყუმპალაობდნენ. ჩვენ მეტად განვკერძოვდით, უფრო „მე“-ს ეგოიზმმა იჩინა თავი და საერთო ტკივილისთვის აღარ გვცალკია. ქართველს საერთო ძარღვი, ერთი აზრით რომ წარგვმართავდა, აღარ გაგვაჩნია! არამედ, პირიქით, თუ რამე საერთო და საღმრთო შემორჩა ჩვენს მეხსიერებას, ეგოცენტრიზმით და კარიერისტური ზრახვებით შეპყრობილნი, ვწიხლავთ და ვშანთავთმას. მაგალითისთვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება, ნაცები და მათი კერპის ე. წ. პრეზიდენტის ჩადენილი სისამაგლის გახსენებაც საკმარისია, გაძარცვით, გაუპატიურებით და ფიზიკური განადგურებით, ისტორიული წარსულის და ძეგლების ნგრევით რომ ხასიათდება.

ახლა ქართველი ხალხის მოძულეთ და ასევე ღირსეულ, პატრიოტ ქართველებსაც ილიას სიტყვებს გავახსენებ: „ვაი, იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა, ვაი, იმ ქვეყანას, **საცა** საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, **საცა** ყველაში **თვითო** არ არის და თვითოში - ყველა, **საცა** თვითვეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითვეულისათვის, **საცა** „მე“ ხშირია და „ჩვენ“ - იშვიათია!“, სამწუხაროა, რომ ეს არა მარტო საქართველოს მტრებს ავიწყდებათ, არამედ ჩვენც, ქართველი ერის მოყვარულთ.

სიტყვა გამიგრძელდა და ისევ მამულის ცნებას მივუბრუნდეთ და კვლავაც მისი ყოვლისმომცველი აზრი გავიხსენოთ. აი, რას ბრძანებს დიდი ილია: „მამული!... ამ სიტყვის ყოვლადმპყრობელი მნიშვნელობა ვრცელია და ფართო, იქ, საცა ხალხობა დარღვეული არ არის და განთვითვეულება - ეგ ჭირთაჭირი - არა მეფობს, იქ მაგ სიტყვის აზრი ცხოვრების მიმნიჭებელი სულია, მთელის ხალხის ერთიანი მაჯის ერთიანი ძარღვია, იქ მაგ სიტყვის ხსენებაზედ თვითვეულსა - მთელის ხალხისა და მთელს ხალხს - თვითვეულისა ჭირი და ღიჟინი წარმოუდგება ხოლმე“... ჩვენშიაც მაგ სიტყვას მაგეთი მნიშვნელობა ჰგონია თურმე. იგი როდის? როცა ჩემი „მე“ და შენი „მე“ ჩვენის ერთიანის ხალხის ცხოვრების საყვარში ერთად ბმულა. სამწუხაროდ, ეხლა ეს დიდებული სიტყვა თვითვეულის ჩვენთაგანის გათავთავებულს უძრავ ქონებასა ნიშნავს და არა მთელის ხალხის სამშობლოს-ბინასა, რომელიც ქვის და კირის მაგიერ ჩვენის მამა-პაპის სისხლითა და ძვლებით დამყარებულია. ქართველები გათითოვდნენ, ერთობის განცდა დაკარგა და გონებრივად დაძაბუნდა, და მავან ქონდრის კაცს მამულის ხსენებაზედ „თავისი ნეხვდაყრილი სახნავი მიწა წარმოუდგება ხოლმე; მამულისათვის ბრძოლა ეხლა სასამართლოში შეტანილი ღერბიან ქაღალდზედ სადაო საჩივარია; მამულისათვის ძლევა მოსილობა - მოგებულის საქმის განაჩენის პირია, ჯეროვნად შემოწმებული; მამულის სიმაგრე - ტყრუშული ღობეა, ვენახ-

გარშემო შემორტყმული; მამულის პატივი - ნეხვია, სახნავ მიწაზედ სასუქად დაყრილი; მამულიშვილობა - მხვნელისა და მთესველის სახელიდაა“ (ილია, გვ. 167).

ქართველთა ქონდრისკაცებად ქცევის მიზეზად ილიას, უპირველეს ყოვლისა, მიაჩნია ის, რომ „თვითვეულმან ჩვენგანმან თავისი ხვედრი, დიდის „მამულის“ ნაშთი, თავ-თავად შემოიღობა; იმ შემოღობილში თვითვეულმან ჩვენგანმან თავისი საკუთარი ქვეყანა ააშენა და საზოგადო სახელი „მამული“ თავის კერძო მამულს დაარქვა და თქვა: თუ მე არ ვიქნებო, ქვა ქვაზედაც ნუ იქნებაო“... (ილიას, გვ. 168). ამან გამოიწვია სწორედ საერთო აზრის დაკარგვა, ერთი იქით წავიდა და მეორე აქეთ, და ურთიერთსა აღარ ელაპარაკებო, რამაც აზრითაც და სიტყვითაც ურთიერთს დააშორა. ურთიერთის აღარ ესმით, ქართულად კი ლაპარაკობენ. ქართულმა ენამ საერთო მნიშვნელობა დაკარგა, „სადღაა ქართული ენა? ქართველობა გათავთავდა, მამული - აგრეთვე, სადღაა (რომ) გაიბას ქართულმა ენამ თავისი ფესვი საერთო აზროვნებისათვის?... (ილია, გვ. 171).

ახლა, როცა ამ ილიასეულ წუხილს ვკითხულობ, ერთი ფიქრი მიპყრობს, დღეს როგორ დავკნინდით ქართველობა, როგორ იმატა ქონდრისკაცების რიცხვმა: ჯერ ერთი, მამულზე ფიქრით თავს არვინ იწუხებს, მხოლოდ საკუთარი სახლ-კარის აშენება და ქონების დაგროვება ასულდგმულებს. მეორე, გლეხკაცს შემოღობილი მიწაც თავისი თავის და ოჯახის გასატანად რომ სჭირდება, აღარ დაუტოვებს გაუყიდეს. დიახ, ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდგომ მოქალაქეთა კავშირი და განსაკუთრებით ნაცები განუსჯელად ყიდდნენ მიწას, უცხოელებს ამრავლებდნენ, ხოლო ჩვენს გლეხკაცს ხვნასა და თესვაზე ხელი ააღებინეს და გარჯას გადააჩვიეს. ასე რომ, არა თუ მშრომელ ადამიანს მამულზე ფიქრი, არამედ საკუთარი შემოღობილი მიწისკენ გახედვის სურვილიც კი მოუსპეს. მომჩივანი ქონდრისკაცები, ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში თავი რომ იჩინეს, წესიერ ხალხს ათასგვარ აუგს უგონებენ, რათა საკუთარი „მე“ აამაღლონ, თავისი ბოროტება დამალონ და ამორალურობით მორალზე გამარჯვება იზეიმონ. მე ისღა დამრჩენია მიწათმძრომელ ხალხს შევახსენო: მიწა ხარ და მიწად იქცევი!

ქონდრისკაცთა უღირსი ქცევები და მამულის არად ჩაგდება არ მიკვირს და არც მაინტერესებს, მე უფრო მაფიქრებს ჩვენი მომავალი თაობა, რომელმაც ისე დაამთავრა ათწლედი, ერთი ეროვნული ძარღვიც არ შეტოკებია, რადგანც ლომიას აუგი განზრახვით შეკოწიწებულმა განათლების სისტემამ, საერთოდ გააქრო ის პოეტური თუ პროზაული ქმნილებანი, სადაც ეროვნულობასა და პატრიოტიზმზე სიტყვა არ არის დამრული და თუ კი მაინც მსგავსი რაიმე სხივი გაციალდება თუ აირეკლება, წამსვე შანთავს და აქრობს. ის სწავლების დონე, დღეს რომ სკოლებსა და უმაღლესებში დაამკვიდრეს სავსებით მიუღებელი და სასირცხვილოა, ამიტომ ახლა ახალგაზრდები უცხოეთს ელტვიან, რათა

განათლება მიიღონ, ეს ცუდი როდია, მაგრამ ისიც არ დაგვავიწყდეს, რომ ტრადიციულ ოჯახში აღზრდილთ, რომელთაც შემორჩათ სამშობლოს განცდა და ქართველობის სიყვარული, ევროპაში თუ ამერიკაში ჩასულებს, ისეთ ლიბერალურ ცეცხლის ქურაში ატარებენ, რომ აღარ რჩებათ ერთი მეორედი ნაშთი ეროვნული თვისების, და რაც ერთობ საგანგაშოა, უცხო ენებს ეუფლებიან და ქართულის ცოდნა ეთაკილებათ - აქაო და პროვინციულობა და პატრიოტობა არ დაგვწყამონო, არადა პირწავარდნილი პროვინციულობა, სწორედ ის არის, რომ თავის მრავალსაუკუნოვან კულტურას, ცივილიზაციის შემქმნელს ივიწყებენ, ქართულ ენას უდიერად ეკიდებიან და საყველპურო ინგლისური ენის ცოდნით ამაცობენ. ამ უკადრებელი გზით კი კარიერის ხეზე ბოზდებიან.

ნეოლიბერალიზმის მქადაგებლებმა, უპირველეს ყოვლისა, შეუტიეს განათლების სისტემას, რადგანაც მათ სწამდათ, რომ მოზარდის გარდაქმნა და მათი თვალთახედვის შესაბამის ადამიანად ჩამოყალიბება შესაძლებელია ბავშვობის ასაკში. ამიტომაც, მათ განათლების სისტემა „დააფუძნეს დალესის მოძღვრებაზე, რომელიც შემდეგ პრინციპებს გვთავაზობდა: ა) გავაუქმოთ მდიდარი ტრადიციების მქონე განათლების სწავლების მეთოდი და მის ნაცვლად დამკვიდრდეს ამერიკული, რომელსაც ვერც ორიგინალურობით და პრობლემის მოაზრების სიღრმისეული ხედვით ვერ გამოარჩევ, ბ) პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს არა განათლების მასშტაბებს და სიღრმეს, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რაც ცირკის ცხოველებისთვის უფრო შესაბამისია, ვიდრე ადამიანისთვის, გ) ახალგაზრდა უნდა აღიზარდოს პრაქტიკული ეგოისტური პრინციპით და არა ქველმოქმედების და დიდსულოვნების იდეით, დ) ახალგაზრდას უნდა ჰქონდეს საკუთარი მიზანსწრაფვა და მის მისაღწევად უნდა გამოიყენოს ნებისმიერი ხერხი, რადგანაც ნებისმიერი დანაშაული გამოისყიდება, თუკი მიზანს მიაღწევს, ე) ყოველგვარი ეროვნული ტრადიციების, ისტორიული წარსულის და ნაციონალური ფასეულებების უარყოფა. ვ) ეროვნული ღირსების და თავმოყვარეობის, ნაციონალური გრძნობის გამოვლინების ჩაკვლა და აღკვეთა, ზ) რელიგიური რწმენის, მორალური ინსტიტუტების აღრევა და სექსუალური საწყისების წინ წამოწევა, თ) დაგმობა ერის, მამულის სიყვარულისა და პატრიოტიზმის აბუჩად აგდება და გაცამტვერება, ი) ახალგაზრდას ისეთი გარდაქმნა, რომ ყოველგვარი ამერიკული მის აღფრთოვანებას უნდა იწვევდეს, და მშობლიური, როგორც ყავლგასული და პროვინციალური, ზიზღს იწვევდეს, კ) მასწავლებლის უფლებების შეზღუდვა და მოწაფის უფლებების გაზრდა, როგორც „დემოკრატიის თავისუფლების“ გამოვლინება. აი, ამ პრინციპების წინ წამოწევით შექმნა ვარდების რევოლუციით მოსულმა მთავრობამ და მისმა კანალიზაციის დიდმა ოსტატმა - განათლების მინისტრმა ლომაიამ განათლების ახალი სისტემა. გასაგებია, რომ ამ პრინციპით აღზრდილ

ახალგაზრდას მამულის სიყვარულს ვერ მოსთხოვ და ვერც ზნეობისა და მორალის შესახებ დავას დაუწყებ, ერთობ საგანგაშო და სამწუხაროა, რომ დღეს ჩვენი განათლების სისტემა და სასწავლო პროგრამები ზემოთ ხსენებული პრინციპებით მოქმედებს, რაც, არც მეტი, არც ნაკლები ქართველის ჯიშისა და გენის გადაგვარებას აპირობებს. ამას ემატება ისიც, რომ ქართველი ახალგაზრდა, რომელიც კარგად გრძნობს დღევანდელი ჩვენი განათლების უძლურებას და ავადმყოფობას, ცოდნის მისაღებად უცხოეთს ელტვის, როგორც ჩანს, ზოგიერთი მათგანი განათლებას კი იღებს, მაგრამ მისი სულიერი სამყარო კიდეც უფრო მწირი და ამორალური ხდება, ეროვნულ, პატრიოტულ გრძნობებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. მეტიც, როგორც უკვე აღვნიშნე, ის გამონაკლისი ყმაწვილებიც, რომლებსაც ტრადიციული ოჯახის წყალობით ქვეყნის და ერის სიყვარულის განცდა შემორჩენილი ჰქონდათ, უცხოეთში ჩასვლის შემდეგ ამ განწყობასაც კარგავენ და უკვე სავსებით გაუცხოვებულნი, და ვიტყოდი, ბუნებაგარდაქმნილნი, თუ კი სამშობლოში ბრუნდებიან, არა იმ ფიქრით და განცდით: “როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე, - ვიფიქრე. რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე? ვინ იცის: იქნება მე ჩემმა ქვეყანამ ზურგი შემომამქციოს, როგორც უცხო ნიადაგზედ გადარგულსა და აღზრდილსა? იქნება ზურგიც არ შემომამქციოს, იქნება მიმითვისოს კიდეცა, რადგანაც ჩემში მაინც-დამაინც ჩემის ქვეყნის დვრიტა დადებული. მაგრამ მაშინ რა ვქმნა, რომ ჩემმა ქვეყანამ მამიყოლოს და მიაშბოს თავის გულისტკივილი, თავისი გლოვის დაფარული მიზეზი, თავისი იმედი და უიმედობა, და მე კი, მის ენას გადაჩვეულმა, ვერ გავიგო მისი ენა, მისი სიტყვა?“... (ილია, გვ. 14) არა, ბატონებო, ასეთ ფიქრები „თავის ქვეყნის დვრიტა დადებულ ქართველს“ აღელვებს, ხოლო უცხოეთში განათლებული ქართველი კი ერთი მიზეზით ბრუნდება ჩვენ გაუბედურებულ ქვეყანაში, მხოლოდ თავის მიზანს მიაღწიოს ნებისმიერი გზით, და კარიერიზმის ხეზე, რაც შეიძლება, მაღლა აბობლდეს და ახერხებს კიდეც! და საკუთარი „მე“-ს გარდა აღარაფერი აინტერესებს და თუ კი თავად კარგად იქნება, ქვეყანაზე ქვა ქვაზე არ დარჩენილაო.”(ილია, გვ. 14).

მომავალი თაობის და საერთოდ, ჩვენი მომავლის პესიმისტური დახასიათება ერთობ არასასურველია და მაშფოთებს კიდეც, მაგრამ დღევანდელიობის რეალობა ამას გვაიძულებს. თუმცა, აქვე მინდა დავძინო, რომ ჩვენი ახალგაზრდობის ამგვარ უარყოფით ჩარჩოებში მოქცევა მათი ბრალი როდია, და ეს დანაშაული მთლიანად მიუძღვის იმ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემას, რომელიც პოსტლიბერალურმა იდეოლოგიამ დაამკვიდრა და ნებისმიერ და უნებლიეთ ამ დამანგრეველ ქარიშხალში მოექცა ჩვენი ქვეყანა, კერძოდ კი მისი სწავლა-განათლების სისტემა და ზნეობრივ-მორალური პრინციპების მოდელი.

და ეს ყოველივე კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული ჩვენს „კეთილ-მოსურნეთ.“ მათ უწყოდნენ, რომ ეროვნების გადამგვარებელი და მოს-

პოზი უპირველესად არის „განათლება“, რომლის გარეშეც ეროვნული სიცოცხლე დიდხანს ვერ გასტანს. მათ ისიც კარგად მოეხსენებათ, რომ მეცნიერების გარეშე განათლებას მყარი ნიადაგი გამოეცლება და ამიტომაც, დამანგრეველი ქარიშხალი მეცნიერებისკენ მიმართეს, მისი დაშლა-ნგრევა დაიწყეს. სამეცნიერო ინსტიტუტები, რომლებიც დიდ სამეცნიერო საქმეს აკეთებდნენ, დაამცრეს, ლამის ფუნქცია დაუკარგეს. მეცნიერებს, ღირსეულთ თუ ნაკლებად ნიჭიერთ გაურკვევლად, ერთნაირად შეუტყეს, ამაზე მეტყველებს ციფრებიც: ათას ხუთასამდე დაიყვანეს დაახლოებით 50 ათასამდე მეცნიერის რიცხვი.

მერე მიადგნენ ეროვნულ აკადემიას - ქართული ეროვნულობის, სულიერების, ზნეობის ტაძრის დანგრევა მოინდომეს, - აი, რას წერს ნაცების კერპი და ე. წ. პრეზიდენტი სააკაშვილი თუ სააკოვი თავის “ღრმად ფილოსოფიურ” ნაშრომში „ძალის გამოღვიძება (საქართველოს გაკვეთილები მომავალი უკრაინისთვის)“ - ჩვენ დავიწყეთ ბიუჯეტის მაქსიმალური რაციონალიზება, გავაუქმეთ მრავალი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, არადა მათი ხელმძღვანელებიც, ასევე ცხოვრობდნენ თბილისის ცენტრში. მეცნიერებათა აკადემია გადარჩა და ეს იყო ჩვენი შეცდომა, ის რეალურად არაფერს აკეთებდა, ჩვენ ვაპირებდით მის დახურვას, მაგრამ ივანიშვილმა განაცხადა აკადემიკოსების ხელფასს მე გადავიხდიო, თუ გინდა უსაქმურების შენახვა კი, ბატონოთქო, როცა დადგა დრო, მან ეს გამოიყენა ჩვენ წინააღმდეგ (გვ. 116).

სამწუხაროდ, აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამი ათასი წესიერი და დაუნჯებული მუშაკი დაუკითხავად დაითხოვეს და უმუშევარი დატოვეს. რექტორის სავარძელი, ივანე ჯავახიშვილი რომ ამშვენებდა, ისეთ ადამიანებს დაუთმეს, რომელთაგან ზოგიერთს მეცნიერებასთან საერთო არაფერი ჰქონდა, ხოლო ვისაც ჰქონდა, ზნეობრივად და აზრობრივად მოიკოჭლებდა.

ქართველთა ქომაგის, დიდი ქველმოქმედის ბატონი ბიძინა ივანიშვილის წყალობით, თავისი ბოროტი განზრახვა ვერ აღასრულეს, მაგრამ დღესაც ნანობენ ამას მიხეილი და მისი დამქაშები. სისინებენ, ყიყინებენ, აკადემიის დანგრევა ძალზე სწადიათ, თავად უცოდინარნი და უწიგნურნი ჩვენს ნაღვაწზე ქირქილობენ, რატომ ღმერთი არ გაიცინებს?!

მოკლედ, სურთ ჩვენი ეროვნება ამოშანთონ. ქართული სახელმწიფო დაანგრიონ და ამის გამო თავს იკლავენ. როგორც ზემორე აღვნიშნე, მამულს, ჩვენს საცხოვრისს და სულიერ საყრდენს უტევენ, ქრისტიანობას, როგორც ჩვენი ეროვნულობის, რწმენისა და პატრიოტული გრძნობის წარმმართველს ლანძღავენ და ჩვენ სულიერ მოძღვარს, კათოლიკოს ილია მეორეს აუგად მოიხსენიებენ. მაგრამ განსაკუთრებით ებრძვიან ქართულ ენას, რადგანაც ის არის საყრდენი ჩვენი ერისა, ის არის გამაერთიანებელი ჩვენი ცალკეული კუთხისა, ის არის მაკავშირებელი და შემკვრელი ყოველ ქართველთა, საერთო მარღვი, რომელშიც

ქართველთა ერთიანი და შეურყვნიელი სისხლი ჩქეფს და ქართველ ერსა და ჯიშს სიცოცხლეს ანიჭებს.

ქართული ენის უდიდეს ეროვნულ ღირსებასა და მისი შეგნებული შერყვნის თაობაზე ჯერ კიდევ გრიგოლ ორბელიანი წუხდა და გოდებდა: „ვაი საბრალოს... ვაი ჩვენ ენას!... მათ უსწავლელთა, ცრუ რუსთაველთა, სულ წაგვიბილწეს ენა მდიდარი, ენა მაღალი,... და მისი ძალი, მაღლი მაღალი უწყალოდ წახდა უწმინდურთ ხელშიო!“ და იქვე დასძენდა:

ერის ცხოვრება,
მისი დიდება,
მის ისტორია დაცულ არს ენით;
რა ენა წახდეს,
ერიც დაეცეს...
წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას! (გვ. 69, 70).

მართალია დიდი პოეტის ეს განრისხება ერთობ გადაჭარბებულია იმ ეპოქის მოღვაწეთა მიმართ, მაგრამ ის დღევანდელი ენის მძიმე ნავთობ შესახებ ერთობ ობიექტურ, რეალისტურ სურათს გვიხატავს და პირადად მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ორბელიანი, წინასწარმეტყველი ნიჭით დაჯილდოებული, დღევანდელი ჩვენ დიდებული ენის მძიმე ნავთობ პორტრეტს გვიხატავს და, რაც მთავარია, მისი ბრძნული დასკვნაც: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს...“ უდავო ჭეშმარიტებად მესახება. აქვე ილიას ნათქვამი, ზემორე რომ მოვიხმე, გავიხსენოთ: „სხვისა არ ვიცით, ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს...“ (ილია, გვ. 30).

ახლა ირაკლი აბაშიძეს, დიდ მოღვაწესა და პოეტს მოვუსმინოთ, რომელიც ყოველივეზე და ყველაფერზე მაღლა აყენებს ენას:

შენ, აკვნის ჰიმნო,
ცრემლო სამარის..
იბერის ენავ,
ენავ თამარის...
შენ, ნიჟო ჩემო,
სრბოლავ და ფრენავ,
დედაო ენავ, დედაო ენავ!
დაეცეს, იქნებ სიმაგრე ყველა,
მოისრას, იქნებ, ყველა ყმა ველად,
დაედოს მტვერი ყველა დიდ ხსოვნას,
დააკდეს აზრი ნაპოვნის პოვნას.
ყოველ ნერგს, იქნებ, დაატყდეს მეხი,
ყოველ ძეგლს, იქნებ, დაედგას ფეხი,
მხოლოდ შენ უჭკნობს,
შენ ხატად ქცეულს,
რა დრო, რა დასცემს

შენს უკვდავ სხეულს?
 ო,ენავ, ჩემო,
 დედაო ენავ,
 შენ, ჩემო ნიჭო,
 სრბოლავ და ფრენავ,
 შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
 შენ ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,
 შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
 შენ ერთს,
 შენ ვერ გთმობ
 სამარის პირთან... (გვ. 75).

ბუნებრივია, რომ ქართველი მწერლები მშობლიურ ენას დიდი სიყვარულით და პატივით ექცეოდნენ და ქართული ენის უდრეკი დამცველნი და ქომაგნი იყვნენ. ამის თაობაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, მაგრამ არ შემიძლია ქართული ენისადმი მუხრანისეული დამოკიდებულება არ გავიხსენო: იქნება წერილი თუ ლექსი, იგი საოცარი გრძნობით ეკიდებოდა და ეფერებოდა ძველსა თუ ახალ ქართულ სიტყვებს. მისთვის ქართული მარტო ენა არ იყო, ის იყო რწმენა და თუ გნებავთ ღმერთი.

„ქართული მარტო ენაა?!
 ქართული ქართველთ რწმენაა!
 ღმერთია!
 ბედისწერაა!
 ზღვა როა -
 იმოდენა! (მ. მაჭავარიანი, II, გვ. 89).

ამიტომაც, მრავალჭირვარამგადამხდარი უნატიფესი ენა ქართული რამდენ მტარვალს და მტერს გადაურჩა, დღემდე შეძლო მოსვლა ისე, რომ არ გაცამტვერებულა! დღეს კი „ბედი მისი ჰკიდია ჩვენზედ და ჩვენ უნდა შევძლოთ, რომ იძლიეროს ენამ ქართულმაო“ - ბრძანებს მუხრანი, მაგრამ ის ისტორიული სინამდვილე, რომელსაც მუხრან მაჭავარიანი შეესწრო - სხვა რეალობას გვთავაზობდა. რუსულ ენას განადიდებდნენ, ქართულ ენას კი შინაური და უცხო მტრები აბუჩად ეკიდებოდნენ, მისი დამცრობა სურდათ და სახელმწიფო მნიშვნელობის სტატუსის უგულვებელყოფით ორლობის ენად ქცევა სწადდათ. ეს კი, ენის დაკნინების გარდა, საქართველოს გარდაქმნას ნიშნავდა. აი, რას წერს პოეტი:

სურთ,-
 დაუკარგონ საქართველოს სახე თავისი
 სურთ,-
 საქართველო უსახური გახადონ მხარე!
 სურთ,-
 იმნაირად საქართველო აქციონ ქვეყნად,

ქართული სადღაც ძლივს ორლობის იქნება ენა, -
 თვით ქართველი კი
 (ნუ შემასწროს მე ამ დღეს ღმერთმა) ! -
 კვლავ ხელის ბიჭად ეყოლება არა ქართველსა!

(მ. მაჭავარიანი, II, გვ. 304).

აკი კიდეც მოინდომეს ჩვენმა „დიდმა მეგობრებმა“ და კრემლის ხელისუფლებამ ქართულის ენის სტატუსის გაუქმება და გააუქმებდნენ კიდეც, რომ არა იმ პერიოდის ქართული საზოგადოების და განსაკუთრებით კი ახალგაზრდების ეროვნული სულის აბოზოქრება და შეუპოვარი ბრძოლა, რომელმაც მრისხანე ხელისუფლებას ამ განზრახვაზე ხელი ააღებინა!

მაგრამ მუხრან მაჭავარიანმა, შორსმჭვრეტელმა და ღრმად მოაზროვნემ იცოდა, ქართველთა ამ გამარჯვებით საქმე არ მთავრდებოდა, ცის კიდობანზე ახლად „მოციმციმე“ ლიბერალიზმის ვარსკლავი არ ჩაქრებოდა და საქართველოს და ქართული ენის, სამშობლოს მოსპობის სურვილი თანდათან უფრო გაძლიერდებოდა. აკი გვაფრთხილებს კიდეც: რაც სურთ, იგი თუ უწყალობეს, თანდათან ამოძირკვავენ და, რაც მთავარია, ამას ჩვენი ხელით ჩაგვადენინებენ და სადღა იქნება ქართული ზნეობა და ენა ჩვენი. ახლა, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რასაც ტელევიზიასა და რადიოში გალობენ, -

„ჩვენ სამამდე სახელმწიფო გვექნება ენა“,

„და მცირე ხანში

ფაფუ ! -

შენი შოთასი ენა ! -

ენაც და ერიც! - ასკვნის მუხრანი, და აი, მაშინ კი, თავად ის იესოს შეწყალების იმედად რჩება“ (მ. მაჭავარიანი, II, გვ. 397).

ყოველივე ამას ნათელმხილველის ხედვით გვაფრთხილებდა დიდი პოეტი. მაგრამ ვაი, რომ ჩვენ, ქართველებმა ეს ვერ შევისმინეთ და ახლა ჩვენივე ხელით ვანადგურებთ ჩვენს მშობლიურ ენას, ვრყევით მას და ამით ჩვენს სახიერ ქვეყანას უსახურად ვაქცევთ!

მართალია, ჩვენმა განათლებამ და მეცნიერებამ რუსულს ზურგი აქცია, მაგრამ რუსულის ნაცვლად წინ წამოწიეს ინგლისური ენა და სურთ ის მსოფლიო ენის რანგში აიყვანონ და, რაც ამჯერად ჩემთვის საგულისხმოა, მას მეცნიერების ენად აცხადებენ. და თუ შენ, შენს შრომას ინგლისურად არ წერ, თუნდაც ქართულად გამოაქვეყნო მონოგრაფია, არაფრად მიიჩნევენ, რამდენიმე სიფრიფანა ქაღალდზე ინგლისურად დაწერილ ტექსტს, თუნდაც მას მრავალი ავტორი აწერდეს ხელს, ინდექსის რაოდენობის მიხედვით დიდ მიღწევად თვლიან და უფრო ფასეულ მეცნიერულ გამოკვლევად მიიჩნევენ, მეტიც, იმდენად დადაბლდა ჩვენი ეროვნული მრწამსი, რომ დღეს თბილისის სახელმწიფო და სხვა უმაღლესი სასწავლებლები ახალგაზრდა ნიჭიერ მეცნიერს სადოქტორო დაცვის უფლებას არ აძლევენ, თუ შრომის ერთი ნაწილი ინგლისურად არ

არის გამოქვეყნებული და, როგორც უზნობენ, არც უმაღლესის დიპლომს არ აძლევენ, თუ ინგლისური არ აქვს ჩაბარებული. ეს უკვე ქართველი ერის შეურაცხყოფაა, ქართული სახელმწიფოს დამხობაა, ქართული კონსტიტუციის აბუჩად აგდებაა, უძველესი ქართული კულტურის ჩაწიხვლაა, ქართველი ხალხის ღირსების მიწასთან გასწორებაა, და ბოლოს, სისხლის სამართლის დანაშაულია. ყოველივე ამის შემყურე ქართველებს ვეკითხები: - ქართველები ვართდა სადმე?!

P.S. დასასრულს, დასკვნის სახით მინდა დავმინო, რომ ლომიას თავკაცობით გაუქმებული ენისა და ლიტერატურის მაცნეს სერიის აღდგენა ამ დახშულ სივრცეში ეროვნული ქართული შებოჭილი სულის გახსნაა, ეროვნული ცნობიერების გამოღვიძების მაუწყებელი ერთგვარი ნიშანია და ამის გამო გვმართებს მადლობა გადავუხადოთ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს გიორგი კვესიტაძესა და მეცნიერთა მთელ კორპუსს, რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძღვით ამ თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ სინამდვილეში მეტად ფასეული და საშური ფაქტის განხორციელებაში.

ლიტერატურა:

1. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტომი II. „მეცნიერება“, თბ., 1988.
2. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ზოგიერთი რამ „ორიოდე სიტყვა რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმანზედა“, ტომი V, „მეცნიერება“, 1991.
3. გრიგოლ ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული. „საბჭოთა მწერლობა“, 1959.
4. ირაკლი აბაშიძე, ხმა კატამონთან, პოეზია, ტომი I, თბ., 2013.
5. მუხრან მაჭავარიანი, თხზულებანი ოთხ ტომად, ტომი II. თბ., 2007.
6. Саакашвили Михаил, Пробуждение Силы (уроки Грузии – Для будущего Украины), Харьков «Фолио», 2016.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების
აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი **ელიზბარ ჯაველიძე**

რისმაგ გორდეზიანი

ელინიზმი და ქართული სამყაროს გაერთიანების პროცესი

ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნის მეორე ნახევრისთვის ქართველური სამყარო, როგორც ჩანს, რამდენიმე ნაწილად იყო გაყოფილი: ა) დიფერენცირებულ მრავალრიცხოვან ქართველურ ტომებად, რომელთაც შავიზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი ეკავათ და რომელნიც არავითარ, მათ შემაკავშირებელ დიდ ქართულ გაერთიანებებში არ შედიოდნენ. მათ შორის ზღვის სანაპირო ზოლში მეტწილად ზანურენოვანი ტომები იყვნენ განლაგებულნი. თუმცა, უპირატესად კონტინენტის სიღრმისკენ, ქართულენოვანი ტომების განსახლებაც შეიძლებოდა დაგვეშვა. ეს ტერიტორია დაახლოებით ტრაპეზუნტიდან მდინარე ჭოროხის აუზამდე უნდა ვივარაუდოთ. აქ ძირითადად შიდა სატომო თუ რეგიონალურ კონსოლიდაციასა და თვითშეგნებაზე შეგვიძლია ვილაპარაკოთ. ერთადერთი გამაერთიანებელი მომენტი ამ ტომებისათვის შეიძლება ყოფილიყო ძველი სახელწოდება კოლხიდა (ან მისი ადგილობრივი ეკვივალენტი), რომელსაც ამ დროისათვის აქ არსებითად კონკრეტული ფუნქცია დაკარგული აქვს; ბ) დასავლეთ საქართველოში ჭოროხიდან დიოსკურიასა თუ პიტიუნტამდე მოსახლე ასევე დიფერენცირებულ ქართველურ ტომებად, რომელთა შორის მეტნაკლებად თანაზომიერად იყო წარმოდგენილი ზანური, სვანური და ქართული კომპონენტები. მართალია, ზღვის სანაპირო ზოლი და კონტინენტური დასავლეთ საქართველოს ცენტრალური და სამხრეთი ნაწილი ძირითადად ზანურენოვან ტომებს ეჭირათ, მაგრამ აჭარისა და, ნაწილობრივ, გურიის ტერიტორიაზე უკვე იმ ეპოქაში ქართველის საკმაოდ კომპაქტური მოსახლეობაც უნდა ყოფილიყო. ჩრდილოეთით, როგორც ჩანს, ძირითადად სვანები პრევალირებდნენ, თუმცა ზღვის ზოლში საკმაოდ შერეული ზანურ-სვანური მოსახლეობა შეიძლებოდა ყოფილიყო. დასავლეთსაქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი, ვფიქრობთ, ძირითადად ქართველი იყო დასახლებული. ყოველივე ამას ემატებოდა, განსაკუთრებით საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, აფხაზურ-ადილეური ტომების კომპაქტურად განსახლების რეგიონებიც. ამდენად დასავლეთ საქართველო ამ დროისათვის ენებისა თუ დიალექტების თვალსაზრისით საკმაოდ დიფერენცირებულია, მაგრამ, როგორც ჩანს, აქ გაცილებით უფრო ძლიერად არის დარჩენილი გენეტიკური

ერთიანობის მუხტი და ლტოლვა ერთ სახელმწიფო ორგანიზმში გაერთიანებისა, რომელიც ძველი კოლხეთის როლს შეასრულებდა. ვფიქრობთ, ესაა იმის მიზეზი, რომ აქ ძირითადად ქართველური ტომები საკმაოდ ურთიერთშერეულნი არიან და კოლხეთის მემკვიდრე ყოველ ახალ გაერთიანებას ამ ტერიტორიაზე უპირატესად ზედტომობრივი ხასიათი აქვს. შესაბამისად სწორედ დასავლეთ საქართველოში იქმნება ფსიქოლოგიურად ქართველური სამყაროს ახალი კონსოლიდაციის ყველაზე ნოყიერი საფუძველი; გ) აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრებ ტომობრივად ერთგვაროვან ქართველად ანუ იბერიელებად, რომლებშიც საკმაოდ მაღალი იყო კონსოლიდაციის ხარისხი და რომელთაც ამ დროისათვის, როგორც ჩანს, მოახერხეს იმ მყარი ორიენტირების ჩამოყალიბება, რომელთა საფუძველზე შეიძლება აგებულიყო ერთიანი სახელმწიფო ორგანიზმი.

აღმოსავლეთ საქართველოში იბერიის სახელმწიფოს შექმნას ხელი შეუწყო ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებმა (ძვ.წ.ა. 332-323), რომელთაც შედეგად სპარსეთის იმპერიის ნგრევა და ახალი ელინისტური სამყაროს წარმოქმნა მოჰყვა; მას პირობითად მსოფლიო იმპერია შეიძლება ვუწოდოთ. მისი შექმნით ალექსანდრე მაკედონელმა არსებითად ოპოზიციის ევროპა/აზია ნეიტრალიზაცია მოახდინა. მან შეძლო ბიძგი მიეცა ელინური და აღმოსავლური ელემენტების ერთგვარი სინთეზისათვის და ელინურ ფუნდამენტზე აეგო თვისობრივად ახალი ცივილიზაცია. აქ საოცრად შეერწყა ერთმანეთს გაღმერთებული ერთმმართველობის და თავისუფალი პიროვნების, მითოპოეტური და ანალიტიკური აზროვნების პრინციპები, აღმოსავლური ირაციონალიზმი და ელინთა რაციონალიზმი. ოფიციალური და კულტურის ენის ფუნქცია ბერძნულს დაეკისრა და ამისათვის ე. წ. საერთო დიალექტი ანუ კოინეც კი ჩამოყალიბდა. მართალია, ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ მისი იმპერია რამდენიმე ნაწილად გაიყო, მაგრამ თითოეულმა ელინისტურმა სახელმწიფომ გააგრძელა განვითარების გზა, რომელიც დაპირისპირების ევროპა/აზია მოხსნისაკენ იყო მიმართული და მსოფლიოს ინტეგრაციის ახალ ორიენტირებს უსახავდა (შდრ. H. Bengtson, 1988).

თუმცა ელინისტური იმპერიის საზღვრები საქართველომდე მოვიდა, არც დასავლეთი და არც აღმოსავლეთი საქართველო არ აღმოჩენილა ალექსანდრეს მიერ დაპყრობილი ტერიტორიების ფარგლებში (სინ I; HDI). და, მაინც, ამ ცვლილებებმა ძველი სამყაროს ისტორიაში თავად ქართველურ სამყაროსაც ღრმა კვალი დაამჩნია. არ არის შემთხვევითი, რომ ქართლის სამეფოს წარმოქმნას ქართული საისტორიო ტრადიცია სწორედ ალექსანდრე მაკედონელის მოღვაწეობასთან აკავშირებს. როგორც ვთქვით, ძვ.წ.ა. IV საუკუნის მიწურულისათვის ქართველურ სამყაროში უკვე შეიქმნა გაერთიანების წინაპირობები. ელინისტური სახელმწიფოების წარმოქმნამ კი ეს პროცესი დააჩქარა, რასაც რამდენიმე მიზეზი ჰქონდა: ა) სპარსეთის იმპერიის ნგრევის შემდგომ ქართველური

ტომებით დასახლებული მთელი ტერიტორია გათავისუფლდა გარკვეული ვალდებულებებისგან რომელიმე სახელმწიფოს წინაშე. იგი პრაქტიკულად გამოვიდა იმპერიალური სტრუქტურიდან, ბ) თუმცა საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული დასავლეთ და აღმოსავლეთ ქართული გაერთიანებები არ შევიდნენ უშუალოდ არც ალექსანდრე მაკედონელის და არც დიადოხოსების მიერ მართულ სახელმწიფოებში, ორიენტაციის ორი მიმართულების სინთეზის ტენდენცია აქაც მკაფიოდ გამოიკვეთა. ამის კარგი მაგალითია არქეოლოგიურად დადასტურებული ფაქტი: აღმოსავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელი ელემენტები ინტენსიურად შედის დასავლეთ საქართველოში და, პირიქით, ე.წ. კოლხური ელემენტები აღმოსავლეთ საქართველოში (სინ I; $H\Delta I$). გ) ელინისტური სამყაროს შექმნამ და პოლიტიკურმა ცვლილებებმა, როგორც ჩანს, ბიძგი მისცა მესხების ქართველური ტომის აქტივიზაციას და ჩრდილოეთით, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალური რეგიონებისაკენ გადანაცვლებას; მესხების ნაწილი კი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე იყო განსახლებული და, უნდა ვიფიქროთ, ერთგვარი მედიატორის როლს ასრულებდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის. იმ კავშირებმა, რაც მათ ჯერ კიდევ გვიან ბრინჯაოს ხანაში ხეთურ, შემდგომ ფრიგიულ და, საერთოდ, როგორც აღმოსავლურ ასევე ელინურ სამყაროსთან ჰქონდათ, უნდა ვიფიქროთ, მათი კულტურული და პოლიტიკური მისია საქართველოს ისტორიაში სავსებით განსაკუთრებული გახადეს. ქართლში მათი გადმოადგილების კვალი, როგორც ვარაუდობენ, მცხეთის სახელწოდებაში (<- *მესხეთა), აქ ახალი უზენაესი ღვთაების არმაზის (არმა = ხეთური მთვარის ღვთაება) ე.ი. ფაქტობრივად, სახელმწიფო რელიგიის დამკვიდრებაში და რიგ სხვა ფაქტში უნდა დავინახოთ (სინ I: 422).

ეს და ალბათ კიდევ ზოგიერთი სხვა გარემოება საფუძველს უყრის იბერიაში სახელმწიფოს ჩამოყალიბებასა და სამეფო დინასტიის შექმნას, რომელმაც მთელი ქართველური სამყაროს კონსოლიდაცია და, შესაძლოა, გარკვეული თვალსაზრისით, პოლიტიკური გაერთიანება გამოიწვია. ამ ერთიანობის საზღვრები ალბათ არსებითად თანხვედბოდა „ქართლის ცხოვრებაში“ წარმოდგენილი ფარნავაზის სამეფუფეოს ფარგლებს. როგორც ჩანს, მის მიღმა აღმოჩნდა ქართველურ ტომთა ის ნაწილი, რომელიც სამხრეთ შავი ზღვისპირეთში იყო დამკვიდრებული და ალბათ საკმაოდ შორს ვრცელდებოდა დასავლეთით.

ჩვენთვის ძნელია ამჟამად იმის თქმა, ჰქონდა თუ არა ამ ერთიანობას ერთი განმაზოგადებელი სახელი საქართველოში. ვფიქრობთ, რომ უკვე იმ პერიოდში ქართუ-ფუმიდან ნაწარმოები ტერმინი ქართული შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო ზოგჯერ ამ ერთიანობაში მცხოვრები ხალხების ზოგად აღმნიშვნელად, ისევე როგორც ტერმინი ქართლი ქვეყნის სახელად. არ არის გამორიცხული, რომ ამ დანიშნულებით ეგრეთუმიდან ნაწარმოები ტერმინებიც ყოფილიყო გამოყენებული მათ სი-

ნონიმებად, ისევე როგორც შუა საუკუნეებში ტერმინები: აფხაზი და ქართველი, აფხაზეთი და საქართველო ხშირად ერთმანეთის სინონიმებად გაიზარებოდა. ეს შესაძლებლობა საკმაოდ რეალურად გვესახება, მითუმეტეს, რომ ძველ სამყაროში ჩვეულებრივი ამბავია ერთდროულად რამდენიმე დაწინაურებული რეგიონის სახელის გამოყენება ერთი მოდგმის ტომებისა თუ ქვეყნის განმაზოგადებელ აღმნიშვნელად. ა.მ. ჰომეროსის ეპოქაში გმირთა საუკუნის ბერძენთა საერთო თვითსახელწოდებად გამოიყენებოდა სამი სინონიმური ტერმინი: აქაველები, დანაელები, არგიველები.

გაერთიანებისაკენ ლტოლვას, უნდა ვიფიქროთ, ქართული ენის ფუნქციის მნიშვნელოვანი გაფართოვება და გარკვეულწილად მისთვის ზოგად ქართველური სტატუსის მინიჭება მოჰყვა. ამის დამამტკიცებლად „ქართლის ცხოვრების“ ზემოთმოტანილ მონაცემებთან ერთად შეგვეძლოს ამ პერიოდში დასავლეთ საქართველოს ონომასტიკის ბერძნულ ენაში შესვლის კანონზომიერებაზე დაკვირვების შედეგებიც მოგვცხმო.

ჩვენის აზრით, დასავლეთ საქართველოს ტომებისა თუ მხარეების ის სახელები, რომლებიც ძვ.წ.ა. IV საუკუნის შემდგომ უნდა შესულიყვნენ ბერძნულ წყაროებში, მეტწილად, ქართული ენობრივი გარემოდან ჩანან ნასესხები, რაც მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ ძირითადი სახელმძღვანელო ფუნქციას ბერძნებისთვის ამ დროს ქართული ენა ასრულებდა. განვიხილოთ რამდენიმე ტერმინი: 'Εκρηκτικῆ ἢ χάρα – „ეკრე(კ)ტიკეს მიწა“ პტოლემეაიოსის მიხედვით ფაზისის ჩრდილოეთით მდებარეობს და ამ ქვეყანაში ცხოვრობენ მანრალეები (ანუ მეგრელები). τικῆ-თი ტერმინების წარმოება ბერძნულ ენაში მხოლოდ ძვ.წ.ა. V საუკუნის შემდგომ უნდა დაწყებულიყო. სავსებით რეალურია ამ ტერმინში ეგრი(ს)-ფუძე დავინახოთ. პტოლემეაიოსის დროს ი უკვე I-დ გამოითქმოდა. ასე რომ, ეგრის- ფუძის შემცველი ქართული ტერმინიდან 'Εκρηκτικῆ-ს (< *'Εκρηστικῆ) მიღება არ აწყდება მნიშვნელოვან დაბრკოლებებს. თუკი ეს ასეა, აშკარაა, რომ ანტიკურ ტრადიციაში ტერმინი შევიდა ქართული და არა ზანური ენობრივი გარემოდან. იგი შეესაბამება ქართულ საისტორიო ტრადიციაში დადასტურებულ ეგრისს.

'Αβασγίσι/'Αβασχοῖს სახელწოდება ბერძნულ ტრადიციებში ახ.წ. აღრიცხვის პირველი საუკუნიდან მკვიდრდება. ამჟამად ჩვენ მიზანს არ წარმოადგენს იმ პრობლემის განხილვა, ქართველურ ტომს აღნიშნავდა ეს სახელწოდება თუ აფხაზურ-ადილეურს (მ. ლორთქიფანიძე, 1990). ფაქტი ერთია, იგი შეესაბამება ქართულ ტრადიციაში ცნობილ აფხაზ- ტერმინს. როგორც ბიზანტიური ეპოქის წყაროები გვიჩვენებს, გარკვეული პერიოდიდან მოყოლებული აქ დასავლეთ საქართველოს აბასგთა ქვეყანა შეიძლება ეწოდოს, ქართველთა მეფეს გიორგი I-ს აბასგთა მეფე (მ. ინაძე, 1992) და ა. შ. ეს კი დამატებითი არგუმენტია იმისათვის, რომ ბერძნულ აბასგ-სა და ქართულ აფხაზ-ს შორის სრული ტერმინოლოგიური შესაბამისობა დავინახოთ. უკანასკნელ ხანებში

საკმაოდ დამაჯერებლად იქნან ჩვენები ლინგვისტური თვალსაზრისით, თუ როგორ უნდა წარმოქმნილიყო ბერძნული აბასგ- ქართული აფახაზ-იდან (თ. გამყრელიძე, 1991). ამჟამად ჩვენთვის მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამ ტერმინთა შორის მიმართება სწორედ ბერძნულისა და ქართულის უშუალო კონტაქტზე მიგვითითებს, რადგან სხვა ენებისათვის ამგვარად გაფორმებული სახელწოდება უცნობია.

Ἀψίλα, როგორც ფიქრობენ, აფხაზთა თვითსახელწოდებასთან აფსუა უნდა გვიჩვენებდეს მიმართებას. ეს ტომიც აბასგებთან ერთად ჩნდება ბერძნულ წყაროებში. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ბერძნულმა ეს სახელწოდება შეითვისა იმ ფორმით, როგორითაც ის ქართულ ტრადიციაში უნდა ყოფილიყო ცნობილი (შდრ. აფშილ-ეთ-ი „ქართლის ცხოვრებაში“) და არა იმითი, როგორითაც ის აფხაზურენოვან გარემოში იქნებოდა გავრცელებული (თ. გამყრელიძე, 1991:8).

Σάονες/Σοάονες/Σοανοί/Suani, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, სვანების ანტიკურ წყაროებში დამკვიდრებული სახელწოდებაა, რომელიც ელინისტურ ეპოქაზე უადრეს არ ჩანს ბერძნულ წყაროებში, თუმცა, რასაკვირველია, არ არის გამორიცხული, რომ ისინი უფრო ადრეც ფიგურირებდნენ რამდენადმე განსხვავებული სახელით ბერძენ ავტორებთან. ა.მ. ქართულ მეცნიერებაში გამოითქვა მოსაზრება, რომ, შესაძლოა, სვანების თვითსახელწოდებასა და მათი ნაწილის სამხრეთით განსახლების ფაქტს ასახავდეს ერთ-ერთი ქართველური ტომის სახელწოდება: მოსჯნოდკოდ. ეს სახელი სხვადასხვა ვარიაციებით (მოსჯნოდკოდ, მოსჯნოდ) უკვე ჰეროდოტეს დროიდან საკმაოდ ინტენსიურად ფიგურირებს ბერძნულ წყაროებში. თ. მიქელაძის აზრით, შესაძლოა, იგი სვანურ მუშვან-/მუშუნ „სვანი“ ფორმის ანარეკლად მივიჩნიოთ (თ. გამყრელიძე, 1991:14). ამავე სვანურ ტერმინთან კავშირში განიხილავს ზოგიერთი მკვლევარი მისიმიანთა სახელსაც, რომლებიც ადრებიზანტიური ეპოქის წყაროებში ფიგურირებენ (ს. ყაუხჩიშვილი, 1936:277) და, მაინც, ზოგადი აღმნიშვნელი სახელწოდება ელინისტურ ეპოქაში დასავლეთ საქართველოს მთიანეთში და, ნაწილობრივ, ბარშიც განლაგებული ქართველური ტომისა არის სოან-/სუან- ფუძის საფუძველზე ნაწარმოები ტერმინი. ვფიქრობ, ამ შემთხვევაშიც სახელდების წყაროდ ელინებისათვის ქართული ენა უნდა ვიგულისხმოთ. და, მართლაც, სამი ფორმიდან: ქართ. სუან-/სვან-, მეგრ. შონ- და სვან. მუშუნ ბერძნული აშკარა მიმართებას სწორედ ქართულთან გვიჩვენებს.

Πυτυσῶν/οὔντος ბერძნულ წყაროებში საკმაოდ ხშირად იხსენიება, როგორც ქალაქი კოლხეთის ტერიტორიაზე. ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში იგი ბიჭუინტა სახელწოდებით ფიგურირებს და, როგორც ჩანს, საკმაოდ ადრე არის დაფიქსირებული (გ. ლორთქიფანიძე, 1991). ამ შემთხვევაში ჩვენ არ ვეხებით იმ საკითხს, თუ რომელი ენიდან რომელში - ბერძნულიდან ქართულში თუ, პირიქით, ქართულიდან ბერძნულში მოხდა ტერმინის სესხება. ჩვენთვის საინტერესო ის არის,

რომ ამ ორ სახელწოდებას შორის სრული შესატყვისობაა (ფონეტიკური, სტრუქტურული, სემანტიკური), რაც ორ ენობრივ გარემოს შორის უშუალო კონტაქტზე მიუთითებს ბიჭვინთის რეგიონში.

რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ჩვენ არ ვგულისხმობთ, რომ ქართულმა ენამ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო და კულტურის ენის უნივერსალური ფუნქციები სრულად იკისრა. ისევე როგორც ხმელთაშუაზღვისპირეთის მეტწილ რეგიონებში, ელინისტური ეპოქიდან მოყოლებული აქაც ბერძნული ენა წერილობითი ინფორმაციის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ იქცა. აღმოსავლეთ საქართველოში მას კონკურენციას არამეული უწევდა, რაზეც საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ეპიგრაფიკული ძეგლები მეტყველებენ.

ბუნებრივია, ისმის კითხვა, შეიძლება თუ არა იმის დაშვება, რომ ამ ე.წ. დიდი საერთაშორისო ენების ცირკულირების პირობებში საქართველოს ტერიტორიაზე რჩებოდა ადგილი ქართულისათვის, როგორც მწიგნობრობის ან სახელმწიფო ენისათვის და, თუ რჩებოდა, რაში უნდა გამოხატულიყო ეს. თუკი ქართულის გამოყენებას მართლაც ჰქონდა ძვ. წ.ა. IV საუკუნიდან ის მასშტაბები, რაზეც ლეონტი მროველი მიუთითებს, რატომღა არ შემოგვრჩა ქართულ ენაზე არცერთი ეპიგრაფიკული ძეგლი, რატომ სრულდებოდა ყველა ოფიციალური სამშენებლო თუ მიძღვნილი წარწერა ბერძნულად ან არამეულად.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნულსა და არამეულს ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში ჰქონდათ ჭეშმარიტად მსოფლიო ენების ფუნქცია. ელინისტური სამყარო ენობრივი უნივერსალიზმისაკენ მიისწრაფვოდა და, მიუხედავად იმისა, ესა თუ ის რეგიონი უშუალოდ აღმოჩნდებოდა თუ არა ელინისტურ სახელმწიფოთა სტრუქტურაში, აქ არ შეიძლებოდა არ ეჩინა თავი ერთგულებას საერთო იმპერიალური თუ მაშინდელი გაგებით მსოფლიო ენებისაკენ. ელინისტური სამყაროს ფარგლებში მოხვედრილ და მის მომიჯნავე ქვეყნებში ასეთი ორი ენა ფუნქციონირებდა: ა) ბერძნული, უფრო სწორად კოინე ანუ საერთო დიალექტი, ჩამოყალიბებული ძირითადად ბერძნულის ატიკური დიალექტისაზაზე, თუმცა გამდიდრებული სხვა დიალექტთა ელემენტებითა და ძველი აღმოსავლური ენებიდან შეთვისებული ლექსიკით. შეიძლება ითქვას, რომ კოინე იყო ტიპური მწიგნობრული, უკვე ცოცხალ დიალექტურ გარემოს მოწყვეტილი, რამდენადმე ხელოვნური ენა. მისი ფორმირება თუ განვითარება აღარ იყო ორგანულ კავშირში თავად ელინური წარმომავლობის ტომთა ცოცხალ დიალექტებთან, პირიქით, იგი ფუნქციონირებდა როგორც მათგან სავსებით გამოცალკავებული და საკუთარი კანონზომიერებების საფუძველზე ფორმირებადი, ცოცხალი სასაუბრო ენისათვის უჩვეულო კონსერვატიზმით აღბეჭდილი სისტემა, რომელიც ძალზე უმნიშვნელოდ ექვემდებარებოდა ცვლილებათა იმ სტიქიას, ესოდენ დამახასიათებელი რომაა ენების განვითარების პროცესში (GGS, II: 26...).

ბ) არამეული, რომელიც უკვე ძვ.წ.ა. I ათასწლეულის დასაწყისიდან საკმაოდ აქტიურად უპირისპირდება აქადურს, როგორც ძვ.წ.ა. II ათასწლეულში ძველ ალოსავლეთში გავრცელებულ საერთაშორისო და დიპლომატიურ ენას, აქემენიდური სპარსეთის იმპერიის შექმნის შემდგომ აქ სახელმწიფო და კულტურის ენის ფუნქციას იძენს და, არსებითად, ძირითადია იმპერიის ფარგლებში ცირკულირებად ენათა შორის. თანდათანობით მისი გავრცელების არეალი სულ უფრო და უფრო იზრდება (შდრ. H. Klengel, 1977).

აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში, უფრო სწორად წინა აზიაში, ჩვენთვის საინტერესო ანუ ელინისტურ ეპოქაში ეს ორი ენა გავრცელებისა და გამოყენების დაახლოებით ამგვარ სურათს გვიჩვენებს. ელინისტური სამყაროს წარმოქმნის შემდგომ ბერძნული ენა ძირითადი იყო მთელს ეგეიდაში, დასავლეთ ანატოლიაში, მის ჩრდილოეთ სანაპირო ზოლში. მცირე აზიის კონტინენტურ, სამხრეთ-დასავლეთსა და სამხრეთ ნაწილებში, მართალია, მისი როლი წამყვანი იყო, მაგრამ აქ მაინც კვლავ აგრძელებდნენ ფუნქციონირებას ადგილობრივი ენებიც: ფრიგიული, კარიული, ლიკიური, ლიკაონური და სხვ. თუმცა მათი ფუნქციები, ეტყობა, საკმაოდ შეზღუდული იყო, რაც ბოლოსდაბოლოს ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის, განსაკუთრებით კი სელ-ჯუკების გამოჩენის შემდგომ, მათი უმეტესობის სრულ გაქრობაში გამოიხატა (შდრ. GGS).

წამყვანი გახდა ბერძნული ენის პოზიციები ეგვიპტეშიც. როგორც ცნობილია, ამ ქვეყანაში ალექსანდრე მაკედონელის ეპოქიდან მოყოლებული (ძვ.წ.ა. 332 წ.) არაბული ბატონობის დაწყებამდე და არაბული ენის გავრცელებამდე (ახ.წ.ა. VII საუკუნე) სახელმწიფო ენად ბერძნული ითვლებოდა და, შესაბამისად, ელინისტურ ეპოქაში და მოგვიანებითაც აქ წერილობითი პროდუქცია უმთავრესად ამ ენაზე იქმნებოდა. რასაკვირველია, ხალხში და ქურუმთა წრეში ქვეყნის უძველესი მოსახლეობის ენა, ეგვიპტური იყო გავრცელებული, რომლის ტრადიციები ქრისტიანული ეპოქიდან მოყოლებული კოპტურმა განაგრძო. იგი ე.წ. „დემოტური“ ანუ ხალხური ეგვიპტურის ახლო მონათესავეა და ახ.წ.ა. პირველი საუკუნეებიდან მოყოლებული კოპტური ქრისტიანული მწიგნობრობის აღმოცენების საფუძველი გახდა, რასაც დამწერლობის ბერძნულზე დაფუძნებული ახალი სისტემის შემოღებამაც შეუწყო ხელი. ბუნებრივია, როგორც სპარსეთის იმპერიის ოდინდელ ფარგლებში მყოფი ქვეყანა, ეგვიპტე ვერ დარჩებოდა იმპერიის სახელმწიფო ენასთან არმეულთან შეხების გარეშეც. და, მაინც, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მთელი ელინისტური ეპოქის განმავლობაში ბერძნული ენა აქ იყო უმთავრესი სამწერლობო ენა და რომ არა ზოგიერთი არცთუ მნიშვნელოვანი მონაცემი და ჩვენთვის კარგად ცნობილი ფაქტი ძველ ეგვიპტეში ხანგრძლივი და მდიდარი სამწერლობო ტრადიციის არსებობის შესახებ, შეიძლებოდა ისეთი შთაბეჭდილება შეგვქმნოდა,

რომ ბერძნულ მწერლობას ეგვიპტეში არავითარი ადგილობრივი სამწერლობო ტრადიციები არ დახვედრია (M. A. Hussein, 1970:77...).

რამდენადმე იცვლება სიტუაცია ხმელთაშუაზღვისპირეთის აღმოსავლეთით განლაგებულ ქვეყნებში. სირიის რეგიონში, ალექსანდრესა და სელევკიდების დროს აღმავლობის გზაზე დამდგარ ქალაქებში (ანტიოქია, აკკო, დამასკო, გადარა) სახელმწიფო და კულტურის ენა არსებითად მთლიანად ბერძნული იყო. მაგრამ სირიაში ტრადიციულ ავტოხთონურ დასახლებებში მაინც უფრო ადრიდანვე დამკვიდრებული არამეული ენა მეუფებდა და უბრალო ხალხმა ბერძნული აქ არცთუ მაინცდამაინც კარგად იცოდა. სწორედ ამიტომ ქრისტიანობის შემოსვლის შემდგომ აქ ეკლესიამ სემიტური იდიომა, ე.წ. სირიული, აქცია ლიტერატურულ ენად, რომელზეც ითარგმნა ბიბლია (შდრ. GGS, 77...).

მართალია, კიდევ უფრო აღმოსავლეთით ბერძნული ენის გავლენა თითქმის ინდოეთამდე აღწევდა, ბაქტრიაში და ინდოეთში იგი არსებითად ვერ უწევდა სერიოზულ კონკურენციას ადგილობრივ ენებს. პარტიაშიც, თუმცა საზოგადოების ელიტარული ფენა საკმაოდ ელინიზებული იყო, ძირითადად მაინც ირანული ასრულებდა წამყვან როლს; მაგრამ საერთოდ ირანულენოვან სამყაროში ოფიციალური სამწერლობო ენის ფუნქცია მაინც არამეულს ჰქონდა დაკისრებული (შდრ. GGS, 75...).

რასაკვირველია, რეალური სამწერლობო ენების ესოდენ შეზღუდული ოდენობის პირობებში ბუნებრივად ისმის კითხვა, რა მიმართება იყო მათსა დამთელამ არეალში მცხოვრებ ხალხთა მრავალრიცხოვან ადგილობრივ ენებს შორის, რა ფორმით და მოცემულობით ახერხებდნენ ეს ხალხები საკუთარ ენებზე სხვადასხვა ხასიათის ინფორმაციის ფიქსაციას. აქ, როგორც ჩანს, ამ ენების წერილობითი რეალიზაციის რამდენიმე ფორმაზე შეიძლება ლაპარაკი: ა) დამწერლობათა ძველი სისტემის გამოყენება ან ახლის შექმნა. ასე იყო მაგალითად ეგვიპტეში, სადაც საკმაოდ შეზღუდულად, მაგრამ მაინც შეეძლოთ ტრადიციული დამწერლობის გამოყენება და ირანში, სადაც ალბათ დარიოსმა პირველმა სცადა შემოეღო ირანული დამწერლობა. მაგრამ ორსავე შემთხვევაში ამ დამწერლობათა გამოყენების არე ერთობ განსაზღვრული იყო და მათ აშკარად დათმეს თავიანთი პოზიციები ე. წ. მსოფლიო სამწერლობო ენების წინაშე (შდრ. GGS, 78...); ბ) გადმოღება დამწერლობის ერთ-ერთი სისტემისა და მორგება საკუთარ ენაზე. ამ მხრივ მცირე აზიის დასავლეთ ნაწილში უკვე ძვ.წ.ა. VII საუკუნიდან მაინც ვადასტურებთ ფინიკიურის საფუძველზე შექმნილი ბერძნული ფონეტიკური დამწერლობის სისტემის გამოყენებას ანატოლიის სხვადასხვა ენებში: კარიულში, ლიკიურში, ლიდურში და ა. შ. ამ თვალსაზრისით საინტერესო ძვ. წ.ა. VI საუკუნის ლემნოსური სტელა, რომელზედაც ბერძნული სისტემით დაწერილია ტექსტი რომელიდაც ადგილობრივ, დღემდე გაუშიფრავ ენაზე. მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ენებზე დამწერლობამ

ინფორმაციის ფიქსაციისას ვერ მიიღო უნივერსალური ხასიათი და ძირითადად ეპიგრაფიკული სფეროთი შემოიფარგლა¹; გ) ჰეტეროგრამა, ან ალოგრამა - ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში უკვე ბრინჯაოს ხანიდან გავრცელებული ტრადიცია - რომელიდაც ენა გამოყენებული იქნას სხვადასხვა ენებზე ინფორმაციის ჩასაწერად. ამ შემთხვევაში იგულისხმება ერთი ენის ნიშანთა რაღაც კლასის (ლოგოგრაფიული, სილაბური თუ ანბანური ნიშნები ან საერთოდ დამწერლობა ერთი ენისა) გამოყენება მეორე ენაში სიტყვიერი ან სულაც ფრაზეოლოგიური ნიშნების ფუნქციით. თანამედროვე ენების პრაქტიკიდან შეგვიძლია მოვიტანოთ ამგვარი ელემენტარული მაგალითი. ნებისმიერ ენაზე დაწერილ ტექსტში ლათინური შემოკლების etc. გამოყენება აღიქმის მკითხველის მიერ ამ ენაზე არსებული და სხვა-ს და ა. შ.-ს ეკვივალენტად. ბუნებრივია, იმის მიხედვით, თუ რომელ ენასთან და რა ტრადიციებთან გვაქვს საქმე, ჰეტეროგრაფია შეიძლება გამოიხატოს ყველაზე ელემენტარული, ზემოთ მითითებული მაგალითის ფორმით, და ყველაზე რთული სახით - როდესაც ერთ ენაზე წარმოთქმული ტექსტის ჩაწერა ანუ კოდირება ხდება მეორე ენაზე. საერთაშორისო ენის სახელმწიფოთა შორის გამოყენების ყველაზე გავრცელებული გზა იყო ტექსტის სინქრონული თარგმნა ჩაწერითა თუ რეპროდუცირებით. ა.მ. ვოქვათ A ენის მატარებელი ხალხის მმართველი უგზავნის წერილს B ენის მატარებელ ხალხს, და ამისთვის გამოიყენება მესამე, C ენას, რომელიც მათ საერთაშორისო სტატუსის მქონედ აღიარეს. წერილის გამგზავნელი A ენაზე კარნახობს ტექსტს მწერალს, რომელიც იქვე იწერს ამ ტექსტს C ენაზე, ხოლო წერილის მიმღებს თავისი მწერალი C ენაზე შესრულებულ ტექსტს უკითხავს თავის მშობლიურ, B ენაზე. თუკი რომელიმე ხალხს არ აქვს სამწერლობო ენა, მას ჰეტეროგრაფია შეუძლია გამოიყენოს თავისი შინაგანი საკომუნიკაციო ინტერესების შესაბამისად. დამწერლობის ისტორიაში ცნობილია შუმეროგრამების, აქადოგრამების, ელამოგრამების ანუ აღნიშნულ ენობრივ გარემოში ჩამოყალიბებული ნიშნებისა და ნიშანთა ჯგუფების სხვა ენებში ხმარების შემთხვევები (თ. გამყრელიძე, 1989:198...; И. Е. Гелън, 1982). ელინიზმის ეპოქიდან მოყოლებული სპარსეთის ტერიტორიაზე და შემდეგ პართიაშიც დიდი გავრცელება ჰპოვეს არამეოგრამებმა ანუ არამეული დამწერლობის გამოყენებამ ირანულენოვან გარემოში. რასაკვირველია, ამგვარი დამწერლობის ხმარებისას ინფორმაციის გადაცემის შეზღუდული შესაძლებლობები არსებობს. ა.მ. შეუძლებელია ლაპარაკი ამ პრინციპით მხატვრული ლიტერატურის შექმნაზე და გავრცელებაზე. თვით ჰეტეროგრაფია ძირითადად საკანცელარიო და ოფიციალური დოკუმენტების შედგენის პრაქტიკაში გამოიყენებოდა.

1 ყოველი შემთხვევისათვის, ჩვენთვის არ არის ცნობილი ამ ენებზე შექმნილი ლიტერატურული ძეგლები.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: დაწერილობის ამგვარი სისტემის ფუნქციონირებისას რამდენად შესაძლებელია მხატვრული ლიტერატურის არსებობის დაშვება. როგორც ირკვევა, საკუთარი დამწერლობის არარსებობაანშეზღუდულადგამოყენებასრულიადცარუშლისხალხებს ხელს იმაში, რომ შექმნან და, რაც მთავარია, დააფიქსირონ საკმაოდ დიდი ლიტერატურული ინფორმაცია. და, მართლაც, ძველი სამყაროს ქვეყნების უმეტესობაში კავშირი გადამცემს (პოეტს, შემსრულებელს) და მიმღებს (აუდიტორიას) შორის მყარდებოდა ძირითადად ზეპირი გზით. ისეთი მაღალი დამწერლობის კულტურის მქონე ქვეყანაშიც კი, როგორიც საბერძნეთი იყო, თვით ელინიზმამდე გადამცემსა და მიმღებს შორის კავშირი ძირითადად ზეპირი გზით მყარდებოდა, თუმცა ლიტერატურის ძეგლები არაერთგზის იყო ჩაწერილი და გადაწერილი. ლიტერატურა ძირითადად სრულდებოდა პოეტურ თუ თეატრალურ ფესტივალებზე. ზეპირი შემოქმედების ტრადიციებს ძალზე ღრმად ჰქონდათ გადგმული ფესვები ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებშიც. ა.მ. მთელი ძველი ირანულენოვანი ლიტერატურა არსებითად ზეპირი ლიტერატურა იყო. ავესტის ტექსტის ძველი ნაწილები შემსრულებელთა თაობებში გადადიოდა ალბათ 1000-ზე მეტი წლის განმავლობაში, ვიდრე არ მოხდა მისი საბოლოო ჩაწერა (შდრ. P. Фрай, 1962:269...).

ბუნებრივია, ყოველივე ამის შემდეგ ისმის კითხვა: რა ვითარება უნდა ყოფილიყო ამ მხრივ საქართველოში, როგორ უნდა განვიხილოთ „ქართლის ცხოვრების“ ცნობა ფარნავაზის წვლილის შესახებ ქართული მწიგნობრობის წარმოქმნაში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოში ძვ.წ.ა. IV-III საუკუნეთა მიჯნიდან მოსალოდნელია ან საკუთარი დაწერილობის გამოყენება (არ აქვს მნიშვნელობა ამ შემთხვევაში ადგილობრივი გრაფიკული სისტემა იყო შექმნილი დამწერლობისა თუ გამოიყენებოდა უკვე არსებული სხვა დამწერლობის ნიშნები), ან მწერლობის ენის ფუნქციის დაკისრება ერთ-ერთ დიდ საერთაშორისო ენაზე, ან ჰეტეროგრაფიის პრინციპების გამოყენება.

უკანასკნელ ხანებში თამაზ გამყრელიძემ წამოაყენა ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც „ქართლის ცხოვრების“ ცნობა ფარნავაზის წვლილის თაობაზე ქართული მწიგნობრობის საქმეში, როგორც ჩანს, ამ ეპოქის საქართველოში ალოტოგრაფიული მწიგნობრული ტრადიციის დაფუძნებად უნდა გავიზიაროთ. „ქართული ალოტოგრაფია“ არამეულის, კერძოდ, „არმაზულ-არამეულის“ საფუძველზე არის სავარაუდებელი (თ. გამყრელიძე, 1989: 198...). ჩვენის აზრით, საქართველოში ამგვარი პრაქტიკის არსებობის დაშვება სავსებით შესაძლებელია. ძნელია წარმოვიდგინოთ, რომ მაშინ, როდესაც მის გარშემო განლაგებულ დიდ სახელმწიფო გაერთიანებებში არამეული წარმატებით ასრულებდა ამ ფუნქციას, საქართველოში იგი უგულვებელყოფილი იქნებოდა. ამასთან ერთად, ჩვენ ასევე დასაშვებად მიგვაჩნია ჯერ დასავლეთ საქართველოში (ძვ. წ. ა. IV-III საუკუნეებიდან), ხოლო მოგვიანებით აღმოსავლეთ საქარ-

თველოში (ძვ.წ.ა I-ახ.წ.ა. I საუკუნეებიდან) ბერძნულის ფართო მასშტაბით გამოყენება წერილობითი ფიქსაციისთვის. ამას გვიდასტურებს ეპიგრაფიკული მასალა, აღმოჩენილი საქართველოს ტერიტორიაზე (ვანი, ეშერა, მცხეთა, ძალისა). და, მაინც, ვფიქრობთ, „ქართლის ცხოვრების“ ცნობა, თუკი იგი მართლაც ასახავს რაღაც ისტორიულ რეალობას, ძნელია მივუსადაგოთ ალოტოგრაფიის ან უბრალოდ სხვა ენის გამოყენების პრაქტიკის დამკვიდრებას. საქმე ისაა, რომ ფარნავაზი სრულიად გარკვევით ითვლება „ქართული მწიგნობრობის“ შემქნელად. ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს სახელი მისთვის მხოლოდ ალოტოგრაფიის პრინციპის შემოღებას მოეტანოს. ალბათ გაგვიჭირდებოდა მოგვენახა ისეთი პიროვნება ძველ სამყაროში, რომელიც ჩაეთვალათ ნაციონალური მწიგნობრობის შემქმნელად, თუკი მას არ მიეწერებოდა დამწერლობის შემოღება თავისი მშობლიური ენის საჭიროებისათვის. რასაკვირველია, მის გამოყენებას არ ექნებოდა დიდი მასშტაბები, რადგან მთელ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში ელინიზმის დადგომის მომენტში, როგორც ზემოთ ვნახეთ, დამწერლობათა ადგილობრივ სისტემებს არსად, თვით ირანულენოვან რეგიონებშიც კი, არ ჰქონიათ ფართო მოხმარება. პირიქით, ელინიზმის ეპოქაში მათი ცირკულირების შესაძლებლობები ბერძნულისა და არამეულის ფონზე ერთობ შეზღუდული იყო და არსებითად ისინი კვდომისაკენ მიდიოდნენ. როგორც ჩანს, იგივე პროცესები უნდა ვივარაუდოთ საქართველოშიც. ფარნავაზის ცდას, შესაძლოა, უშუალოდ მისი მმართველობის პერიოდში გარკვეული შედეგი ექნებოდა, მაგრამ, საეჭვოა, მას სერიოზული კონკურენცია გაეწია ბერძნულისა და არამეულისათვის ელენიზმის ეპოქაში. ერთის მხრივ, შეზღუდული ფუნქციები, ხოლო მეორის მხრივ იმდროინდელ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში გავრცელებული ტრადიცია - წერილობითი ინფორმაციისათვის უპირატესად ბერძნულის ან არამეულის გამოყენება, ფარნავაზის დროს შემოღებულ სავარაუდო ადგილობრივ დამწერლობას ვერ მისცემდა „ფრთების გაშლის“ შესაძლებლობას. და, მაინც, მის მიერ გატარებულმა ზომებმა, როგორც ჩანს, იმდროინდელ საქართველოში ქართულს გარკვეულწილად კოინეს ანუ საერთო ენის ფუნქციები დააკისრეს. ჩვენ დაახლოებით ამგვარად წარმოგვიდგება ენათა მოქმედების მასშტაბები ელინისტური ეპოქის საქართველოში:

ა) სახელმწიფო გაერთიანებაში მოქმედი ძირითადი საერთო საკომუნიკაციო და ოფიციალური ენა იყო ქართული, რამაც საკმაოდ ადრე ჩამოაყალიბა მისი ზედდიალექტური ვარიანტი. იგი საქართველოს სხვადასხვა კუთხეების მიერ, სადაც ესა თუ ის ქართველური დიალექტი ან ენა იყო გავრცელებული, აღიქმებოდა არა როგორც ერთი რეგიონის, ერთი კუთხის დიალექტი, არამედ როგორც ყველა ოლქის ენობრივად გამაერთიანებელი საერთო ნორმა. გარკვეული თვალსზრისით, ეს ემსგავსებოდა კოინეს ცირკულირებას ელინისტურ სამყაროში, თუმცა იყო მნიშვნელოვანი განსხვავებაც. ელინისტური სამყაროს ფარგლებში კოინე

და ადგილობრივი, არაბერძნული ენა, ამ უკანასკნელის შენარჩუნების პირობებში, ყოველთვის ორ, ერთმანეთისაგან სავსებით განსხვავებულ ნორმად მიიჩნეოდა; საქართველოში კი ქართული, როგორც ჩანს, უკვე საკმაოდ ადრე აღიქმოდა, როგორც ადგილობრივ დიალექტებთან ორგანულად დაკავშირებული უფრო მაღალი, უნივერსალური ნორმა ქართველურ ტომთა მიერ შექმნილი ერთიანი კულტურულ-ენობრივი კავშირის ფარგლებში, რომელიც ფარნავაზიდან მოყოლებული სახელმწიფო ერთიანობადაც შეიგრძნობოდა ხოლმე, თუმცა პერიოდულად იგი შეიძლებოდა ნაწილებად დაშლილიყო და სულ სხვადასხვა ქვეყნების ჰეგემონობის ფარგლებშიც კი მოქცეულიყო. ამდენად, ვფიქრობთ, უკვე ფარნავაზის ეპოქაში მომზადდა იმის წინაპირობა, რომ ქართული ენა თანდათანობით კულტურული თვითგამოხატვის უნივერსალურ ნორმად ქცეულიყო გენეტიკურად ურთიერთდაკავშირებული ტომებისაგან შექმნილი ქართველური ერთიანობის ფარგლებში. ალბათ, ამით უნდა აიხსნას ის გარემოებაც, რომ ბერძენთათვის დასავლეთ საქართველოს თვით იმ რეგიონებშიც კი, სადაც ზანური, სვანური და აფხაზური ტომები მკვიდრობდნენ, სწორედ ქართული წარმოადგენს სახელდების ძირითად წყაროს, რაზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. ამავე მოვლენას უკავშირდება ისიც, რომ მოგვიანებით ქართველურ ენათა გავრცელების მთელ ტერიტორიაზე საკმაოდ უმტკივნეულოდ შეცვალა ეპიგრაფიკულ პრაქტიკაში ე. წ. საერთაშორისო უცხო ენები სწორედ ქართულმა, რომ იგი იქცა მართლაც მწიგნობრობის ერთადერთ ადგილობრივ ენად და, ბუნებრივია, ეროვნული თვითშეგნების ფორმირების ერთ-ერთ უმთავრეს ბურჯად. ვფიქრობთ, რომ ამ ენაზე უკვე ელინისტური ეპოქიდან მოყოლებული, ძირითადად ზეპირად, იქმნებოდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა საერთო ქართული ღირებულების მქონე ლიტერატურა, გენეალოგიური ტრადიცია. ალბათ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ჩვენამდე მოღწეული პირველი ეპიგრაფიკული და ლიტერატურული ძეგლები ქართულზე უკვე ე.წ. ნორმატიული, ჩამოყალიბებული სალიტერატურო ენის ყველა თვისებას გვიჩვენებენ.²

ბ) რეგიონალური საკომუნიკაციო ქართველური ენები და დიალექტები ასევე ცირკულირებდნენ საქართველოს ცალკეულ კუთხეებში. მაგრამ მათ, ვფიქრობთ, ელინისტური ეპოქიდან მოყოლებული მაინც ოფიციალური ენის სტატუსი არასოდეს არ ჰქონიათ თუნდაც ერთი კონკრეტული რეგიონის მასშტაბით. მათი ფუნქცია, როგორც წესი, არ სცილდებოდა ადგილობრივი, ცოცხალი სამეტყველო დიალექტის ფარგლებს და ისინი არასოდეს არ ისწრაფვოდნენ უნივერსალიზმისაკენ. ალბათ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ საქართველოს ისტორიაში არ არის ცნობილი რაიმე მეტად თუ ნაკლებად გახმაურებული ცდა მათი

2 ამ ჰუმბარიტებას ერთხმად აღნიშნავენ ქართული ლიტერატურისა და დამწერლობის ისტორიის სპეციალისტები.

მწიგნობრული თუ ოფიციალური ენის რანგში ამადლებისა. ბუნებრივია, ამ ენებზე და დიალექტებზე იქმნებოდა ფოლკლორული სიტყვიერების ძეგლები, მაგრამ მათ არასოდეს არ აღიქვამდნენ როგორც საერთო ქართულ ფასეულობას. გ) საერთაშორისო წერილობითი ენებიდან, როგორც აღვნიშნეთ, ბერძნული და არამეული, პირველი უპირატესად დასავლეთ, ხოლო მეორე უპირატესად აღმოსავლეთ საქართველოში, ფუნქციონირებდა. უკვე ელინისტურ ეპოქაში, განსაკუთრებით კი რომის ექსპანსიის შემდგომ, როგორც ვფიქრობთ, ბერძნულმა ენამ აღმოსავლეთ საქართველოშიც გაიმყარა პოზიციები. ამას ნათელჰყოფს არა მარტო ეპიგრაფიკული მასალა, არამედ ისიც, რომ თვით ქართული ასომთავრული დამწერლობა, როგორც სისტემა, ყველაზე მეტად ბერძნულ წერით სისტემასთან გვიჩვენებს სიახლოვეს (შდრ. თ. გამყრელიძე, 1989). როგორც ჩანს, ამ საერთაშორისო ენებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართულის ნორმატიულ ენად ქცევის პროცესში, გაამდიდრეს რა იგი არა მარტო ლექსიკურად, არამედ მწიგნობრული ენისათვის აუცილებელი ფრაზეოლოგიური სტრუქტურებითა და ფორმულებით. შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ ქართული ლიტერატურის პირველსავე ძეგლებში ენობრივი დახვეწილობის ის ხარისხი ვლინდება, რომელიც მაღალგანვითარებულ ენებთან ხანგრძლივსა და ღრმა კავშირზე მიგვანიშნებს. დ) საქართველოში მეტნაკლებად ცირკულირებდნენ ასევე კავკასიური, ალანური და სხვა ენები, რომელთა გავრცელება ძირითადად მათზე მოლაპარაკე მოსახლეობის კომპაქტურად განსახლების რეგიონებით შემოიფარგლებოდა. რასაკვირველია, ამ მხრივ ქართულისათვის გაცილებით უფრო მასშტაბური იყო სომხურსა და ირანულ ენებთან კონტაქტები, რამდენადაც ამ შემთხვევაში საქმე გვქონდა კვაზიმწიგნობრულ, ხოლო მოგვიანებით კი ჭეშმარიტად მწიგნობრულ ენებთან.

შეიძლება ითქვას, რომ ამ ურთიერთობებისა და თავისი უნივერსალური ფუნქციების გამო საქართველოს ფარგლებში ქართულმა ენამ უკვე ელინისტურ ეპოქაშივე განვითარების იმ მასშტაბებს მიღწია, რომ თავისი ლექსიკური ფონდით, გამოსახვის საშუალებებით, სტრუქტურის მოქნილობით ქრისტიანობის გავრცელების შემდგომ იგი სრულიად უმტკივნეულოდ იქცა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მწიგნობრულ ენად ძველ სამყაროში.

ამგვარად, ჩვენი ვარაუდით, დიფერენცირებულ ქართველურ სამყაროში ელინისტური ეპოქიდან ინტეგრაციის საკმაოდ მძლავრი პროცესი იწყება, რომელიც ზედრეგიონალური, საერთოქართული ოდენობების შექმნის ცდაში გამოიხატა, რამაც, უნდა ვიფიქროთ, შეიქმნა ქართველურ გაერთიანებათა გარკვეულ სახელმწიფოებრივ კავშირში მოქცევისა და ზედდიალექტური საერთო ენის ფორმირების პირობები.

შემდგომი მოვლენები ამ მიმართულებით პროცესების გაღრმავებას უწყობდნენ ხელს. მართალია, დასავლეთსა და აღმოსავლეთ საქართველოში კვლავ აგრძელებდნენ არსებობას ცალკეული ქართველური პოლიტიკური

გაერთიანებები, მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი თავს მაინც ფარნავაზის მიერ მონიშნული სახელმწიფო ერთიანობის ნაწილებად განიხილავდნენ, მიუხედავად იმისა, ინარჩუნებდა თუ არა ამა თუ იმ საუკუნეში ეს სახელმწიფო თავის თავს. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის დიდ სახელმწიფოთა გავლენისაგან ოდნავ თავის დაღწევის შემთხვევაშიც კი ამ პოლიტიკურ ერთეულთა პერიოდული ხელახალი გაერთიანება საკმაოდ უცხად ხდებოდა.

ბოლოთქმა

ქართული თვითშეგნების ფორმირება ჩვენ ხანგძლივ, მრავალ-ეტაპოვან პროცესად წარმოგვიდგება. ვფიქრობთ, რომ გენეტიკური ერთიანობის მძლავრი კოდი, რომელიც უკვე ბრინჯაოს ხანიდან გამოუმავდებია ქართულ სამყაროში, გაცილებით უფრო მყარი იყო, ვიდრე ერთიანი ქართული სახელმწიფოს იდეა. უფრო მეტიც, სწორედ ეს კოდი აძლევდა ისტორიულად ყველა ხელსაყრელ მომენტში ქვეყანას ერთ ორგანიზმად გამთლიანების უმთავრეს სტიმულს. ქართული თვითშეგნების ფორმირების გზაზე ვხვდებით დიფერენციაცია-ინტეგრაციის საკმაოდ საინტერესო სურათს, რომელის თავისებურება შეიძლება ამგვარად გადმოიცეს: ქართველური სამყაროს ტომობრივი თუ დიალექტიკური დიფერენციაციის ყოველი ახალი ეტაპი ხვდება მისი ინტეგრაციის ახალი ფორმის ჩამოყალიბების საფუძველი. ამ გზაზე უმთავრეს მაკოორდინირებელ მოვლენად მიგვაჩნია: ა) ლეგენდარული კოლხეთის გაერთიანება, რომელიც დიფერენციაციის პირველი ეტაპის, ანუ საერთო ქართველურის ორ შტოდ დაშლის შემდეგ, ინტეგრაციის პირველი, უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ხდება. ვფიქრობთ, რომ ამ გაერთიანების სახელმა და მამსტაბებმა ბევრად განსაზღვრა ქართველთა შორის გენეტიკური ერთიანობის მკაფიოდ გამოკვეთილი შეგრძნების ფორმირება. ბ) ფარნავაზის სახელმწიფო დიფერენციაციის მეორე ეტაპის, ანუ ქართულ-ზანური ერთიანობის დაშლის შემდგომ, ინტეგრაციის ახალ, არსებით ფაქტორად მოგვევლინა. ამ დონეზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ენის მიერ ზედდიალექტიკური, საერთო ნორმის სტატუსის მოპოვებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. გ) რომაული იმპერიის ჰეგემონობის პერიოდი, როდესაც საქართველოში შემდგომი დიფერენციაციისა და ჩვენი ტერიტორიის სხვადასხვა ძალებს შორის გადანაწილების ახალი საფრთხე შეიქმნა, იბერიის გამოსვლას მსოფლიოს დიდი პოლიტიკის ასპარეზზე, რაც ეროვნული ღირსების შეგრძნების გამძაფრების მძლავრი სტიმული ხდება, ასევე ქრისტიანული სარწმუნოების მიღებას და ეროვნული მწიგნობრული ლიტერატურის განვითარებას. დ) ვახტანგ გორგასლის ეპოქა არსებითად საფუძველს უყრის ქრისტიანული ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების ყველა წინაპირობას და თავიდან იცილებს საქართველოს ევროპულ და აზიურ ორიენტაციათა, ქრისტიანული და არაქრისტიანული

იდეოლოგიის მექანე ქვეყნებს შორის დანაწილების საფრთხეს. არსებითად ამ ეპოქაში დაფიქსირდა საბოლოოდ ის იდეა, რამაც ქართველთა მთელი ისტორიის განმავლობაში ევოლუციის ხანგრძლივი გზა განვლო - იდეა ქართველთა განუყოფლობისა, რაც შემდგომ ერთიანი, ძლიერი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების საფუძველი ხდება.

ამდენად, ჩვენის აზრით, ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბება თავისი ძირებით ჩვენი ისტორიის საწყისამდე ადის. საუკუნეების განმავლობაში იგი იქცა ერის ფუნქციონირების გენეტიკურ აუცილებლობად. სწორედ ამის წყალობით გაუძლო ქართულმა თვითშეგნებამ დროის გამოცდას. დაძლია მრავალრიცხოვან სეპარატისტთა თუ ამბიციურ რეგიონალურ მმართველთა უგუნრება და მოვიდა ჩვენს დღეებამდე. სწორედ ერთიანობის ეს გენეტიკური აუცილებლობა განსაზღვრავდა ყოველ ხელსაყრელ მომენტში მძლავრი, მთლიანი ქართული სახელმწიფოს შექმნას, რომლის ხატი ასე ღრმად არის გამჯდარი ჩვენს ფსიქიკაში და რომელიც ასოცირდება აიეტის კოლხეთთან, ფარნავაზის, ფარსმანების, ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის საქართველოსთან. ეს ხატი, ვითარცა უკვდავი არქექტიპი, ახლაც XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე წარმართავს ჩვენს დაუოკებელ ლტოლვას ახალი, ერთიანი, დემოკრატიული, უპირატესად ევროპულ კულტურულ ღირებულებათა სისტემაზე ორიენტირებული ქართული სახელმწიფოს მშენებლობისაკენ.

ლიტერატურა

1. H. Bengtson, Die hellenistische Weltkultur, Stuttgart, 1988.
2. სინ I - საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I.
3. НДГ – О. Лорткипанидзе, Наследие древней Грузии, Тб. 1989.
4. მ. ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი, თბ. 1990.
5. მ. ინაძე, ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები. - მაგნე (ისტორიის... სერია), # 1, # 2, 1992.
6. თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, ანბანური წერის ტიპოლოგია და წარმომავლობა, თბ. 1989.
7. თ. გამყრელიძე, ძველი კოლხეთის სატომო სახელთა ისტორიიდან (<აფხაზ- ~ abazg-> <აბაზა ~ ავსუა> ეთნონიმთა ისტორიულ-ეტიმოლოგიური ურთიერთობისათვის. - მაგნე (ისტორიის... სერია), 2, 1991.
8. ს. ყაუხჩიშვილი, მისიმიანთა ტომი. - თსუ შრომები, 1, 1936.
9. გ. ლორთქიფანიძე, ბიჭვინთის ნაქალაქარი, თბ. 1991.
10. GGS II – A. Debrunner, Geschichte der griechischen Sprache, II, Grundfragen und Grundzüge des nachklassischen Griechisch, Sammlung Götschen, Bd 114, Berlin, 1954.
11. H. Klengel, Zwischen Zelt und Palast, Leipzig, 74.
12. M. A. Hussein, Vom Papyrus zum Codex. Der Beitrag Ägyptens zur Buchkultur, Leipzig, 1970.
13. И. Е. Гельб, Опыт изучения письма. М. 1982ю
14. Р. Фрай, Наследие Ирана, М. 1962.

იზა ჩანტლაძე, ნანა ქავთარაძე

სვანეთი ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით ევროპელ მოგზაურ-მკვლევართა შრომებში

ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლეს ბიბლიოთეკაში არაერთი კავკასიოლოგიური კრებული დევს. მათ შორის თავისი მაღლაკადემიური მნიშვნელობით გამოირჩევა ლონდონის სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტის, სამოქალაქო სამართლის დოქტორის **დუგლას ფრეშფილდის** „The exploration of the Caucasus“ (London, 1896), რომელიც გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისთვის გამოუგზავნიათ დიდი ბრიტანეთიდან. რ ა მ დ ე ნ ა დ ა ც ჩ ვ ე ნ თ ვ ი ს ც ნ ო ბ ი ლ ი ა, ე ს წ ი გ ნ ი ს ხ ვ ა გ ა ნ ა რ ს ა დ ა ა ს ა - ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი.¹

ნაშრომი ინტერდისციპლინური ხასიათისაა, რომელშიც დეტალურადაა მოთხრობილი ბუნებისმეტყველ ალპინისტთა სამარშრუტო მყინვარებთან ახლოს მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა წეს-ჩვეულების შესახებ. ამჯერად ჩვენთვის მეტად საინტერესო აღმოჩნდა ლეჩხუმისა თუ ზემო და ქვემო სვანეთის (განსაკუთრებით დღემდე მხოლოდ ფრაგმენტულად შესწავლილი **ჩოლურის თემის**) მონაცემები.

სამწუხაროდ, ქართველოლოგებმა ძალიან დავაგვიანეთ ჩვენი უცხოელი კოლეგების XVIII-XIX საუკუნეთა ნაშრომების განხილვა და შეფასება. რასაკვირველია, გვაქვს დიდებული მონოგრაფიები აკადემიკოსების: ივანე ჯავახიშვილისა („ქართული და კავკასიური ენების ბუნება და ნათესაობა“, ტფილისი, 1937), არნოლდ ჩიქობავასი („იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია“, თბილისი, 1965 და „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი“, თბილისი, 1979) და სხვათა, მაგრამ, ჯერ ერთი, მათში ან საერთოდ არაფერია ნათქვამი ჩვენი

1 დიდი პატივისცემით გვინდა მოვიხსენიოთ ცნობილი კავკასიოლოგი, დიდი ბრიტანეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი ჯორჯ ჰიუიტი და მესტიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის ადმინისტრაციული სექტორის ხელმძღვანელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიურ ენათაგანყოფილების კურსდამთავრებული ქალბატონი რუსუდან ჯაფარიძე, რომელთაც დავვაკვალიანეს დ. ფრეშფილდის ნაშრომის სვანეთისადმი მიძღვნილი ნაწილის (გვ. 182–278) შესასწავლად და ჩავგიტარეს აუცილებელი კონსულტაციები.

საანალიზო ნაშრომების შესახებ, ან მხოლოდ ფრაგმენტული მსჯელობა გვაქვს, და, მეორეც, ისინი, ძირითადად, სტუდენტ-ასპირანტთა სახელმძღვანელოებად ივარაუდება.

წინასიტყვაობაში დუგლას ფრეშვილდი დიდ წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ მასალები **ცენტრალური კავკასიის შესახებ** ისეა მიმოფანტული, რომ ადვილად ხელმისაწვდომი არაა დაინტერესებული საზოგადოებისთვის, თანაც მათ შორის ძალიან ბევრი **გამოუქვეყნებელია**, ამიტომ შევეცადე, თავი მომეყარა ნაირ-ნაირი ესკიზების სერიებისთვის კავკასიის თვალწარმტაცი ბუნებისა და ხალხის შესახებ ისე, რომ ამ თხრობაში ჩავურთე მოგზაურთა სასიამოვნოდ გასახსენებელი ისტორიებიო.

ბატონი დუგლასი თავისი ექსპედიციითურთ, რომელსაც ევალებოდა როგორც ალპინისტური, ისე კვლევითი საქმიანობის ჩატარება, **რეაჯერ** (1868-1896 წ.წ.) **ყოფილა სვანეთში** – ყველაზე ხშირად უშგულში, მულახში, ბეჩოსა და ლატალში, რადგანაც, ამ სოფლების მოსახლეობის დახმარების გარეშე, ისინი ვერც შხარასა თუ შხელდას დალაშქრავდნენ და ვერც უშბასა თუ თეთნულდზე დაადგამდნენ ფეხს. როგორც ჩანს, ისინი კოდორის ხეობაშიც შესულან, მაგრამ მაშინ ზემო სვანები იქ ახალჩასახლებულნი იყვნენ და ამიტომაც ინგლისელ, იტალიელ თუ ფრანგ მთამსვლელებს მოუწიათ ერთმანეთში გადახლართული ხეებით სავსე ველურ ტყეში ხეტიალი ისე, რომ ძლივსღა ხედავდნენ ზეცას მთელი დღის განმავლობაში.

ალპინისტ მკვლევრებს საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდათ XIX საუკუნის II ნახევრის ცნობილ საზოგადო მოღვაწესთან, დიდი ილია ჭავჭავაძის მეგობართან, სვანური, ქართული და რუსული ენებისა თუ სვანების ისტორიის, ფოლკლორისა და ეთნოლოგიის შესანიშნავ მცოდნესთან, „სვანეთის ბურჯთან“ (აკაკი შანიძის შეფასებით), ბესარიონ ნიჟარაძესთან, რომლისგანაც მათ არაერთი ხალხური გადმოცემა, თქმულება თუ ლექსი ან ზღაპარი მოისმინეს და გამოიყენეს თავიანთ ნაშრომებში. ამიტომ აუცილებლად უნდა შემოწმდეს ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლეს ბიბლიოთეკის უმდიდრეს კატალოგში სვანური ხელნაწერები (განსაკუთრებით მარჯორი და ოლივერ უორდროპებისა, დემეტრიუს პიკოკისა, ფილიპს ვოლეისა, რაფაელ ბერნოვილისა, დუგლას ფრეშვილისა, გუსტავ რადესი და სხვათა), რომელთა შესახებ შესაბამისი ფონდის დირექტორი, პროფესორი ჯილიენ ევისონი ხშირად გვწერს ხოლმე: საქართველოდან არაერთი ხელნაწერი ინახება ჩვენთან, მაგრამ, რომელია სვანური ან მეგრულ-ლაზური, ჯერჯერობით ვერ დავადგინეთ, რადგან **ამ ენების სპეციალისტები არ გვყვანანო**.

ყურადღება მიიქცია იმან, რომ, „კავკასიის კვლევის“ მიხედვით, სვანეთს მარტო სვანებისთვის კი არ მოაქვს სიკეთე, არამედ – მოგზაურებისთვისაც, რომელთა თვალწინ სწორედ აქ იშლება კავკასიის სამოთხე (გვ. 185).

ჩვენთვის, უპირველეს ყოვლისა, საუკუნუნაზღერის წინ დაფიქსირებული სვანეთის ონომასტიკა მნიშვნელოვანი:

დ. ფრემფილდის წიგნში თვალწარმტაცი სვანეთის ულამაზესი და უმაღლესი სოფლის სახელწოდება ყველგან მკვეთრი თანხმოვნითაა წარმოდგენილი (**უმჟულ**) და ესარცაა გასაკვირი, რადგან მისი ექსპედიცია უშგულში რიონისა და ცხენისწყლის ხეობათა გავლით, ანუ ქვემო სვანეთიდან ავიდა. ცნობილია, რომ ლენტეხურ დიალექტში დღესაც თანხმოვანთა მკვეთრი კომპლექსები (**სკ, შკ**) გვაქვს სხვა კილოთა მჟღერთანხმოვნიან კომპლექსთა (**სგ, შგ**) ნაცვლად, რაც ვარლამ თოფურიას ოდესღაც მთელი სვანური ენისათვის დამახასიათებელი არქაული მოვლენის გადმონაშთად მიაჩნია (2002: 162), თუმცა სპეციალურ ლიტერატურაში (აკაკი შანიძე) არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც ამ ფონეტიკური მოვლენის მეორეულობის შესახებ. აღნიშნული ტოპონიმი მომდინარეობს სვანური ზმნისართისგან **უმჟულ** (ზსვ.)/**უმჟულ** (ლნტ.)/**უყჷშჟულ** (ლშხ.) – „უკულმა, პირიქით, თავდაყირა“, რომელიც არქაულ ხალხურ სიმღერებშივეა დადასტურებული ზემო და ქვემოსვანური დიალექტებისთვის დამახასიათებელი თანხმოვანტოკმპლექსებითურთ:

ბიმურზა **უმჟულ** ჩჷჟს ხასგურ – ბიმურზა უკულმა ზის ცხენზე („ცხენს აზის“) – ბზ., სოფ. მულახი (სვ. პოეზ., 1939: 154₇₂);

ქალა **უმჟულ** ხორიკ ჟოქჷრემ ხანთალს – ქალა (მონადირის საკუთარი სახელია) უკულმა ჰკიდა ოქროს საკიდზე („საკიდს“) – ბზ., სოფ. ხალდე (იქვე: 304₂₉₋₃₀);

თამბილ ჩაჟას **უყჷშჟულ** ლახსგურ – თამბილი ცხენზე („ცხენს“) უკულმა შესვა – ლშხ., სოფ. ჟახუნდერი (იქვე: 150₅₁)...

გვიქრობთ, ლაშხური **უყჷშჟულ** ერთგვარ გარადამავალ საფეხურს წარმოადგენს მკვეთრი თანხმოვანტოკმპლექსის გამჟღერების გზაზე (***უმჟულ** > ***უმჟულ** > ***უყჷშჟულ** > ***უმჟულ** > ***უმჟულ**) და უნდა უკავშირდებოდეს **შიყ** („ზურგი“) ლექსემას (<***უ-შიყ-ულ** „უზურგო“), მდრ. **უთხმულ** („უკულმა, თავდაყირა“) <***უ-თხმ-ულ** <***უ-თხმ-ულ** („უთხემო, უთავო“).

სხვა რომ არა იყოს რა, ამოსავალი ვითარების სწორად წარმოსადგენად აუცილებელად უნდა გავითვალისწინოთ აკაკი შანიძის ორი ურთიერთგამომრიცხავი შენიშვნა ერთი და იმავე ფონეტიკური პროცესის აღსაწერად: მულახური ზღაპრის **მგხმგრი** ი **აფიგარ** („მეღორე და ოფიცერი“) ერთ ფრაზას [მიჩ ესერი ხარა ქამოჷ ლეზი ი ტაშდჷრნ ესერ ამჩედ – მეც („თვითონაცო“) მინდოდა („ნდომია“) მოსაქმება („გარეთ გასვლა“) და ტაშტზე მოვისაქმეო („ტაშტზეო გასულა“) – სვ. პროზ., ტ. I, 1939: 350₃₆] ახლავს კატეგორიული ხასიათის შენიშვნა: „ითქმის **ტაშდ** და არა **ტაშტ**, რადგანაც მულახური **შდ** ჯგუფის წარმომადგენელია და ეს უცხო სიტყვაც თავისებურად მოუქცევია“ (იქვე, გვ. 480), ხოლო იმავე (1921)

წელს სოფელ ლახირში (მულახის თემი) ჩაწერილ ზღაპართან ტონი შერბილებულია:

თელღვრას ლელჟაგრგლე **თგრქაქ** ხულჷწ – რძალს მოწამლული მაკრატელი ჰქონდა (იქვე: 292₃₅), **შნშ**: მოსალოდენლი იყო **თგრქაქ**² (იქვე: 477).

საინტერესოა, რომ 1925-1927 წლებში ჩაწერილ ბალსზემოურ ტექსტებში ვარლამ თოფურიას მიერაა ფიქსირებული მთქმელის წარმოთქმული მკვეთრთანხმოვნიათ კომპლექსები თუ ფონემები შესაბამისი რიგის მჟღერთანხმოვნიათ კომპლექსებითა თუ ფონემებით:

ბეფშდ ჟწნიცხ **შიშდ** – ბავშვი (ბავშვმა) გაიზარდა უცბად (სვ. პროზ., ტ. I, ლატალური, 1939, 436₁₀) და **შიშტ** (იქვე: 485);

ჩუაყურე სულასახარ ჟოქურა **ტახდისგა** – წევს სულასახარი ოქროს ტახტში (იქვე, კალური, 85₂₅) და **ტახტისგა** (იქვე: 468)...

ეს კი იმას ნიშნავს, რომ სვანური ენის ბალსზემოურ დიალექტში XX საუკუნის I მეოთხედისთვის შესაბამისი ფორმებში მკვეთრი ფონემები უკვე ძალზე იშვიათად გამოიყენება.

რაც შეეხება დუგლას ფრეშფილდის სამეცნიერო-ალბინისტურ ექსპედიციას, ის 1868 წლიდან რვაჯერ იმყოფებოდა სვანეთში და რაკი ყველგან **უშგულ** გვაქვს **უშგულ**-ის ნაცვლად, ინგლისელ მკვლევართა მიერ სწორედ არქაული მონაცემია დაფიქსირებული. ამ მხრივ რამდენადმე ორიგინალურია ოლივერ უორდროპი: თავისი „English-Svanetian Dictionary“-ის (London, 1911) ინგლისურ ნაწილში მას მკვეთრი თანხმოვანი აქვს **Ushkulian-native of Ushkul**), ხოლო სვანურში – შესაბამისი მჟღერი (**Muvshgvil** „უშგულელი“ – გვ. 65). წარმოშობით გერმანელი გუსტავ რადეკი 1866 წელს გამოცემულ წიგნში მიუთითებს ორივე ვარიანტზე: **schtikar** და **sdbikare** („კბილები“) – გვ. 86.

1925 წელს 50 წლის გიორგი ჭიტას ძე პირველისაგან სოფელ იფარში ჩაწერილ ზღაპარს აქვს ჩამწერის (ვარლამ თოფურიას) შენიშვნა: **ჭაბუგუის** ნ ა ც ვ ლ ა დ ხ შ ი რ ა დ მ ე ს მ ო დ ა **ჭაბუკ** (სვ. პროზ. ტ., I, გვ. 469), რაც, ვფიქრობთ, ძალზე მნიშვნელოვანია. იმავე ზღაპარში ვარლამ თოფურიას **აფსასტა** „ნადირთა ღმერთის“ (მთქმელისეული ფორმა) ხუთჯერ გაუმჟღერებია (**აფსასდა**), თუმცა ოქურა **ტახტურნ** ჩუაყურე დალ – ოქროს ტახტზე წევს დალი (იქვე: 91₁₀) ხელუხლებადაა დატოვებული იმავე ჩამწერის მიერ ბალსზემოური დიალექტის იმავე (იფარულ) კილოკავში.

როგორც ცნობილია, სვანურ ენას ახასიათებს მკვეთრ თანხმოვანთა გამჟღერების პროცესი, რაც განსაკუთრებით კარგად ჩანს ნასესხებ სიტყვათა მაგალითზე (**ჭაბუკ-ი** > **ჭაბუგ**, **კოწახურ-ი** > **გოწხირ**,...), ამიტომ,

2 თუ ამ ლექსემას ძველ ქართულ **დუქარდ**-ის („სამართებელი, საპარსი“) დავუკავშირებთ, მაშინ, ცხადია, აქ ამოსავალი იქნება მჟღერი (და არა მკვეთრი!) ფონემა.

ცხადია, სვანურისთვის ამოსავალია მკვეთრი თანხმოვანთკომპლექსები, რაც დღეისთვის ლენტეხურ დიალექტშია დაცული (ვ. თოფურია) და არა პირიქით. ტექსტებიდან ჩანს, რომ გამჟღერების პროცესი იწყება XX საუკუნის I მეოთხედში, ხოლო ინგლისელ და იტალიელ გეოგრაფ-ბიოლოგთა ალპინისტურმა ჯგუფმა XIX საუკუნის II ნახევარში სვანეთში არაერთჯერადი მოგზაურობისას ჩვენი საანალიზო ტოპონიმის სწორედ არქაული (**უშკულ**) ფორმა დააფიქსირა ყველა შემთხვევაში.

ვფიქრობთ, თანხმოვანთა გამჟღერების პროცესი დაიწყო ბალსუმოურ – ლაშხურ დიალექტებში, შედარებით ნელა მიმდინარეობდა იგი ბალსქვემოურში, ხოლო ბუნებრივი³ ლენტეხურის მცოდნე მოხუცები დღესაც მხოლოდ **სკ, შკ, სტ, შტ** და ა. შ. კომპლექსებს იყენებენ.

საგულისხმოა, რომ 1957 წელს გამოქვეყნებულ 343 გვერდის მოცულობის ბალსქვემოურ პროზაულ ტექსტებში მხოლოდ ერთხელ შეგვხვდა **უშკულ**, რომელიც ჩაწერილია 1949 წელს სოფელ ცხუმარში თინათინ შარაძენიძის მიერ:

უშკულგნემდ ლალჟერდ ჩიაგიმ ლაჭუმის ჟ'არშუნიხ (სვ. პროზ. ტ. II, 79₂₂) – უშკულიდან ლალვერამდე ყველა („ყველგანის“) სალოცავს მოიხსენიებენ...

ინგლისელი ავტორი საგანგებოდ მსჯელობს ორკუზიანი უშბის მახლობლად მდებარე მწვერვალის – **გულბა**’ს შესახებ. ვფიქრობთ, ეს ტოპონიმი უნდა უკავშირდებოდეს სვანეთში დღესაც საკმაოდ გავრცელებულ გვარს **გულბან**, სადაც სვანური **-ან** მორფემის წინამდებარე **-ბა** (**გულბან < *გულ-ბა-ან**) აფხაზური ონომასტიკის ოდინდელი მაწარმოებელი ჩანს. ალბათ, კიდევ უფრო რთულია **უშბა**’ს (საანალიზო წიგნში რატომღაც „წ ვ ი მ ი ს მ თ ა დ“ და „ს ა მ ხ რ ე თ ი ს ს ა ს ტ ი კ ქ ა ლ წ უ ლ ა დ“ მოხსენიებული) ეტიმოლოგიის გარკვევა. ამიტომ კვლევის სასურველი შედეგების მისაღწევად აუცილებელია **-ბა** ტოპოფორმანტის შემცველი მონაცემების მოძიება სვანურსა და აფხაზურ ენებში, მით უმეტეს, რომ აფხაზური როგორც ლექსიკა, ისე ფორმანტიც სვანურისათვის უცხო არ არის (Mapp 1912, 1913, 1938; თოფურია 1967: 70).

ყორულდშ ცნობილი ტოპონიმია ჩვენს საანალიზო წიგნში, ოღონდ რატომღაც **Koreldash** ფორმით. მკვეთრ კავკასიურ ფონემათა ტრანსკრიფციაში დაშვებული შეცდომები ჩვეულებრივი მოვლენაა უცხოელ მკვლევართა შრომებში, მაგრამ **ე**’ს არსებობა, ალბათ, განაპირობა ანაპტიქსური **გ** ხმოვნის არასწორმა აღქმამ არაჰუმანიტარი ავტორის მიერ.

ყორ („კარი“) ძალიან ხშირად გამოიყენება სვანეთის ტოპონიმიკაში, თუ საქმე გვაქვს სახლ-კართან, დასახლებასთან, სოფელთან და ა. შ. ახლომდებარე გეოგრაფიულ პუნქტთან (მწვერვალი, გზა, საძოვარი,


3 სამწუხაროდ, ლენტეხელი ახალგაზრდა და საშუალო თაობა დღეს ძალზე გაქართულებული სვანურით მეტყველებს.



სვანეთი, წანერის მყინვარი (1890 წ.)

სათიბი, ყანა,...). ეს ფუძე ტოპონიმებში, ჩვეულებრივ, კნინობითობის აღმნიშვნელი **-ულ-დ/-გლ-დ** (<***ულ-დ-ა/-გლ-დ-ა**) სუფიქსით გამოიყენება. დ. ფრეშვილდს მოჰყავს დოქტორ გ. რადეს მიერ დამოწმებული **კორულდუ** (გვ. 201), რომელიც, თუ სწორადაა ფიქსირებული ბუნებისმეტყველი მეცნიერის მიერ, უნდა იყოს მრავლობითი რიცხვის ფორმა (შდრ. **ქუთირაზი** „ქურდი“ – **ქუთირაუ** „ქურდები“). დღეს სვანურ ენაში **-უ** მორფემა მაინცადამაინც პროდუქტული არ არის სახელთა სიმრავლის გამომხატველად – ასე რომ, როგორც ჩანს, გ. რადემ, რომელმაც დ. ფრეშვილდზე ადრე გაიცნო სვანეთი, თავის ნაშრომში შეცდომა კი არ დაუშვა, არამედ ის არჩეული ფორმა დაგვიდასტურა, რომლის მსგავსი დღეს სვანური ენის არც ერთ დიალექტში აღარ გამოიყენება (შდრ. ბქ. **ყორ-გლ-დ-პრ** < ***ყორ-გლ-დ-ა-არ-ე** „სამოვრების სახელწოდება“). რაც შეეხება **ყორულდუ** (მყინვარის, სოფლისა და სამოვრის სახელწოდება ლაშხეთში) ფორმას, ის მხოლოდობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის მონაცემია (<***ყორ-ულ-დ-ა-იმ** „პატარა კარის“).

ევროპელი მოგზაურ-მკვლევრები აღფრთოვანებულნი არიან სვანეთის საოცრად მომაჯადოებელი მწვერვალებით, ვარდისა და კრემისფრად დელიკატურად მოხატული ოლეანდრებით, კეთილშობილი ფიჭვებით, კამკამა ნაკადულებით, რომლებშიც საკუთარი ხელებით იჭერდნენ არაჩვეულებრივად კრიალა კალმახებს. სადაც უნდა ყოფილიყვნენ – ენგურის ხეობის უმგულსა თუ ზემო ცხენისწყლის ჩო-




სოფელი უშგული (1890 წ.) – ორი მდინარის შესართავი

ლურში, დიდ სამოვრებზე ისინი ხშირად ხვდებოდნენ ყარაჩაიდან მომავალ „თათარ“ მწყემსთა ნახირს (გვ. 195). ამ ტერმინით მუსულმან ჩრდილოკავკასიელებს ხშირად ახსენებენ ევროპელებიც, რუსებიც, ქართველებიც, თუმცა უკანასკნელი მეტწილად მესჰუ („ოსი“), სჰუჰუ („ოსები“)'ს იყენებენ ბახსანლების, ჟეგემლების, ბალყარლებისა თუ ყარაჩაელთა აღსანიშნავად, ხოლო მათ ენას ლუსუ ნინ („ოსური ენა“)'ს უწოდებენ (შანიძე 1939: 481).

მაშასადამე, ევროპელ მოგზაურებს საშუალება ჰქონდათ სვანეთის ეთნოლინგვისტური ვითარება შეესწავლათ არა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობისაგან, არამედ მათი მეზობელი ტომებისგანაც. ამიტომ „The exploration of the Caucasus“ არა მარტო საბუნებისმეტყველო თვალსაზრისითაა ყურადსაღები, არამედ ლინგვოკულტუროლოგიის მხრივაც, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც მასში თითო-ორი ძალზე უხერხული ჩვევის (სისხლის აღების წესი, სვანთა აკრძალვები ახალდაბადებული გოგონების ამქვეყნად მოვლინებისა უმკაცრესი რელიეფის პირობებში გაუსაძლისი ცხოვრების თავიდან ასაცილებლად) შესახებაცაა მსჯელობა.

შემდეგულად ჩაცმული ბესარიონ ნიჟარაძის იატაკიანი ოთახი მაგიდით, საწოლით, დურბინდითა და თერმომეტრებით დ. ფრემ-ფილდს წარმოუდგენია უნიკალური ცივილიზაციის ფუფუნებად („luxuries of civilization“ – გვ. 235). გულითადი და განათლებული მასპინძ-



სოფელი ჰადიში და მისი შემოგარენი (1890 წ.)

ლის დიდ დამსახურებად მიიჩნევს შორეული ლონდონიდან ჩასული სტუმარი იმას, რომ სოფელ უშგულში მისი პირველი ყოფნის (1868 წ.) შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა უკეთესობისკენ – 20 წლის წინ ყველა კაცის თვალეში უეცარი სიკვდილის ველური შიში ჩანდა, **შიში ვენდეტისა** (სისხლის აღების ადათისა), ახლა კი სხვა სიტუაციააო.

სწორედ ბესარიონ ნიჟარაძის წყალობით მოინახულეს ინგლისელმა, იტალიელმა და ფრანგმა გეოგრაფ-ბიოლოგებმა უშგულის, კალის, ხალდეს, ჰადიშის, მულახის, მესტიის, ლენჯერის, ბეჩოსა და ლატალის ძველისძველი ეკლესიები იქ დაცული უძვირფასესი ხელნაწერებით, ქართულწარწერებიანი სურებით, იტალიური დოქებით, არაჩვეულებრივი სამკაულებითა და ჯვრებით, „ალპინისტ მონადირეთა“ (ავტორის ტერმინოლოგიით!) თოფ-იარაღით, ბრინჯაოს ფულის ნაირ-ნაირი ერთეულებით, ბერძნულ-ლათინურწარწერებიანი ზარებით, მზის ექვსფიგურიანი სპარსული აბრეშუმითა და წიგნის ფორმის ვერცხლის ყუთით, რომელიც გამოიყენებოდა სიწმინდეთა შესანახავად – მის ერთ მხარეს ტიხრული მინანქრით ამოტვიფრული იყო ჯვარცმა, მარამ ღვთისმშობელი, წმინდა იოანე და ორი ანგელოზი (გვ. 211). მოსალოდნელია, რომ მაშინ სიწმინდეთა ამ საგანძურში იდო პირველი თარიღიანი ქართული სახარებაც – ჰადიშის ოთხთავი (897 წ.), რომელიც სწორედ სვანებმა იხსნეს ველურ მტერთა იავარყოფისაგან. 1904 წელს „მომამეში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „სვანეთის ხელნაწერები“ ბ. ნიჟარაძე წერდა: „ჰადიშის სახარება არავის უნახავს, გარდა გრაფინია პრასკოვია უვაროვისა“ (არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი სვანეთში). საყოველთაოდაა ცნობილი სვანთა საოცრად სათუთი დამოკიდებულე-

ბა სიწმინდეებისადმი – მათ ჰადიმში სამეცნიერო მივლინებით მყოფ აკაკი შანიძესაც კი არ აჩვენეს ეს უძვირფასესი ისტორიული ძეგლი. მოსალოდნელია, რომ ვერც დუგლას ფრეშფილდის ექსპედიციამ ნახა იგი. ალბათ, ამიტომ აცხადებს ავტორი ასე კატეგორიულად იერუსალიმში 1046-1048 წლებში გადაწერილი სახარების ნახვის შემდეგ სოფელ ლენჯერის ეკლესიაში: XI საუკუნემდე სვანეთში არც ხელნაწერები გვაქვს და არც წარწერები (გვ. 212). **ცხადია, ეს არ არის ობიექტური ინფორმაცია.**

სოფელ ლატალში დ. ფრეშფილდის ყურადღება მიუქცევია ორნამენტებიან სახარებას, რომლის ხელნაწერი გრაგნილი (ჯოხებზე დაგრეხილი) სახით ყოფილა წარმოდგენილი.


ბატონი დუგლასი ასახელებს, აგრეთვე, წმინდა კვირიკეს ეკლესიაში (სოფელი კალა) დაცულ ბერძნულ და სპარსულ უძველეს ხელნაწერებს (VI-VII ს.), მაგრამ მათზე მსჯელობას აღარ აგრძელებს, რადგანაც ძალიან კარგად იცნობს რაფაელ ბერნოვილის პარიზში გამოცემულ ფრანგულ წიგნს „La Souanétie libre“ (1875 წ.), სადაც მოცემულია სვანეთის ეკლესიებში დაცული ხელნაწერების დეტალური ანალიზი.

საბუნებისმეტყველო ალპინისტური ექსპედიციის ხელმძღვანელი დიდი გულისტკივილით აღნიშნავს რუსი ჩინოვნიკების მიერ სვანეთის ეკლესიებიდან უნებართვოდ გატანილ სიძველეთა შესახებ, რამაც გამოიწვია თითქმის გადაულახავი დაბრკოლებანი მომდევნო პერიოდის მოგზაურთათვის, რომელთაც სურდათ ადგილობრივი საეკლესიო საგანძურის კვლევა (გვ. 211).

დ. ფრეშფილდი საგანგებოდ მსჯელობს კლასიკოს ბერძენ და რომაელ (სტრაბონი, პლინიუსი, ავგუსტუსი...) მეცნიერთა შრომების შესახებ და მათზე დაყრდნობით სვანებზე, როგორც ძლიერ, თავისუფალ ერზე, რომელსაც მართავდა მეფე და სამასკაციანი საბჭო, ომში ორასი ათასი მებრძოლის გამოყვანა რომ შეეძლო, თუმცა აქვე ჩვენი საანალიზო ნაშრომის ავტორი გარკვეულ ეჭვსაც გამოთქვამს (ალბათ, კოლხური ტომების კონფედერაცია იგულისხმება).

როგორც ჩანს, ბესარიონ ნიჟარაძემ ინგლისელ, ფრანგ და იტალიელ სტუმრებს, რომელთაც ყველაფერი აინტერესებდათ მისი მშობლიური კუთხის შესახებ, არაერთი ლეგენდა თუ თქმულება-გადმოცემაც გააცნო. გარდა ამისა, დოქტორ **რადეს** შემოუნახავს რამდენიმე ძალიან საინტერესო სვანური ბალადა (მაგალითად, სიმღერა უძველესი ხის შესახებ), რომლებიც სვანეთის ყოფის იმდენად ცოცხალ სურათს იძლევა, რომ მის უხეშად თარგმანს ვერ გავხედავო – ხაზგასმით აღნიშნავს ბატონი დუგლასი 219-ე გვერდზე.

ინგლისელმა ავტორმა განსაკუთრებით გამოარჩია ხალხის წარმოსახვაში წარმოდგენილი თამარ მეფე. მისი აზრით, თუ სვანურ ხალხურ გადმოცემებს დავუჯერებთ, კავკასიის მასშტაბით ეს ულამაზესი გმირი ქალბატონი თამაშობს იმ როლს, როგორიც თავის დროზე შეასრულეს



ორი ტიპური სახლი მესტიაში (1890 წ.)

ალექსანდრე მაკედონელმა ან კარლოს დიდმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში (გვ. 213) – ალბათ, ამიტომ აჰყავთ ის ცაში ქართველ მემკვიდრეებსო. წიგნში გამორჩეულადაა ნახსენები ციხე უშგულში – თამარ მეფის საზაფხულო თუ საზამთრო რეზიდენცია (გვ. 236), რომელიც დღემდე ინარჩუნებს საოცარ ინტერესს მსოფლიოს ყველა ეროვნების მოგზაურთა ცნობიერებაში.

ავტორი აღფრთოვანებულია არყის ხის მასალისგან დამზადებული მოკრძალებული თვითნაკეთი ქოხებითა და მათი საკვამურებით გაყვითლებული ქერის სათიბის პატარა დაბლობით, „თავისუფალი სვანეთის“ პირველი და უმაღლესი თემის – უშგულის მახლობლად, რაც აშკარად უსვამს ხაზს სვანეთის საუცხოო პეიზაჟის მასშტაბებს – ხაზების განლაგების სრულყოფილებას, ამაღლებულობისა და სილამაზის შერწყმის დეტალებს, რომელთა წარმოდგენა შეუძლებელია (გვ. 185).

დუგლას ფრეზილიდი სვანეთის თვალწარმტაც, თუმცა ურთულეს ტყე-ბილიკებში მსვლელობას უდარებს აფრიკაში ან ახალ ზელანდიაში მოგზაურობის სირთულეებს, თანაც დასძენს: წლები სიგანაში უზომოდ ვყოყმანობდი – ვთქვა თუ არა იმ საოცრებათა შესახებ, რაც სვანეთში ვიხილე. „სპეციალისტებისთვის“ მოდად იქცა მოგზაურობის აღწერა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მოგზაური სხვა ტომის ან ერის წარმომადგენელია, მაგრამ, ვფიქრობ, ბოდიშის მოხდა არც მჭირდება, ისე

წარმოვაჩენ სენიორ სელლას ფოტოებს, როგორც ექსტრავაგანტურ (სხვა სიტყვას ვერ ვიყენებ!) მტკიცებულებას ცხენისწყლის ულამაზესი ყვავილების შესახებ, რასაც მეცნიერ-ბოტანიკოსმა მ. ლევიემ ყოველგვარი გაზვიადების გარეშე უწოდა „**მეცნარეების ბროზდინგნაგი კავკასიურ ჭურჭელში**“ (გვ. 185).

რაც შეეხება ლინგვისტურ დაკვირვებებს, აქაც მეტად საინტერესო დასკვნები გააკეთა გეოგრაფმა, ისტორიკოსმა და იურისტმა დუგლას ფრეშფილდმა, რაშიც, ალბათ, გადამწყვეტი როლი ეკუთვნის ტექსტოლოგიაში, კერძოდ, ხელნაწერთმცოდნეობაში, საკმაოდ კომპეტენტურად განსწავლულ ინგლისელ სტუდენტს, რომელიც სვანეთში თან ახლდა ბუნებისმეტყველ ალპინისტთა სამეცნიერო ექსპედიციას. ვფიქრობთ, მისი (და წინარე მეცნიერთა ნაშრომებისაც) დამსახურება უნდა იყოს სვანური ენის დაკავშირება ძველ ქართულთან და აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებთან (ფშაურთან, ხევსურულთან, თუშურთან).

ბატონი დუგლასი, დემეტრიუს პიკოკის მცირე ლექსიკონზე („Original Vocabularies of Five West Caucasian Languages“, 1887) დაყრდნობით, აღნიშნავს: თვალის ნაჩქარევი გადავლებითაც კი მიხვდება კაცი, რომ ქართულს, მეგრულს, ლაზურსა და სვანურს არაერთი საერთო ხმოვანი აქვს, მაშინ, როდესაც აფხაზური ენა აბსოლუტურად განსხვავებულია ოთხივე მათგანისგანო (გვ. 221). ავტორს რომელიმე ქართველური ენა რომ სცოდნოდა, ცხადია, უმლაუტისა და ხმოვანთა სიგრძის მქონე სვანურს ის არ გაუერთმნიშვნელიანებდა ქართულ-მეგრულ-ლაზურ ხმოვანთა სისტემას. რაც შეეხება **ღ** ფონემას, სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, **მეორეულ** ანაპტიქსურ **ხმოვანს** (**ა, ო, უ, ე, ი ხმოვანთაგან მომდინარეს**) როგორც ქართველურ (სვანურ-მეგრულ) ენებში, ისე აფხაზურში, ამის შესახებ არაფერია ნათქვამი არც დ. პიკოკისა და არც დ. ფრეშფილდის ნაშრომებში.

სამწუხაროდ, დუგლას ფრეშფილდის ლათინური ტრანსკრიფცია არ არის მთლად დამაკმაყოფილებელი, რისი შედეგიც ჩანს არაერთი შეცდომა ტოპონიმთა თუ ანთროპონიმთა დასახელებებში. მაგალითად:

Pari – **ფარი** (სოფელი)

Hades – **ჰადიში** (სოფელი)

Lashkadura – **ლასკადურა** (მდინარისა და სოფლის სახელწოდება)

Dadisch Kilian – **დადუშქელიანი** (საბატონო სვანეთის მმართველი)...

მიუხედავად ამისა, არაჰუმანიტარული მეცნიერების წარმომადგენლისნაშრომიჩვენთვისაც–ჰუმანიტარებისთვისაცმეტადსაინტერესო ცნობებს იძლევა. სხვა რომ არა იყოს რა, მასში წარმოდგენილია საუკუნენახევრის წინანდელი სვანეთი შესაბამისი ონომასტიკით, რასაც აუცილებლად უნდა ვიცნობდეთ.

არ შეგვიძლია არ შევხვთ არისტოკრატ ევროპელ მეცნიერ-მოგზაურთა თუ დიპლომატ-მკვლევართა ფაქიზ დამოკიდებულებას კავკასი-

ის მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ხალხების (მათ შორის სვანების) ყოფა-ცხოვრების მიმართ. ისინი ძალიან წუხან იმის გამო, რომ ზოგჯერ იძულებულნი არიან მათი ამა თუ იმ უხერხული წესის აღწერისას გამოიყენონ ტერმინები: ბარბაროსული, ველური, პრიმიტიული, მრისხანე, უხეში და ა. შ., მაგრამ, თუ მომდევნო მოგზაურობისას ამჩნევენ რაღაც პროგრესს (თუნდაც მინიმალურს!) ზოგი სასტიკი ჩვევის აღმოფხვრასთან დაკავშირებით, მაშინვე გახაზავენ შესაბამის სიტუაციას. მაგალითად:

1866 წელს, როდესაც დოქტორი გუსტავ რადე იყო უშგულში, მურყმელში მცხოვრებნი ყველას ესროდნენ თოფს განუკითხავად, თუკი ვინმე გამოჩნდებოდა ჩვებიანიდან მომავალ ბილიკზე, ხოლო უკვე 20-30 წლის შემდეგ ბატონი დუგლასი დიდი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ამჟამად ვითარება აშკარად შეცვლილიაო – ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა მაშინდელი მთავრობის მიერ რამდენიმე სკოლის – ერთადერთი ეფექტური ცივილიზატორის დაარსებას და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მღვდლების გაგზავნას ადგილობრივ ეკლესიებში, თუმცა, სამწუხაროდ, იმავე მთავრობის მიერ ცალკეულ სოფლებში დანიშნულმა „სტარშინებმა“ რუსული არ იცოდნენ და ამიტომ ყველა სამთავრობო დოკუმენტს ისინი საგულდაგულოდ ინახავდნენ ეკლესიის ერთ-ერთ სკივრში.

ადრე სოფელ ჰადიშში გაუძარცვავთ ევროპელი მოგზაურები, დ. ფრეშფილდის ექსპედიციის წევრები კი მთებში უიარაღოდ დადიოდნენ დღისით თუ ღამით, რაც მათ შვეიცარიაში გატარებულ დროს აგონებდათ (გვ. 228).

ძველ სვანურ ხალხურ სიმღერათა ტექსტებს ბატონი დუგლასი „პრიმიტიულს“ უწოდებს (გვ. 219); primitive-ს თავის ნაშრომში ის დადებითი ელფერით („თავდაპირველი, პირველყოფილი, არქაული“) აკეთილშობილებს; საოცარია, რომ ნადირობის ქალღმერთისგან სიყვარულში ღალატისთვის სიკვდილმისჯილ **მეთქის** (მარჯვენა ხელითა და მარცხენა ფეხით ციცაბო კლდეზე ჩამოკიდებულს) წიგნის ავტორი (ცნობილი ლეგენდის შესაბამისად) გულის ამაჩუყებელ სიტყვებს ათქმევინებს აცრემლებული მეზობლისთვის (გვ. 220):

„– ოდესღაც მე შენ დაგჭერი ...ძალიან გთხოვ, როგორმე მაპატიე და ახლა ჩემი უბედურების ამბავი წაიღე სოფელში; მამაჩემს უთხარი, თაფლიანი ღვინო („თაფლუჭი“) მოამზადოს და იმით დააღვინოს ყველას შესანდობარი, დედაჩემმა კი პურით, ყველითა და ფეტვით აცხონოს ჩემი სული. მეუღლემ შვილები კარგად აღმიზარდოს, დამ თმა შეიჭრას სამგლოვიაროდ, ძმებმა კი სახლ-კარს მიხედონ და მტრულად არ იცხოვრონ. როცა მეგობრები დამიტირებენ, აუცილებლად ნამდვილი გოდება⁴ იმღერონ... ვაი, რომ ვენერამაც მიმტრო! – ვარსკვლავი ამოვიდა

4 ოგულისხმება **ზარი** (სვან მამაკაცთა უსიტყვო გოდება) – „ზარი“.

და დღე ღამედ მექცა...”

რა დასანანია, რომ ვერც ერთმა ევროპელმა პროფესორმა თუ დიპლომატ-მკვლევარმა (რ. ბერნოვილი, ფ. ვოლენი, დ. პიკოკი, დ. ფრემფილდი, ო. უორდროპი, გ. რადე, მ. დეჩი,...) ამ ძალზე პოპულარული სიმღერის ვერც სვანური ტექსტი და ვერც ნოტები ვერ ჩაიწერა. არადა, ამ საქმის მოგვარება მაინცადამაინც ძნელი არ იქნებოდა, რაკი მოგზაურთა უმრავლესობა საკმაოდ ახლო იცნობდა ბესარიონ ნიჟარაძეს, რომლის 1881 წელს ჩაწერილი სიმღერა „დალილდ“ („ბეთქილის“ ერთ-ერთი ვარიანტი) აკაკი შანიძემ და ვარლამ თოფურიამ შეიტანეს „სვანური პოეზიის“



მულახის გადასასვლელი მულხურას ხეობაში (1896 წ.)

პირველ ტომში (1939 წ.)⁵. აქვეა დაბეჭდილი აკაკი შანიძის მიერ სოფელ თავარარში (ჩუბეხევი) 1923 წელს ჩაწერილი „მეთგი“ (გვ. 284-288), რომლის სიუჟეტი საკმაოდ ჰგავს გ. რადესა და დ. ფრემფილდის მიერ წარმოდგენილი სიმღერის შინაარსს, ოღონდ ორივეს დაშვებული აქვს შეცდომა – გადმოცემის მიხედვით, **ბეთქილი** (ს ხ ვ ა ვ ა რ ი ა ნ ტ ე ბ შ ი **მეთქ/გი**) „თავისუფალი სვანეთიდანაა“ (სოფელ მუჟალიდან) და არა დადემქელიანთა საბატონო ტერიტორიიდან (სოფელ ფარიდან).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დ. ფრემფილდის წიგნის ორივე გამოცემა ილუსტრირებულია მსოფლიოში პოპულარული ალპინისტისა და მკვლევრის, იტალიელი **ვიტორიო სელას** ფოტოებით, რომელთა წარწერებში არაერთი არქაული ფორმა გვხვდება; ასეთია, მაგალითად, სოფელ უშგულის ერთ-ერთი თემის სახელწოდება **ჩუბიან** (შდრ. თანამედროვე უმლაუტიზირებული **ჩუბიან**). იტალიის ელჩის მიქელანჯელო პიპანის აზრით, ამ ფოტოების ამაღლებული სისადავის ძალა წარმოგვიდგენს კავკასიონის პირველქმნილი დიდებულების ანარეკლს და მიუვალი ხეობების მკვიდრთა მშვიდ სიამაყეს. თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე მ კ ვ ლ ე ვ რ ე ბ ი უ ნ და მ ი ჰ ყ ვ ნ ე ნ ვ ი ტ ო რ ი ო ს ე ლ ა ს სა უ კ უ ნ ე ხ ე მე ტ ი ხ ნ ის წ ი ნ და ტ ო ვ ე ბ უ ლ კ ვ ა ლ ს და ხ ე ლ ა ხ ლ ა ა ღ მ ო ა ჩ ი ნ ო ნ კ ა ვ კ ა ს ი ი ს სა ო ც ა რ ი

5 სამწუხაროდ, ბ. ნიჟარაძის მიერ ფიქსირებული არაერთი ძველი ხალხური სიმღერის ტექსტი მხოლოდ ხელნაწერის სახით გვაქვს – მათი გამომცემელი არა და არ გამოჩნდა დღემდე!..

ს ი ლ ა მ ა ზ ე (2001: 5-6). „სვანეთი ხომ გულია კავკასიისა და სახურავი ევროპისა!“ (Бэпыр 2019:5).

მესტიის მუზეუმში დღემდე სათუთად დაცულ ეგზემპლარებს აქა-იქ აქვთ რაღაც აღნიშვნები (ფანქრით შესრულებული), რაც იმას ნიშნავს, რომ ამ წიგნებით ვიღაც დაინტერესებულა, თუმცა საქართველოში მათი ლინგვოკულტუროლოგიური კვლევის შედეგებს ჯერჯერობით ვერსად მივაკვლიეთ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მედეა აბაშიძე, უორდროპები და ბრიტანული ქართველოლოგია, თბილისი, 2019;
2. ვარლამ თოფურია, სვანური ენა, I, ზმნა, „შრომები“, ტ. I, თბილისი, 1967;
3. ვარლამ თოფურია, სვანური ენა, „შრომები“, ტ. II, თბილისი, 2002;
4. ივანე ლეჟავა, მკვეთრი (ეიექტური) თანხმოვნების ტიპოლოგიური თავისებურებები, „ენათმეცნიერების საკითხები“, თბილისი, 2019;
5. ვიტორიო სელა საქართველოს კავკასიაზე, სამენოვანი (იტალიურ-ინგლისურ-ქართული) სამეცნიერო-პოპულარული კრებული, რომი, 2001;
6. სვანური პოეზია, ტ. I, თბილისი, 1939;
7. სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსაშემოური კილო, თბილისი, 1939;
8. სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსაშემოური კილო, თბილისი, 1957;
9. აკაკი შანიძე, უმლაუტი სვანურში, „არილი“ – ივანე ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კრებული, ტფილისი, 1925;
10. იზა ჩანტლაძე, მარიკა ოძელი, ფიქრია აფხაიძე, ევროპელ დიპლომატ-მკვლევართა (XVIII-XIX ს.ს.) ღვაწლი კავკასიოლოგიაში, „ქართველოლოგი“, ტ. 29, თბილისი, 2022 (იბეჭდება);
11. იზა ჩანტლაძე, ფიქრია აფხაიძე, ნანა ქავთარაძე, სვანური ზღაპრების უორდროპისეულ თარგმანთა ხელნაწერები ოქსფორდის უნივერსიტეტში, „ქართველური მეცვიდრეობა“, ტ. 25, ქუთაისი, 2021;
12. არნოლდ ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბილისი, 1965;
13. არნოლდ ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1979;
14. ამბაკო ჭკადუა და სხვანი, სვანეთის ტოპონიმისკა, თბილისი, 2020;
15. ივანე ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების ბუნება და ნათესაობა, ტფილისი, 1937;
16. Douglas Freshfield, The exploration of the Caucasus, London, 1896;
17. Demetrios Peacock, Original Vocabularies of Five West Caucasian Languages, JRAS, v. XIX, Pt. I, 1887;
18. Oliver Wardrop, English-Svanetian Dictionary, JRAS, v. 43, London, 1911 (ვსარგებლობთ თბილისის კოპირებული გამოცემით – acad.ge, 2018);
19. Clive Phillipps Wolley, Savage Svanetia, London, 1883;
20. Raphael Bernoville, La Souanétie libre, Paris, 1875;

21. Gustav Radde, Reisen im Mingrelischen Hochgebirge und in seinen drei Längen-hochtälern (Rion, Ts'chenis-ts'chali und Ingur), Tiflis, 1866;
22. Бэруг Г., Суть Кавказа - Сванетия, Рига, 2019;
23. Мapp Н. Я., О языке и истории абхазов, Москва-Ленинград, 1938;
24. Мapp Н. Я., Из лингвистической поездки в Абхазию, ИАН, СПб, 1913;
25. Мapp Н. Я., К вопросу о положении абхазского языка среди яфетических, СПб, 1912.

IZA CHANTLADZE, NANA KAVTARADZE

SVANETI(A) FROM A LINGUO-CULTURAL PERSPECTIVE IN THE WORKS OF EUROPEAN TRAVELLER-RESEARCHERS

Summary

In the article is presented an analysis of the part (pages 182-278) devoted to Svaneti(a) in volume I of Douglas Freshfield's book "The exploration of the Caucasus" (London, 1896), something which has been done for the first time in the Georgian context. The author was president of London's Royal Geographical Society and was in Svaneti(a) eight times between 1868 and 1896 with groups of mountaineers made up of natural scientists. They lived with Svan families and, naturally, made several ethnological observations. This apart, thanks to Bessarion Nizharadze (social activist at that time), they viewed the treasures of the oldest churches, heard a number of ancient legends or oral traditions about Georgia's famous historical personages, and in passing touched upon the Svan language. What we found highly interesting were the observations of the non-specialists, in particular the archaic onomastics recorded a century and a half ago, and statements regarding the texts of old Svan songs. The book is enhanced by the extraordinary photographs taken by the Italian Vittorio Sella despite the low level of contemporary technical apparatus. Apart from the famous museums in European countries, Douglas Freshfield's work is also kept in Mest'ia's Museum of History and Ethnography. Deepest thanks to the outstanding caucasologist Academician George Hewitt and to Rusudan Dzhaparidze, graduate of the Caucasian Languages' Department of the Ivane Dzhavakhishvili Tbilisi State University, for the great assistance afforded to us in the matter of locating these exceptionally interesting volumes and for holding essential consultations.

ნინო ჯაფელიძე

პონტოს ზღვა – ცალპას ზღვა¹

„შავი ზღვა ყველა ზღვასთან
შედარებით ღირსშესანიშნავია“
ჰეროდოტე

შავი ზღვის და მისი ყურეების დასახელებანი, რომლებიც ეფუძნებიან ეთნონიმებს, გვიჩვენებს სხვადასხვა ეთნოსის მკვიდრობის ისტორიას ზღვის სანაპიროს გასწვრივ ან მის სიახლოვეს. ამასთან, ეს დასახელებანი წარმოაჩენენ იმ ხალხების საზღვაო პოლიტიკასა და ზღვასთან ურთიერთობის ხასიათს, რომელთა სახელწოდებებსაც არქიმედენენ ზღვის ამა თუ იმ აკვატორიას. შავი ზღვა ისევე, როგორც ყველა სხვა ზღვა, სახელდებოდა სხვადასხვა სახელწოდებით და მათ შორის, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, თავისი სიმრავლით გამოირჩევა ქართული დასახელებები.

უადრესი წყარო, სადაც ნახსენებია შავი ზღვა, გახლავთ ხეთური წარწერა, ე. წ. „ანიტას ტექსტი“. ეს წარწერა თარიღდება ძვ. წ. აღ. 1300-1200 წწ-ით, ოღონდ, მასში პირველწყაროზე დაყრდნობით საუბარია ხეთას მეფის, ანიტას ლაშქრობების შესახებ, ვინც ცხოვრობდა ძვ. წ. აღ. ის 1790-1750 წწ-ში და რომელმაც ბოლო მოუღო მცირე აზიის მკვიდრ,

1 ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ „ქართველებს არასოდეს ჰქონიათ ზღვასთან პრაგმატული ურთიერთობის გამოცდილება და საქართველოს ისტორიას არ ახსოვს რაიმე მნიშვნელოვანი ურთიერთობა ზღვასთან, მით უმეტეს საზღვაო ბრძოლები“. ამ თვალსაზრისის განხილვას ჩვენ მივუძღვენიტ გამოკვლევა: ისტორიული გამონათქვამი „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“ გამოხატავს ქვეყნის სიკოჭლეს (!!), რომელშიც შვევცადეთ გვეჩვენებინა, თუ როგორ იყვნენ ქართველები ისტორიულად „გაშინაურებულნი“ ზღვასთან და რა ადგილი ეკავა ზღვაოსნობას თუ ზღვით მიმოსვლას ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. გამოკვლევაში განვიხილეთ, ჯერ ერთი, ქართველთა წარმართულ წარმოდგენებში ზღვის ფენომენის თავისებურებანი და, მეორეც, ქართველთა პრაქტიკულ-ყოფითი დამოკიდებულება ზღვისადმი. წინამდებარე სტატია წარმოადგენს ხსენებული გამოკვლევის მესამე, დასკვნით ნაწილს, რომელშიც შავი ზღვის ქართული დასახელებების გაჩენას ვუკავშირებთ ქართველთა ზღვასთან გაცხოველებული ურთიერთობების არსებობას.

არაინდოგერმანელ ხათთა სამეფოს. ტექსტში მოთხრობილია, თუ როგორ ებრძოდა ანითა რამდენიმე წლის განმავლობაში ხათების მეფე პიფუშთის და როგორ დაამარცხა იგი თავისი მოკავშირეებითურთ, რომელთა შორის სახელდება ქ. ცალპას (ცალპუვა) მეფე ხუცცია [Г. Гиоргадзе, 1965:90]. სწორედ ამ ამბებთან დაკავშირებითაა ნახსენები შავი ზღვა, რომელსაც ხეთებმა უწოდეს „ცალპას ზღვა“: „Я достиг в своих походах моря Цальпы. И города возле моря Цальпы я покарил... Все страны возле моря Цальпы я поразили“.² ქალაქი ცალპა მდებარეობდა შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროსთან, დაახლოებით სინოპსა და სამსუენს შორის. „ანიტას ტექსტი“ გახლავთ უძველესი ცნობა, საიდანაც ჩანს, რომ ზღვას (შავი ზღვა) იმ უხსოვარ დროს ძველი აღმოსავლეთის მცხოვრებნი უწოდებენ „ცალპას ზღვას“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მომხდურ ხეთებსა და მცირე აზიის მკვიდრ ტომებს, მაგ. კიცუვატნას შორის გაჩაღებული ომის თაობაზე ასევე საუბარია ბოლაზ-ქოის (ხათუსა) ფირფიტების წარწერებში, სადაც ნახსენებია „დიდი ზღვა“. ზოგიერთი მკვლევარი (ვინკლერი, მეიერი...) ვარაუდობს, რომ აქ ნახსენები უნდა იყოს შავი ზღვა, რომლის სიახლოვეს უნდა ეცხოვრათ კიცუვატნას (კაპადოკიელები) ტომს. თუმცა, სხვათა აზრით (ჰოგარტი...), კიცუვატნას ხალხი მკვიდრობდა სამხრეთი კაპადოკიისა და კილიკიის მიწაზე – ამიტომ აქ ნახსენები უნდა იყოს ხმელთა შუა ზღვა [М. Максимова, 1947]. მიუხედავად იმისა, რომ ხს. თიხის ფირფიტებისეული „დიდი ზღვის“ თაობაზე არ არსებობს ერთიანი აზრი, „ანიტას ტექსტი“ უნდა ცხადყოფდეს, რომ ძვ. XIII ს-ში ხეთების მიერ სახელდებული „ცალპას ზღვა“ გახლავთ ერთ-ერთი უძველესი დასახელება იმ ზღვისა, რომელსაც დღეს ვუწოდებთ შავ ზღვას. იმავე საუკუნეებით (ძვ. XIII-XII სს) თარიღდება ასურული წარწერები, რომლებშიც შავი ზღვა, განსხვავებით ხეთური სახელწოდებისა, დასახელებულია როგორც „ზემო ზღვა“, თანაც ზოგიერთ წარწერაში ასევე ვხვდებით სახელწოდებას „დიდი ზღვა“. ამ ტექსტებიდან ჩანს, რომ ხეთური წარწერისაგან განსხვავებით, აქ შავი ზღვა არ სახელდება მისი რომელიმე სანაპირო პუნქტის მიხედვით და მას მხოლოდ გეოგრაფიულ-სივრცული ნიშან-თვისებებით ახასიათებენ, მაგრამ მნიშვნელოვანი გახლავთ სხვა რამ – ასურულ წარწერაში ნახსენები „დიდი ზღვა“, როგორც „ზემო“, ანუ შავი ზღვის სინონიმი, ადასტურებს, რომ ხეთურ წარწერებში აღნუსხული „დიდი ზღვა“ მართლაც შავი ზღვის მნიშვნელობით უნდა იყოს გამოყენებული.

შავი ზღვის სახელწოდებათა წარმოჩენის თვალსაზრისით ძვ. წ. აღ-ის XIII საუკუნე მართლაც გამორჩეული თარიღი აღმოჩნდა. ამ საუკუნეში თავსდება ის მოვლენები რომლებიც ერთი მეორის

2 უნდა ითქვას, რომ, თუკი გ. გიორგაძე ცალპას ზღვის სახელს უკავშირებს არა მხოლოდ შავ ზღვას, არამედ, სავარაუდოდ თუზის ტბასაც, ვ. ივანოვის აზრით, ხეთურ ტექსტში მითითებულია სწორედ შავი ზღვა.

მიყოლებით განვითარდნენ ელადაში, ეა-ეგრისის სამეფოში, ტროაში და რომელთა შესახებ არსებული ელინური თქმულებები მოიცავს შავი ზღვის კიდევ ერთ, ძველთაგანვე არსებულ დასახელებას – **პონტოს ზღვა**. მართალია, უძველესი ჩანაწერი არგონავტიკისა განეკუთვნება აპოლონიოს როდოსელს, ვინც მოღვაწეობდა ძვ. წ. აღ. III საუკუნეში, მაგრამ აქ ნახსენები „პონტო“ ზეპირსიტყვიერი, თქმულების სახელწოდება გახლავთ და იგი ჰომეროსის დროსვე უნდა ჰქონოდა შერქმეული შავ ზღვას. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ანტიკურ ხანამდე მოღვაწე ელინ ავტორებთან (ჰესიოდე, ძვ. VIII) ასევე გვხვდება სახელი „პონტო“ [Гесиод, 1963]. მართლაც, ჰესიოდესთან ნახსენები, გეას მიერ ნაშობი პონტო არგონავტიკაში სახელდებული იყო, როგორც „აქსინოს პონტო“, არასტუმართმოყვარე ზღვა [ორფიკული არგ., 1977:111]. თუმცა არგონავტიკის ეპიკურ თქმულებაში, რომელიც, აპ. როდოსელის გარდა ფსევდო-ორფევის მიერ ასევე არის აღწერილი (ორფიკული არგონავტიკა), კიდევ ნახსენებია **„კრონოსის პონტო“**, „არგო ოკეანეში შეცურდა, რომელსაც მოკვდავი ჰიპერბორეები კრონოსის პონტოს, აგრეთვე მკვდარ ზღვასაც ეძახიან“³. კრონოსის ზღვას ახსენებს აპ. როდოსელიც, ოღონდაც მასთან ეს ჰიდრონიმი ადრიატიკის ზღვას ნიშნავს. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ანტიკური ავტორების წარმოდგენით, ხმელთაშუა, შავი და აზოვის ზღვები ერთიან აუზად აღიქმებოდა [ორფიკული არგ., 1977:89] და ამდენად დასაშვებია, რომ „ორფიკულ არგონავტიკა“-ში კრონოსის ზღვად შავი ზღვა იგულისხმებოდეს. თუმცა ფსევდო-ორფევის თავის ეპოსში შავ ზღვას სხვა სახელითაც ნათლავს და მას უწოდებს **„პართენიის ზღვა“**-ს [იქვე, გვ. 89]. ანტიკური ტრადიციით, პართენიე იყო არტემიდეს ეპითეტი და მისი კულტი არსებობდა თავრიდის ხერსონესში. ამდენად, ორფიკული არგონავტიკიდან ვგებულობთ შავი ზღვის კიდევ ერთ, ახალ სახელწოდებას.

სხვა სახელწოდება შავი ზღვისა ჩნდება I საუკუნეში. ოვიდიუს ნაზონი თავისი „სევდიანი სიმღერები“-ს ერთ-ერთ ელეგიაში ასახელებს **„სკვითთა ზღვას“**, რომლითაც გულისხმობს ევქსინის პონტოს: „Евксинским, Скифским прибрежьем пленён, истинно мрачной землёй“ [Овидий... 1982:80]. ოვიდიუსი თავის ელეგიებს წერდა გადასახლებისას, როდესაც იძულებით იმყოფებოდა შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროსთან მდებარე ქ. ტომესში. ამიტომ მან კარგად უწყოდა, რომ პონტოს ხსენებული ნაწილის სანაპიროსთან ბინადრობდნენ სკვითთა ტომები და, ჩანს, ამას უკავშირდება მისეული სახელწოდება პონტოს ზღვისა. ამ ფაქტთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ ძველბერძნები

3 ეს ტრადიცია წარმოდგენილია ენატოსთენეს ნაღვაწში, სადაც ზღვის უკიდურესი სამხრეთი პუნქტი არის „დიდი სირტის ყურე“, ხოლო ბოლო ჩრდილოეთი პუნქტი – ბორისთენეს დელტა.

პონტოს ერთდროულად უწოდებდნენ „სკვითთა ზღვასაც“ და „აქსინის პონტოსაც“ [К. Виноградов, 1958:5]. პომპონიუს მელა (II ს) პონტოს უწოდებს სახელს „ჩვენი ზღვა“, რაც მოიცავდა სამ ევროპულ ყურეს: **ეგეოსის, იონიის** ანუ **ადრიატიკის** და **ეტრუსკულს**. ამ ბოლო ყურეს, მისი თქმით, ბერძნულად ერქვა „ტირენიის ზღვა“. პლინიუს უფროსის (I ს) თქმით, ევროპის მეოთხე, დიდი ყურე იწყება ჰელესპონტიდან (დარდანელი) და სრულდება მეოტიის ზღვაში შესასვლელით. ე. ი., პლინიუს უფროსი აქ ერთიან სივრცედ აღიქვამს მარმარილოს ზღვასა და პონტოს [К. Виноградов, 1958:6]. სტრაბონიც მიმოიხილავს პონტოს და იუწყება, რომ იგი შედგება ორი ზღვისგან, პირველი არის ევროპული ნაწილი, მეორე კი – აზიური, ვინაიდან მის შუაგულში წამოწყულია ორი კონცხი. პირველს სტრაბონი უწოდებს **კრიუმეტაპონს (მეგანომი)**, მეორეს ანუ აზიურს კი – **კარამზიას (კერემპე)** [В. Латышев, 1893:103]. ამრიგად, პრეისტორიული და ანტიკური ხანის სხვადასხვაენოვანი წყაროების მიხედვით, შავი ზღვა სახელდებოდა როგორც „პონტო“, „ცალპას ზღვა“, „დიდი ზღვა“, „ზემო ზღვა“, „კრონოსის ზღვა“, „პართენიის ზღვა“, „სკვითთა ზღვა“, „ჩვენი ზღვა“, „მეგანომ-კერემპე“, „ეტრუსკული“ და „ტირენიის“. ამასთან, ბერძნულენოვან წყაროებში ჩნდება სახელები „აქსინოს პონტო“ და შემდეგ „ევქსინოს პონტო“, რაც შედეგი იყო ელინთა შთაბეჭდილებისა ზღვის „სტუმართმოყვარეობა – არასტუმართმოყვარეობის“ შეფასებისას. ასეთივე შთაბეჭდილებებით იყო ნაკარნახევი პონტოს სახელწოდებების გაჩენა აღმოსავლეთის ხალხებთანაც. ხეთელთა და ასირიელთათვის იგი იყო შორეული სიდიდე, რომელიც უფრო ვრცელი იყო, ვიდრე მათ მიწა-წყალზე განთავსებული ტბები (ვანის ტბა, მკვდარი ზღვა...), ამიტომაც აღიქვამდნენ ისინი პონტოს როგორც „დიდ ზღვას“. თანაც მათწარმოდგენებში მნიშვნელობას იძენდა გეოგრაფიული თავისებურებანიც, ხეთელთათვის ეს გახლდათ ტოპონიმი „ცალპა“, ხოლო ასურელთათვის – ჩრდილოეთის მიმართულება, ანუ „ზემო“ მხარე.

შემდეგი ავტორი, ვინც აგრძელებს შავი ზღვის დასახელებათა ქრონოლოგიურ რიგს, გახლავთ პროკოპი კესარიელი. თხზულებაში „ომი სპარსელებთან“ პროკოპი საუბრობს რომანიის იმპერიის პოზიციებიდან და პონტოსაც უწოდებს „**რომეელთა ზღვას**“: „სპარსელთა სახელმწიფოს თქვენ შემატებთ უძველეს სამეფოს და ამით გააგრძელებთ თქვენი ჰეგემონიის ღირსებას, ჩვენი ქვეყნის (ეგრისის სამეფოს) გავლით თქვენ დაუკავშირდებით რომაელთა ზღვას, რომელიც ხომალდებს ააგებს, მეფეო და ... ბიზანტიონის პალატას მიაღწევ ყოველგვარი სიძნელების გარეშე“ – ასე მიმართავს, პროკოპის თქმით, სპარსეთის მეფეს ქართველთა ელჩი [პროკოპი... 2020:209]. საგულისხმოა, რომ ბიზანტიური ტრადიცია შავი ზღვისთვის „რომეელთა სახელის“ მიკუთვნებისა კარგა ხნის განმავლობაში ახდენდა გავლენას მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებზე და იგი თავს იჩენს სპარსულ საისტორიო მწერლობაში. მხედველობაში

გვაქვს X ს-ის სპარსელი ანონიმის თხზულება „ჰოდუდ ალ-ალამი“ – შავი ზღვა ერთ-ერთ თავში დასახელებულია როგორც „რომეების ზღვა“. ამავე დასახელებას ვკითხულობთ არაბი მემატიანის ად-დამიშკის (XIII-XIV) თხზულებაში. ავტორი შავი ზღვის შესახებ თავის მონათხრობს ასათაურებს შემდეგნაირად: „აღწერა რომეების ზღვის განვრცობისა“ და წერს: „Люди науки говорят об этом, что море Танжера, сеуты и Ромеев называется морем Мантус... Наибольшая глубина Моря Ромеев - 300 ба“ [Средневек. источники...].

ადრე და განვითარებული შუა საუკუნეების წყაროებში პონტო კვლავაც აღინუსხება სხვადასხვაგვარი სახელით. X საუკუნის არაბი ავტორი ალ-მასუდი შავ ზღვას ახსენებს შემდეგ კონტექტში: „...Русы... вошли в рукав Бонтуса (პონტო), соединяющееся с Хазарским морем. Иногда вода соединяющая реку Хазар с заливом Бонтус, замерзает и грузы переправляются через нее со своими лошадьми“ – აქ ბერძნული „პონტო“ არაბულად გაჟღერდა როგორც „ბონტუსი“ [Средневек. источники...]. XI საუკუნის ბოლო პერიოდით თარიღდება რუსული მატიაწე „Повесть временных лет“, სადაც შავ ზღვას უწოდებენ „**რუსთა ზღვას**“, ოღონდაც აქ სახელით „რუსთა“ იგულისხმებიან ნორმანები, ვინც სინამდვილეში იმ ხანად კიევის რუსეთის მოსახლეობის ზედა ფენას შეადგენდა. ეთნონიმების – რუსი და ნორმანი გაიგივებას ვხედავთ ლიუტპრანდ კრემონელთან (X ს), ვინც იუწყება, რომ ბერძნები ჩრდილოეთ მხარეს მცხოვრებ ერთ ხალხს „გარეგნობის გამო“ უწოდებენ „რუსიოსს“, ხოლო ისინი (დასავლეთ ევროპელნი) მათ ეძახიან „ნორმანებს“ [М.Бухарин, 2013:480]. შუა საუკუნეებში დასავლეთევროპელნი „რუსიოსს“ ზოგადად ეძახდნენ რუსებსაც, პაჭანიკებს, უნგრელებს, ხაზარებს და სხვ. ხალხებსაც. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ცნებას „რუსთა ზღვა“ X-XIV საუკუნეების მემატიანეები ახსენებენ რამდენიმეგზის: ფრანგულენოვან წყაროებში 2-ჯერ (ჟოფრუა ვილარდუენი), გერმანულენოვანში – 3-ჯერ, თავად რუსი ჟამთააღმწერნი – 2-ჯერ, და იუდეველი ქრონისტები – ერთხელ [М.Бухарин, 2013:481].

აქვე უნდა ითქვას, რომ ამავე ეპოქის მატიაწეებში კვლავაც აღინუსხება როგორც „პონტოს“ ხსენება, ასევე „შავი ზღვის“ სახელწოდებაც. ასე მაგ., ანონიმის „Gesta Hungaronum“-ში (XII ს) აღნიშნულია ორივე დასახელება, ხოლო სკანდინავიურ საგაში „ჰარალდ სიგურდარსონი“, რომელიც შექმნილია XIII ს-ში და მასში აღწერილია XI ს-ის მოვლენები, მითითებულია „შავი ზღვა“. კვლავაც შეგვიძლია მოვიხმოთ სნორი სტურლუსონის „საგა ინგლიგების შესახებ“, აქ „сварьтхаф“ ნიშნავს „შავ ზღვას“, ხოლო „свитьод“ – „სკვითეთს“. ერთიც უნდა დავსძინოთ, ევროპულ და მათ კვალდაკვალ რუსულ მატიაწეებში ზოგჯერ შავ ზღვას ეწოდება წითელი – „черьмное море“, ოღონდაც აქ სიტყვა „черьмное“ არ იგულისხმება ფერის მნიშვნელობით. სანიმუშოდ შეგვიძლია დავასახელოთ სკანდინავიური თქმულება „საგა ინგვარ მოგზაურის შესახებ“

(XI ს-ის I ნახ.), სადაც შავი ზღვა ნახსენებია „წითელი ზღვის“ სახელით. სავარაუდოდ, სკანდინავიური მწერლობიდან რუსულ ლიტერატურაში ეს ტერმინი უნდა შესულიყო VIII ს-ის შემდგომ და იგი წინ უსწრებდა რუსულ წყაროებში „შავი ზღვის“ ტერმინის გაჩენას. ზემოთხმობილი მაგალითებიდან ჩანს, რომ დასავლეთ ევროპაში გამოთქმა „შავი ზღვა“ იმდენად გავრცელებული იყო, რომ იგი სკანდინავიურ საგებშიც მკვიდრდება.

XIII-XIV სს-ის აღმოსავლურ წყაროებში პონტოს სინონიმებად გვხვდება „რომეების“, „რუსთა“, „ტრაპეზუნდის ზღვა“, და აგრეთვე „ყირიმის ზღვა“. იგივე ად-დამიშვი თავისი თხზულების V თავში, რომლის სათაურია „მოთხრობა მლაშე ტბებისა და მტკნარი წყალ-საცავების... შესახებ“, შავ ზღვას უწოდებს „ტრაპეზუნდის ზღვას“, რომელსაც უერთდება „ხორეზმის ტბა“, ანუ აზოვის ზღვა: „Некоторые из прежних авторов утверждают, что море Хазар (каспийское море) соединяется с Русским морем, которое называют также морем Трапезунда и что Хоразмское озеро соединяется с ним“ [Средневек. источники...]. ამრიგად, ად-დამიშვი, რომელიც შავ ზღვას მოიხსენიებს ჩვენთვის უკვე ნაცნობი სახელწოდებით – „რუსთა ზღვა“, იყენებს ახალ ჰიდრონიმს და პონტოს უწოდებს „ტრაპეზუნდის ზღვას“. იმავე საუკუნის სხვა ავტორი, აბულ-ფიდა ასევე ახსენებს შავ ზღვას, რომელსაც იგი მეორენაირად უწოდებს ნიტაშ-ს და იუწყება: Море Ниташ в наши дни известно как море ал-Кирым и как Черное море. აბულ-ფიდა შავ ზღვას გარდა სახელწოდებისა „ნიტაშ“, მოიხსენიებს კიდევ ერთი ახალი სახელწოდებით „ალ-კირიმ“ (ყირიმის ზღვა), რაც მონღოლებმა შეარქვეს ქ. სოლხატს, ხოლო შემდეგ ამ სახელით უკვე მთელ ნახევარკუნძულს აღნიშნავდნენ [Средневек. источники...]. ერთი სიტყვით, ევროპულ, რუსულ და აღმოსავლურ წყაროებში X-XIV სს რომ განეკუთვნებიათ, შავი ზღვა დასახელებულია როგორც რუსეთის, პონტოს, შავი, ტრაპიზონის, ყირიმის და რომეების ზღვა. ამ სახელთაგან სამი მათგანი – რომეების, პონტოს და შავი ზღვა წინა საუკუნეებშიც აღინუსხებოდა და შემდგომში განმეორდა, ხოლო დანარჩენი დასახელებები – რუსეთის, ტრაპიზონისა და ყირიმის – ახლადმექმნილი (XIII-XIV სს-ის დროინდელი) სახელწოდებებია. ამ დასახელებების წარმოქმნისა და მონაცვლეობის მიხედვით შესაძლებელი ხდება ზოგადად თვალი ვადევნოთ შავი ზღვის გარშემო შექმნილ, იმჟამინდელ პოლიტიკურ ვითარებას და ამა თუ იმ ხალხის მიერ შავი ზღვის „ათვისების“ პროცესს. ამასთან, უნდა ითქვას, რომ ზღვის სახელი „შავი“ ფართოდ ვრცელდება განვითარებულ შუა საუკუნეებში და შემდგომ მყარად მკვიდრდება ისტორიულ წყაროებსა და საზღვაო რუკებზე და საბოლოოდ რჩება როგორც ერთადერთი სახელწოდება ამ ზღვისა. ცნებასთან „შავი“ დაკავშირებით არსებობს მოსაზრება, რომ ბერძნული სიტყვა „აქსინოს“ მომდინარეობს ძველირანული სიტყვიდან „axšaina“ – „მუქი ლურჯი“. და ზღვასთან

მიმართებაში იგი ნიშნავს არა არასტუმართმოყვარეს, არამედ შავს, ანუ ჩრდილოეთს”.⁴ ამასთან, თურქული „kara deniz” უნდა წარმოქმნილიყო არა ბიზანტიური ენის, არამედ ლათინური დასახელების გავლენით, სადაც ლათინური Mare magnum (Mar Maior) გულისხმობს დიდს, რა მნიშვნელობასაც თურქული „kara” ასევე მოიცავს [М. Бухарин, 2013:467-68]. ამდენად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დასახელება შავი ზღვა თავდაპირველად გაჩნდა არა ფერთა გამის მნიშვნელობის მიხედვით, არამედ მავანი ხალხებისთვის ამ ზღვის გეოგრაფიული მდებარეობის, სიშორის, ან მოცულობის სიდიდის მიზეზით. ის წყაროები, სადაც გვიან შუა საუკუნეებში პონტო სახელდება როგორც „შავი ზღვა”, გახლავთ შემდეგი: იოჰანეს შილტბერგერის „მოგზაურობა” (XIV-XV სს), სადაც „Schwarzes Meer” ნახსენებია მცირეაზიური და ყირიმის სანაპიროების აღწერისას; გიორგი სფრანტცის „ქრონიკა” (XV ს.), მასთან ნახსენებია „მაურა თალასსა” – შავი ზღვა; „ზოსიმეს მოგზაურობა ცარგრადში, ათონსა და პალესტინაში” (XV ს.) – აქ ნახსენებია ვინმე „შავი ზღვის დესპოტი კოსნიატინი”; შემდეგი რუსული წყაროა „გამგზავრება ფლორენციის კრებაზე უცნობი სუზდალელისა” (XV ს.), ტექსტში შავი ზღვის აღსანიშნავად გამოყენებულია უკვე სიტყვა „черное” ნაცვლად „Черьмное”-სი; ათანასე ნიკიტინის თხზულებაში „გამგზავრება სამ ზღვას იქით” (XV ს-ის II ნახ.) ასევე ნახსენებია შავი ზღვა. ოღონდაც მის აღსანიშნავად აქაც გამოიყენება სიტყვა „Черьмное” და სხვ.

არ შეიძლება აქვე არ ვახსენოთ გვიანი შუა საუკუნეების ის რუკები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის კარტოგრაფების მიერ არიან შექმნილნი და სადაც „შავი ზღვა” წერია „ევქსინის პონტოს” ნაცვლად: ფრა მაურომ, რომელიც იყო კამალდულიელი ბერი მურანოდან (ვენეციასთან), 1458 წელს შეადგინა მსოფლიო რუკა, წარწერით „შავი ზღვა”. ასევე მონიშნულია პონტო საზღვაო რუკაზე, რომელიც მოთავსებულია ე. წ. „ლუკელი ანონიმის” ატლასში (XVI ს) და სხვ.

კიდევ ერთი დასახელება შავი ზღვისა, რომელიც პირველად გვხვდება გვიანი შუა საუკუნეების წყაროებში, გახლავთ აღმოსავლურ (სპარსული) თხზულებებში დამოწმებული „სტამბოლის ზღვა”. ასე, მაგ., იმავე ათანასე ნიკიტინის „მოგზაურობის” სხვადასხვა რედაქციის ტექსტებში აღნუსხულია, რომ შავ ზღვას მეორენაირად ეწოდება „სტამბოლის ზღვა”: მატთანეს ძირითად რედაქციაში წერია: „Море Черьмное, а персидским языком дория Стимбольская”. ასევეა სამების (ერმოლინის) რედაქციისა („До моря Чермного, а парьсейским языком дория Стимъбольскаа”) და სუხანოვის რედაქციით („прииход до 3 моря Чермного, а парсийским языком дория Стимбольская”) გამოცემულ

4 სიტყვათშეთანხმება „შავი ზღვა” პირველად გვხვდება ძველანტიკურ ხანაში, კერძოდ ევრიპიდე პონტოს მოიხსენიებს როგორც „Pontos melas” და აქ „შავი” ნიშნავს ჩრდილოეთს. იხ.: В. Иванов, 1987:36-41.

ტექსტებში. ამრიგად, XV საუკუნიდან შავი ზღვის დასახელებათა შორის ჩნდება კიდევ ერთი, ახალი სახელწოდება „სტამბოლის ზღვა“, რაც წერილობით წყაროებში აისახა ოსმალთაგან შავი ზღვის სრული დაუფლების შედეგად. სახელწოდებები სტამბოლის ზღვა, ტრაპიზონის ზღვა – ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ მკვიდრდებოდა გვიან შუა საუკუნეებში შავი ზღვის სამხრეთი სანაპიროს ტოპონიმები მის სახელწოდებებში იმის გამო, რომ ეს ორი ქალაქ-პორტი საკუთარი ფუნქციური დატვირთვით მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ოსმალეთის იმპერიის საგარეო ვაჭრობაში.

შავი ზღვის შემდეგი სახელწოდებებიდან, რომლებიც უცხოენოვან საისტორიო ლიტერატურაში გვხვდება, უნდა ვახსენოთ კიდევ ერთი მათგანი. ეს გახლავთ „კავკასიის ზღვა“, რომლითაც აღნუსხულია შავი ზღვის ჩრდილოაღმოსავლეთი ნაწილის აკვატორია. ეს დასახელება მოთავსებულია ა. ორტელიუსის მიერ 1590 წელს შექმნილ პორტულანოზე და გ. სანსონის რუკაზე (1667 წ.), რომელიც დასათაურებულია შემდეგნაირად: „კოლხიდა, იბერია, ალბანია, კავკასიის ტომები, მცხოვრებნი ევქსინის პონტოდან კასპიის ზღვამდე“. ამ რუკებზე შავ ზღვას ეწოდება ევქსინის პონტო, ხოლო იმ სანაპიროს გასწვრივ, სადაც დასახელებულნი არიან ახეველნი, ჯიქნი და სხვა იმიერკავკასიელი ტომნი, წერია „კავკასიის ზღვა“. ა. ორტელიუსისა და გ. სანსონის რუკები შედგენილია ანტიკური ხანის ავტორთა მონაცემების საფუძველზე და ამით აიხსნება, რომ რუკებზე მრავლად არიან ნაჩვენები სკვითეთსა თუ იმიერკავკასიაში მცხოვრები ტომები.

ერთი სიტყვით, სხვადასხვაენოვანი წყაროებიდან ირკვევა, რომ შავი ზღვის დასახელებები, რომელსაც უპირველესად უწოდებდნენ პონტოს (ელადა) და „დიდს“ ანუ „ზემოს“, ანუ „ცალპას“ (ხეთა, ასურეთი), იცვლებოდა სხვადასხვა საუკუნეებისა თუ ეპოქების მიხედვით და ზღვას არქმევდნენ ხან „აქსინოსს“ ხან „ევქსინოსს“, ხან „პონტოს“, ხანაც „შავს“ – ეს უკანასკნელი საბოლოოდ და საყოველთაოდ დამკვიდრდა კიდევ. ამასთან, ზღვის ცალკეულ განაპირა აკვატორიებს ასევე მიანიჭეს საკუთარი დასახელებანი და ეს განსხვავებული სახელწოდებები იქმნებოდა ან სანაპიროსთან მცხოვრებ ტომთა ეთნონიმების მიხედვით, ან მათი გაჩენა უკავშირდებოდა შავი ზღვის სანაპიროს ამა თუ იმ პუნქტის ტოპონიმს. ამგვარად, შავი ზღვის ცალკეული მონაკვეთების სახელწოდებები სხვადასხვა ეპოქაში იყო შემდეგი: კრონოსის პონტო, პართენიის ზღვა (ორფიკული არგონავტიკა, III ს) სკვითთა ზღვა (ოვიდიუსი I ს), ჩენი ზღვა (პომპონიუს მელა, I ს), მეგანომ-კერემპე (სტრაბონი I- I სს); რომეების ზღვა (პროკოპი კესარიელი VI ს; სპარსელი ანონიმი X ს; ად-დამიშკი XIII-XIV სს), ბონტუსი-პონტო (ალ-მასუდი X ს), რუსთა (ნორმანელთა) ზღვა (повесть временных лет XI ს; ნესტორის მათიანე, ჟოფრუა ვილარდუენი) ტრაპეზუნდის ზღვა (ად-დამიშკი), ყირიმის ზღვა (აბულ-ფიდა XIII-XIV სს), სტამბოლის ზღვა (ათანასე

ნიკიტინი (XV ს), კავკასიის ზღვა (ა. ორტელიუსის რუკა – 1590 წ., გ. სანსონის რუკა – 1667 წ.). დაბოლოს, შავი ზღვის დასახელებებთან დაკავშირებით არ შეიძლება არ ვახსენოთ კიდევ ერთი ფაქტი. უცხოენოვანი წყაროების ცნობებიდან ირკვევა, რომ ზოგჯერ შავი ზღვა სახელდება ისეთი ცნებებით, რომლებიც გამოხატავენ ამა თუ იმ ქვეყნის დამოკიდებულებას პონტოსადმი, ანუ ასახავენ, თუ როგორ აირეკლებოდა მათი ხალხების სამყაროსეულ აღქმაში, ცნობიერებაში ხსენებული ზღვის ფენომენი მთელი თავისი მითოლოგიური მახასიათებლებითა და ფუნქციური დატვირთვით. ასე მაგ., პომპონიუს მელა, ვინც საუბრობს შავი ზღვის თაობაზე, მას მოიხსენიებს სახელით „ჩვენი ზღვა“. ხმელთაშუა ზღვის სანაპიროსთან, ტუნისში მცხოვრები რომელი ავტორის ეს გამონათქვამი ცხადყოფდა რომის იმპერიის დამოკიდებულებას პონტოსადმი, როგორც „მისი ზღვისადმი“. ამიტომ, ეს გამონათქვამი დარჩა როგორც რომაელთა შავი ზღვისადმი დამოკიდებულების ამსახველი ფაქტი და იგი არ ქცეულა განზოგადოებულ, საყოველთაო დასახელებად. იგივე შეიძლება ითქვას მეორე სახელწოდების შესახებ, რომელიც აღნუსხულია ე. წ. გენუის გაზარიაში განლაგებული საკონსულოების პროტექტორთა ერთ დეკრეტში, 1453 წლის 27 ნოემბრით რომ თარიღდება. ტექსტში ნახსენებია „გენუელთა სხვადასხვა სამფლობელოები „მთავარ ზღვაზე“, ანუ (შავ ზღვაზე) [Е. Зевакин, Н. Пенко, 1938:3-29]. აქაც წარმოჩენილია გენუის რესპუბლიკის დამოკიდებულება შავი ზღვისადმი, რომლის სანაპიროებთან და მოშორებულ ადგილებშიც განთავსებული იყო მისი საკონსულოები თუ სავაჭრო კოლონიები. ამ შემთხვევაშიც ხსენებული გამოთქმით ცხადდება, თუ როგორ განიხილავდნენ გენუელები პონტოს, რომელსაც მათი საგარეოვაჭრობისთვის ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა. ამიტომ „მთავარ ზღვად“ მოხსენიებული სახელი დარჩა ლოკალურ ცნებად და იგი ოდენ ერთი ქალაქ-რესპუბლიკის მოსახლეობისთვის აღიქმებოდა პონტოს დასახელებად. ასეთი გახლავთ, ძირითადად, პონტოს ზოგადი და, აგრეთვე, მისი ცალკეული აკვატორიების სახელწოდებათა ისტორია, რაც ცხადდება უცხოენოვანი საისტორიო ლიტერატურიდან. ამ მასალის გაცნობისას თვალშისაცემია, რომ უცხოელ მკვლევართა ყურადღების მიღმა აღმოჩნდა შავი ზღვის მნიშვნელოვანი სანაპირო (ჩრდილო-აღმოსავლეთი, აღმოსავლეთი და სამხრეთ აღმოსავლეთი) აკვატორიის ის დასახელებანი, რომლებიც უკავშირდებიან ქართულ სინამდვილეს, არადა ეს სანაპირო ზოლი გახლავთ არც თუ მცირე ნაწილი ზღვის მთელი გარშემოწერილობისა, რაც იწყებოდა მდ. მცირე ხაზარეთის დელტიდან, იქ, სადაც ბოლოვდებოდა კავკასიონის დასავლეთი მთების კალთები და სრულდებოდა ტრაპიზონის თემის მიწებით, თვით ქალაქ ტრაპიზონამდე. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს პონტოს აღმოსავლეთი სანაპირო საუკუნეთა განმავლობაში ან დაუსახლებელ-აუთვისებელი იყო, ან აქაურ მკვიდრთ არ ჰქონიათ არანაირი ეთნო-კულტურული თუ სახელმწიფოებრივი მონაპოვარი,

რითაც ისინი საკუთარ ეროვნულ სახეს დაამახსოვრებინებდნენ უცხოელთ. სინამდვილე კი ისაა, რომ აქ მოსახლე ქართველტომელნი ისტორიულ ასპარეზზე გამოვიდნენ ჯერ კიდევ არქაულ პერიოდში და მათი არსებობის სულიერი თუ ყოფითი კვალი აისახა კიდევაც ადრეანტიკური ავტორების შემოქმედებაში. ცნობილია, რომ არა ერთმა ქართველმა მკვლევარმა განიხილა ხსენებული საკითხი და წარმოაჩინა, რომ ქართველთა ეთნიკურსახელწოდებებს ხშირად უცხოელი ავტორები შავი ზღვის ყურეებს არქმევდნენ კიდევაც. ცალკეული საკითხები განხილული აქვთ სტატიებსა თუ მონოგრაფიებში ვლ. ფუთურიძეს, დ. კობიძეს, მ. ცინცაძეს, ზ. კუტალიეშვილს, თ. ბერიძეს, ჯ. გვასალიას... ამასთან, ხაზგასასმელია, რომ ეს პრობლემა ყველაზე საფუძვლიანად შეისწავლა მ. გაბაშვილმა, ვინც გამოიკვლია და გამოამზეურა თითქმის ყველა ის სახელწოდება, რომლებიც დაარქვეს საქართველოს სამეფოს ტერიტორიულ წყლებს [მ. გაბაშვილი, 2016; მ. გაბაშვილი, 2018, N 2; მ. გაბაშვილი, 2018, N 3].

სამწუხაროდ, ქართველ მკვლევართა ნაღვაწმა უცხოენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში ასახვა ვერ ჰპოვა, იგი დღემდე უცნობია უცხოელ მკვლევართათვის და გამომდინარე აქედან, ჩანს, მათთვის ასევე უცნობი უნდა რჩებოდეს იმ ისტორიულ წყაროთა და შუა საუკუნეების რუკების მონაცემები (?!), სადაც აღნუსხულია შავი ზღვის ცალკეული მონაკვეთების ქართული სახელწოდებები. წარმოვაჩენთ ჩვენი სამეცნიერო წრეებისთვის ცნობილ ქართულ დასახელებებს, რომელნიც მოიცავენ შავი ზღვის სივრცეს ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროდან ვიდრე სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპირომდე.

უპირველესად უნდა მოვიხმოთ ქართული წყაროები. სახელით „სპერი“, რაც გულისხმობს ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის ერთ მხარეს, შავი ზღვის სამხრეთით რომ მდებარეობდა, აღინუსხებოდა არაერთი გეოგრაფიული ნომენკლატურა. არსებობდა მდინარე სპერი, სპერის მთა, სპერის ციხე, ქალაქი სპერი, სპერელნი – მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთში მცხოვრები მკვიდრი ქართველტომელნი და, რაც ჩვენთვის ამჯერად საგულისხმოა „სპერის ზღვა“. ვახუშტის თანახმად, სპერელნი იყვნენ მცირე აზიის ერთ-ერთი მკვიდრთაგანნი, ვინც 1180-იან წლებში თამარ მეფის გაგზავნილ ლაშქარს მიემხრნენ და ყველამ ერთად დაამარცხა არზრუმს (კარახოლა) გამაგრებული მუსლიმები [ქ.ცხ. 1973:179]. იქვე მდებარეობდა სპერის მთა, რომელსაც ჭრიდა თორთომის მდინარე – შემდგომ სპერის მდინარეს რომ უერთდებოდა. მდინარე სპერი, რომელსაც მეორენაირად ჭოროხს უხმობდნენ სახელად, მიედინებოდა გურჯი ბოღაზის (საქართველოს ყელი) ხეობის სიახლოვეს და სწორედ მას უერთდებოდა ამ გურჯი-ბოღაზიდან გამოსული – მეორე მდინარე [ქ.ცხ. 1973:686; ქ.ცხ. 1955:17]. აქვე იყო აგებული სპერის ციხე-სიმაგრე, რაც ნასესხებია XIV ს-ის დასაწყისში მომხდარი ბრძოლისას, რომლის დროსაც ბექა ჯაყელმა

სძლია „ურიცხუთა“ თურქთა და მათგან გაათავისუფლა ქალაქი სპერი „თჳნიერ ციხისა“ [ქ.ცხ. 1973:251]. ამ დასახელებების შესახებ ასე დაწვრილებით იმიტომაც მოყვეით, რომ სპერის ეთნონიმ-ჰიდრონიმ-ტოპონიმიდან ჩანს ის კვალი, რაც სპერელებს დაუმჩნევიათ მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ისტორიულად საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში რომ იყო მოქცეული. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ შავი ზღვის იმ მონაკვეთს, რომლის სანაპირო ზოლთან, შიდა ტერიტორიაზე სასპერები (სპერელნი) ოდითგან მკვიდრობდნენ, ლეონტის თანახმად, ეწოდებოდა „**სპერის ზღვა**“. სახელწოდებათა ქრონოლოგიური რიგის მიხედვით, აღსანიშნავია სტრაბონის ცნობა, როდესაც იგი საუბრობს პომპეუსის იბერიაში ყოფნის შესახებ და ასახელებს „**კოლხიდის ზღვას**“ [В. Латышев, 1893:129]. ზღვის ამ მონაკვეთს მოიხსენიებს „ლაზიკის ზღვის“ სახელით სპარსელი მემატიანე მუჰამად ბენ მუსა ალ-ხვარაზმი (IX ს), რომელიც ფაქტობრივად, იმეორებს სტრაბონის ცნობას და სიტყვას „კოლხიკე“ ცვლის სიტყვით „ლაზიკა“ [მ. გაბაშვილი, 2016:9]. შემდეგ უნდა დავასახელოთ XI ს-ის სპარსელი გეოგრაფის მიერ შავი ზღვისთვის იგივე დასახელება. ავტორი ზღვას უწოდებს „**ლაზიკის ზღვას**“ – „დარიე ლაზიკ“ [თ. ბერიძე, 1987:5]. ჩანს, სპარსელი მემატიანე სარგებლობდა წინარე საუკუნის წყაროებით, როდესაც დასავლეთ საქართველო ბიზანტიურ წყაროებში VIII ს-მდე განიხილებოდა როგორც ბიზანტიის იმპერიის დაქვემდებარებული მხარე და მოიხსენიებოდა ლაზიკის სახელით. კიდევ ერთი ქართული სახელწოდება ერქმევა პონტოს ზღვას X ს-ის ისლამურ ისტორიოგრაფიაში. ვგულისხმობთ ანონიმ სპარსელ ავტორს, ვის კალამსაც ეკუთვნის „ჰოდუდ-ალ-ალამი“ (ქვეყნიერების საზღვარი). იგი ახსენებს „**ქართველთა ზღვა**“-ს: „და კიდევ ქართველთა ზღვა არის, მას პონტოს ზღვას უწოდებენ, ანდა... „დასავლეთით სეკლაბია, სამხრეთით ქართველთა ზღვა...“ და სხვ. [დ. კობიძე, 1957:13]. გვიან შუა საუკუნეებში კვლავაც ჩნდება ქართული სახელწოდება შავი ზღვის იმ მონაკვეთისა, რომელიც ესაზღვრებოდა იმერეთის სამეფოს სანაპირო ზოლს. ეს გახლავთ „**მეგრელთა ზღვა**“ (Mare Mengrelia), რომელიც მონიშნულია დე ვიტას რუკაზე [მ. გაბაშვილი, 2016:28]. აღსანიშნავია, რომ ფ. ბრუნის თანახმად, XV ს-ის ზოგიერთ რუკაზე მდ. კელასურის დელტასთან, „საიდანაც მოჩანს წმ. გიორგის ციხე-სიმაგრის ნანგრევები“, ასევე მონიშნულია წარწერა „**მეგრელთა პორტი**“ (Porto Mengrello), ე. ი. ზღვის აკვატორიაც და ნავსაყუდელიც ერთსა და იმავე სახელს ატარებდნენ [Ф. Брун, 1879:247]. დასავლეთევროპული რუკების ეს დასახელება პონტოს აკვატორიისა, საქართველოს ტერიტორიულ წყლებს რომ მოიცავდა, სავსებით ლოგიკური ჩანს, ვინაიდან ფ. ბრუნისავე სიტყვები რომ გავიმეოროთ: „ქართველ-აზხაზთა მეფენი ძველთაგანვე მიიჩნეოდნენ დე-ფაქტო თუ არა, დე-იურე უმთავრეს მფლობელებად კავკასიონის ორივე მხარის მიწა-წყლისა, თვით ტამანის ნახ. კუნძულის ჩათვლით“

[Е. Зевакин, Н. Пенчко, 1938:8]. უნდა ვახსენოთ პონტოს აღმოსავლეთი სანაპიროს ერთი ნაწილის სხვა დასახელება, რაც ისევ და ისევ ქართულ სინამდვილეს უკავშირდება. ეს გახლავთ „ფასიანების ზღვა“. ამ სახელით პონტო იწოდება რამდენიმე დასავლეთევროპულ რუკაზე. ერთი გახლავთ აბრაჰამ ორტელიუსის შავი ზღვის რუკა, სადაც შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ აკვატორიას აწერია „ფასიანების ზღვა“ (Phasianum Mare) [მ. გაბაშვილი, 2018:13]. ასევე ან. სანსონოს რუკაზეც. შავი ზღვის მთელი აღმოსავლეთი სანაპიროს გასწვრივ წერია იგივე „ფასიანების ზღვა“ (Phasianum Mare) [ნ. ჯაველიძე, 2016]. თავად ის ფაქტი, რომ გვიან შუა საუკუნეების რუკებზე ჩნდება იმ ქართველტომელთა ეთნონიმი, რომლებიც მოიხსენიებიან ანტიკური ხანის ბერძნულენოვან წყაროებში, მეტყველებს, რომ კარტოგრაფები რუკების შედგენისას სარგებლობდნენ ბერძნულ-რომაული წყაროების მონაცემებით. ხოლო ეს ფაქტი, თავის მხრივ, მოწმობს, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროს - აწინდელი აფხაზეთის მკვიდრთა შორის სხვა ქართველტომელებთან ერთად ცხოვრობდნენ ფასიანებიც, ვინც ტრადიციულად, ანატოლიაში, მცირე კავკასიონის არეალში აღინუსხებოდნენ. ფასიანების არსებობა ეგრისის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ცხადდება ქართული წყაროებითაც. კერძოდ, ვახუშტი აღნიშნავს, რომ სვანეთისა და რაჭის მთებს შორის არსებობდა ბასიანის მხარე, იგივე „ბასიანის ხეობა დიდი“. ხოლო სვანეთის კავკასიონზე ერთ-ერთ მთას ეწოდებოდა „ბასიანის მთა“ [ქ.ცხ., ტ.IV, გვ. 649]. ერთი სიტყვით, ევროპელ კარტოგრაფთა მონაცემები შეესატყვისება ქართული წყაროების ცნობებს იმის თაობაზე, რომ ეგრისის სამეფოს ჩრდილოეთ ნაწილში, კერძოდ რაჭა-სვანეთ-აფხაზეთის მხარეებში მკვიდრობდნენ ქართველტომელი ფასიანები, რომელთა ეთნონიმის მიხედვით შავი ზღვის აღმოსავლეთ აკვატორიას უწოდებდნენ „ფასიანთა ზღვას“. თუმცა, ირკვევა, რომ პონტოს ზღვის ხსენებული ნაწილი მხოლოდ ფასიანთა ეთნონიმის მიხედვით არ სახელდებოდა და მას, სხვადასხვა საუკუნეებში შექმნილ წყაროთა მიხედვით, სხვა ქართველტომელთა სახელწოდებებსაც არქმევდნენ, ვინც ასევე იყვნენ აფხაზეთის სამთავროს მკვიდრნი. ეს ფაქტი ცხადდება სომეხი მხითარაიანელი ავტორის, მინას ბჟიშკიანის – იმავე მინაი მედიჩის ნაშრომიდან, ვინც მოღვაწეობდა ვენეციაში და აღწერა თავისი 1815-1819 წლების მოგზაურობა პონტოს აღმოსავლეთი სანაპიროს გასწვრივ. ავტორმა ზღვის სანაპირო ზოლი მოიარა ზუსტად იმ გზით, რა გზაც აღნუსხული აქვს არიანეს თავის „პერიპლუს“-ში. იგი ჩამოთვლის ყველა იმ ტომსა და ადგილებს, პონტოს აღმოსავლეთ სანაპიროზე რომ შეხვედრია და უნახავს. ნიშანდობლივია, რომ მინაი მედიჩი შავ ზღვას უწოდებს ხან „ლაზთა ზღვას“, ხანაც „აბაზგების ზღვას“, იმის მიხედვით, თუ რომელ მხარეში იმყოფებოდა [Л. Меликсет-Бек, 1952]. ბჟიშკიანის მიერ დასახელებული „ლაზთა ზღვა“ არ გახლავთ ახალი სახელწოდება და იგი უწინაც გამოიყენებოდა სხვადასხვაენოვან საისტორიო

მწერლობაში. მაგრამ დასახელება „აბაზგების ზღვა“ არცერთენოვან წყაროში არ ჩანს აღნუსხული და ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილს სახელწოდებას არქმევენ აბაზგთა ტომის ეთნონიმის მიხედვით. როგორც ვხედავთ, სომეხი ავტორი ტერიტორიული წყლის აღსანიშნავად იყენებს სიტყვას „აბაზგი“ და არა ცნებას „აბაზა“, რაც სრულიად განსხვავებული ეთნონიმებია და ამ ცნებებით იგულისხმებიან სხვადასხვა ტომები, რომელთაგან აბაზგ-აფხაზები არიან მკვიდრი ქართველტომელნი, ხოლო აბაზა-აფსუები იმიერკავკასიელნი, ვინც საქართველოში მასობრივად მკვიდრდებიან XVII საუკუნიდან. ეს მიგვანიშნებს, რომ მინაი მედიჩს, როდესაც იგი ახსენებს „აბაზგების ზღვას“, უნდა გამოეყენებინა რომელიმე ბერძნულ-ლათინური პირველწყარო, რომლის მიხედვით უნდა შეექმნა პონტოს ზღვის ნაწილის ახალი სახელწოდება – „აბაზგთა ზღვა“.

ამრიგად, ზემოგანხილული ფაქტებისა და ცნობების თანახმად ცხადდება, რომ ისტორიული ჟამთასვლის ხანგრძლივ პერიოდში შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსთან, საიდანაც საქართველოს სამეფო ზღვაზე მიმოსვლით უკავშირდებოდა სხვადასხვა სახელმწიფოებს, ზღვის მონაკვეთებს არქმევდნენ ქართულ სინამდვილესთან დაკავშირებულ სახელწოდებებს. ისტორიულმა წყაროებმა შემოგვინახეს ის დასახელებანი „ზღვსა ყურისა“, რომლებიც ცნობილია როგორც შავი ზღვის ქართული დასახელებანი. ესენია: „სპერის ზღვა“, „კოლხიდის ზღვა“, „ლაზიკის ზღვა“, „ქართველთა ზღვა“, „ფასიანების ზღვა“, „მეგრელთა ზღვა“, „აბაზგების ზღვა“. დაგვეთანხმებით, რომ საქართველოს სამეფოს ტერიტორიული წყლები, სხვა ქვეყანათა ტერიტორიული წყლებისგან განსხვავებით იშვიათი გამონაკლისი გახლავთ, რომლის დასახელებანი მოიცავენ თითქმის ყველა იმ ქართველტომელთა ეთნონიმებს (აბაზგები, სასპერები, კოლხ-ლაზ-მეგრელები, ფასიანები...) შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ რომ მკვიდრობდნენ. უნდა ითქვას, რომ ამ სახელწოდებათა საკითხი ჩვენთვის სხვა მხრივაც არის საყურადღებო. ჯერ ერთი, აფხაზეთის სამთავროს ტერიტორიული წყლებისთვის სახელწოდების დარქმევა ფასიანთა ეთნონიმის მიხედვით კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ აფხაზეთის მიწა-წყალზე ქართველტომელები ავტოხთონი მცხოვრებლები იყვნენ და მათ შორის სხვა, დღემდე ცნობილი ტომების გარდა (ჰენიოხები, ახველნი, მახელონები, მოსხები, აფხაზნი, სვანები, კოლხები, კორაქსები, ლაზები, მისიმიელნი, აფშილნი) სახელდება – ახლა უკვე დანამდვილებით შეიძლება ამის თქმა – ფასიანთა ტომიც. მეორე – რაც უკავშირდება ჩვენს განსახილველ საკითხს – ქართველტომელთა ეთნონიმების მიხედვით შავი ზღვის დასახელების ფაქტი გვაძლევს საფუძველს განვაცხადოთ, რომ ქართველებს შავ ზღვასთან ყოველთვის ჰქონდათ ურთიერთობა, ისინი მასთან იმდენად „გაშინაურებულნი იყვნენ“, რომ უცხოტომელნი პონტოს აღმოსავლეთ ნაწილს მოიხსენიებდნენ იმ ქართველტომელთა სახელწოდებებით, რომელნიც

სანაპიროს გაყოლებით ცხოვრობდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ვიდრე ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთამდე. მათი „თანაარსებობა“ ზღვასთან გულისხმობდა გაცხოველებულ მიმოსვლას, საკუთარი ფლოტის არსებობას, ვაჭრობის განვითარებას საზღვაო გზებით, საზღვაო ბრძოლებში მონაწილეობას, ზღვასთან დაკავშირებული ყველა ხელობის (თევზის რეწვა, ნავებისა და ხომალდების აგება, საზღვაო ნივთებისა თუ აღჭურვილობების დამზადება და ა. შ.) დაუფლებას, მოხერხებული ნავმისადგომებისა და ნავთსაყუდლების მოწყობას და მისთ. და მისთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართული და უცხოენოვანი საისტორიო წყაროები, ვფიქრობთ, არ შემოგვინახავდნენ შავი ზღვის ქართულ დასახელებებს, რომლებიც აგრერიგად მრავლად გვხვდება. პონტოს ზღვისთვის ქართული სახელწოდებების შერქმევა კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ საქართველოს სამეფოსთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა „ზღვასთან ურთიერთობას“, როგორც სახელმწიფოს სტრატეგიული მიზნების განხორციელების ერთ-ერთ ძირითად საშუალებას.

ლიტერატურა

1. ბერიძე თ., ზღვაოსნობა ძველ საქართველოში, თბილისი, 1987;
2. გაბაშვილი მ., ზღვა და აფრიანი ხომალდები ქართული დროშებით სვეტიცხოვლის ფრესკაზე, ჟურნ. ჰეროლოდი, 5, 2016;
3. გაბაშვილი მ., შავი ზღვა ქართული წყაროების მიხედვით, თსუ შრომები, 186, თბილისი, 1978; მისივე, ქართულ სამყაროსთან დაკავშირებული შავი ზღვის კიდევ ერთი, უძველესი სახელწოდება, ქართველოლოგია, თბილისი, 2018, №2;
4. გაბაშვილი მ., შავი ზღვის სახელწოდება „კავკასიის ზღვა“ ქართულ სამყაროსთან დაკავშირებული სახელწოდებების ჭრილში, ქართველოლოგია, თბილისი, 2018, №3;
5. კობიძე დ., ტერმინი „აზხაზის“ მნიშვნელობა სპარსული წყაროებით მიხედვით, ჟურნ., „მნათობი“, 1957, №2;
6. ორფიკული არგონავტიკა, თარგმნა ნ. მელაშვილმა, რედ. აკაკი ურუშაძისა, თბილისი, 1977;
7. პროკოპი კესარიელი, ომი სპარსელებთან (ორ წიგნად), ძველი ბერძნულიდან თარგმნა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ჯულიეტა შოშიაშვილმა, თბილისი, 2020;
8. ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბილისი, 1955;
9. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბილისი, 1973;
10. ნ. ჯაველიძე, აფხაზეთი და აფხაზნი, თბილისი, 2016;
11. Брун Ф., Черноморье; Сборник исследований по исторической географии южной России, т. II, Одесса, 1879;
12. Бухарин М. Д., Возникновение понятия “Черное море” в средневековых географических традициях, Москва, 2013;

13. Виноградов К. А., Очерки по истории отечественных гидробиологических исследований на Черном море, Киев, 1958;
14. Гесиод, Теогония (о происхождении богов), Москва, 1963;
15. Гиоргадзе Г. Г. «Текст Анииты» и некоторые вопросы ранней истории хеттов, В.Д.И., 1965, №4;
16. Зевакин Е. С., Пенко Н. А. Очерки по истории генуэзских колоний на Западном Кавказе в XIII и XV вв.; Исторические Записки, №3, 1938;
17. В. В. Иванов, микенское и гомеровское греческое название соленого моря в свете сравнительного языкознания, Античная Балканистика, Москва, 1987;
18. Латышев В. В., Известия древних писателей о Скифии и Кавказе, т. I, вып. I, С-Пб., 1893;
19. Максимова М. И., К вопросу о выходе хеттов на Южный берег Черного моря, В.Д.И., №4 1947;
20. Меликсет-Бек Л. М., Вопросы этнографии Грузии в древнеармянских источниках; Вопросы Этнографии Кавказа, Тбилиси, 1952;
21. Надпись Анииты, пер. В. В. Иванова, Москва, 1963;
22. Овидий, Скорбные Элегии, письма с Понта, Москва, 1982;
23. Средневековые источники, Абул-Фида, «Таквим ал-Булдан» (ელექტრონული ვერსია);
24. Средневековые источники Востока и Запада, Ад-Дамишки, Раздел II (ელექტრონული ვერსია);
25. Средневековые исторические источники Востока и Запада, Ал-Масуди, золотые копии и россыпи самоцветов (ელექტრონული ვერსია).

NINO JAVELIDZE

THE PONTIC SEA – THE SEA OF ZALPA

Summary

The fact of naming the Black Sea according to the ethnonyms of the Georgian tribes gives us grounds to state that the Georgians have always had relations with the Black Sea, being “on such close terms with it” that foreigners referred to the eastern part of Pontus by the names of the Georgian tribes living along the littoral.

Their “coexistence” with the sea implied active travelling, presence of their own fleet, development of trade by sea routes, participation in naval battles, mastering of all crafts related to the sea, arrangement of convenient harbours, etc. Otherwise, in our view, the Georgian and foreign historical sources would not have preserved the Georgian names of the Black Sea, which occur so abundantly. Use of the Georgian names for the Pontic Sea is one more proof that “relationship with the sea”, as one of the main means of attaining the strategic goals of the state, was of great importance for the Kingdom of Georgia.

ავთანდილ არაბული

წინდებულთა სტრუქტურული ბუნებისათვის ძველ ქართულში

ქართული ენის მორფოლოგიური სისტემა სივრცულ მიმართებათა საკმაოდ განვითარებულ წარმოებას წარმოგვიდგენს. ერთი მხრივ, ეს თვალსაჩინოა სახელთა ფორმაწარმოებაში (ბრუნვის ნიშნები და თანდებულები), ხოლო მეორე მხრივ აქტიურად გასდევს ზმნურ ფლექსია-დერივაციას. როგორც ცნობილია, ამ ორი ქვესისტემის თანაარსებობა ზოგჯერ მარკირების „სიჭარბესაც“ კი წარმოქმნის; მაგ., ორმაგად არის გამოხატული „შიგნით“ სემანტიკა: სახლ-ში შე-ვიდა; „გარეთ“ სემანტიკა: სახლ-ით-გან გაწ-ვიდა და მისთ. ამ ვითარებაში უთუოდ თვალშისაცემია ძველი ქართულისთვის დამახასიათებელი ზმნური ფორმები, რომლებშიც გარკვეული „სივრცული“ ზმნიზედები ზმნისწინთა პოზიციებს იკავებენ და დამატებით მარკერებად გვევლინებიან (*თანა-ვეყოფის, გარე-აქციეს...*); მით უფრო მაშინ, როდესაც ამგვარი „ზმნისწინები“ ორგანული ზმნისწინების წინარე პოზიციას იკავებენ და მათი „დამატებითობა“ ფორმალურადაც და შინაარსობრივადც უფრო ხელშესახები ხდება (*გარე-შე-ირტყამს, ზედა-აღ-იპყრა...*).

ეს ვითარება ადრიდანვე გახდა კვლევის საგანი. მითითებულ „ჭარბ“ ელემენტებს ზმნათა ფორმაწარმოებაში ადგილობრივი ზმნისწინები უწოდეს (ირ. ვეშაპიძე 1967: 263 და შმდგ.). მიუხედავად იმისა, რომ ეს ტერმინი არცთუ მოსახერხებელია (ჯერ ერთი, ეს ელემენტები ნამდვილი ზმნისწინები არ არის, მეორეც, განსაზღვრება „ადგილობრივი“ არაფერს ამბობს, რადგან შესაბამისი ზმნიზედებიც „ადგილობრივია“, თანდებულებიც და ორდინარული ზმნისწინებიც), შემდგომ კვლევებში ძირითადად ის გამოიყენება. შეიძლებოდა ამგვარ ელემენტებს „წინდებულები“ დარქმეოდა, მაგრამ ტერმინთა იმ რეესტრში, რომელსაც წარმოდგენილი მკვლევრები ეყრდნობიან, „წინდებული“ სახელის წინ მდგომი თანდებულია (სახელის მომდევნო კი - „უკუდებული“) (ა. შანიძე 1973: &630). თავად ა. შანიძემ ამ სტრუქტურის ფორმებს „რთულ ზმნებში“ მიუჩინა ადგილი: „ძველად გვექონდა რთული ზმნა „თანა-შეწევნა“: „ვინაფთგან ბერძენთა ესევითარი ჟამი პოვეს, ჳელ-ყვეს ყოვლითა ღონისძიებითა რაფთამცა ქართველნი ამის მონასტრისაგან აღმოჳფხუვნეს, და ამის პირისათჳს მთაჲ ყოველი თანა-შეიწიეს“ (გ.

მთაწმ., „ცხოვრ. იოვ. და ეფთ.“, 117). პირიანი ფორმები ამ რთული ზმნისა არ შემოინახა, მაგრამ გვაქვს მიმღეობა „თანა-შემწე“ (რომელიც ამჟამად ერთად იწერება). ძველად გვქონდა: „თანა-მაც (< თანა-მამ-ს „მმართვეს“), „თანა-მედვა“ („მმართვე“). აქედან ნაწარმოები იყო მიმღეობა: „თანა-მდეები“ (ვისაც ჰმართვეს, ე.ი. მოვალე). დღეს აღარც პირიანი ფორმები იხმარება და აღარც უპირო, მაგრამ გვაქვს მიმღეობისაგან ნაწარმოები „თანამდებობა“ (ა. შანიძე 1973: 8543).¹ კ. დანელია ამ საკითხის ვრცელ კვლევაში საგანგებოდ აღნიშნავს: „უეჭველია ისიც, რომ ადგილობითი ზმნისწინები ქართულისათვის მეორეულია და არაორგანული. ამიტომაც, რომ ბერძნულ ადგილობით ზმნისწინებს ქართული ხშირად თანდებულებსა და ზმნიზედებს უფარდებს. ასე რომ, ძველ ქართულში ადგილის ზმნიზედების ადგილობითი ზმნისწინების ფუნქციით მოჭარბებულ ხმარებასა და აქტივიზაციაში გარკვეული წილი უძველეს ბერძნულ ენას“ (კ. დანელია 1998, 42). ამ აზრს ზ. სარჯველაძე უფრო დააზუსტებს: „სავსებით სწორია, მაგრამ მეტიც შეიძლებოდა გვეთქვა: ეს სისტემა ჩამოყალიბებული არის ბერძნულის ზეგავლენით“ (ზ. სარჯველაძე 1984: 174)². შემდეგ იგი კვლავაც ამბობს: „მიგვაჩნია, რომ ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უცხოური ზეგავლენა ქართული სალიტერატურო ენის გარკვეულ პერიოდში“ და ამ გავლენის საილუსტრაციოდ მოიხმობს დიდი რაოდენობის მაგალითებს ძველი ქართული ორიგინალური თხზულებებიდან (იქვე, გვ. 175-179).

ძველი ქართული სასულიერო ძეგლების ტექსტოლოგიური და ენობრივი კვლევების საფუძველზე ბერძნულ წინდებულებიან ფორმებთან³ სტრუქტურული ანალოგიის არაერთი თვალსაჩინო შემთხვევაა წარმოჩენილი:

მარჯუენე მისი გარე-მომეხვა მე (ქება 8,3) [ἡ δὲ ξὺν αὐτῷ περιήμυσται με] თანა-აღიზუენით ძუალნი ჩემნი (დაბად. 50,25) [συνανοίσετε τὰ ὅσα ἂν μὴ] თანა-წარჰვიდოდეს გალილუას (მრ. 9,30 C) [παρεπορεύοντο δὲ τῆς Γαλιλαίας] ერთი იგი მოწაფე წინა-რბიოდა უადრეს პეტრესა (ი. 20,4) [μαθητὴς προέβημεν] წინა-განეწყობვიან შჯულსა მას (ჰრომ.

1 ამგვარი ფორმები ასევე რთულ ზმნებში არის მოქცეული ივ. იმნაიშვილისა და ვ. იმნაიშვილის წიგნში „ზმნა ძველ ქართულში“ (ნაწ. II, 1996).

2 ზ. სარჯველაძე სქოლიოში აღნიშნავს: ამგვარი ფორმები სხვადასხვა დაწერილობით გვხვდება, მაგრამ ჩვენ ადგილობითი ზმნისწინის ზმნასთან შერწყმულად დაწერას ვარჩევთ.

3 შდრ. აკ. ურუშაძის მითითება: „ბერძნულ ენაში წინდებულები ადგილის ზმნიზედისგან განვითარდა (πρόθεσις). წინდებული სახელს დაერთვის და აღნიშნავს მდებარეობას, მიმართულებას, დანიშნულებას ან სხვა რაიმე დამოკიდებულებას საგანთან... ზემოთ დასახელებული წინდებულები მონაწილეობენ რთული სიტყვის წარმოებაში (ἄμφι-μέτρον)... ხოლო როგორც ზმნისწინს... შეუძლია ზმნისგან განსხვავებული შინაარსის ზმნა წარმოქმნას (χαράω „მოვდივარ“ - προϊσ-χαράω „ვუახლოვდები“) (აკ. ურუშაძე, ძველი ბერძნული ენა, თბ. 1969, გვ. 287, 291).

7,23) [ἀντιστρατεύμενον τῷ νόμῳ] ნუ გარე-მიიქცევ პირსა შესსა (მ. 5,42) [μὴ ἀνιστραφεῖς...] ზედა-მიადგა და ჰრქუა (ლ. 10,40) [ἐπιστᾷσα δὲ εἶπεν]

როგორც წინამდებარე წერილის სათაურიდან ჩანს, ზმნურ ფორმებს პრეპოზიციურად დართული ზმნიზედების აღსანიშნად ჩვენ „წინდებულ“ ტერმინს ვამჯობინებთ და, შესაბამისად, ძველ ქართულ მწიგნობრულ ენაში გააქტიურებული ამ ელემენტის ისტორიული შედეგების მქონე დერივაციულ (სიტყვათწარმომქმნელ) პოტენციასა და შედეგებზე ვამახვილებთ ყურადღებას.

უნდა ითქვას, რომ კალკირების კონკრეტული ფაქტი სისტემურ მოვლენად შეიძლება იქცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის თანხვდება ენის შინაგან (წარმომქმნელ) პოტენციას. კერძოდ, ამ შემთხვევაში ზმნიზედის წინამავალი მჭიდრო პოზიცია ზმნასთან, როგორც ჩანს, იყო განმაპირობებელი ფაქტორი ზმნური წინდებულის როლის მორგებისა არაერთ შესაძლებელ ვითარებაში, რასაც შემდგომი, ქვემოაღწერილი ენობრივი პროცესები მოსდევდა.

ქართული ენის ზმნისწინთა სისტემა, ქვესისტემათა მთლიანი სურათის გათვალისწინებით (როგორც სალიტერატურო ენის, ისე დიალექტთა მონაცემების მიხედვით), ერთობ სტაბილური ჩანს ენის განვითარების ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში. ფაქტია, რომ ზმნისწინთა ძირითადი სისტემა ძველ ქართულში მხოლოდ მცირე ფონეტიკური (მორფონოლოგიური) ცვლილებებით გადმოდის ახალ ქართულში (მე-11 საუკუნის შემდგომ) (აღ- > ა-, გან- > გა-, წარ- > წა-, გარდა- > გადა-, შთა- > ჩა-) და ამავე მორფონოლოგიური ტრანსფორაციით (გა- > გე-/გი-/გო-/გუ- და სხვ.) გვევლინება ის დიალექტურ ქვესისტემებში. ამიტომაც იქცევს ყურადღებას ის ორი ზმნისწინი, რომელიც ამ სტაბილურ სისტემასთან მიმართებით დამატებით ფიქსირდება ძველ ქართულში. ეს ზმნისწინებია უკუნ- [უკუ-] და წიაღ-.

აკაკი შანიძის „ძველი ქართული ენის გრამატიკის“ თანახმად:

„უკუნ“ აღნიშნავს მოძრაობას მიბრუნებით: უკუნიქცა, უკუმო კი - მოძრაობას მობრუნებით: უკუმოიქცა. უკუნ იგივე „უკუან“ არის: ამოღებულია ა და მის წინ მდგომი უ უმარცვლოდვე რჩება. უკუმო-ში კი ნ დაკარგულია მომდევნო მანის გამო. უკუნ და უკუმო იშვიათი ზმნისწინებია: უკუნდგეს, უკუნიქცეს, უკუნსცა („დაუბრუნა“), ნუ უკუ-მოიქცევის („ნუ მობრუნდება“).

წიაღ იხმარება წყალზე გადასვლის აღსანიშნავად: წყალი შეიძლება იყოს მდინარე (დიდი თუ მცირე), ტბა, ზღვა: წიაღვიდა იქით, სადაც არა ვარ, წიაღმო კი - იმავე მიმართულებას, მაგრამ 1-ლი პირისაკენ: წიაღმოვიდა. ეს ზმნისწინიც იშვიათად იხმარება: განაპო ზღუაჲ და წიაღიყვანნა იგინი (ფს. 77,13)“ (ა. შანიძე 1976:72)⁴.

4 როგორც ვხედავთ, უკუნ- და წიაღ- ერთეულებს ა. შანიძე ე.წ. „ადგილობრივი ზმნისწინებისაგან“ დაწერილობითაც განარჩევს, ანუ პირველთ ზმნასთან შერწყმულად წერს, ამ უკანასკნელთ კი - დევსით.

როგორც ამ მოკლე დახასიათებიდან ჩანს, **უკუნ-** და **წიალ-** ზმნისწინთა სისტემაში თავსდება იმდენად, რამდენადაც **მო-** ზმნისწინის დართვით იძენენ სააქეთო ოპოზიციურ შინაარსს (**უკუნ-**, **წიალ-** „იქით“, **უკუნ-მო-**, **წიალ-მო-** „აქეთ“); მაგრამ ისიც აშკარად ჩანს, რომ ამ ერთეულთა ამგვარი სისტემური ადაპტირება (**მო-**ს დართვა) არა პირვანდელი, არამედ განვითარებული მოვლენა უნდა იყოს.

ეს იმის გამო ხდება, რომ **უკუნ** და **წიალ**, განსხვავებით დანარჩენი ზმნისწინებისაგან, პირვანდელი შინაარსითა და ფუნქციით ზმნი-ზედებია და არა ზმნისწინები. ამას ა. შანიძის შენიშვნაშივე ვხედავთ **უკუნ** ერთეულთან დაკავშირებით, - იგივე „უ კ უ ა ნ“ არისო.⁵ ილ. აბულაძე **უკუნ** ერთეულს, როგორც ზმნიზედას, ცალკე სალექსიკონო ერთეულადაც გამოყოფს, რაკი გამოცემები იდენტურ პოზიციაში მას ხან ზმნიზედად აფიქსირებენ, ხანაც ზმნისწინად: **უკუნ** „მართლუკუნ“, უკან; ისევ, კვლავ [„მიქცევით“]: „უკუნ იქვე ჩემგან“ C, - „წარვედ მართლუკუნ ჩემგან“ DE, მრ. 8,33 (აბულაძე 1973). შდრ.: **უკუნ-ქცევა**: „ნუ უკუნ-იქცევი კუალად აღებად სამოსლისა თვისისა“ (მთ. 24,18).⁶ ამ შეპირისპირებით შეიძლება გვეთქვას, რომ **უკუნ** ერთეულის პოზიცია წმინდად ორთოგრაფიული პრობლემაა (ზმნიზედად დავაფიქსირებთ, თუ ზმნისწინად), რომ არ იყოს ჩამოყალიბებული „სააქეთო“ შინაარსის **უკუმო-** წინდებული: **უკუმოაგეთ** მაგას ყოველივე... ნაყოფი მაგისისა მიწისაჲ (O, IV მფ. 8,6). აქედან > უკმო-: უკმოვაგენ იგინი ამას ქუეყანასა (O, იერემ. 24,6); **უკმოჰხედნა** ერსა მას (შუმ. IX. 14). როგორც ა. შანიძე მიუთითებს, **ნ-**მოკვეცილი **უკუ** ვარიანტი ჩნდება **მო-** ზმნისწინის დართვით (**ნმ** კომბინაციით, შდრ. ასევე: **გან-მო** > **გამო**), მაგრამ ის, როგორც ზმნისწინი, შემდეგ დამოუკიდებლად დამკვიდრებულა ძველ ქართულში: **უკურჩა მოყუსისა თვისისაგან** (A=1104 197r, 11-13); **დაღათუ უკურიჩინოს რადმე მისდა რწმუნებულთაგან** (დიდი სჯ. 147,33).

უკუანა („უკან, თან, ზურგით“ - ილ. აბულ.) ზმნიზედა აქტიური გამოყენებისა ძველ ქართულში: **რომელი წინა უძლოდა და უკუანა შეუდგა** (C, მთ. 21,9); **უკუანა ხდევდა პიტიახშსა** (შუმ. X. 19). **კერძო** თანდებულით: **უკუანა კერძო მისსა აღატყდის ალი** (O, იოველ. 2,3). საყურადღებოა, რომ ზმნიზედის ეს სრული საფეხური (**უკუანა**) ზმნისწინის როლში არ ფიქსირდება. **უკუანა** ზმნიზედა ტრანსპოზიციით გვევლინება არსებითი სახელის როლში („უკუანაჲსკნელი“, „შემდგომი“, „მრწემი“: **უკუანასა მას დავივიწყებ და წინასა მას მივსწუდები** (ფლვ. 3,13); **იყავნ იგი ყოველთა უკუანა C**, - **იყოს იგი ყოველთა მრწემ** (DE,

5 შდრ. კ. დანელიას შენიშვნა: „ახალმა ქართულმა რომ პირველადი უკუ/უკმო, წიალ/წიალმო ზმნისწინები დაკარგა, ამის პირდაპირი მიზეზი უცნობია“ (კ. დანელია 1998: 42). ფაქტია, რომ ენის განვითარების ხანგრძლივ პროცესში არცერთი ზმნისწინი არ დაკარგულა.

6 ამ ერთეულს ლექსიკოგრაფი ილ. აბულაძე გზავნის მისგან წარმოქმნილ ზმნიზედებზე: **გარეუკუნ**, **ზეუკუნ**, **მართლუკუნ**, **წინაუკუნ**.

მრ. 9,35). იგივე სრული **უკუანა** ფორმა უდევს საფუძვლად ახალ დერივატებს: **უკუანამს** მერმე, დაბოლოს: *მურ-იგე მურის-გებად მეთა ისრაელისათა მადიანიტელთაგან და უკუანამს შეეძინე ერსა შენსა* (რიცხ. 31,2). *ხოლო დოლის-ყანად მონასტრად უკუანამს იქმნა* (ხანძთ. თ.27). აქედან - **უკუანამს-ი**: *რამეთუ ღმერთმან დასაბამსავე დაბადებისასა უკუანამსათაჲს ჟამთა დაჰბადნა იგინი მონაზონთა სამკვდრებელად* (ხანძთ. თ. 22). **უკუანად** „შემდგომად“, „ზურგიტ კერძო“: *უკუანად კარვისა დაიბანაკონ ზღვით კერძო* (G, რიცხ. 2.23). **უკუანამსკნელ** ზმნიზედა და **უკუანამსკნელ-ი** სახელი: *უკუანამსკნელ ჰპოვო განსასუენებელი იგი მისი* (O, ზირ. 6, 28); **უკუანამსკნელსა** მას დღესა დიდისა მის დღესასწაულისასა დადგა იესუ (ი. 7,37).

ამ უკანასკნელი დერივატის საყრდენი ფორმა ნათელია: **უკუანამს-**, ასახსნელია **კნელ-** სეგმენტის გენეზისი. შეგვეძლო გვევარაუდა -**კნ** თანდებულისა და -**ელ** სუფიქსის კომბინაცია, მაგრამ ამ ზმნისართ-სახელის გამოვლენა არსებითად უსწრებს წინ **კერძო** ზმნისართის (ცალკე მდგომი თანდებულის) ქცევას შერწყმულ -**კნ** თანდებულად⁷. ამიტომაც უნდა დავეუშვათ -**გან** თანდებულის პირვანდელი არსებობა ამ პოზიციაში: ***უკუანამს-გან-ელ-** > ***უკუანამს-გნ-ელ-** > **უკუანამს-კნ-ელ-**. მართალია **უკუანამს-გან** ფორმა მასალობრივ არ ფიქსირდება, მაგრამ მის შესაძლებლობას ადასტურებს ფორმა **უკუანამგან** „უკნიდან“: *მესმა უკუანამგან ჩემსა ჯმად ძრვისა დიდისა* (ეზეკიელ. 3,12[გელ.]). საყურადღებოა კიდევ ერთი მსგავსი წარმოება: **უკუანამწარ** გარეთ, გარეშე; უკან: *მას შინა წერილ იყო წინაუკუნ და უკუანამწარ* (O, ეზეკ. 2,9); მისი ვარიანტია **უკანამწარ** „ზურგიდან“ (ზ. სარჯვ.): *უკანამწარ შემა-უყო მას და აღიღო იგი* (ილარ. 195,13); **უკუანამწარ-ი**: „უკუანა“, უკანა მხარე (სასირცხო): *გამოვაცხადო უკუანამწარი შენი წინაშე პირსა შენსა* (O, ნაუმ. 3,5. შდრ. pb.: *უკუანანი შენნი*). ეს უკანასკნელი ფორმა განსაკუთრებით საინტერესოა, რამდენადაც ის მიღებულია **ზ მ ნ ი ზ ე დ ი ს ა** (**უკუანა**) და **ზ მ ნ ი ს წ ი ნ ი ს** (**წარ-**) შერწყმით.

მონაცემების მიხედვით, **უკუანა** ზმნიზედის აუსლაუტის **ა**-მოკვეცილი ვარიანტი დამოუკიდებლად არ დასტურდება. ზმნისწინის პოზიციაშიც **უკუან-** ვარიანტი მხოლოდ ერთ ძეგლში ჩანს: *ხოლო წმიდა იგი ჰლოცვიდა და ევედრებოდა უკუანქცევად* (ილ. ქართვ. 19,4); *კჳალად მეორედ უკუანქცეული ეგჳტედვე* (ილ. ქართვ. 15,13). ამავე დროს, ფიქსირდება **უკუანამს** ზმნიზედური ფორმის აშკარად გვიანდელი ვარიანტი - **უკუან-ის**: და *იყო, რაოდენისამე დღისა შემდგომად, მარტკლიისა უკუანის, იხილეს სასწაული* (ქ. ცხ.). როგორც ჩანს, ამ პოზიციაში ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის კვეცა უნდა

7 ბ. გიგინეიშვილი მიიჩნევს, რომ **კერძო** ზმნიზედისაგან მივიღეთ -**კე**, ხოლო მის აუსლაუტში **ნ** გაჩნდა -**გან** თანდებულისა ანალოგიით (გიგინეიშვილი 2016).

გამხდარიყო მიზეზი იმისა, რომ დამოუკიდებლად დამკვიდრდა **უკუნ**, ხოლო აქედან - **უკან** ალომორფი. ეს განვითარება უეჭველს ხდის იმას, რომ მეორე **უ** ამ ფუძეში უმარცვლოა (ნახევარხმოვანია); მაგრამ ამავეს ვერ ვიტყვით **უკუნ** ერთეულის შესახებ. ამ პოზიციაში, ძველი ქართულის ფონოტაქტიკის გათვალისწინებით, მეორე **უ**-ც მარცვლოვანი უნდა იყოს. საზოგადოდ, არ არსებობს საფუძველი **უკუნ**-ფუძის კუმშვისათვის: თუ ასეთი იქნებოდა, ეს უნდა ყოფილიყო **უკუნა** ფორმის ბოლოკიდური **ა**, მაგრამ ***უკუნა** ვარიანტი არ დასტურდება. ამიტომაც უნდა ვივარაუდოთ, რომ **უკუნ**- (**უ**-ნახევარხმოვნით) და **უკუნ**- (**უ** - სრული ხმოვნით) ერთმანეთის მიმართ ლექსიკურ ალტერნანტებს წარმოადგენენ. თავის მხრივ, **უკუნ**- ასევე იძლევა დერივატებს: **უკუნ**-ი, **უკუმო** (< უკუნ-მო) - წარმოქმნილ ფორმაში **წინაუკუმო**; აქედან: **უკმო**, რომელიც, ზ. სარჯველაძის მითითებით, პირველად „სინურ მრავალთავში გვხვდება“, ის დასტურდება **წინაუკმო** რთული ზმნიზედის შემადგენლობაში (ზ. სარჯველაძე 1984: 480-481); **უკუმართ** (< უკუნ-მართ); **უკუმომართ** (< უკუნ-მომართ); **უკუნ**-ის(ი), **უკუნ**-ით(ი).⁸

რაც შეეხება **წიალ** ერთეულს, მისი ზმნიზედური შინაარსი ასევე ხელშესახებია. ა. შანიძე მისი, როგორც ზმნისწინის, წარმომავლობის ფრიად საყურადღებო ვარაუდს გვთავაზობს: „**წიალ**-ის პირველ ნაწილში **წი** შედის, რომელიც მიღებული ჩანს **წყლი**-საგან, ხოლო მეორე ნაწილად **ალ** არის“ (შანიძე 1976: 72-73). ამ ვარაუდის საფუძველი არის ის, რომ **წიალ**- ზმნისწინის სემანტიკა, ა. შანიძის მითითებით, „წყალზე გადასვლას“ უკავშირდება: *წიალ-ხუალთ იორდანესა ქუეყანად ქანანისა* (რიცხ. 35,10 G). *წიალ-ვიდოდეს ზღუასა მას კაპარნაუმდ კერძო* (ი. 6,17 C). *წიალ-ჰედეთ რად იორდანესა* (2 შჯ. 27,3 G). *განგარისხეს შენ წიალ-სლვასა ზღვსა მის მეწამულისასა* (ფს. 105,7). *უბრძანა მათ წიალ-მოსლვად წიალ ზღუასა* (მთ. 8,18). როგორც ბოლო მაგალითში გამოჩნდა, ამავე შინაარსს გამოავლენს **წიალ** ზმნიზედის ხშირი გამოყენება: *წარვიდა იესუ წიალ ზღუასა მას გალილეადთ კერძო* (ი. 6,1). *არლარა დავემკვდროთ მათ შორის წიალ იორდანესა* (რიცხ. 32,19 G).

ასეთსავე შინაარსს აჩვენებს **წიალ** ზმნიზედისგან წარმოქმნილი სხვა ზმნიზედები:

წიალკერძო „გაღმა, იმ მხარეს“: *განანქრინეს იგინი წიალკერძო მდინარესა მას* (3 მეფ. 14,15 O); როგორც მსაზღვრელი სახელი - „გაღმითი, გაღმითური“: *მოვიდეს შენ ზედა ერი მრავალი წიალკერძონი ზღვსა* (2 ნშტ. 20,2 M).

წიალმოკერძო „გამოღმა, ამ მხარეს“: *ვითარ წიალმოკდა იესუ მერმე წიალმოკერძო* (მარკ. 5,21 C).

8 საყურადღებო ფაქტია, რომ ხანმეტ პერიოდშივე დასტურდება **უკუნა** ვარიანტი (**უკუე** ზმნიზედის ანალოგია?): *მრავალნი ხიყვნენ პირველნი უკუნა და უკუნანი წინა* (მ. 19,30) (ხანმ. ტექსტ. 1984).

მაგრამ დასტურდება შემთხვევები, როდესაც **წიაღ-** კონტექსტი „წყლის“ შინაარსს არ შეიცავს. მაგალითად, გამოსლვათა წიგნში ფარაო ებრაელთა დევნისას მათ ზღვის ნაპირას დაბანაკებულთ წააწყდება, ეს მცხეთურ ვერსიაში ასე წერია: და სდევდეს მეგვიპტელნი შემდგომად მათსა და პოვნეს იგინი დაბანაკებულნი ზღვს კიდესა, და ყოველი ცხენი და ეტლეუნი ფარაოჲსი და ცხენნი მათნი და ლაშქარი მისი წინაშე ეპავლეოჲსა, პირისპირ ვეელსეფონსა (გამოსლ. 14,9). შესაბამისი ადგილი ომკურ ხელნაწერში: „პოვნეს... **წიაღ ღელესა მას**“.

როგორც ვხედავთ, არც ეტლოსანი ეგვიპტელები მოსულან ზღვით და, მით უფრო, არც უდაბნოდ მავალი ებრაელები. აქ ამკარად მითითებაა „ზღვის უბეზე“, რაც, ცხადია, უნდა დაგუკავშიროთ **წიაღ-** ერთეულის იმ მნიშვნელობას, რაც ი. იმნაიშვილის განმარტებით უდრის „კალთას, უბეს“, ხოლო ილ. აბულაძის მიხედვით – „იღლია, კალთა“: არა განივსის... **წიაღი**, რომელი შეჰკრებნ მჭელეულეებსა მისსა (ფს. 128,7); საწყაული შეხრილი და დატენილი... მოგეცეს წიაღთა თქუენთა (ლ. 6,38); მიიყვანა იგი ანგელოზთაგან **წიაღთა** აბრაჰამისთა (ლ. 16,22); რომელი იყო **წიაღთა** მამისათა, მან გამოთქუა (ი. 1,18)...⁹

არც იაკობისა და ლაბანის ეპიზოდში ჩანს **წიაღ-** ზმნისწინი დაკავშირებული „წყალთან“: და ჰრქუა ლაბან იაკობს: აჰა, ბორცვ ესე და ძეგლი, რომელი დავაფუძნით შორის ჩემსა და შორის შენსა. იყოს მოწამედ ბორცვ და მოწამედ ძეგლი, რამეთუ არცა მე **წიაღ-მოვიდე** (O: წიაღ-მოვკდე; AKS: წიაღ-ვკდე) ძეგლსა ამას და ნურცა შენ **წიაღ-მოხუალ** ჩემდა ბორცუსა ამას და ძეგლსა ბოროტებით (შესაქ. 31,51-52 მცხეთ.).

არც „ცასთან“ დაკავშირებულ მოქმედებაში: არა არს ვითარცა ღმერთი საყუარელისა, რომელი **წიაღ-ჯდის** ცად შემწედ შენდა და დიდად შუენიერებითა სამყაროსა მისისა (სჯულ. 33,26 DES; შდრ. მცხეთ.: აჯდეს; B: აჯდის).

არც „სულის ამოსვლასთან“ დაკავშირებით: და სცა იოაბ უბესა ზეჩამოშართ და გარდამოყარნა ნაწლეენი მისნი და მუნთქუესვე **წიაღ-ჯდეს** სულნი მისნი (2 მეფ. 20,10 FS).

აღნიშნული გვამღევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ **წიაღ-** ერთეულის ამოსავალი სემანტიკა „წყალს“ კი არ უნდა უკავშირდებოდეს, არამედ – „სიღრმეს“. **წიაღ-** სიღრმის გადალახვის შინაარსის შემცველია და ის თავისი შედგენილობით, ასევე, ზმნიზედისა და ზმნისწინის კომბინაციით ჩანს მიღებული: **წინა + აღ -> წინაღ -> წიაღ**-. ამ სტრუქტურის გამარტივება ბევრად უფრო ადვილი ასახსნელია, ვიდრე *წყლის-აღ- კომბინაციისა. ნიშანდობლივია, რომ ზმნისწინების აუსლაუტის სონორები ძველ ქართულშივე იწყებენ გაქრობას: **გან -> გა-, წარ -> წა-**,

9 სრულიად ნათელია, რომ **უბე** და მისი ვარიანტი **უბე** ფარავს იმავე მნიშვნელობებს, რასაც **წიაღ-**, შდრ.: დამკვდრებულ არიან **უბესა** ქუეყანისასა (1 ეზეკ. 38,12); ზატი მათ ზღვს-ქალთად ვიდრე **უბედმდ** კაცისად არს (ფიზ. 16,17).

აგრეთვე: **გარდა-** > **გადა-**. **გან-მო-** ძველ ქართული აღარც გვხვდება (/ ნმ/ კომბინაციის გამო), მაგრამ უამისოდაც ამ ზმნისწინის გამარტივება ადრიდან დასტურდება: **გავიწმიდოთ გუამი** (ატენის სიონის წარწერა, მე-8-9 სს); **ერთი-ერთსა ვერ გაეშორიან** (სინ. მრ. 141,10-11); **რომელი არავინ გავლო** (იქვე 199,15); **გავედ მაგისგან** (ლუკა 4,35 C); **ჰერთა მეფეა გააქცია** (ერედვის წარწერა)... შდრ. აგრეთვე ზემოთ **უკუან-/უკუნ-** ზმნიზედის გამარტივება: **უკუ**.

წინ-აღ- კომბინირებული სემანტიკის გააზრება გულისხმობს „წინ-მდებარე სიღრმის (ღრმული) დაბრკოლების გადალახვას **აღსვლით**“, ე.ი. „სიღრმის **წინააღმდეგობა**“ მარკირებულია **აღ-** ზმნისწინის დართვით, ანუ სიღრმიდან პირვანდელ დონეზე დაბრუნებით (**აღსვლით**). საოპოზიციო გააზრებისათვის შდრ. **გარდა-** ზმნისწინი, როგორც კომბინაცია **გარე-და-** < **გან-რე-და-** ერთეულებისა, რომლის დროსაც „სიმაღლის წინააღმდეგობის“ გადალახვა მარკირებულია **და-** ზმნისწინით, ანუ სიმაღლიდან პირვანდელ დონეზე დაბრუნებით (**დასვლით**).

ამგვარი სტრუქტურა - ზმნიზედა **წინა** + ზმნისწინი - საკმაოდ პროდუქტული ჩანს ძველ ქართულ მწიგნობრულ სიტყვაწარმოებაში. კერძოდ, ამგვარი კომბინაციაა **წინა-წარ-**, რომელიც განსაკუთრებით **წინა-წარმეტყუელ-** ცნების წარმოქმნაში ვლინდება. წინასწარვე უნდა ვთქვათ, რომ ამ რთული წარმონაქმნის გააზრება, როგორც **წინასწარ** ზმნიზედისა და **მეტყუელ-** მიმღეობის შეერთებისა ისტორიული თანამიმდევრობის აღრევას. საქმე ის არის, რომ ეს ფორმა უადრეს პერიოდში დასტურდება როგორც **წინაწარმეტყუელ-** ი. მაგალითად ხანმეტი ოთხთავის ტექსტებში მხოლოდ ამ ფორმითაა: **წინაწარმეტყუელი** - 23-გზის:

არა არს წინაწარმეტყუელი შეურაცხ (მ. 13,57); რამეთუ ვითარცა წინაწარმეტყუელი [ხეყრა იგი] (მ. 14,5); ვითარცა წინაწარმეტყუელი ხაქუნდა იგი მას (მ. 21,46); რომელნიმე ხიყვნეს წინაწარმეტყუელ (მრ. 8,28); რამეთუ წინაწარმეტყუელი ხიყო (მრ. 11,32); რამეთუ ვერ ხეგების წინაწარმეტყუელი (ლ. 13,33); ესე არს ჰემმარიტად წინაწარმეტყუელი (ი. 6,14); წინაწარმეტყუელსა თვსსა სოფელსა პატივი არა ხაქუს (ი. 4,44); რამასა გამოხუდით ხილვად წინაწარმეტყუელისა (მ. 11,9); ჰე, გეტყვ თქუენ და ხუმეტჱს ხოლო წინაწარმეტყუელისა (მ. 11,9); აღხესრულოს თქუმული იგი წინაწარმეტყუელისა მიერ (მ. 27,35); აღხესრულოს თქუმული იგი ესაია წინაწარმეტყუელისა (მ. 12,17); ყოველნი წინაწარმეტყუელნი... წინაწარმეტყუელბდეს (მ. 11,13); რეგრე არს მჯული და წინაწარმეტყუელნი (მ. 7,12; 22,40); მოვავლინე თქუენდა წინაწარმეტყუელნი (მ. 23,34); მოხყვდენ წინაწარმეტყუელნი (ლ. 13,34); მჯული და წინაწარმეტყუელნი ვიდრე იოჰანწესამდე (ლ. 16,16); წინაწარმეტყუელნი მოწყდეს (ი. 8,52); ხიძიოს სისხლი ყოველთა წინაწარმეტყუელთა (ლ. 11,50); ერთი არა წარჯდეს მჯულისაგანი და წინაწარმეტყუელთა (მ. 5,18); ხაშწნებთ საფლავსა წინაწარმეტყუელთასა (მ. 23,29); ხეყვებით მათ თანა ზიარ სისხლსა მას წინაწარმეტყუელთასა

(მ. 23,30); ნამოზნი ხართ მკლველთა წინაწარმეტყუელთანი (მ. 23,31); სხუათა (თქვან): იერემია გინა ერთი წინაწარმეტყუელთაგანი (მ. 16,14).

პლუს **ცრუვ-წინაწარმეტყუელი**: ხეკრძალენით ცრუვ-წინაწარმეტყუელთა (მ. 7,15).

ბოლო ზმნური ფორმით **წინაწარმეტყუელეზა** 3-ჯერ:

სახელითა შენითა ვწინაწარმეტყუელეზდით (მ. 7,22); ყოველნი წინაწარმეტყუელნი... წინაწარმეტყუელეზდეს (მ. 11,13); წინაწარმეტყუელა თქუენთვს ესაია (მ. 15,7).

თუ რაოდენ დიდი ხნისაა ეს წარმონაქმნი, ეს ჩანს პირის ნიშნის დასმაში მთლიანი ფორმის წინ: ვ-წინაწარმეტყუელეზდით (მ. 7,22).

საგულისხმოა, რომ ამ წარმოების გვერდით დამოუკიდებლად უკვე არსებობს ზმნიზედა **წინაისწარ**.¹⁰

იგი **წინაისწარ** ბირებულ ხიყო დედისაგან თვსისა (მ. 14,8); რადთა არა **წინაისწარ** ხიწურთიდეთ (ლ. 21,14).

ეს იმას ნიშნავს, რომ პარალელურად არსებობს ზმნიზედის სადა და ფლექსიური ფორმები: **წინა** და **წინა-ის** ისევე, როგორც სხვა ზმნიზედებში: **უკუანა** და **უკუანა-ის/უკუან-ის**; **გუშინ** და **გუშინ-ის**, **მოღან** და **მოღან-ის**... (ლოკალურ ბრუნვებს არ ვეხებით, რადგანაც მათ შინაარსობივი დატვირთვა აქვს).

ამდენად, მეტი გარკვეულობისათვის, **წინაწარმეტყუელ**-ი თავისი პირველადი არსით „წინასწარ მეტყუელი“ კი არ არის (ეს გვიანი გადაზრების შედეგია), არამედ - „წინა წარმეტყუელი“¹¹; ანუ იგულისხმება, რომ ზმნიზედა (წინდებული) დაერთვის ზმნისწინიან ფორმას. **წინა-წარმეტყუელი** არის სტრუქტურული ანალოგი ბერძნული (სეპტუაგინტას) წინდებულით ნაწარმოები ტერმინისა πρῶτον (← πρὶ „წინ“ და φῶν „თქმა“), რისი კალკიცაა, ასევე, სლავ. про-рок (рок იგივე рек/реч „მეტყველება“).

შესაბამისად, **წარ-მეტყუელი** არის **წარ-იტყვის** ზმნის სასუბიექტო მიმღებობა. წ ა რ - ი ტ ყ ვ ი ს და **წარ-მეტყუელი** ფორმები ნაკლებად დასტურდება, მაგრამ ფაქტია: მღდელნი ყ^ალსა ზ^ა წარიტყოდიან ლ^აცვათა (H 1661, 87r, 24); ოდეს იგი დაჰკლვიდენ ლ^აცვათა წარიტყვის მღდელი ზუარაკსა მას ზ^ა (S-143, 79r, 3-4); ლოცვათა მათ... შეფიცებისათა წარვიტყვით მ^ათ ზ^ა (S-143, 78r, 2-3); და წარიტყოდა

10 კ. დანელია აღნიშნავს: „ერთადერთი ფუძე, რომელთანაც **წინა(ის)-წარ** ზმნისწინად გაიგება, არის **წინა(ის)წარმეტყუელი**. მართალია, ის აგებულებით ბერძ. πρῶτον ტიპისაა, მაგრამ ქართულში ძალიან ადრე (ბიბლიის თარგმნამდე) უნდა არსებულიყო, რადგან ორგანულ, მარტივფუძიან სიტყვად აღიქმება და არა კომპოზიტად (ზმნიზ. **წინაისწარ** + მიმღ. **მეტყუელი**). ეს იქიდან ჩანს, რომ პირიელი ფორმები მარტივფუძიანის მსგავსად ეწარმოება: გვწინაწარმეტყუელეზდ ჩუენ (26,68); ვწინაწარმეტყუელეზდით (მ. 7,22) (და არა: წინაწარ-ვმეტყუელეზდით) (კ. დანელია 1998: 54).

11 ამას მიაწინებებს ბ. გიგინეიშვილიც (ბ. გიგინეიშვილი 2016).

უმცირესი იგი ხუთხუთსა ფსალმუნსა (მამისა მაკარისტვს მეგჳტელისა, ანბანური პატერიკი); შესაბამის მიმდებარეს სულხან-საბა ადასტურებს: **წარმეტყუელი** პირველ მთქმელი. ასევე, მათს რეალურობას ადასტურებს, ერთი მხრივ, **წარმო-იტყვის**: ჩემთა წიგნთა ზეპირით **წარმოიტყოდა** და განმძიმარტებდა (აგ. ძ., 1, 1954, გვ. 145) და **წარმომეტყუელი** („მომასწავებელი“ - ზ. სარჯვ.): საჩინოებისა გუარი ერთი იგი მსგავსებით **წარმომეტყუელი** (A=684 94v, 6-7); მეორე მხრივ, ამ ზმნათა სუპლექტივიზმის გათვალისწინებით: **წარ-თქუმა** (ესე ვითარცა **წართქუა**, ვიდოდა (ლ. 19,28); **წარ-თქუმული** (ითქუმის მისთვის, ვითარმედ **წართქუმულ** მის მიერ სამ ათასთა იგავთა და ხუთ ათასთა შესხმათა (შატბ. კრებ. 250, 32); **წარ-მთქმელი** (დღესა ერთსა, შესრულმან, ვედრებისა **წარმთქმელმან** წინაშე ხატსა... (ჯუანშ. 212,13); განსაკუთრებით: **წინააღწართქუმული** (მან მოაქსენა წინააღწართქუმული (A=689 198v, 25-26b) და **წინაწარმომთქუმელი** (ესოდენისა წინაწარმომთქუმელნი დღისათვის შემდგომობად სიტყვისა მივიდოდით (A=129 275r, 22-24a).

აშკარაა, რომ როგორც **წინა** ამოსავალია **წინააღ** ფორმისა, ასევე ზმნიზედისა და ზმნისწინის კომბინაცია **წინა-წარ** უსწრებს **წინააღ-წარ** კომბინაციას; შდრ.: და მეყსეულად აიძულა მოწაფეთა შესლვად ნავსა და **წინა-წარმღუანვად** მისა წიაღკერძო (მათე 14,22). **წინა-წარგიძლუე თქუენ** (მთ. 26,32 DE. C: წარგიძლუე);¹² რომელნიმე **წინაწარსწრობად** მოსწრაფე იყვნეს (აგ. ძეგ. 1, 19,2). მაგრამ უძველესი წყაროები ადასტურებს, რომ სწორედ მეორეული კომბინაცია გამონაწევრდა, როგორც დამოუკიდებელი ზმნიზედა; როგორც ვნახეთ, **წინააღწარ** ავტონომიური ლექსიკური სტატუსით უკვე ხანმეტ ტექსტებში ჩანს. თუმცა ერთეული შემთხვევა ამ სახით **წინაწარ** ფორმისაც დასტურდება, მაგრამ ის არ დამკვიდრებულა: უფალი განვიდეს **წინაწარ** შენსა (მსჯ. 4,14 G).

ახალი ზმნიზედა **წინააღწარ** უკვე დამოუკიდებლად იწყებს ზმნური წინდებულის ფუნქციის შესრულებას და წარმოიქმნება სტრუქტურები, რომლებშიც ის აშკარად დაუნაწევრებელი ოდენობაა და ზმნისწინებთან ახალ კომბინაციასაც იძლევა: **წინააღწარ-ღაღადება**, **წინააღწარ-მხილველი**, **წინააღწარ-ხედვა**, **წინააღწარ-შე-ცოდებული** და სხვ. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი ერთმანეთისაგან გავარჩიოთ ეს მეორეული ფორმები და პირველადი ზმნიზედების გამოყენების ისეთი შემთხვევები, როგორებიცაა უკვე წარმოჩენილი: **წინა-წარმეტყუელი** და **წინა-წარმავალი** (ვისი ხარ და სადა წარხუალ და ვისნი არიან წინაწარმავალნი ესე შენსა (შესაქ. 32,17 B). **წინა-წარმღუანებული** (ქრისტეს წინაწარმღუანებულნი იგი მსხუერპლნი, ყრმანი დაკლულნი, ღაღადებდეს (A=162 173v, 13-15a), **წინა-წარქცევა** (ნემტი იგი წინა-

12 ადიშური ვერსიის ჩვენება მოწმობს, რომ **წარგიძლუე** ფორმა აკმაყოფილებს შინაარსეულ დატვირთვას, ხოლო **წინა-** „ქარბი“ ელემენტი და მისი გაჩენა დედნისეული გავლენის შედეგი უნდა იყოს.

წარიქციეს (I ეზრა 1,56 ო). **წინა-წარსწრობა** (რომელნიმე წინაწარსწრობად მოსწრაფე იყვნეს (აგ. ძეგლ. II 19,2) და სხვ.

ამგვარად, **წინაჲსწარ** ფორმის ისტორია ავლენს ენობრივ ერთეულთა წარმოქმნის ერთ-ერთ მექანიზმს: რთული ფორმის რეინტერპრეტაციის შედეგად გარკვეულ მორფემათა კომბინაციის „გამონაწევრება“ არის სიტყვაწარმოების ერთი ფაკულტატიური საშუალება. წარმოდგენილი შემთხვევა, როგორც ჩანს, ამ თვალსაზრისით კერძო და იზოლირებული ფაქტი არ არის. წინდებულისა (ზმნიზედისა) და ზმნისწინის კომბინაციის რამდენიმე ამგვარი შემთხვევა შეიძლება დავაფიქსიროთ. უპირველესად, იგივე **წინა-** წინდებულის მონაწილეობით:

წინაშე: ეს ზმნიზედური კონსტრუქტი უადრეს ძეგლებში უფრო განმტკიცებული ჩანს, ვიდრე **წინა[ჲს]წარ**. ის იმავე ხანმეტი ოთხთავის გამოცემაში 28-გზის დასტურდება თანდებულის ფუნქციით: *დავრდომილ ხიყო წინაშე ბჭეთა მისთა და ქუე ძურებოდა* (ლ. 16,20); *ყწ რწ აღმთაროს მე წინაშე კაცთა, აღვთარო იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა* (მ. 10,32,33) და სხვ.

სრულიად აშკარაა, რომ **წინაშე**, მსგავსად **წინა[ჲს]წარ** ფორმისა, **წინა** ზმნიზედისა და **შე-** ზმნისწინის შერწყმაა. სხვა რამ მსგავსი ელემენტი ენაში არ გვხვდება. ანუ ეს კონსტრუქტიც მეტაანალიზის შედეგად ასევე უნდა გამონაწევრებულიყო ცალკე ენობრივ ერთეულად, ვთქვათ, ისეთი წინდებულიანი ზმნური ფორმისაგან, როგორიც შეიძლება ყოფილიყო **წინა-შე-**ვრდომა, ან **წინა-შე-**დგომა. უფრო პირველი შემთხვევა, ანუ **შე-უვრდების** გამოხატავს ამგვარ („შევარდნა, დავარდნა [მის წინ]“) შინაარსს (*შეუვრდა მუჯლთა პავლეს და შილასსაქ*, მოც. 16,29), ხოლო **შე-უდგების** - „გაყოლა, მიყოლა, მიდევნება“-ს (*შეუდგა კუალსა მის ყრმისასა* ფლკტ. 154,23). შესაბამისად, ამ უკანასკნელს სემანტიკურად უფრო ეთანადება **უკუანა** ზმნიზედა (*მკედრ შეუდგა უკუანა კუალსა მისსაშუმ*. 9,8), მაგრამ ***უკუანა-შე-** კონსტრუქტი არ რეალიზებულა.

თავად მორფემათმიმდევრობა **წინა-შე-დგომ-** არ იძლევა მისგან გამომდინარე ფორმების ორთოგრაფიულად გადამწყვეტი სტრუქტურირების შესაძლებლობას: **წინა-შედგომა**, **წინა-შემდგომი** თუ **წინაშე-დგომა**, **წინაშე-მდგომი** (თუ - **წინაშე** მდგომი)? ამ სახელზმნური წარმონაქმნების სემანტიკის გათვალისწინებით განმტკიცებულია დაწერილობა (ილ- აბულაძე): **წინაშე-მდგომარე** ახლოს მდგომი: *წინაშე-მდგომარე მან სიმრავლემან ერისამან დიდითა ოხრითა ამენი თქუეს* (პეტრე მოც. 47,32); **წინაშე-მდგომელი** მსახური, ზედამდგომი: *ჰრქუა წინაშე-მდგომელთა მათ* (ლ. 19,24); *უბრძანა წინაშე-მდგომელთა მათ პირსა ცემაჲ მისი* (საქ. მოც. 23,2); *მოვიდა... მზარაულთ-მოძღუარი* - *წინაშე-მდგომელი მეფისაჲ* (ო IV მეფ.25,8). ზ. სარჯველაძე ამ ფორმათა უდევისო დაწერილობას ირჩევს: **წინაშემდგომი** წინ მდგომი, მახლობელი. *განკვრდა მთავარი იგი და ყოველნი წინაშემდგომნი* (აგ. ძეგლ. I 326,36); **წინაშემდგომელთაგანი** წინამდგომთაგანი, ხელ-

ქვეითთაგანი. წარავლინა ერთი წინაშემდგომელთაგანი (აგ. ძეგლ. I 170,16); **წინაშემდგომელობა** წინმდგომობა. და ესე არიან, რომელნი სთნდეს მათ წინაშემდგომელობასა წინა დიაკონთასა (დიდი სჯ. 287,2). შდრ. ბიბლიის აკადემიური გამოცემა: და შეწირეს მთავართა ისრაელისათა, ათორმეტთა მთავართა სახლისა ტომობისა მათისათა, ესე იგი არს მთავართა ტომთასა, ამათ წინაშემდგომელთა ზედა-მსტურობისათა (რიცხ. 7,2 G). ივ. იმნაიშვილის დაწერილობით: **წინაშემდგომელ:** მე ვარ გაბრიელ, წინაშე მდგომელი პირსა ღმრთისასა (ლ. 1,19); ერთმან ვინმე წინაშე მდგომელმან იკადა მახვლი (მრ. 14,47); იწყო სიტყუად წინაშე მდგომელთა მათ (მრ. 14,69)...

თუ ამ შემთხვევებში **წინაშე** ერთეულის დამოუკიდებელი წინდებულობა ნაკლებ ეჭვს იწვევს, ასეთი ინტერპრეტაცია გამორიცხულია ამგვარ მაგალითებში (რაც განმარტებაშიც ვლინდება): **წინა-შემოკრება** წინასწარ შეკრება. ერთსახეობით წინაშემოკრებიან რიცხუნი ($A=684\ 59v$ აშია); **წინა-შემთხუევა:** და გამოვიდა ოგ, მეფე ბასანისაჲ, წინაშემთხუევად მათა (რიცხ. 21,33); **წინა-შესავალი** შესავალი. აჲ უკუე აწინდელმან ამან წინაშესავალმან სიტყვსამან (დიდი სჯ. 106,3). კონკრეტულმა გამოცემამ ზმნიზედის ასეთი პოზიცია შეიძლება დამოუკიდებელი დაწერილობით გვაჩვენოს: მკვეალი ვინმე წინა შემემთხვა ჩუენ (საქ. მოც. 16,16) და მისთ.

ასევე, წინდებული **წინა-** და ზმნისწინი **შე-** თავიანთი ავტონომიური სტატუსით უნდა გვექონდეს „**წინაშეგრდომა**“ ერთეულში. შდრ.: და გულსმოდგინე იყო უფროჲს ყოველთასა **წინა შესლვად** ეკლესიად და ყოველთა უკუანა ეკლესიით გამოვიდის (ცხ. საბ. /მამ. ცხ./ 8,18).

წინა წინდებულის **მო-** ზმნისწინთან შერწყმით ჩანს მიღებული **წინამო**, რომელიც ზმნიზედის შინაარსით არ დასტურდება, ის სრულად გასუბსტანტივებული ჩანს. ძველ ქართულში ნიშნავს: „ნედლი“, ნაყოფი უმწიფარი“. კრიბა მას (ვენაჲსა) შინა ნოჲი, საესსწ **წინამოითა** (IV მეფ. 4,39 O); ახალი ეტერი **წინამოი** გამოქუცნვილი... მოართუა (G ლევიტ. 2,14). ქეგლის თანახმად, საბას დამოწმებით, **წინამოს** 1-ლი მნიშვნელობაა: „შუბლის კიდიდან ლოყის გასწვრივ ჩამოშვებული კავი თმისა, - მაწაკი, ზილფი“. ხოლო მე-2 მნიშვნელობად: „წინა მხარე“. ერთგან ეს თეთრი მარმაშის ფარდა **წინამოსკენ** თითქოს განგებ აკეცილიყო (შ. დად.). შეიძლება ამ მნიშვნელობებს სავარაუდოდ ფარავდეს ძველი ქართულის ისეთი სტრუქტურები როგორიცაა: **წინა-მოკუეცილი:** აღხილვა ვყო... და ყოველთა ზედა წინა-მოკუეცილთა პირით კერძო მათით (1 იერემ. 9,26) და **წინა-მორბედი** „წინამავალი“: მოიწიოს შენ ზედა, ვითარცა წინამორბედი, სიგლაბაკს შენი (იგ. სოლ. 24,34 O)...

უთუოდ **წინამო-**ს ანალოგიით, მაგრამ იმავე სტრუქტურით დასტურდება „ვეფხისტყაოსანში“ **უკანამო** (თუმცა მისი რუსთველისეულობა საეგებოა): „გარეშემო მოეკვეცნეს უკანამო დალაღანი“ (1574,3).

მეორეული წინაშე ზმნიზედის მსგავსი აგებულებისა და წარმომავლობის ერთეულია **ქუეშე** (<- **ქუე** + **შე**-). **ქუე** მარტივი ზმნიზედის დამოუკიდებელი არსებობა უადრეს ძეგლებშივე ამკარაა: ლაზარე დავრდომილ ხიყო წინაშე ბჭეთა მისთა და ქუე ქურებოდა (ლ. 16,20 ხანმ.). ეს **ქუე** იქვე ზმნურ წინდებულადაც ჩანს გამოყენებული: ხყვანდა მათ თანა მკელობელები და ბრმები და ყრუვნი და ქუეწარმძრომელნი (მ. 15,30 ხანმ.). **ქუეწარმძრომელი** („საპყარი, კუტი“) იქვე „ქუეწარმავალს“ ნიშნავს და ეს დერივატიც ძველ ქართულში წარმოქმნილა: შეჭამნენ იგინი... **ქუეწარმავალთა ქუეყანისათა** (ოვსე 2,12 O). ამგვარი წარმოებისაგან გამონაწევრებულა იშვიათი ზმნისართული ფორმა **ქუეწარ**: და ქმნეს **ქუეწარ** მის ქუმეჯაკისა გარემო საულვეყლსა მას ყუავილ-გარდაფენილად მროწეულისა ყუავილისა (გამოსლ. 36,31 A). **ქუე** ზმნიზედისაგან მიღებული **ქუეშე** ძველ ქართულშივე გვხვს ზმნიზედად და, შესაბამისად, ცალკე მდგომ თანდებულად; შდრ.: ვიდრემდე დავსხნე მტერნი შენნი **ქუეშე** ფერტთა შენთა (მ. 22,44 ხანმ.); სართულსა ჩემსა **ქუეშე** შემოხუედ (მ. 8,8 ხანმ.). როგორც ვხედავთ, ბოლო მაგალითში ზმნიზედის მეორე ელემენტი და მომდევნო ზმნის ზმნისწინი თანხვედბა ერთმანეთს და ის გულისხმობს წინა (არაჭარბ) საფეხურს: **ქუე** შემოხუედ (ან, უკეთ: **ქუე-შემოხუედ**), რაც უნდა ყოფილიყო ბაზა **ქუეშე** ერთეულის წარმომქმნელი მეტაანალიზისათვის. შდრ.: არცა აღანთიან სანთელი და **ქუე-შედგია** იგი კვშირსა (მ. 5,15 C) - დადგან **ქუეშე** კვშირსა (DE)¹³. შდრ. ასევე: **ქუეშესადგმელები** მისი ოქროსაგან წმიდისა ჰქმნე (გამოსლ. 25,38 O).

როგორც მოსალოდნელია, **ქუეშე** შეიძლება გართულდეს „სააქეთო ორიენტაციის“ **მო-** ზმნისწინით და მივიღოთ **ქუეშემო**: და განსხნეს ორთავე მათ კერძოთა ბჭითა მის სამჭრისათა ქუეშემო კერძო მისა (გამოსლ. 36,27 O). მეორე მხრივ, **ქუე** ზმნიზედა გართულებულა **მო-** ზმნისწინით და მივიღეთ **ქუე-მო-** ზმნიზედა და შესაბამისი ზედსართავი: იყო შენ ზეშთა ყოველთა და არა **ქუემო** (II შჯ. 28,13 M); ნეტარ, რომელი მმად უსწრობს და მოვალს: **ქუემო** ანუ ზმნო (მ. ცხ. 97v).

ქუე ზმნიზედას ასევე შერწყმია **აღ-** მარტივი და **აღმო-** რთული ზმნისწინი და მივიღეთ ზმნისართული შინაარსის **ქუეაღ** და **ქუეაღმო** ფორმები: და ყოველთა მათ მკვდრთა სასართანისთა ქუეაღ ეზრავსსა ბეთსანიოგან ვიდრე აბელმაულდმდე და მაებერდამდე (III მეფ. 4,12 S); და დავადგინნეთ ქუეაღრე ადგილთა მათ უკუანა ზღუდე სამას სართულსა ქუეშეჴ (ნაუმ. 4,7 O); ილ. აბულადის მიხედვით: ქუეაღმო სამხრეთისა: და ვითარ განთენა, ქარმან ქუეაღმომან აღმოიღო მკალი (გამოსლ. 10,13 O). საგულვებელია არსებობა ამოსავალი ზმნური (სახელზმნური) კონსტრუქციისა: *ქუე-აღმო-მავალი. ძველი ქართულის **ქუეაღმო** ერთეულ მაგალითს განამტკიცებს შესაბამისი დიალექტური

13 ამ შემთხვევაში ადიშის რედაქცია ვერ მიიჩნევა ბერძნულის ასახვად; შდრ.: ὑπό τὸν μῦθον.

ლექსემა, ამ დიალექტებისათვის დამახასიათებელი ზმნისწინის მავარიანტი: **ქვეაღმა** (ხევს.), **ქრალმა** (მოხ.) „ქვენაქარი“.

კიდევ ერთი, ოღონდ იშვიათი ერთეული, რომელშიც **შე-** ზმნისწინი წინდებულთან ერთად ჩანს გამონაწევრებული, არის **თანაშე** ზმნიზება: „ახლოს“ (ზ. სარჯვ.): *უკუანა კერძო გზასა გზისდასავალიასა, ქუეყანასა ქანანისასა, დამკვდრებულსა მზისდასავალით კერძო, თანაშე დიოლლოლისა, მახლობელად მუხისა მალლისა* (გელ. ბიბლ. 239v, 14-18); ძველი ლექსი არს ქართული **თანაშე**, არა ჩუენი მოპოვნებული, ხოლო დაჰნიშნავს მახლობელობასა (იქვე, კომენტ.); რომელი დამკვდრებულ არს მზის დასავალით კერძო **თანაშე** გაღგალსა (II სჯ. 11,30 B).

როგორც კონტექსტებიდან ჩანს, ეს კონსტრუქტი გვიანდელი გამოვლინებისაა. ამ რეინტერპრეტაციის საბაზისო სტრუქტურა შეიძლება ყოფილიყო **თანა** წინდებულისა და **შე-** ზმნისწინის თანხვედრის არაერთი შემთხვევა:

თანა-შეზავება შეხამება, ამება. არა თანა-შეეზავა სარწმუნოება იგი მსმენელთა მათ (ჰებრ. 4,2).

თანა-შეწევნა დახმარება. თანა-შეწეოდა იგიცა (საკითხ. წიგნ. II 144,8); **თანა-შემწე**: თანაშემწენი ვართ თქუენდა (II კორ. 6,1).¹⁴

თანა-შერთვა აყვანა, შეერთება. თანა-შეირთენ მოძმე მოყუასი თვსი რიცხვსაებრ თავადისა (გამოსლ. 12,4 O); **თანა-შერთული**: ესე არა თანა-შერთულ იყო ზრახვასა მათსა და საქმესა (ლ. 23,51).

თანა-შეტყუებული შეერთებული. თანა-შეტყუებულნი (გულნი მათნი) სიყუარულით ყოვლისა მიმართ სიმდიდრისა (კოლ. 2,2).

თანა-შეყოფა: კუალად სხუად ვინმე მთავარი სარკინოზთა ერისად თანა-შეეყო არვესა მორწმუნეთასა (ცხ. სვიმ. არქ. 29,1).

თანა-შეკრვა დაკავშირება. შეაერთებს ყოველთა და თანაშეკრავს კიდეთა (A=684 83r, 22-23).

თანა-შეყოლა შეყოლა; მიდევნება. მოპოვნებასა სამღდელოთა გამოსახვასა თანაშეჰყვების ცთომადცა რადმე (A=684 95r, 25-27) და სხვ.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ასევე **შე-** ზმნისწინის წინდებულთან შერწყმით არის მიღებული ტერმინი **ზედაშე**, რომელიც ძველ ქართულ კანონიკურ წყაროებში დასტურდება: **ზედაშე** ჟამისწირვისას გამოსაყენებელი ღვინო. განაწესა წყლითა განზავებად ზედაშისა მის ღვინისა (მც. სჯ. 47,6); იმჭირვიდეს კკლესიისა საკუმეველსა და ზეთსა და სანთელსა, ზედაშესა და მხვშელსა (პეტრიწონ. 6,11). მართალია, კომბინაცია **ზედა + შე-** წყაროებში ხშირად არა ჩანს, მაგრამ რაც არის, იმის მიხედვითაც შეიძლება ვარაუდი მეტაანალიზისათვის ამოსავალი სტრუქტურისა - ***ზედა-შე-საწირავი**. ანალოგიური სტრუქტურები:

¹⁴ გავიხსენოთ ა. შანიძის შენიშვნა: „ძველად გვქონდა რთული ზმნა „თანა-შეწევნა“... პირიანი ფორმები ამ რთული ზმნისა არ შემოინახა, მაგრამ გვაქვს მიმღეობა „თანა-შემწე“ (რომელიც ამჟამად ერთად იწერება)“ (შანიძე 1980: &543).

ზედაშემოწერა შემოსაზღვრა. *რომელსა-იგი არა ერთსა, არცა ზოგთა ზედაშემოწერიეს* ნიჭი ესევეთართა მადლთა მოღებისაჲ (Ier.=9 60r, 3-6b) (ზ-სარჯვ.); **ზედა-შეცდომა** მიჭრა, მიმართვა. *აღიხუნეს კრმალნი და ზედა-შეუცდეს* (სნდ. 7,8) (ილ. აბულ.); **ზედა-შემოსვა**: და დაჰხუროდინ მას ზედა საბურველნი ტყავნი ჯაკინთონნი და **ზედა-შეჰმოსონ** მას ზედა სამოსელი ყოვლად-ჯაკინთონი ზედა კერძო და განუხუნენ აღსაღებელნი (რიცხ. 4,6 G).

ასევე **შე-** და **შემო-** ზმნისწინების **გარე** ზმნისართთან შერწყმით არის მიღებული დამოუკიდებელი ლექსემები **გარეშე** და **გარეშემო** (შემდგომი რედუცირებული ვარიანტი - **გარშემო**), რომლებიც უკვე ძველ ქართულ ტექსტებში ჩანს როგორც ზმნიზედები და შესაბამისი ზედსართავები: 1. „გარე“, „თჳნიერ“, „გარდა“, გარეთ, გარეგან: *ძმანი შენნი გარეშე* დგანან (ლ. 8,20); *შინაგან და გარეშე მოჰლესო* (გამოსლ. 25,11); *არარაჲ არს გარეშე* შთამავალი კაცისა (მრ. 7, 15). როგორც ზმნიზედა, ის, ცხადია, შეიძლება თანდებულის როლშიც მოგვევლინოს: *განვიდოდა გარეშე ქალაქსა* (მრ.11,19 DE). 2. „გარეწარი“, გარეგანი; საერო: *გასწმედთ გარეშესა* სასუმლისასა (მთ. 23,25); *გარეშენი* იგი ღმერთმან განიკითხნეს (I კორ. 5,13)... **გარეშემო** უფრო მოგვიანო კონსტრუქტი ჩანს: და *ოზია და ძმანი მისნი ვიდოდეს გარეშემო* კიდობნისა მის ღმრთისა (II მეფ. 4,24j); *კერძოდ წყრთისაჲ და მრგულივ მისა წყრთა გარეშემო* (ეზეკ. 43,17); და *ჰმონებდეს ყოველნი გარეშემონი* (III მეფ. 4,24j); და *თანა-აქუნდეს ძალი ყოველთა გარეშემოთა* ერთაჲ (ზაქ. 14,14).

ამოსავალი ზმნური სტრუქტურა ამ ერთეულების წარმოსაქმნელად შესაძლებელია, პირობითად, ყოფილიყო შემდეგი ტიპისა: **გარე-შე-** უცავ-ს, **გარე-შე-**ცვლი, **გარე-შემო-**ზღუდული, **გარე-შემო-**წერილი და სხვ; და **გარეშეველეს** *ქუეყანაჲ ედომისაჲ* (რიცხ. 21,4); და **გარეშეველოს** საზღვარმან ასემონაჲთ ნალუარევი ეგჳტისაჲ (რიცხ. 34,5); *რომელთა გარე-შეუცავთ* მათგან (ლევიტ. 25,44 G); და *შეჰყრობილი და გარეშეცული* სიყმილითა მოესრულოს (ეზეკ. 6,12); (*არიან*) **გარეშეზღუდვილნი** და *შეცეულნი* (A=684 28r, 6-7); *ტადარი შინაგანი და კუთხნი და ელამი გარეშემობაგულნი* (ეზეკ. 41,15 გელ.); *ღმერთსა აწინდელისა ამის ჟამისა თანა გარეშემოწერიეს* სულგრძელებაჲ (A=689 114r, 10-12b); *სიკუდილისა თავსმდებელსა და გარეშემოწერილსა* ბუნებასა ქადაგებენ სიტყვთ და გამოსახვით (მც. სჯ. 128,22-23).

გარემო ამგვარივე წარმომავლობისაა: **გარე + მო-** ზმნისწინი. ეს ერთეულიც რეალიზებულია ძველ ქართულში: 1. „მრგულივ“, ირგვლივ, გარეშემო: *ვიდრემდე მოხუთოვნო მას გარემო* (ლ. 13,8); *მოაჰკურა მოსე სისხლი იგი საკურთხეველსა მას გარემო* (ლევიტ. 8,24 O); 2. „გარემოფი“, მეზობელი: *მევენ ჩუენ საყუედრელ გარემოთა ჩუენთა* (ფს. 79,7). ამ ერთეულის ამოსავალი შეიძლება იყოს ისეთი ზმნური წარმოებები, როგორიცაა **გარე-მო-**ზღუდვილი, **გარე-მო-**ვლებული, **გარე-მო-**რტყმული, **გარე-მო-**ცვლი და მისთ.: *დაიპყრა დავით გარე-*

მოზღუდვილი იგი სიონისა (I ნეშტ. 11,5 O); ჟამი არს **გარემოპყრობილი-საჲ** და ჟამი განშორებად გარემოცვულისა მისგან (ევლ. 3,5); წელნი მისნი **გარემორტყმულ** ოქროთა, ოფაზითა (დანიელ. 10,5); **გარე-მოჰვლის** საზღვარი ვაალითგან ზღუად მიმართ (ისუ ნ., 15,10 G)...

უნდა ითქვას, რომ შემდგომი სემანტიკური გადაწევის შედეგია **გარემო** და **გარეშემო**(//**გარეშამო**) როგორც „მიდამო, არემარე, შემო-გარენი“ (ქეგლ).¹⁵

გარე ზმნიზედის სინთეზი **გან-** ზმნისწინთან გვაძლევს **გარეგან**, **გარეგან**-ი ერთეულებს: რომელნი **გარეგან** არიან ბუნებასა (მ. ცხ. 29v); და პოოს იგი მეძიებელმან სისხლისამან **გარეგან** საზღვართა ქალაქისა მისალტოლველისა მისისათა (რიცხ. 35,27 G); და ვიხილე მარჯუენით საყდარსა ზედა მჯდომარისა მის წიგნი, დაწერილი შინაგან და **გარეგან**, დაბეჭდული ბედიტა შვდითა (გამოცხ. 5,1 G); და დაჰმა უფალმან ღმერთმან **გარეგნით** მისსა კიდობანი(შესაქ. 7,17); დადგა კარსა **გარეგნით** (მ. ცხ. 306v); ნუ სცთები, მეფე, რამეთუ ესე შინაგანი უკუე თიკა არს, ხოლო **გარეგანი** რვალი (დანიელ. 14,7 S); და ესრეთ ჰყო ძგიდისაგან **გარეგანისა** ეზოჲსა შესაკინძველად მეორისა (გამოსლ. 26,4 S).

შესაბამისი ზმნური საბაზისო სტრუქტურა ამგვარი წარმონაქმნისათვის შეიძლება ყოფილიყო მსგავსი შემდეგი მაგალითებისა: და იგი უცხოქმნულნი **გარე-განკადეს** სიმრავლესა მას ერისა მის ნატყუენავისასა (ეზრა I 9,4 O); **გარე-განვიდის** გარე და მასვე იტყვნ (ფსალ. 41,6); შევიდა იგი **გარე-განსავალთა** და დაჯდა იგი მუნ შინა (ლიმ. 20,26). სადაც არის **გარე-განსავალი**, იქვე იქნება **გარე-განსლული**, ანუ **გარეგანი**.

ორმარცვლიანი მარტივი ზმნისწინი **გარდა-** წარმომავლობით ამგვარივე ზმნისართული შემადგენლობისა ჩანს: <- **გარე** + **და-**. ამიტომაც დამკვიდრებულა ის ცალკემდგომი თანდებულის, ანუ ზმნისართული სტატუსით (მნიშვნელობის გადაწევით): **გარდა** „გარეშე“ (საბა: „მისგან კიდე“). და არა იხარებდა მკვევალი შენი დღეთა შუებისა ჩემისათა **გარდა**

15 ზმნისართული გამონაწევრება **მი-და-მო-** ზმნისწინთა კომბინაციასაც სჩვევია. მართალია, მას ხშირად ზმნის პრევერბულ ნაწილად წერენ: სივლტოლად და **მიდამომალვად** იყო ყოვლისა კაცისად (მოქც. 118,26) (ზ. სარჯ.). ვითა გრიგალი **მი-და-მოიქცეოდა**, თვთ გოლიათებრ მიჰმართებდა და მკლავითა მტკიცითა დაამკობდა ახოვანთა (დავითის ისტ. თხზ. 173/312). უმჯობესია ზმნისართული გამოცალკევება, როგორც ამას აკეთებს ბ. გიგინეიშვილი: სივლტოლად და **მი-და-მო** მალვად... (შატბ. კრ. 334,19). „ვეფხისტყაოსანში“ ჩანს ზმნისწინთა ეს კომბინაცია და მისგან მიღებული **მიდამო** არსებითი სახელიც: ვითა კაკაბი არწივსა ქვეშე, **მი-და-მო** ძრწებოდა (232,2); დააგდე ჩემი **მიდამო**, სრულად მიკრიფე, მი-, რითა (1108,2). **მიმო-**ს ამგვარი გამომიჯვნა ადრინდელ წარმოებებშივე უნდა ჩანდეს, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც შესაბამის ზმნას სხვა ზმნისწინიც უჩანს: რადთა უკ-მოიღო მიმო-და-წარმღუანებულეზი იგი წიგნები ჰამანისი (ესთერ. 8,3 O). **მიმოგანითქუას** საკსენებელად მაგისა (მრ. 14,9); **მიმოდაისტუანვიდა** იესუ, რადთამცა იხილა (მრ. 5,32)...

შენდა მიმართ, უფალო (ესთერ. 4,17 O); არა არს მისი ცხოვრება, გარდა თუ მიუპყრას მას მეფემან ოქროსა კვერთხი (ესთერ. 4,11 S). თანდებულის სტატუსით უფრო ხშირია **მო-** ზმნისწინით გართულებული იგივე ზმნისართი: *კმა იყო ზეცით გარდამო და თქუა* (მთ. 3,17); *მრავალთა განსაცდელთა ჰხედავენ მთით გარდამო* (მ. სწ. 117,21); *ვითარცა მიწაჲ ცით გარდამო დამოცვოდის* (2 სჯ. 28,24). შდრ.: არა დედაკაცმან ერთმან ნატეხი საფეკილისაჲ **გარდამოსტყორცა** ზღუდით **გარდამო** (2 მეფ. 11,22 O).¹⁶

გარე-წარ- ასეთივე სტრუქტურული წარმონაქმნი ჩანს, როგორც ბ. გიგინეიშვილმა „ქართული ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ ივარაუდა (გიგინეიშვილი 2016). ილ. აბულაძის მიხედვით, **გარეწარი** „გარეშე“, გაგდებული; მდაბიო; უპატიო, ზედმეტი: *თქუენდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლოჲ იგი სასუფეველისა მის ღმრთისაჲსაჲ, ხოლო მათ გარეწართა (გარეშეთა DE) იგავით სიტყუად* (მრ. 4,11); *საქმე სულისაჲ იყო საქმედ ჩუენდა, ხოლო კელთ-საქმარი გუაქუნდა გარეწარად* (მ. ცხ. 242v)... ფორმის ზმნიზედურ შინაარსს აჩვენებს მისი გამოყენება წინდებულად: *რომელმან გარეწარ-ყოს სასმენელი არა სმენად შჯულისა* (იგ. სოლ. 28,9 O); არა **გარეწარ-ვჰყოფთ** მოძღურებასა (მრთ. D, ოქრ.-პეტრე და ელია 312). ქართული ენის განვითარების ახალი პერიოდის დასტურებს იმას, რომ **გარე-წარ-** წარმონაქმნის ამოსავალი შინაარსი ჯერაც შენარჩუნებულია: *[კიკო] ოჯახზე გულაგარდნილი და გარეწარი, ამბობდა...* (აკაკი); *არ უღალატოს ხევსურეთს, - იაროს გარეწარადა* (ვაჟა). ამოსავალ (წარმომქმნელ) ზმნურ კონსტრუქციად შეიძლება ვივარაუდოთ „**გარე-წარ-სლვა**“: *განვლეს საზღვარნი და გარე-წარვიდეს* (ისუ ნ. 18,14 M)...

ზმნისწინიან საუღლებელ ფორმებზე (და მათს სახელზმნებზე) წინდებულების (ზმნიზედების) დართვის შედეგად აღნიშნული მეტა-ანალიზის, ანუ ამ კომბინაციით მიღებულ ფორმათაგან ახალი ენობრივი ერთეულების გამონაწევრების შემთხვევები, როგორც ჩანს, საკმაოდ სისტემური ხასიათისაა. კერძოდ, ამგვარი წარმოშობისა უნდა იყოს:

ზეგარდამო: ილ. აბულაძის ლექსიკონში ორი მნიშვნელობით არის ფიქსირებული - ზმნიზედად და, ჩვეულებრივი ტრანსპოზიციის წესით, ზედსართავის (ან არსებითის) როლში: 1. „ზეციდან, ზემოთგან“: *არა თუ ვინმე იშვეს ზეგარდამო, ვერ შევიდეს სასუფეველსა ღმრთისასა* (ი. 3,3

16 გამოცემათა დაწერილობაში ხშირად ჩანს სამიხეობელ ერთეულთა ორთოგრაფიის, ანუ გრამატიკული სტატუსის გაგების პრობლემა; შდრ.: ცით **გარდამო** ისმა *კმაჲ მისი სასწაულად შენდა* (2 სჯ. 4,36 მცხეთ.) – B: ცით **გარდამოისმა**... „არამედ ამას ყოველსა ზედა-ვსძლოთ ჩუენ...“ (რომ. 8,37) კონტექსტთან დაკავშირებით კ. დანელია აღნიშნავს: „ხელნაწერების მიხედვით ძნელი გასარკვევია, „ზედა“ თანდებულად არის გაგებული თუ ზმნის ნაწილად. ამ სიტყვის ტექსტში გატარებული დაწერილობა კონტექსტის გაგებას შეეფერება (*ὑπερνικᾶμεν*) (პავლენი, გვ. 26).

ც); მომმადლე მე **ზეგარდამო** წარწყმედული ჩემგან ნათელი (ფლკტ. 138,23); აღასრულნა ყოველნი მცნებანი, რომელი ებრძანა მას **ზეგარდამო** (მ. სწ. 298,16). 2. „ზემო, ზეციერი“: ხოლო **ზეგარდამო** იგი სიბრძნე პირველად სიწმიდე არს, მერმე მშველობა (იაკ. 3,7); მოეცემიან კაცთა ნიჭნი იგი **ზეგარდამონი**, რომელსამე სიტყუა... (მ. სწ. 310,7). წყარო ამგვარი სტრუქტურული ტრანსფორმაციისა უნდა იყოს ისეთი ფორმები, როგორიცაა: ზეგარდამომავალი: **ზეგარდამომავალი** იგი ყოველთა ზედა არს (ი. 3,31); **ზეგარდამოსრული**: არა არს სიბრძნე ზეგარდამოსრული, არამედ ქუეყანისა (იაკ. 3,15); **ზეგარდამოხილვა**: მოელოდა წუთლა ოდესმე ზეგარდამოხილვად გარდამოვლინებასა გვრგვინთასა (A=129 101v, 36-38b).

რუსთაველიამახალზმნიზედურწარმონაქმნსაფიქსირებს **ზეგარდმო** ფორმით („ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა“), რაც შედეგი უნდა იყოს შემადგენელი ზმნისწინის შესაბამისი ისტორიული ცვლილებისა: **გარდამო-** > **გარდმო-** > **გადმო-**.

მეორე მხრივ, როგორც ჩანს, **გარდა-მო-** რთული ზმნისწინის ამოსავალი **გარდა-** დამოუკიდებლად ეწყვილებოდა **ზე** წინდებულს, რასაც უნდა მოეცა ლექსემა **ზეგარდა**. ეს ერთეული დაფიქსირებულია როგორც ადგილისა და ეკლესიის სახელი ქართლში (ზეგარდის წმ. გიორგის ეკლესია, მე-13 ს.); ამავე დროს, მას აქვს კონკრეტული ლექსიკური სემანტიკა: „ბაგაზე საქონლის დასაბმელი რკალის გადასაჭერი“ (გ. შატბ.); შდრ. სულხან-საბა ამ სიტყვას **ზედა** ზმნიზედის შემადგენლობით წარმოგვიდგენს: **ზედაგარდა** ზოხათ დასაბმელი გრკალი. ქიზიყურში **ზედაგარდ-**ი დასტურდება მნიშვნელობით - „საბელზე კვერის მოსაბმელი ხე, ჯოხი (ს. მენტ.). ამ (**ზედაგარდა**) შემთხვევაში შესაბამისი ამოსავალი ზმნური (სახელზმნური) წარმოება შესაძლებელია წარმოვიდგინოთ როგორც **ზედა-გარდა-**საცუმელი (რკალი). პირველ შემთხვევაში კი ის იქნებოდა „**ზე-გარდა-**ფენილი, **ზე-გარდა-**გებული“ ან მისთ.

ზეშთა: **ზე** ზმნიზედისა და **შთა-** ზმნისწინის სინთეზი **ზეშთა**, ხოლო მისი ფონეტიკური ცვლილებისა და, როგორც ჩანს, სემანტიკური გადაზრეების შედეგად მიღებული **ზესთა** (ეს უკანასკნელი, როგორც ჩანს, გააზრებულ იქნა როგორც **ზე** ზმნისართს დართული ბრუნვის ნიშანი -ს და მრავლობითის სუფიქსი -თა) დასტურდება ასევე ზმნიზედისა და ზედსართავის ფუნქციით¹⁷: ვითარცა უკორცო **ზეშთა** იქმნა ყოვლითურთ ჯორცითა (მ. ცხ. 175v); მენ **ზეშთა** ეწყობი და იგი არს ქუეშე მენსა (მ. სწ. 22,15); იშვა რა ბეთრონს **ზეშთასა** (წწყ. 106). ანალოგიური ერთეული წარმოქმნილა **შთა-მო-** რთული ზმნისწინის მონაწილეობითაც: **ზეშთამო** „ჩრდილო“. ქარმან **ზეშთამო**მან აღადგინის ღრუბელი (იგ.

17 დასტურდება ამ ზმნიზედის სხვა ფონეტიკური ვარიანტებიც: **ჟეშთა**, **ჟეშთა**. ვლინდება აგრეთვე შეკვეცილი ფორმით: **ზეშთ/ზესთ**.

სოლ. 25,25 ო). რა შეიძლება ყოფილიყო **ზეშთა** და **ზეშთამო** ლექსემათა პირველადი მნიშვნელობა, ნათელია, თუ შესაბამის ამოსავალ ზმნურ სტრუქტურებს წარმოვიდგენთ: **ზე-შთა-მავალ** ან **ზე-შთამო-მავალ**. ეს სტრუქტურები რომ რეალურია, ჩანს შემდეგი ფორმებიდან: ვინ არს ღმერთ, ვითარ შენ, აღმდებელი უშჯულოებათა და **ზეშთამავალი** უსამართლობა ნემშთა სამკვდრებელისა მისისათასა? (მიქია 7,18); უყუარნ მათ მწნისთაობაჲ ტაძრობასა და **ზეშთაჯდომაჲ** შესაკრებელთა შინა (მ. 23,6 C); რომელმან დაეაწესე ქჷშაჲ საზღუარად ზღვსა ბრძანებად საუკუნოდ და არა **ზეშთაჰჯდეს** მას (იერ. 5,22). თუ შეგვიძლია, რომ ამ სტრუქტურებში **ზე-** ელემენტი ზმნისწინისაგან ცალკე სტრუქტურულ ერთეულად წარმოვიდგინოთ, შემდეგ ფორმაში **ზეშთა-** უკვე ერთიანი ოდენობა ჩანს, რაკი ის სხვა (**გა-**) ზმნისწინით გაფორმებულ ზმნას დაერთვის: **ზეშთაგადაეცა** წყალი თავსა ზედა ჩემსა (გოდ. იერ. 3,54).

შიწა ზმნიზედის წინდებულად გამოყენების შედეგი უნდა იყოს წარმონაქმნები:

შიწაგან და **შიწაგან-ი**: **შიწაგან** იყვნენ ძველ მტაცებელ (მ. 7,17); ყოველნი ესე ბოროტნი **შიწაგან** გამოვლენ (მრ. 7,23); რომელმან გარეშე შექმნა, მანცა **შიწაგანი** შექმნა (ლ. 11,40); ცმელი ზედაკერძოჲ **შიწაგანთაჲ** (ლევიტ. 7,3 G).

შიწაგამო (და **შიწაფთაგამო**): მან მიუგოს **შიწაგამო** და ჰრქუას (ლ. 11,7); ესმინ მათ კმაჲ ერისაჲ, **შიწაგამო** შფოთი (ანტ. დ. 25r); მიმადგინა მე კარსა ზედა და მესმოდა **შიწაფთაგამო** კმაჲ კაცთაჲ (ლიმ. 60,6).

აღწერილი სტრუქტურის სიტყვათწარმომქმნელი უნარი საფუძველს გვაძლევს დავუშვათ, რომ **ზედაზე-**სა და **გარეწარ-**ის მსგავსად არის მიღებული ზოგი სხვა ერთეული; მაგ.:

წინგარდა: ხევს. სახლისათვის წინ მიშენებული ერთსართულიანი ნაგებობა; ამ ნაგებობის ბანი (ალ. ჭინჭ.). ამ სიტყვაში **წინ** ზმნიზედის არსებობა აშკარაა, **გარდა-** ზმნისწინი კი რომელიმე შესაფერისი ზმნის წინარე არსებობას უნდა ნიშნავდეს: **გარდა-**გებული, **გარდა-**ხურული თუ მისთ. (ანუ: **წინ-გარდა-**გებული და მისთ.).

წინდა: თუ დავუშვებთ, რომ ეს სიტყვა სამართლებრივი **წინდ-**ი ტერმინის ამოსავალი ფორმაა, შეიძლება ვივარაუდოთ მისი სტრუქტურული იგივეობა ზემოგანხილულ წარმონაქმნებთან, ანუ მისი შედგენილობა **წინ(ა)** ზმნიზედისა და **და-** ზმნისწინის სინთეზით, ხოლო ახალი დერივატის ამოსავალ ზმნურ (სახელზმნურ) ფორმად შეიძლება ვიგულოვოთ **წინ-და-**დება (**წინ-და-**დებული). **წინდ-**ი ტერმინის ანალიზისას საგულისხმო ვარაუდი აქვს გამოთქმული ივ. ჯავახიშვილს: „წ ი ნ დ ი ... „წინდებულის“ შეკვეცილ ფორმას ხომ არ წარმოადგენს?“ (ქართ. სამართლის ისტ., წ. II, ნაკვ. II, თბ. 1929, გვ. 292). ზემოთ აღწერილი სტრუქტურული კანონზომიერება შესაძლებლობას გვაძლევს მცირე (მაგრამ აუცილებელი) დაზუსტებით დავადასტუროთ ეს მინიშნება.

შეჯამების სახით შეიძლება გარკვეული სქემის სახე მივცეთ ქართული სალიტერატურო ენის ხანგრძლივი განვითარების პროცესში აქტიურად მოქმედი ზმნიზედა-წინდებულებისა და ზმნისწინების სინთეზისა და ლექსიკალიზაციის პროცესს:

ზმნსწ.	აღ-(მო)	გან-(მო)	გარდა-(მო)	და-(მო)	ზე-(მო)	შთა-(მო)	წარ-(მო)	მო-
ზმნა გარე		გარეგან		გარდა გარდამო	გარეზე გარეშემო /გარშემო/		გარეწარ	გარემო
ზე			ზეგარდა ზეგარდმო			ზეშთა ზეშთამო		ზემო
ზედა			ზედაგარდა		ზედაზე			
თანა					თანაზე			
უკუ/ ანა/		უკუანაგან					უკ/უ/ ანაწარ	უკუანამო უკუმო/ უკმო
ქუ	ქუელ ქუელდმო ქველმა				ქუეზე ქუეშემო		ქუეწარ	ქუემო
შინა		შინაგან შინაგამო						
წინა	წინალ		წინგარდა	წინდა	წინაზე		წინაწარ	წინამო

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბ. გიგინეიშვილი 2016 - ბ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2016.
2. კ. დანელია 1998 - კ. დანელია, უცხო ენათა გავლენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში. 4. ბერძნულ ადგილობრივ ზმნისწინთა გამოცემისათვის ძველ ქართულში. - მაცნე, 1981, # 2 (დამოწმებულია წიგნიდან: ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, ტ. 1, თბ., 1998).
3. ირ. ვეშაპიძე 1967 - ირ. ვეშაპიძე, ზმნისწინი ქართულ ენაში, თბ., 1967.
4. ივ. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, ზმნა ძველ ქართულში, ნაწილი II, მაინის ფრანკფურტი, 1996.
5. პავლენი, გამოსაცემად მოამზადეს ქ. მოწინიძემ და კ. დანელიამ, თბ., 1974.
6. ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
7. აკ. ურუშაძე, ძველი ბერძნული ენა, თბ., 1969.
8. ა. შანიძე 1973 - ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.
9. ც. ჩხეიძე, ტერმინ „წინასწარმეტყველის“ შესახებ. - კლიტე დავითისი, 2019, ოქტ.
10. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, თბ., 1929.

AVTANDIL ARABULI

ON THE STRUCTURAL NATURE OF PREPOSITIONS IN OLD GEORGIAN

Summary

In Old Georgian, spatial adverbs are actively used in the production of verb forms that in verb (and verbal noun) forms take the position of preverbs or the previous position of preverbs and express the corresponding spatial relations. The source of such prepositional forms is often apparent from the translated monuments, and it is an analogy to Greek prepositions (K. Danelia).

In terms of language development, it is noteworthy that the coexistence of such prepositions and preverbs, as a result of meta-analysis, has infrequently conditioned the formation of new adverbs and corresponding substantives. In particular, the synthesis of the following linguistic units (as a diagram) seems to be historically confirmed:

Preverb	ay-(mo)	gan-(mo)	garda-(mo)	ღა-(ძო)	še-(mo)	šta-(mo)	čar-(mo)	mo-
Adverb								
gare		garegan		*garda gardamo	gareše garešemo /garšemo		garečar	garemo
ze			zegarda zegardamo			zešta zeštamo		zemo
zeda			zedagarda		zedaše			
tana					tanaše			
uk̕u/ana/		uk̕uanagan					uk̕/u/anačar	uk̕umo/ uk̕mo
kue	kueay kueaymo kveayma				kueše kuešemo		kuečar	uk̕uanamo kuemo
šina		šinagan šinagamo						
čina	*činay		čingarda	*činda	činaše		činačar	činamo

ნინო კვიტაშვილი

მეცნიერებისა და სამეცნიერო ჟურნალისტიკის ენა

მეცნიერება შემეცნების ფორმაა, რომლის არსია ობიექტური სამყაროს კანონებისა და კანონზომიერებების შესწავლა. გერმანელი მეცნიერი ნიკლას ლუმანი მიიჩნევს, რომ „მეცნიერება არის ინსტიტუციონალიზებული, მრავალსაფეხურიანი სისტემა, რომლის მიზანია ცოდნის შეძენა-დაგროვება ობიექტური მეთოდებით. მეცნიერება თანამედროვე საზოგადოებაში საკუთარ ქვესისტემას ქმნის“ [Luhmann. N, 2005:25]. შეძენილი ცოდნა თაობიდან თაობას გადაეცემა და ინახება. მეცნიერულმა აზრმა, მოსაზრებამ საგანი (ობიექტი) ისე ზუსტად უნდა განსაზღვროს, რომ იგი სხვებმა ამოიცნონ (ინტერსუბიექტურობა); გარდა ამისა, სამეცნიერო კვლევის მიზანი უნდა იყოს სიახლე, გამორჩეული ხედვა, აღმოჩენა, ახალი მონაცემები. მეცნიერების ფუნდამენტური პრინციპებია: ობიექტურობა, უნივერსალობა და შემოწმებადობა.

ტერმინი „მეცნიერება“ ლათინური სიტყვისგან - scientia მომდინარეობს, რაც ცოდნას ნიშნავს. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი და მეცნიერი, არისტოტელე (ძვ.წ. 384–322), ერთმანეთისაგან განასხვავებდა პრაქტიკულ, თეორიულ და პოეტურ, შემოქმედებით მეცნიერებას. იგი თავის მონუმენტურ ნაშრომში „ფიზიკა“ მეცნიერების სწორედ ამგვარ კლასიფიკაციას გვაძლევს; მიიჩნევს, რომ „მეცნიერების ობიექტი ამოცნობადი, შეცნობადი საგანი უნდა იყოს. მაგალითად, არ შეიძლება არსებობდეს დრაკონების მეცნიერება, რადგან მისი ობიექტი არ არსებობს... სამეცნიერო ცოდნის მიზანია უნივერსალური, სამყაროსეული და აუცილებელი ჭეშმარიტების მიღწევა, რომელიც ყველგან და ყველა დროში ერთია, ანუ მეცნიერება მით უფრო ღირებულია, რაც მეტია მასში ჭეშმარიტების ანალიზი, განჭვრეტა“ [Aristotle, 1991: 89 -91].

მეცნიერების, განსაკუთრებით კი - ასტრონომიის, მათემატიკის, მედიცინის, ენათმეცნიერების განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა შუამდინარეთის უძველესმა ცივილიზაციამ. მესოპოტამიაში აღმოჩენილ ბაბილონურ თიხის ფირფიტაზე, რომელიც კოლუმბიის უნივერსიტეტის კოლექციაში ინახება და ძველი წელთაღრიცხვის მე-18 საუკუნით თარიღდება, გამოსახულია პითაგორას თეორემის ცნობილი სამეული (სამეული ისეთი ნატურალური რიცხვებისა, რომელთა პროპორციული ან ტოლი გვერდების სამკუთხედი მართკუთხაა), რაც მიაწინებს,

რომ ბაბილონელებმა პითაგორას თეორემის შესახებ მის აღმოჩენამდე ათასწლეულით ადრე იცოდნენ. „როცა უძველეს ცივილიზაციაზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ შუმერისა და ბაბილონის კულტურას, რომელიც მიჩნეულია კაცობრიობის ცივილიზაციის აკვნად. და მართლაც, თითქოს არ არსებობს კაცთა მოდგმის ცნობიერების არც ერთი სფერო (დამწერლობა, განათლება, პედაგოგიკა, ენათმეცნიერება, ისტორია, მედიცინა, სოფლის მეურნეობა, კოსმოლოგია, ეთიკა, მითოლოგია, მხატვრული სიტყვა და მისთ., რომელშიც შუმერულ-ბაბილონური მაღალი აზროვნების სხივი არ კიაფობდეს“ [ე. ჯაველიძე, 2020:13].

დროთა განმავლობაში, მეცნიერების განვითარებასთან ერთად, გაჩნდა ახალი მიმართულება, სამეცნიერო კომუნიკაცია - სამეცნიერო წრეების, მეცნიერების ურთიერთობა როგორც ერთმანეთთან, ასევე ფართო საზოგადოებასთან; ასე დაარსდა პირველი სამეცნიერო საზოგადოებები. მე-18 საუკუნეში შეიქმნა „წერილების რესპუბლიკა“ ცნობილი ფრანგი მოაზროვნის, პიერ ბეილის თავგაცობით, რომელიც „ევროპის ინტელექტუალთა გაერთიანებას წარმოადგენდა, მეცნიერები ერთმანეთს აცნობდნენ თავიანთ ნაშრომებს, სამეცნიერო იდეებს“ [B. Zivkovic, 2010: 4]. მოგვიანებით დაარსდა „მეცნიერთა რესპუბლიკა“ ფრანგი ფილოსოფოსისა და ფიზიკოსის, მარენ მერსენის ხელმძღვანელობით, რომელიც სამეცნიერო ინფორმაციის გავრცელების, გამოცდილების გაზიარების ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო და 80-მდე კორესპონდენტი ჰყავდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

სამეცნიერო ცოდნის, ნააზრევის გადმოსაცემად, აკადემიურ სივრცესა თუ ფართო საზოგადოებასთან საურთიერთოდ მეცნიერება იყენებს განსაკუთრებულ და თვითმყოფად სამეცნიერო ენას. არ არსებობს აზროვნება ენის გარეშე. მეცნიერების ენა განსაკუთრებულ, სპეციფიკურ ნიშანთა სისტემაა, რომელსაც სამეცნიერო ნაშრომებსა და პროფესიულ დისკუსიებში იყენებენ. ევროპულ სივრცეში მეცნიერების ენა საუკუნეების განმავლობაში, თითქმის მე-18 საუკუნემდე, ლათინური იყო (ამჟამად ლათინური ენა, ისტორიული რომის რესპუბლიკისა და რომის იმპერიის ძირითადი ენა, ქალაქ-სახელმწიფო ვატიკანის ოფიციალური ენაა, რომელიც მის ფარგლებს გარეთ მხოლოდ სამეცნიერო მიზნით გამოიყენება).

სამეცნიერო ენა პროფესიული ენაა, რომელიც ნიშანთა სპეციალურ სისტემას, ტერმინოლოგიას მოიცავს, მისი მთავარი მახასიათებლები ნორმირება და ფორმალიზებაა. მეცნიერების მთავარი მამოძრავებელი ჭეშმარიტების ძიებაა, ამიტომაც იყენებს ზუსტ, მიუკერძოებელ, ბუნდოვანებისაგან დაცლილ ენას. თუმცა რთული, ტერმინოლოგიით გადატვირთული ენა ყოველთვის არ არის სამეცნიერო ნაშრომის ავტარების განმსაზღვრელი; როგორც ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი მეცნიერი, ალბერტ აინშტაინი ამბობს: „ყველაფერი გენიალური მარტივია“. რთული ცნებებისა და ტერმინების, საკვლევი მოვლენების

ცხადი და მეტ-ნაკლებად გასაგები ენით გამოხატვა სამეცნიერო ენის ერთ-ერთი დანიშნულებაა. ამავდროულად, ფაქტია ისიც, რომ სამეცნიერო კვლევა-ძიების, აღმოჩენის ნამდვილი არსი და რაობა ერთეულებისთვის არის გასაგები, თუმცა მისი ნაყოფით მილიონები სარგებლობენ; ასეა მეცნიერების ყველა დარგში, ჰუმანიტარულსა თუ საბუნებისმეტყველოში.

„მეცნიერების ენა არის ცნებების, სიმბოლოების, ნიშანთა სისტემის ერთობლიობა, რომელიც შექმნილია მეცნიერებისა ან თუ იმსფეროს მიერ ცოდნის მიღების, კვლევა-აწილიზის, დაცვისა და გამოყენების მიზნით; ის შინაგანად დიფერენცირებული მრავალშრიანი წარმონაქმნია, რომლის სტრუქტურა და მოქმედება სამეცნიერო ცოდნის განვითარებისა და გადაცემის მიზნით განისაზღვრება. სამეცნიერო ენა წარმოიქმნება, ყალიბდება და ვითარდება, როგორც მოვლენათა გარკვეული რიგის შემეცნების გზა, ამ სპეციფიკას განსაზღვრავს მეცნიერების ან თუ იმ სფეროს თავისებურებები და მისი კვლევა-შესწავლის მეთოდები“ [Энциклопедический словарь «Слово о человеке», 2010 : 10].

განვითარების საწყის ეტაპზე მეცნიერება, ძირითადად, ბუნებრივი ენის ცნებებითა და კატეგორიებით საზრდოობდა, შესასწავლ საგანში მეტად ჩაღრმავებასთან ერთად კი იქმნებოდა ახალი თეორიები, რომელთაც სხვადასხვა მოვლენისა და აღმოჩენის აღმნიშვნელი ახალი ტერმინები დაამკვიდრეს.

მეცნიერები ცდილობენ სამეცნიერო ენაში თავიდან აიცილონ ბუნებრივი ენის ისეთი ნაკლოვანებები, როგორიცაა: ტერმინების მრავალმნიშვნელობიანობა, პოლისემიურობა, მათი ბუნდოვანება, სემანტიკის ორაზროვნება, რაც სამეცნიერო ენის სიზუსტესა და სიცხადეს უზრუნველყოფს. ის სიტყვებიც კი, რომლებიც მეცნიერებას ყოველდღიური საურთიერთო ენისგან აქვს ნასესხები: „ძალა“, „სიჩქარე“, „სიმძიმე“, „ვარსკვლავი“, „პლანეტა“ და სხვ., აქ მეტად ზუსტსა და ზოგჯერ პარადოქსულ მნიშვნელობასაც იძენენ. სამეცნიერო ენის თავისთავადი, სპეციფიკური შინაარსი შეიძლება ყოველდღიური ბუნებრივი ენის ნიშანთა სისტემითაც გადმოიცეს და საკუთარი სემიოტიკითაც. სამეცნიერო ენის წიაღში შემუშავებული ნიშანთა სისტემა მოიცავს ვიზუალურ სახოვნებასაც (მოდელები, სქემები, ფორმულები, გრაფიკული გამოსახულებები).

რაც შეეხება სამეცნიერო ენის სტილს, ის სალიტერატურო ენის ერთ-ერთი წამყვანი სტილია. ფუნქციური სტილი სალიტერატურო ენის გამოყენებაა საქმიანობის განსაზღვრულ სფეროში; შესაბამისად, ესა თუ ის ფუნქციური სტილი ირჩევს იმ ენობრივ საშუალებებს (მორფოლოგიური ფორმები, სინტაქსური კონსტრუქციები), რომელიც მის მიზნებსა და ამოცანებს შეესაბამება. არნოლდ ჩიქობავა სალიტერატურო ენის ფუნქციებისა და გამოყენების სფეროს განსაზღვრისას ენის სამი ფუნქციიდან: საკომუნიკაციო (ენა -ურთიერთობის საშუალება),

საექსპრესიო (ენა - აზროვნების იარაღი) და საობიექტივაციო (ენა - გარკვეული შინაარსის გამოვლინება-გადმოცემა) ძირითადად სწორედ საკომუნიკაციო ფუნქციას მიიჩნევს, დანარჩენი ორი კი, მისი აზრით, უშუალოდ თუ შუალობით ამ ფუნქციას ემყარება [არნ. ჩიქობავა, 1972:7-8]. სალიტერატურო ენის ფუნქციებზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ სალიტერატურო ენებს გამოყენების სფერო განასხვავებს ერთმანეთისგან... „ქართული ენის ლექსიკა ისე მდიდარი არასოდეს ყოფილა, როგორც ის ამჟამად არის, როცა ქართულად ენა აიდგა ყველა მეცნიერებამ, მათ შორის საბუნებისმეტყველომ და უმაღლესი მათემატიკის სხვადასხვა დარგებმა. ქართული სალიტერატურო ენა პოლივალენტოვანი სალიტერატურო ენაა“ [იქვე, 1972:10-13].

ამ მოსაზრებას ავითარებს გუჩა კვარაცხელია. „ქართული ენა პოლივალენტურია, ე. ი. მრავალმხრივი ღირებულების მქონეა მოხმარების თვალსაზრისით, და ეს ფაქტი უკუფენილია ქართული ენის ლექსიკურ ფონდში, რომელსაც მოეპოვება უაღრესად მდიდარი მასალა - ცხოვრების რაგინდარა მოვლენისა და ცოდნის რაგინდარა დარგის ცნებათა სახელწოდებანი“ [გ. კვარაცხელია, 1990 :3-4]. ისიც განსაკუთრებით გამოყოფს სამეცნიერო ენის როლს, მიიჩნევს, რომ სალიტერატურო ენის სასიცოცხლო უნარის განმტკიცებისთვის განუზომელი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ქართულად აიდგა ენა ყველა მეცნიერებამ.

ტრადიციულად, ფუნქციურ სტილისტიკაში 5 სტილს გამოჰყოფენ: სამეცნიერო, საქმიანი, სასაუბრო, პუბლიცისტური, ლიტერატურულ-მხატვრული. გ. კვარაცხელია ასხვავებს სამეცნიერო, ოფიციალურ-საქმიან, პუბლიცისტურ და სასაუბრო-ნიადაგსახმარ სტილს [გ. კვარაცხელია, 1990:12]. რაც შეეხება სამეცნიერო ფუნქციური სტილის მახასიათებლებს, ენათმეცნიერის თვალსაზრისით, მეტყველების სამეცნიერო სტილი მეცნიერების სფეროში ადამიანთა ურთიერთობას ემსახურება. იგი კომუნიკაციის ტიპიზირებულმა მიზანმა წარმოშვა. „სამეცნიერო სტილი წიგნურ სტილებს განეკუთვნება, რომელთაც ფუნქციონირების საერთო პირობები ახასიათებს: გამონათქვამის წინასწარ მოფიქრება, მონოლოგურობა, ენობრივ ერთეულთა მკაცრი შერჩევა და სწრაფვა ნორმირებული მეტყველებისაკენ“ [იქვე, 1990:15].

ამრიგად, სამეცნიერო ენის მახასიათებლებია სიზუსტე, ნორმირებული ენა, მეტალინგვისტიკა, ნაკლები ექსპრესია. ნ. კლუშინა გამოყოფს სამეცნიერო ენის ქვესტილებს, ქვესახეობებს: სამეცნიეროს, სამეცნიერო-სასწავლოსა და სამეცნიერო-პოპულარულს. სამეცნიერო სტილს ქმნის შემდეგ ნიშან-თვისებათა ერთობლიობა: გადმოცემის განზოგადებული, განყენებული მანერა; ხაზგასმული ლოგიკურობა; თხრობის მკაცრი თანმიმდევრულობა; აზრობრივი სიზუსტე; ინფორმაციულობა; მიუკერძოებლობა. რაც შეეხება ჟანრობრივ ნაირსახეობას, მას მიეკუთვნება სამეცნიერო შრომები, მოხსენებები, სახელმძღვანელოები, ლექსიკონები, სამეცნიერო-პოპულარული ლექციები.

ამავე ავტორის აზრით, არსებობს სამეცნიერო სტილის ჟანრების სხვადასხვა კლასიფიკაცია: „თუ მათი დანაწილების საფუძველია ისეთი კრიტერიუმი, როგორიცაა სამეცნიერო მასალის განზოგადების საკითხი, მაშინ გამოყოფენ პირველად სამეცნიერო შრომებს, რომელთა დანიშნულება იმ პირველადი სამეცნიერო ცოდნის, მონაცემების გადმოცემაა, რომელიც კვლევის პროცესში მქდავანდება და მეორეულს, რომლის ამოცანა კვლევის საბოლოო შედეგების გამომზეურებაა პირველადი სამეცნიერო ტექსტების დამუშავებისა და ანალიზის გზით“ [ნ. კლუშინა, 2018:6 -8].

სამეცნიერო სტილის ზოგადი ფუნქციაა საზოგადოებრივი ცხოვრების, ბუნების მოვლენების, პროცესების ახსნა, ამასთანავე, ზემოაღნიშნული ტექსტების თითოეული სახეობა კონკრეტულ საკომუნიკაციო-პრაგმატულ ფუნქციას ასრულებს. მისი ძირითადი მახასიათებლებია სიზუსტე, აბსტრაქტულობა, თანმიმდევრულობა და ობიექტურობა.

რაც შეეხება სამეცნიერო ენის მეტალინგვისტურ პრობლემებს, აზრთა სხვადასხვაობას იწვევს სამეცნიერო ტერმინების წარმოქმნისა და განვითარების საკითხი. მეცნიერთა ნაწილს უმართებულოდ მიაჩნია სამეცნიერო ტერმინების მკაცრი ლოგიკურ-ლინგვისტური პარამეტრებით განსაზღვრა, მიიჩნევენ, რომ „სამეცნიერო ენის სემანტიკასთან დაკავშირებით გერმანელი მეცნიერის, რუდოლფ კარნაპისა და სხვების ცნობილი კონცეფციები იქმნებოდა არა ინდუქციური მეთოდით, ანუ რეალური ფაქტების გააზრება - განზოგადებით, არამედ დედუქციურად, როგორც იდეალიზებული, სრულყოფილი სქემა“ [ვ. ნალიმოვი, 2008:1]. ჩვენი აზრით, უფრო მართებულია ტერმინოლოგიათა მრავალფეროვნების მეტად მიუკერძოებელი ანალიზი, განსხვავებული მიდგომა. მაგალითად, ამერიკელი მეცნიერი, აჩინშტეინი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ „სამეცნიერო ტერმინები, როგორიცაა „სპილენძი“, „ლითონი“, „ნახევარგამტარი“, „შენადნობი“ და სხვ., შესაძლებელია განვიხილოთ როგორც ევოლუციის გზით ნიშანთა მრავალგანზომილებიანი სისტემის კლასიფიკაციის შედეგად მიღებული ერთეულები და რომ მეცნიერების განვითარებასთან ერთად თავს იჩენს საგნებისა და მოვლენების ახალი ნიშან-თვისებები, რაც კლასიფიკაციის განახლებული, მეტად დახვეწილი სქემების გაჩენას მოითხოვს“ [ვ. აჩინშტეინი - 1968:2].

ენა აქტიურ როლს ასრულებს სამეცნიერო იდეების განვითარებაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი საკითხები, როგორიცაა მათემატიკის როლი მეცნიერებაში და ენის კოდირების სტატუსი. „ფილოსოფოსები ხშირად ერევიან ენათმეცნიერთა კომპეტენციაში, როცა, მათი აზრით, მნიშვნელოვან საკითხებსა და პრობლემებს შეისწავლიან“ [A. Ford and F.David Peat, 1988:2]. დანიელი მეცნიერი ნილს ბორი თავის ლექციებსა და ესეებში მუდმივად ხაზს უსვამდა ენის როლს მეცნიერებაში

და ადამიანის მიერ ბუნების აღქმაში. „სამეცნიერო კვლევა, - აღნიშნავს ბორი, - ფორმალური მხარის გარდა, მოიცავს არაფორმალურ დისკუსიებს, რომლის დროსაც ძირითადი ცნებებისა და კონცეფციების შესწავლა - გააზრება ხდება... ნებისმიერი განზომილების, ტერმინის არაორაზროვანი განმარტება უნდა მოექცეს კლასიკური ფიზიკის თეორიების ჩარჩოში; ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ, ენის თვალსაზრისით, ნიუტონისა და მაქსველის ენა რჩება ყველა დროის ფიზიკოსის ენად“ [M.I.I. Press, Cambridge, Mass 1968:24]. მოგვიანებით ამერიკელმა მეცნიერმა, დევიდ ბომმა უფრო სრულყოფილად გააანალიზა ენის როლი მეცნიერებასა და აზროვნებაში. მან გამოიკვლია, როგორ აისახება მსოფლმხედველობა მეცნიერების მიერ ენის გამოყენების გზებსა და ხერხებზე და ახსნა, როგორ ზემოქმედებს დაკანონებული, წინასწარ შექმნილი მზა ფორმებისა და რთულად აღსაქმელი ენის გამოყენება სამეცნიერო ნააზრევზე, შემოქმედებაზე. ამის მაგალითად კი მოიყვანა ორ დიდ მეცნიერს, ნილს ბორსა და აინშტაინს შორის აზრთა სხვადასხვაობის გამო ურთიერთობის გაწყვეტა, რისი მიზეზიც მათ მიერ კონკრეტულ ცნებებისათვის განსხვავებული მნიშვნელობის მინიჭება გახლდათ.

ახალიენის (Rheomode) შეთავაზებისას ბომმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, თუ რას მიიჩნევს საყოველთაო ენის ნაკლოვანებად და რატომ აღიქვამს მას სამყაროს მექანიკურ ხედვად [D. Bohm, 1980:86]. თუმცა ბომის მიერ შემოთავაზებული ახალი სადავო ენა ეწინააღმდეგება იმას, რასაც ლინგვისტები ხელოვნური და ე.წ. გაუმჯობესებული ენობრივი სისტემების ხარვეზად მიიჩნევენ. „ბომის კონკრეტული ხედვების შეჯერება მის ფართო ფილოსოფიურ ხედვასა და ლინგვისტების დღევანდელი შეხედულებებთან მხოლოდ მეცნიერებაში ენის როლისა და მისი გამოყენების ემპირიული კვლევის საფუძველზეა შესაძლებელი“ [A. Ford and F. David Peat, 1988:4].

სამეცნიერო ენის როლისა და გავლენის საკითხისადმი ტრადიციული მიდგომა ასეთია: ის პასიურ როლს ასრულებს და წარმოადგენს შუამავალ მექანიზმს, რომლის საშუალებითაც ხდება სამეცნიერო ინფორმაციის ურთიერთგაცვლა, თანამედროვე ტერმინოლოგიით, სამეცნიერო კომუნიკაცია. ახალი სამეცნიერო იდეის გამოხატვა ხდება სწორი შესატყვისების მოძებნის გზით. ამგვარი მიდგომა ენას წარმოადგენს როგორც ინფორმაციის გადამზიდავს, სამეცნიერო ნააზრევის შინაარსის მრავალფეროვნად აღმწერს.

სამეცნიერო ენის განვითარების პროცესს მიმოიხილავს, ენასა და აზროვნებას, სამეცნიერო აზრს შორის კავშირს აანალიზებს ალბერტ აინშტაინი 1941 წელს ბრიტანული ასოციაცია „მეცნიერების პროგრესისთვის“ მიცემულ ინტერვიუში, რომელიც შემდეგ მის შრომებში შევიდა: „განა არსებობს აზროვნება ენის გარეშე, სახელდობრ, ცნებები, იდეები და ცნებათა კომბინაციები, რომელთა გამოსახატავად საჭირო სიტყვები არ მოიძებნება? ნუთუ ნებისმიერი ჩვენგანი მოვლენის ასახ-

სწრაფად არ ვეძებთ სიტყვებს, მიუხედავად იმისა, რომ საგნებს შორის კავშირი უკვე გასაგები და ნათელია?“ [Advanc. of Science 2, no. 5, 1942: 13].

რაც შეეხება ენასა და აზროვნებას, აინშტაინი იქვე აღნიშნავს: „შეცდომა იქნებოდა, გამოგვეტანა დასკვნა, რომ ეს ორი მოცემულობა ერთმანეთისგან სრულებით დამოუკიდებელია. ინდივიდის გონებრივი განვითარება, აზროვნება, მის მიერ იდეებისა და კონცეფციების შექმნა-განვითარება მეტწილად ენაზეა დამოკიდებული. საერთო ენა საერთო აზროვნების სტილსაც მოიცავს. სამეცნიერო ენას თავისი მათემატიკური სიმბოლოებით უდიდესი წვლილი მიუძღვის ადამიანის აზროვნების განვითარებაში“ [Advanc. of Science 2, no. 5, 1942: 14]. ამ კონცეფციის თანახმად, ნებისმიერი სამეცნიერო პუბლიკაცია, ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართებიდან გამომდინარე, ერთდროულად სამეცნიერო აზრისა და სამეცნიერო ენის პროდუქტია.

სამეცნიერო აზრის, ცნებებისა და ენის ზოგადსაკაცობრიო ხასიათი იმითაა განპირობებული, რომ ისინი ყველა ქვეყნისა და დროის საუკეთესო მოაზროვნეთა მიერ არის შექმნილი. საუკუნეების განმავლობაში, ცალ-ცალკე, თუმცა საერთო ძალისხმევით მათ შექმნეს უზარმაზარი სულიერი მემკვიდრეობა, რამაც სამეცნიერო - ტექნიკურ რევოლუციას მისცა დასაბამი და ძირეულად შეცვალა კაცობრიობის ცხოვრება, განსაკუთრებით კი ბოლო საუკუნეებში. მათ მიერ შექმნილი ცნებათა სისტემა წარმოადგენდა ერთგვარ გზამკვლევს აღქმების ქაოსში, რათა ადამიანები ჩასწვდომოდნენ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს კერძო დაკვირვებების მეშვეობით.

მეცნიერების საბოლოო მიზანი სულიერი და მატერიალური პროგრესი, კულტურული მემკვიდრეობის შექმნაა, სამეცნიერო მეტოდი კი მხოლოდ საშუალებაა ამ მიზნის მისაღწევად. საბოლოოდ, კაცობრიობის კეთილდღეობა დამოკიდებული იქნება იმაზე, შეძლებენ თუ არა ერები და ინდივიდები საერთო მიზნების დასახვას, ერთობლივ სვლას განვითარების, კეთილდღეობისა და საკუთარი შესაძლებლობების სრულყოფისკენ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების გზით. ამ პროცესში სამეცნიერო ენას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. მეცნიერები კვლევის პროცესში მიღწეულ ცოდნას, მოვლენების ანალიზსა და დასკვნებს ენის საშუალებით გადმოსცემენ და თუ შესაბამის ენას არ გამოიყენებენ, ვერ მოახერხებენ კვლევის შედეგების, ნაყოფის საზოგადოებამდე მიტანას.

დღეს საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში ნაშრომები, უმეტესწილად, ინგლისურ ენაზე ქვეყნდება. ნაშრომის შექმნისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამეცნიერო ენის ისეთი ასპექტები, როგორიცაა თხრობის გრამატიკული დრო, სიცხადე, ლაკონურობა, სტილი. „სამეცნიერო ენა არ უნდა იყოს რთული, ღვლარჭნილი, რადგან ლიტერატურული ხერხების, მეტაფორების მოჭარბებულ გამოყენებას

ხშირად მთავარი სათქმელისგან გადააქვს მკითხველის ყურადღება. სამეცნიერო ტექსტი მოიცავს ფაქტებს, მონაცემებს, ჰიპოთეზებს, არგუმენტებს, ანალიზსა და სხვა მსგავსი სახის ინფორმაციას. მასში ნაკლებად უნდა იყოს შიშველი ემოცია, ემოციაზე დაფუძნებული არგუმენტი და პოეტიკა. სამეცნიერო ნაშრომი უნდა იყოს მაქსიმალურად ობიექტური, მიუკერძოებელი, ზუსტი, თუმცა ზოგი მეცნიერი შეჰყრობილია რთულ ენობრივი კონსტრუქციების გამოყენებით, მაღალფარდოვანი რიტორიკით, რადგან შიშობენ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, არასაკმარისად რესპექტაბელურად წარმოჩნდებიან, რომ ოპონენტები მათ ნაშრომებს სამეცნიერო კვლევის არასაკმარისი სიღრმის გამო გააკრიტიკებენ“ [Day, R. A. 1979:4].

სამეცნიერო ნაშრომების ენა განსხვავდება პუბლიცისტური თუ ლიტერატურული ნაწარმოების ენისგან; როგორც აღვნიშნეთ, ის ზუსტი, ფორმალური ენაა, რომელსაც საკუთარი წესები და დათქმები აქვს, რასაც მეცნიერები საყოველთაოდ იზიარებენ. გ. კვარაცხელია მიიჩნევს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ლოგიკურობა, სიზუსტე და სიცხადე მეტნაკლებად ყველა ფუნქციური სტილს ახასიათებს, ის განსაკუთრებით ორგანულია სამეცნიერო სტილისთვის, რადგან „ეს თვისებები საკუთრივ მეცნიერების მოთხოვნილებაა, მისი არსებობის საფუძველი“ [იქვე:16].

თუ მხატვრულ ლიტერატურაში მწერლები იყენებენ მეტაფორულ, ლირიკულ ენას, პუბლიცისტური ენა ადვილად გასაგები, პოპულარულია. სამეცნიერო ჟურნალისტიკა მედიამასალის შესაქმნელად, საინფორმაციო საბაზად სამეცნიერო ინფორმაციას, კვლევას, ამ სფეროში მიმდინარე მოვლენებს იყენებს. სამეცნიერო ჟურნალისტიკის ერთ-ერთი ამოცანაა სპეციფიკური, ხშირად ტერმინოლოგიით გადატვირთული სამეცნიერო ინფორმაცია, ტექსტი სამეცნიერო-ტექნიკური ენისგან განსხვავებულ, პოპულარულ ენაზე გადასცეს ფართო საზოგადოებას.

თვითონ ტერმინი „სამეცნიერო ჟურნალისტიკა“ დღემდე აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. მეცნიერება, როგორც სოციალური ინსტიტუტი, სამეცნიერო საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებას აერთიანებს და ურთიერთობის, კომუნიკაციის საკუთარი საშუალებები აქვს. „ტერმინებს „სამეცნიერო“ და „სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალისტიკა“ ხშირად სინონიმებად მიიჩნევენ და იყენებენ ინფორმაციული სივრცის იმ სეგმენტის აღსანიშნავად, რომელიც სამეცნიერო საქმიანობას ასახავს, რაც, არაკანონზომიერია. მათ განსხვავებული ფუნქციები აქვთ, მიზნები და საქმიანობის მეთოდოლოგია აქვთ“ [BECTH. MOCK. YH-TA. CEP.10. ЖУРН. 2009:6]. მედიამკვლევარის, ს. სუვოროვას აზრით, სამეცნიერო ჟურნალისტიკის მიერ გამოყენებული კომუნიკაციის საშუალებები არ შედის მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა სისტემაში, თუმცა საერთო ტექნიკურ ბაზას ეფუძნებიან. მისი დანიშნულებაა მეცნიერების, როგორც სოციალური ინსტიტუტის, მთლიანობის, ავტონომიურობისა და საიმედოობის უზრუნველყოფა.

სამეცნიერო სფეროში ურთიერთობის მთავარი საშუალებებია არა მხოლოდ სამეცნიერო დარგების მიხედვით სპეციალიზებული სამეცნიერო ჟურნალები, არამედ სხვა სამეცნიერო-კვლევითი გამოცემები: სამეცნიერო შრომების კრებულები, მონოგრაფიები, ბროშურები, სამეცნიერო კონფერენციის თეზისები და სხვა. სამეცნიერო გამოცემები და სამეცნიერო პერიოდიკა სამეცნიერო საქმიანობის იარაღი, ინსტრუმენტი და შედეგია, რომელიც საშუალებას აძლევს მეცნიერს, ღრმად და მრავალმხრივად შეისწავლოს სამეცნიერო პრობლემები, თუმცა არ ექვემდებარებიან ოპერატიულ ჩართვას სოციალურ კონტექსტში. სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს სამეცნიერო კომუნიკაციის ერთგვარ კამერულობას, რაც სამეცნიერო თვალსაზრისის თავდაპირველად აკადემიურ წრეებში განხილვის საშუალებას იძლევა, სანამ მისი ფართო საზოგადოებაში გავრცელება დაიწყება. სწორედ აუდიტორიის ფაქტორი განაპირობებს სამეცნიერო ტექსტების ენას - ფორმულირებებისა და ტერმინების, ფორმულების, სქემების, დიაგრამების ენას. აღსანიშნავია ისიც, რომ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებულ მასალაში ხშირად გვხვდება ჟურნალისტიკისთვის დამახასიათებელი ჟანრები: ანოტაცია, რეცენზია, სტატია; ამასთანავე, მისი ძირითადი მიზანია ინფორმაციის ურთიერთგაცვლა მხოლოდ სამეცნიერო სამყაროში.

ზემოაღნიშნული სტატიის ავტორის აზრით, ტერმინი „სამეცნიერო ჟურნალისტიკა“ უპირველესად სწორედ სამეცნიერო პერიოდიკაში გამოქვეყნებულ ნაშრომებს მოიცავს. სამეცნიერო პუბლიკაციები მეცნიერების ინტეგრალური პროდუქტია და ცნება „სამეცნიერო ჟურნალისტიკა“ მასთან მიმართებაში სხვა არაფერია, თუ არა საკომუნიკაციო არხების ერთობლიობის აღნიშვნა, საგამომცემლო-სარედაქციო საქმიანობის ჩათვლით, რომელთა საშუალებითაც ის ვრცელდება“... საბოლოოდ, ავტორი ასკვნის, რომ ცნებებს „სამეცნიერო ჟურნალისტიკა“ და „სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალისტიკა“ შორის არის ობიექტური განსხვავება, რომელიც განისაზღვრება მათი განსხვავებული ფუნქციური დატვირთვით, მათ მიერ მასალის შექმნისა და გავრცელების მიზნებით, ასევე, ტექსტების ენობრივი და სტილისტიკური თავისებურებებით [იქვე, BECTH. MOCK. YH-TA. CEP. 10. ЖУРН. 2009:8].

ჩვენი აზრით, ტერმინის „სამეცნიერო ჟურნალისტიკა“ ამგვარი დეფინიცია სადავოა; „სამეცნიერო ჟურნალისტიკა“ მოიცავს მხოლოდ ჟურნალისტიკის მიერ შექმნილ სამეცნიერო თემატიკის მასალას, მედია-პროდუქტს, რომელიც მეცნიერებაში მიმდინარე მოვლენებს ასახავს და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, მათ შორის, სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალებში ქვეყნდება. სამეცნიერო ჟურნალისტიკას, როგორც ჟურნალისტიკის ერთ-ერთ მიმართულებას, ორმაგი დანიშნულება აქვს: ერთი მხრივ, ის სხვადასხვა საზოგადოებრივი ინსტიტუციის ურთიერთთანამშრომლობის წარმართველია საინფორმაციო ნაკადის, საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად, მეორე მხრივ კი - შემოქმედების

ფორმა, რომელიც ამ ნაკადისთვის განსაკუთრებული სახის ტექსტს - მედიატექსტს ქმნის. ამგვარი პუბლიკაციები გათვლილია მასობრივ აუდიტორიაზე, მას ახასიათებს პოპულარული, ლაკონიური, ადვილად გასაგები ენა, რომლითაც საზოგადოებას მოუთხრობენ მეცნიერებასა და მეცნიერებზე, მნიშვნელოვან სამეცნიერო კვლევებზე, აღმოჩენებზე. სამეცნიერო ჟურნალისტიკის მიზანია მეცნიერების, სამეცნიერო ცოდნის პოპულარიზაცია; იყენებს პუბლიცისტურ (ჟურნალისტურ) ფუნქციურ სტილს, რომელიც ძირეულად განსხვავდება სამეცნიერო ფუნქციური სტილისგან და მისი ძირითადი მახასიათებლებია სოციალური ტერმინოლოგია, სიტყვებისა და ფრაზების მოტივირება, უარყოფითი მნიშვნელობის ლექსიკური ერთეულების მწირი გამოყენება, ემოციური დატვირთვა.

ჟურნალისტს უნდა შეეძლოს მნიშვნელოვანი სამეცნიერო მოვლენები, ნაშრომები „თარგმნოს“ ფართო აუდიტორიისთვის გასაგებ ენაზე, სამეცნიერო ცოდნის ერთგვარ გამავრცელებლად მოგვევლინოს. ტერმინი „პოპულარიზაცია“ გულისხმობს რთული, ძნელად აღსაქმელი სამეცნიერო შრომის მარტივი და ცხადი, ზუსტი ენით გადმოცემას, თხრობის თავისებურ სტილს. ამ შემთხვევაში ჟურნალისტის ენა და სტილი ერთგვარი ხიდის როლს ასრულებს.

როგორც აღვნიშნეთ, სამეცნიერო ჟურნალისტიკას, როგორც სამეცნიერო კომუნიკაციის სახესხვაობას, ახასიათებს პუბლიცისტური სტილი ... პუბლიცისტური, ჟურნალისტური სტილი სალიტერატურო ენის სტილთაშორის ყველაზე პოპულარულია, რადგან მის გავრცელებას ხელს უწყობს მასმედია. თუ სამეცნიერო ენის საშუალებით ავტორი ლოგიკური დასკვნებით, ფაქტების განზოგადებით, ზუსტი გამოთვლებითა და განყენებული მსჯელობით ასაბუთებს კვლევის შედეგებს და ამ გზით ცდილობს მკითხველის დარწმუნებას, ჟურნალისტი აუდიტორიაზე გავლენის მოსახდენად ემოციური ზემოქმედების ხერხებს, მეტად ექსპრესიულ ენას მიმართავს, ფაქტთან ერთად გადმოგვცემს საკუთარ დამოკიდებულებას მისადმი. სამეცნიერო თემატიკაზე შექმნილი მედიატექსტის ძირითადი მახასიათებლებია აბსტრაქტული ლექსიკა, სამეცნიერო ტერმინოლოგიის სიჭარბე, ფრაზეოლოგიზმები, შეფასებითი რიტორიკა.

ამრიგად, მეცნიერება აფასებს დეტალებს, სიზუსტეს, ხანგამძლეობას, ფაქტებსა და ციფრებს, ჟურნალისტიკაში კი მთავარია სისხარტე, ლაკონიური, პოპულარული ენა, პიროვნული ფაქტორი, ისტორიები; შესაბამისად, მეცნიერებისა და სამეცნიერო ჟურნალისტიკის ენა განსხვავებულია. სამეცნიერო ჟურნალისტიკა საზოგადოებას მისთვის გასაგებ ენაზე აწვდის ინფორმაციას სამეცნიერო ცოდნის, მნიშვნელოვანი აღმოჩენებისა და სიახლეების შესახებ. დღეს ქართული მასმედია, როგორც ტრადიციული, ისე ციფრული, მეტ ყურადღებას უთმობს სამეცნიერო სფეროში მიმდინარე მოვლენების გაშუქებას. სამეცნიერო

ჟურნალისტიკის მთავარი მიზანი მეცნიერების მნიშვნელობისა და როლის შესახებ შესაბამისი საზოგადოებრივი აზრის შექმნაა, თუმცა, ამ პროცესში დამაბრკოლებელ ფაქტორად გვევლინება ანალიტიკური პუბლიკაციების სიმცირე, ამასთან, მედიატექსტების საკმაოდ ნაწილი არის ნათარგმნი ინგლისურენოვანი მასმედიიდან, გადმოქართულებული; იკვეთება ენობრივი, სტილისტური და ტერმინოლოგიური ხარვეზები, უცხოენოვანი ლექსიკური ერთეულების, ბარბარიზმებისა და კალკების, ქართული ენისათვის უცხო სინტაქსური კონსტრუქციების სიჭარბე. ნებისმიერი მედიატექსტის, მათ შორის, სამეცნიერო თემატიკის, მიზანია შესაბამისი ენით აუდიტორიის ინფორმირება, სათქმელის არგუმენტირება და მკითხველზე ზემოქმედება. სასურველი შედეგი კი მხოლოდ ყველა ამ კომპონენტის სრულყოფით, ერთობლიობით მიიღწევა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კვარაცხელია გ., ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თბ., 1990.
2. ჩიქობავა არნ., ქართული ენა, როგორც პოლივალენტოვანი სალიტერატურო ენა, ქსკს I, თბ., 1972.
3. ჯაველიძე ე., ოდეს შავისგან თეთრის გამორჩევის ჟამი დადგება, ტ. 1, თბ., 2020.
4. Achinstein, P. Concepts of science. A philosophical analysis. Baltimore, 1968.
5. Aristotle, Physics, the complete works of Aristotle, The Revised Oxford Translation, Vol 1. 1991.
6. D. Bohm, Wholeness and the Implicate Order. Routledge and Kegan Paul, London, 1980.
7. Bohr. N. in A. Peterson Quantum Physics and the Philosophical Tradition. M.I.I. Press, Cambridge, Massმ 1968.
8. Day, R. A.. How to Write and Publish a Scientific Paper. Philadelphia: ISI Press. 1979.
9. Einstein. A. The Common Language of Science. Advancement of Science 2, no. 5. 1942.
10. Ford. A. and Peat F.David, The Role of Language In Science.1988 <https://pari-center.com/library/culturephilosophy-and-science/the-role-of-language-in-science/> (ინტერნეტ რესურსი).
11. Luhmann.N.Introduction to Systems Theory, Polity Press, 2005, ISBN 0745646712.
12. Zivkovic B. The line between science and journalism is getting blurry....again, Dec. 20, 2010.
13. <https://blogs.scientificamerican.com/observations/the-line-between-science-and-journalism-is-getting-blurry-again/> (ინტერნეტ რესურსი).
14. Журналистика и Достижения Современной Науки, Вестник Московского Университета. М. 2009. № 6.
15. Клушина Н.И. Стилистика научной речи и редактирование учебно-методических материалов, М.Меринос, 2018, 73 с. ISBN 978-5-6042130-3-2.

16. Словарь «Слово о человеке», <http://www.slovochel.ru/jaz-nauki.htm> (ინტერნეტ რესურსი).
17. Налимов В. Язык Науки, *Развитие Личности*, М. 2008, N1.

NINO KVTASHVILI

THE LANGUAGE OF SCIENCE AND SCIENCE JOURNALISM

Summary

The term ‘science’ is derived from the Latin word ‘scientia’, which means knowledge. The ancient Greek philosopher and scientist Aristotle (384-322 BC) distinguished Science between practical, theoretical and creative. In one of his monumental works – “Physics” is given akin classification of science.

Over time, with the development of science, a new direction emerged from Europe - Science Communication- the relationship of scientific circles, scientists between each other and with public society. This is how the first scientific societies were created.

In the 18th century was established so-called Republic of Letters, led by the famous French thinker Pierre Bailey, later the “Republic of Scientists” led by the French scientist, philosopher and physicist Marin Mercer, who was one of the founders of the dissemination of scientific information, sharing experience and had about 80 correspondents around the world.

Science uses a special and original scientific language to convey scientific knowledge, thought, within the framework of academia or to the public society. There is no thinking without language. The language of science is a special, specific sign system used in scientific papers and professional discussions. As for the stylistics of scientific language, it is one of the leading styles of literary language. The general function of the scientific style is to explain the events of public life and nature, although each type of the abovementioned texts performs a specific communicative-pragmatic function.

For establishing a media material, scientific information, research and relevant ongoing processes are used as the information basis in the Science Journalism. Task of Science Journalism is to convey Scientific information, text that is often overloaded with terminology, other popular language than scientific-technical one.

In our opinion, the term “Science Journalism” includes created material by a journalist, a media product, that reflects current developments in science and is published in the mass media.

Science evaluates details, accuracy, technique, durability, facts and figures, objective reality, therefore, the key of journalism is sharpness, laconicism,

popular language, approximation, personal factor, stories, words, and telling the truth that is relevant to a particular time.

Today, the Georgian mass media pays more attention to the current events in the field of science. However, a large part of the publications is translated, and less analytical materials are published. The main purpose of Science Journalism is to convey the reader information about current events and news about the scientific world, important discoveries by a clear and concise, popular language; Creating public opinion about the importance and goals of Science Journalism, however, one of the obstacles in this process is the terminological and stylistic shortcomings of media texts, the abundance of calcifications and barbarisms, the use constructions of foreign languages.

Keywords: Language of Science, Sign System, Science Communication, Science Journalism, Popular Language, Media text.

ელგუჯა ხინთიბიძე

ქართული რეალიები „ვარლაამ და იოასაფის ისტორიის“ ბერძნული თხზულების შესავალში

შუასაუკუნეების ბიზანტიური თხზულება *ვარლაამ და იოასაფის ისტორია* ის უნიკალური ლიტერატურული თხზულებაა, რომელიც საუკუნეების მანძილზე მეტად პოპულარული იყო ევროპის ხალხთა შორის რენესანსის წინარე და ადრინდელ ეტაპზე. XI საუკუნეში იგი ბერძნულიდან ორგზის ითარგმნა ლათინურად, ხოლო XI-XII საუკუნეებში აღმოსავლეთ ევროპისა და მცირე აზიის ხალხთა ენებზე: სლავურად, რუსულად, არაბულად, სომხურად... XII საუკუნიდან კი — ლათინური ენიდან ევროპის ხალხთა თითქმის ყველა ენაზე. ევროპის ხალხთა ზოგიერთ ენაზე ამ თხზულების თარგმანთა თუ გადამუშავებათა ათამდე შემთხვევას ითვლიან. მას იმოწმებენ და ეყრდნობიან ევროპული ცივილიზაციის დიდი შემოქმედები: კალდერონი, ლოპე დე ვეგა, შექსპირი, ლევ ტოლსტოი და მრავალი სხვა. ბოლო დროის კვლევათა თანახმად. თხზულების ბერძნულ ხელნაწერთა რაოდენობა მეთერთმეტე საუკუნიდან დაწყებული (როცა ისინი გამოჩნდნენ) სვიმეონ მეტაფრასტის *მენოლოგიონის*, ანუ *თუნის*, შემდეგ ყველაზე მაღალ ნიშნულს აღწევს. ერთი მკვლევრის გამოთვლით ძველ რუსულ ხელნაწერთა შორის ბიბლიური წიგნების შემდეგ ყველაზე მეტი *ვარლაამ და იოასაფის* რუსული თარგმანია.

ვარლაამ და იოასაფის ეს საოცარი პოპულარობა, უპირველეს ყოვლისა, იმითაა განპირობებული, რომ იგი შუასაუკუნეების მკითხველის პოზიციიდან უაღრესად მიმზიდველი თხზულებაა, რასაც მისი პოლიქანროლობაც განაპირობებს: აგიოგრაფიული ნაწარმოებია, ბერძნულ ქრისტიანულ კალენდარში ორი წმინდანის - წმ. ვარლაამისა და წმ. იოასაფის სახელებს ამკვიდრებს. ამასთან ერთად, იგია პოლემიკური და დოგმატიკური თხზულება: უძველეს წყაროებზე დაყრდნობით ეკამათება წარმართულ რელიგიებს, ნათლად გადმოსცემს და განმარტავს უმთავრეს ქრისტოლოგიურ დოგმატებს. შუასაუკუნეების ეს უაღრესად ფასეული თეოლოგია განზავებულია მარტივი აღმოსავლური იგავებით და კომპოზიციურად შეკრული მიმზიდველი სიუჟეტით, რომელსაც, შუასაუკუნეების ტრადიციულ რელიგიურ დისპუტებთან ერთად, სამიჯნურო ეპიზოდებიც ამშვენებს. ამიტომაც რომ სამეცნიერო ლიტე-

რატურაში თხზულება არცთუ იშვიათად რომანის (ან დოგმატური რომანის, სასულიერო რომანის) სახელითაც მოიხსენიება (K. Krumbacher 1897: 886; D. M. Lang 1955: 306-325; III. Нугунидзе 1956). ბიზანტიური საეკლესიო მწერლობის პოზიციით, ამას ისიც ამკობს, რომ თხზულებაში მოზაიკურადაა ერთმანეთში გადაბმული დიდი აღმოსავლელი წმინდა მამების — ბასილი დიდის, გრიგოლ ღვთისმეტყველის, გრიგოლ ნაზიანზელის, იოანე ოქროპირის, მაქსიმე აღმსარებლის და სხვათა, უპირატესად კი იოანე დამასკელის (F. Dölger 1953) - თეოლოგიური მსჯელობანი და ქრისტოლოგიური მაქსიმები. ევროპელ ბიზანტინისტთა უახლოესი გამოკვლევებით მტკიცდება, რომ ამ მიმზიდველ მოზაიკაში უხვადაა ჩართული ექსცერპტები X საუკუნის უკანასკნელი ათწლეულიდან ბიზანტიის საეკლესიო ცენტრებში უაღრესად პოპულარული ახალი აგიოგრაფიული სტილით შექმნილი სიმეონ მეტაფრასტის *მენოლოგიონიდან* (R. Volk 1997: 67-180; C. Høgel 2019: 353-361).

ვარლამ და იოასაფის ბერძნული რომანის პოპულარობამ შუასაუკუნეების ევროპელ ხალხთა ლიტერატურებიდან გადაინაცვლა XX საუკუნის ბიზანტინისტიკაში. ამას პრინციპული სტიმული მისცა ფრანგი მეცნიერის ჰ. ზოტენბერგის XIX საუკუნის დასასრულს გამოქვეყნებულმა კვლევებმა, რომლებმაც ეჭვი შეიტანა თხზულების ბერძნული და ლათინური ხელნაწერებით მოღწეულ ცნობასა და პუბლიკაციებით დამკვიდრებულ თვალსაზრისში, რომ თხზულების ბერძნული თარგმანის ავტორია წმ. იოანე დამასკელი (H. Zotenberg 1886; H. Zotenberg 1887). ზოტენბერგის თვალსაზრისის კრიტიკულმა გამოხმაურებებმა ევროპულ ბიზანტინისტიკაში პირველად გაააქტიურა XI საუკუნის ქართველი წმინდა მამის გიორგი მთაწმინდელის ცნობა, რომ წმ. ეფთვიმემ ქართულიდან ბერძნულად თარგმნა *ბალავარი* (B. Позен 1887: 166-174; H. Mapp 1888; F. C. Conybeare 1896: 101-142). *ვარლამ და იოასაფის* ავტორი რომ ეფთვიმე ათონელია, ამის პირველი მეცნიერული არგუმენტირება ბელგიელი ქართველოლოგის პაულ პეეტერსის სახელს უკავშირდება (P. Peeters 1931: 276-312). ამის საპირისპიროდ ცნობილმა გერმანელმა ბიზანტინისტმა ფრანც დიოლგერმა 1953 წელს საგანგებო მონოგრაფიაში ახალი მეცნიერული არგუმენტაცია წარმოადგინა ტრადიციული თვალსაზრისის, იოანე დამასკელის ავტორობის, სამტკიცებლად (F. Dölger 1953), რასაც თავგამოდებით უჭერდა მხარს XXI საუკუნის პირველ ათეულამდე გერმანელ ბიზანტინისტთა სკოლა. დიოლგერის მონოგრაფიის შემდეგ *ვარლამ და იოასაფის* ავტორობა ევროპული ბიზანტინისტიკის ერთ კარდინალურ საკითხად იქცა. გამოკვლევები გამოაქვეყნეს ქართველმა მეცნიერებმა და ევროპელმა ქართველოლოგებმა: მ. თარხნიშვილმა (M. Tarchnišvili 1954: 113-124; M. Tarchnišvili 1958: 65-86), დ. ლანგმა (D. M. Lang 1955; D. M. Lang 1957: 389-407), შ. ნუცუბიძემ (III. Нугунидзе 1956), კ. თუმანოვმა (C. Toumanoff 1956: 409-425), ი. აბულაძემ (ი. აბულაძე 1957: 011-048), კ. კეკელიძემ (კ.

კეკელიძე 1960: 41-71), ს. ყაუხჩიშვილმა (ს. ყაუხჩიშვილი 1973: 204-236) და სხვებმა.

მეოცე საუკუნის 70-იანი წლებიდან *ვარლამ და იოასაფის* ავტორობის კვლევის პრობლემატიკა გაფართოვდა, ახალი მიმართულებები გამოიკვეთა. ამ თვალსაზრისით ყურადღება მინდა მივაქციო ჩემს გამოკვლევებს იმის თაობაზე, რომ ბერძნული *ბარლაამის* (უპირატესად ამგვარად ასახელებენ *ვარლამ და იოასაფის* ბერძნულ თხზულებას ევროპულ სამეცნიერო კვლევებში) უძველესი კვალი შუასაუკუნეების ბიზანტიაში ათონის მთას უკავშირდება (უძველესი ბერძნული ხელნაწერები, უძველესი ცნობები ამ თხზულების ავტორზე), სადაც ეფთვიმე ათონელი მოღვაწეობდა, და არა საბაწმიდას (ე. ხინთიბიძე 1976). ასევე იმის არგუმენტირებას, რომ *ბარლაამი* მეტაფრასული აგიოგრაფიული თხზულებაა და მასში ჩართული ექსცერპტები დიდ ბიზანტიელ მწერალთა თხზულებებიდან, კერძოდ, იოანე დამასკელიდან, ამ უკანასკნელის ავტორობაზე კი არ მიუთითებს, არამედ *ვარლამ და იოასაფის* მეტაფრასულ სტილზე, რაც სათარგმნელი ტექსტის გადამუშავებაში - წმინდა მამათა საღვთისმეტყველო გამონათქვამებით შევსებაში გამოვლინდა (ე. ხინთიბიძე 1975).

პრობლემათა ამ მიმართულებით კვლევა პერსპექტიული აღმოჩნდა. აქამდე ეფთვიმე ათონელის ავტორობის მომხრეები ქართული *ბაღვაჯარიანისა* და ბერძნული *ბარლაამის* (*ვარლამ და იოასაფის*) ტექსტთა ერთმანეთთან შედარებას ერიდებოდნენ, უპირატესადაა ზღაბთ ქართულის ბერძნულთან შედარებით დიდი სიმოკლის გამო (მოცულობით ბერძნულის დაახლოებით ნახევარია) და შესაძლებლადაც კი თვლიდნენ იმის დაშვებას, რომ ეფთვიმეს თავდაპირველი თარგმანი *ბარლაამის* ჩვენამდე მოღწეულ თხზულებებში სხვის მიერ შეიძლება იყოს შევსებული. ბერძნული *ბარლაამის* მეტაფრასულობის დადასტურებამ ქართულ და ბერძნულ ვერსიათა ტექსტების ერთმანეთთან მიმართების კვლევის სხვა მიმართულება გამოკვეთა. ქართულ და ბერძნულ ვერსიათა ერთმანეთთან შედარება უპირატესად იმ მონაკვეთებში უნდა მოხდეს, რომლებიც საერთოა, ანუ თხზულების ძირითადი ქარგაა. ბერძნული ვერსიის განსხვავებული ანუ სპეციფიკური მონაკვეთები ავტორ-მეტაფრასტის შემოქმედებად უნდა ჩაითვალოს და მისი წარმომავლობა ანუ ლიტერატურული წყაროები სხვა რიგის კვლევის საგანი უნდა გახდეს. ამ მეთოდიკას დაეფუძნა ჩემი კვლევა ბერძნული *ვარლამ და იოასაფის* ტექსტის ქართულ *ბაღვაჯარიანთან* და არაბულ ვერსიასთან (*კიტაბ ბაღაჰვარ ვა ბუდასფ*) მიმართების თაობაზე, რომელიც თავდაპირველად ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა მოკლე მონოგრაფიის სახით (E. Khintibidze 1976; ე. ხინთიბიძე 1982: 332-361). ერთმანეთს შევადარეთ *ბაღვაჯარიანის* ჩვენამდე მოღწეული სამი ვერსია: ბერძნული, ქართული ვრცელი (იერუსალიმური) და არაბული (ეს უკანასკნელი როზენის რუსული თარგმანით). ერთმანეთს შედარდა

თხზულების ქარგის შედგენილობა (ანუ ფაბულა); დეტალურად - ამბის დასაწყისი, ორი ვრცელი იგავი, ცალკეული სიუჟეტური პასაჟები და საკუთარი, კერძოდ, პირთა სახელები. დასკვნა არაორაზროვანი აღმოჩნდა: ქართული ტექსტი არაბულზეა დამოკიდებული, ბერძნული კი - ქართულზე. უფრო კონკრეტულად: ბერძნულ ტექსტში არ შეინიშნება არცერთი სიუჟეტური ეპიზოდი, რომელიც არის არაბულში და არ არის ქართულში; მაგრამ არის ისეთი ეპიზოდები, რომლებიც არის ქართულში და არ არის არაბულში. ბერძნულის, ქართულისა და არაბულის საერთო ეპიზოდებში, სადაც სხვაობაა ქართულსა და არაბულს შორის, ბერძნული მისდევს ქართულს. ამვე დროს არის ეპიზოდები, რომლებიც საერთოა არაბულსა და ქართულს შორის და არ იკითხება ბერძნულში. თხზულების საკუთარ სახელთა ბერძნული ვარიანტები აშკარა მიმართებას ამყარებენ ქართულთან და პრინციპულად სხვაობენ არაბულისაგან. ამგვარივე დასკვნები იყო გამოვლენილი ფრანგი არაბისტიკისა და მთარგმნელის დ. ჟიმარეს მიერ *ბაღავარიანის* არაბული ვერსიის ფრანგულად თარგმნისას ქართულ და ბერძნულ რედაქციებთან პარალელებზე დაკვირვებით (D. Gimaret 1971).

ბაღავარიანის XI საუკუნის ამ სამ ენაზე არსებულ რედაქციათა ტექსტების შედარების საფუძველზე მიღებულმა დასკვნებმა განაპირობა პოზიციის შეცვლა ფ. დიოლგერის თეორიის დამცველ გერმანელ ბიზანტიანისტთა სკოლისა. მიჩნეული იქნა, რომ ბერძნული *ბარლაამი* ქართული *ბაღავარიანის* ეფთვიმე ათონელისეული თარგმანითაა შექმნილი. ამ სკოლის ხელმძღვანელი რ. ფოლკი (Robert Volk/Scheyern), რომელიც თვით XXI საუკუნის დასაწყისშიც კი იცავდა იოანე დამასკელის ავტორობას, 2006 წელს აქვეყნებს გამოკვლევას ბერძნულ, ქართულ და არაბულ ვერსიათა სამედიცინო პასაჟების შედარებაზე („სამედიცინო *ბარლაამის* რომანში, მცირე ექსკურსი ბერძნული მაღალმხატვრული ტექსტის ირგვლივ; მისი წინამორბედები, პარალელები და თარგმანები“) და ასკვნის: „ბერძნული თხზულება უშუალოდ, თითქოსდა რაღაც დაკარგულ სირიულ რედაქციასთან ჩახლართული კავშირების გარეშე პირდაპირ მიემართება ქართულს... შეინიშნება, რომ ქართული ვარიანტი არაბულ ტექსტთან ავლენს აშკარა მიმართებას“ (R. Volk 2006: 190)).

ბერძნული *ბარლაამის* ეფთვიმე ათონელის სახელთან დაკავშირებისას ძალზე მნიშვნელოვანი იყო თხზულების შექმნის სავარაუდო თარიღის დაზუსტება. ეფთვიმეს შემოქმედების მკვლევარნი თავდაპირველად უპირატესად XI საუკუნის დასაწყისს ვარაუდობდნენ. ამას ემყარებოდა ფ. დიოლგერის ერთი უმთავრესი არგუმენტი ეფთვიმეს ავტორობის წინააღმდეგ. იგი *ბარლაამის* ჩვენამდე მოღწეულ რამდენიმე ხელნაწერს X საუკუნის დასასრულითაც კი ათარიღებდა. უფრო მოგვიანებით ეფთვიმეს ავტორობის ზოგი მხარდამჭერი, მათ შორის თვით რობერტ ფოლკი, ეფთვიმეს საქმიანობას სვიმეონ მეტაფრასტს დაუკავშირებს და *ბაღავარიანის* ქართულიდან თარგმნას 980-იანი წლების დასაწყისის-

თვის დასრულებულად მიიჩნევს. იოვანე დამასკელის და თვით ეფთვიმეს ავტორობის უარყოფის ერთ-ერთ არგუმენტად *ბარლაამის* წარმართული რელიგიის განქიქებისაკენ მიმართული პოლემიკა იყო მიჩნეული. ამიტომაც ვარაუდობდა ჰ. ზოტენბერგი ამ თხზულებას VI-VII საუკუნეში შექმნილად, როცა წარმართული რელიგიების განქიქება ჯერ კიდევ იდგა დღის წესრიგში. ხოლო ა. კაჟდანს, ასევე მოწინააღმდეგეს იოანე დამასკელისა და ეფთვიმე ათონელის ავტორობისა, *ბარლაამის* პრობლემატიკა ეფთვიმე ათონელის დროინდელი ათონის მთისთვის აქტუალურად არ მიაჩნდა (A. Kazhdan 1988: 1207)). ეს წანამდღერები გახდა იმპულსის მომცემი ჩემი თვალსაზრისისა ბერძნული *ბარლაამის* შექმნის თარიღზე. უძველეს ქრისტოლოგიურ წყაროებზე დაფუძნებული ნათელი პოლემიკა წარმართობასთან და ქრისტიანულ მცნებათა არსის მარტივი და მიმზიდველი განმარტების საჭიროება არაორაზროვნად მიანიშნებს ბიზანტიის სამეფო კარისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სასიცოცხლო მიზანდასახულობაზე. ესაა იმპერიის საუკუნოვანი სწრაფვა ჩრდილოეთის მრისხანე წარმართული მეზობლის - რუსეთის მოკავშირედ ქცევისა და გაქრისტიანებისა (A. A. Vasilev 1958: 322-325, 332). იგი მძაფრად დადგა დღის წესრიგში X საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან. კონკრეტულად კი - 986 წელს, ახალგაზრდა იმპერატორის ბასილი II-ის წინააღმდეგ დიდი მხედართმთავრის ბარდა ფოკას აჯანყების დროს. იმპერიის შეთანხმება კიევის წარმართ მთავარ ვლადიმირთან სამხედრო დახმარებაზე და სანაცვლოდ ქრისტიანობის მიღების პირობით იმპერატორის დის - ანას მითხოვებაზე; შემდგომში კი, საიმპერატორო კარის მიერ პირობის შესრულების გაჭიანურებისა და ბოლოს პრინცესის სადედოფლოდ გაგზავნა წარმართი მთავრისა და მისი გარემოცვის მოსანათლად მრავალრიცხოვანი კლერკითურთ - უშუალოდმიუთითებს იმგვარ პოლემიკურ-დოგმატური ლიტერატურის საჭიროებაზე, რომლის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს ბერძნული *ბარლაამი*. თხზულების ფაბულაც — ახალგაზრდა მეფისთვის საცოლის შერჩევის ეპიზოდი, მისი გაქრისტიანება და სამეფოს აყვავება, ალბათ შემთხვევით, მაგრამ მიმზიდველად ეხმიანება ქრისტიანობის მიღების მოლოდინში საქორწინოდ მომზადებული კიევის მთავრის ფიქრებს.

ჩემს ვარაუდს საფუძველს უმყარებს X საუკუნის დასასრულსა და XI-ის დასაწყისში ერთბაშად გაჩენილი დიდი სიმრავლე *ბარლაამის* ბერძნული ხელნაწერებისა, რომელთა უმრავლესობა ათონური წარმოშობისაა. ამასთან ერთად ის, რომ *ვარლამ და იოსაფის* ძველი რუსული თარგმანი მიჩნეულია კიევის რუსეთში თარგმნილად ბერძნული ენიდან არა უგვიანეს XII საუკუნის პირველი პერიოდისა და ამ თარგმანის უაღრესად დიდი სიმრავლე ძველ რუსულ ხელნაწერებში (И. Н. Лебедева 1985: 107). სიმბოლურია, რომ ბერძნული *ბარლაამის* ყველაზე ძველი თარიღიანი ხელნაწერი (1021 წ.) კიევის წიგნსაცავებშია დაცული (თუმცა ამ ხელნაწერს იქ მიღწევამდე ხანგრძლივი სამოგზაურო ისტორია აქვს).

ეს თვალსაზრისი 1996 წელს წარდგენილი იყო ბიზანტინისტთა XIX საერთაშორისო კონკურსზე, კოპენჰაგენში (E. Khintibidze 1996), ხოლო გამოქვეყნდა ინგლისურ ენაზე რომში 1997 წელს (E. Khintibidze 1997: 491-501; ე. ხინთიბიძე 2003: 52-78). ბერძნული *ბარლამის* დათარიღება X საუკუნის 80-90-იანი წლებით თანდათან პოპულარული გახდა ევროპულ ბიზანტინისტიკაში. 2009 წლის პუბლიკაციაში დაახლოებით იმავე დასკვნამდე სხვა გზით მივიდა გერმანელი მკვლევარი ი. გროსმანი (J. K. Grossmann 2009: 87-94). 2013 წელს კი პორტუგალიელმა მეცნიერმა A. Ribas-მა თავისი სადისერტაციო ნაშრომი მიუძღვნა იმის მტკიცებას, რომ ბერძნული *ბარლამის* შექმნა უკავშირდება ბიზანტიის სახელმწიფოს მიერ ჩრდილოეთის სლავური მოსახლეობის გაქრისტიანების პროცესს (A. A. Ribas 2013).

ევროპული ბიზანტინისტიკა *ბარლამის* ავტორზე მსჯელობისას ყოველთვის ადევნებდა თვალს ქართველ მეცნიერთა კვლევებსა და თვალსაზრისს ამ საკითხზე და კერძოდ, ეფთვიმე ათონელის მოღვაწეობაზე. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს თვალსაზრისები ყველა შემთხვევაში არ იყო დამუშავებული მაღალი მეცნიერული აკრიბიით. ზოგჯერ აზრები სავარაუდოდ იყო გამოთქმული, ხოლო ფაქტები შეუმოწმებლად გავრცელებული. ასე მაგალითად, ფ. დიოლგერის ერთი უმთავრესი არგუმენტი ეფთვიმეს ავტორობის წინააღმდეგ იმას ემყარებოდა, რომ, მისი აზრით, *ბარლამის* ჩვენამდე მოღწეული ბერძნული ხელნაწერებიდან რამდენიმე მათე საუკუნისეული უნდა ყოფილიყო, ხოლო იმ დროისათვის უფრო გავრცელებული თვალსაზრისით, ეფთვიმეს ქართულიდან ბერძნულ ენაზე მთარგმნელობით საქმიანობას მისი მოღვაწეობის მეორე პერიოდს (XI საუკუნეს) უკავშირებდნენ. კორნელი კეკელიძემ გაარკვია, რომ ეფთვიმე ათიოდე წლით უფრო ადრე უნდა ყოფილიყო დაბადებული, ვიდრე ნავარაუდევია იყო და დაამტკიცა, რომ ძველი ქართული წყაროების მიხედვით, ეფთვიმეს მთარგმნელობითი საქმიანობა 975-77 წლებში უნდა დაწყებულიყო (კ. კეკელიძე 1960: 186). როგორც ზემოთ აღვნიშნე, დღეისათვის ეფთვიმეს ავტორობა სარწმუნოდ მიაჩნია გერმანელ ბიზანტინისტთა ძლიერ ფილოლოგიურ სკოლას, რომელიც გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან დაწყებული ექვმიუტანლად თვლიდა მათი ცნობილი წინამორბედის, დიოლგერის, თვალსაზრისს იოანე დამასკელის ავტორობის შესახებ. ამავე დროს ეფთვიმეს ავტორობის ზევრ, ჯერ კიდევ გადაუწყვეტელ სხვა პრობლემასთან ერთად პრინციპული მნიშვნელობისაა თვით ამ სკოლის ცნობილ მეცნიერთა შორის ერთმანეთის საპირისპიროდ მოაზრებული რამდენიმე საკითხი. რ. ფოლკის დიდი კვლევის შედეგად ელექტრონულ-პროგრამული სიზუსტითაა გამოვლენილი *ბარლამისა* და სვიმეონ მეტაფრასტის *მენოლოგიონს* შორის არსებული მრავალი პარალელი (R. Volk 2006: 476-490). მათზე დამყარებით მეცნიერი თვლის, რომ ეფთვიმეს *ბარლამისი*

980-იანი წლების დასაწყისისთვის უკვე თარგმნილი ჰქონდა და ამ თარგმანს იყენებდა სვიმეონ მეტაფრასტი. ი. გროსმანი კი ფიქრობს, რომ ეფთვიმეს ბერძნულად თარგმნილი ქართული *ბალავარიანი* შემდგომში სხვა ბიზანტიელ ავტორს უნდა გადაემუშავებინა (K. Grossmann 2009) და ამგვარად უნდა ჩამოყალიბებულიყო გვიანი შუასაუკუნეების ევროპის ხალხთა შორის უპოპულარულესი *ბარლაამ-რომანი*.

რ. ფოლკის თვალსაზრისი, რომ ქართული *ბალავარიანის* ეფთვი-მესეულ ბერძნულ თარგმანს სვიმეონ მეტაფრასტი გამოიყენებდა, ვარაუდის სახით ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში იყო გამოთქმული (P. Rabbow 1895: 253-293), თუმცა მაშინაც არსებობდა საპირისპირო შეხედულება. ი. გროსმანის პოზიცია, რომ ეფთვიმეს თარგმანის შემდგომი გადამუშავება სხვის მიერ იქნებოდა შესრულებული, ვარაუდის სახით არსებობდა. მაგრამ ვფიქრობ, რომ გერმანელ ბიზანტინისტთა ამ თვალსაზრისების უმთავრესი საყრდენი მაინც ქართველ მეცნიერთა და საზოგადოდ ქართველოლოგთა მიერ გამოთქმული ვარაუდები უნდა იყოს.

ვარლამ და იოასაფის ავტორობის საკითხზე ქართველ მეცნიერთა მსჯელობა გააქტიურდა დიოლგერის ცნობილი მონოგრაფიის გამოქვეყნების შემდგომ. ევროპელ ბიზანტინისტთა კვლევებში აშკარად ჩანდა უნდობლობა ქართული პირველწყაროებისადმი (ამჯერად ვგულისხმობ გიორგი მთაწმინდელის ცნობას ეფთვიმეს მიერ *ბალავარიანის* ქართულიდან ბერძნულად თარგმანზე) და ბერძნული *ბარლაამის* ავტორად ეფთვიმეს, როგორც არაბერძნულენოვანი მწერლის, შესაფერისობისადმი. ქართული მწერლობისა და კერძოდ, ეფთვიმეს შემოქმედების ზოტენბერგისეულ აბსოლუტურ უცოდინრობაზე რომ არ შევჩერდეთ, საკმარისია თვით დიოლგერის სიტყვები გავიხსენოთ: „ჩვენ გავბედავთ გადაჭრით ვთქვათ, რომ 650 წლიდან 1085 წლამდე, იმ დროში, რომელიც უკიდურესი საზღვრებია ჩვენი ავტორის (*ბარლაამის* ავტორის — ე. ხ.) მოსათავსებლად, არ შეიძლება ყოფილიყო სხვა ბერძენი თეოლოგი, გარდა იოანე დამასკელისა, რომლის *ვარლამ და იოასაფის* ავტორად მიჩნევა შეიძლებოდა“ (F. Dölger 1953: 64). ამ ეჭვს მოგვიანებით კიდევ უფრო აკონკრეტებს მეორე დიდი გერმანელი ბიზანტინისტი ჰ. ბეკი: „ავტორის განათლების დონის საფუძველზე... *ვარლამ და იოასაფის* გადამმუშავებლად მხოლოდ იოანე დამასკელის საკითხი დგება“ (H. G. Beck 1971: 37). ბუნებრივია, რომ ამ პოლემიკაში ქართველ მეცნიერთა მცდელობა პირველ რიგში ქართული წყაროების (კერძოდ, გიორგი მთაწმინდელის) უნდობლობის გაქარწყლებისა და ეფთვიმეს მიერ ქართულიდან ბერძნულად თარგმნის ჭეშმარიტების მტკიცება იქნებოდა. ამას თან ერთვოდა იმდროინდელ ევროპულ და რუსულ ბიზანტინისტიკაში მოარული საკმაოდ ზერელე აზრები *ბალავარიანის* ამბის აღმოსავლეთში ცირკულაციაზე (ვარაუდები ძველ სირიულ და არაბულ ქრისტიანულ ვერსიებზე). ამიტომაც, რომ ბერძნული *ბარლაამის* შექმნაზე იმ პერიოდის ქართველოლოგიაში

არსებული ყველა მოსაზრება კრიტიკული განხილვის გარეშე ერთნაირი ნდობით მისაღები არ უნდა იყოს.

ევროპულ ბიზანტინისტიკაში გასული საუკუნის 50-იან წლებში ვარლამ და იოასაფის ავტორობის გააქტიურებულ პრობლემას ქართველ მეცნიერთაგან ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ეფთვიმეს მთარგმნელობით მოღვაწეობის და საზოგადოდ მეტაფრასტიკის დიდი მკვლევარი კორნელი კეკელიძე (1956 წელი). მისი ნარკვევი „ბალავარიანის რომანი ქრისტიანულ მწერლობაში“ მალევე გამოქვეყნდა, ხოლო შემდგომში შევიდა მისივე *ეტიუდების* VI ტომში (კ. კეკელიძე 1960: 41-71) და ძირითადი დასკვნები უცვლელად გადავიდა *ქართული ლიტერატურის ისტორიის* პირველ ტომში (კ. კეკელიძე 1960: 189-190). „უტყუარი ფაქტია, რომ ექვთიმე ათონელმა ქართულიდან ბერძნულად თარგმნა ბალავარიანი... მას უთარგმნია არა A რედაქცია ქართული რომანის (სიბრძნე ბალავარისი — ე. ხ.) არამედ B (წმინდა იოდასაფის ცხოვრება — ე. ხ.)“. „B რედაქცია მომდინარეობს არაბული-ქრისტიანული რედაქციიდან, რომელიც შედგენილი ჩანს ფალაურიდან მომდინარე არაქრისტიანული არაბული რედაქციის ნიადაგზე.“ „ბერძნული რედაქცია არაა დაწერილი იოანე დამასკელის მიერ, არცთუ ექვთიმე ათონელის კალამს ეკუთვნის იგი.“ „ბერძნული რედაქცია არის ე.წ. მეტაფრასული რედაქცია. ის შედგენილია ექვთიმეს მიერ შესრულებული თარგმანის ნიადაგზე, სხვა წყაროების გამოყენებითაც. ამ მეტაფრასული რედაქციის ავტორი უნდა იყოს თვით სვიმეონ მეტაფრასტი, თანამედროვე ექვთიმე ათონელისა.“ *ბარლამის* მეტაფრასულ გადამუშავებასთან სვიმეონ მეტაფრასტის მიმართების თვალსაზრისი ევროპულ ქართველოლოგთა მიერ თავისებური მოდიფიცირებით გავრცელდა. დ. ლანგი, კ. კეკელიძის ამ დასკვნების საფუძველზე, ვარაუდობს, რომ ქართული ბალავარიანის ეფთვიმე ათონელისეული ბერძნული თარგმანი, რომელიც შესაძლებელია თვით სვიმეონ მეტაფრასტის საჭიროებისათვის ყოფილიყო შესრულებული, მოსალოდნელია შემდგომში სვიმეონ მეტაფრასტის რომელიმე მოწაფის მიერ იყოს გამეტაფრასებული (D. M. Lang 1967: XXXII).

ამგვარად, *ბარლამის* ავტორობის საკითხზე თანამედროვე ევროპულ მეცნიერებაში აღიარებული თუ საკამათო თვალსაზრისები და მათი უმთავრესი არგუმენტები მეტ-ნაკლები სიზუსტით იმავე პრობლემაზე ქართველოლოგთა ძიებებში დასაბუთებულ ან ჰიპოთეტურად გამოთქმულ მოსაზრებებთან ავლენენ მიმართებას. ამიტომაც ვფიქრობ, რომ საკითხის შემდგომი კვლევისას პრინციპული მნიშვნელობის უნდა გახდეს პრობლემური საკითხების ქართული პირველწყაროების ანალიტიკურ განხილვაზე დაფუძნებული არგუმენტირებული დასკვნები.

ბერძნული *ბარლამ-რომანი* ანუ *ვარლამ და იოასაფის ისტორია* იწყება ავტორის (თუ მთარგმნელის) თხრობით თხზულების შექმნის თაობაზე. ამ მონაკვეთს თხზულების დღეისთვის პოპულარული

ჰარვარდის უნივერსიტეტის გამოცემის (1914, 1937, 1953, 1967...) კვალდაკვალ „შესავალი“ შეიძლება ვუწოდოთ, რასაც ბერძნულ ხელნაწერებში წინ უძღვის ვრცელი სათაურის მსგავსი ზედნაძებები ე. წ. ლემა. გვიანდელ შუასაუკუნეებში ბერძნულ ხელნაწერთა გადამწერები და შემდგომში ზოგი მეცნიერი (ჰ. ზოტენბერგი, ა. კაჟდანი) ამ ლემაში არსებულ მწირ ცნობებზე აფუძნებდნენ *ბარლაამის* ავტორობაზე საკუთარ თეორიებს. *ბარლაამის* „შესავალი“ კი ამ თვალსაზრისით განხილული თითქმის არ იყო (უმჯობესია ვთქვათ, „ნაკლებად იყო“). ეს მაშინ, როცა ლემის ავტორისეულობა უფრო ნაკლებად სარწმუნოა, შესავალში კი ავტორი პირველ პირში ლაპარაკობს. აქვე მომყავს ამ შესავლის ჩემი თარგმანი დაფუძნებული ბერძნულ ხელნაწერთაგან ერთ-ერთ უძველეს XI საუკუნის ვენეციის ხელნაწერზე (Marciana VII 26), თარგმანი ითვალისწინებს ზემოთ მითითებულ გამოცემიდან, G. R. Woodward-ისა და H. Mattingly-ის ინგლისურ თარგმანს (ასევე, ორიგინალის სხვადასხვაგარად გააზრების შესაძლებლობის შემთხვევაში „ლემის“ თავდაპირველ ვარიანტს) :

„პროლოგი: „რომელნი სულითა ღმრთისაითა ვლენან, ესენი არიან ძენი ღმრთისანი“ (რომ.8,14), - ამბობს მოციქული შთაგონებით. ახლა კი, ყველაზე უფრო საშური, სულიწმიდის ღირსად რომ მიგვიჩნიონ და ღვთის შვილებად შევიქმნათ; და, როგორც წერილ არს, მათ, რომელნიც გახდნენ ძენი მისნი, იპოვეს შვება ყოველგვარ საზრუნავთაგან. ეს საოცარი და ყველაზე სასურველი ნეტარება ჰქონდათ წმინდანებს მოპოვებული დასაბამიდან სათნოებითი მოღვაწეობით. ზოგნი იღვწოდნენ და როგორც წამებულნი „სისხლადმდე წინა-დადგომილ იყვნენ ცოდვისა მიმართ“ (ებრ.12,4). მეორენი თვითდისციპლინით იღვწოდნენ და თავიანთი ნებით დაადგნენ ვიწრო გზას. დაე, აღიბეჭდოს მეხსიერებაში ღვაწლი და კეთილი საქმენი ორივე მათგანის - რომელთაც სისხლით მიაღწიეს სრულყოფას და რომელნიც თვითგანდგომით ბაძავდნენ ანგელოზებრივ ყოფას - და გადაეცეს იმ თაობებს, რომლებიც სათნოების ნიმუშის გზით მიდიან. ეს მიიღო ქრისტიანულმა ეკლესიამ ტრადიციად შთაგონებულ მოციქულთაგან და ნეტარ მამათაგან და ჩვენი მოდემის გადასარჩენად დააწესა იგი. რადგანაც გზა სათნოებისაკენ უხეში და ციცაბოა. განსაკუთრებით მათთვის, ისევე რომ ებრძვინან თავიანთ ვნებათა ტირანისა და ჯერაც მთლიანად არ მობრულებულან უფლისკენ, გვჭირდება მისაკენ მრავალგვარი მოწოდება - რჩევა იქნება ეს, თუ წინამავალთა ცხოვრების აღწერა. ეს კი მტკივნეულ გზას შეგვიმსუბუქებს და გვასწავლის სასოწარკვეთისაგან თავის დაღწევას. მოსურნეს იმისა, რომ დაადგეს ამ ძნელად სავალსა და უხეშ გზას, დამოდვრითა და წაქეზებით იშვიათად თუ დაარწმუნებ, სცადოს იგი. ამას უპირატესად იმაზე მითითებით მიაღწევ, რომ იგი მრავალთ უკვე განვლეს და კეთილადაც დაასრულეს.

და მეც „მასვე წესსა ვეგნე“ (გალ.6.16; ფილ.3,6): ვუფრთხი რა განსაცდელსა იმ მონისას, რომელმაც თავისი უფლისაგან ერთი ტალანტი რომ მიიღო, მიწაში დაჰფლა და საქმისთვის მოცემული უსაქმოდ დამალა; არაფრით არ შემოიძლია დუმილით ავუარო გვერდი იმ სულისმარგებელ ამბავს, რომელმაც ჩემამდე მოაღწია, მოიტანეს რა უტყუარ ჩანაწერებისაგან თარგმნილი ღვთისმოსავმა კაცებმა, ეთიოპელთა შიდა ქვეყნიდან, რომელსაც ჩვენი მოთხოვნა ინდოეთს უწოდებს. იგი ამგვარად იკითხება“.

ეს შესავალი ბერძნული *ბარლაამის* ავტორობის საკითხზე გამოთქმულ ვარაუდთა დასაკონკრეტებლად მნიშვნელოვან ფაქტებს შეიცავს. პირადად მე ზევრ მათგანზე მინიშნებულებას მქონდა, მაგრამ მათზე განსაკუთრებული აქცენტისაგან თავს ვიკავებდი. საუკუნოვანი დისკუტი ბიზანტიანისტიკის ამ უმნიშვნელოვანეს პრობლემაზე ზუსტ და კატეგორიულ არგუმენტებს საჭიროებდა. მეცნიერულ არგუმენტთა შორის ვარაუდების მოხმობა პრინციპული დასკვნისთვის მხოლოდ საზიანოა.

ვენეციის ხელნაწერის ლემა თხზულების ქართულიდან ბერძნულ ენაზე მთარგმნელად ეფთვიმე ათონელს ახსენებს; ხოლო ამ ამბის მომტანად საბაწმიდელ ბერს, იოანეს. ლემის ამ ვარიანტს კიდევ ერთი ბერძნული ხელნაწერი უჭერს მხარს (Paris gr. 1771) და ასევე XI საუკუნის ლათინური თარგმანის ერთი ხელნაწერი (Bibl. Nacional de Nápoles VIII. B. 10). ეს უკანასკნელი მხოლოდ მთარგმნელს - ეფთვიმეს ასახელებს და ამბის მომტანზე არაფერს ამბობს. ბერძნულ და ლათინურ ხელნაწერებში ძალზე გავრცელებულია ლემის სხვა ვარიანტი, რომელიც მხოლოდ ამბის მომტან იოანეს ასახელებს. ხელნაწერთა ერთი ნაწილი ამ იოანეს ვინაობას იოანე დამასკელად აკონკრეტებს და მას თხზულების ავტორად თუ მთარგმნელად მიიჩნევს. როგორც ზემოთაც აღვნიშნე, რამდენიმე მეცნიერული თეორიაც (და მათ შორის საკმაოდ პოპულარულიც) სწორედ ამ ლემის იოანეს ვინაობის ამოცნობით ცდილობდა თხზულების ავტორობის პრობლემის გადაწყვეტას, რაც მე საკითხისადმი არასერიოზულ მეცნიერულ დამოკიდებულებად მიმაჩნია. და მაინც, რატომ უნდა გაჩენილიყო თხზულების ლემაში ვინმე ბერის, იოანეს, სახელი? მე ადრევე მივუთითებდი, რომ ამ კითხვაზე პასუხისას, უპირველეს ყოვლისა, იმ ქართული რეალიების გათვალისწინებაა აუცილებელი, რომლებიც X-XI საუკუნეების ათონის ქართულ საღვთისმეტყველო-ლიტერატურულ სკოლას უკავშირდება. ათონის ქართველთა მონასტერში ამ დროს ბერის ანაფორით ორი ცნობილი იოანე მოღვაწეობდა — მონასტრის დამაარსებელი და უცვლელი წინამძღვარი, ეფთვიმეს მამა, იოანე ათონელი და ეფთვიმეს ბიძა, დიდი მხედართმთავარი და კონსტანტინოპოლის სამეფო კარის დიდი ჩინოსანი, იოანე თორნიკე (ე. ხინთიბიძე 1982: 322-323; E. Khintibidze 1996: 219-220). ამჯერად, როცა ეფთვიმეს ავტორობა მედიევისტთა

საერთაშორისო წრეებშიც ნაკლებად დგას ექვის ქვეშ, ამ სარწმუნო ვარაუდზე უფრო კატეგორიულად შეიძლება ვილაპარაკოთ.

როგორც თხზულების ზემოთ ციტირებული შესავლიდან ჩანს, ავტორი ლაპარაკობს ამბის მომტან არა ერთ ბერზე, არამედ რამდენიმეზე (არანაკლებ ორისა): „კაცებმა (ἀνδρες) მომიტანესო.“ X საუკუნის ბოლო ათწლეულების ივირონის შესახებ ქართული წყაროების ცნობების ფონზე ამ სიტყვების ავტორად ეფთვიმე ათონელის მიჩნევის ვარაუდი სრულიად ბუნებრივია: ახალგაზრდა ეფთვიმეს მთარგმნელობით საქმიანობას მისი მამა, იოანე, წარმართავდა, რასაც არა მხოლოდ მამაშვილის ურთიერთობის დეტალები ადასტურებს, არამედ თვით იოანეს ცნობილი ანდერძი, დართული იოანე ოქროპირის „მათეს სახარების თარგმანების“ ეფთვიმესეულ თარგმანზე („...შვილი ჩემი ეფთვიმე განვსწავლე სწავლითა ბერძულითა სრულიად და გამოთარგმანებად წარვჰმართე წიგნთა ბერძულისა ენისაგან ქართულად და აღიწერნეს ჩვენ მიერ... წიგნნი, რაოდენცა უძლეთ წერად“ (ქუთაისის სახელმწიფო... 1953: 96)). ათონის ბერ-მონაზონთა წრეში მნიშვნელოვან საქმიანობაზე ვინმეს წარმართვისა თუ დასაქმების შუამავლად ორი პიროვნების ზრუნვა სხვა წყაროებითაც დასტურდება. ათანასეს ლავრაში იოვანეს სახელით ბერად აღკვეცილ ქართველთა სამეფოს ცნობილ მხედართმთავარ თორნიკეს ბერძენთა სამეფო კარის დასახმარებლად ხელში ხმლის აღებას ათანასე დიდი და იოანე მთაწმინდელი ერთად ევედრებოდნენ (გიორგი ათონელის „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრება“). გიორგი ათონელის „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში“ რამდენიმე პასაჟი ადასტურებს, თუ როგორ ერთიანად ზრუნავდა ორი იოვანე ათონზე ქართველთა სამოს დამკვიდრებისთვის და სასუფეველისკენ წასაღები ცოდვების შემსუბუქებისთვის. ოშკის ლავრაში ათონზე წასაღებად თავისი წარსაგებელით გადასაწერად შეკვეთილ წიგნთა ანდერძში იოვანე-თორნიკე იოანე მთაწმინდელს, ვარაზვაჩეს, მასთან ერთად წიგნის მომგებლად ასახელებს და სალოცველად მოიხსენიებს („მე, იოვანე თორნიკ-ყოფილმან, და ძმამან ჩემმან, იოვანე ვარაზვაჩე... მოვიგეთ და დავწერეთ წმიდაჲ ესე წიგნი...“; „სალოცველად თავთა ჩუენთა — პირველად იოვანე თორნიკ-ყოფილისათჳს... და მერმე, იოვანე ვარაზვაჩესათჳს და მეუღლესა მისისა და შვილთა მისთა“) (იოვანე-თორნიკე 1986: 47).

იოვანე-თორნიკეს ეს ანდერძი ბერძნული *გარლაამის* ავტორის ეფთვიმე ათონელის შემოქმედებით პროცესზე უფრო მეტი ვარაუდების აღმძვრელია. დავიწყოთ იმით, რომ დღეს, როცა ეფთვიმეს ავტორობა ბიზანტინისტთა დაექვებას ნაკლებად იწვევს, სარწმუნო თვალსაზრისად უნდა ჩაითვალოს, რომ *გარლაამის* ლემამი მოხსენიებული იოვანე არის ათონელი ბერი იოვანე-თორნიკე. ამ თვალსაზრისის სამტკიცებლად ყურადღებას ორიოდ გარემოებაზე გავამახვილებ:

ა) იოვანე-თორნიკე, ათონის მთიდან საქართველოში დაბრუნებული და 976 წელს აჯანყებული ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი მხედრობის მთავარსარდალი, 979 წლის ჩათვლით აღმოსავლეთშია და ათონზე დაბრუნებულმა ქართველთა სამშობლოში არა მხოლოდ ბერძენ მეფეთა ნაბოძები დიდი სიმდიდრე, არამედ ტაო-კლარჯეთის ქართულ მონასტერთაგან ბევრი წიგნი მოიტანა და თვით მონაზონნი ჩამოიყვანა. ამას არა მხოლოდ ზემოთ დამოწმებული 977 წელს ოშკში გადაწერილი მის მიერ მოგებული „სამოთხე“ ადასტურებს, არამედ გიორგი ათონელის „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრების“ საგანგებო პასაჟები („ხოლო იყო რაჲ თორნიკ აღმოსავალეთს, მრავალნი ფიქოსანნი და სახელოვანნი მონაზონნი ჩამოიტანნა, სიმრავლე არამცირედი.“) (გიორგი მთაწმიდელი 1967: 49).

ბ) *ბარლაამის* ვენეციური ლემა, როგორც აღვნიშნეთ, ბერძნულ ხელნაწერთა ლემების მხოლოდ ერთ ვარიანტს წარმოადგენს; ხელნაწერთა აბსოლუტური უმრავლესობა ლემის იმ ვარიანტს გვთავაზობს, რომელშიც საუბარი მხოლოდ წმინდა ქალაქში ამბის მომტანზეა:¹ „სულის მარგებელი მოთხრობა, ეთიოპელთა, ეგრეთ წოდებულ ინდთა, უშინაგანესი ქვეყნიდან წმინდა ქალაქში მოტანილი პატივდებული და რჩეული კაცის იოანეს მიერ, [რომელიც იყო] წმინდა საბას მონასტრის ბერი“. *ბარლაამის* ლემის ეს ვარიანტია მიჩნეული თავდაპირველ ვერსიად. მე ვერ ვეთანხმები ეფთვიმეს ავტორობის ზოგიერთ დამცველთა იმ ვარაუდს, რომ თავდაპირველი ვენეციის ხელნაწერის ლემის ვარიანტი უნდა იყოს, რამდენადაც იქ ამბის მომტანიცაა მოხსენიებული (ბერი იოანე) და ბერძნულად მთარგმნელიც (ეფთვიმე); და რომ ამ უკანასკნელი სახელის ლემიდან ჩამოშორება ბერძენ გადამწერთა მიერ მოხდებოდა, რაც მოსალოდნელი იყო ივირონის ლავრისადმი ბერძენთა მძიმე შეტევების პერიოდში. ათონის ქართული მონასტრისადმი ბერძენთა დაპირისპირების პიკი XI საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისამდე არაა სავარაუდებელი. გარდა ამისა, XI საუკუნის მეორე ათწლეულის ბოლომდე აშკარად მოულოდნელია გადამწერთა სავარაუდო აქტიური საქმიანობა *ბარლაამის* ხელნაწერებიდან ეფთვიმეს სახელის ამოსაშლელად. *ბარლაამის* ჩვენამდე მოღწეული ბერძნული ხელნაწერებიდან რამდენიმე XI საუკუნის დასაწყისში გადაწერილად მიჩნეული.² ვენეციის ხელნაწერი კი, რომელშიც ეფთვიმეს ავტორობაზე მიმათითებელი ლემა იკითხება, XI საუკუნის პირველ ათწლეულებისად არ მოიაზრება. ზოგი მკვლევარი მას XII საუკუნისად მიიჩნევს (ფ. დელგერი, ბ. ფონკიჩი). ფონკიჩის მტკიცებით, იგი XII საუკუნეშია

1 სიმონ ყაუხშიჩვილის მითითებით, „ასეთი ლემა აქვს ხელნაწერთა ორ მესამედს (ყველაზე ცნობილი 95 ხელნაწერიდან 61-ს)“ (ს. ყაუხშიშვილი 1973: 224).

2 ფ. დიოლგერი *ბარლაამის* ხელნაწერთაგან ოთხ მათგანს X საუკუნით ათარიღებდა, რაც ბერძენ პალეოგრაფისტთა შემდგომი დაკვირვებით არ დადასტურდა; ერთი მათგანი კი სავარაუდოდ XI საუკუნის პირველივე წლებში გადაწერილად იქნა მიჩნეული.

გადაწერილი, მაგრამ თავფურცელი და დასაწყისი XV საუკუნეშია აღდგენილი (Б. Фонкич 1977: 210-215). ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ლემის ეს ვარიანტი XI საუკუნისად არ მივიჩნიოთ. ბერძნული *ბარლაამის* ლემა ეფთვიმეს ავტორობაზე მითითებით XI საუკუნის მეორე ნახევრისათვის ნამდვილად არსებობდა. ამას ის ამტკიცებს, რომ ამ ლემის კვალი (ეფთვიმეს ავტორობაზე მითითებით) აშკარად ჩანს 1048 წლის ლათინური თარგმანის ლემაშიც და გადამწერის ანდერძშიც.³

დავუბრუნდეთ *ბარლაამის* ლემის იოანე ბერის ვინაობას. ლემაში იკითხება, რომ ამბის მომტანია „ბერი იოანე, პატივდებული და რჩეული კაცი“ (Ιωάννου μοναχου ἁγίου τῆς πίστεως καὶ ἐναρέτου). შუასაუკუნეების საბერძნო-სლავო-სერბო-ბოშნო-გალობლების პოზიციიდან მოულოდნელია მონაზონის (ბერის) „რჩეულ“ და უფრო მეტიც, „პატივდებულ“ კაცად წარდგენა (გავიხსენოთ შუასაუკუნეების ქართველ მონაზონთა სახელები: ეფრემ მცირე, ცოდვილი იორდანე, მიქაელ მოდრეკილი, იოვანე მინჩხი და კიდევ სხვა წოდებანი: უღირსი, შეყენებული,...). ვფიქრობ, და ნაკლებად მოსალოდნელია ვცდებოდე, რომ ბერძნულ მანუსკრიპტთა კატეგორიული მითითება ამ ბერის პატივდებულობასა და რჩეულობაზე უნდა მიუთითებდეს ოფიციალურად მინიჭებულ ღირსების სახელებსა თუ წოდებებზე. ვფიქრობ, ყურადღება უნდა შევაჩეროთ ათონის აღმოსავლეთიდან წმინდა მთაზე საბერძნო-სლავო-სერბო-ბოშნო-გალობლების დიდი საბოძვრით დაბრუნებულ იოვანე-თორნიკეზე. ივირონის ქართველთა მეხსიერებაში იგი დარჩა იმ განთქმულ და გამოჩენილ ერისკაცად, რომელმაც თავისი ამქვეყნიური დიდი მფლობელობა ბერის ანაფორაზე გაცვალა. (გიორგი ათონელი: „არცა თუ მცირედი რაიმე დაუტევა ჳელმწიფებასა ქუეშე თვისსა, არამედ ეგევითარმან მან განთქმულმან და საჩინომან კაცმან ყოველივე ნებად თვისი მოიკუეთა და სრულებით შედგა მორჩილებასა მისსა“ (გიორგი მთაწმინდელი 1967: 50). ქართველთა სამეფოს დიდი მხედართმთავარი ბიზანტიის სამეფო კარის დიდი წოდების - „პატრიკის“ წოდების მატარებელი იყო. ბერძენთა სამეფოს განდგომილი სარდლის, ბარდა სკლიაროსის, დამარცხების შემდეგ ბერძენმა მეფეებმა „სინკელოსის“ საპატიო წოდება უბოძეს. ეს დიდი პატივი იოვანე-თორნიკეს სიამაყით მიჰქონდა სასუფეველში. აი, როგორ მოიხსენიებს იგი თავის თავს „სამოთხის“ ანდერძში: „...სალოცველად თავთა ჩუენთა - პირველად იოვანე თორნიკ-ყოფილისათჳს და აწ, წმიდათა მეფეთა მიერ იოვანე სვინგელოზისათჳს, რომელმანცა სიყუარულისათჳს ღმრთისა დაუტევა დიდებად ქუეყანისად და პოვა ზეცისად“ (იოვანე-თორნიკე 1986: 47).

იოვანე-თორნიკეს „ანდერძი“, დართული მის მიერ მოგებულ ოშკში გადაწერილ „სამოთხეზე“, ეფთვიმე ათონელის *ბარლაამის* შესავალთან მიმართებით სხვა ვარაუდსაც აღძრავს. გერმანელ ბიზანტინისტთა

3 დაწვრილებით იხ.: ე. ხინტიბიძე 1982: 325-329; E. Khintibidze 1996: 222-225.

უკანასკნელი ათწლეულების გამოკვლევით, რომელიც ნათლად ჩანს რობერტ ფოლკის ნაშრომებში, დადასტურებულია რომ *ვარლაამ* და *იოასაფის ისტორია* ძალზე ფართოდ ემყარება სვიმეონ ლოდოთეტის „მენოლოგს“ (R. Volk 2006; C. Høgel 2019). წინა საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ფ. დიოლგერის ფუნდამენტური კვლევით გამოვლინდა, რომ *ბარლაამის* დოგმატურ-პოლემიკური კონტექსტი იოანე დამასკელის თხზულებებზეა დამოკიდებული (F. Dölger 1953). ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასასრულს ნათელი გახდა, რომ *ბარლაამის* ბერძნულ ტექსტში წარმართულ რელიგიებთან საკამათოდ თითქმის სრული სახითაა ჩართული დაკარგულად მიჩნეული პოლემიკური თხზულება *არისტიდეს აპოლოგია* (I. Harris 1891). ყოველივე ამას უნდა დაემატოს, რომ ბარლაამი ბიბლიური ციტატების განსაკუთრებული სიუხვით გამოირჩევა და ფართოდ ეყრდნობა პატრისტიკულ ლიტერატურას (ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი, იოანე ოქროპირი, მაქსიმე აღმსარებელი და სხვ.). ამკარად ჩანს, რომ თხზულების ავტორი დიდი სიფრთხილით ცდილობს მისი ყოველი სიტყვა ქრისტიანულ თეოლოგიაში დიდ წინაპართა აპრობირებულ სიბრძნეს არ გადასცდეს. და ამგვარად ქმნის ბიბლიური ტექსტისა და შუასაუკუნეების დიდ ქრისტიან წმინდა მათა პატრისტიკის ისეთ მოზაიკას, რომელმაც რენესანსის ეპოქის გარიჟრაჟზე ევროპის თითქმის ყველა ხალხს უპოპულარულესი რომანი მისცა; ხოლო დღეს კი ბიზანტიური ლიტერატურის მკვლევარნი განცვიფრებაში მოიყვანა (C. Høgel 2019: 363-64). მწერლის ეს სტილი მიაწვდის უპირატესად არა შემოქმედ-თეოლოგზე (მაგალითად, იოანე დამასკელი და სხვ.), არამედ ბიბლიურ-პატრისტიკულ მწერლობაში ღრმად ჩახედულ და მკაფიოდ მიზანდასახულ ბრწყინვალე მწერალზე, რომელსაც დიდი სიფრთხილით შემოჰყავს წმინდანთა დასში ორი წმინდანი და ნათლად განუმარტავს წარმართ მასას ქრისტიანული რწმენის სიღრმესა და სიმშვიდეს. ამიტომ მოვიაზრებ მე ამ მწერალში „ბერძნულისწავლით სრულად განსწავლულ“ უკვე ზრდასრულ ეფთვიმე მთაწმინდელს, შემდგომში თითქმის 30 წლის მანძილზე ათონის წმინდა მთის საბერძნოზვნო კორპორაციის სულიერ მოძღვარს, ეპიტროპს. იგი წერს სულისმარგებელ რომანს სამეფო კარის და ქრისტიანული ეკლესიის იმჟამინდელი სწრაფვის ხორცშესახებელად; ჩრდილოეთის დიდი წარმართი სამყაროს ურწმუნო სიბნელის განსაქიქებლად და ქრისტიანული რწმენის სიღრმისა და იმედის დასამკვიდრებლად; დიდი ქრისტიანული ეკლესიის კანონიკურ წრეში წმინდა ვარლაამისა და წმინდა იოასაფის სახელების დასამკვიდრებლად.

ბარლაამის სტილის ეს თავისთავადობა მაფიქრებინებს, რომ ავტორი იმ პასაჟებშიც, როლებიც უფრო მეტად ავტორისეულია (არც მასთან მიტანილი ნარატივია და არც ბიბლიურ-პატრისტიკული პოლემიკა, აპოლოგია თუ დოგმატიკა), საფიქრებელია თვალს მაინც ადევნებს ავტორიტეტულს, მიღებულს ან მოძღვართა ნათქვამს. ამ კუთხით მინდა

სავარაუდოდ მივანიშნო *ბარლაამის* ზემოთ ციტირებული „პროლოგის“ და აგრეთვე თხზულების „შესავლის“ შორეულ პარალელზე „პატივდებული და საჩინო კაცის“ თორნიკე-ყოფილ იოვანე ბერის მიერ წმინდა მთაზე ქართველთა სამმოსთან მიტანილ კიდევ ერთ წიგნთან. ესაა ზემოთ მოხსენებული „სამოთხე“, ივირონის მაშენებლის ორი დიდი იოვანეს წარსაგებლით გადაწერილი.

„შესავალს“ მე პირობითად ვუწოდებ *ბარლაამის* პირველი თავის იმ ნაწილს, სანამ დაიწყება საუბარი უშუალოდ ინდოეთის მეფე აბენერზე. თხზულების ამ ნაწილს არ იცნობს არც ქართული ვერსიები (*სიბრძნე ბალავარისი* და *წმინდა იოდასაფის ცხოვრება*) და არც არაბული ვერსია (*კიტაბ ბალაჰვარ ვა ბუდასფ*) (Повесть 1947). ბერძნული *ბარლაამის* ეს შესავალი იწყება ინდოეთის გეოგრაფიულ მდებარეობაზე მითითებით. შემდეგ საუბარია ღმერთის კაცად მოვლინების მისტერიაზე: უფალი ცოდვისაგან ჩვენი ხსნისათვის ქალწულის საშოსაგან იშვა, დაითმინა ყველა მიწიერი ტანჯვა, ამაღლდა ზეცად, მის მიმდევრებსა და მოწაფეებს, მოციქულებს ცეცხლის ენათა მსგავსად სული წმინდა ნუგეშად მიუვლინა და დაგზავნა ისინი ხალხთა გასანათლებლად შორეულ აღმოსავლეთსა და დასავლეთში. ამ საღვთისმეტყველო პასაჟის არქიტექტონიკის შორეული პარალელი ჩანს იოანე-თორნიკეს „ანდერძში“, რომელიც ჩართულია „სამოთხის“ მის მიერ 979 წელს ქართველთა სამმოში მოტანილ და დღესაც ივირონის წიგნსაცავში დაცულ ხელნაწერში: „...ჩუენისა ჳსნისათვის ნებითა მამისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა გარდამოხდა საშოსა ქალწულისასა ძჳ დაუსაბამოდ...“ და ამ დიდი მისტერიის აღწერის შემდეგ „ანდერძი“ აგრძელებს: „ამან, მეორემან ადამ, შობილმან დედაკაცისაგან, ყოვლისა სოფლისა წარავლინნა თჳსნი მოციქულნი, რაჲთა ყოველნი გუაცხოვნენ“ (იოვანე-თორნიკე 1986: 45-46). *ბარლაამის* „შესავალში“ მოციქულთა აღმოსავლეთში და დასავლეთში დაგზავნაზე საუბარი განპირობებული იმითაა, რომ მათგან ერთ-ერთის — თომა მოციქულის — ინთოეთში გაგზავნასა და იქ ქრისტიანობის დამკვიდრებაზე და ბალავარისა და იოასაფის ღვაწლზე იქნეს მბოზა დაწყებული. ადამის მოდგმის გადასარჩენად მოციქულთა და მათთან ერთად წმინდა მამათა ღვაწლზე ავტორი *ბარლაამის* პროლოგშიც ლაპარაკობს: „...ეს მიიღო ქრისტიანულმა ეკლესიამ ტრადიციად შთაგონებულ მოციქულთაგან და ნეტარ მამათაგან.“ იოვანე-თორნიკეს „ანდერძიც“ მოციქულთა ღვაწლის გვერდით წმინდა მამათა და მოწამეთა ღვაწლზე ლაპარაკობს: „...წარავლინა თჳსნი მოციქულნი, რაჲთა ყოველნი გუაცხოვნენ... და შემდგომად მათსა წმიდანი მღდელთმოდუარნი დამოწამენი და წმიდანი მამანი მეუდაბნოენი.“ საგანგებო ყურადღება მინდა მივაქციო იოვანე-თორნიკეს იმ სიტყვებს, რომლითაც იგი უშუალოდ აგრძელებს ამ აზრს და წმიდა მამათა ღვაწლს განადიდებს: „...და თითოვეულმან მათგანმან მიუპყრეს ღმერთსა ტალანტი წმიდათა შრომათა მათთაჲ“ (იოვანე-თორნიკე 1986: 45-46). ეფთვიმეს მიერ მოძღვრის „ანდერძისადმი“

თვალის დევნება ამ დეტალშიც შეინიშნება. მისი ლირიკული წიაღსვლა არ მალავს „წმიდა მამათა მეუღაბნოეთა“ კვალდაკვალ უფლისადმი თავისი „ტალანტის“ მიძღვნის სურვილს: „ვუფროთხი რა განსაცდელსა იმ მონისასა, რომელმაც თავისი უფლისაგან ერთი ტალანტი რომ მიიღო (ὅς λαβὼν πᾶρὰ τοῦ δεσπότης τὸ τάλαντον), მიწაში დაჰვლა და საქმისათვის მოცემული უსაქმოდ დამალა, არაფრით არ შემიძლია დუმილით ავუარო გვერდი იმ სულისმარგებელ ამბავს, რომელმაც ჩემამდე მოაღწია.“

ქართული რეალიები ვარლჰაიმ და იოასაფის ისტორიის „პროლოგსა“ და „შესავალში“ კიდევ ერთი ვარაუდის შესაძლებლობაზე მიმანიშნებს. თხზულების ლემაში ამბის მომტანი ბერი იოანეს „პატივდებულ და რჩეულ კაცად“ მოხსენიება და ავტორის მიერ „პროლოგში“ მითითება „ღვთისმოსავ კაცებზე“, რომლებმაც მასთან ეს „უტყუარ ჩანაწერთაგან თარგმნილი“ „სულისმარგებელი ამბავი“ მიიტანეს, სარწმუნოს ხდის ვარაუდს, რომ *ბარლჰაიმ* იწერება ათონის ქართულ ლავრაში (და მაშასადამე ეფთვიმეს მიერ). კიდევ ერთხელ დავაკონკრეტებ სათანადო არგუმენტებს: ლემაში ამბის მომტან იოანეზე მითითება იოვანე-თორნიკეს პიროვნებას და მოღვაწეობას შეესაბამება. ავტორის მიერ პროლოგში ამბის მომტან „ღვთისმოსავ კაცებადზე“ მითითება, რაც ეფთვიმეს ორ წინამძღვარ იოვანეზე - მამასა და ბიძაზე მიანიშნებს, ლემაში დაკონკრეტებულია ამბის მომტან ბერ იოანედ. ლემისეული ამბის „წმინდა ქალაქში“ მიტანა მიანიშნებს ათონზე, რომელიც წმინდა მთის სახელით იყო ცნობილი. ავტორი პროლოგში ლაპარაკობს ამ „სულისმარგებელი ამბის მასთან უტყუარი ჩანაწერებისაგან თარგმნილი“ სახით მიტანაზე. ესეც მიანიშნებს ქართულ *ბალავარაძეზე*, რომელიც აღმოსავლური ამბის ქართულად თარგმნილი ვერსიაა.

თხზულების ლემა კიდევ ერთ დილემაზე დაგვაფიქრებს - ამბის მომტანი იოანე „წმინდა საბას მონასტრის ბერია“. ამიტომ ხედავდნენ ამ იოანეში ხელნაწერთა გადამწერლები იოანე სინელს ან იოანე დამასკელს, რომელთა მოღვაწეობა, უფრო სარწმუნო ვარაუდით, უკავშირდება საბაწმიდას. ამ ცნობას ეფუძნებოდა ზოტენბერგიც, როცა თხზულების ავტორად უცნობ საბაწმინდელ იოანეს ასახელებდა. პირადად მეც ამ იოანეს იდენტიფიცირების ერთ-ერთ ვარიანტად ვასახელებდი ქართული წყაროებით ცნობილ იოვანე გოლგოთელსაც, რომელსაც ათონის მთაზე წიგნები მიჰქონდა აღმოსავლეთის ქართული სავანეებიდან (ე. ხინთიბიძე 2003: 73). მაგრამ, როგორც ვხედავთ, ამბის მომტან იოანეს იოვანე-თორნიკედ იდენტიფიცირება ბევრად უფრო სარწმუნო ვარაუდია. ჰქონდა რაიმე კავშირი საბაწმიდის მონასტრის ქართულ საღვთისმეტყველო-ლიტერატურულ ცენტრთან იოვანე-თორნიკეს? თორნიკე ერისთავის ბერად აღკვეცის და აღმოსავლეთში მისი მიმოსვლის მარშრუტის დეტალები ქართულ წყაროებში არ იკითხება და ამდენად ამის დაშვებისათვის არავითარი საფუძველი არა გვაქვს.

ამჯერად მიიღო ამ დილემაზე სხვა ვარაუდი წარმოვადგინო, რომელზეც ისევ იოვანე-თორნიკეს წარსაგებლით გადაწერილმა და მის მიერ ათონზე მიტანილმა „სამოთხემ“ მიმანიშნა. *ვარლამის* ლემა თხზულების პროლოგზე დაყრდნობითაა შექმნილი და ამავე დროს იმ რეალიზმის გათვალისწინებით, რაც ივირონის ქართველთა საბერძნო-მონაზვნო წრეში იყო შემორჩენილი (ეს ჩანს იოვანე ბერზე და მის საერისკაცო რეალიზმზე მინიშნებაში). საკითხავია, არის კი ეს ლემა ჩვენამდე მოღწეული ზუსტად პირვანდელი სახით? ფაქტი ისაა, რომ გადამწერთა მიერ ამ ლემის იოანესთან დაკავშირებული დეტალები იცვლებოდა: ამბის მიმტანი გადააზრდა თხზულების მთარგმნელად და ავტორად; იოანე ბერი დაკონკრეტდა იოანე დამასკელად ან იოანე სინელად, იოანე ტაბენისელად. დავუბრუნდეთ ისევ იოვანე-თორნიკეს პიროვნებას. იგი ერთგვის აღიკვეცა რა ბერად, შემდგომშიც ათონიდან სამიწლით (976-979 წწ.) ქართული მხედრობის სარდლად მოღვაწეობისას, ბერად რჩება და ბერად ბრუნდება ათონზე. ბერ-მონაზონთა ცხოვრების ეს ტრივიალური ჭეშმარიტება მის მიერ 977 წელს დაწერილ „ანდერძშიც“ სიტყვიერადაა დადასტურებული. იგი თავის თავს ამგვარად წარადგენს: „მოვიგეთ და დავწერეთ წმიდაჲ ესე წიგნი... სალოცველად თავთა ჩუენთა — პირველად იოვანე თორნიკოფილისათჳს და აწ, წმიდათა მეფეთა მიერ იოვანე სწგლოზისათჳს, რომელმანცა სიყუარულისათჳს ღმრთისა დაუტევა დიდებაჲ ქუეყანისაჲ და პოვა ზეცისაჲ... რამეთუ შეიცვალა ხატი ერისა კაცობისაჲ და შეიმოსა სახჴ მეუღაბნოვეთაჲ“ (იოვანე-თორნიკე 1986: 47). (ბიზანტიის მეფეთა მიერ ბოძებული სწგლოზის წოდება კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დიდი სასულიერო ტიტულია). ფაქტია, რომ აღმოსავლეთში სამწლიანი ყოფნისას დროდადრო იგი ტაო-კლარჯეთის ქართულ მონასტერთა სტუმარი-მოხინადრეც იყო. ამას ადასტურებს წმ. გიორგი მთაწმიდელის სიტყვები, რომ ათონზე დაბრუნებულმა მან „მრავალნი ფიქოსანნი და სახელოვანნი მონაზონნი ჩამოიტანნა.“ კერძოდ, იგი რომ ოშკის დიდ ქართულ მონასტერში იყო, ამას მოწმობს ამავე პერიოდში გადაწერილი ქართული ბიბლია, რომელიც ახლაც ივირონის ქართულ წიგნთსაცავში ინახება, და უპირატესად მის მიერვე „მოგებული და დაწერილი“ *სამოთხე*. იგი ოშკშია გადაწერილი 977 წელს და სრულდება გადამწერის სიტყვებით: „დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი დიდებულსა ლავრასა ოშკს, საყოფელსა წმიდისა ნათლისმცემლისასა, მამობასა საბამსა, ქრისტემან აკურთხენ!“ (იოვანე-თორნიკე 1986: 47). ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ წმიდა წიგნებით, დიდი სიმდიდრით და „მრავალნი ფიქოსანნი და სახელოვანი მონაზონნი“ წინამძღვარ საბას მონასტრიდან ჩამოსული მონაზონი იოვანე ბერძენ გადამწერთა სიმრავლის მიერ წმიდა საბას მონასტრის მონაზონად გადააზრდა. საბას მონასტრის ბერი ბიზანტიელ მწიგნობართა წარმოდგენაში საბაწმიდის მონასტრის ბერთან ასოცირდება.

ბერძნული *ბარლაამის* ლემასა და შესავალთან მიმართებით ქართული რეალიების კიდევ ერთი ვარაუდი მინდა წარმოვადგინო. ბერძნულ ხელნაწერთა ლემის ის ვარიანტი, რომელშიც ეფთვიმეს ავტორობაზეა მითითებული (Venet. Mare. Gr. VII, 26.) ჩემი მტკიცებით (ე. ხინთიბიძე 1982: 308-318; E. Khintibidze 1996: 227-237), და თანახმად ჰ. ზოტენბერგისა და ფ. დელგერისა, ათონის ქართველ ბერ-მონაზონთა მიერაა შექმნილი; მაგრამ არა ქართველ მწიგნობართა ყალბისქმნელობის მიზნით (როგორც ჰ. ზოტენბერგი ფიქრობს), ან შეცდომით (როგორც ფ. დელგერი ვარაუდობს), არამედ იმიტომ, რომ ეფთვიმეს ღვაწლი და დამსახურება (და ამდენად ივირონის ქართული ბერ-მონაზვნობისა) გადარჩენილიყო და არ დაკარგულიყო. ათონელ ქართველთა ეს ქმედება მოსალოდნელი იყო XI საუკუნის 30-40-იან წლებში. რაც განპირობებული იქნებოდა თავდაპირველად იმპერატორ ბასილი II-ის დაპირისპირებით ქართველთა სამეფოსთან, რაც 1021-22 წლებში ბერძენ-ქართველთა ომით დასრულდა და შემდგომ, ეფთვიმეს გარდაცვალების უმალ, რომანოზ III-ის დროს, 1028-34 წლებში, ათონის მთაზე ქართველთა პრივილეგიების დაკარგვით. ქართული წყაროები ივირონის მიტაცების მიზნით ბერძენთა მტრობისა და მარცვა-დარბევის ბევრ და ძალზე მწვავე ფაქტებს ინახავს (ვ. კეკელიძე 1955: 69-86). ათონელ ქართველთა ინიციატივით უნდა მომხდარიყო ბერძნული *ბარლაამის* ლათინურად სათარგმნელად კონსტანტინოპოლში გაგზავნაც, რაც ასევე ეფთვიმეს ღვაწლის გადარჩენის მიზნით იქნებოდა მოაზრებული. შემსრულებელი ამ მისიისა არიან ათონის მთაზე ლათინელთა მონასტრის მკვიდრნი, რომლებთანაც ქართველებს მჭიდრო მეგობრობა აკავშირებდა. ათონელ ქართველ და რომაელ მონაზონთა ამ სამმო სიყვარულის ბრწყინვალე პასაჟებს გვიამბობს გიორგი მთაწმინდელი „იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში“: „ვიდრე-ღა მამად იოვანე ცოცხალ იყო, მო-ვინმე-ვიდა მონაზონი ჰრომისა ქუეყანისად, კაცი განთქმული სათნოებითა,.. ძმად ვენევეტოს დუკისად, წარჩინებული ნათესავით. ესე მოვიდა ექუსითა მოწაფითა თვსთა მთასა ამას წმიდასა ლოცვად.“ ქართველებმა ისინი თავიანთ მონასტერში მიიღეს. „ევედრებოდეს აქა ყოფასა და ეტყოდეს, ვითარმედ: ჩუენცა უცხონი ვართ და შენცა უცხო ხარ... ხოლო იგი, ვინადოგან საჩინო კაცი იყო და სახელოანი“... მას სამონაზნო ცხოვრების მიზნით სხვა რომაელნიც შეუერთდნენ. მაშინ ქართველებმა მათ ურჩიეს საკუთარი მონასტრის აშენება: „ჩუენ გიყიდოთ ადგილი და ყოვლითავე საკმრითა შეგეწინეთ... არა ინება ურჩებად ბრძანებისა მათისად. ვინადცა აღაშენა მონასტერი შუენიერი და ძმანი მრავალნი შეკრიბნა და თანადგომითა მამათა ჩუენთადთა სრულ-ყო ყოველივე საქმე შენებისად, და ზედას-ზედა მოვალნი იგი ხილვად მათდა, და დაყვნის დღენი მრავალნი, და კუალად მიიქცის თვსსავე მონასტერსა“ (გიორგი მთაწმინდელი 1967: 65).

ჩემი აზრით, ათონელ ქართველთა და ლათინელთა ამ მეგობრობის შედეგად გახსნია გზა ევროპული მწერლობისაკენ ქართველთა ინტელექტუალური მოღვაწეობის ორიოდ ბრწყინვალე ნიმუშს. XIII საუკუნის შუა წლებში გიორგი მცირის „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების“ ერთი დიდი მონაკვეთი, რომელიც ბიზანტიის სამეფო კარზე კონსტანტინე X დუკას მიერ ბერძენ-რომაელთა განყოფის თაობაზე გამართულ დისპუტზე ბერძენ და რომაელ მღვდელმთავართა, ასევე სომეხ დიდებულთა წინაშე გიორგი მთაწმიდელის წარმოთქმულ სიტყვებს დეტალურად აღწერს, თარგმნილია ლათინურ და ბერძნულ ენაზე და შეტანილია ლათინურ კრებულში *რწმენის საუნჯე*. კრებული მოღწეულია XIII-XIV საუკუნის მიჯნის სამიხელნაწერით (ხელნაწერები დაცულია პარიზსა და მილანში). კრებულის შემდგენელია დომინიკელი ბერი ბონაკორსი (გარდაიცვალა 1270 წელს), რომელიც კონსტანტინოპოლში ათწლეულების მანძილზე აგროვებდა მასალას ბერძენ-რომაელთა ქრისტოლოგიური პოლემიკის თაობაზე. ვფიქრობ, რომ ქართული აგიოგრაფიული თხზულებიდან ამ მასალის ბერძნულად თარგმნა და ბონაკორსისათვის მიწოდება ათონელ ქართველ და რომაელ მონაზონთა დამსახურებაა (ე. ხინთიბიძე 2021: 191-210).

დავუბრუნდეთ ისევ *ვარლამ და იოსაფის* ლემის იმ ვარიანტს, რომელშიც ეფთვიმე ათონელის ავტორობაზეა მითითებული. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ლემის ეს ვარიანტი ათონის მთაზეა შესრულებული და, ჩემი აზრით, ქართველ და რომაელ მონაზონთა თანამშრომლობით. ამ თანამშრომლობის ძირითად არგუმენტად ის მიმაჩნია, რომ თხზულების ამ ლემიანი ვარიანტია მიტანილი ათონის მთიდან კონსტანტინოპოლში ლათინელ მთარგმნელთან, რომელმაც მისი თარგმნა 1048 წელს დაასრულა. ლემის ბერძნულ ტექსტში ქართული ენის ერთგვარი გავლენაც ჩანს. ფ. დიოლგერი ყურადღებას განსაკუთრებით ამახვილებს წინდებულ „ჰუპერ“-ზე, რომლითაც მითითებულია, რომ თხზულება ეფთვიმეს მიერაა თარგმნილი (σὺπερ ἑσθμίου). და რამდენადაც ამ წინდებულის ძირითადი მნიშვნელობა არის „თვის“, დიოლგერი მიიჩნევს, რომ ათონის წიგნთსაცავში ეფთვიმესთვის ქართულად სათარგმნელი ბერძნული ხელნაწერი, რომელსაც ეს წარწერა ექნებოდა ბერძნულად („ეფთვიმესთვის“) ათწლეულების შემდეგ ივირონის ქართველმა ბერებმა შეცდომით „ეფთვიმეს მიერის“ მნიშვნელობით გაიგეს, და ამიტომ შექმნეს არასწორი ვერსია ეფთვიმეს ავტორობაზე. (ე. ი., დიოლგერის აზრით, ქართველმა ბერებმა ერთმანეთში აურიეს ორი ბერძნული წინდებულის მნიშვნელობა: „ჰუპერ“ და „ჰუპო“ (σῦν). „ჰუპო“ ნიშნავს „მიერ“-ს.). დიოლგერი ცდება. ბერძნულ წინდებულს სὺπερ ბევრი მნიშვნელობა აქვს. იგი შეიძლება შეესაბამებოდეს ქართულ „გამო“-საც (მის გამო, მისი მეშვეობით, მისი სახელით). ამ ლემაში იგი მიემართება არა სიტყვა თარგმნას, არამედ - მეტაფრასირებას (μεταφρασθεῖσα σὺπερ ἑσθμίου). შუასაუკუნეების ტექსტები მეტაფრა-

სტულ თხზულებებს არა ვინმეს *მიერ* შექმნილად, არამედ ვინმეს *გან* შეკაზმულად მიიჩნევენ. (ეფრემ მცირე: „არა ჯერ არს სხვსა ვისგანმე შეკაზმულად ვჰგონებდეთ წიგნსა ამას, ვითარ იგი გუასმიეს სვემონ ლოლოთეტიცა და სხუათა მეცნიერთა *ბერძენთაგან* კაზმვად“ (თ. ჟორდანიას 1892: 217). შუასაუკუნეების განსწავლული ბერი არ იტყვის, რომ რომელიმე თხზულება შექმნილია ვინმემწერლის *მიერ*. შექმნა ხდება სულიწმიდის მიერ და იწერება მწერლის *ხელით*, გამოდის მწერლისგან, მისი *მეშვეობით*. (გიორგი მერჩულე: „აწ არს ხანძთას *კელითა მისითა* დაწერილი სულისა მიერ წმიდისა საწელიწდოდ იადგარი“). იმასაც უნდა მიეცეს ყურადღება, რომ ათონელი ქართველი ბერი, ბერძნულის არცთუ საუკეთესოდ მცოდნე, ქართულის შესიტყვებას „ეფთვიმესა მიერ“ ბერძნულად უფრო მიასადაგებდა წინდებულს „ჰუპერ“, ვიდრე „ჰუპოს“. ბერძნულთან ისეთივე დამოკიდებულების ლათინელი ბერიც ლათინური per-ის გავლენით (per-მიერ) „უპერ“ წინდებულს აირჩევდა.

ისევ ათონელ ქართველ ბერთა მეგობარ დიდ ლეონს დავუბრუნდეთ. იგი არ იყო ბერძნულის კარგი მცოდნე. „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში“ საბერძნოზნო სიყვარულის ერთი ბრწყინვალე პასაჟი იკითხება. ზემოხსენებულ რომაელ ლეონს, რომელსაც ქართული წყაროები „დიდის“ ეპითეტით მოიხსენიებს, ქართველ მონაზონთაგან განსაკუთრებული დიდი მეგობრობა ჰქონდა გაბრიელ მღვდელთან, რომელიც თავისი მღუმარებით მთელს ათონის მთაზე იყო განთქმული. (ათონის ბერძნულ კორპორაციაში გავრცელებული ლეგენდის თანახმად სწორედ ამ გაბრიელთან თავისი ნებით მიცურდა შორეულ ედესაში ხატომბრძოლობის დროს დაჭრილი ღვთისმშობლის ხატი, დღეს პორტაიტის ხატის სახელით ცნობილი). „მას ღირსსა მღდელსა გაბრიელს ქართველსა და ამას წმიდასა ბერსა დიდსა ლეონს ჰრომსა ფრიადი სიყვარული აქუნდა სულიერი, და ოდესცა მოვიდეს ხილვად მამათა, მახლობლად სენაკსა გაბრიელისსა აქუნდა სენაკი, და მუნ დაყვნის დღენი იგი. და თჳსისა ენისაგან კიდე არცა მან იცოდა, არცა მან. და ვითარცა შებნელდის, გამოვიდოან თჳსთა სენაკთაგან, და ლოვცა-ყვიან, და დასხდოან და ვიდრე ცისკრისა რეკადმდე უზნობდოან სიტყუათა საღმრთოთა“ (გიორგი მთაწმინდელი 1967: 66).

ამიტომაც ვფიქრობ მე, რომ *ბარლაამის* ლემის იმ ვარიანტის შექმნაც, რომელშიც ავტორად ეფთვიმეა მოხსენიებული, და ამ ლემიანი ხელნაწერის კონსტანტინოპოლში ლათინურად სათარგმნელად ჩატანაც ათონის ქართველთა და რომაელ ბერ-მონაზონთა ერთიანი აქტივობის შედეგია. უფრო მეტიც, არაა გამორიცხული, რომ *ბარლაამის* ამ ბერძნული ხელნაწერის კონსტანტინოპოლში რომაელ მთარგმნელთან მიმტანელი და მისი შექმნის ამბის მთხრობელიც იყოს ზემო-თხსენებული რომაელი ლეონი. როგორც ზემით აღვნიშნეთ, ბერძნული *ბარლაამის* პირველ ლათინურ თარგმანში, რომელიც 1048 წელს კონსტანტინოპოლში დაუსრულებია ლათინელ მთარგმნელს, წინ უძღ-

ვის ლათინური ვარიანტი იმ ლემისა, რომელიც მთარგმნელად ეფთვიმეს მოიხსენიებს. ეს ლათინური თარგმანი ჩვენამდე მოღწეულია XIV საუკუნის ხელნაწერით (დაცულია ნეაპოლის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში — VIII, B 10). ხელნაწერში იკითხება მთარგმნელის ანდერძები, იგი გვაუწყებს, რომ ამ უცნობმა ლათინელმა მთარგმნელმა, რომელიც კონსტანტინოპოლში 30 წელია ცხოვრობს, 60 წლის ასაკში ხელი მოჰკიდა ამ წიგნის თარგმნას, რომელიც მანამდე ლათინურად არ ყოფილა თარგმნილი. ბერძნულად იგი თარგმნილი იყო ინდური ენიდან ტომით აბაზგი ეფთვიმე ბერის მიერ. წიგნი მას მიუტანა და თარგმნას დაჟინებით სთხოვდა კეთილშობილი კაცი ლეო იოანეს ძე. მკვლევართა მიერ მიჩნეულია, რომ ვარლაამ და იოასაფის ხელნაწერი კონსტანტინოპოლში ათონის მთიდან ჩაიტანეს. მცდარია ფ. დიოლგერის აზრი, რომ ჩამტანი არის ივირონის ქართველი ბერი (F. Dölger 1953: 22). ნაკლებადაა მოსალოდნელი, რომ ქართველ ბერს კონსტანტინოპოლში ლათინელი მთარგმნელი გამოეძებნა და კონტაქტიც ასე თავისუფლად დაემყარებინა; და, რაც მთავარია, არ სცოდნოდა, რომ ეფთვიმემ თხზულება ქართული ენიდან თარგმნა და არა ინდურიდან. ლათინური მთარგმნელის ანდერძის აღმომჩენი და პირველი ინტერპრეტატორი პ. პეტერსი თვლის, რომ ეს პიროვნება ათონის ლათინელთა მონასტრის ვინმე უცნობიბერი, სახელად ლეოა. რამდენადაც მონასტრის მაშენებლის რომაელი ლეონის სახელი იმ მონასტერში დავიწყებას არ მიეცემოდა (P. Peeters 1931: 287). მე ვამჯობინებ ვივარაუდო, რომ ათონის მთიდან ამ ბერძნული ხელნაწერის სათარგმნელად ჩამტანი და ლათინელი მთარგმნელისათვის მისი თარგმნის მოხოვნილი თვითონ ქართველთა მეგობარი რომელი დიდებული და პატივდებული „წმინდა ბერი დიდი იოანე“. იგი ქართველთა სავანეში დამკვიდრებულა (სავარაუდოდ, საკმაოდ ახალგაზრდა ასაკში) არა უადრეს 1002 წლისა („ვიდრე-ღა მამად იოვანე ცოცხალ იყო, მო-ვინმე-ვიდა მონაზონი ჰრომისა ქუეყნისაჲ“). *ბარლაამის* 60 წლის ლათინელი მთარგმნელი, რომელსაც მასთან მიტანილი წიგნის თარგმნა 1048 წელს უკვე დამთავრებული ჰქონდა, მას დიდი პატივით მოიხსენიებს („კეთილშობილი კაცი ლეო იოანეს ძე“) (ე. ხინთიბიძე 1982: 330-331; E. Khintibidze 1996: 226-227).

ასე რომ, ქართული წყაროები *ვარლაამ და იოასაფის ისტორიის* შექმნის შესახებ ბევრ მნიშვნელოვან მასალას იცავს იმ საკითხების თაობაზე, რომლებიც ქართველოლოგიაში და ბიზანტიკისტიკაში საუკუნეების მანძილზე მრავალი ვარაუდის საგანი იყო.

მითითებული ლიტერატურა:

1. აბულაძე ი., „შესავალი“, ბალავარიანის ქართული რედაქციები (ი. აბულაძის გამოცემა), თბილისი, 1957.
2. გიორგი მთაწმიდელი, „ცხოვრება იოვანესი და ეფთვიმესი“, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, თბ., 1967.
3. იოვანე-თორნიკე, „ანდერძი წიგნზე სამოთხე“, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია I, „მეცნიერება“, თბ., 1986.
4. კეკელიძე კ., „ბალავარიანის რომანი ქრისტიანულ მწერლობაში“, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VI, თბ., 1960.
5. კეკელიძე კ., „მიტაცება ბერძენთა მიერ ქართული ლიტერატურული კერისათვის და მისი მდგომარეობა მე-16-17 საუკუნეებში“, ეტიუდები, III, თბ., 1955.
6. კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960.
7. ჟორდანია თ., ქრონიკები, I, ტფ., 1892.
8. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, თბ., 1953.
9. ყაუხჩიშვილი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. III, თბ., 1973.
10. ხინთიბიძე ე., „ათონის მთა, როგორც ვარლაამ და იოასაფის სულისმარგებელი თხზულების ჩასახვისა და გავრცელების ადგილი“, თსუ შრომები (ლიტერატურათმცოდნეობა), 177, თბ., 1976.
11. ხინთიბიძე ე., „ბერძნული ვარლაამ და იოასაფი — მეტაფრასული აგიოგრაფიული ძეგლი“, თსუ შრომები (არქეოლოგია, კლასიკური ფილოლოგია, ბიზანტიისტიკა), 162, თბ., 1975.
12. ხინთიბიძე ე., „კიდევ ერთი ახლებური თვალსაზრისი შუასაუკუნეების ევროპული ლიტერატურის შედეგის - ვარლაამ და იოასაფის ავტორობის საკითხზე“, მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია), თბ., 2003.
13. ხინთიბიძე ე., „ქართული აგიოგრაფიული ტექსტის XIII საუკუნის ბერძნული და ლათინური თარგმანი“, წყაროთმცოდნეობითი ძიებანი, „პაროველოლოგი“, თბ., 2021.
14. ხინთიბიძე ე., ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1982.
15. Beck H. G., *Geschichte der byzantinischen Volksliteratur*, München, 1971.
16. Conybeare F. C., „The Barlaam and Josaphat Legend in the Ancient Georgian and Armenian Literatures“, *Folklore*, VII, June, 1896.
17. Dölger F., *Der griechische Barlaam-Roman ein Werk des H. Johannes von Damaskos*, Ettal, 1953.
18. Gimaret D., *Le Livre de Bilawhar et Būdāsf selon la version arabe ismaélienne*, Genève-Paris, 1971.
19. Grossmann J. K., „Die Abhängigkeit der Vira des Barlaam und Ioasaph vom Menologion des Symeon Meraphrastes“, *JÖB* 59, 2009.
20. Harris I., Robinson I., *The Apology of Aristides*, Cambridge 1891.
21. Høgel C., „Euthymios the Athonite, Greek-Georgian and Georgian-Greek Translator—and Metaphrast?“, *Mélanges Bernard Flusin éd. par A. Binggeli & V. Déroche (travaux et mémoires 23/1)*, Paris 2019.

22. Kazhdan A., “Where , When and by Whom Was the Greek Barlaam and Ioasaph Not Written”, *Zu Alexander d. Gr. Festschrift G. Wirth zum 60. Geburtstag am 9.12.86. Vol. II*, Amsterdam, 1988.
23. Khintibidze E., “The Creation of the Byzantine Version of Barlaam and Ioasaph and Christianisation of the Rus”, *XIX International Congress of byzantine studies*. Copenhagen, 1996 (თეზისები).
24. Khintibidze E., *Concerning the Relationship of the Georgian and Greek Versions of Barlaam and Ioasaph* (Suppliment to “Revue de Kartvélogologie”, 34), Paris, 1976.
25. Khintibidze E., *Georgian-Byzantine Literary Contacts*, Amsterdam 1996.
26. Khintibidze E., “New Materials on the Origin of Barlaam and Ioasaph”, *Orientalia Christiana Periodica*, V, 63, II, Roma, 1997.
27. Krumbacher K., *Geschichte der byzantinischen Literatur*, München, 1897.
28. Lang D. M., “St. Euthymius the Georgian and the Barlaam and Ioasaph Romance”, *BSOAS XVII/2, 1955*.
29. Lang D. M., “Introduction”, [*St. John Damascene*], *Barlaam and Ioasaph Romance* (with an English Translation by the Rev. G. R. Woodward and H. Mattingly. Introduction by D. M. Lang). London, Cambridge, Massachusetts. Harvard University Press, 1967.
30. Lang D. M., “The Life of the Blessed Iodasaph. A New Oriental Christian Version of the Barlaam & Ioasaph Romance”: *BSOAS*, XX, 1957.
31. Peeters P., “La première traduction latine de *Barlaam et Joasaph* et son original grec”, *Analecta Bollandiana*, t. XLIX, Fasc. III et IV, Bruxelles, Paris 1931.
32. Rabbow P., “Die Legende des Martinian”, *WST*, 17, 1895.
33. Ribas A. A., *A construção da lenda de Barlaão e Josafá : Um estudo do processo de elaboração Hagiográfica em Bizâncio (séculos X –XI)*, Dissertation, Federal University of Paraná, 2013.
34. Tarchnišvili M., “Die Anfänge der schriftstellerischen Tätigkeit des Hl. Euthymius und der Aufstand von Bardas Skleros”, *Oriens christianus* 38, 1954.
35. Tarchnišvili M., “Les deux recensions du Barlaam géorgien”, *Le Muséon*, t LXXI, Louvain, 1958.
36. Toumanoff C., “Caucasian and Byzantine studies”, *Traditio*, 12, 1956.
37. Vasilev A. A., *History of the Byzantine Empire*, v. I. Madison, 1958.
38. Volk R., *Die Schriften des Johannes von Damaskos*. 6/2, *Historia animae utilis de Barlaam et ioasaph*, Berlin, New York, 2006.
39. Volk R., “Medizinisches im Barlaam-Roman. Ein Streifzug durch den hochsprachlichen griechischen Text, seine Vorläufer, Parallelen und Nachdichtungen”, *Byzantinische Zeitschrift*, 99, Band, heft I, 2006 .
40. Volk, R., “Symeon Metaphrastes: Ein Benutzer der Barlaam-Romans”, *RSBN* n.s. 33 (1997).
41. Zotenberg H., *les versions orientales du “Livre de Barlaam et Joasaph”*, Paris 1887.
42. Zotenberg H., *Notice sur le livre de Barlaam et Joasaph*, Paris 1886.
43. Лебедева И. Н., “Предисловие”, *Повесть о Варлааме и Иоасафе* (Издание И. Н. Лебедевой). Л., 1985.
44. Марр Н., (რეცენზია ზოტენბერგის გამოკვლევაზე), *Записки Восточного Отделения Императорского Русского Археологического Общества*, III, СПб, 1888.
45. Нуцубидзе Ш., *К происхождению греческого романа “Варлаам и Иосиф”*, Тбилиси, 1956.

46. *Повесть о Варлааме и Иоасафе* (Перевод с арабского академика В. Р. Розена). М.-Л., 1947.
47. Розен В., (რეცენზია ზოტენბერგის გამოკვლევაზე), *Записки Восточного Отделения Императорского Русского Археологического Общества*, III, вып. I, СПб, 1887.
48. Фонкич Б., “О датировке Венецианского (*cod. Marcianus gr. VII, 26*) и Парижского (*cod. Parisianus gr. 1771*) списков греческой версии *Варлаама и Иоасафа*”, Византийские очерки, М., 1977.

ELGUJA KHINTIBIDZE

GEORGIAN REALITIES IN THE PROLOGUE OF THE GREEK STORY OF BARLAAM AND IOASAPH

Summary

The Edifying Story of Barlaam and Ioasaph, or simply *Barlaam-romance*, as it is sometimes called in Byzantine studies, is considered the most significant and popular story of Greek prose of the Byzantine period. In the XI and XII centuries, it was translated into almost all languages of Europe and Asia Minor from Greek and Latin versions and became a very popular in late medieval Europe.

Establishing the authorship of Greek *Barlaam-romance* was one of the major problems of the Byzantine scholarship of the 20th century. Today, many European medievalists have recognized that the author of the *Story* is the famous Georgian monk St. Euthymius the Athonite. The contribution of Georgian scholars to the substantiation of this theory was significant. In this article, I discuss my opinion about the date of creation of the *Story*. *Barlaam-romance* has been created in the last decades of the 10th century, either just before the baptism of the Kyiv Russ or in the following decade.

The article discusses the Prologue (Introduction) of *Barlaam-romance* and makes new proposals for the creation of the *Story*. The Lemma (expended title) of the *Story* speaks of a monk Ioane (John) as the bearer of the story from the East to the Holy City. According to the Prologue several “devout men delivered” this story to the author. As is known, the work of Euthymius on the holy Mount Athos was closely watched by two Ioanes – the father and the uncle of Euthymius. The latter of them - Ioane-Tornike - was indeed in the East, on a campaign against Bardas Sclerus; he brought to Athos a lot of wealth, books, and even monks.

According to the Lemma the monk Ioane brought the story from the East and was an honorable and esteemed man. Ioane-Tornike was a monk too and was also

known as a dignified and honourable man as described in his colophon (statement) in a book *Samotxe*, which he commissioned himself in the monastery of Oshki during his stay in the East and brought back to the Athos monastery on his return. These similarities point to the possibility of Ioane of Lema and Ioane-Tornike being the same person.

From my point of view, this colophon by Ioane-Tornike, enclosed in the Georgian manuscript (*Samotxe*) is a source of the Prologue of *Barlaam-romance*. The resemblance of the compositions of this two works (*Prologue* and *Colophon*) points to this. For example, in both of them there is a reference to the Gospel's tale about the "servant, having received the talent of his lord". This manuscript, created by the order of Ioane-Tornike and brought to Athos by him, was written in the Georgian monastery Oshki where the Head (abbot) was monk Saba, as it is mention in the colophon of the writer of the manuscript. Ioane-Tornike probably was a monk of this monastery during his stay at the East. So, my estimation is that, the honorable and esteemed man the monk Ioane (Ioane-Tornike) of the laura of Saba of the Lemma of *Barlaam* was rethought to "the honorable and esteemed man the monk Ioane of the laura of Saint Sabas" by the Byzantine copyists of the manuscripts of *Barlaam*.

From my point of view, the first version of Barlaam's Lemma, in which only the monk Ioane is mentioned, was created on the basis of the Prologue of the Story. The Lemma clarifies the identity of the "devout men" who delivered this story on the basis of the recollections of the monks of the Iviron Monastery, as the "monk Ioane, honorable and esteemed man". The second version of the Lemma, which also mentions the translator, was created in the Iviron during the controversy between the Greek and Georgian monks on Athos, in order to celebrate the merits of this monastery and its great abbot Euthymius.

The first Latin translation of the *Barlaam-romance* was made in 1048. According to the translator's colophon, the Greek original was brought to him and persuaded to translate it by a certain nobleman "Leo, son of John". I am inclined to identify him as the Latin monk from Athos "Leo the Great", a friend of Georgian monks.

ინესა მერაბიშვილი

როგორ გვმართებს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მოხსენიება

მრავალსაუკუნოვანი კულტურული ტრადიციების მქონე საქართველოს განსაკუთრებით ამშვენებს და გამოარჩევს ლექსისადმი ტრფიალი და ნიჭიერება. და მაინც, მრავალ პოეტურ სიმაღლეთა შორის ყველაზე მკვეთრად რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ ელვარებს.

ოქროს ხანად წოდებული თამარ მეფის მმართველობის პერიოდი პროგრესულ მონაპოვართა განსაკუთრებული სიუხვით გამოირჩევა, მაგრამ ამ ეპოქის ყველაზე დიდ სიამაყედ და გვირგვინად მაინც „ვეფხისტყაოსანი“ გვეგულება. მიუხედავად ამისა, აღმოჩნდება, რომ თამარ მეფის არც ერთი მემკვიდრე არც „ვეფხისტყაოსანს“ ახსენებს, და არც მის ავტორს. ეს დუმილი სამი საუკუნის მანძილზე გრძელდება და დღეისათვის რუსთველსა და მის პოემაზე ამ პერიოდის არანაირი წერილობითი ცნობა არ მოგვეპოვება. როგორც დიდი ივანე ჯავახიშვილი ასკვნის, თავისუფალი იდეების მქადაგებელი რუსთველი სიცოცხლეშივე იდევენობდა [16]. ამდენად, საკვირველი არაფერია იმაში, რომ პოეტის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები არ გაგვაჩნია და არც პოემის დედნისეული ტექსტი, ან იმდროინდელი ხელნაწერი გადარჩენილი არაა.

მიუხედავად ამისა, საუკუნეების მანძილზე რუსთველზე შეყვარებული ქართველი კაცი მის ცხოვრებაზე ლეგენდებს თხზავდა, თუნდაც განსხვავებულს, მაგრამ მის ამბავს თაობიდან თაობას გადასცემდა, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პოემის ხელნაწერების შესრულების გზით, ერმა ეს შედეგური შემოინახა და უკვდავყო. პოემის გადამწერთა მიერ შესრულებული ხელნაწერები თარიღდება მხოლოდ XVI საუკუნის ბოლოდან და შემდგომ.

რუსთველის ხსენების პირველი წერილობითი ფაქტიც აღნიშნულია მხოლოდ XVI საუკუნეში, როდესაც სერაპიონ სოკრატის ძე საბაშვილმა „როსტომიანში“ თქვა – „ნამღევი ვარ რუსთველისა“ [6, 328]. XVII საუკუნეში რუსთველის სახელს ვხვდებით უცნობი პოეტის მიერ გადმოთარგმნილ „იოსებზილიხანიანში“ – „აწ, რუსთველო, გეთხოვები, რომე მომცე ნება თქმისა“ [6, 124].

გადმოცემების თანახმად, სახელი „რუსთველი“ ნიშნავს რუსთავიდან წარმოშობილს ან მის მფლობელს. რუსთავში კი ძირითადად გულისხმობდნენ ამ სახელწოდების ქალაქს თბილისის მახლობლად ან დაბას

მესხეთში. ფოლკლორული მასალების თანახმად, უპირატესობა ეძლევა მესხეთს, მით უმეტეს, რომ იმხანად ეს კუთხე ჩვენი მწერლობისა და კულტურის აკვანი იყო, ხოლო ეპილოგში პოეტი გარკვევით მიგვანიშნებს თავის მესხურ წარმოშობაზე – „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“. ეპილოგის სტილისტიკიდან და შინაარსობრივი პარამეტრებიდან გამომდინარე, ვერ გავიზიარებ შეხედულებას, რომ პოემის ეს დასკვნითი ნაწილი ინტერპოლატორების მიერაა დამატებული.

ერთ-ერთი თქმულების თანახმად, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს თამარ მეფის კარზე ეკავა მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა, რაც ნიშნავს იმას, რომ პოეტი ქვეყნის ფინანსებს განაგებდა. ისიც ნათქვამია, რომ რუსთველმა სიცოცხლის ბოლო წლები იერუსალიმის ჯვრის მონასტერში გაატარა, ხოლო ზოგი ვერსიით, იქვე აღესრულა.

დიდ რუსთველს რეალურ გადამრჩენად მეფე ვახტანგ VI მოევლინა, რომელმაც 1712 წელს, თბილისში, თავის მიერვე დაარსებულ სტამბაში, ბიბლიის გამოცემის შემდეგ, დასტამბა „ვეფხისტყაოსანი“. ვახტანგ VI-ს ღვაწლი არა მარტო პოემის გამოცემაშია, არამედ მის ხელთ არსებული ხელნაწერების შესწავლაშიც, რამაც მას საშუალება მისცა განეზოგადებინა ეს ყველაფერი და შემდეგ პოემა ერთ ვარიანტად დაესტამბა. რუსთველოლოგია, როგორც ფილოლოგიის დარგი, სათავეს სწორედ ვახტანგ VI-დან იღებს, რადგან ქართველმა მეფემ პოემის გამოქვეყნებულ ტექსტს საკუთარი გამოკვლევა და ცალკეულ სიტყვათა განმარტებები დაურთო [13]. ეს საქმე XIX საუკუნეში გააგრძელა თეიმურაზ ბატონიშვილმა, ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ს ვაჟმა. პეტერბურგში ყოფნის პერიოდში მან მარი ბროსესთან ერთად იმუშავა ტექსტზე და 1843 წელს იქვე წიგნად გამოსცა საკუთარი განმარტებები [4].

საყურადღებოა თეიმურაზ ბატონიშვილის მოსაზრება „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის წარმოშობისა და საქმიანობის შესახებ, რომლის მიხედვით პოეტი იყო გვარად „ბაგრატიონი“, ხოლო სახელად მას ერქვა „შოთა“. ამ ცნობის თანახმად, ის განაგებდა რუსთავის ციხესიმაგრეს ოციოდე კილომეტრის დაშორებით თბილისიდან (იგულისხმება დღევანდელი ქალაქი რუსთავი), რამაც განაპირობა მის მიერ ფსევდონიმის მიღება „რუსთველი“. გთავაზობთ ამონარიდს თეიმურაზ ბატონიშვილის ტექსტიდან: „შოთა რუსთველი იყო შობილივე რუსთავსა შინა, თუმცაღა წერილთა შინა, რომელთა მე მეხილვა და სიტყვისა მსმენოდა ნამდვილ ჭეშმარიტებით შოთა რუსთველისა, რომელი იგი იყო ადგილით ჰერეთით ქალაქით რუსთავით და ქალაქიცა იგი იყო სამთავროთ მისსა მიცემული, მეფისა თამრისასგან.“ [4, 30-31].

მოგვიანებით, XX საუკუნეში, აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე გვაწვდის ცნობას იმის შესახებ, რომ ქალაქი რუსთავი ჰერეთის შემადგენლობაში იმხანად არ შედიოდა (ერწმუნეთ [3]), რის შედეგადაც თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობა პოეტის წარმოშობის შესახებ თბილისთან ახლოს მდებარე ბოსტან-ქალაქ რუსთავიდან ეჭვქვეშ დადგა.

ამდენად, მსგავსად ჰომეროსისა, პოემის ავტორის ვინაობა ყოველთვის ბურუსით მოსილი იყო და დღესაც ასე რჩება. მოგვიანებით, რუსთველის ბედს გაიზიარებს შექსპირი, რომლის თხზულებების დედნისეული ტექსტის არც ერთი პატარა ნაფლეთი კაცობრიობას არ მოეპოვება, ხოლო შექსპირის სახელით არსებული თხზულებების ავტორის ვინაობა დღემდე საკამათოა.

XIX საუკუნიდან მოყოლებული დღემდე, სათანადო დარგის თითქმის ყველა დიდმეცნიერს თავისი წვლილი შეაქვს „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლისა და უკვდავყოფის საქმეში. ფრაგმენტულად გამოვყოფ მხოლოდ რამდენიმე მათგანს, განსაკუთრებით კი იმ ავტორებს, რომელთა მოხმობა კვლევისათვის სტატიაში აუცილებელი იქნება.

როდესაც XX საუკუნის 30-იან წლებში გადაწყდა, რომ რუსთველის იუბილე საბჭოთა კავშირის მასშტაბით აღინიშნებოდა, ვახტანგისეული გამოცემის აღდგენა აკაკი შანიძეს სთხოვეს. როგორც თავად აკაკი შანიძე აღნიშნავდა, ვახტანგისეული გამოცემის ცალებმა იმ დრომდე ცოტამ თუ მიაღწია, და რაც გადარჩა, ისიც დაზიანებული იყო. ტექსტი ყველა ეგზემპლარს აკლდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ზოგს თავში, ზოგს შუაში, ზოგს კიდეც ბოლოში, რაც აძლევდა მეცნიერს ამ ცალების ერთმანეთთან შედარების საშუალებას. წიგნი გამოიცა ორ ფერად, როგორც ეს იყო პირველ გამოცემაში. ამ სახით აღდგენილი „ვეფხისტყაოსანი“ დაიბეჭდა 1937 წელს რუსთველის საიუბილეო დღეებში¹. 1957 წელს ალექსანდრე ბარამიძის, კორნელი კეკელიძისა და აკაკი შანიძის რედაქციით გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“ [11] განსაკუთრებული სანდოობითაა ცნობილი და მას ერთვის აკაკი შანიძის მიერ შედგენილი ლექსიკონი.

XX საუკუნე მიჩნეულია რუსთველოლოგიის გაფურჩქვნის ხანად და ამ საქმეში ჩართულია მრავალი თვალსაჩინო მკვლევარი, ხოლო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში 1963 წლიდან მოყოლებული დღემდე მუშაობს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისია.

საყურადღებოა, რომ XX საუკუნის 50-იანი წლებიდან რუსთველოლოგთა დიდ კოჰორტას ემიგრაციიდან გადმოსმახებს ვიქტორ ნოზაძე, რომელიც ავთანდილ მერაბიშვილის მხარდაჭერითა და მეცენატობით გამოსცემს მის ექვსტომეულს.

ფრიად საგულისხმოა ის ფასდაუდებელი ამაგი, რომელიც დასდო რუსთველოლოგიას ნოდარ ნათაძემ, როდესაც მან ალექსანდრე ჭინჭარაულთან ერთად გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“ და განმარტა მისი ყოველი პწკარის თითქმის ყოველი სიტყვა [12].

ამავე პერიოდში, პროკოფი რატიანი გამოთქვამს არსებული თქმულებებისგან განსხვავებულ მოსაზრებას ამ საკითხისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში, რომ რუსთველი იმხანად იყო ეპისკოპოსის წოდება [10]. ავტორი ძალ-ღონეს არ იშურებს იმისათვის, რომ რუსთველი გამოაცხადოს

1 იხ. აკაკი შანიძის წინასიტყვაობა მეორე გამოცემისათვის [13, 3].

არა საერო, არამედ სასულიერო პირად. აქვე დავძენ, რომ ნარატიული ტექსტის სიღრმისეული ანალიზი და უპირველესად მისი შინაარსობრივი პლანი არ გვამღევს იმის საშუალებას, რომ ავტორი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დაწინაურებულ პირად გამოვაცხადოთ. ისიც საყურადღებოა, რომ პ. რატიანის პუბლიკაციიდან გადის თითქმის ნახევარი საუკუნე და აკადემიკოსი ზაზა ალექსიძე სინას მთაზე აღმოაჩენს X საუკუნის ხელნაწერს, სადაც აღნიშნულია, რომ მურვან ყრუს ლაშქრობის დროს VIII საუკუნეში კახეთის ტერიტორიაზე იყო ფეოდალური წოდება „რუსთაველნი“, თუმცა ამ ფეოდალურ საგვარეულოს შესახებ შემდგომში ცნობები არ მოგვეპოვება. როგორც ვხედავთ, ამ ფეოდალური წოდების სახელდება თითქმის იგივეა, რაც „რუსთველი“. ეს კი უკვე ეჭვის ქვეშ აყენებს ცნობას იმის შესახებ, რომ რუსთველი მხოლოდ სასულიერო წოდებად მიიჩნეოდა საქართველოში (ერწმუნეთ [3]).

რუსთველის კვლევა დღესაც დიდი რუდუნებით გრძელდება. ამ თვალსაზრისით გამოვყოფ აკადემიკოს ელგუჯა ხინთიბიძეს, რომელმაც მეცნიერულად დაასაბუთა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულა მოიძებნება, როგორც შექსპირის, ასევე მის თანამედროვე დრამატურგთა შემოქმედებაში [17].

თუ გულდასმით გადავავლებთ თვალს აურაცხელი რაოდენობის რუსთველოლოგიურ შრომებს, დავრწმუნდებით, რომ ტექსტის ანალიზზე არანაკლები ენერგია მკვლევართ დაუხარჯავთ იმის დადგენაზე, თუ ვინ იყო ავტორი უკვდავი შედევრისა. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერება არ გამორიცხავს ვარაუდების წამოყენების შესაძლებლობას, მაინც დიდი სიფრთხილე გვმართებს, ვარაუდზე დამყარებული მოსაზრება დასკვნად არ გამოვაცხადოთ და ამით ხელი არ შევუშალოთ საკითხის მომავალ შესწავლას.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად არ ისახავს თქმულებებისა და მოსაზრებების განხილვას პოეტის ვინაობის შესახებ, გამომდინარე იქიდან, რომ კვლევა დაეყრდნობა მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს, საკუთრივ, მის პროლოგსა და ეპილოგს, რათა მეტი სინათლე შევიტანოთ საკითხში, თუ როგორ უნდა მოვიხსენიებდეთ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს: **შოთა რუსთაველი**, **შოთა რუსთველი**, თუ **რუსთველი**, მით უმეტეს, რომ ეს უკანასკნელი გახლავთ ის ერთადერთი ფორმა, რომლითაც პოეტი წარმოგვიდგენს საკუთარ თავს პოემის პროლოგსა და ეპილოგში:

„დავჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულს ლახვარ-სოზილი.“ (სტრ. 7)

„მე, რუსთველი ხელომითა, ვიქმ საქმესა ამა დარი.“ (სტრ. 8)

„ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა.“ (სტრ. 1665)

„ტარიელ – მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-მეუმრომელსა.“² (სტრ. 1669)

2 სტატიამი რუსთველის ტექსტი ყველგან ციტირებულია თანახმად აღ. ბარამიძის, კ. კეკელიძისა და ა. შანიძის რედაქციით 1957 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსნისა“ [11].

ცნობა იმის შესახებ, რომ რუსთველს სახელად ერქვა შოთა, მკვიდრდება თეიმურაზ I-ის მიერ, რომელმაც 1629 წელს ბრძანა – „ესენი შოთა რუსთველმან შეამკო არსთა მკობითა“ [6, 111]. აკადემიკოს კორნელი კეკელიძის მიხედვით, ეს ცნობა თეიმურაზ I-ს უნდა მიეღო მასთან დაახლოებული პირის, ნიკოლოზ (ნიკიფორე) ჩოლოყაშვილისგან, რომელიც 1614-1626 წლებში იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ცხოვრობდა, ხოლო 1643-1649 წლებში ამ მონასტრის წინამძღვარი იყო. როგორც ჩანს, ნ. ჩოლოყაშვილმა შეიტყო, რომ ჯვრის მონასტრის ქართული „სვინაქსარის“ აღაპთა შორის მოხსენიებულია შოთა მეჭურჭლეთუხუცესი, რამაც ეს ფაქტი მას დააკავშირებინა იმ ცნობილ თქმულებასთან, რომ რუსთველი იყო მეჭურჭლეთუხუცესი. ამდენად, მან დაასკვნა, რომ „სვინაქსარში“ ნახსენები შოთა მეჭურჭლეთუხუცესი იყო რუსთველი. გამომდინარე იქიდან, რომ იქ მოხსენიებული მეჭურჭლეთუხუცესის სახელი იყო შოთა, ეს სახელი უკვე რუსთველს მიენიჭა. ამ ცნობას ისიც ემატებოდა, რომ მონასტრის ერთ-ერთ სვეტზე გამოსახულია საერო სამოსში გამოწყობილი დიდებული მამაკაცი და ამ ფრესკას ასომთავრულით ახლავს წარწერა შოთა რუსთველის მოხსენიებით [6, 112], რამაც განსაკუთრებით გაამყარა ეს ვარაუდი.

როდესაც საუკუნის შემდეგ, ვახტანგ VI გამოსცემს „ვეფხისტყაოსანს“, მას ავტორად „შოთა რუსთველი“ აწერია. მას შემდეგ ქართველი პოეტებიც უკვე სახელის მოხსენიებით მიმართავენ რუსთველს და, ამგვარად, ეს ფორმა შემოდის ხმარებაში და მკვიდრდება.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ჯვრის მონასტერში ჩადის თავისი დროის საუკეთესო მღვდელმთავარი ტიმოთე გაბაშვილი. მან პირველმა ჩამოიტანა საქართველოში ზემოაღნიშნული ფაქტების მწირი, მაგრამ წერილობითი აღწერა, რამაც კიდევ უფრო განამტკიცა ქართველი მეფისგან მომდინარე ცნობა.

XX საუკუნეში მეცნიერები მსჯელობენ ამ ცნობაზე და ენდობიან მას. აი, როგორ აღწერს ამ ფაქტს, მაგალითად, ისევ კ. კეკელიძე 1958 წელს „ძველი ქართული ლიტერატურის“ ორტომეულში: „მონასტრის სვეტზე, ... გამოხატულია მაქსიმე აღმსარებელი და იოანე დამასკელი, რომელთა წინაშე მუხლი მოუყრია ერთ დიდებულ ქართველს, წარწერით: **„ამისა დამხატავსა შეუნდოს ღმერთმან ამინ.“** ეს წარწერა სურათის მარცხენა მხარეზეა, ხოლო მარჯვენაზე, ალბათ, ქართველის ვინაობის გასარკვევად, მიწერილია: **„შოთა რუსთველი“** [6, 112]. ამ ცნობის გასწვრივ კორნელი კეკელიძე სქოლიოში იმოწმებს ა. ცაგარელს [19, 94-95] და თავად ტიმოთე გაბაშვილს [5].

ტიმოთე გაბაშვილს მიაჩნდა, რომ ჯვრის მონასტერი რუსთველის მიერ იყო მოხატული და მას მადლიერებით მოიხსენიებდა [5, 56]. წინა საუკუნის 50-იან წლებში აკადემიკოსი ელენე მეტრეველი გაკვირვებას გამოხატავდა ამის გამო [8, 80], რადგან ქართულ საზოგადოებას კარგად მოეხსენებოდა მიტროპოლიტის უარყოფითი დამოკიდებულება „ვეფ-

ხისტყაოსნისადმი“, საკუთრივ ის, რომ ტ. გაბაშვილი პოეტს „ლექსთა ბოროტთა მთქმელად და ქრისტიანობის გამრყენელად“ რაცხავდა.

როგორც გადმოცემითაა ცნობილი, რუსთველისადმი უარყოფითი დამოკიდებულება XVIII საუკუნეშივე გაუგრძელებია ანტონ I კათალიკოსს, თუმც, ეს მისი თხზულებებით არ დასტურდება. ქართველი მეცნიერი, მწერალი და საეკლესიო მოღვაწე ანტონ I ჩვენთვის, ამჯერად, საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ სწორედ მან მისცა დასაბამი „რუსთველის“ ნაცვლად პოეტის „რუსთაველად“ მოხსენიებას, რასაც 1980 წელს განსაკუთრებით მკაცრი შეფასება მისცა აკაკი შანიძემ: „კათალიკოსი არ კუმშავდა ზოგიერთ სახელს, მაგალითად... წილკანი სოფელია მცხეთის ახლოს, ეს სახელი ძველადაც იკუმშებოდა და ახლაც იკუმშება: წილკნისა, წილკნელი, მაგრამ კათალიკოსს უწერია: „მამისა ჩუენისა ისე წილკანის ეპისკოპოსისა“; შოთასადმი მიძღვნილ იამბიკოში ის წერს: „თვის შოთა რუსთაველისა“, აი სად არის სათავე ჩვენი უდიდესი პოეტის ვინაობის სახელის შერყენისა! ეს ანტონის მიერ შექმნილი ფორმა შემდეგში ზოგმა გაიზიარა და ქართულ მწერლობაში რუსთველის გვერდით რუსთაველი-ც გაჩნდა, გავრცელდა და შემდეგ დამკვიდრდა“ [15].

ამ საკითხში მხცოვან მეცნიერს მალევე მხარში ამოუდგა დარგის არაერთი ავტორიტეტი, მაგრამ მათი მოთხოვნა გაისმა მხოლოდ ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა. ჩანს, ქართველი მეცნიერები ვერ უმკლავდებოდნენ ახალი ფორმის დამკვიდრების წნეხს და თუნდაც, როდესაც ალ. ბარამიძის, კ. კეკელიძისა და ა. შანიძის რედაქციით XX საუკუნის ჯერ კიდევ 50-იან წლებში გამოიცემოდა „ვეფხისტყაოსანი“, მის ავტორად დასახელებული იყო „შოთა რუსთაველი“ [11].

საყურადღებოა, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სტატია, მიძღვნილი გენიოსი პოეტისადმი, სადაც ის წარმოდგენილია შემდეგნაირად: „**რუსთაველი**, რუსთველი, შოთა“ [14, 506], რაც მაინც მნიშვნელოვან გამარჯვებად უნდა მივუთვალოთ ენციკლოპედიის რედაქციას.

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, 1960 წელს იერუსალიმის ჯვრის მონასტერს საგანგებოდ ეწვია ქართული ექსპედიცია აკადემიკოსების ირაკლი აბაშიძის, აკაკი შანიძისა და გიორგი წერეთლის შემადგენლობით, რომელთაც საქართველოში ჩამოიტანეს ფრესკისა და წარწერის ზუსტი ფოტოები. ეს მასალა დღემდე უაღრესად მნიშვნელოვან საყრდენს წარმოადგენს პოეტის სახელის დასადგენად. ა. შანიძემ გაშიფრა რა ასომთავრულით შესრულებული წარწერა, გვამცნო შემდეგი ტექსტი: „**ამისა დამზატავსა შოთას(ს) შეუნდვნეს ღმერთმან ამინ**“, სადაც ქვემოთ ქარაგმითვე მიწერილია „**რუსთველი**“ [1, 15].

ასომთავრულით შესრულებულ ტექსტში „შოთა“ სახელობით ბრუნვაშია და მას მიცემითი ბრუნვის პირის ნიშანი არ ახლავს. მეცნიერებმა ივარაუდეს, რომ თავდაპირველად იქ ეს ასო იქნებოდა, მაგრამ დროის მანძილზე დაზიანდა და გაქრა. ამიტომაც წარწერის გამოქვეყნებისას

ასო „ს“ განათავსეს ფრჩხილებში. იმ შემთხვევაშიც, თუ ჩვენ მიცემითი ბრუნვის პირის ნიშანს დავუშვებთ, წინადადების წყობა შემდეგს გვამცნობს: რუსთველი, ან ვინმე სხვა, ღმერთს სთხოვს, შეუნდოს ვინმე შოთას, როგორც ამ ფრესკის მომხატველს. მომხატველში შეგვიძლია ვიგულისხმოთ არა მარტო მხატვარი, არამედ ისიც, ვინც, შესაძლოა, დაუკვეთა მოხატვა და ამისათვის გარკვეული თანხაც გაიღო.

პირველ ყოვლისა, გვმართებს გავაცნობიეროთ, რაოდენ დიდი გარღვევა მოახდინა, და იმედია, კიდევ მოახდენს, 1960 წლის ექსპედიციამ: თუ ფრესკის ირგვლივ საქართველოში იმ დროისთვის არსებული ცოდნა გულისხმობდა „შოთას“ განთავსებას „რუსთველის“ გვერდით, გამოვლინდა, რომ ეს ორი სახელი ერთმანეთისგან განცალკევებითაა მოხსენიებული, და თან განსხვავებული სინტაქსური ფუნქციით. **აი, სწორედ ამ ფაქტში დევს ის მთავარი გასაღები, რომელსაც შეუძლია, მეტი სინათლე მოჰფინოს ჩვენთვის ესოდენ მნიშვნელოვან საკითხს.**

დავუშვათ, რომ შოთა მეჭურჭლეთუხუცესი არის რუსთველი. რატომ მოხდა, რომ ფრესკასთან არსებულ წარწერაზე ეს ორი სახელი, ე. ი. „შოთა“ და „რუსთველი“, ერთმანეთისგან დაშორებით აღმოჩნდა განთავსებული? მათი სინტაქსური ფუნქციის თანახმად, ისინი განსხვავებულ შინაარსობრივ დატვირთვას მოიცავენ, მიუხედავად იმისა, ამ ტექსტის ავტორად რუსთველს ვიგულისხმებთ, თუ ვინმე სხვას.

თუ ტექსტის ავტორი რუსთველია, ეს იმას ნიშნავს, რომ მან კვალის დატოვების მიზნით მიაწერა თავისი ზედსახელი, ან მიგვანიშნა იმაზე, რომ ფრესკაზე თავადაა გამოსახული. ორივე შემთხვევაში აშკარა ხდება ერთი მნიშვნელოვანი და ჩვენთვის უაღრესად ღირებული ფაქტი: **იმზანად ზედსახელი „რუსთველი“ პოეტის სახელთან ერთად არ მოიხსენიებოდა.**

იგივე დასკვნა გამოიკვეთება იმ შემთხვევაშიც, თუ მეჭურჭლეთუხუცესი შოთა არ არის რუსთველი, მაგრამ არის ის პიროვნება, რომელმაც მოხატა ან მოახატვინა სვეტი. მაშინ ტექსტთან სადავო აღარაფერი გვექნება, რადგან სახელს „შოთა“ რუსთველს ვედარ მივაკუთვნებთ.

რუსთველოლოგიაში ეს და მრავალი სხვა შევითხვა დღეს პასუხგაუცემელი რჩება. ამას ისიც ემატება, რომ შოთა მეჭურჭლეთუხუცესის სააღაპო ჩანაწერი კ. კეკელიძემ მიიჩნია შესრულებულად არაუადრეს XIV საუკუნისა, ხოლო ფრესკისა და წარწერის ავთენტურობა დღემდე დადგენილი არ არის.

როგორც უკვე ითქვა, ლეგენდები და თქმულებები საკმარისი არგუმენტი არ არის იმისათვის, რომ მეცნერული აზრი ჩვენ მათ დავუმორჩილოთ, მით უმეტეს, რომ რუსთველის შემთხვევაში ვერსიები ერთსა და იმავე საკითხზე არასოდეს ემთხვევა, მაგალითად, ჩავიდა თუ არა რუსთველი იერუსალიმში, აღევცემა თუ არა ბერად, აღესრულა თუ არა იქ, იყო თუ არა მეჭურჭლეთუხუცესი და სხვა. ისიც აუცილებლად ვთქვათ, რომ ეს ლეგენდები არასოდეს გვაწვდიდნენ ცნობას იმის შესახებ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს სახელად ერქვა „შოთა“.

ამ ყოველივეს ფონზე იქმნება შთაბეჭდილება, რომ 1960 წელს იერუსალიმის ექსპედიციის შედეგად მიღებულმა ცნობამ, შესაძლოა, ისევ გარკვეული წნეხის, გნებავთ, გამყარებული ტრადიციის პატივისცემის გამო, ქართველ მეცნიერებს თავი შეაკავებინა, ზედმეტი კითხვებითა და ჩაღრმავებით ეჭვის ქვეშ არ დაეყენებინათ რუსთველთან ერთად სახელი „შოთას“ მოხსენიების სამსაუკუნოვანი ტრადიცია, მით უმეტეს, რომ მის სათავეებთან ქართველი მეფეები იდგნენ.

მაგრამ, აქვე მაინც დავძენ: თუ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ფრესკაზე ასომთავრულით შესრულებული წარწერა სანდო მოცემულობად მივიჩნიეთ, რატომ ვიწამეთ იქიდან უფრო მეტად საკამათო, საკუთრივ, სახელი „შოთა“, ხოლო იქვე არსებულ სახელზე „**რუსთველი**“ თვალი დავხუჭეთ და ის მაინც „**რუსთაველად**“ დავამკვიდრეთ?

ამდენად, მიმაჩნია, რომ **დღეს ამ საკითხის დაყენება არც ნაადრევია და არც დაგვიანებული**. თუ აზრი მომწიფდა და ფაქტი ჯიუტია, ჩვენ გაბედული ნაბიჯის გადადგმა გვმართებს, რომ მეცნიერული აზრი სწორ კალაპოტში მოვაქციოთ და ერთი შეცდომა მეორე შეცდომით არ ჩავანაცვლოთ.

წინამდებარე სტატიის მიზანი არ არის ლეგენდებისა და ვარაუდების საფუძველზე იმის დადგენა, თუ რა ერქვა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს, ან რა გვარის კაცი ბრძანდებოდა ის წარმოშობით. წერილის მიზანია, დავასაბუთო, თუ რატომ გვმართებს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი მოვიხსენიოთ, როგორც მხოლოდ „**რუსთველი**“.

შევცედები დაგარწმუნოთ, რომ რუსთველი – „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ლიტერატურული ფსევდონიმია, რომელიც მის პოეტობას გულისხმობს და ამდენად, არ საჭიროებს მშობლიური გვარის ან საკუთარი სახელის მოხსენიებას. საყრდენ მასალად მოვიხმობ მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს, სადაც სახელი „შოთა“ საერთოდ არ გვხვდება, მაგრამ პროლოგსა და ეპილოგში პოეტი ოთხჯერ წარმოგვიდგენს თავს, როგორც „**რუსთველი**“. ამდენად, პროლოგი და ეპილოგი შეასრულებენ ფართო კონტექსტის როლს, მით უმეტეს, რომ ნებისმიერი პოეტის შემთხვევაში, მისი ტექსტი გვევლინება ხოლმე ყველაზე სანდო წყაროდ სადავო საკითხების გადასაწყვეტად. ასეთ სადავო საკითხად, მრავალთა შორის, ჯერ კიდევ ვახტანგ VI-დან მოყოლებული დღემდე, გახლავთ პროლოგის მე-8 სტროფი:

*მე, რუსთველი ხელობითა, ვიქმ საქმესა ამა დარი:
ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი;
დაეუძღურდი, მიჯნურთათვის კელა წამალი არსით არი,
ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი³.*

3 1712 წლის ვახტანგისეული გამოცემის თანახმად, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს არ ახლავს პუნქტუაცია. ამდენად, საჭიროდ არ მივიჩნიე პუნქტუაციის მხრივ ამ სტროფის განსხვავებული რედაქციების წარმოდგენა.

რაც უფრო ღრმა და ამაღლებულია მხატვრული ტექსტი, და რაც უფრო მეტ იდუმალებასა და სინატიფეს შეიცავს ის, მისი წვდომა მით უფრო დამოკიდებულია ინტერპრეტაციის იმ ხარისხზე, რომლითაც ჩვენ მას განვიხილავთ. ტექსტის ინტერპრეტაცია, ანუ მისი ახსნა, უძველესი ჰერმენევტიკიდან მომდინარეობს და მეცნიერების ამ დარგმა XX საუკუნეში გიგანტური ნაბიჯები გადადგა წინ. ეს სფერო აუცილებლად აერთიანებს ისეთი თანამედროვე დარგების მიგნებებსა და მიღწევებს, როგორიცაა სტილისტიკა, სემანტიკა, კონტექსტოლოგია, ტექსტის ლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა, ტექსტოლოგია, ისტორიოგრაფია და სხვა.

მოვუსმინოთ პირველ რუსთველოლოგს, ვახტანგ VI-ს, რომელიც პოემასთან ერთად დასტამბულ გამოკვლევაში სიტყვას „ხელობითა“ განმარტავს, როგორც პოეტის სამსახურს თამარ მეფისათვის: „აწ ამბობს მე რუსთველი ბატონის სამსახურისათვის რომ ხელი ვარ“. რაც შეეხება ზმნას „ვხელობ“, ვახტანგ VI მას განიხილავს, როგორც მიჯნურის გახელებას [13].

ფრიად საყურადღებოა აკადემიკოს ა. შანიძის მოსაზრება, რომელმაც პოემისთვის თავის მიერ თანდართულ ლექსიკონში „ხელობა“ ორი მნიშვნელობით განსაზღვრა: პირველი მნიშვნელობის რეალიზაციის ფაქტად მან მოიყვანა სტრიქონი: „მე, რუსთველი ხელობითა,“ და აღნიშნა: „მე, რომელსაც რუსთავი მაქვს სახელოდ, მე – რუსთავის გამგე“. რაც შეეხება ამ სიტყვის ხმარების მეორე შემთხვევას, მან მისი მნიშვნელობა წარმოადგინა, როგორც გონის წართმევა და ჭკუიდან შეშლა, და საილუსტრაციოდ შემოგვთავაზა ფრაზა „მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი“, სადაც „ვხელობ“ განმარტებულია ერთი სიტყვით – „ვირევი“ [11]. ა. შანიძის ამ მოსაზრებას იზიარებს კ. კველიძე, გამომდინარე იქიდან, რომ რუსთველი, როგორც ლექსის ვირტუოზი, „ერთსა და იმავე ადგილას ერთისა და იმავე მნიშვნელობის სიტყვას არ იმეორებს“ [6, 122]. ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში რუსთველისადმი მიძღვნილი სტატიის თანახმად, რომლის ავტორი გახლავთ აკადემიკოსი ალექსანდრე ბარამიძე, ასევე შავით თეთრზე წერია, რომ „სახელწოდება რუსთველი (რუსთველი) უკავშირდება გეოგრაფიულ პუნქტს რუსთავს და ნიშნავს რუსთავის მკვიდრს ან რუსთავის ციხე-ქალაქის გამგებელს, მეპატრონეს“ [14, 506].

ამ დამოკიდებულების პარალელურად არაერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ მე-8 სტროფში, ორივე შემთხვევაში, იქნება ეს „ხელობითა“ თუ „ვხელობ“, რუსთველი მხოლოდ მიჯნურის გაშმაგებასა და გახელებას გულისხმობს. ამ მკვლევართა რიგებს მიეკუთვნებიან ვ. ნოზაძე [9] და ნ. ნათაძე [12]. ეჭვგარეშეა, რომ ქართულ ენაში „ხელობა“ საქმიანობასაც ნიშნავს და გაშმაგებასაც, მაგრამ, რუსთველოლოგები ვერ თანხმდებიან იმაზე, თუ რომელი მნიშვნელობით ხმარობს პოეტი აქ სიტყვებს „ხელობითა“ და „ვხელობ“.

შევეცდები დაგისაბუთოთ, რომ რუსთველი „ხელობაში“ არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს იმას, რომ მას რუსთავი აქვს სახელოდ და ის რუსთავის გამგეა. არამც და არამც! ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში საქმე უფრო რთულად და საინტერესოდაა!

როგორც პროლოგის მე-5 სტროფი მოწმობს, რუსთველი სამეფო კართანაა დაახლოებული და ეს სწორედ მას, რომლისთვისაც მთავარი საქმე პოეტობაა, უბრძანეს ტკბილი ლექსების თქმა: „მიბრძანეს მათად საქმერად თქმა ლექსებისა ტკბილისა“. მე-8 სტროფის ფრაზა – „მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი“, სწორედაც რომ კარის პოეტის სამსახურს, ან თამარ მეფისადმი მის, როგორც პოეტის, პირად თავდადებას გულისხმობს. ამას გვიდასტურებს ის პწკარი, სადაც რუსთველი საკუთარ თავს რიგითი ჯარისკაცების ფონზე განიხილავს და ამით, ფაქტობრივად, თავის მდგომარეობას ამ ჯარისკაცების სამსახურს ადარებს: „ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი.“ ეს საშუალებას გვაძლევს, ზმნაში „ვხელობ“ მინიმუმ შემდეგი მნიშვნელობების არსებობა შევნიშნოთ: 1. პოეტის, როგორც ხელოვანის საქმიანობა და მოქმედება; 2. პოეტის მეფის სამსახურში ყოფნა.

რაც შეეხება რუსთველოლოგთა მიერ „ხელობის“ განსაზღვრას, როგორც „გახელებას“ ანუ „გაგიჟებას“, ეს შემთხვევით არ მოხდებოდა: სტროფის მესამე და მეოთხე პწკარებში პირველად შემოიჭრება თამარ მეფესთან გამიჯნურების თემა, რომელიც ჯერ პროლოგს, ხოლო შემდეგ მთელ პოემას ასხივოსნებს: „დავუძღურდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არი...“. ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ თავად სიტყვა „მიჯნური“ შმაგსა და გადარეულს ნიშნავს – „მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა“ (სტრ. 22).

თამარ მეფისადმი გამიჯნურების ეს შინაარსი კიდევ უფრო ძლიერდება მომდევნო სტროფებში:

თვალთა, მისგან უნათლოთა, ენატრამცა ახლად ჩენა;

აჰა, გული გამიჯნურდა, მიჰხვდომია ველთა რბენა! (სტრ. 10)

იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია;

მისი სახელი შეფარვით ქვემოთე მითქვამს, მიქია. (სტრ. 19)

ამიტომაც საკვირველი არაფერია იმაში, თუ თამარ მეფის ხანაში, და შემდგომაც, ამ კადნიერებას პოეტს არ აპატიებდნენ. ჩემი აზრით, უპირველესად, ამას არ აპატიებდა თავად თამარ მეფე, რომელსაც უბრძანებია „თქმა ლექსებისა ტკბილისა“, და რომელმაც ამის საპასუხოდ გამიჯნურების მგზნებარე სტრიქონები ჩაიბარა.

თუ ვახტანგ VI-ს განმარტებებს მივუბრუნდებით, კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, როგორ ცდილობს ქართველი მეფე, ახსნა მოუწახოს რუსთველის გამიჯნურებას და ის სამსახურის სიყვარულით შენიღბოს: „თამარ მეფეს მორჩილებდა სპაცა და ჯარიცა: და უბნობს იმის სამ-

სახურისათვის ვხელობ და ვკუდებიო: დამისის სამსახურის მიჯნურობით ესე ვერ გავმადლარვარ: და ვერც რომელიც მმართვეს ის მიმსახურებია და უმსახურობის უძლური ვარო: და წამალი არა მაქვს გავიკურნოო ან ასრეთი სამსახური მიბძანოს რომე გამაძღოს იმ სამსახურმაო: და ან მომკლასო: საჩივარსავით ასმენს: და ამაში გავს რუსთველი შემძლე და კაი კაცი ყოფილა რომე ძალიანს სამსახურსა სთხოვს.“ [13]

მიჯნურის გაშმაგების ელვარე სხივი მე-8 სტროფში ზმნას „ვხელობ“ სტროფის მეორე ნაწილიდან („დავუძღურდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არი...“) მიადგება, მაგრამ, აუცილებლად, გამომდინარე იქიდან, რომ ქართულ ენაში ამ სიტყვას ეს მნიშვნელობა გააჩნია. ამგვარად, ეს შინაარსი იძენს დამატებით ანუ კონოტაციურ დატვირთვას, რაც ემოციურად საგრძნობლად ამდიდრებს სტროფს. კონოტაცია, როგორც ასეთი, ნაკლებად ახლავს აკადემიურ ტექსტს, მაგრამ მხატვრული ტექსტისთვის – ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. უფრო მეტიც, **კონოტაცია** პოეზიის მუდმივი თანამგზავრია და თავისი იდეალური შინაარსით ტექსტს სწორედ ის აქცევს ლექსად. გაშმაგების კონოტაცია აღმოჩნდება ის შინაარსობრივი რგოლი, რომელიც აკავშირებს სტროფის ორ ნაწილს და შეკრავს მას, როგორც ერთ მთლიანს. ამ მოვლენას ტექსტის ლინგვისტიკაში კოჰეზია (ლათ. ცოჰაესუს – შეჭიდულობა) ეწოდება. პოეტურ ტექსტში მიმდინარე ეს და სხვა პროცესები აგრეთვე ფართოდ აღწერილია ჩემს სამეცნიერო შრომებში.

აქვე მმართვეს აღვნიშნო, რომ XX საუკუნეში მიმდინარე ლინგვისტურმა პროცესებმა, ერთი მხრივ, სემასიოლოგიის დარგის ჩამოყალიბებამ, რაც გულისხმობს სიტყვის მნიშვნელობის სიღრმისეულ აღწერასა და კვლევას, და მეორე მხრივ, ტექსტის ლინგვისტიკის, როგორც მთლიანი ტექსტის კვლევისადმი მიძღვნილი ენათმეცნიერების დარგის ჩამოყალიბებამ და განვითარებამ, ხოლო შემდგომ ამ ორი დარგის დაპირისპირებამ, მიბიძგა, ტექსტის კვლევის პროცესში ეს ორი დარგი შემერიგებინა, რათა მათი შესაძლებლობები გაერთიანებულიყო. ამ ინიციატივის შედეგად აღვწერე და ჩამოვყალიბე პოეტური ტექსტის კვლევის ახალი მეთოდოლოგია, რომელიც მიუყვანე პოეტურ თარგმანს, გამომდინარე იქიდან, რომ მხატვრული ლიტერატურა არის ხელოვნების ის ერთადერთი დარგი, რომელიც ჩაკეტილია ენის საზღვრებში და საჭიროებს თარგმანს, რათა მიწვდეს სხვა ერის მკითხველსა და კულტურას [7; 18].

როგორც ზემოთ წარმოდგენილმა ანალიზმა დაგვარწმუნა, ზმნას „ვხელობ“ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩამოუყალიბდა **სამი** მნიშვნელობა, რომელთაგან პირველი ორი – პოეტის საქმიანობა და მისი სამსახური – წამყვანია, ხოლო **მესამე**, როგორც მიჯნურის გახელება – კონოტაციური ანუ დამატებითია, თუმც ფრიად მნიშვნელოვანი.

არსებითი სახელის შემთხვევაში – „მე, რუსთველი ხელობითა“, სიტყვა „ხელობა“ მედიდურად ინარჩუნებს პოეტის ხელობის მნიშვნე-

ლობას, ხოლო ზმნა „ეხელობ“ უკვე სამი მნიშვნელობით ამუშავდება: 1. პოეტის, როგორც ხელოვანის საქმიანობა და მოქმედება; 2. პოეტის მეფის სამსახურში ყოფნა; 3. პოეტის, როგორც მიჯნურის გახელება. ასე და ამგვარად, პოლისემანტური ანუ მრავალმნიშვნელოვანი ზმნა „ეხელობ“ ერთდროულად სამი მნიშვნელობით, ვითარცა აღმასის წახნაგებით აელვარდება, რათა კიდევ უფრო გაამდიდროს პოემის მხატვრული პალიტრის პოლიფონიურობა.

სიტყვის პოლისემანტურობა – ეს ენის მხოლოდ ის სიმდიდრე როდია, როდესაც სიტყვაში მრავალი მნიშვნელობა გეძლევა და იქიდან ერთს ამოირჩევ. სიტყვის პოლისემანტურობა – ეს ის სიმდიდრეა, რომელიც მხატვრულ ტექსტში, და განსაკუთრებით პოეზიაში, რამდენიმე მნიშვნელობის ერთდროული მოქმედების მოწმეს გაგხდის და ამით ლექსის განუმეორებელ მშვენიერებასა და სიძლიერეს განგაცდევინებს.

ფაქტია, რომ რუსთველოლოგები, დაწყებული ვახტანგ VI-დან, გრძნობდნენ ზემოაღნიშნულ მნიშვნელობათა არსებობას სტროფში, მაგრამ მაინც მონდომებით ცდილობდნენ, სიტყვის ხმარება ტექსტში ერთ კონკრეტულ მნიშვნელობაზე დაეყვანათ. ისმის კითხვა: რატომ? აქ პასუხი ერთი და მარტივია: იმხანად, ფილოლოგია, როგორც მეცნიერული დარგი ჯერ არ იყო შეიარაღებული იმ მეთოდოლოგიით, რომლითაც წინამდებარე ანალიზი წარმოვადგინე. სემასიოლოგიამ, კონტექსტოლოგიამ, თუ ტექსტის ლინგვისტიკამ განვითარება ჰპოვეს ძირითადად XX საუკუნის მეორე ნახევარში და შემდგომ. ეს კი დღეს გვაკლდებულებს, რომ მეცნიერების თანამედროვე მიღწევები და ხედვა გაბედულად და მართებულად გამოვიყენოთ კვლევაში, მით უმეტეს, პოეზიის ისეთი მწვერვალის მიმართ, როგორიც რუსთველმა შემოგვთავაზა. როგორც მაქს ვებერი ბრძანებდა, ხელოვნების მაღალი ნიმუშის ღირებულება სწორუპოვარია ყველა დროში, მაგრამ მეცნიერულ აზრს მუდმივი განვითარება და განახლება სჭირდება.

ზემოთ აღწერილი სტილისტიკური ხერხები პოეტებისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა, თუმც, მათ არ სჭირდებათ, რომ ეს ყოველივე მეცნიერული მეთოდოლოგიების დახმარებით შეასრულონ. პოეტი თავადაა შემოქმედი, რომელიც ზედმიწევნით კარგად გრძნობს ენას, ხოლო ნაწარმოებს საკუთარი ინტელექტუალური და არტისტული ნიჭის, ალღოსა და ფანტაზიის წყალობით ქმნის. ლექსზე მუშაობის ამ სიმსუბუქეს რუსთველი თავადაც გამოხატავს, როცა იტყვის: „პირველ ზნენი და საქმენი, ქებანი მათ მეფეთანი, / ვპოვენ და ლექსად გარდავთქვენ, ამითა ვილაყფეთანი“ (სტრ. 1667), სადაც „ვილაყფეთანი“ ნიშნავს „გავერთე თანაც“ [11, 366].

ამ ყოველივეს გაცნობიერება და ანალიზი მკვლევარის საქმეა, რაც პოეტთა უკეთ გაგებას ემსახურება. კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდაო. ისიც ნათქვამია, რომ არც ერთ პოეტს არ სურს დარჩეს გაუგებარი. მაგრამ მათ ყოველთვის მტკიცედ სწამთ, რომ ყოველივე, რასაც ისინი ქმნიან,

ვერ იქნება მარტივი და ადვილად გასაგები, თუმც, როგორც ღრმა და იდუმალი, გაგებული უნდა იყოს.

გადავიდეთ ეპილოგზე, რომელიც იწყება შემდეგით:

1665

*გასრულდა მათი ამბავი ვითა სიზმარი ღამისა.
გარდახდეს, გავლეს სოფელი, _ ნახეთ სიმუხთლე ჟამისა! _
ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა არის ერთისა წამისა.
ქვერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა.*

ამ სტროფის თანახმად, ექვგარეშეა, რომ პოეტი წარმოშობით მესხი მელექსეა, ხოლო ეს ყველაფერი მან შექმნა, როგორც პოეტმა, რომელიც რუსთველის სახელითაა ცნობილი – „მე რუსთველისად ამისა“. იმასაც მივაქციოთ ყურადღება, რომ ყველა შემთხვევაში, სადაც რუსთველი საკუთარ თავს ასახელებს, ეს ისევ მის პოეტობასთან არის შერწყმული და დაკავშირებული.

განვიხილოთ ეპილოგის დასკვნითი სტროფი:

1669

*ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა,
აბდულ-მესია – შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,
დილარგეთ – სარგის თმოგველსა, მას ენა-დაუშრომელსა,
ტარიელ – მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შეუშრომელსა.*

დღესავით ნათელია, რომ აქ რუსთველი წარმოჩინდება, როგორც ერთ-ერთი მის თანამედროვე წამყვან მწერალთა და პოეტთა შორის. პოეტი ოთხ ავტორს ასახელებს: მოსე ხონელს, იოანე შავთელს, სარგის თმოგველსა და რუსთველს ანუ საკუთარ თავს. აქედან ორი წარმოდგენილია სახელითა და გვარით, ხოლო შავთელი და რუსთველი – საკუთარი სახელის გარეშეა. შავთელისადმი მიძღვნილი პწკარი რუსთველისებურად ტევადი და მოქნილია, მაგრამ, ჩანს, მისი სახელი – იოანე – თექვსმეტმარცვლიანმა პწკარმაც ვეღარ დაიტია. რა ახსნა მოემბნება მეოთხე პწკარს, სადაც მეტრული ტევადობის ფარგლებში, ნაცვლად ნაცვალსახელისა „მისსა“, ავტორს თავისუფლად შეეძლო ეხმარა სახელი „შოთა“ და სტრიქონიც პოეტისთვის საკადრის ფორმას შეინარჩუნებდა: „ტარიელ – შოთა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შეუშრომელსა“? მაგრამ, ეს ხომ პოეტს არ გაუკეთებია?! აი, კიდევ ერთი საბუთი იმისა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის სახელი შოთაც რომ იყოს, ის თავს წარმოგვიდგენს მხოლოდ და მხოლოდ, როგორც „**რუსთველს**“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გვაქვს საფუძველი დავასკვნათ, რომ „რუსთველი“ – „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ლიტერატურული ფსევდონიმია. ანტიკური ტრადიციის თანახმად, „ილიადასა“ და „ოდისეას“ ავტორს დაბადებისთანავე სახელად დაარქვეს **მელესიგენესი**, რაც ნიშნავს მდინარე მელეს ვაჭიშვილს, რადგან მომავალი

პოეტის დედამ მდინარე მელესის ნაპირზე იმშობიარა. მიუხედავად ამისა, კაცობრიობა მას მოიხსენიებს არა საკუთარი სახელით, არამედ ზედსახელით – „**ჰომეროსი**“, რომლის წარმოშობა დღემდე დაუდგენელია.

თუ „რუსთველი“ პოეტის ფსევდონიმია, მაშინ მისი ეტიმოლოგია ჯერ ისევ დასადგენია, რაც, ბუნებრივია, შემდგომ კვლევას მოითხოვს. ამჯერად, მხოლოდ საკუთარი მოკრძალებული მოსაზრება შემიძლია გამოვთქვა:

ფსევდონიმი „რუსთველი“ უნდა ეყრდნობოდეს, პირველ ყოვლისა, ფუძეს „რუ“ და არა „რუსთავს“, მით უმეტეს, რომ ეს უკანასკნელიც აგებულია იმ პრინციპით, რომ იქ სათავეს იღებდა „რუ“, როგორც ნაკადული. ამავე პრინციპით ქართლში მდებარე ერთ-ერთ სოფელს ეწოდა „რუისი“.

მოგეხსენებათ, ქართული ენის სხვადასხვა ლექსიკონში სიტყვა „რუ“ განმარტებულია შემდეგნაირად: რუ – ნაკადული; რუ – პატარა არხი; რუ – რუ არს წყალი გაღებული სარწყავად და სახმარად. ილია აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონის თანახმად, „რუ“-ს ხმარების მაგალითად წარმოდგენილია სისხლის ნაკადი – „რუი სისხლისაი გამოადინა“ [2, 349].

ამდენად, რუსთველში „რუ“ უნდა იყოს მთავარი ფუძე და ჩვენ შეგვიძლია მომავალი კვლევა ამ ხაზით წარვმართოთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოეტის მიერ შედგენილი ზედსახელი „რუსთველი“ შეიძლება ეყრდნობოდეს „რუ“-ს შინაარსს არა მხოლოდ პირდაპირი, არამედ გადატანითი მნიშვნელობით. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ეს ფსევდონიმი რეზუსის პრინციპით იყოს შედგენილი. ფსევდონიმის რეზუსული ანუ გასაიდუმლოებული გზით შექმნა კიდევ უფრო დასაშვები ხდება არა მხოლოდ შუა საუკუნეების გამოცდილებისა და ტრადიციის მიხედვით, არამედ რუსთველისეული იმ კრიპტოგრამის გათვალისწინებით, რომელსაც ქვემოთ წარმოვადგენ.

დავუბრუნდები ისევ მე-8 სტროფს, რომლის მრავალჯერადი წაკითხვისას გამუდმებით ჩამესმოდა ყურში სახელი „თამარი“. მოგეხსენებათ, ამ სტროფში ეს სახელი ნახსენები არ არის, თუმცა მას ვხვდებით პროლოგის მე-3 და მე-4 სტროფებში: „– მეფისა მზის თამარისა, დაწვ-ბადახშ, თმა-გიშერისა... / თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული.“

მაშ, რატომ ჩამესმოდა სტროფის კითხვისას სახელი „თამარი“? იქნებ იმიტომ, რომ სტროფის ოთხივე პწკარი, ისევე, როგორც სახელი „თამარი“, ერთნაირად ბოლოვდება სამ ბგერაზე „არი“: „ამა დარი“, „მისთვის მკვდარი“, „არსით არი“? მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, არა მხოლოდ ამიტომ! როგორც კი უფრო დაკვირვებული თვალით ჩავხედე სტროფს, მივხვდი, რომ „თამარი“ ცალკეულ მარცვლებად და ასობგერებადაა ჩაქსოვილი სტროფში, როგორც კრიპტოგრამა, და ეს ხდება არა ერთხელ, არამედ სამჯერ, საკუთრივ, შემდეგნაირად:

*მე, რუსთველი ხელობითა, ვიქმ საქმესა ამა დარი:
ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი;
დავუძღურდი, მიჯნურთათვის კვლავ წამალი არსით არი,
ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი.*

კრიპტოგრამა კარგად იყო ცნობილი შუა საუკუნეების აღმოსავლეთისა და დასავლეთისათვის. ეს გახლავთ ფარული ენა და კოდი, რომელიც ზედაპირზე არ ჩანს, მაგრამ საიდუმლო ინფორმაციას აუცილებლად შეიცავს. პოეტურ ტექსტში კრიპტოგრამა ქვეცნობიერად მოქმედებს მკითხველზე და ქმნის დამატებით შინაარსს, რომელიც მეტ სიღრმესა და ემოციურობას სძენს ტექსტს. საუკუნეებით დაცილებული ასეთი იდუმალი კოდი ჩვენს თანამედროვეობაში შეგვიძლია, მაგალითად, შევადაროთ კინოს ენაზე 25-ე კადრს.

დღეს ჩვენ არ ვიცით, ამოიცნო თუ არა ეს ფარული ნიშანი თამარ მეფემ, ან მისმა თანამედროვეობამ, მაგრამ ფაქტია, რომ პოეტმა ის საგანგებოდ ჩააქსოვა და ჩააწნა იმ სტრიქონებს, სადაც ყველაზე აშკარად გამოხატა თავისი მოვალეობა, თავდადება, სიმტკიცე და მგზნებარე გრძნობები.

იმასაც მივაქციოთ ყურადღება, რომ სტროფში სამჯერ ფარულად ნათქვამ **„თამარს“** წინ უძღვის ერთხელ ახდილად ნათქვამი **„რუსთველი“**, ვითარცა ფარი ამ იდუმალი სახელისა. ეჭვგარეშეა, პოეტის სურვილი და მიზანი იყო, რომ **მისი სახელი რუსთველად გადასცემოდა მემკვიდრეობას და ის აუცილებლად თამართან ყოფილიყო დაწყვილებული**. ეს უკანასკნელი სურვილი ქართველმა ერმა პოეტს შეუსრულა, რადგან, იწამა რა მისი დიდი გრძნობა, ამ სიყვარულით გასხივოსნებული „მარგალიტი წყობილი“ ხელის გულზე ატარა და ჩვენამდე მოიტანა. რაც შეეხება პირველს, ანუ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის რუსთველად მოხსენიებას, როგორც პოემით გადმოცემულ მის წმიდათაწმიდა ანდერძს, აშკარაა, რომ მას სათანადოდ ვერ მოვუფრთხილდით და მასთან ჯერ ისევ ვალში ვართ.

თუ უფრო ობიექტურად და მკაცრად მივუდგებით საკითხს, უმჯობესია, ასეც ვთქვა: აგერ უკვე ოთხი საუკუნეა, რაც ანგარიშს ვუწევთ საზოგადოებაში დამკვიდრებულ იმ ტრადიციებს, რომელიც ჩამოყალიბდა ისევ ჩვენი ხალხის – გამორჩეული საეკლესიო პირების, მწერლების, ჩვენი დიდი მეცნიერების და თავად ქართველ მეფეთა მოსაზრებათა კვალდაკვალ, რაც, უპირველესად, მათდამი პატივისცემასა და ნდობაზე მეტყველებს. მაგრამ, ფაქტია, რომ **ამ მნიშვნელოვან საკითხში ვერ ვუერთგულეთ თავად რუსთველს**, რომელმაც ყველაზე მაღალი და კაშკაშა მწვერვალი აღმართა საქართველოს კულტურის ისტორიაში.

მითითებული ლიტერატურის სია

1. აბაშიძე, ი., პალესტინის დღიური, ლიტერატურული გაზეთის გამოცემა, თბ., 1961;
2. აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, „მეცნიერება“, თბ., 1973;
3. არაბული, ა., „ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედებითი განზრახვის მიმართებისათვის ოქროს ხანის საქართველოს სინამდვილესთან, ისტორიანი, სამეცნიერო კრებული, მიძღვნილი როინ მეტრეველის დაბადების 80 წლისთავისადმი, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბ., 2019;
4. ბაგრატიონი, თ., განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“, გაიოზ იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და საძიებლით, თბ., 1960;
5. გაბაშვილი, ტ., მიმოხილვა, თბ., 1852;
6. კეკელიძე, კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, თბ., 1958;
7. მერაბიშვილი, ი., პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა, თბ., 2005;
8. მეტრეველი, ე., ტომოთე გაბაშვილი, მიმოსვლა, თბ., 1956;
9. ნოზაძე, ვ., თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. I, თბ., 2004, ტ. II, თბ., 2005, ტ. III, თბ., 2006;
10. რატიანი, პ., ვეფხისტყაოსანი და მისი ავტორი, „მერანი“, თბ., 1975;
11. რუსთაველი, შ., ვეფხისტყაოსანი, ალ. ბარაბიძის, კ. კეკელიძისა და ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1957;
12. რუსთაველი შ., ვეფხისტყაოსანი, მესამე სასკოლო გამოცემა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი, კომენტარი და ბოლო სიტყვა დაურთო ნ. ნათაძემ, „განათლება“, თბ., 1986;
13. რუსთაველი, შ., ვეფხისტყაოსანი, პირველი ბეჭდური (ვახტანგისეული) გამოცემა, 1712 წელი; აღდგენილი ა. შანიძის მიერ, 1937 წელი, ფოტორეპროდუქციული გამოცემა 1975, „მეცნიერება“, თბ., 1975.
14. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 8, თბ., 1984.
15. შანიძე, ა., რუსთაველი თუ რუსთველი? ჟურნალი „დროშა“, თბ., 1980, №1.

INESA MERABISHVILI

HOW SHOULD WE NAME THE AUTHOR OF ‘VEPKHISTKAOSANI’ (‘THE MAN IN THE PANTHER’S SKIN’)

Summary

Rustveli’s ‘Vepkhistkaosani’ (The Man in the Panther’s Skin), created in the Golden Age of Georgia, the time of King (Queen) Tamar’s powerful and culturally elevated reign, happens to be universally acknowledged as the greatest piece of the Georgian poetry.

As Ivane Javakhishvili assumes, Rustveli was pursued in his lifetime for free thoughts and daring ideas, expressed in the poem. This might be the reason that we are not at this time in possession of consistent details of his biography.

As a matter of fact, we have never known his real family name, the reason being that for almost three centuries since the poem was composed (presumably by the end of the 12th or the beginning of the 13th century), no extant annals or manuscripts mention the masterpiece or its author. And still, the Georgian nation truly appreciated and admired this huge poem, nurturing it for centuries through learning it by heart and making its handwritten copies.

According to the Prologue of the poem, the author has dedicated it to King Tamar. Alongside with the poet's duty and devotion, the poem shows Rustveli's passionate, although unrequited love for the monarch. The poet's truly sublime but heartbreaking feeling has inspired the nation to create the whole variety of legends about Rustveli's life that are still alive and keep provoking interest.

As for the first written texts, mentioning Rustveli, they date back to the 16th and 17th centuries. This historical period and the dates of the surviving manuscripts are coincidental. Interestingly, there are over 150 manuscripts of the poem available to science nowadays.

Since those days, for almost four centuries, the name of the author has been used in three versions: Rustveli, Shota Rustveli and Shota Rustaveli. The first one is the original version of the name used by the author himself on four occasions: twice in the Prologue and twice in the Epilogue of the poem.

For many centuries various men of letters tended to express mostly one and the same opinion concerning the etymology of 'Rustveli', assuring the nation that the poet's origins belonged in Rustavi and that he even owned it, meaning by Rustavi either a village in Meskheta or a town near Tbilisi. More than this, the experts assured readers through their writings that in one of the stanzas of the Prologue where the author names himself as 'Rustveli' and speaks of his occupation, he means that he is the head of Rustavi and owns it. According to the 1957 year publication of the poem, acknowledged as the most trustworthy one, this stanza is indicated as number 8.

According to the text of the poem, the author never indicates his Christian name. The name 'Shota' was first used and suggested as Rustveli's Christian name by the Georgian King Teimuraz I as early as in 1629. As scholars suppose, he incidentally learnt, that there was an ancient fresco of an unknown old man on one of the walls of the Georgian Monastery of the Cross in Jerusalem with an inscribed short text containing the name 'Shota Rustveli'.

Since then, the Christian name 'Shota' became commonly used together with 'Rustveli'. When the Georgian King Vakhtang VI founded a printing house in Tbilisi and in 1712 published 'Vepkhistaosani' for the first time, he presented the author as 'Shota Rustveli' to the world.

Later on, in the 18th century, a famous ecclesiastic figure T. Gabashvili visited the monastery in Jerusalem and when back in Georgia informed the nation about the fresco and the applied inscription in a short but written form.

As a result of his notes, for two centuries the scholars believed that the inscription was of the following content: ‘May God forgive the one who painted this Amen Shota Rustveli.’ T. Gabashvili believed that the monastery was painted by Rustveli.

When in the previous century the studies of the poem became more vigorous than ever, a delegation of three major Rustvelologists, namely academicians I. Abashidze, A. Shanidze and G. Tsereteli, visited the monastery in 1960 to clarify the fact of the above mentioned fresco and the enclosed inscription. According to the photos taken by them, the inscription reads as follows: ‘May God forgive Shota who painted this Amen Rustveli.’ The photos witness that the personal name ‘Shota’ is never twinned with ‘Rustveli’. Besides, the text shows different syntactical function of these two names. Notwithstanding the fact, the members of the delegation and the majority of their contemporary scholars in Georgia never objected to the use of ‘Shota’ as the poet’s Christian name together with ‘Rustveli’. Nowadays, I consider it necessary to emphasise that the inscription evokes many questions and inspires further investigation.

Regretfully, by that time the original name of the author ‘Rustveli’ had already been changed into ‘Rustaveli’. This happened in the second half of the 18th century when Anton Catholicos I, following the grammar rules, introduced and established by him, presented the poet as ‘Rustaveli’ adding the vowel ‘a’ between ‘t’ and ‘v’, that actually strengthened the idea that the poet had originally come from Rustavi.

By the end of the XX century, a group of distinguished scholars objected to the usage of the poet’s name ‘Rustaveli’ instead of ‘Rustveli’, though in vain. Thus the popularity of the incorrect usage prevailed and ‘Shota Rustaveli’ became not only the most frequently used, but also officially recognised form of the author’s name, especially when the scholars never touched the question of the Christian name ‘Shota’, whether it should be used together with the poet’s name or not.

The aim of the present article is to discuss all the three versions of the poet’s name but against the background of historical and scholarly data alongside with the context of the poem in which it is used on four occasions.

I had good fortune to find enough grounds to prove that the poet, when referring to his name, never implies any geographical name or his occupation connected with this place, but definitely speaks of his occupation as that of a poet only. This content is revealed not only through the whole context of the prologue and many of its concrete lines but especially due to the most enigmatic and widely discussed excerpt of the poem, mentioned above as the eighth stanza of the Prologue. Here is the 8th stanza together with my English version:

მე, რუსთველი ხელობითა, ვიქმ საქმესა ამა დარი:
ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი;
დავუძღურდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არი,
ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი.

I, Rustveli by my art, do work of this kind:
Hosts of warriors whom obey, for her I strive, die;
An exhausted, tired lover, remedy won't find,
She may either deign to cure, or a grave to find.

Therefore, the conclusion is asking to be made that 'Rustveli' is the pen-name of the poet and refers only to his art of poetry, though its etymology still calls for further studies.

The author of the article argues that current Rustvelological studies lack scrupulous and meticulous linguistic analysis of the existing versions of the poet's name that regrettably produced misunderstanding in its use, which contradicts the original use of the poet's name as Rustveli. The latter should be maintained at least as the genius poet's sacred will emanating through his masterpiece.

ვალერი ასათიანი

ეტიუდები ქართულ-ბერძნული ურთიერთობის ისტორიიდან

I. Ἄνα-Κολχίς

ძველ ბერძნულ გადმოცემებში გავრცელებით გამოირჩევა თქმულებათა სამი დიდი ციკლი: არგონავტების მოგზაურობა ოქროს საწმისისათვის აია-კოლხეთში, არგოსელთა ბრძოლა თებეს წინააღმდეგ – ე.წ. თებეს ციკლი და ბერძენ ტომთა ლაშქრობა მცირე აზიაში – ე.წ. ტროას ციკლი. თქმულება არგონავტებზე, როგორც ერთ-ერთი უძველესთაგანი ასაზრდოებდა ანტიკური ეპოქის სულიერ კულტურას. ტროას თემამ ასახვა ჰპოვა ჰომეროსის შემოქმედებაში, ხოლო არგონავტების მითმა – აპოლონიოს როდოსელის ეპიკურ პოემაში (რ. გორდეზიანი 2019: 93-120; ვ. ასათიანი 2021: 11-65).

ჰაინრიხ შლიმანის და არტურ ევანსის არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა ნათელი მოჰფინეს კრეტა-მიკენისა და ეგეოსური კულტურის ისტორიის მრავალ საკითხს, „გააცოცხლეს“ ბერძნული მითები.

კვლავ უნდა აღინიშნოს, რომ დღეს მეცნიერებამ იცის მრავალი იმ ე.წ. „მითოლოგიური ქალაქის“ დაარსების თუ დანგრევის მიახლოებითი თარიღი, რომლებიც არქეოლოგებმა „ზღაპრიდან სინამდვილედ აღადგინეს“, მაგალითად, კნოსოსი და ფესტოსი (დაახლ. 5000 წ.), მიკენი (დაახლ. 4500), ტროა (დაახლ. მე-4-3 ათასწლეული) და სხვ.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია, რომ ტროასათწლიანი ომი ბერძნებსა და ტროელებს შორის მიმდინარეობდა ძვ.წ. 1193-1184 წლებში, ე.ი. დაახლოებით 3200 წლის წინათ. ფაქტია, რომ „არგონავტიკაში“ გადმოცემული ისტორია უსწრებს ტროას მოვლენებს, უფრო ძველია, ვიდრე „ტროას ციკლში“ აღწერილი ამბები. აია-კოლხეთში მოსული გმირები არიან ტროას ომის გმირების წინაპრები, მამები. მაგალითად, არგონავტი პელევსი ტროაში მეგრძოლი აქილევსის მამაა; არგონავტი ტელამონი – აიაქსისა და სხვ. ჰომეროსის „ოდისეაში“ მოხსენიებულია ხომალდი „არგო“, რომელმაც ილაშქრა კოლხეთში (ო. ლორთქიფანიძე 1966; თ. გამყრელიძე 2014).

ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი (V-VI სს.; *გეორგიკა* II 1934); *Procopii Caesariensis...* 1905-1913), რომლის თხზულება „პოლემიკა“ (Πολεμικά) საუკეთესო წყაროა ბიზანტიისა და საქართველოს

ისტორიისათვის, არაერთხელ მოიხსენიებს კავკასიას, ხვამლოს, სკვიმნიას. „De bello Gothico“ შეიცავს ცნობებს არამართო გოთებთან ომის შესახებ, არამედ, მაგალითად, ოდინდელი საქართველოს – ლაზეთის გეოგრაფიულ და ეთნოგრაფიულ აღწერებს. ასევე მნიშვნელოვანია კესარიელის თხრობა კოლხეთისა და ოქროს საწმისის შესახებ: „სადღაც ლაზიკის ამ ნაწილში, როგორც ადგილობრივი მცხოვრებლები ამბობენ, ინახებოდა ის საწმისი, რომლის გულისთვისაც, პოეტთა მითითების თანახმად, „არგო“ აიგო (8,2): „ამ მხარეს ჩამოუდის მდინარე რეონი (Ρέων), რომლის სანაპიროსთან კოლხებს (Κόλχοι) ძველადვე აუგიათ ციხე... მაშინ, ამ ციხეს, ელინთა ენით, კოტიაციონს უწოდებდნენ, ახლა კი ლაზები მას ქუთაისს ეძახიან (...νὺν μέντοι Κουτατούσιν αὐτὸ καλοῦσι Λαζοῖ...), ასე მოგვითხრობს ამას არიანე. სხვები კი ამბობენ, ძველ ხანებში ეს ადგილი ქალაქი იყო და კოტიაციონი ეწოდებოდაო. აქაური იყო აიეტი (ჰელიოსის შვილი, ლეგენდარული კოლხეთის მეფე – ვ.ა.), რის გამოც პოეტები მას კოტიაციონს, ხოლო კოლხეთის ქვეყანას კოტიაციტისს ეძახდნენ“ (8,14).

... Ταύτην παραρρεῖ τὴν χώραν ποταμός, Ῥέων ὄνομα. οὐ δὲ καὶ φρούριον ἔκκοδομήσαντο ἐκ παλαιῶν Κόλχοι. οὐπὲρ ὕστερον αὐτοῖς τὸ πλείστον ἐξ ἔδαφος καθεῖλον, ἐπεὶ ἐν πεδίῳ κείμενον ἐσάγαν ὁπίῳ εὐέφοδον σφίσιν ἔδοξαν εἶναι. Κοτιάϊον δὲ τότε τὸ φρούριον ὠνομάζετο τῇ Ἑλληνῶν φωνῇ, νῦν μέντοι Κουτατούσιν αὐτὸ καλοῦσι Λαζοῖ τῇ τῆς φωνῆς ἀγνοίᾳ τὴν τοῦ ὀνόματος διαφθείροντες ἁρμονίαν. ταῦτα μὲν Ἀριανὸς οὕτως ἱστορήσεν ἕτεροι δὲ φασὶ πόλιν τε γεγενῆσθαι ἐν τοῖς ἄνω χρόνοις τὸ χωρίον καὶ Κοίταιον καλεῖσθαι, ἔνθεν τε τὸν Αἰήτην ὠρμηθῆναι, καὶ ἅπ’ αὐτοῦ τοὺς ποιητὰς αὐτόν τε Κοιταῖέα καὶ γῆν τὴν Κολχίδα Κοιτάατιδα καλεῖν. (11, 14).

არგონავტების თქმულების შემცველი ბერძნული წყაროები ავ. ურუშაძემ სამ ჯგუფად წარმოადგინა (ავ. ურუშაძე 1964; 2018); ავ. როდოსელი 1970): 1. ელინური პერიოდის (ეპოსი, ლირიკა, დრამა, პროზა), 2. ელინისტური ანუ ალექსანდრიული პერიოდისა და 3. ბიზანტიური პერიოდის წყაროები. ჰომეროსის გადმოცემით „ყველასთვის სანუკვარი საზღვაო ხომალდი „არგო“ (ποντοπόριος νηὺς Ἀργὼ πᾶσι μέλουσα) იმაზე მიუთითებს, რომ იმხანად გავრცელებული არგონავტთა თქმულების ძირითადი ბირთვი ჯერ კიდევ ჰომეროსის წინაპროინდელ პოეზიაში იყო ეპიკური სიმღერების სახით დამუშავებული. მრავალ გადმოცემაში მედეას ერთ-ერთ ვაჟს მერმეროსი (Μέρμεριος) ერქვა. მედეა მჭიდროდ არის დაკავშირებული კორინთოსთან, რომელსაც ეფირე (Εφύρη) ერქვა. პელასგთა ოდინდელი სამკვიდრებელი კორინთოს-ეფირე, ძველი წყაროების ჩვენებით (ევმელოსი, ეპემენიდე და სხვ.) ჰელიოსის ძის აიეტის და მისი შთამომავლობის საგამგებლო მხარე იყო. იასონი და მედეა ჩადიან როგორც წილხვედრ ქვეყანაში. არგონავტების თქმულებას იცნობს ბერძნული დიდაქტიკური ეპოსის უდიდესი წარმომადგენელი ჰესიოდე (ძვ.წ. VIII ს.). „თეოგონიაში“ მოხსენიებულია ჰელიოსისა და

ოკეანიდ პერსეისის შვილები – კოლხთა მეფე აიექი და კირკე. პოემაში ყურადღებას იპყრობს პელასგური მოდგმის ტირსენელებისა და კირკეს (resp. კოლხთა) ნათესაობის შორეული გამოძახილი: ჰელიოსის ასული კირკე დაუკავშირდა ოდისევსს და შვა აგრიოსი, ლატინოსი და ტელეგონე, რომლებიც ტირსენელების წინაპრები და გამგებელნი გახდნენ. პლუტარქეს ცნობით, რომის დაარსება მიეწერება კირკესა და ოდისევსის ვაჟს – რომანოსს. არგონავტთა თქმულების უძველესი – კორინთული ვერსია დაამუშავეს ევმელოს კორინთელმა (პოემა „კორინთიკა“), რომელსაც ტრადიცია ეპემენიდეს მიაწერს. თქმულებას ეხებიან ლირიკოსი პოეტები მიმნერმე, სიმონიდე კეოსელი, პინდაროსი. ბერძნული ტრაგედიის მამამ – ესქილემ შექმნა ტრილოგია: „არგო“, „ჰიფსიპილე“ და „კაბირები“. არგონავტების მითის საფუძველზე შექმნილი ბერძნული დრამებიდან სრული სახით ჩვენამდე მხოლოდ ევრიპიდეს „მედეამ“ მოაღწია. აღსანიშნავია, რომ არგონავტების თქმულების ევრიპიდემდელ გადმოცემებში არსად არ არის ნათქვამი ის, რომ მედეამ სამშობლოს უღალატა, (იგი კოლხეთს ტოვებს ღვთაების მოწოდებით – „ნავპაკტიკა“) და შვილები მოკლა. კრეოფილესთან მედეა მხოლოდ და მხოლოდ კრეონტს წამლავს. არისტოფანე გრამატიკოსისეულ „ჰიპოთესისში“ პირდაპირაა ნათქვამი, რომ ასეთი რამ (ე.ი. მედეას მიერ შვილების დახოცვა) არც ერთ სხვა მწერალთან არ გვხვდება. ევრიპიდეს მიერ „მედეაში“ ასეთი ახალი ამბის მოტანით დარღვეულია არისტოტელეს დებულება, რომ „გადმოცემული მითების გასწორება არ არის საჭირო“ („პოეტიკა“, XIV). პარმენისკეს გადმოცემით, „ფილოსოფოსებში მეტად გავრცელებულია ერთი ამბავი: ევრიპიდემ თითქოს კორინთელებისაგან ხუთი ტალანტი აიღო და ბავშვების დახოცვა მედეას გადააბრალა. მედეას ბავშვები კი მოკლეს კორინთელებმა, რომლებიც აღშფოთდნენ იმით, რომ მედეას მეფობა უნდოდა, ვინაიდან კორინთო მისი მამისეული ხვედრი იყო“. ამასვე გადმოგვცემს კლავდიუს ელიანე („ნაირ-ნაირი ისტორია“, V).

„გადმოგვცემენ, რომ ისინი (ბავშვები – ვ.ა.) კორინთელებმა ჩააქცევეს იმ საჩუქართა გამო, რომლებიც მათ გლავკეს მიუტანეს“ (პავსანია, I). მრავალ ავტორთაგან, ვინც აია-კოლხეთის თემას შეეხო (თეოლიტე მეთიმნელი, კლეონ კურიონელი, ლიკოფრონი, კალიმაქე კვირენელი, თეოკრიტე, ევფორიონ ქალკიდელი და სხვ.) განსაკუთრებული მნიშვნელობისაა აპოლონიოს როდოსელის (Ἀπολλώνιος ὁ Ῥόδιος, ძვ.წ. 295-215) პოემა „არგონავტიკა“. კოლხეთი, არგონავტების მარშრუტის უკანასკნელი პუნქტი, „არგონავტიკაში“ ორი სახელითაა მოხსენიებული (აია, კოლხიდა). „აია“ და „კოლხიდა“ პოეტისთვის სინონიმებია (Ἄια-Κολχίς). აია კოლხეთის (კოლხიდის) ძველი სახელწოდებაა. კოლხეთის ანუ აიას დედაქალაქი, აპოლონიოსის ცნობით, არის კკტაიისი. ფაზისში შენავებულ არგონავტებს ხელმარცხნივ ეკავათ მაღალი კავკასიონი (Καύκασον) და აიას ქალაქი კკტაიისი – „Κυταις πτόλις Αἴης“ (II, 1267). აპოლონიოს როდოსელის გარდა, კოლხეთის (აიას) დედაქალაქად

კვტაიისს, რაც ქართული „ქუთაისის“ ბერძნული ფორმაა, მოიხსენიებენ ალექსანდრიული ხანის სხვა ავტორებიც (ლიკოფრონ ქალკიდელი, კალიმაქე, ევფორიონი). აკაკი ურუშაძე აღნიშნავს: „აპოლონიოსის მიერ მოწოდებული ცნობები საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს არა თუ საქართველოს, არამედ მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთი უძველესი ქალაქის – ქუთაისის შესახებ“ (აკ. ურუშაძე 1964).

აღსანიშნავია, რომ აპ. როდოსელი უფრო მეცნიერული სიზუსტითა და პედანტიზმით ხასიათდება, ვიდრე „პოეტური აღმაფრენის სიმადლით“. „არგონავტიკა“ დღეს ჩვენთვის გაცილებით მეტი მეცნიერულ-ისტორიული ღირებულებისაა, ვიდრე პოეტურ-მხატვრულის. დიდია მისი, როგორც საისტორიო წყაროს მნიშვნელობა.

რა ასაკის ქალაქებს იხსენიებს საერთოდ აპოლონიოს როდოსელი თავის „არგონავტიკაში“? რომელია მათ შორის მხცოვანი ქალაქი და რომელი ახალგაზრდა? „მხცოვანი ქალაქები“ მოითვლიან თავისი ისტორიის არანაკლებ 3500 წელს, ხოლო „ახალგაზრდა ქალაქები“ იმათ, რომელთაც 3500-ზე ნაკლები ასაკი აღმოაჩნდება.

თავის პოემაში აპოლონიოს როდოსელი იხსენიებს შემდეგ ქალაქებს:

პირესია, ლარისა, ფილაკე, ფერე, ალოპე, ფთია, გირტონე, ტიტარესია, კტიმენე, ოპონტი, კერინთო, ექალია, კეკროპია, არეთირეა, არგოსი, მიკენი, სპარტა, არენე, პილოსი (ტრიფილია), ტეგეე, პელენე, მილეტი, კალიდონი, ოლენე, პითონი, იოლკოსი, პაგასი, ეზონი, დოდონე, მელიბეა, ჰომოლე, მირინე, თებე, აბიდოსი, პოტიეა, ადრესტია, კიანე, ტრეჩინი, ორქომენი, სესამოსი, კრომბიალოსი, კრომნა, კიტოროსი, კნოსოსი, ფლიუნტი, დრეპანე, ეფირე, ამიკლე, ავლისი და... ქუთაისი.

სულ, ქუთაისთან ეთად – ორმოცდაათი ქალაქი. ამათგან ოცდათექვსმეტი ქალაქი პოემაში იხსენიება თითოჯერ, დანარჩენი თოთხმეტი კი – რამდენიმეჯერ: იოლკოსი 9-ჯერ, ორქომენი 7-ჯერ, პითონი 6-ჯერ, პაგასი 5-ჯერ, არგოსი 4-ჯერ, მირინე 3-ჯერ, ფთია 3-ჯერ, კეკროპია 3-ჯერ, სპარტა 3-ჯერ, ტეგეე 3-ჯერ, არენე 3-ჯერ, კალიდონი 2-ჯერ, დრეპანე 2-ჯერ, პირესია 2-ჯერ.

ხოლო ქუთაისი ერთადერთია, რომელიც პოემაში, პირდაპირი თუ ნაგულისხმევი ფორმით, იხსენიება 33-ჯერ.

რაც მთავარია – არც ერთი ამ 50 ქალაქიდან არ არის „ახალგაზრდა“; ყველა მათგანი არის „მხცოვანი, ქალაქი“ არც ერთი მათგანი არ მოითვლის 3500 წელზე ნაკლებს. ზოგი მათგანი 4000 (მიკენი, არგოსი, ორქომენი, პილოსი), ან 5000 (კნოსოსი) წლის ქალაქებია (ლ. სანიკიძე 1960: 9).

ძველ კოლხეთთან დაკავშირებული წერილობითი წყაროები საფუძვლიანადაა შესწავლილი ს. ყაუხჩიშვილის, აკ. ურუშაძის, ოთ. ლორთქიფანიძის, ნ. ლომოურის, რ. გორდეზიანის და სხვათა შრომებში.

„ბერძნული მითოლოგიის ყველა ქალაქი იპოვნეს. მხოლოდ ერთი დარჩა. ეს ქუთაისია, და იგიც მხოლოდ იმიტომ არ უპოვნიათ, რომ არ უძებნიათ. დღევანდელი ქუთაისის ფსკერზე უძველეს ქუთაიას სძინავს

და არქეოლოგიის ნიშნისაგან გაღვიძებას ელის. განა საინტერესო არ იქნება დადასტურდეს უფრო მეტი, ვიდრე ამ ქალაქის თარიღი, სახელდობრ: როცა აღარ არსებობენ მსოფლიოს უძველესი ქალაქები: ური და ლაგაში, ურუქი და უმა, ლარსა და ისინი, ერიდუ და ბაბლონი, კნოსოსი და ფესტოსი, ტროა და მიკენი, დღემდე ცოცხლობს ქუთაისი“ (ლ. სანიკიძე 1960: 18).

ძალზე საყურადღებოა, რომ უკანასკნელ ხანს ქუთაისში პირველად ჩატარდა მასშტაბური არქეოლოგიური გათხრები, რომელიც ქალაქის უძველესი ისტორიის პირველ ნივთიერ, მეცნიერულ დადასტურებას წარმოადგენს. ქართულ-პოლონური ოთხწლიანი ერთობლივი ექსპედიციის დროს მოპოვებული არტეფაქტები ძვ.წ. XIV საუკუნით თარიღდება. ამდენად, მომავალი სიღრმისეული კვლევები ნათელს მოჰფენს უძველეს ბერძნულ წერილობით წყაროებში გადმოცემული ცნობების საფუძვლიანობას.

II. Σκύριον-Σκυδρις

„თუმცა არს ლეჩხუმი მთის ადგილად თქმული, გარნა არს ვენახიანი, ხილიანი, მოვალს ყოველნი მარცვალნი თვინიერ ბრინჯ-ბამბისა, გარნა სივიწროვისა და კლდიანობისათვის არა ეგოდენი სიმრავლით, მოსახლენი არიან აზნაურნი და გლეხნი, რამეთუ არა არს მოსახლე, რომელსა არა ედგას კოშკი ქვითვირისა და შენობანი ყოველნივე ქვითვირისანი. და არს მთითა და კლდით ფრიად მაგარი, და კაცნი მუნებურნი მბრძოლნი და შემმართებელნი, ჰაეროვანნი, ტანოვანნი, მხნენი და მორჩილნი უფალთა თვისთა. გარნა არს ლეჩხუმი, შემდგომად განყოფისა სამეფოთასა, იყო ტალანი იმერთა მეფისა, და აწ უპყრავთ ჩიქოვანს, რომელიცა არს დადიანი“...

„...გორდიდამ ვიდრე კავკასამდე არს ხეობა ლეჩხუმისა, რომელსა უწოდებენ თაკურად... ლეჩხუმი ეწოდა ხომლის კლდის გამო – ესე არს ლეჩხუმი“.

ვახუშტი ბატონიშვილი (ბაგრატიონი – 1606-1757)

„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“

ლეჩხუმი ცხენისწყლისა (ბერძნ. Ὑποσταμός) და რიონის (Φάσις) შუა წელზე მდებარეობს. ტრადიციულად ეს კუთხე ზემო და ქვემო ლეჩხუმად იყოფოდა. თანამედროვე დანაწილებით, მისი სოფლების უმეტესობა ცაგერის მუნიციპალიტეტში მდებარეობს, განაპირა სოფლები კი ხონის, წყალტუბოსა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებშია შესული. ისტორიულად ლეჩხუმის დასავლეთი, ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი და სამხრეთი საზღვრები ასე გადიოდა: ასხისა და უნაგირის მთები მას სამეგრელოსაგან გამოჰყოფდა, ლეჩხუმის ქედი – სვანეთისაგან, ასკისწყალი – რაჭისაგან, ხოლო იმერეთს გორდთან (ცხენისწყალზე) და

ლეხიდრის ხევთან (რიონზე) ესაზღვრებოდა. ლეჩხუმში კარგად იყო განვითარებული მიწათმოქმედება, მესაქონლეობა და მეღვინეობა. ბუნებრივი სიმდიდრეებიდან მრავლად იყო ხისა და ქვის საშენი მასალა, საჭურჭლე თიხა.

„ლეჩხუმის“ სახელს უკავშირებენ მეგრულ „ჩხუმს“ (თევზი), ასევე სვანურ ცხუმს“ (რცხილა). VI-VII საუკუნეთა ბიზანტიელი ისტორიკოსები ამ კუთხესა და მის მკვიდრთ სკვიმნია/სკვიმნებს უწოდებდნენ. ქართველი მეისტორიენი VIII საუკუნის ამბების აღწერისას ასახელებენ თაკვერს, ანუ რაჭა-ლეჩხუმის საერისთავოს. ლეჩხუმის ერთ-ერთ ადრინდელ ხსენებას ქართულ წყაროებში ვხვდებით 1503 წლით დათარიღებულ დოკუმენტში. თუ გვიანანტიკურ პერიოდში დღევანდელი ლეჩხუმი ცნობილი იყო როგორც „სკვიმნია“, VII-XIV საუკუნეებში იგი იხსენიება როგორც „თაკვერი“, ხოლო XIV საუკუნიდან აღდგა ძველი სახელის ქართული შესატყვისი „ლეჩხუმი“. წარსულში ლეჩხუმი კოლხეთის ერთ-ერთი პროვინციაა, რომელიც, ქართული წყაროების გარდა, მოხსენიებულია ბერძნულ, ბიზანტიურ და სომხურ წყაროებში (დ. ბერძენიშვილი... 1983).

„ლეჩხუმის ისტორია პალეოლით-ნეოლითით იწყება. აქ ადამიანის ცხოვრების კვალი (სოფლები: ნაკურალეში, ზუზბი, ზედა ტვიში, დღნორისა) ქვის ხანიდან ჩანს. ადგილზე მოპოვებულია და ცაგერის ისტორიულ მუზეუმში დაცულია უამრავი ქვისა და კაჟის სამეურნეო, საყოფაცხოვრებო და საბრძოლო ნივთები. ლეჩხუმის ტერიტორიაზე კარგადაა წარმოდგენილი შუა და გვიანბრინჯაოს ხანის კულტურა (ცხენოსნის ქანდაკება, თოხები, ნამგალი და სხვ.). თუ აქამდე ლეჩხუმი მხოლოდ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ბრინჯაოს ნაკეთობებითა (ბრინჯაოს განძები) და უძველეს მეტალურგიასთან დაკავშირებული სხვაარტეფაქტებით (ბრინჯაოს ზოდები, წიდები, ყალიბი) იყო ცნობილი, რომლებიც ცაგერის ისტორიულ მუზეუმშია დაცული და მათ აღმოჩენებს შემთხვევითი სახე ჰქონდა, ამიერიდან, უახლესი არქეოლოგიური დაზვერვების შედეგად მდ. ცხენისწყლის ხეობაში გამოვლინდა უძველესი ბრინჯაო-რკინის მეტალურგიის სახელოსნოების ჯგუფის ნაშთები თავისი სამთამადნო ბაზით“ (ნ. სულავა 2020).

ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში ლეჩხუმის ტერიტორიაზე მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრებას კარგად ახასიათებს ლეჩხუმის ისტორიულ ცენტრში, სოფელ ცხეთის მახლობლად (ყვავის გორა), ხვამლის მასივის სამხრეთ მდებარე ტერიტორიაზე – გონსა და მურში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა, ხვამლის ქვაბებში ნანახი მეტალურგიისათვის საჭირო ხელსაწყოები: კვერი, გრდემლი და სხვ. ხვამლის მთა უძველესი დროიდან იყო ყურადღების ცენტრში. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ბრინჯაოს ნივთებთან ერთად აქ ლითონის ზოდებიც მოიპოვება, რაც მიუთითებს სპილენძის მადნის არსებობასა და წარმოებაზე გვიან-ბრინჯაო-ადრერკინის ხანაში.

წერილობითი წყაროები არაერთ ცნობას შეიცავენ ლეჩხუმში მოსახლე უძველესი ტომების შესახებ. აქაურ სახელთა უმრავლესობა სვანური წარმოშობისაა. გვხვდება ზანური წარმომავლობის სახელებიც.

პროკოპი კესარიელის გადმოცემით, სკვიმნია და სვანია მეზობელი ტომებია, რომელთაც საკუთარი მთავრები ჰყოლიათ. იქვე ავტორი ასახელებს ლაზეთის ძლიერ ციხეს – უქიმერიონს, რომელიც, თურმე, სკვიმნია-სვანეთისაკენ მიმავალ გზას კეტავდა (18,202).

დღევანდელი ლეჩხუმის მოსახლეობა ჩამოყალიბდა სვანური, მეგრული, რაჭული და იმერული ტომების აქ საუკუნოვანი თანაცხოვრების შედეგად. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ლეონ აფხაზთა მეფის რეფორმების შედეგად, VIII საუკუნის ბოლოს, დასავლეთ საქართველოს საერისთავოთა შორის, რაჭა-ლეჩხუმი ერთიან საერისთავოდ ჩამოყალიბდა და თავკერი ჯერ რაჭის, შემდეგ ლეჩხუმის ძველი სახელწოდება იყო.

XI-XII საუკუნეთა საქართველოში ქრისტიანული განათლებისა და კულტურის ბევრი მძლავრი კერა არსებობდა. მათ შორის იყო ცაგერის საეპისკოპო კათედრალი, რომელიც ამ დროს წარმოადგენდა ლეჩხუმისა და სვანეთის სასულიერო-საეკლესიო ცენტრს. აქ მძლავრად განვითარდა ხელოვნების დარგები – მხატვრობა და ჭედურობა. ცაგერის საოქრომჭედლო სკოლა-სახელოსნოში შეიქმნა ჭედური ხელოვნების უნიკალური ნიმუშები: „ცაგერის მაცხოვარი“, „ღმრთისმშობელი ჩვილით“ და სხვ.

სიტყვა „ლეჩხუმი“ პირველად ნახსენები 1432 წლის სიგელში.

XIV საუკუნეში ლეჩხუმი იყო ტალანი (დარაჯი, მცველი) იმერეთის მეფის მეოთხე სადროშო და იგი მეფის დომენში ირიცხებოდა. ლეჩხუმი ისტორიულად იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. XVIII საუკუნის ცნობილი ქართველი ისტორიკოსის ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით, „გორდიდამ ვიდრე კავკასამდე არს ხეობა ლეჩხუმისა“.

როგორც აღვნიშნეთ, დღევანდელი ლეჩხუმის აღმნიშვნელ სახელად დამკვიდრდა თავკერი. თამარის მეფედ კურთხევას (1184) ესწრებოდა „კახაბერი, ერისთავი რაჭისა და თავუერისა“ (ლეჩხუმისა – ვ.ა.).

საქართველოს გაერთიანების, ერთიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბების ხანიდან ლეჩხუმი აქტიურად იყო ჩართული ქვეყნის კულტურული აღმავლობის საერთო პროცესში. ამის უტყუარი საბუთია აქ შემონახული ხუროთმოძღვრებისა და ქანდაკების შესანიშნავი ნიმუშები. განვითარებული ფეოდალიზმის ხანის ლეჩხუმის ისტორიული ვითარების წარმოდგენისას, მნიშვნელოვანია ამ დროის საკულტო ნაგებობები: გონის წმ. გიორგი (X ს.), ლაბეჭინის მთავარანგელოზი (XIII ს.), დერჩის ნათლისმცემელი (XIV ს.), თაბორის ეკლესია (XIII-XIV სს.).

XVII საუკუნეში, 70-იან წლებში დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა მთავარი ციხე-სიმაგრე ოსმალებმა დაიჭირეს, მურის ციხემ მტრის განდევნაში გარკვეული როლი შეასრულა. ამ დროს ქვეყანაში, და მათ შორის ლეჩხუმშიც, შინა ფეოდალური აშლილობაც დაემთხვა (დ. კოპალიანი 2015: 253).

1910 წელს ლეჩხუმში იმოგზაურა ექვთიმე თაყაიშვილმა. მას თითქმის ყველა ეკლესიაში ძველი და საინტერესო ჭედური ხატები უნახავს, რომელთა უმეტესი ნაწილი დღეისათვის დაკარგულია. მონუმენტური მხატვრობა შედარებით სრულად შემორჩა ნაკურალემისა და დერჩის ეკლესიების კედლებს. ფრესკები XVII საუკუნეშია შესრულებული. ამას გარდა, მოხატული ყოფილა გონის, ლაბეჭინის, თაბორის, ჭაშლეთის, ორბელის ციხის ეკლესიები. მაღალმხატვრობით გამოირჩევა პლასტიკის ნიმუშები – ჭაშლეთის და გონის კანკელები.

ლეჩხუმის ისტორიის შესწავლას დიდი ამაგი დასდო ივანე ჯავახიშვილის მოწაფემ, თვალსაჩინო მეცნიერმა, ეპიგრაფიკის, ისტორიული დოკუმენტების, მატერიალური კულტურის ძეგლების საუკეთესო მკვლევარმა – გიორგი ბოჭორიძემ (1884-1939). აღსანიშნავია, რომ მის მიერ 1920-30-იან წლებში აღწერილი და შესწავლილი ძეგლების მნიშვნელოვანმა ნაწილმა დღემდე ვერ მოაღწია (*ლეჩხუმი* 2019: 63).

როგორც ვარაუდობენ, ლეჩხუმის მეორე სახელწოდება – თაკვერი ხვამლის მთას უნდა უკავშირდებოდეს: „... კუერსავით მდებარისა – იხილე ესე მთა კუერი, – ანუ ციხისაგან ფრიად მაგრისა მუნვე თაკუერისა“. კვერი ასევე უკავშირდება მჭედლობასა და მეტალურგიას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლეჩხუმში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი ბრინჯაოსა და რკინის ნივთები (წიდეები, მადნის ზოდები) კოლხური კულტურის პერიოდს განეკუთვნება (ვ. ჯაში 2019: 20-25; ი. ბაძელაძე 2019).

ხვამლის მთასთან მრავალი ლეგენდაა დაკავშირებული. მას არაერთი ლექსიც მიეძღვნა:

„ხვამლის მთაზე გადაშლილო თეთრო ნისლო აფრიანო,
შენი თეთრი ბაირადი სანამ უნდა აფრილო“.
(ლადო ასათიანი)

გალაკტიონი:

„ვდგევარ ხვამლის კლდეზე, მაღალ კლდეზე, რომლის
სისწორეზე შორი ვარსკვლავია ხომლის.
ვდგევარ ხვამლის კლდეზე, ხელში ვიღებ ფეშხუმს,
აქ – იმერეთს ვხედავ, იქით – რაჭა-ლეჩხუმს.
ჩვენს სიმდიდრეს მტერმა რომ ხელი არ ახლოს –
ვდგევარ ხვამლის კლდეზე განძსადების ახლოს.
ოცნებაო ყრმობის, როგორც ხედავ, ესე,
ვისიც გული კლდეა – ვდგევარ ხომლის კლდეზე“.

ხვამლის (ხომლის) შესახებ ვახუშტი წერს: „ხომლის კლდე ფრიად მაღალი, მოიგო ამან სახელი ესე სიმაღლით, ხომლის ვარსკვლავის სწორებით. ამ კლდეში არის ქვაბი გამოკვეთილი, მტერთაგან შეუვალი, მეფეთა საგანძურთ სადები; ოდეს ქვეყანას გაუჭირდეს, ხომლის მთამ გადაარჩინოს“. „ხომლი“ სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ განმარტებულია როგორც „მრავალვარსკვლავი, მრავალი ვარსკვლავთა“. „მრავალვარსკვლავი“ ჰესიოდეს „თეოგონიის“ სქოლიოებშიც გვხვდება, სადაც გადმოცემულია ფრიქსესა და ჰელეს და ნეფელეს მიერ ოქროს საწმისიანი ვერძის და კოლხეთის ამბები. „ხომლი თავად თანავარსკვლავედია. მის ძირში კი ვერძისთავას მღვიმეა. ძნელი წარმოსადგენია, ეს უბრალო დამთხვევა ყოფილიყო“ (პ. ჯაში 2019). საყურადღებოა, რომ ჟიულ-ვერნი 1883 წელს დაწერილ ნაწარმოებში („შეუპოვარი კერაბანი“) ხომლს მოიხსენიებს პრომეთეს მიჯაჭვის ადგილად. ანტიკური ტრადიცია ახსენებს ზოგადად კავკასიის მთებს. წლების მანძილზე ხვამლის შესწავლა არაერთი მეცნიერის (ე. თაყაიშვილი, გ. ბოჭორიძე, ა. ჯაფარიძე, გ. ლომთათიძე, გ. ჩიტაია, ლ. სახაროვა და სხვ.) სახელს უკავშირდება. 1990-იან წლებში ხომლის შესწავლა გააგრძელა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ექსპედიციამ, გურამ გაბიძაშვილის ხელმძღვანელობით. ექსპედიციამ (ი. ბანძელაძე, დ. გოგუაძე, დ. სულხანიშვილი, პ. ჯაში და სხვ.) დაიწყო ხომლის, როგორც ფენომენის, და არა როგორც ოდენ განმსაღების შესწავლა.

დღემდე ჩატარებული კვლევის, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიღებული დასკვნების გათვალისწინებით, ხვამლის სიღრმისეული, კომპლექსური შესწავლა, იმედია, ნათელს მოჰფენს ამ მეტად მნიშვნელოვან პრობლემას, რომელიც უკავშირდება ანტიკური წერილობითი წყაროების არაერთ გადმოცემას.

III. St. Maximus the Confessor

წმიდა მაქსიმე აღმსარებელს, რომლის მრავალმხრივი საღვთისმეტყველო შემოქმედება, ჭეშმარიტი სარწმუნოებისათვის თავდადებული მოღვაწეობა ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა, დღესაც არაერთი გამოკვლევა ეძღვნება. საგულისხმოა, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ცაგერისა და ლენტეხის მთავარეპისკოპოსის – მეუფე სტეფანესა და ფრანგი ფილოსოფოსისა და ღვთისმეტყველის ჟან-კლოდ ლარშეს თანადგომით, გაიმართა წმინდანისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციები, რომლებშიც მონაწილეობდნენ ღვთისმეტყველები, პატროლოგები, ეკლესიის ისტორიკოსები, ფილოლოგები, არქეოლოგები, ანთროპოლოგები, რომლებიც იკვლევენ მაქსიმე აღმსარებლის შემოქმედებას.

ჯერ კიდევ კორნელი კეკელიძემ 1912 წელს გამოსცა ნაშრომი „ქართული წყაროების ცნობები ღირსი მაქსიმე აღმსარებლის შესახებ“. მანვე, 1918 წელს XI საუკუნის ქართული ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა „ცხოვრება და მოქალაქობა აღმსარებლისა მამისა ჩუენისა მაქსიმესი“, ხოლო 1955 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „თეოდოსი განგრელის „მოსახსენებლის“ ქართული ვერსია და მისი მეცნიერული მნიშვნელობა“. XX საუკუნის დასაწყისში, ამ საკითხების მეცნიერული შესწავლის მიზნით, 1914 წლის 20 მარტის განკარგულებით, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმ. სინოდმა მიმართა მეცნიერებათა აკადემიას, რათა ჩატარებულიყო დაზვერვითი ხასიათის არქეოლოგიური გათხრები ცაგერის მახლობლად, მურის ციხესთან მდებარე წმ. მაქსიმე აღმსარებლის სახელობის მონასტერში. ადგილი შეირჩა ლეჩხუმში არსებული ოდინდელი გადმოცემების საფუძველზე. 1914 წლის 28 ივნისს მურის ციხესთან არქეოლოგიური გათხრები დაიწყო ნიკო მარის მიერ მივლინებულმა მისმა მოწაფეებმა – დავით ყიფშიძემ, დიმიტრი მიქელაძემ და სხვ. ჩატარებული სამუშაოები ნიკო მარმა 1914 წლის 14-15 ივლისს დაათვალიერა. ექსპედიციის მოკლე ანგარიში 1915 წლის 11 თებერვალს წარედგინა აკადემიას. სამწუხაროდ, საბოლოო ანგარიში არ იყო წარდგენილი.

არქეოლოგიურ გათხრებს წმ. მაქსიმეს საფლავის ზუსტი ადგილმდებარეობის შესახებ პირდაპირი პასუხი არ გაუცია. ნიკო მარის აზრით, მოპოვებული მასალის დამუშავების შედეგები დამატებით კვლევას მოითხოვდა.

1917 წელს კიევში დაიბეჭდა ს. ეპიფანოვიჩის ნაშრომი „მასალები ღირსი მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრებისა და შრომების შესწავლისათვის“. 1918 წელს პეტროგრადში გამოიცა ა. ბრილიანტოვის ნარკვევი „წმ. მაქსიმე აღმსარებლის გარდაცვალების და დაკრძალვის ადგილის შესახებ“. წმ. მაქსიმეს გადასახლების, გარდაცვალებისა და დაკრძალვის ადგილმდებარეობის შესახებ საუბარია ქართველ მეცნიერთა – ს. ყაუხჩიშვილის, მ. ჩიქოვანის, დ. ლეთოდინისა და სხვათა გამოკვლევებში.

უცხოელ მკვლევართაგან პუბლიკაციები ეკუთვნით რ. დევრესს, ჟ-მ. გარიტს, ჯ. ბერთოლს, ვასილიოსს, პ. ალენს, ბ. ნეილსს, ჟ-კ. ლარშეს, გ. ბენევიჩს, დ. ბირიუკოვს, ა. შუფრინს. რა ცნობებს გვაწვდიან ბერძნული წყაროები წმიდა მაქსიმეს გადასახლებისა და დაკრძალვის ადგილის შესახებ?

ამ თვალსაზრისით, სანდოობით გამოირჩევა წმ. ანასტასი აპოკრისიარის წერილი თეოდოსი ღანგრელისადმი, რომელიც მან სულ მალე დაწერა მას შემდეგ, რაც აღესრულა წმ. მაქსიმე, მოსახსენებელი HYPOMNOSTICON-ი, რომლის ავტორის ვინაობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა (თეოდორე სპუდეოსსაც მიაწერენ მას). ხსენებული წყაროების მიხედვით, ჭეშმარიტი სარწმუნოების დაცვისათვის კონს-

ტანტინეპოლში გასამართლებისა და წამების შემდეგ წმ. მაქსიმე 662 წელს ლაზიკაში გადმოსახლეს წმ. ანასტასი აპოკრისიართან და სხვა ანასტასისთან ერთად, რომელსაც წმ. ანასტასი ბერს უწოდებენ. სამივე ერთად ჩავიდნენ ლაზიკაში 662 წლის 8 ივნისს.

წმ. ანასტასი ბერი გარდაიცვალა იმავე წლის 22 ივლისს. წმ. მაქსიმე იმავე წლის 13 აგვისტოს, შაბათს. წმ. ანასტასი აპოკრისიარი აღესრულა 666 წლის 11 ოქტომბერს, კვირას, საღმრთო ლიტურგიის აღსრულების დროს.

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, 665 წლის სექტემბერში წმ. ანასტასი აპოკრისიარმა ხუცეს თეოდოსის იერუსალიმში მისწერა წერილი, რომელშიც მან აღწერა თავისი და მისი თანამოღვაწეების თავგადასავალი ლაზიკაში ჩასვლის შემდეგ. ის გამოთქვამდა სურვილს, რომ ვინმე ჩასულიყო მასთან მართლმადიდებლობის ჭეშმარიტების დასამოწმებლად გადასახლების ადგილას.

ლაზიკაში მძებმა თეოდოსი ღანღრელმა და თეოდორე სპუდეოსმა უკვე წმიდა ანასტასი აპოკრისიარის გარდაცვალების შემდეგ ჩააღწიეს, მოინახულეს ადგილი, სადაც გარდაიცვალა ანასტასი და როდესაც უკან ბრუნდებოდნენ 668 წლის 20 აგვისტოს, მათ წამოეწია ალანიაში მდებარე წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარი გრიგოლი, რომელმაც გადასცა ანასტასის წერილი, ლიტერატურული მემკვიდრეობა და სხვადასხვა სიწმინდე.

ანასტასი მოგვითხრობს, რომ როცა მიაღწიეს „ქრისტესმოყვარე ლაზების ქვეყანას, იქ ისინი განაცალკევეს. წმ. მაქსიმეს აღარ შეეძლო გადაადგილება არც ცხენით და არც ურმით, ამიტომ წნელებისაგან დაწული ლასტით წაიყვანეს ციხე-სიმაგრე სხიმარში (ექვთიმესთან და გიორგისთან – „ჰიმარი“), რომელიც ალანთა ქვეყნის მახლობლად მდებარეობდა. („εἰ κάστρον λεγόμενον Σχιμαρίν, πλησίον διακείμενον τοῦς ἔθινον ψαῶς λεγόμενον Ἀλανῶν“), „in castro Schemari vocatio juxta gentem eorum qui dicuntur Alani“).

ასე რომ, ანასტასი აპოკრისიარისა და თეოდორე სპუდეოსის მონაცემებით, წმ. მაქსიმე აღმსარებლის გადმოსახლებისა და ტყვეობის ადგილი იყო ლაზიკაში მდებარე ბიზანტიური ციხე-სიმაგრე – სხიმარი (Σχιμαρί, Σχιμαρί, Σχιμαρίον, Σχιμαρίς).

ა. ბრილიანტოვის აზრით, ამით მიერ მოწოდებული ეს ცნობა ეჭვს არ იწვევს. საუბარი შეიძლება მხოლოდ იმაზე იყოს, თუ კონკრეტულად რა ადგილას მდებარეობდა ეს ციხე-სიმაგრე და როგორი იყო მისი სახელწოდების სწორი ფორმა.

ამგვარად, ჩვენ ვემხრობით იმ აზრს, რომ სკიმერი არის წმ. მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრებებში მოხსენიებული ბიზანტიური ციხე-სიმაგრე სხიმარი. როგორც ჩანს, წმ. მაქსიმე იქ გადმოსახლეს, იქვე გარდაიცვალა და დაიკრძალა. ხოლო შემდეგ, მისი ნაწილები აღმოიყვანეს და ცაგერთან ახლოს მურის ციხის ძირში მდებარე წმ. არსენის მონასტერში

გადაასვენეს, რომელსაც შემდგომ წმიდა მაქსიმე აღმსარებლის სახელი ეწოდა მისი წმიდა ნეშტის იქ დასვენების გამო. უნდა აღინიშნოს, რომ 1914 წლის არქეოლოგიური გათხრები ეკლესიის გარეთ მოხდა, ამდენად თანამედროვე არქეოლოგიური კვლევა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. წმინდანის საფლავი მურის ციხესთან წმ. მაქსიმე აღმსარებლის სახელობის მონასტერშია.

2003 წლის 21 ოქტომბერს ლენტეხის რაიონში (ქვემო სვანეთი) აღმოჩნდა ადგილი, სახელწოდებით „სკიმერი“, რომელიც ჟღერადობით, პრაქტიკულად, „სხიმარის“ („სკ[ხ]იმე[ა]რი“) იდენტურია. ეს მოსაზრება არაერთი ქართველი მეცნიერის შრომაშია განხილული.

„იმ ადგილას ნანგრევებით დაფარული საკმაოდ ვრცელი ტერიტორიაა. ვფიქრობთ, ეს უნდა იყოს წმ. მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრებაში მოხსენიებული ბიზანტიური ციხე-სიმაგრეს ხიმარი“ (მთავარეპისკოპოსი სტეფანე 2015: 182-243).

VII ს-ის ბერძნულ პირველწყაროებში, რომლებიც მოგვითხრობენ წმ. მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების ბოლო პერიოდზე (ანასტასი აპოკრისიარის წერილი თეოდოსი ღანგრელისადმი და თეოდორე სპუდეოსის „ჰიპომნესტიკონი“ – „მოსახსენებელი“), პირდაპირ ნათქვამია მისი გადასახლების შესახებ ლაზიკაში (დასავლეთ საქართველო) – ციხესიმაგრე სხიმარისში, სადაც იგი აღესრულა. მრავალი საუკუნის მანძილზე საქართველოში არსებობს ადგილობრივი გადმოცემა წმ. მაქსიმე აღმსარებლის საფლავის არსებობის შესახებ ცაგერის მახლობლად, მურის ციხის ძირში მდებარე მისი სახელობის მონასტერში. ეს სახალხო გარდამოცემა უცვლელად შემონახულია ადგილობრივ მოსახლეობაში დღემდე. ის წერილობით დასტურდება XII ს-ის ქართული დოკუმენტით, რომელიც აღმოაჩინა აკადემიკოსმა კორნელი კეკელიძემ, აგრეთვე, ფოლკლორული მასალით. როგორც ითქვა, 1914 წელს მთელი რიგი გამოჩენილი მეცნიერების მიერ წარმოებული მოსამზადებელი კვლევის შემდეგ წმ. მაქსიმე აღმსარებლის მონასტერში ჩატარდა არქეოლოგიური კვლევა, რომლის შედეგადაც შეისწავლეს ეკლესიის ირგვლივ მდებარე ტერიტორია. წმ. მაქსიმე აღმსარებლის წმიდა ნაწილების აღმოჩენა მაშინ არ მოხდა, თუმცა ექსპედიციის მონაწილეებმა საჭიროდ მიიჩნიეს გათხრების გაგრძელება.

2010-2011 წლებში წმ. მაქსიმეს მონასტერში მოეწყო სამეცნიერო ექსპედიცია. იმ ადგილას, რომელზედაც მიუთითებდა მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია, ეკლესიის წმიდა ტრაპეზის ქვემოთ, აღმოჩნდა ადამიანის ნეშტები. თანამედროვე სამეცნიერო კვლევებმა (არქეოლოგი რევაზ ხვისტაძანი და ანთროპოლოგ-პალეოპათოლოგი ვლადიმერ ასლანიშვილი), რომლებიც ჩატარდა არქეოლოგიური გათხრების შედეგად, დაადასტურეს ზემოთხსენებული საეკლესიო და ხალხური გარდამოცემა: მეცნიერთა დასკვნის თანახმად, აღმოჩენილი წმიდა ნაწილები ნამდვილად ეკუთვნის წმ. მაქსიმე აღმსარებელს. უნდა აღინიშნოს, რომ

არც ამ გარდამოცემისა და არც ზემოხსენებული მეცნიერული კვლევების შედეგების უარყოფელი სერიოზული არგუმენტები არ არსებობს. აღმოჩენის მნიშვნელობას მეტად თვალსაჩინოდ ხდის ისიც, რომ დღემდე არ არის ცნობილი წმ. მაქსიმეს არავითარი სხვა წმიდა ნაწილი, გარდა მისი მარჯვენა ხელის ნაწილისა, რომელიც ინახება წმ. პავლეს მონასტერში ათონის მთაზე. რამდენადაც შესაძლებელი იყო, დადგინდა, რომ წმ. მაქსიმე აღმსარებლის სახელობის ერთადერთი ძველი ტაძარი მსოფლიოში არის ცაგერთან მდებარე მონასტერში არსებული ტაძარი. მისი არსებობა ქართულ წყაროში, როგორც მინიმუმ, XII საუკუნიდან ფიქსირდება. დიდა ალბათობაც, რომ წმ. მაქსიმეს წმიდა ნაწილებთან აღმოჩენილი ორი სხვა პირის ნეშტები, შესაძლოა ეკუთვნოდეს მის ორ თანამოღვაწეს წმ. ანასტასი აპოკრისიარს და მის მოწაფეს – წმ. ანასტასი ბერს. ეს საკითხი შემდგომ კვლევას მოითხოვს.

არსებობს სრული საფუძველი იმისა, რომ მომავალში ლეჩხუმი, სადაც წმ. მაქსიმე აღმსარებელმა ცხოვრების უკანასკნელი წლები გაატარა, მეტად მოექცევა პილიგრიმთა ინტერესთა სფეროში.

ლიტერატურა:

1. ასათიანი ვ., ანტიკური კულტურა, ბიზანტია და საქართველო, თბილისი, 2021.
2. ბანძელაძე ი., *ხვამლო*, ხომლი – მრავალვარსკვლავი, რედ. პაატა ჯაში, თბილისი, 2019.
3. გამყრელიძე თ., რჩეული წერილები და გამოსვლები, თბილისი, 2014.
4. გეორგიკა, II, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1934.
5. გორდეზიანი რ., ბერძნული ცივილიზაცია, I, თბილისი, 2019.
6. კოპალიანი დ., ნარკვევები ლეჩხუმის წარსულიდან, III, ცაგერი, 2015.
7. *ლეჩხუმი*, რედაქტორ-შემდგენელი ვალერი ასათიანი, თბილისი, 2019.
8. ბერძენიშვილი დ., ბანძელაძე ი., სურამელაშვილი მ., ჭურღულია ლ., ლეჩხუმი, თბილისი, 1983.
9. ლორთქიფანიძე ოთ., ანტიკური სამყარო და კოლხეთი, თბილისი, 1966.
10. მთავარეპისკოპოსი სტეფანე, *წმინდა მაქსიმე აღმსარებელი საქართველოში*, ღმერთო, შეწევნას ჩემსა მოხედენ... თბილისი, 2015.
11. Procopii Caesariensis Opera omnia, I-II, ed. by Jakob Haury, Lipsiae, 1905-1913.
12. როდოსელი აპ., არგონავტიკა, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი, კომენტარები და საძიებელი დაურთო აკაკი ურუშაძემ, თბილისი, 1970.
13. სანიკიძე ლ., ქუთაისი და წლები, თბილისი, 1960.
14. სულავან., გილმორი ბ., რეზესიძენ., ჩაგელიშვილი რ., ბერიძეთ., მეტალურგიის წარმოშობა და განვითარება მთიან კოლხეთში, ლეჩხუმი, თბილისი, 2020.
15. ურუშაძე აკ., ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბილისი, 1964, 2018.
16. ჯაში პ., *შესავალი*, ხომლი – მრავალვარსკვლავი, თბილისი, 2019.

ARTICLES ON HISTORY OF GEORGIAN-GREEK RELATION

Summary

Numerous researches of Georgian and foreign scientists were dedicated to the campaign of Argonauts and to the information of Greek writers about Aya-Colkhети (Colchis). The relations between the antique world and the people of Ancient Georgia are of long standing; they can be traced as far back as the latter half of the second millennium B.C. A lively intercourse was kept up during the entire period of development of antique society. Trade and cultural relations from the second centuries B.C. dealt with in this volume are, in fact, only a small part of the multifarious and long-lasting intercourse between the antique world and ancient Georgia.

A study of these ties between the antique world and Colchis are of interest not only as regards the history of Georgia, but also as regards the antique world and its relations with the Euxine seaboard. It should be noted that whereas the ties between the antique world and a number of regions of the Euxine littoral have been comparatively well investigated, little is known of relations with the East-Euxine seaboard (with Colchis in general. Proceeding from these materials, the author has attempted to trace the commercial, economic and cultural relations between the Greek world and Colchis in the mycaenean, archaic, classic and Hellenistic epochs. In the latter half of the second millennium B.C., a highly developed bronze culture, "Colchian Culture", as it is termed in special literature, flourished on the south-eastern and eastern coast of the Pontus Euxine (in fact, on the entire territory of Western Georgia, the historical Colchis). A rapid progress of productive forces and of the main branches of economy-agriculture and manufacture, especially copper and bronze metallurgy can be observed over the whole territory covered by Colchian culture; indeed, objects of metal produced in Colchis were exported to neighbouring countries (Eastern Georgia, Eastern Transcaucasia, the North Caucasus, the northern littoral of the Pontus Euxine). The Euxine, that found reflection in ancient Greek myths (the myth of the Argonauts), took place when the Colchian Bronze culture was at the peak of its florescence. Intercourse of the time is illustrated by archaeological finds, scanty as they are (the wide use of "submycaenean" fibulae dating back to the twelfth and eleventh centuries B.C. all over the territory of Georgia is of particular interest). The disintegration of the Achaean state marks the close of the first, the so called Achaean period in the intercourse between the Greek world and the East-Euxine seaboard, an intercourse which was, however, neither regular nor intense. It meant, actually, no more than the first voyages of Greeks across the Pontus Euxine to

its distant shores; nevertheless, the first steps were made towards establishing communication across the Euxine, and the Greeks obtained some information and formed an idea, though a somewhat obscure one, concerning those distant lands and the tribes inhabiting the shores of the Euxine (O, Lordkipanidze).

Ancient Greek culture and literary heritage has got centuries-old traditions in old Georgia. Two factors can easily serve to explain the emergence of these traditions; one is the general, global significance of the Greek culture, and the other – close Greco-Georgian contacts, particularly the relations between the Greek and Georgian populace, that was reflected in the mythology, literature and numerous historical monuments.

After Christianity became the established religion in old Georgia, most favourable conditions were created to better relations with Byzantine – that of the closest inheritor of the Greek culture. Those ages witnessed intensive translations of hagiographical pieces and theological treatises from Greek into Georgian. Prolific creative work was being conducted in many of the educational centres. There came to the fore Ekvtime, Ioane, Giorgi Mtatsmindelis, Ioane Petritsi. Their contribution into the Byzantine culture is of special mention. History of Lechkhumi starts from late Paleolithic-early Neolithic ages. Here the traces of human being's living are seen from the Stone Age. Numerous farming, household tools and weapons made of stone were produced locally. They are preserved in the Tsageri Museum of History.... In formerly Lechkhumi was famous only for the bronze items (bronze treasures) and other artefacts connected with metallurgy (bronze bars, slags, molds) of the late Bronze-Early Iron Age, which are preserved in the Tzageri Museum of History and discovery of which was of casual character, from now, after archeological observations in the valley of river Tskhenistskali (Hipopotamos) were found the remnants of a group of the oldest bronze-iron metallurgic workshops with their mining base (N. Sulava).

In 8th-7th centuries BC daily life of the inhabitants of Lechkhumi territory is well characterized by the tools found in the Khvamli caves. These archaeological materials were obtained in the Lechkhumi historical centre, near the village Tskheta on the territory located southwards of Khvamli massif - Gori and Muri. Mountain Khvamli attracted attention from the ancient times. Byzantine historian Procopius of Caesarea (5th-6th centuries), whose work "Polemics" is the best source for the history of Byzantium and Georgia, more than once mentions about Caucasus, Khvamli and Skvimnia. The book "De bello gothico" involves evidences not only about the war with Goths, but also geographic and ethnographic descriptions of Lazeti, the one of political units on the territory of ancient Georgia. Rather significant is also the narration of Procopius of Caesarea concerning Colchis and the Golden Fleece: "Some – where in this part of Lazika, as the local inhabitants say, was preserved that fleece for which, according to the poets, "Argo" was built (8, 2): the river Rioni passes

here, at the bank of which Colkhians built a fortress in old times... In that period it was called Kotiaion in the Hellenic language, now called Kutaisi by Lazs (... nu'n mevntoi Koutatou'sin aujto; kalou'si Lazoi;...); this is how Arrian of Nicomedia tells about this. Others say that in ancient times there was a city there named as Koitaion. Ayet (the son of Helios, legendary King of Colchis –V.A.) was from there, due to which was called by the poets Koitaion, and the country of Colchis- Koitatis” (8, 14).

Within the years a lot of scientists tried to study Khvamli. Since 1990 these studies led by Mr. Guram Gabidzashvili have been continued. they are still underway. In formerly the wide range archaeological excavations never took place in Kutaisi, recently, in 2016- 2021 the city played host to joint Georgian-Polish archaeological expedition. The artefacts of 14 th century B.C. were excavated. Hopes are expressed, that future archaeological studies will prove even more the information of ancient Greek narrative sources about the capital Aya.

In Greek primary sources of the 7 th century where the last days of the life of St Maximus are described Lazica (Western Georgia) is mentioned as the place of his exile in the fortress Schemaris, where he died. For many centuries a local tradition has been in Georgia about the burial of St Maximus the Confessor near Tsageri, connected with the fortress Muri in the monastery dedicated to him. This national tradition is still among the local population.

In 2010-2011 ascholarly expedition was held in the monastery of St Maximus the Confessor. The remains of human bodies were found in the place indicated by a long tradition, under the sanctuary of the holy church.

Contemporary studies (by the archaeologist Revaz Khvistani and anthropologist-palaeologist Vladimer Aslanishvili), based on the results of the excavations confirmed this national tradition mentioned earlier; discovered remains (holy relics) genuinely belong to St Maximus the confessor. The significance of the discovery is especially enormous, giving information that up to the present time there has been no trace of any relics of St. Maximus the Confessor anywhere else except the part of his right hand preserved on Mount Athos. As far as we assume, there does not exist any other church of the monastery in Tsageri, Georgia. Its existence is recorded in a Georgian source of the 12 th century. It is very likely that the other two relics found together with the remains of St Maximus the Confessor belong to his companions, St Anastasius the Apocrisiarus and his disciple Anastasius the monk.

Christianity spread in Lechkhumi in the 7 th century. In 11 th- 12 th centuries there were a lot of significant centres of Christian education and culture in Georgia. Among them was Cathedral of Tsageri, which by that time was theological and ecclesiastic centre of Lechkhumi and Svaneti. Such fields of art as painting and stamping developed there. Unique samples of stamping were

produced in Tsageri goldsmith school-workshop; “The Tsageri Savior”, “The Virgin with Child”, etc.

In 1570-s almost all main fortresses West Georgia were occupied by the Ottomans. In the first half of 18-th century, famous Georgian historian and geographer Vakhushti Bagrationi (Prince Vakhushti) traveled to Lechkhumi and left a short description of this travel.

Against the background of modern studies the article sheds lustre on such topics as:

Ancient Cochis; Lechkhumi-Skuimnia, as Greeks called it; Maximus the Confessor and Georgia.

წომადი ბართაია

ქართული საერო მწერლობა აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე

ქართული ლიტერატურა, რომელიც V საუკუნიდან იღებს სათავეს, XII საუკუნემდე იყო მხოლოდ ჰაგიოგრაფიული. XII საუკუნიდან კი, დიდი ჰაგიოგრაფიული მწერლობის გვერდით, აღმოცენდა და განვითარდა ასევე დიდი საერო მწერლობა, რაშიც, ჩვენი აზრით, დიდი წვლილი მიუძღვის სპარსულ მწერლობასთან მის კავშირს.

ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, მოყოლებული XII საუკუნიდან დღემდე, გარკვეული წყვეტილობით მოდის.

ამ გზის ძირითადი მონაკვეთებია: XII, XVI-XIX საუკუნეები და დრო XX საუკუნის 20-იანი წლებიდან დღემდე.

ვერაფერს ვიტყვით XIII-XIV საუკუნეებზე, რადგან ამ ხანის მხატვრული ლიტერატურა თითქმის არ მოგვეპოვება. თუმცა, წარმოუდგენელია, დროის ეს მონაკვეთი ისე ამოვარდნილიყო ქართული მწერლობის ისტორიიდან, რომ არაფერი შექმნილიყო მნიშვნელოვანი მწერლობაში და ასევე არაფერი გადმოსულიყო სპარსული ლიტერატურიდან ჩვენში.

XII საუკუნის მახლობელ აღმოსავლეთში არაბებს პოლიტიკურად ჩაენაცვლნენ თურქ-სელჩუკები, ხოლო არაბულ ენას – სპარსული, რომელიც გახდა სალიტერატურო ენა ახალ იმპერიაში და რომელზედაც შეიქმნა დიდი ლიტერატურა.

მეფე დავით IV აღმაშენებლის წყალობით (1089-1125 წწ.) შექმნილი ერთიანი ძლიერი დამოუკიდებელი სახელმწიფო, არ შედიოდა თურქ-სელჩუკთა იმპერიის შემადგენლობაში, რამაც პოლიტიკურად გადაუკეტა გზა სპარსულ ენას საქართველოში, სამაგიეროდ, კულტურულად გაუხსნა მას კარები პოლიტიკურად მოკავშირე შირვანის გზით ქართულ ლიტერატურაში, რამაც დიდად შეუწყო ხელი ქართული საერო მწერლობის აღმოცენება-განვითარებას.

აღსანიშნავია, რომ XII საუკუნეში საქართველოსა და ირანს შორის არ არსებობდა პოლიტიკური კავშირი, რადგან საქართველო თუ იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო, ირანი იყო თურქ-სელჩუკთა იმპერიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი და მას არ შეეძლო სხვა სახელმწიფოსთან უშუალო პოლიტიკური კავშირის დამყარება.

თურქ-სელჩუკთა ხანაში სპარსულმა ლიტერატურულმა ცენტრმა

აღმოსავლეთიდან – ბუხარა და ღაზნადან ჩრდილოეთში, კერძოდ, საქართველოს მეზობელ შირვანში გადაინაცვლა.

საქართველოშიც ამ დროს, ანალოგიურად, ლიტერატურული ცენტრი დასავლეთიდან – ქუთაისიდან, აღმოსავლეთში – თბილისში გადაადგილდა და ასე აღმოჩნდა ერთმანეთის გვერდით ორი ლიტერატურა ქართულ-ქრისტიანული და სპარსულ-მუსლიმური, რასაც, პოლიტიკურთან ერთად, საქართველო-შირვანს შორის არსებული მჭიდრო კულტურული ურთიერთობების გამო, მოჰყვა, თარგმანის, მიბაძვა-გადაკეთებისა და ვერსიების გზით, სპარსული მწერლობის დიდი რაოდენობით შემოდინება ქართულ ლიტერატურაში.

ამ დროიდან, სამწუხაროდ, მხოლოდ სამმა ლიტერატურულმა ძეგლმა მოაღწია ჩვენამდე, ესენია: შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“, ფაზრ ედ-დინ გორგანელის „ვის ო რამინის“ ქართული თარგმანი და ანონიმი ავტორის თუ მთარგმნელის „ამირანდარეჯანიანი“.

XVI-XVIII საუკუნეები ირანში არის სეფიანთა ხანა (1501-1722 წწ.). სწორედ მაშინ მოიპოვეს ირანელებმა VII საუკუნიდან არაბების, თურქების, მონღოლებისა და თემურელების გამო, ცხრა საუკუნე დაკარგული სახელმწიფოებრიობა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში სამანიდების (X ს.) მიერ ირანის ტერიტორიის გარკვეულ მონაკვეთზე მოპოვებულ დამოუკიდებლობის არსებობას.

სეფიანები, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, შეუდგნენ ქვეყნის საზღვრების განმტკიცებასა და სამეზობლო პოლიტიკის მოგვარებას, რასაც მოჰყვა აღმოსავლეთ საქართველოს მისი პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოქცევა.

ანუ, განსხვავებით ქართულ-სპარსული ლიტერატურულ ურთიერთობათა პირველი პერიოდისგან (XII ს.), როცა საქართველო იყო ერთიანი, დამოუკიდებელი სახელმწიფო, მეორეში (XVI-XVIII სს.) იგი, როგორც დაქუცმაცებული ქვეყანა, მოქცეული იყო ირანის პოლიტიკური გავლენის ქვეშ.

თუ სეფიანებამდე, სპარსულიდან თარგმანის სახით, მხოლოდ ფაზრ ედ-დინ გორგანელის „ვისრამიანია“ შემორჩენილი, სეფიანთა ხანიდან სულ სხვა ვითარებაა. ამ დროიდან სპარსული ლიტერატურის თითქმის ყველა ჟანრის უამრავი ნაწარმოებია მოღწეული დღემდე თარგმანის, მიბაძვა-გადაკეთებისა და ვერსიების სახით, ეს იქნება საგმირო („შაჰ-ნამე“), „შაჰ-ნამეს“ მიბაძვანი („ზააქიანი“, „ბარზუნამე“, „ყარამანიანი“...), რომანტიკული („იოსებზილიხანიანი“, „ლეილმაჯნუნიანი“, „ხოსროვ-შირინიანი“...), საზღაპრო („ჩარდავიშიანი“...), დიდაქტიკური („ქილილა და დამანა“, „ბახთიარ-ნამე“...) თუ სხვა.

ამ დროს იმდენად დიდია გავლენა სპარსული მწერლობისა ქართულზე, რომ მას სპარსული მწერლობის ქართული ვარიანტიც კი შეიძლება ვუწოდოთ. ამ ეპოქის ქართველი პოეტებიც ისევე ამუშავებდნენ სპარსულ ლიტერატურაში მიღებულ თემებს, როგორც მახლობელი

ადმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყნების ხალხთა მხატვრული სიტყვის ოსტატები, ოღონდ, განსხვავებით მათგან, არა ს პ ა რ ს უ ლ, არამედ ქ ა რ თ უ ლ ენაზე. ამის ბრწყინვალე ნიმუშია თეიმურაზ პირველის „ლეილმაჯნუნიანი“ და „იოსებზილიხანიანი“, ასევე ანონიმი ავტორის მიერ დამუშავებული „ხოსროვშირინიანი“ და სხვა.

1783 წელს გეორგიევსკში დაიდო ტრაქტატი, რომლის მიხედვით ქართლ-კახეთის სამეფო გამოეყო ირანს და შევიდა მეფის რუსეთის შემადგენლობაში.

მაგრამ ქვეყნებს შორის პოლიტიკური კავშირის გაწყვეტა არ ნიშნავს ამავედროულად ხალხთა შორის კულტურული კავშირების უცებ გაქრობას და სპარსული პოეზიის ჰანგების ხმა, დაღმავალი დინებით, თითქმის XIX საუკუნის ბოლომდე გაჰყვა ქართულ მწერლობას.

სეფიანების დროს ახალი სახით ვითარდება სპარსული მწერლობა. პირველი მისი თვისება არისტოკრატიზმისგან დაცლაა. მწერლობაში თითქმის ერთბაშად შემოდის მთელი ჯგუფი სიტყვის ოსტატებისა, ხალხის ფართო ფენებიდან, ძირითადად, ხელოსანთა წრიდან. უბრალო ხალხური მეტყველებისა და ქუჩური ტერმინოლოგიის შემოჭრამ კი შეცვალა ერაყული მაღალფარდოვანი სტილისადმი დამოკიდებულება.

გარდა ამისა, სეფიანთა კარზე ძალიან დაკნინდა სახოტბო პოეზია. შაჰ-აბას პირველი მოუწოდებდა პოეტებს, რომ ხოტბა შეესხათ არა მბრძანებლებისადმი, არამედ შიიტი წმინდანებისა თუ რელიგიური პირებისათვის, რამაც აიძულა მეხოტბენი გადასულიყვნენ ინდოეთის კარზე და ეწერათ ნაწარმოებები ინდური მაღალფარდოვანი და რთული პოეტური სახეებით გადატვირთული სტილით.

აი, სწორედ სეფიანთა ხანის ისფაჰანური ნაკადის ლიტერატურა გადმოვიდა ქართულ პოეზიაში და არა – ინდური სტილით შექმნილი ნაწარმოებები.

სეფიანთა ხანის პოეზიის, განსაკუთრებით ლირიკის, პირველ გამოცხილს ჩვენ ნათლად ვხედავთ მეფე თეიმურაზ პირველის (1589-1663 წწ.) შემოქმედებაში. აი, რა ზუსტად ახასიათებს ალექსანდრე ბარამიძე თეიმურაზის ლირიკას:

„დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ თეიმურაზის სატრფიალო ლექსები ყოველთვის მაინც ავტორის უშუალო გრძნობით განწყობილებებს არ გამოხატავს. პოეტის სამიჯნურო თავდავიწყება კონკრეტულ სატრფიალო საგანს არ გამოუწვევია, იგი არ ყოფილა შთაგონებული და გატაცებული რეალური სატრფოს რეალური სიყვარულით. თეიმურაზი უმღერის უსაგნო, განყენებულ, მოჩვენებითს სატრფიალო გრძნობას. გამახელელებელი კვკლუცი ქალის სახე, რომელიც პოეტს დაუხატავს, გამონაგონი პოეტური ფიქციაა. თეიმურაზი თავის გამონაგონ სატრფოს ამკობს კანონზომიერი პოეტური სამკაულებით. ამიტომ თეიმურაზის სატრფიალო პათეტიკა რამდენადმე ხელოვნურია, მშრალი, რიტორიკული“ (ბარამიძე 1966: 320).

დიახ, კარგი დახასიათებაა, მაგრამ აქ კიდევ უფრო მოჰყენდა ნათელს სპარსული სუფიური ლირიკის ხსენება, რადგან ამ დროის სპარსული ლირიკა სუფიზმის, იგივე მისტიციზმის ბურუსშია გახვეული და თეიმურაზის ლირიკაც მისი ანარეკლია.

თეიმურაზის მერე, ვინც თავი გამოიჩინა ლირიკულ ჟანრში, იყვნენ აშუღები.

ტერმინი **აშუღი** მომდინარეობს არაბული სიტყვიდან – **აშეყ** (მეტრფე), შესაბამისად, აშუღურ პოეზიას შეიძლება ვუწოდოთ სატრფიალო პოეზია, რომელმაც, აღმოსავლური გავლენით, XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ ლიტერატურაში მოიკიდა ფეხი.

აშუღები ქალაქის ვაჭარ-ხელოსანთა წრეებიდან იყვნენ გამოსულნი, მათი პოეტური მეტყველებაც ქალაქური ქართულიდან საზრდოობდა. ისინი, ძირითადად, არაქართული წარმოშობისანი იყვნენ. ლექსებს თხზავდნენ ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და სპარსულ ენებზე.

სპარსულმა სატრფიალო ლირიკამ ქართულ ლიტერატურაში გარკვეული ცვლილება განიცადა, იგი ქართულ, ეთნიკურად მრავალფეროვანთბილისში, ქალაქურ სამოსში გამოეწყო და სპარსულმა **აშეყურმა** (სატრფიალო) ლირიკამ ქართულ ლიტერატურაში, განსხვავებული, **აშუღური** პოეზიის სახე მიიღო, რომელიც „თავდაპირველად ხასიათდებოდა ლირიკული, სამიჯნურო მოტივებით, შემდგომ – სოციალური მოტივებით უმღეროდა ბრძოლას ტირანიის წინააღმდეგ, იცავდა მშრომელი ხალხის ინტერესებს, ამხელდა აღმოსავლური ფეოდალური ყოფის სიმახინჯეს“ (ა. ჭილაია, რ. ჭილაია 1984: 41).

ქართული აშუღური პოეზიის მამამთავარი იყო კარის პოეტი, ეთნიკურად სომეხი, საიათნოვა (1712-1795 წწ.), რომელმაც აშუღურ ლირიკას დიდაქტიკური და რელიგიურ-მისტიკური მოტივებიც შესძინა.

აშუღურმა პოეზიამ დიდი როლი ითამაშა ეთნიკურად მრავალფეროვან თბილისში ხალხთა შორის სიყვარულისა და მეგობრობის განმტკიცებაში, რომლებიც უბრალო ხალხის გუნება-განწყობის გამომხატველნი იყვნენ. როგორც ლევან მენაბდე საიათნოვაზე წერს: „ხალხის წიაღიდან გამოსულმა მგოსანმა ქართული პოეზია მეფე-დიდებულთა სასახლეებიდან გამოიყვანა და უშუალოდ ხალხს დაუკავშირა“ (მენაბდე 1986: 648).

ქართულ აშუღურ პოეზიაში, საიათნოვას მერე, გამოიკვეთა ბესარიონ გაბაშვილის – ბესიკის სახე (1750-1791 წწ.). თუ საიათნოვას ლექსებს, ენობრივი თავისაზრისით, ხშირად, ხელოვნურობის ელფერი დაჰკრავს, ბესიკის უაღრესად დახვეწილი, ნატიფი და მუსიკალური ლირიკა ქართული პოეტური ენის ზეიმად იქცა.

როგორც საიათნოვას, ისე ბესიკის დროს, ჯერ კიდევ ძლიერია სპარსული ჰანგების გავლენა ქართულზე. აი, რა სიცხადით ახასიათებს ბესიკის შემოქმედებას იოანე ბატონიშვილი: „ბესარიონ გაბაშვილი იყო მეცნიერებასა შინა გამოცდილი და უცხო პიიტიკოსი, მოშაირე მსგავსი

რუსთველისა, რომელმაც მრავალი საამო შაირნი დაწერა სპარსთა ხმათა ზედა სამღერალი ქართულისა ენითა... გააკეთა სხვათა და სხვათა ხმათა ზედან სიმღერისა ლექსები“ (ი. ბატონიშვილი 1948: 204).

მართალია, ბესიკმა „მრავალი საამო შაირნი დაწერა სპარსთა ხმათა ზედა“, მაგრამ პოეტმა, ისევ ლევან მენაბდეს რომ მოვუსმინოთ, „სრულიად გააქართულა სპარსულ-არაბული „მუხამბაზები“ და „მუსტაზადები“ და ახალი ფორმები შესძინა მშობლიურ პოეზიას“ (ლ. მენაბდე 1986: 632).

ლ. მენაბდის სიტყვებს დავუმატებდით: ბესიკმა, არაბულ-სპარსულ „მუხამბაზებთან“ და „მუსტაზადებთან“ ერთად, გააქართულა სპარსული ტკბილხმოვანი ყაზალი, რომლის საუკეთესო ნიმუშია როგორც ფორმით, ისე შინაარსითა და პოეტური მეტყველებით, მისი „ტანო ტატანო“.

ბესიკს მიმბამველები გამოუჩნდნენ და, როგორც ს. ცაიშვილი სამართლიანად წერს: „ბესიკის პოეზია გადაიქცა ერთგვარ ფორმალისტურ მიბამვათა საგნად. თუმანიშვილები, ბატონიშვილები თუ ხალხის წიაღიდან გამოსული აშულები ბამავდნენ ბესიკის ლექსის წერის მანერას და, როგორც ეპიგონებს სჩვევია, მხოლოდ გარეგან მიბამვაზე აგებდნენ თავიანთ ნიმუშებს“ (ს. ცაიშვილი 1966: 672).

ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა უცნობი ავტორის ლირიკულ ლექსთა კრებული „ნარგიზოვანი“, რომლის შექმნის თარიღად მიჩნეულია მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი.

კარგად ახასიათებს ამ დროის ქართულ მწერლობას გ. მიქაძე: „XVIII საუკუნის მეორე ნახევრის მწერალთა პოეტურ მეტყველებას ახასიათებს სიტყვის მაღალმხატვრული კულტურა. მხატვრული სახეები, მეტაფორები, ეპითეტები თანდათან უკვე იქცა კონკრეტულ ცნებებად. ზოგადი და გაბუნდოვანებული პოეტური სახეები ახლა შეიცვალა ნაცნობი საგნებითა და მოვლენებით“ (გ. მიქაძე 1966: 677).

თუმცა, სეფიანთა ხანიდან მომდინარე, სპარსული ლირიკა, საბოლოოდ, ვერ დამკვიდრდა ქართულ ლიტერატურაში და მან, რომანტიკოსების გამოჩენის მერე, ევროპულ პოეტურ კულტურას დაუთმო ადგილი.

რომანტიზმმა, რომელიც წარმოიშვა XVIII საუკუნის ევროპაში, XIX საუკუნის დასაწყისიდანვე უკვე ქართულ ლიტერატურაში იჩინა თავი. მის ფუძემდებლად ითვლება ალექსანდრე ჭავჭავაძე (1786-1848 წწ.), რომელმაც, თუ არ მივიღებთ მხედველობაში სამშობლოდან მოწყვეტილი პოეტის, დავით გურამიშვილის, (1705-1792 წწ.) შემოქმედებას, ქართულ ლიტერატურაში პირველმა მისცა ევროპული მიმართულება ქართულ პოეზიას, რომელიც შეუქცევადი გახდა შემდეგ.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ბიოგრაფიიდან ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ მან ბავშვობიდან შეისწავლა ევროპული ენები, მათ შორის ფრანგული. მას, შემოქმედებითად მოწიფულობის ასაკში, ერთი წელი მოუწია ევროპის ქვეყნებში ყოფნა, კერძოდ, პარიზში ცხოვრება, სადაც იგი, ევროპული ენების ცოდნით, შემზადებული იყო ევროპული კულტურის მისაღებად, რამაც დიდი კვალი დატოვა მის შემოქმედებაში.

ქართულ მწერლობაში გარდატეხის მომენტს ნათლად ასახავს თუნდაც ალექსანდრე ორბელიანისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის კითხვა-პასუხი:

– კნიაზო, თქვენი ლექსები რომ ასე განასხვავეთ და მსუბუქი და რბილი წყობა მიეცით, საიდან შემოიღეთ ამგვარი სტილი?

– ჩვენი მესტვირეებისაგან (ბლიადეებისაგან) შემოვიღე. ბევრ ფრანგულ წიგნს ვკითხულობ, ჩვენი მესტვირეების მარტივ ყბედობას ევროპული სიამოვნება დავამატე და ასე შემოვიღე ამგვარი სტილიო (ა. ჭავჭავაძე 1980: 162).

ალექსანდრე მესტვირულ პოეზიას **მარტივ ყბედობას** უწოდებს, ხოლო ფრანგული წიგნების კითხვიდან მიღებულ შთაბეჭდილებას – **ევროპულ სიამოვნებას**.

ასე რომ, აღმოსავლურიდან მომდინარე ქართული **მარტივი ყბედობა** XIX საუკუნიდან **ევროპულ სიამოვნებად** იქცა.

ალექსანდრეს მიერ პასუხად გაცემული **მარტივი ყბედობა** სულაც არ არის შემთხვევითი ფრაზა. ამ დროისათვის, სპარსული პოეზიის ჰანგები, სპარსულ სამყაროსთან მოწყვეტის გამო, თანდათან კარგავს ძალას და **ყბედობაში** არის გადასული.

ალექსანდრე ჭავჭავაძე გამონაკლისი არ არის, ვინც ასე ახასიათებს იმდროინდელ ქართულ პოეზიას, აი, რას წერენ მისი თანამედროვენი:

ვახტანგ ორბელიანი (1812-1890 წწ.):

„მე არ მიყვარს კილო მუხამბაზისა,

კინტოთ კილო, **კილო შუა ბაზრისა**“... (ვ. ორბელიანი 1980: 168).

ალექსანდრე ორბელიანი (1802-1869 წწ.):

„ქართველებო, აიღევით ყიზილბაშურს **ყიყინზედ**, იმათ სიმღერების ხმაზედ ხელი, რა შეედრება ჩვენს მამა-პაპის სიმღერის ხმებსა“... (ა. ორბელიანი 1980: 203).

ჩვენი აზრით, თანამედროვე ჟარგონში არსებული **შაყირი** მოდის **შაირიდან**, რომელიც ამ დროს **შაყირად** იქცა (ნ. ბართაია 2014: 536-540).

მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება XIX მხატვრული სიტყვის ოსტატთა გამონათქვამებიდან.

როგორც ნათლად ჩანს, XIX საუკუნიდან აღმოსავლური ჰანგები უკვე **ყბედობად**, **ყიყინად**, **ბაზრის კილოდ**, **შაყირად**... იქცა.

ალექსანდრე ჭავჭავაძე მარტო არ დარჩენილა ამ ახალ გზაზე, მას მხარში ამოუდგა ჯერ გრიგოლ ორბელიანი (1804-1883 წწ.) და მერე ნიკოლოზ ბარათაშვილი (1817-1845 წწ.).

1985 წელს გამოვიდა ქართული პოეზიის XVI ტომი, რომელიც მთლიანად დათმობილი აქვს ქალაქურ პოეზიას. აი, ის ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი აშუღური პოეზიის წარმომადგენლები, რომლებიც შესულია ამ კრებულში: შამში მელქო, დიმიტრი თუმანიშვილი, დავით ბატონიშვილი, ოთარ ქობულაშვილი, სტეფანე ფერშანგიშვილი, ილია ბატონიშვილი, ზაალ ბარათაშვილი, ზურაბ ანტონოვი, ჰაზირა, დავით გივიშვილი, გიორგი სკანდაროვა, ბეჩარა, ანტონ განჯისკარელი და იეთიმ გურჯი. კრებული ქრონოლოგიურად იწყება XVIII საუკუნიდან და მთავრდება XX საუკუნის შუა წლებით.

„XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში ამ მხრივ ზომიერება ხშირად ირღვეოდა; სხვადასხვა, ხალას პოეტურ ნიჭს მოკლებულ მიმბამველთა ხელში მაჯამებით დახუნძლული მუხამ-ბაზური პოეზია და გაუთავებელი ანბანთქებები მომამბეზრებელი, განვითარებისთვის ხელისშემშლელი შეიქნა და ამ ინერციის დასაძლევად ნიკოლოზ ბარათაშვილის ტიტანური გენია გახდა საჭირო, რათა ქართული კლასიკური ლექსი თვისობრივად ახალ სიმაღლეზე ასულიყო“ (ე. კვიტაიშვილი 1985: 9).

აი, ასე ალექსანდრე ჭავჭავაძის დაწყებულ საქმეს გვირგვინად დაედგა რომანტიზმის ჟანრის ბრწყინვალე წარმომადგენლის ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „აშუღურ-ქალაქური სამყაროდან მომდინარე მოტივების ახლებურ დამუშავებას ვერც XX საუკუნის ქართული პოეზია ასცდა, ამის დასტურად გამოდგებოდა გალაკტიონ ტაბიძის, გიორგილეონიძის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილისა და სხვა ქართველ პოეტთა არაერთი ბრწყინვალე ლექსი, ისინი ძველი თბილისური ყოფის თანდათანობითი გაქრობის, მსხვერვის მოწმენი იყვნენ და ეს ლექსები, შესაძლოა, მათი ნოსტალგიის ერთგვარი გამოვლინებაც იყო“ (ე. კვიტაიშვილი 1985: 9).

ამგვარად, ქართული საერო მწერლობა, რომელიც XII საუკუნიდან, იღებს სათავეს, XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე იმყოფებოდა სპარსული მწერლობის დიდი გავლენის ქვეშ (გამონაკლისია დავით გურამიშვილის შემოქმედება).

მიუხედავად იმისა, რომ XVIII საუკუნის ბოლო ხანებიდან, რაც საქართველომ გაწყვიტა პოლიტიკური კავშირი ირანთან, XIX საუკუნის შუა ხანებამდე, თუმცა დაღმავალი გზით, კიდევ გრძელდებოდა სპარსული ჰანგების გავლენა ქართულ მწერლობაზე. გრძელდებოდა იგი ახალი სახით, მაგალითად, თუ მანამდე საუკუნეთა განმავლობაში, ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობებში ფიგურირებდა მხოლოდ დიდი სპარსული ეპიკური ჟანრი, ახლა წინა პლანზე გამოჩნდა ასევე დიდი სპარსული ლირიკა.

XIX საუკუნის შუა ხანებიდან კი სპარსული ჰანგები უკვე ქართული სმენისთვის მომამბეზრებელი ხდება.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში გამოჩნდა ევროპულ კულტურას, ფრანგულ რომანტიზმს ნაზიარები კაცი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომელმაც სათავე დაუდო ქართულ რომანტიზმს და ქართული მწერლობის ვექტორი, რომლის აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ გადახრის პროცესი ჯერ კიდევ რუსეთში ვახტანგ VI-ის (1675-1737 წწ.) კარზე იყო დაწყებული და დავით გურამიშვილის შემოქმედებით გამოხატული, საბოლოოდ დასავლეთისკენ გადაიხარა.

P. S.

XX საუკუნის 20-იანი წლებიდან ისევ განახლდა სპარსულიდან ქართულად თარგმნის ტრადიცია, რასაც დიდად შეუწყო ხელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მისი დაარსების პირველივე დღიდანვე (1918 წ.), აღმოსავლეთმცოდნეობის, კერძოდ, მისი ერთ-ერთი დარგის ირანისტიკის საფუძვლის ჩაყრამ.

ქართველმა ირანისტებმა, მეცნიერულ სამუშაოებთან ერთად, თავიანთ მხრებზე აიღეს სპარსულიდან თარგმნის მძიმე ტვირთი და ადრე თუ მხოლოდ ახალი სპარსულიდან (რომელიც X საუკუნიდან იღებს სათავეს), შემოდიოდა მხატვრული ქმნილებები ჩვენში, უკვე ძველი და საშუალო სპარსული მწერლობის ნიმუშებსაც გაეხსნა გზა ქართული ლიტერატურისკენ.

ასევე წამატებით ითარგმნება დღეს ახალი და უახლესი სპარსული მწერლობის ნიმუშები.

ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობათა ბოლო მონაკვეთი გამოირჩევა იმითაც, რომ თუ საუკუნეთა განმავლობაში სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი იყო ც ა ლ მ ხ რ ი ვ ი, გამცემი ქვეყანა იყო ირანი და მიმღები – საქართველო, მას მერე, რაც საქართველომ აღიდგინა სახელმწიფოებრიობა და ირან-საქართველოს შორის, პირველად მრავალსაუკუნოვან ურთიერთობათა ისტორიაში დამყარდა თანაბარუფლებიანი სახელმწიფოებრივი, მეგობრული კავშირი (1992 წ.), იგი ო რ მ ხ რ ი ვ ი გახდა.

ლიტერატურა:

1. აბრამიძე ა., 1966 – ა. ბარამიძე, თეიმურაზ პირველი, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1966.
2. ბატონიშვილი ი., – ი. ბატონიშვილი, კალმასობა, II, კ. კეკელიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1948.
3. ბართაია ნ., 2014 – ნ. ბართაია, ქართულ-ირანული ლიტერატურულ-ენობრივი ურთიერთობანი, თბილისი, 2014.
4. გაბაშვილი ვ., 2016 – ვ. გაბაშვილი, ქართულ-სპარსული კულტურული ურთიერთობანი (Xს.), ვ. გაბაშვილი, სტატიების კრებული, I, თბილისი, 2016.
5. კვიტაიშვილი ე., 1985 ე. კვიტაიშვილი, „მუხამბაზო, რა ტკბილი რამ ხმა ხარო“, ქართული პოეზია, ტ. 16, შემდგენლები: გ. გეგეჭკორი, ე. კვიტაიშვილი, ტ. ჭანტურია, თბილისი, 1985.
6. მენაბდე ლ., 1966 – თეიმურაზ მეორე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1966.
7. მიქაძე გ., 1966 – გ. მიქაძე, ნარგიზოვანი, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1966.
8. ორბელიანი ვ., 1980 – ვ. ორბელიანი, ქართველი რომანტიკოსები ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, კრებ. შემდგენლები იუზა ევგენიძე და ვლადიმერ მინაშვილი, თბილისი, 1980.
9. ორბელიანი ა., 1980 – ალ. ორბელიანი, ქართველი რომანტიკოსები ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, კრებ. შემდგენლები იუზა ევგენიძე და ვლადიმერ მინაშვილი, თბილისი, 1980.
10. ცაიშვილი ს., 1966 – ს. ცაიშვილი, ბესარიონ გაბაშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1966.
11. ჭავჭავაძე ა., 1980 – ქართველი რომანტიკოსები ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, კრებ. შემდგენლები იუზა ევგენიძე და ვლადიმერ მინაშვილი, თბილისი, 1980.
12. ჭილაია ა., ჭილაია რ., 1984 – ა. ჭილაია, რ. ჭილაია, ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები, თბილისი, 1984.

NOMADI BARTAIA

GEORGIAN SECULAR WRITING FROM EAST TO WEST

Summary

Georgian literature, which takes its origins from the V century, until the XII century was only hagiographic, and from the XII century onwards, along with it emerged and developed secular literature; in this, in our opinion, a great role belongs to its relation with Persian literature.

Georgian-Persian literary relations, from the XII century to the present day, from time to time were interrupted.

The main sections of this way are: XII, XVI-XIX centuries and the section of time from the beginning of the XX century to the present day.

In the Near East of the XII century, the Arabs were politically replaced by the Turko-Seljuks, and the Arabic language - replaced by Persian, which became the literary language of the new empire and on which an abundant literature was created.

In the XII century, King David IV the Builder (1089-1125) created a strong, unified Georgian state that was not a part of the Turko-Seljuk Empire, politically blocking the way to Persian language to Georgia, but instead, culturally opening a door for it to Georgian literature via Georgia's political ally Shirvan, greatly contributing to the emergence and development of Georgian secular writing.

At this time exactly through Shirvan came from the Persian literature Firdousi's "Shahnameh", Fakhr ed-Din Gorgani's "Weis o Ramin", "Kilila and Damana", poems of Nizami Ganjevi and Onsori, and others, to Georgian literature, of which, unfortunately, only the unequalled Georgian translation of "Veis o Ramin" i.e. "Visramiani" has survived to the present day.

The XVI-XVIII centuries in Iran is the Safavid era (1501-1722).

From this time numerous works of almost all genres of Persian literature have survived to this day in the form of translations, imitations, transformations, and versions.

At this time the influence of Persian writing on Georgian is so great that it can even be called a Georgian version of Persian literature. The Georgian poets of this epoch were working upon and developing the plots, adopted in Persian literature in the same way as the masters of the artistic speech of the peoples of the various countries of the Near East, but, unlike them, not in P e r s i a n, but in

G e o r g i a n. A brilliant example of this is Teimuraz I's "Leilmajnuniani" and "Iosebzikhaniani", as well as "Khosrovshiriniani", modified by an anonymous author, etc.

In 1783 in Georgievsk was signed a treaty, according to which the Kingdom of Kartli-Kakheti was separated from Iran and became a part of Tsarist Russia.

After that, the sound of airs of Persian poetry, albeit with a downward flow, followed Georgian literature until the end of the XIX century, when there appeared romantics, sharing European culture and Georgian literature finally tilted toward European literature.

თამარ მესხი

ტრაპიზონელი კომნენოსები და იერუსალიმის ჯვრის მონასტერი

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორიას, უკვე საუკუნეზე მეტია, იკვლევენ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მკვლევრები. საკმაოდ კარგადაა შესწავლილი საქართველოსა და ტრაპიზონის სამეფოებს შორის არსებული ურთიერთობებიც, მაგრამ არც ერთი და არც მეორე საკითხისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში არ შეგვხვებდრია ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოს სამეფოსა და ტრაპიზონელი კომნენოსების ინტერესები ჯვრის მონასტერში გადაიკვეთა. არადა, არსებობს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი. ესაა გერასიმე მონაზონის მიერ შედგენილი და ხელმოწერილი ანდერძი, დათარიღებული 1344 წლის 18 ნოემბრით.

პირველი, ვინც ამ დოკუმენტს ახსენებს, არის XVII საუკუნეში მოღვაწე დოსითეოსი, იერუსალიმელი პატრიარქი (1669-1707), რომელიც წერს: *“მველ ფურცლებს შორის აღმოჩნდა დოკუმენტი, რომლის თანახმადაც, მონასტერი წმიდა ექვთიმესი, რომელიც ახლა იერუსალიმში მდებარეობს, ოდესღაც განაახლა დედოფალმა ანა ტრაპიზონელმა, პორფიროგენეტმა, შემდეგ კი — გერასიმე მონაზონმა, რომელმაც სხვა მონაზონთათვის დაწერა ანდერძი”* (Δοσιθέου 1891: 245). ამის შემდეგ დოსითეოსი ასახელებს ანდერძზე ხელმომწერ პირებს და დოკუმენტის შედგენის თარიღს.

ხსენებული ანდერძი 1894 წელს გამოაქვეყნა ანთიმოს პაპადოპულოს-კერამევსმა (Α. Παπαδοπούλου-Κεραμέας 1894: 255-257). ერთადერთი, ვინც ეს დოკუმენტი ჯვრის მონასტერთან მიმართებაში მოიხსენია, არის არქიმანდრიტი ქრიზოსტომოსი (შემდგომში – 1923-1938 წწ. ელადის მთავარეპისკოპოსი), ისიც 1905 წელს (Χρυσοστόμου 1905:29). შემდგომი ხანის მკვლევრები ამ დოკუმენტს მხოლოდ იმ კუთხით აშუქებენ, რაც მათ ინტერესებში შედის. ზოგი ამ ანდერძს იმის საბუთად მოიხმობს, რომ იერუსალიმში ტრაპიზონელი ბერებიც მოღვაწეობდნენ, სხვანი კი იმის წარმოსაჩენად, თუ როგორ მფარველობდნენ ტრაპიზონელი იმპერატორები იერუსალიმის მონასტრებს¹. ამიტომ გასაკვირი აღარაა,

1 ტრაპიზონის მიტროპოლიტი ქრისანთოსი (1913-1938; შემდგომში, 1938-1940 წწ. ელადის მთავარეპისკოპოსი), რომელმაც ტრაპიზონის ეკლე-

რომ ეს დოკუმენტი ქართველ მკვლევართა თვალსაწიერს მიღმა აღმოჩნდა.

ა. პაპადოპულოს-კერამევსის გამოცემაში ანდერძი წარმოდგენილია სათაურით: Ἐγγράφον τοῦ ἐν Ἱεροσολύμοις Μοναβρίου τοῦ Ἀγίου Εὐθυμίου, συγχαρὸν ἐτὶ 1344-დ (დოკუმენტი შედგენილი იერუსალიმის წმიდა ექვთიმეს მონასტერში 1344 წელს). სათაურს უშუალოდ მოჰყვება ანდერძის ტექსტი:

„ბასილი დიდის თანახმად, ფილოსოფოსობის განმსაზღვრელი სიკვდილის გააზრება; ზოგიერთებმა ეს უარჰყვეს და დროის დინებას მიცემულთ ვერ შეიცნეს მისი უჟამობა². მეცეულად მოვიდა იმიერითგან მპარავი და წარიტაცა ისინი, მათი დანატოვარი კი განუკარგავი დარჩა. [სიკვდილის] უტყუარობით შეშინებულმა, რამეთუ მოიწია თავთავის მკის ჟამი, ვიდრე გონება საღი და მყარი მაქვს, არა ვინმეს იძულებით და ძალდატანებით, არამედ საკუთარი ნებით და საკუთარი სურვილით ამ ანდერძის დაწერა მოვისურვე. პირველყოვლისა, ჩემს კურთხევას ვუტოვებ ძლევამოსილთა და წმიდათა მეფეთა ჩვენთა, ვითარცა მათთვის მლოცველი, მერმე ქრისტესმიერ სიყვარულსა და შენდობას ვითხოვ ყოვლადუწმიდესისა მეუფისა და პატრიარქისა ჩემისა და ყოველთა ქრისტიანეთაგან. მერმე ჩემს შესახებ ამას გამცნობთ:

შეწევნითა ღმრთისაითა, მისთვისვე საცნაური გზებით, მოვიწიე იერუსალიმის წმიდაქვეყანად, ვიცხოვრეაქ, წმიდა ევთიმის მონასტერში, ტრაპიზონელი ქალწულისა და დედოფლისა, პორფიროგენეტისა ანასი; იერუსალიმელ ბატონ პამპოსთან და ტრაპიზონელ მონაზონ სოფრონიოსთან ერთად განვლიე ცხოვრება, მათსავე აღსასრულამდე. მათ მოიხადეს თავიანთი ვალი და აწ დავრჩი მარტო. მონასტერი დამხვდა ბოლომდე განადგურებული და უსახსრო. რაოდენი შრომა გარდავიხადე ამ მონასტერში და რაოდენი ვნება განვიცადე, იცის ღმერთმა. ახლა, წყალობითა ღმრთისაითა, ჩვენი შრომითა და ქრისტიანთა შეწევნით, იგი მთლიანად გამოვისყიდე — ამისთვის, 200 გროში³ განცხადებულად გაიღო ჩემამდე აქ მოღვაწე ტრაპიზონელმა მონაზონმა, სოფრონიოსმა, — და აღვმართე და ავაშენე [მონასტერი] ისე, როგორც [მას] ახლა ხედავთ. ამჟამად აქ ჩემთან ერთად იმყოფებიან მონაზონთაგან გამორჩეულად საყვარელი ძე ჩემი ვლასიოსი, კირილე, გენადიოსი და თეოდულოსი, რომელთაც ვტოვებ [აქ] მემკვიდრეებად და მონაცვლეებად. ვინაიდან

სიის ისტორიას 900-გვერდიანი წიგნი მიუძღვნა, წერს: “ტრაპიზონელი იმპერატორების გულუხვობამ წმიდა ქალაქ იერუსალიმამდეც მიაღწია და იქაც შექმნა ბერძნული ქრისტიანული ხელოვნების ნიმუშები. ტრაპიზონის იმპერატორმა ანა კომნენოსმა, ასულმა ტრაპიზონის იმპერატორ ალექსისა (1297-1330), რომელსაც ანახუტლუსაც უწოდებდნენ, განაახლა იერუსალიმში დღემდე მოქმედი მონასტერი წმიდა ექვთიმესი“ (Χρυσαόχου 1933:513-514).

2 იგულისხმება, რომ სიკვდილი დროსა და ჟამს არ ექვემდებარება [თ. მ.].

3 იმ დროისათვის 200 გროში დიდი თანხა იყო [თ.მ.].

გარდაუვალობა მოითხოვს და დამტკიცებულია, სამ მათგანს წინამძღვრად და ილუმენად განუწესებ მღვდელმონაზონ ვლასიოსს, რომლის მიმართაც დანარჩენ სამს ჰმართებს მოსმენა და მორჩილება, ისევე როგორც ჩემ მიმართ. ვინაიდან ყველანი ერთსაქმეს ვემსახურებით, შემდგომად აღსრულებისა მისისა, წინამძღვრად განვაწესებ ჩემს საყვარელ ძეს კირილეს, მისი აღსრულების შემდეგ — გენადიოსს, შემდეგ კი — თეოდულოსს. ჰმართებთ ურთიერთსიყვარული, დაურღვეველი მშვიდობა და ერთობა, ერთი ზრახვა, ერთი ნება, და არც ერთს, არც წინამძღვარსა და არც რომელიმე მათგანს, არ აქვს უფლება განაყენოს მეორე, გარეშე მართებული საბაბისა და ჯეროვანი მიზეზისა, ანუ რეალური დაბრკოლებისა და შფოთის გამოწვევისა, — რამეთუ, ანდერძით არამშვიდი და გულგრილიც განყენებული იქნება, — ერთობასა და მშვიდობაში მყოფთათვის კი უპირატესობა წინამძღვრის სიტყვას ჰქონდეს“.

ამის შემდეგ დოკუმენტში იწყება ჩვენთვის მნიშვნელოვანი და საინტერესო ნაწილი, სადაც მღვდელმონაზონი გერასიმე სულიერ შვილებს ანდერძად უბარებს:

“ასევე, ვამბობ: ამ მონასტერთან არასოდეს არანაირი შემხებლობა არ ჰქონდეს წარმომადგენელს სხვა გვარისა, გარდა იმათი, ვისაც ტრაპიზონელი მშობლები ჰყავთ, როგორც [ეს] განცხადებულია ტრაპიზონელი ქალწულისა და დედოფლის — ანას მოსახსენებელში, რომელიც განწესებულია იერუსალიმის ტახტის ყოველი მომდევნო პატრიარქისათვის. **ეპიტროპოსად** (ზედამხედველად — თ. მ.) **მონასტრისა და ...ჩემთა საყვარელთა ბეთა, ვტოვებ ყოველ მომდევნო ილუმენს იბერიელთა მონასტრისა, სახელწოდებით წმიდისა და ცხოველმყოფელისა ჯვარისა. ამას ვუბარებ ჩემიანებს. ანდერძისა და ბრძანებულების უარყოფის მსურველთ კი ჰქონდეთ წყევლა სამას ათრვამეტთა ნიკიელთა ღმერთშემოსილთა მამათა; რამეთუ, მადლითა მათითა დაიწერა წინამდებარე ანდერძი და ბრძანებულება, და მიეცა [იგი] ჩემს საყვარელ ძეთ, მათსავე დასაცავად და [დასამოწმებლად]. 18 ნოემბერი, ინდიქტიონი 12” (= 1344) (Α. Παπαδοπούλου-Κεραμέας 1894: 255-257).**

დოკუმენტს ხელს აწერენ: ტრაპიზონის იმპერატორის მეჭურჭლეთუხუცესი იოანის ტრიხასი, ტრაპიზონის იმპერატორის ელჩი გეორგიოს კურტიკას, იერუსალიმის პატრიარქი არსენიოსი, ვასანის მიტროპოლიტი გერმანოსი, ღაზელი ეპისკოპოსი და იპერტიმოსი მატოსი, ბეთლემის ეპისკოპოსი ილია.

წარმოდგენილ დოკუმენტში მოხსენიებული „ტრაპიზონელი დედოფალი და პორფიროგენეტი ანა“ არის ანა დიდი კომნენოსი, რომელიც 1341-1342 წლებში ტრაპიზონის იმპერატორი იყო. ბიზანტიელი ისტორიკოსების — ნიკიფორე გრიგორასის და მიქელ პანარეტოსის — თანახმად, სანამ ანა კომნენოსი ტახტზე ავიდოდა, მონოზენად იყო აღკვეცილი.

ამიტომ წარმოდგენილი ანდერძის საფუძველზე ჩამოყალიბდა თვალსაზრისი, რომ ანა კომნენოსი მონოზენოზობის დროს იერუსალიმში, წმიდა ექვთიმეს მონასტერში მოღვაწეობდა. ვინაიდან სხვა საბუთი, რომელიც ამ თვალსაზრისს გააბათილებდა, ჯერ არ გამოვლენილა, ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისს არსებობის უფლება აქვს.

გერასიმე ბერის ანდერძი კიდევ არაერთ საინტერესო ცნობას გვაწვდის:

1. ანდერძიდან ჩანს, რომ მღვდელმონაზონი გერასიმე ანა კომნენოსთან დაახლოებული პირი იყო. იცოდა მისი სურვილები და, შეძლებისდაგვარად, შეუსრულა კიდევაც. ეს კი იმას გვაფიქრებინებს, რომ მღვდელმონაზონი გერასიმე ანა კომნენოსის სულიერი მოძღვარი იყო.

2. ანდერძიდან ისიც ჩანს, რომ არსებული სხვა დოკუმენტიც — *“მოსახსენებელი, განწესებული იერუსალიმის ეკლესიის ყოველი მომდევნო პატრიარქისათვის”*, რომელშიც განცხადებული ყოფილა ანა კომნენოსის სურვილი, რომ წმ. ექვთიმეს მონასტერი სამუდამოდ ტრაპიზონელი კომნენოსების განკარგულებაში დარჩენილიყო. არ არის გამორიცხული, მოსახსენებელიც იმავე გერასიმე ბერის დაწერილი იყოს.

3. ეს ანდერძი იმის დასტურიცაა, რომ ანა კომნენოსს მჭიდრო და კეთილმეგობრული ურთიერთობა ჰქონდა იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, მღვდელმონაზონი გერასიმე წმ. ექვთიმეს მონასტრის ზედამხედველობას არ მიაწოდებდა **“ყოველ მომდევნო ილუმენს იბერიელთა მონასტრისა, სახელწოდებით წმიდისა და ცხოველყოფელისა ჯვარისა”**.

ამ მნიშვნელოვან ინფორმაციასთან ერთად, ანდერძი ისეთ ნიუანსებსაც შეიცავს, რომლებიც კითხვებს აჩენს და პასუხს მოითხოვს:

1. პირველყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ანდერძის დასაწყისში არ მოიხსენიება ტრაპიზონის იმპერატორის და იერუსალიმის პატრიარქის სახელები, მაშინ როდესაც ამას ბიზანტიური ტრადიცია და ანდერძის სტრუქტურა მოითხოვს. ეს ფაქტი კიდევ უფრო გაუგებარია იმ ფონზე, როდესაც დოკუმენტს ხელს აწერს იმპერატორის ელჩი და თვით იერუსალიმის პატრიარქი.

2. რატომ გახდა საჭირო წმინდა ექვთიმეს მონასტრის შესყიდვა და შემდეგ ტრაპიზონელი კომნენოსებისათვის გადაცემა, თუკი მონასტერი ანა კომნენოსისა იყო?

3. რატომ დაუტოვა გერასიმე ბერმა წმინდა ექვთიმეს მონასტერს ზედამხედველად იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრის ყოველი მომდევნო ილუმენი? რატომ არ მიაწოდო იგი იერუსალიმის პატრიარქს?

ამ და სხვა კითხვებსაც რომ სწორი პასუხი გაეცეს, თვალი უნდა გადავავლოთ ტრაპიზონის სამეფო კარზე მომხდარ მშფოთვარე მოვლენებს ანა კომნენოსის გამეფებამდე ცოტა ხნით ადრე და მისი ტრაგიკული აღსასრულის შემდეგაც:

ანა დიდი კომნენოსი, იგივე ანა ანახუტლუ, იყო ტრაპიზონის იმპერატორ ალექსი II-ისა (1297-1330) და სამცხის ათაბაგის, ბექა I ჯაყელის, ასულის — ჯიაჯაყის შვილი. ანას გარდა, ალექსი II-ს ჰყავდა კიდევ ხუთი შვილი: მიხეილ-აზახუტლუ, გიორგი-ალბულა, ანდრონიკე, ბასილი და ევდოკია.

ალექსი II-ის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა ანა ანახუტლუს ძმა, ანდრონიკე (ანდრონიკე III, 1330-1332), რომელმაც გამეფებისთანავე დახოცა თავისი ძმები — მიხეილ-აზახუტლუ და გიორგი-ალბულა⁴. ბასილი კი კონსტანტინეპოლში გაიქცა და თავი ასე გადაირჩინა.

ანდრონიკე III-მ იმეფა წელიწადსა დარვა თვეს. მისი გარდაცვალების შემდეგ, ტახტზე ავიდა მისი რვა წლის შვილი, მანუელი, რომელმაც მხოლოდ რვა თვე იმეფა.

1332 წელს ტრაპიზონში დაბრუნდა კონსტანტინეპოლში გადახვეწილი ალექსი II-ის ძე, ბასილი, რომელმაც თავისი ძმისწული მანუელი (1332) ჩამოაშორა ტახტს და გააძევა, სამეფო ხელისუფლების დიდი მოხელეები კი დახოცა. ბასილის მეფობა რვა წელს გაგრძელდა. 1340 წელს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა. ტახტზე ავიდა მისი მეუღლე — ირინე პალეოლოგოსი, ბიზანტიის იმპერატორ ანდრონიკე III-ის ასული, რომელიც ბასილს კონსტანტინეპოლში ყოფნის დროს შეურჩიეს. ვინაიდან ბასილს ირინე პალეოლოგოსთან შვილი არ შესძენია, ირინეს ტახტზე ასვლამ ტრაპიზონელები აღაშფოთა, წინაღმდეგი იყვნენ ტახტზე სხვა დინასტიის წარმომადგენელი ასულიყო.

ტრაპიზონელთა აღშფოთება კიდევ უფრო გაამწვავა იმ გარემოებამ, რომ ირინემ გამეფებისთანავე ჯერ მამას, ანდრონიკე III-ს, შემდეგ კი იოანე კანტაკუზინელს შეუთვალა, რომ მისთვის გამოეგზავნათ საქმრო, რომელიც მას სახელმწიფო საქმეების მართვაში დაეხმარებოდა. გარკვეული მიზეზების გამო, ირინეს სურვილის დაკმაყოფილება მაშინვე ვერ მოხერხდა. ამასობაში ტრაპიზონს ამიდელი თურქები შეესივნენ. მიხეილ პანარეტოსის თანახმად, მაშინ „დაიწვა მთელი ტრაპიზონი, მიგნით და გარეთ, დაიწვა დიდძალი ხალხი — ქალები და ბავშვები“ (მიქელ პანარეტოსი 1967: 179), რამაც მოსახლეობა აღაშფოთა.

იმ დროს ტრაპიზონის იმპერიის დიდი ნაწილი დასახლებული იყო ქართული ტომებით — ლაზებითა და ჭანებით. ისინი იმპერიის მოხელეთა შორისაც მრავლად იყვნენ და მხარს უჭერდნენ ტრაპიზონის საქართველოსთან მჭიდრო კავშირს. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც

4 ვ. მილერის თვალსაზრისით, სახელები: „ანახუტლუ“, „აზახუტლუ“ და „ალბულა“ მონგოლური წარმომავლობისაა. ალექსი II-ის შვილებს ეს სახელები დედის მხრიდან შეერქვათ (W. Miller 1926:24). ო. ლამფსიდისი იზიარებს ამ თვალსაზრისს. მისი ვარაუდით, შესაძლოა ალექსი II-ს შვილები: ანდრონიკე, ბასილი და ევდოკია მეორე ქორწინებიდან შეეძინა (Ὁδ. Λαμψιδίου 1958:118), მიუხედავად იმისა, რომ ცნობები ალექსი II-ის მეორე ქორწინების შესახებ არ არსებობს.

უპირატესობას ანიჭებდნენ ტრაპიზონის ბიზანტიასთან დაახლოვებას. ამ ორ დასს შორის მუდმივი ბრძოლა მიმდინარეობდა. მას შემდეგ, რაც საქართველოში მონღოლები გაბატონდნენ, ქართული დასის გავლენა შემცირდა, მაგრამ ბოლომდე არ გამქრალა. ნიკიფორე გრიგორასის თანახმად, სწორედ მაშინ, როდესაც ამიდელმა თურქებმა ტრაპიზონი გადაწვეს, *“მოვიდა მეორე ქალი, რომელსაც უფრო მეტი უფლება ჰქონდა სამეფო ტახტზე, ვიდრე ირინეს. ეს იყო ანნა, ანახუტლუდ წოდებული, ალექსი II-ის უფროსი ასული, რომელიც მოლოზნად აღკვეცილა და განდევნილად ცხოვრობდა. ირინეს მოწინააღმდეგე დასმა დაიყოლია იგი გაეხადა მოლოზნის კაბა და ლაზეთში წასულიყო, სადაც იგი, როგორც თავისი ძმის, ბასილის, უმახლობელესი და კანონიერი მემკვიდრე მეფედ იქნა გამოცხადებული. ლაზები, ქანები და ყველა ადგილობრივი თავის მშობლიურს, კომნენოსთა ოჯახიდან გამოსულ დედოფალს აძლევდნენ უპირატესობას პალეოლოგოსთა გვარიდან გამოსული ირინეს წინაშე”* (ნიკიფორე გრიგორასი 1967: 146).

ერთი სიტყვით, ანა ანახუტლუმ, გაიხადა სამონაზვნო კაბა და 1341 წლის 17 ივლისს ტრაპიზონის მეფის გვირგვინი დაიდგა. ქართველი ისტორიკოსების თანახმად, მის გამეფებას ხელი შეუწყო გიორგი ბრწყინვალემ (1314-1346), რომელიც ანა ანახუტლუს დეიდაშვილი იყო.

მძაფრი პოლიტიკური დაპირისპირების მიუხედავად, ანა ანახუტლუმ 1342 წელს წარმატებით მოიგერია ამიდელი თურქების მორიგი თავდასხმა, მაგრამ მისმა ეკონომიკურმა და საშინაო პოლიტიკამ მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. ამით ისარგებლა პრობიზანტიური ორიენტაციის დასმა და მისი ტახტიდან ჩამოგდება განიზრახა. მათ გეგმას ხელი შეუწყო ანდრონიკე III-ის ქვრივა, ანა სავოიელმა, და იოანე კანტაკუზინელმა. ვინაიდან ტრაპიზონელები წინააღმდეგი იყვნენ ტახტზე სხვა დინასტიის წარმომადგენლის ასვლისა, მათ ტრაპიზონის იმპერატორად შეარჩიეს ალექსი II-ის ძმა, 57 წლის მიხეილ კომნენოსი, რომელიც ტრაპიზონში წარგზავნეს, რათა ბასილის ქვრივთან, ირინესთან ექორწინა.

მიხეილ კომნენოსი 1341 წლის 30 ივლისს ტრაპიზონში ჩავიდა. არისტოკრატთა და ტრაპიზონის მიტროპოლიტმა, აკაკიოსმა, მიხეილი იმპერატორის შესაფერისი პატივით მიიღეს, მაგრამ ხალხი მის წინააღმდეგ ამხედრდა და ანა ანახუტლუს ლაზმა მეომრებმა დაწვეს ის გემები, რომლებითაც ის ტრაპიზონში ჩავიდა; ხანძარმა მიხეილის რამდენიმე თანმხლები პირიც იმსხვერპლა. 1341 წლის 7 აგვისტოს მიხეილი შეიპყრეს და ჯერ ინეონში, შემდეგ კი ლიმნიაში ჰყავდათ დატუსაღებული. ამასობაში პრობიზანტიური დასის წევრები, ირინესთან ერთად, კონსტანტინეპოლში გაემგზავრნენ. იქ შეხვდნენ მიხეილ კომნენოსის ვაჟს, იოანეს, რომელსაც ტრაპიზონის მეფის გვირგვინი გადასცეს. იოანე კომნენოსი (შემდგომში იოანე III, 1342-1344) მაშინვე ტრაპიზონისკენ დაიძრა. ანა ანახუტლუ ტახტიდან

ჩამოაგდო და მისი გაგუდვის ბრძანება გასცა. 1342 წლის 4 სექტემბერს ბრძანება აღასრულეს.

იოანემ სულ რვა თვე იმეფა⁵. შემდეგ ტახტზე ავიდა მისი მამა, მიხეილ კომნენოსი.

ახლა კი შევეცდებით პასუხი გავცეთ ჩვენ მიერ ზემოთ დასმულ კითხვებს:

იმ კითხვასთან დაკავშირებით, **თუ რატომ არ მოიხსენიება ანდერძის დასაწყისში ტრაპიზონის იმჟამინდელი იმპერატორის და იერუსალიმის პატრიარქის სახელები**, ჩვენი პასუხი ასეთია:

გერასიმეს ანდერძი რომ დაიწერა, ანა ანახუტლუ ერთი წლის და სამი თვის გარდაცვლილი იყო. ტრაპიზონის იმპერიის ტახტზე უკვე მიხეილ კომნენოსი იჯდა. ანა ანახუტლუს უერთგულესი გერასიმე ბერისთვის, ცხადია, მიუღებელი იქნებოდა სამეფო კარზე მომხდარი სისხლიანი გადატრიალება და მიხეილის გამეფება. ამიტომ აარიდა თავი იმპერატორის სახელის ხსენებას. უხერხულობის თავიდან ასაცილებლად კი, ანდერძში აღარც იერუსალიმის პატრიარქის სახელი ჩაწერა.

რატომ დასჭირდა გერასიმეს წმინდა ექვთიმეს მონასტრის შესყიდვა და მერე ტრაპიზონელი კომნენოსებისთვის გადაცემა, თუკი მონასტერი ანა კომნენოსისა იყო?

თუ მონასტერი, მართლაც, ანა კომნენოსს ეკუთვნოდა, ტრადიციისამებრ, შემდგომი იმპერატორის, ანუ მიხეილ კომნენოსის ხელში აღმოჩნდებოდა. შემდეგ კი — მისი შთამომავლების, რომლებსაც შეეძლოთ გაესხვისებინათ კიდევაც. სწორედ ეს რომ არ მომხდარიყო, გერასიმე ბერმა მონასტერი შეისყიდა, შემდეგ კი ანდერძში შეიტანა ანა ანახუტლუს სურვილი და დანაბარები, რომ მონასტერთან *“არასოდეს არანაირი შემხებლობა არ უნდა ჰქონოდა სხვა გვარის წარმომადგენელს, და არც იმას, ვისაც არ ჰყავდა ტრაპიზონელი მშობლები”* (ბერძნულ ტექსტის მიხედვით, დედით და მამით ტრაპიზონელი იგულისხმება). იმპერატორი მიხეილი ტრაპიზონელი კომნენოსი კი იყო, მაგრამ დედა კონსტანტინეპოლელი ჰყავდა. მისი დედა, ევდოკია, ანდრონიკე II პალეოლოგის და იყო⁶. ამიტომ მიხეილ

5 იოანე კომნენოსი იმჟამად 20 წლის იყო. ის უსუსური გამოდგა როგორც საგარეო, ასევე საშინაო პოლიტიკაში. ფიქრობდა მხოლოდ საკუთარ განცხრომაზე. ისიც კი არ მოინდომა, მამა საპყრობილიდან გამოესხნა. ამის გამო თავის მომხრეთა უკმაყოფილებაც გამოიწვია. განრისხებულმა ნიკიტა სქოლარიოსმა ყველაფერი იღონა მიხეილის გასათავისუფლებლად. 1344 წლის 3 მაისს მიხეილი ტრაპიზონის სამეფო ტახტზე ავიდა. შვილი კი კონსტანტინეპოლში გააძევა.

6 მამის გარდაცვალების შემდეგ, ალექსი II-ს და მის ძმას, მიხეილს, მეურვეობას უწევდა ბიძა — ბიზანტიის იმპერატორი ანდრონიკე II (1282-1328). ამიტომ ტრაპიზონის საიმპერატორო ტახტზე ასული ალექსი II პირველ წლებში ხელს აწერდა ორი გვარით „კომნენოსი და პალეოლოგი“.

პალეოლოგი და მისი შთამომავლები წმიდა ექვთიმეს მონასტერზე პრეტენზიას ვერ წამოაყენებდნენ. თუ ასეთი რამ მაინც მოხდებოდა, ამას წინ აღუდგებოდა ჯვრის მონასტერი, რომლის ყოველი მომდევნო ილუმენი, ანა ანახუტლუს სურვილის თანახმად, გერასიმე ბერმა წმინდა ექვთიმეს მონასტრის ზედამხედველად დანიშნა. ცხადია, ეს ყველაფერი იერუსალიმის პატრიარქის თანხმობის და მონაწილეობის გარეშე ვერ მოხდებოდა.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ჩნდება ახალი კითხვა: ვინ იყო ის, ვისაც ორივე მშობელი ტრაპიზონელი ჰყავდა და ანა კომნენოსი თავის მემკვიდრედ მოიაზრებდა?

ვინაიდან ანა კომნენოსი მონაზონი იყო და შვილი არ ჰყავდა, ბუნებრივია, თავადაც და ქართული დასიც, ვისი ხელშეწყობითაც იმპერატორის გვირგვინი დაიდგა, ტახტის მემკვიდრეზე დაიწყებდნენ ზრუნვას. რადგან ანა კომნენოსს თავისი ძმის, ბასილის, შვილების გარდა სხვა ახლობლები აღარავინ ჰყავდა, ცხადია, ყურადღებას მათზე შეაჩერებდნენ. მათი გამეფება იოლი არ იყო, რადგან ისინი “ხარჭისგან მობილნი” იყვნენ. მართალია, მიქელ პანარეტოსის თანახმად, მას შემდეგ, რაც ბასილს მეორე ძე — იოანე შეეძინა, “გვირგვინი იკურთხა ტრაპიზონელ დიდგვაროვან ქალბატონთან — ირინესთან” (მიქელ პანარეტოსი 1967: 176), მაგრამ ბიზანტიური კანონმდებლობის თანახმად, იმპერატორის შვილებს შორის უპირატესობა ენიჭებოდა იმათ, რომლებიც დაბადებულები იყვნენ ქორწინების შემდეგ. ამის შესანიშნავი მაგალითია ბიზანტიის იმპერატორის, კონსტანტინე პორფიროგენეტის ბიოგრაფია. როდესაც კონსტანტინე დაიბადა, მისი მშობლები (ლეონ VI და ზოი) ჯერ დაქორწინებულები არ იყვნენ. მამის სურვილით და მოთხოვნით, კონსტანტინე მოწისფერ ოთახში დაიბადა, მაგრამ კანონიერ მემკვიდრედ მაინც არ ითვლებოდა. კონსტანტინე VII-ს თავისი გამეფება რომ გაემართლებინა, სწორედ ამიტომ მიიღო ზედწოდებად “პორფიროგენეტი”.

შვილად აღიარება მნიშვნელოვანი ფაქტორი რომ იყო, ამის კიდევ უფრო თვალსაჩინო მაგალითია ის, თუ როგორ აშვილებინა თავი ალექსი კომნენოსმა ბიზანტიის დედოფალს, მართა-მარიამს (ბაგრატ IV-ის ასულს), შემდეგ კი როგორ გამოიყენა ეს ბიზანტიის სამეფო ტახტზე ასასვლელად⁷.

ერთი სიტყვით, გამოსავალი ის იყო, რომ ანა ანახუტლუს ბასილის უფროსი ვაჟი, ალექსი, ეშვილებინა⁸. ამ გზით, ხარჭის შვილს

7 „სამეფო კარზე მოსამსახურე ქალებმა, ისააკის ჩავონებით, დაიწყეს დედოფლის წინაშე იმაზე ზრუნვა, რომ დედოფალს ეშვილა ალექსი. დედოფალი დათანხმდა ამაზე და დანიშნულ დღეს, როდესაც ორივე მამა სამეფო სასახლეში იყო, დედოფალმა იშვილა ალექსი საამისოდ ძველთაგანვე დადგენილი წესების დაცვით“ (ანა კომნენე 1966: 50).

8 ბასილის ერთ-ერთი შვილის გამეფებაზე, თურმე ირინე პალეოლოგის

გამეფების საშუალება მიეცემოდა და ტახტის მემკვიდრის საკითხიც გადაწყდებოდა. სამწუხაროდ, მას შემდეგ რაც ბავშვები, დედასთან ერთად, ტრაპიზონიდან გააძევეს, ალექსი მალე გარდაიცვალა. ამიტომ ანა ანახუტლუს შვილად ბასილის მეორე ვაჟი, იოანე, უნდა ელიარებიანა.

იოანეს შვილად აღიარების განგებას ტრაპიზონის ეკლესია არ შეასრულებდა, რადგან ტრაპიზონელი იმპერატორების არაერთი მცდელობის მიუხედავად, ვერ მოხერხდა ტრაპიზონის ეკლესიის კონსტანტინეპოლის იურისდიქციიდან გამოყვანა⁹. ტრაპიზონის მიტროპოლიტები ყოველთვის კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს გადაწყვეტილებას ემორჩილებოდნენ. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ 1341 წელს ირინე პალეოლოგის საქმროდ წარმოგზავნილი მიხეილ კომნენოსი ტრაპიზონის მიტროპოლიტმა, აკაკიოსმა, იმპერატორის შესაფერისი პატივით მიიღო. უფრო მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ მანამდე კონსტანტინეპოლის პატრიარქმა დაგმო ბასილის ქორწინება ტრაპიზონელ ირინესთან (1339 წ.) და მრუშობად შეაფასა (Χρυσόρθιου 1933:181).

როგორც ჩანს, ქართულმა დასმა აქაც იმარჯვა. სავარაუდოდ, შვილობის განგება იერუსალიმის ჯვრის მონასტერში შესრულდა. ამის თქმის საფუძველს, წარმოდგენილი ანდერძის გარდა, გვაძლევს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის და ათონის ივერთა მონასტრის აღაპები, განწესებული მათი უხვი შემწირველის, ანასულისადმი. ჩვენ საგანგებოდ შევისწავლეთ ეს აღაპები და იმ დასკვნამდე მივედით, რომ აღაპებში მოხსენიებული ანასულის იგივე ანა ანახუტლუა, ხოლო ანასულის შვილად მოხსენიებული იადი — მისი ძმისწული იოანე¹⁰.

მომხრეებიც კი ფიქრობდნენ, მაგრამ სულ სხვა მიზნით. ამასთან დაკავშირებით, ნიკიფორე გრიგორასი გვიამბობს: „სენატორთაგან, ვინც ყველაზე მეტი ძალის მქონენი იყვნენ დიდების მარავანდელით და ქონება-შეძლებით, სხვა გეგმას ისახავდნენ, რათა მათ თავისუფლება მისცემოდათ აზუჩად აეგდოთ მთავრობა და იქაური საქმეები ისე წარემართათ, როგორც მოესურვებოდათ. მათ წამოაყენეს საჩვენებელი გეგმა, ბასილის ერთი უკანონო შვილთაგანი მოეწვიათ მმართველად. ამიტომ როგორც კი დაინახეს, რომ ტრაპეზუნტის ნავსადგურს მოადგა [მიხეილ] კომნენოსი, მათ გადაწყვიტეს არ გამოემჟღავნებინათ პირდაპირ თავიანთი სამოქმედო გეგმა... და, აი, ისინი მამინვე შესაფერისი პატივით შეხვდნენ მას და მიიყვანეს მთავრობის სასახლეში... მეორე დღესვე ზღვით გაუგზავნეს საჭურისს, რომელიც სენატორთა დასს ეკუთვნოდა...“ (ნიკიფორე გრიგორასი 1967:148-149).

⁹ პირველი მცდელობა ჰქონდა დავით კომნენოსს, ტრაპიზონის იმპერატორის, ალექსის (1204-1222), ძმას. მაგრამ კონსტანტინეპოლის ეკლესიამ ეს არ დაუშვა. ორ ეკლესიას შორის არსებული დამაბუღელი ურთიერთობა გამოსწორდა იმპერატორ მანუელ I-ის (1238-1263) მეფობის დროს, უფრო მეტად კი — 1280 წლიდან (Χρυσόρθიუ 1933: 175-181).

¹⁰ სახელი „ანასულის“ კომპოზიცია. შედგება ორი კომპონენტისაგან: საკუთარი სახელი „ანა“ და თურქული ზედსართავი სახელი soyun, რომლის მნიშვნელობებიცაა: გვარიშვილი, დიდგვაროვანი, კეთილშობილი, ჯიშინი.

მიხეილ კომნენოსმა სულ ხუთი წელი იმეფა. ამასობაში დასუსტებული მოწინააღმდეგე დასი ნელ-ნელა გაძლიერდა, ხალხიც მას მიემხრო და 1349 წლის 13 დეკემბერს მიხეილი ტახტიდან ჩამოაგდეს. 22 დეკემბერს ტრაპიზონში დაბრუნდა ანა ანახუტლუს ძმისწული, იოანე. 1350 წლის 21 იანვარს გვირგვინი დაიდგა (10-12 წლის ასაკში) წმიდა ევგენიოსის ტაძარში, სახელით ალექსი. მიქაელ პანარეტოსის თანახმად, ეს სახელი დაირქვა, პაპის (ალექსი II-ის) გამო. ჩვენი აზრით კი — უდროოდ გარდაცვლილი ძმისა, რადგან მის კუთვნილ ტახტზე ავიდა. ისტორიოგრაფიაში დამკვიდრდა ალექსი III-ის (1349-1390) სახელით.

ანა ანახუტლუს მეფობა ხანმოკლე აღმოჩნდა (1341 წლის 17 ივლი-სიდან 1342 წლის აგვისტოს ბოლომდე). ცხოვრება ტრაგიკულად დაასრულა, მაგრამ დასახული მიზნის განხორციელება მაინც შეძლო. ტრაპიზონის სამეფო ტახტი “დიდ კომნენოსთა” დინასტიას შეუწარმოა.

აი, ასე გადაიკვეთა ქართველთა და ტრაპიზონელი კომნენოსების ინტერესები იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტერში.

ჯვრის მონასტრისა და ტრაპიზონელი კომნენოსების ურთიერთობა ამ ერთი შემთხვევით არ ამოწურულა. იერუსალიმის პატრიარქის, დოსითეოსის (1669-1707), თანახმად, “*მამლუქების ბატონობის პერიოდში წმინდა მიწის ეკლესია-მონასტრებს ბიზანტიელები ვეღარ მფარველობდნენ. ეს საქმე, პირველყოვლისა, იტვირთეს ქართველებმა*” (Δοσιθέου 1715: 1160). მცდელობას არ აკლებდნენ ტრაპიზონელი კომნენოსებიც. ანა ანახუტლუს წმიდა ექვთიმეს მონასტერი ტრაპიზონელი კომნენოსების სავანედ იქცა. მათი ოჯახის წევრები, განსაკუთრებით ქალები, ხშირად დადიოდნენ წმინდა ადგილების მოსალოცავად. ტრაპიზონის მეფეები კი ერთნაირად

თურქული *soylu* ბერძნული ენის პონტოს დიალექტშიც დამკვიდრებულა, შესატყვისი დაბოლოებებით: *სოილჲ* (სოილის), *სოილჲს* (სოილუ), *სოილჲნ* (სოილინ). კილოკავებში გვხვდება „ლ“-იანი ფორმებიც: *სოილჲს* (სოილის) და *სოილჲს* (სოილლუ). ამრიგად, „ანასულლი“ (ანა+სოილლუ) თრქულისა და ბერძნული ენის პონტოს დიალექტის საფუძველზე იხსნება და ნიშნავს „დიდგვაროვან ანას“. პონტოს დიალექტის მეშვეობით იხსნება ანასულლის შვილის სახელიც „იალი“. პონტოს არეალში სახელი *Ἰάκχιος* (იოანის) ბიზანტიური პერიოდიდან დასტურდება ფორმით *Ἰάκχιος* (იანგოს). ძველი ბერძნული *γ* (გამა) ბიზანტიურ ბერძნულში გამოითქმის როგორც ქართული „ლ“. როგორც ჩანს, ივერიის მონასტრის ალაპის (N159) ჩამწერმა ეს იცოდა, მაგრამ ის ვერ გაითვალისწინა, რომ ორი გამა (*γγ*) გამოითქმის არა როგორც „ლ“, არამედ როგორც „ნგ“ (*Ἰάκχιος* - იანგოს). ამიტომ თანხმოვანთკომპლექსი *γγ* ისევ „ლ“-დ ჩაწერა, რის შედეგადაც მივიღეთ „იალი“. ბიზანტიელი ისტორიკოსების თანახმად, „ანახუტლუ“ ანა დიდი კომნენოსის ზედწოდებაა. სავარაუდოდ, ეს ზედწოდება მან ტრაგიკული აღსასრულის შემდეგ მიიღო, დიდი ჩინგიზ ხანის შთამომავლის, ხუტლუნ ჩახას, ანალოგიით, რადგან ხუტლუნმა სიცოცხლე მამის საფლავის დაცვას შესწირა, ანა კომნენოსმა კი — მამის ტახტისა. ვრცლად ამის შესახებ, იხ.: თ. მესხი, ჯვრის მონასტრის ალაპებში მოხსენიებული ანთროპონიმების — „ანასულლის“ და „იალის“ ეტიმოლოგიისა და იდენტიფიკაციისათვის (თ. მესხი 2020: 660-688).

ზრუნავდნენ როგორც წმიდა ექვთიმეს მონასტრისათვის, ასევე სხვა სალოცავებისთვისაც (Χρυσοστόμους 1970: 486).

ისიც ცნობილია, რომ მოგვიანებით იბერიელებმა და ტრაპიზონელმა კომნენოსებმა მიიღეს გაბედული გადაწყვეტილება, დაეწყოთ ჯვაროსნული მოძრაობა წმინდა ადგილების დასაუფლებლად. ამ მიზნის განსახორციელებლად, ბურგუნდიის გრაფს, ფილიპეს, დაუკავშირდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მცდელობამ შედეგი არ გამოიღო. 1460 წელს პაპმა პიუს II-მ (1458-1464) იმავე ფილიპეს იერუსალიმის გვირგვინი გაუგზავნა, რათა როგორმე აემოქმედებინა, მაგრამ ბურგუნდიის გრაფმა ამ შემთხვევაშიც უკან დაიხია. მხოლოდ ის შეძლო, რომ გარდაცვალების წინ (1467 წ.) თავისი გული ანდერძით იერუსალიმს მიუძღვნა (Χρυσοστόμους 1970:492).

და ბოლოს, იერუსალიმის სააღაპე წიგნში 10 ნოემბრისათვის განწესებულია აღაპი ჯვარის მტვირთველისა გერასიმესთვის (აღაპი N 56): „ამ(ა)სვე დღ(ე)სა ნოე(ნ)ბერს(ა) ი. გ(იორგ)ისა დღ(ე)ს(ა)სწაულსა წ(ი)რვა და აღ(ა)პი საუკ[უნოჲ] ჯ[უ]არის მტ(ვი)რთვ(ე)ლ(ი)ს[ა] გ(ე)რ(ა)სიმ(ე)სი გ(ა)რდაჲდ(ე)ბ(ო)დეს, შეუნდვენ ღმერთმან“ (ელ. მეტრეველი 1962:84).

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სააღაპე წიგნში განთავსებული 320 აღაპიდან მხოლოდ ამ აღაპში მოიხსენიება სახელი „გერასიმე“. ელ. მეტრეველი ამ აღაპს XIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედით ათარიღებს, მაგრამ, არ არის გამორიცხული, აღაპში მოხსენიებული „ჯუარის მტვირთველი გერასიმე“ სწორედ ის გერასიმე იყოს, რომელმაც წმიდა ექვთიმეს მონასტერში იღვაწა და ზემოხსენებული ანდერძი დაწერა. ამ თვალსაზრისის სასარგებლოდ მეტყველებს შემდეგი გარემოებანი:

1. ვინაიდან გერასიმე ბერმა წმიდა ექვთიმეს მონასტრის ზედამხედველობა ჯვარის მონასტერს ჩააბარა, წარმოუდგენელია, მონასტრის კრებულს გერასიმე ბერისთვის აღაპი არ განეწესებინა.

2. იმის გათვალისწინებით, თუ როგორი თავდადებით იღვაწა და იშრომა გერასიმე ბერმა წმ. ექვთიმეს მონასტერში, ანა დიდი კომნენოსის ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ კი ძალისხმევა არ დაიშურა მისი სურვილების განსახორციელებლად, ზედწოდება „ჯვარის მტვირთველი“ სავსებით მიესადაგება.

3. ანდერძში გერასიმე ბერი თავად აღნიშნავს, რომ უკვე ასაკოვანი და დაუძლურებული იყო („თავთავის მკის დრო დადგა“), რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ ანდერძის დაწერის (1344) შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია. ვინაიდან მონასტერს აღაპი „ჯუარის მტვირთველისა გერასიმესი“ 10 ნოემბრისათვის განუწესებია, შესაძლოა, გერასიმე მომდევნო წლის (1345) ნოემბერის დასაწყისში გარდაიცვალა. აღაპი „ჯუარის მტვირთველისა გერასიმესი“ კი შეიძლება 1345 წლით დათარიღდეს.

ლიტერატურა

1. ანნა კომნენე, ალექსიადა, გეორგიკა, ტ. VI, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1966, 33-121.
2. თურქულ-ქართული ლექსიკონი, ლია ჩლაიძის რედაქციით, ტ. II, სტამბოლი, 2001.
3. მესხი თ., ჯვრის მონასტრის ალაპებში მოხსენიებული ანთროპონიმების — „ანასულის“ და „ილის“ ეტიმოლოგიისა და იდენტიფიკაციისათვის, ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, XIII, 2020, 660-688.
4. მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.), თბ., 1962.
5. მეტრეველი ე., ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, თბ., 1998.
6. მიქელ პანარეტოსი, ამბავი ტრაპიზონის მეფეების დიდი კომნენოებისა თითოეულმა როგორ, როდის და რამდენ ხანს იმეფა, გეორგიკა, ტ. VII, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1967, 161-224.
7. ნიკიფორე გრიგორასი, ისტორია, გეორგიკა, ტ. VII, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1967, 119-160.
8. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XIII-XV სს.), ტექსტები და გამოკვლევები მომზადებულია ქრისტინე შარაშიძის მიერ, თბ., 1982.
9. შარაშიძე ქრ., სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.), თბ., 1961.
10. ჯავახიშვილი ი., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბ., 1982.
11. ჯაფარიძე გ., ქართველთა სავანეები და სამონასტრო თემი წმინდა მიწაზე XI-XVIII საუკუნეებში, თბ., 2018.
12. Δοσιθέου Ἱεροσολύμων, Περὶ τῶν ἐν Ἱεροσολύμοις πατριαρχέουσων, Βουκουρέστιον, 1715.
13. Δοσιθέου Νοταρᾶ, πατριάρχου Ἱεροσολύμων, παραλειπόμενα ἐκ τῆς ἱστορίας περὶ τῶν Ἱεροσολύμοις πατριαρχησάντων, Ἀνάλεκτα Ἱεροσολυμιτικῆς Σταχιολογίας, τόμος Α΄, Ἐν Περσούπολει 1891, 231—307.
14. Μιχαήλ Δούκας, Βυζαντινοτουρκικὴ Ἱστορία, Ἐκδόσεις Κανάκη, Ἀθήνα, 1997.
15. Μιχαήλ Πανάρετος, Χρονικὸν περὶ τῶν Μεγάλων Κομνηνῶν, ἐκδ.-εἰσαγ.-σχόλια Ο. Λαμπιδής, Ἀρχεῖον Πόντου 22, Ἐν Ἀθήναις 1958.
16. Μπαμπινιώτη Γ., Λεξικὸ τῆς Νέας Ἑλληνικῆς Γλώσσας, Ἀθήνα, 1998.
17. Νικηφόρος Γρηγοράς, Ῥωμαϊκὴ Ἱστορία, τόμος Α΄, Bonn, 1829.
18. Παπαδοπούλου-Κεραμέως Α. Π., Ἀνάλεκτα Ἱεροσολυμιτικῆς Σταχιολογίας, τόμος Β΄, Ἐν Περσούπολει 1894.
19. Παπαδοπούλου Α. Α., Ἱστορικὸν Λεξικὸν τῆς Ποντικῆς διαλέκτου, τ. II (Μ-Ω), Ἐν Ἀθήναις 1961.
20. Σαββίδη Α. Γ. Κ., Οἱ Μεγάλοι Κομνηνοὶ Τραπεζούντας καὶ τοῦ Πόντου. Ἱστορικὴ ἐπισκόπηση τῆς βυζαντινῆς αυτοκρατορίας τοῦ μικρασιατικοῦ ἑλληνισμοῦ (1204-1461), Ἀθήνα, 2005.
21. Σύγχρονον ὀρθογραφικὸν-ἐρμηνευτικὸν λεξικὸν τῆς ἑλληνικῆς γλώσσης (καθαρευούσης – δημοτικῆς), Ἀθήναι, 1961.

22. Χρυσάνθου, μητροπολίτου Τραπεζούντος, Ἡ Ἐκκλησία τῆς Τραπεζούντος, Ἐν Ἀθήναις 1933.
23. Χρυσοστόμου Παπαδοπούλου (Σχολάρχου τῆς Θεολ. Σχολῆς τοῦ Σταυροῦ), Ἡ Ἱερὰ Μονὴ τοῦ Σταυροῦ καὶ ἡ ἐν αὐτῇ Θεολογικὴ Σχολή, Ἐν Ἱεροσολύμοις 1905.
24. Χρυσοστόμου Παπαδοπούλου (Ἀρχιεπισκόπου Ἀθηνῶν καὶ πάσης Ἑλλάδος), Ἱστορία τῆς Ἐκκλησίας Ἱεροσολύμων, ἐν Ἀθήναις 1970.
25. Kuršanskis M., L'Empire de Trébizonde et la Géorgie, REB, 1977, 237-256.
26. Miller W., Trebizond. The Last Greek Empire, London 1926.
27. Карпов С. П., У истоков политической идеологии Трапезундской империи (о происхождении титула), ВВ, 1981, т. 42, с. 101-105.
28. Карпов С. П., История Трапезундской империи, СПб, 2017.
29. Рашид ад-Дин, Сборник летописей, т. 2, М. Л., 1960.

TAMAR MESKHI

KOMNENOSES OF TREBIZOND AND JERUSALEM MONASTERY OF THE CROSS

Summary

The history of Jerusalem Monastery of the Cross is investigated by Georgian, as well as foreign researchers for over a century. Relations between Georgia and the Empire of Trebizond well studied too, however, none of the researches, dedicated to either issue focuses on the fact that the interests of Georgian Kingdom and Komnenoses of Trebizond crossed each other in Jerusalem Monastery of the Cross. Nevertheless, the document, proving it, exists. This is the will, compiled and signed on November 18, 1344 by monk Gerasimos, published in 1894 by A. Papadopoulos- Kerameos (Ἀνάλεκτα 1894: 255-257).

Full Georgian translation of the will, written in Greek language, made by the author of the article, is presented in the article.

It becomes clear from the will, that St. Euthymios Monastery of Jerusalem belonged to the Emperor of Trabzon, Anna Komnene (1341-1342), who is referred to as Anna Anachoutlou by Byzantine historians. Because Anna Komnene, before coronation, was a nun, just on the basis of this will it was considered, that earlier she lived and worked in St. Euthymios Monastery. After tragic death of Anna Komnene, monk Gerasimos bought out the monastery St. Euthymios and left three monks as his heirs, appointing one of them as igoumen of the Monastery. And he appointed each next igoumen of Georgians' Monastery of the Cross as the epitrop (supervisor) of the Monastery.

It is also seen in the will, that there also existed other document - "*Mnemosynon* (commemoration), *Ruled for Each Next Patriarch of Jerusalem Church*", where Anna Komnene's wish was expressed, that the representatives of no oth-

er family but Komnenos, whose parents were from Trebizond, shall deal with St. Euthymios Monastery.

This and other significant information, preserved in the will, is considered against the background of the events, developing in 1341-1344 in the palace of Emperor of Trebizond, described by Nikephoros Gregoras and Michael Panaretos. As a result of comparison of the sources it became clear, that the person, whom Anna Anachoutlou considered her heir, was Ioannis - the son of her brother, Basilios, who ascended the throne under the name of Alexios III (1349-1390). This conclusion is confirmed by the agapes of Jerusalem Monastery of the Cross, addressed to Anasugli, who made abundant donation to the above mentioned monasteries. As a result of study of anthroponyms "Anasughli" and "Yaghi" it becomes clear, that Anasughli and Anachoutlou are the same person, and Yaghi is Anachoutlou's nephew - Ioannis, whom Anna Anakhoutlou adopted to enable him to ascent the Emperor's throne of Trebizond. As Trebizond church was under the jurisdiction of Constantinople church and acted according to Byzantines' wish, it wouldn't perform the ceremony of adoption. Obviously, in this case, as well as in the case of enthronement of Anna Anachoutlou, pro-Georgian group of Trebizond did good job and the ceremony was held in the Monastery of the Cross. Thus, the interests of Georgian Kingdom and Komnenoses of Trebizond crossed each other in Jerusalem Monastery of the Cross. For this reason, Anna Komnene left St. Euthymios Monastery under the supervision of Jerusalem Monastery of the Cross.

სალომე ზედუკაძე

ბორის პასტერნაკი ქართული პოეზიის საკუთარ თარგმანებზე (ქართველ ადრესატებთან მიმოწერის მიხედვით)

საკვანძო სიტყვები: ბორის პასტერნაკი, ქართველი ადრესატები, პასტერნაკის ადრესატები, ეპისტოლური მემკვიდრეობა, ქართველი პოეტები, ტიციან ტაბიძე, ნინო ტაბიძე, პაოლო იაშვილი.

მეთოდები: აღწერა, შედარება, შედარებითი ანალიზი.

ბორის პასტერნაკის ეპისტოლური მემკვიდრეობა მრავალმხრივი შესწავლის საგნადაა ქცეული მკვლევართა შორის. დღესდღეობით მთელ მსოფლიოში ნონფიქშენისადმი გამორჩეული ინტერესის ფონზე მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის, მკაცრი ცენზურის ეპოქის მწერალთა მიმოწერა და მოგონებები ამ ინტერესს კიდევ უფრო ზრდის. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ პასტერნაკი დღეში დაახლოებით 30 წერილს წერდა, განსაკუთრებით 40-იან წლებში, როდესაც თარგმანების გარდა არაფერს უბეჭდავდნენ, მისი ეპისტოლური მემკვიდრეობა ერთობ მდიდარი და მრავალფეროვანია. წინამდებარე სტატიის საკვლევ მასალას რუსი სიმბოლისტი მწერლის ქართველ ადრესატებთან მიმოწერა წარმოადგენს.

მიმოწერის ისტორია თითქმის 30 წელს ითვლის. ბორის პასტერნაკი სულ ოთხჯერ იყო საქართველოში. პირველად - 1931 წელს, შემდეგ - 1933 წელს; მესამედ 1954 წელს ჩამოვიდა ნიკოლოზ ბარათაშვილის იუბილესათვის, ხოლო უკანასკნელად გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, 1959 წლის თებერვალ-მარტში ესტუმრა თბილისს მეუღლესთან, ზინაიდასთან ერთად. „პოეტს საერთო ჯამში საქართველოში დიდი დრო არ გაუტარებია, მიუხედავად იმისა, რომ ურთიერთობების ხანგრძლივობამ თითქმის ათწლეულები შეადგინა, 1931 წლის ზაფხულში პირველი გაცნობიდან 1959 წლის მარტში უკანასკნელ ჩამოსვლამდე. თუმცა მათ, ვინც იცნობს ბ. პასტერნაკის შემოქმედებას, ექმნებათ სამართლიანი წარმოდგენა, რომ ეზიარა რა ერთხელ ამ ქვეყანას, აღარასდროს დაუტოვებია იგი“ (მ. ფილინა, ე. ყიასაშვილი. 1990).

საქართველოში პირველი მოგზაურობიდან დაბრუნებულ ბორის პასტერნაკს სურს, „დაცვის სიგელში“ ცალკე თავები დაუთმოს სკრიაბინს, მარბურგს, რილკეს, ვენეციას და, მათ შორის, თბილისსაც, როგორც

ზემოთ ჩამოთვლილ მოვლენათა თანასწორს თავისი მნიშვნელობით. თუმცა ამ ჩანაფიქრის განხორციელებას მხოლოდ რეპრესირებული მეგობრების რეაბილიტაციის შემდეგ, 1956 წელს შემღებს ნარკვევში „ადამიანები და გარემოებანი“. სამ მუდმივად „თანმდეგ სულს“ შორის ორი ქართველი მეგობარია. „რისთვის გამომიგზავნა განგებამ ეს ორი ადამიანი? რა დავარქვა ჩვენს ურთიერთობას? ორივე ჩემი პირადი სამყაროს ნაწილად იქცა. არც ერთს არ ვამჯობინებდი მეორეს, იმდენად განუყოფელნი იყვნენ, ისე ავსებდნენ ერთმანეთს. მათი ბედი ცვეტაევას ბედთან ერთად უნდა ქვეულიყო ჩემს ყველაზე დიდ მწუხარებად“ (Б. Л. Пастернак, 2005: 341) - წერს იგი ტიციანისა და პაოლოს შესახებ.

„სულ უფრო იზრდება ჩემში პაოლოსა და ტიციანის საერთო უპირატესობის რწმენა, რის პარალელურადაც ვაწყდები მათი იმავტორთა სიიდან იძულებით ამოღების ფაქტს, რომლებიც რეკომენდებულია გასავრცელებლად და ოფიციალური მხარდაჭერა აქვთ. წარმატებას მომიტანდა ამ ადამიანების უარყოფა. მით უფრო ცხოველი იქნება ჩემი მათდამი ერთგულება...“ (Б. Л. Пастернак, 2005: ტ. VIII: 693) - მისწერს ბორის პასტერნაკი თავის მეუღლეს. ტიციან ტაბიძისა და პაოლო იაშვილის ამისთანა ხვედრი მათ უპირატესობად მიაჩნია პოეტს, მთელი მიმოწერა, მისი შემდგომი ურთიერთობა რეპრესირებული მეგობრების ოჯახებთან სწორედ ამის დასტურია.

თბილისში ჩამოსვლის პირველივე საღამოს პაოლოსთან შეკრებილი პოეტები პასტერნაკის წაკითხულ ლექსებს მოისმენენ, წაიკითხავენ საკუთარსაც. ნინო ტაბიძე თავის მოგონებათა წიგნში იხსენებს, როგორ გააოცა იმ ფაქტმა, რომ რუსი პოეტი, რომელსაც სავსებით არ ესმოდა ქართული, ასე გრძნობდა პოეზიის ენას, ითავისებდა ლექსების აზრს. თავად ბორის პასტერნაკი ამის შესახებ მოგვიანებით დაწერს:

«Не зная ваших строф,
Но полюбив источник,
Я понимал без слов
Ваш будущий подстрочник» [ტ. XI, 322].

პწკარედი: „თუმც არ ვიცოდი თქვენი სტროფები,
შევიყვარე რა წყარო,
უსიტყვოდ მესმოდა
თქენი მომავალი პწკარედი“ (ს. ბ.)

საქართველოში პირველი მოგზაურობიდან სამშობლოში მიმავალ პასტერნაკს თანამიაქვს ტიციან ტაბიძისა და პაოლო იაშვილის პწკარედები. პწკარედების ავტორები თავად პაოლო და ტიციანი იყვნენ. ამ პერიოდში იწყება თარგმნის მასშტაბური პროცესი, რომლის ინიციატორიც მაქსიმ გორკი იყო. ამ პროცესში ჩართულები არიან რუსული და ქართული მწერლობის გამორჩეული წარმომადგენლები. რუსებს შორის აღსანიშნავია ნ. ზაბოლოცკი, ნ. ტიხონოვი, პ. ანტოკოლსკი, ბენედიქტ ლიფჩიცი და, რასაკვირველია, ბორის პასტერნაკი. არც ერთმა მათგანმა

ერთული ენა არ იცოდა. გარდა იმისა, რომ საჭირო იყო პწკარედები, არსებობდა შერჩევის პრობლემაც. განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შერჩეულიყო სათარგმნი მასალა. პასტერნაკსა და ქართველ ლირიკოსებს შორის იწყება აქტიური მიმოწერა. პაოლოსა და ტიცციანის პოეზია განსაკუთრებით ახლობელი აღმოჩნდება პასტერნაკისათვის.

ბორის პასტერნაკის წერილებში მისი არაერთი მნიშვნელოვანი მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისი გვხვდება. საინტერესოა საკუთარი თარგმანების მისეული შეფასებები, ასევე, მისი მოსაზრებები ზოგადად თარგმნის ხელოვნებაზე. „ნებისმიერი თარგმანი, კარგიც და ცუდიც, ერთგვარი ძალადობაა დედანზე, უპირველეს ყოვლისა კი - ჩემი თარგმანები. ალბათ, სავსებით ვაუგვანოებ თქვენს შემოქმედებას, ვინაიდან ნებისმიერ ხელოვანს შემოქმედებით პროცესში უყალიბდება მყარი სიტყვათშეთანხმების საკუთარი იდეა, რომელიც ჩემს შემთხვევაში განსაკუთრებით უხეშია: მასში ბევრია დილექტანტური, ცხოვრებასთან ცუდად შერწყმული“ (პასტერნაკი. 2018) - წერს იგი ტიცციან ტაბიძეს და ბოდიშს იხდის მის წინაშე არა იმიტომ, რომ ცუდად თარგმნა, არამედ საერთოდ რომ თარგმნა.

პასტერნაკი, ზოგადად, საკუთარი შემოქმედების შეფასებისას (თუ არ ჩავთვლით „ექიმ ჭიკვაგოს“, რომელსაც თავისი ცხოვრების მთავარ რომანად მიიჩნევს) გამოირჩევა მწვავე კრიტიკული მიდგომით. ეს განსაკუთრებით თარგმანებს შეეხება.

1933 წლის შემოდგომით გაფორმდა ხელშეკრულება გამომცემლობასთან «Московское товарищество писателей» კრებული „ქართველი ლირიკოსები“ თაობაზე. აქ უნდა დაბეჭდილიყო თანამედროვე ქართველი პოეტების რუსული თარგმანები. ქართველ ლირიკოსთა თარგმნა და კრებული გამოცემა პასტერნაკის იმ პერიოდის უმთავრესი საზრუნავია. ამის შესახებ სწერს იგი ყველა თავის ქართველ ადრესატს.

პასტერნაკი ტიცციან ტაბიძეს სთხოვს, მიაწოდოს სათარგმნი პოეტების ავტორისეული პწკარედები ორიგინალის ფონეტიკური თუ ინტონაციური თავისებურებების მითითებებით: „ტიციან, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, როგორი პწკარედები მჭირდება. მართალია, ქართულ ენაში მახვილი არ არის, მაგრამ უმორჩილესად გთხოვთ, აღმინიშნოთ, თუნდაც პირობითად, როგორ იკითხება ლექსი. მაგალითად, არასდროს გამიგია ეთქვათ ტაბიძე ან ტაბიძე, ყოველთვის ამბობენ ტაბიძე. ასევე, თქვენ კითხულობთ: ლექსები და არა ლექსები ან ლექსები“ (პასტერნაკი. 2018). პაოლო იაშვილი და ტიცციან ტაბიძე უკითხავდნენ პასტერნაკს თავიანთ ლექსებს, პოეტიკურ სოფრებდა მათ ჟღერადობას და ცდილობდა თარგმანებში შეძლებისდაგვარად დაეცვა ზომა.

განსაკუთრებით უადვილდება მუშაობა პაოლოს, ტიცციანის, ლეონიძის პწკარედებით: „თქვენი და ლეონიძის პწკარედების მიღებამდე ხელსარმოვკიდებ იმათ, რომლებიც უკვე მაქვს სხვებისგან გამოგზავნილი - მოსაწყენია“ (პასტერნაკი. 2018) - სწერს იგი ტიცციანს. სწორედ პაოლო

იაშვილმა დაიწყო მისთვის ვაჟა-ფშაველას „გველიმჭამელის“ პროზაული თარგმნა. თუმცა დასრულება ვერ მოახერხა. ვაჟას „გველისმჭამელის“ პწკარედები ვალერიან გაფრინდაშვილმა მოამზადა და იგი ცალკე წიგნად გამოიცა თბილისში 1934 წელს, შემდგომ კი შევიდა ვაჟა-ფშაველას კრებულში „პოემები“ (1935).

რაც შეეხება კრებულს „ქართველი ლირიკოსები“, იგი 1935 წელს გამოიცა მოსკოვში. მასში შესულია ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე აბაშელის, ვალერიან გაფრინდაშვილის, იოსებ გრიშაშვილის, ნიკოლომიწიშვილის, კოლაუნადირაძის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, გიორგი ლეონიძის, ალიო მირცხულავას, სიმონ ჩიქოვანის, კარლო კალაძის, ირაკლი აბაშიძის ლექსების თარგმანები. ამ პოეტთა შემოქმედების თარგმნა ორმხრივი ძალისხმევით მოხერხდა, ვინაიდან ის გარემოება, რომ პასტერნაკი პწკარედების საშუალებით თარგმნიდა, თარგმნის საქმეს ართულებდა. „სამუშაოს ადვილად გავართმევდი თავს, ენა რომ ვიცოდე და თავად თარგმანთა მოშველიება არ მჭირდებოდას“ - აღნიშნავს რუსი პოეტი. ამდენად მისთვის პწკარედებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს: „უბრალოდ, თავი წარმოიდგინეთ რუსი მთარგმნელის ადგილას და იმ ცოდნის დახმარებით, რაც თქვენ გაქვთ რუსული ენისა და ლექსის შესახებ, მიეცით მას ნათელი მითითებანი საზომის საწარმოებლად“ (პასტერნაკი. 2018) - სთხოვს პოეტი ტიციან ტაბიძეს.

ლექსის თარგმნისას ინტერპრეტაცია ნებისმიერ შემთხვევაში გარდაუვალია, მით უფრო, თუ მთარგმნელმა არ იცის ორიგინალის ენა. თარგმნის ამ სპეციფიკის შესახებ საუბრისას, პასტერნაკი მოიხმობს ანენსკის მიერ თარგმნილ ჰაინეს *„Ich grolle nicht“* და აღნიშნავს: „შესადლოა, უფრო ზუსტადაც უთარგმნიათ ჰაინე, მაგრამ ჩემს სმენაში მხოლოდ ეს თარგმანი ცოცხლობს და იგი მეჩვენება ყველაზე უფრო ზუსტად, იმიტომ, რომ იგი მიყვარს. ეს თარგმანი, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირია, ისევე, როგორც ჰაინეს ორიგინალი და სწორედ ამაშია მათი უმთავრესი მსგავსება“ (პასტერნაკი. 2018). პასტერნაკის ეს სიტყვები მკითხველს ნათელ წარმოდგენას უქმნის თარგმნის პროცესში მის პრიორიტეტებზე: ინტერპრეტაცია გარდაუვალია, თუმცა ჟღერადობის, საზომის, ფონეტიკური თუ ინტონაციური თავისებურებების გადმოცემისას სიზუსტის დაცვისთვის ძალისხმევას არ იშურებს.

საქართველოში პირველი მოგზაურობიდან მოყოლებული, პასტერნაკი თავისი ცხოვრების თითქმის ყველა ეტაპზე თარგმნის ქართველ პოეტებს. როგორც კი დრო გამოუჩნდება, პასტერნაკი პწკარედების თხოვნით მიმართავს ტიციანს. „იქნებ აპრილში ხანმოკლე დასვენების ნება მივცე საკუთარ თავს და მიწა ამ დროისათვის მომიმზადოთ და გამომიგზავნოთ თქვენი რამდენიმე შედარებით უფრო ლირიკული პწკარედი“ (პასტერნაკი. 2018) - სწერს იგი 1935 წლის 10 მარტს ტიციანს.

„ძნელი არ იქნება იმის წარმოდგენა, როგორ შემძრავდა და გამამხნეებდა თქვენი წინადადება“ (პასტერნაკი. 2018) - პასუხობს მას ტიციან ტაბიძე, თუმცა ამ თხოვნის შესრულებაზე უარს ეუბნება, ვინაიდან არ სურს პოეტის თავისუფალი დროით ისარგებლოს.

აკაკი წერეთლის დაბადების 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილ მწერალთა კავშირის პლენუმზე პასტერნაკიც მოიწვიეს. სწორედ ამ პლენუმისათვის თარგმნა მან აკაკის ორი ლექსი: „გოგოლის ხსოვნას“ და „პოეტი“. ამ ჩამოსვლისთვის გეგმავდა იგი „ჰამლეტის“ საჯაროდ წაკითხვას, რომელსაც იმ პერიოდში თარგმნიდა და ჯერ არც ჰქონდა დასრულებული. ქართული საზოგადოება ერთ-ერთი პირველი მოისმენდა ჯერ კიდევ დაუბეჭდავ თარგმანს.

ნინო მაყაშვილ-ტაბიძეს, რომელთანაც პასტერნაკს თავისუფლად შეუძლია ისაუბროს თავის შემოქმედებაზე, ლიტერატურაში მიმდინარე პროცესებზე, ერთ-ერთ წერილში ავტორი ჰამლეტის თარგმანზე ესაუბრება და იქვე იძლევა იმდროინდელი კრიტიკის შეფასებას: „ჩემი ჰამლეტი ჯერ არავის გაუკიცხავს, მაგრამ ვინაიდან მეც იმავე პლანეტაზე ვცხოვრობ, სადაც ასეთი მოულოდნელობები შეიძლება შეემთხვეს ლეონიდ მაქსიმოვიჩს (გულისხმობს ლეონოვს, რომლის კრიტიკის ქარცეცხლში მოხვედრის შესახებ წერს კიდევ - ს.ზ.), რატომ უნდა შეუშალოს ხელი ვინმე „სპეციალისტთაგანს“ ან სხვა კატეგორიის ადამიანს, რომელსაც გულზე დიდად არ ვეხატები, რომ ჩემი თარგმანები შექსპირის ვულგარიზაციად გამოაცხადოს, თქვას, რომ ეს ავტორის დაკნინებაა, ისევე, როგორც გასულ წელს მსაყვედურობდნენ იდეალიზაციას და ა.შ., ამისგან კი შორს აღარაა ხულიგნობის დაბრალება“ (პასტერნაკი. 2018). თუმცა პოეტი მშვიდად ხვდება ამ „კრიტიკულ ხმებს“.

40-იან წლებში პასტერნაკს თარგმანს ინტენსიურად უკვეთავენ. მათ შორის არიან ქართველი ავტორებიც. თუმცა პოეტი თარგმნის არა ყველაფერს, არამედ - შერჩევით. მისთვის ორჯერ უთხოვიათ „პრავდიდან“ გიორგი ლეონიძის ლექსების თარგმნა. თუმცა არ უთარგმნია. პირველმა ლექსმა, რომელიც სტალინზე იყო, არ დააინტერესა, ხოლო მეორე, მართალია, მოეწონა, მაგრამ ვერ თარგმნიდა ისე, როგორც საჭირო იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ „საკუთარი თავი მეორეულ, დაქვემდებარებულ პოზიციებზე დავაყენო, რაც მაშინ, როცა გაქანებული ბრძოლაა არსებობისათვის, ხოლო ჩემი ყოფითი პირობები ასეთი ორჭოფულია, ძალზედ საზიანოა ჩემთვის, შეიძლება ითქვას, დამღუპველიც კი“ (პასტერნაკი. 2018). ამდენად, პასტერნაკი თარგმნის იმას, რასაც ბოლომდე ითავისებს და იცის, რომ გამოუვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პაოლოსა და ტიციანის შემთხვევაში თარგმანების წარმატებას დიდად განაპირობებდა პწკარედების შექმნა უშუალოდ ორიგინალის ავტორთა მიერ. პაოლო უკითხავდა ლექსებს ქართულად, რაც ეხმარებოდა ორიგინალის რიტმის, რითმებისა თუ ლექსწყობის გათავისებაში. პასტერნაკი

ნინოს საშუალებით ბოდიშს უხდის გიორგი ლეონიძეს, თუმცა ჰპირდება, რომ მის შემოქმედებას უწინდელი სიყვარულითა და გულისხმიერებით წარადგენს რუსულენოვანი მკითხველის წინაშე.

ბორის პასტერნაკი ამ პერიოდის თავის მოღვაწეობას, როცა მხოლოდ თარგმნიდა, გადამწერის პროფესიას ადარებს და მიაჩნია, რომ ეს სამწერლობო საქმიანობა არ არის: „გასამრჯელოს გამომუშავება ხომ დახარჯული მეღნის პროპორციულად მიწევს და არა - გაკეთებულის როლისა და ხარისხის პროპორციულად...“ (პასტერნაკი. 2018). მაშინ, როცა ასე მწვავედ აღიქვამს ბეჭდურ სივრცეში არსებულ იმდროინდელ რეალობას, პოეტისთვის პირადი მიმოწერა თვითრეალიზების საშუალებაა, მწერალია და არა - გადამწერი. ამდენად, სრულიად მართებულად მიგვაჩნია მარია ფილინას შენიშვნა იმასთან დაკავშირებით, რომ „პასტერნაკის ეპისტოლური მემკვიდრეობა მისი პროზის ერთ-ერთი ჟანრის მთლიანი ორგანიზმია“ (ფილინა. 2018).

მაშინაც კი, როცა მთლიანად პროზაზეა გადართული, პასტერნაკს მაინც უწევს თარგმანებზე მუშაობა. ეს, ფაქტობრივად, მისი შემოსავლის ერთადერთი წყაროა 40-50-იან წლებში. 1947 წლის ზაფხული ნინო ტაბიძემ პასტერნაკებთან გაატარა. თბილისში მიმავალს პოეტი ბესო ჟღენტან ატანს წერილს და ბარათაშვილის გადაკეთებულ თარგმანებს. ბესო ჟღენტი გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი იყო. სწორედ აქ იბეჭდებოდა პასტერნაკის ქართული თარგმანების კრებული. შემორჩენილია ჟღენტან მიწერილი წერილი, რომელიც შეიცავს „მერანის“ პირვანდელ ვარიანტს («Лети, Мерани, конь мечты моей! / Пусть каркает вдогонку ворон чёрный. / Рвись без оглядки мыслью упорной / Без устали вперёд за грани дней» (Пастернак. 2005)). ეს ვარიანტი არც ერთ გამოცემაში არ შესულა, იგი აღნიშნულმა წერილმა შემოუნახა მკითხველს.

1956 წლის 7 მარტის წერილთან ერთად პასტერნაკი ნინოს ტიცციანის ლექსების თარგმანებს უგზავნის და იქვე მათ შეფასებასაც იძლევა: „მუხრანის ველზე სათქმელი ლექსები“ რთული და მეტყველია თავისი პოეტურ აზრთა დინებით და შეიძლება თარგმანში მძიმე გამომივიდა, იმაზე უარესი, ვიდრე *ო<ლგა> ვ<სევოლოდოვნა>-ს*“ (პასტერნაკი. 2018). ამდენად, ტიცციან ტაბიძის კრებულში ამ ლექსის ივინსკაიასეული თარგმანი არ გამოქვეყნებულა, თარგმანი პასტერნაკს ეკუთვნის.

1957 წელს გამოიცა ტიცციანის ლექსების კრებული, რომლის შედგენაშიც უშუალოდ მონაწილეობდა ნინო. ამ პერიოდს მიმოწერაში პასტერნაკი საკუთარ მოსაზრებებს გამოთქვამს კრებულში შესული თარგმანების შესახებ. დადებითად აფასებს ტიხონოვის, ანტოკოლსკის, ზაბოლოცკის თარგმანებს. განსაკუთრებით მოსწონს სპასკი. მან კარგად იცის, თუ რა სიფრთხილე მართებს მთარგმნელს, რათა გადმოსცეს ის, რაც ორიგინალის არსსა და მშვენიერებას წარმოადგენს. ბედნიერ შემთხვევითობად ასახელებს ისეთ გამონაკლისებს, როგორიცაა

დერჟავინის „შეხვედრა კ. ბალმონტთან მოსკოვის ახლო ტყის ქალაქში“, ზაბოლოცკის „თავფარავნელი ჭაბუკი“ და მარტინოვის „ლექსის დაბადება“. საკუთარი ნამუშევრით უკმაყოფილოა გაპარული ბექდვითი შეცდომების გამო.

პასტერნაკს განსაკუთრებით მოსწონს ტიციანის ბოლო წლების ლექსები. მათში თითქოს უკვე უჩნდება ტიციანს წინათგრძნობა იმისა, თუ რა იქნება „ბოლოს“. ეს თემა პასტერნაკისათვის განსაკუთრებით ახლობელი სწორედ ამ პერიოდში ხდება, მაშინ, როდესაც მრისხანების ახალი ტალღა დაატყდება რომანის გამო. იგი სთხოვს ნინას, რომ ნულარ იზრუნებს ტიციანის კრებულში მისი თარგმანების შეტანაზე. თუკი აქამდე თარგმანებს მაინც უბეჭდავდნენ, „ექიმი ჟივავოს“ შემდეგ მწერალს ამაზეც პრობლემები ექმნება.

ნიკოლოზ ბარათაშვილის თარგმნა პასტერნაკმა სიმონ ჩიქოვანის თხოვნით დაიწყო. იგი სიმონს თარგმნის პროცესზე ესაუბრება. უნახავს ბარათაშვილის მოსკოვური და ლენინგრადის გამოცემები, სადაც შესულია სპასკის, ანტოკოლსკის, ლოზინსკის, ლიპსკეროვის, ვალერიან გაფრინდაშვილის, ბრიკის, ვერხოვსკის, დერჟავინის და სხვათა თარგმანები. განსაკუთრებით გამოყოფს გაფრინდაშვილს. „აქედან უნდა შეიქმნას რუსული ლექსები, როგორც ამას ვაკეთებდი შექსპირიდან, შევჩენკოდან, ვერლენიდან და სხვ. ჩემი ამოცანა ასე მესმის. მთელი ეს დეკადები, კოლექტიური კითხვა, სამეცნიერო სტატიები ქართული ლექსის გადმოცემის შესახებ და შემდეგ თავად გადმოცემები, ყოველივე ეს სადეპარტამენტო, პირობითი მოვლენებია, რომლებიც ორმხრივ თავაზიანობას ეფუძნება, მკითხველისთვის კი აუტანელია. უნდა მიაწოდო, შეძლებისდაგვარად, რამე მსუბუქი, ახალი და უპირობო. ეს ბევრს საკამათოდ მოეჩვენება, იტყვიან, ზედმეტად თავისუფალი ბარათაშვილიაო, მაგრამ ეგ არ მაშინებს“ (პასტერნაკი, 2018). თარგმნის მისეულ პრინციპს არც აქ ღალატობს და ბარათაშვილზე მუშაობასაც ამგვარადვე აგრძელებს: „...არა თუ არ მომიხდა წერის იმ მანერას შევლეოდი, რომლითაც ბოლო წლებში ვწერ, არამედ, პირიქით, ბარათაშვილი აღმოჩნდა სამადლობელი საბაზი საიმისოდ, რომ რამდენიმე ნაბიჯით წინ წავიწიო ამ მიმართულებით“ (პასტერნაკი, 2018).

ნიკოლოზ ბარათაშვილის თარგმნისას პასტერნაკს ხშირი მიმოწერა აქვს სიმონ ჩიქოვანთან. თავდაპირველად პასტერნაკი ყოყმანობდა, ეთარგმნა თუ არა „ბედი ქართლისა“. ამ პოემის გაფრინდაშვილისეული თარგმანი რუს პოეტს ძალიან მოსწონს და მიაჩნია, რომ ჯობს გაკეთებულით დაკმაყოფილდნენ. თუმცა, საბოლოოდ, ჩიქოვანის დაჟინებული თხოვნით, პოეტმა მაინც თარგმნა ბარათაშვილის პოემა.

„კუფტინებისთვის მიწერილ წერილში თქვენთან ყოფნას მისტერია ვუწოდე. სხვა უფრო შესაფერისი სიტყვა არ მომეძებნება იმ სიყვარულისა და სევდის ტალღების გამოსახატავად, რასაც ამ დღეების

მოგონება იწვევს ჩემში“ (პასტერნაკი, 2018) - სწერს პასტერნაკი სიმონ ჩიქოვანს. ამ მისტერიით შთაგონებული თარგმნის ქართველ პოეტებს. 1945 წლის ოქტომბერში „ზარია ვოსტოკაში“ დაიბეჭდა მის მიერ ნათარგმნი ბარათაშვილის ლექსები „ბულბული ვარდზედ“ და „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს“. 1946 წლის თებერვალ-მარტში იბეჭდება სიმონ ჩიქოვანის ლექსების ახალი თარგმანები. 1946 წლის 25 იანვარს პასტერნაკი ჩიქოვანს „მერცხლის ბუდის“ თარგმანს უგზავნის და მის შეფასებას ელის. ავტორის აზრი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთარგმნელისთვის. პასტერნაკი საკუთარ თარგმანს დედნის ღირსად არ მიიჩნევს: „მასში არის ცეცხლი, მოძრაობა, რაც აუცილებელია ასეთი ლექსისთვის და არ ვიცი, ვაი თუ გავაფუჭო, ზედმეტი კირკიტით რომ დავიწყო მასზე მუშაობა და ვაზუსტო ყველაფერი“ (პასტერნაკი, 2018). თარგმანმა მოწონება დაიმსახურა და მალევე დაიბეჭდა კიდევ.

1952 წელს პასტერნაკი იწყებს გიორგი ლეონიძის პოემის, „ნიკოლოზ ბარათაშვილის“, თარგმნას: „დავიწყე ბარათაშვილის სიკვდილზე დაწერილი გიორგი ლეონიძის ლექსის რიტმულად და რითმებით თარგმნა. ლექსში ერთმანეთს ენაცვლება საავტორო ლექსები ამონარიდებით ბარათაშვილიდან და ეს ამონარიდები და კონტრასტები, ალბათ, ცხადად მხოლოდ ქართულად სწვდება ყურთასმენას, პწკარედში კი იკარგება და ვერ ითარგმნება“ (ბ. პასტერნაკი, 2018: 199). ამიტომაც ფიქრობს, რომ თარგმანი არ გამოვიდა და ამის მიზეზად არასათანადოდ მომზადებულ პწკარედებსაც მიიჩნევს. თავად თარგმანს „უაზრობად“ აფასებს, ისე, რომ ჯერ არც კი მოუსმენია არც ლეონიძის და არც სხვა ქართველი პოეტის შეფასება.

ბორის პასტერნაკმა ფაქტმა თვალთვადის თხოვნით აკაკი წერეთლის სამი ლექსი თარგმნა და 1952 წლის 22 ივნისს მიწერილ წერილთან ერთად გაუგზავნა მას. ესენი იყო: „...ჩემო თავო, ბედი არ გიწერია“, „ქებათა-ქება“ და „ჩანგი“, რომლებიც შევიდა კრებულში: Акаки Церетели. Избранные стихотворения. М. – Л., 1953. „სირცხვილით ვიწვოდი, როცა ... ამ ნაცრისფერ სისულელეზე კეთილგანწყობით საუბრობდნენ“ (პასტერნაკი, 2018) - წერს პასტერნაკი სიმონ ჩიქოვანს და პირველ ყოვლისა სწორედ სიმონის შეფასებებს გულისხმობს, რომელიც წერს, რომ აკაკი წერეთლის ლექსები „ქებათა-ქება“ და „...ჩემო თავო, ბედი არ გიწერია“ მასში „განსაკუთრებულ აღფრთოვანებას“ იწვევს და პირველ მათგანს „პოეტური თარგმანის შედეგს“ უწოდებს.

მართალია, არც წერეთლის თარგმანებით არის კმაყოფილი, თუმცა თვალთვადესთან მიწერილ წერილში აღნიშნავს, რომ აკაკი ისეთ „სავალალო განუსაზღვრელობაში“ არ დაუტოვებია, როგორშიც ლეონიძე. იმ შემთხვევაში, თუკი დაიჟინებენ მათ დაბეჭდვას, პასტერნაკი თავად გამოსთხოვს უკან, რათა ოდნავ მაინც მისცეს ადამიანური სახე. არც ის ეწყინება, თუ გია მარგველაშვილი პწკარედებს სხვას გადასცემს სათარგმნად. ქართველ მეგობრებთან მიწერილი პასტერნაკის წერილები

სწორედ გია მარგველაშვილმა შეკრიბა და გამოსცა 1966 და 1980 წლებში.

„ექიმ ჟივაგოზე“ მუშაობით პასტერნაკის შემოქმედებაში ახალი პერიოდი იწყება. ეს ნაწარმოები მისთვის მთავარ ქმნილებად იქცა. სიცოცხლის ბოლოს პასტერნაკი მხოლოდ საკუთარ ქმნის, თარგმანები ძალზედ იშვიათია. ამ საქმიანობაზე უარის თქმის სურვილს ჯერ კიდევ 1952 წლის ივნისში გამოთქვამს თვალთვადისთვის მიწერილ წერილში. 1957 წლის აგვისტოში კი ჟურნალისტსა და ლიტერატურათმცოდნეს, გარეგინ ბებუტოვს მისწერს: „თარგმანებმა ჩემი მოღვაწეობის საუკეთესო წლები წამართვეს, ახლა ამ დანაკარგის ანაზღაურებაა საჭირო“ (პასტერნაკი, 2018). როგორც უკვე ითქვა, მთარგმნელობითი მოღვაწეობა ორიგინალური შემოქმედების ხარჯზე წარიმართა. პოეტი სინანულს გამოთქვამს იმ წლების გამო, ვინაიდან საშუალება არ ჰქონდა, საკუთარი შეექმნა. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ პასტერნაკის თარგმანებში იმდენივეა ავტორისეული, რამდენიც მთარგმნელისეული.

მწერალი მთარგმნელობით საქმიანობას, მართალია, იმავე ინტენსივობით არა, თუმცა სიცოცხლის ბოლომდე აგრძელებდა. ამ მხრივ ბორის პასტერნაკის ამაგი ქართველი ერის წინაშე უდავოდ დიდია. თუმცა ეს მთარგმნელობითი საქმიანობა, ისევე, როგორც ქართველ კულტურის მოღვაწეებთან სიახლოვე და მეგობრობა, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო რუსი მწერლისათვის. პასტერნაკისთვის საქართველოში მოგზაურობა იქცა საკუთარ თავში მოგზაურობად, მის ხელახლა დაბადებად (როგორც შემოქმედებითი, ისე პიროვნული თვალსაზრისით), „განრიგოდან ამოვარდნად“, ტიციანისეულ „გადავარდნად“ (ასე უწოდებდა, სიმონ ჩიქოვანის თქმით, ტიციანი მისთვის დამახასიათებელ განსაკუთრებულ, მშფოთვარე ინტონაციას).

ბიბლიოგრაფია

1. Акиншина А., Формановская Н., «Этикет русского письма», Москва, 1981, изд. «Русский язык».
2. Балუашვილი В., «Мир, далёкий и драгоценный», «Вечерний Тбилиси», 1990/10 февраля.
3. Балუашვილი В. – Некоторые проблемы идейно-эстетического взаимообогащения национальных литератур (Тициан Табидзе и русская поэзия). Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора филологических наук. Тбилиси, 1973 г.
4. ბედუკაძე ს. „ბორის პასტერნაკის ქართველი ადრესატები, წერილები“. თბილისი. 2018. გამომცემლობა „გლოსა“.
5. Иванова Н., «Пастернак и другие», Москва, 2003
6. Маргвелашვილი Г. «Край ставший мне второй родиной», «Вопросы литературы», 1966, №1.
7. Маргвелашვილი Г. Письма друзьям. Автобиография. «Литературная Грузия»,

- №1-2, 1966 г.
8. Озеров Л., «Чудотворство»- «Известия», 1990/8 февраля.
9. Пастернак Б. Л., Полное собрание сочинений, Т. I, II, III, IV, VIII, IX, X, XI Изд. «Слово»/ Slovo, 2005;
10. ტაბიძე ნ., ცისარტყელა განთიადისას. ტიციანი და მისი მეგობრები, 2016, თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი“.
11. Филина М., Киасашвили Е., «Цель творчества – самоотдача», «Заря Востока», 1990/11 февраля.
12. Филина М., Киасашвили Е., – Содружество культур: личность и эпоха (Тициан Табидзе и русская культура), «Заря Востока», 14.10.1983 г.
13. Филина М., Киасашвили Е., – Союз сердец (о переписке писателей 20-30 годов), «Заря Востока», 26.08.1984 г.
14. Филина М. – Личность писателя и проблема взаимообогащения культур (Тициан Табидзе и русская культура). Тезисы Всесоюзной научной конференции «Актуальные проблемы развития социалистических национальных культур», Махачкала, 1982 г.
15. Филина М., Киасашвили Е., – Малоизвестный сюжет в переводческой деятельности Бориса Пастернака. В сб.: Русский литературный авангард. Издательство Департамента Истории Европейской Цивилизации. Университет Тренто. Италия, 1990 г.
16. Филина М. – Содружество поэтов как явление культуры (из истории союза Бориса Пастернака с грузинскими символистами). Сб. научных трудов «Серебряный век в русской литературе». Тбилиси, ТГУ, 2004 г. 182-192 გვ.
17. Филина М. А. – «Письма Бориса Пастернака к грузинским друзьям в контексте своей эпохи и нашего времени». Сборник по материалам конференции: Борис Пастернак и Тициан Табидзе: дружба поэтов как диалог культур. Москва. Литературный музей. 2016 г.
18. ჩიქოვანი ს., თხზულებანი ოთხ ტომად, I, II, III, IV ტომები, თბილისი, 1983, გამომცემლობა „მერანი“;

SALOME BEDUKADZE

BORIS PASTERNAK ON HIS OWN TRANSLATIONS OF GEORGIAN POETRY (Correspondence with Georgian addressees)

Summary

Boris Pasternak's letters to the Georgian addressees are an important research material for understanding the translation process or the writer's views and opinions on his own translation work. The research presented here is based on the part of Boris Pasternak's epistolary heritage addressed to his Georgian friends.

The personal letters of Boris Pasternak have always arisen the interest of researchers and even today it is still in progress.

If we take into account the attitude of Boris Pasternak to Georgia and Georgian people and what an important role imposed on Titsian Tabidze, Paolo Iashvili, Nina Tabidze, Tbilisi and throughout Georgia in his life and work, it will help us to make clear that until Pasternak is being talked, these letters won't lose its actuality too. It should also be noted that it's impossible to create a relevant idea about the Georgian-Russian literary relations of the 30-50s of the XX century without this correspondence.

This is the first study of the whole Boris Pasternak's epistolary heritage addressed to his Georgian friends and the definition of a specific research topic. There is an attempt in the article to present the views of the Russian writer on the basis of the letters' analysis, about his own artistic translations and the art of translation in general.

The article provides an analysis of each letter addressed to all Georgian addressees. Their analysis allows us to draw appropriate conclusions about the Boris Pasternak's attitude to Georgian figures and their work, the translation process reflected in the letters, Pasternak's evaluations of translations, his artistic-aesthetic views.

Thus, Boris Pasternak's correspondence with Georgian writers is essentially important for the study of the works of the Russian writer, as well as for the history of Georgian literature.

მანანა ახმეტელი

სანდრო ახმეტელი და საოპერო რეჟისურის პრობლემები

„...1936 წელს სანდრო ახმეტელი ლენინგრადის საოპერო თეატრში ზოროდინის „თავად იგორს“ დგამდა. ხშირად მოდიოდა ხოლმე ჩემთან. მიზიარებდა თავის გეგმებს. მანცვიფრებდა შემოქმედებითი ენერგიით და ოპტიმიზმით, არაჩვეულებრივი მუსიკალურობით, მუსიკის იშვიათი შეგრძნებით და ცოდნით. რომ დასცლოდა, უდიდეს წვლილს შეიტანდა თანამედროვე საოპერო თეატრის განვითარებაში. სამწუხაროდ, მის შემოქმედებით გეგმებს განხორციელება არ ეწერა“¹.

დიმიტრი შოსტაკოვიჩი

გამოჩენილი რეჟისორი სანდრო ახმეტელი, რომლის შემოქმედებაში ჩამოყალიბდა ქართული თეატრის ეროვნული მოდელი, ხორცშესხმული ცნობილ ნოვატორულ სპექტაკლებში, ნაყოფიერად მოღვაწეობდა საოპერო თეატრშიც. აქაც გადაჭრა პრობლემები, რომლებიც დღესაც აქტუალურია.

ჯერ კიდევ 1915 წელს გაზეთ „საქართველოს ფურცლებზე“ ახმეტელი წერდა: „ყოველი ეროვნული თეატრი იზრდება და ვითარდება სამ დარგად: თეატრი – დრამა, თეატრი – ოპერა და თეატრი – ბალეტი. თეატრის ეს სამივე დარგი ერის ესთეტიკური ზრდა-განვითარების უმაღლესი გამოხატულებაა. განსხვავება მხოლოდ ფორმებშია... ჩვენ თვითონ სრულებით არა გვაქვს ბალეტი, ოპერა უსუსური ბავშვივით ნელ-ნელა იდგამს ფეხს. მე მწამს, რომ ოდესმე როგორც ბალეტი, ისე ოპერა განვლიან ეკლიან გზას და დრამასთან ერთად საპატიო ადგილს დაიკავებენ ქართულ კულტურაში“².

ეს გამონათქვამი საინტერესოა იმიტომაც, რომ აქ ახმეტელმა ისეთი ზუსტი და ლაკონური ცნებებით, როგორიცაა თეატრი – ოპერა და თეატრი – ბალეტი, მახვილი გადაიტანა თეატრზე, რომლის აღორძინება ურთულეს ამოცანას წარმოადგენს როგორც საოპერო, ისე საბალეტო სცენაზე.

პირველივე საოპერო დადგმიდან ჩანს, რომ ახმეტელმა უკვე იცოდა თუ როგორ უნდა გადაეწყვიტა ეს ამოცანა: იმისათვის, რომ თეატრი თავის



უფლებებში შევიდეს და ოპერაში მთელი ძალით ამოქმედდეს, პირველ რიგში, საჭიროა სინთეზური სტრუქტურის მომღერალ-მსახიობთა აღზრდა. ასეთი იყო მისი პოზიცია, რომელიც სათავეს იღებდა მისივე ზოგადთეატრალური ესთეტიკური კონცეფციიდან.

ახმეტელისათვის, როგორც ჩანს, იმთავითვე მიუღებელი იყო ვოკალური შემსრულებლობის სპეციფიკაზე ორიენტირებული დებულება, რომელიც თვლის, რომ საოპერო თეატრში წამყვანია სიმღერა,

ამიტომაც მომღერლებისათვის სცენაზე კომფორტული პირობები უნდა შეიქმნას. ეს დებულება ჩარჩოში სვამს და გასაქანს არ აძლევს სცენური მოქმედების განვითარებას. საოპერო რეჟისურის ასეთი რეგლამენტაცია ძირშივე სპობს საოპერო სცენაზე თეატრის აღორძინების იდეასაც და პერსპექტივასაც.

ამ დებულების მიმდევრები სცენოგრაფიის ხარჯზე, ნატურალისტური სიზუსტით დასურათხატებული დეკორაციების და ისტორიული კოსტიუმების საშუალებით ცდილობენ საოპერო სცენაზე თეატრის ილუზიის შექმნას. ასეთ დადგმებში სცენოგრაფია ემსახურება ლიბრეტოში გადმოცემული სიუჟეტის ინსცენირებას, რეჟისურა ასრულებს სცენოგრაფიის თანმხლებ ფუნქციას, რის გამოც კლასიკური ოპერები ხშირად წარსულში ჩაკარგულ სამუზეუმო ექსპონატებთან ასოცირდება.

დროთა განმავლობაში დღის წესრიგში დადგა სასცენო რესურსების გადააზრებისა და განახლების ამოცანა. მაგრამ ხანგრძლივი ძიებებისა და ექსპერიმენტების მიუხედავად ისევ სცენოგრაფია იქცა საოპერო თეატრის მოდერნიზაციის მთავარ სამიზნედ, რის შედეგადაც მისი უფლებები უფრო მეტად გაფართოვდა და გააქტიურდა. წინა პლანზე წამოიწია არაადეკვატური სცენოგრაფიული ფორმებით და აქსესუარებით, თანამედროვე დიზაინით გატაცების ტენდენციამ, რომელმაც გაუცხოვების კედელი აღმართა კლასიკური საოპერო პარტიტურების მხატვრულ სამყაროსა და მათი სცენური წარმოსახვის საშუალებებს შორის. დღეს თვითმიზნურად „გათანამედროვეებული“ საოპერო დადგმები იპყრობენ მსოფლიოს საოპერო სცენებს.

კლასიკურ ოპერებში წარმოდგენილი ეპოქა, მოქმედ პირთა ქცევა, ჩაცმულობა, ცხოვრებისეული პანორამა, დეკორაციების და კოსტიუმების საშუალებით, მექანიკურადაა გადმოტანილი ჩვენს დროში ანუ

სრულიად უცხო სოციალურ ატმოსფეროში და მოქცეულია მასკულ-ტურის გავლენის ქვეშ. ასეთ მანიპულაციებს ვერ ეგუება საოპერო კლასიკის მუსიკალური ესთეტიკა და იდეოლოგია. ეს თვალშისაცემი შეუსაბამობა კლავს საოპერო ხელოვნების მაგიას, იწვევს გამოჩენილი მუსიკოსების, დირიჟორებისა და რეჟისორების სამართლიან პროტესტს.

ამ ვითარებას შეესატყვისება 1933 წელს სანდრო ახმეტელის მიერ გამოთქმული აზრი: „უბედურია თეატრი, რომელიც დეკორაციებში მამიებლობს. ახლის მიება არ მოხდება დეკორაციების შეცვლითა და ტრიალით, არც შეზღუდვით და არც გაბატონებით.

მთავარია, დრამატული მასალის რეკონსტრუქცია. სანამ არ მოხდება დრამატული მასალის ახლებური რეკონსტრუქცია, მანამდე ვერც ერთი რეჟისორი ვერაფერს ახალს ვერ შექმნის“².

საგულისხმოა სახელგანთქმული იტალიელი დირიჟორის კლაუდიო აბადოს შეხედულებაც:

„უარვყოფ ისეთ რეჟისურას, რომელიც ოპერას იყენებს საკუთარი იდეოლოგიის ინსცენირებისათვის, უარვყოფ ისეთ სცენურ გადაწყვეტას, რომელიც ჩარჩოში სვამს მომდერალთა ხელოვნებას... თუ საოპერო სპექტაკლი არ წარმოადგენს მნიშვნელოვან სცენურ ნაწარმოებს, მაშინ საქმე გვაქვს სიმართლეს მოკლებულ ფორმალობასთან...

დღეს საოპერო თეატრს ისე, როგორც არასდროს ესაჭიროება მუსიკალური იდეების წამკითხველი რეჟისორები და სცენური ხედვით დაჯილდოებული დირიჟორები. ლოგიკური, გამართლებული და შთამბეჭდავი სპექტაკლები იზადება დირიჟორისა და რეჟისორის განუწყვეტელი დიალოგიდან“³.

საბედნიეროდ, ამ დიდებული ჟანრის სადარაჯოზე იმთავითვე დადგნენ XX საუკუნის სასცენო ხელოვნების დიდოსტატები: სტანისლავსკი, მეიერჰოლდი, ფელზენშტეინი, პოკროვსკი, ძეფირელი, სტრელერი, ჟან-პიერ პონელი, რომლებიც თავგამოდებით იცავდნენ საოპერო ხელოვნების ღირსებებს, განსაკუთრებული შემართებით ახორციელებდნენ საოპერო რეჟისურის რეფორმირების პროცესს.

განსხვავებული იყო მათი ხედვა და ხელწერა, საოპერო პარტიტურების ინტერპრეტაციის მეთოდები. არადა, სხვადასხვა დროსა და სივრცეში მოღვაწე ეს გამოჩენილი რეჟისორები ერთ მიზანს ემსახურებოდნენ: დაჟინებით ეძებდნენ იმ უნივერსალურ გასაღებს, რომელიც ფართოდ გააღებდა საოპერო თეატრის ცხრაკლიტულ კარს, აამუშავებდა ამ მრავლისმომცველი სინთეზური ორგანიზმის მამომრავებელ ღერძს და ურთიერთკავშირის უწყვეტ ჯაჭვში მოაქცევდა, შესაბამისობაში მოიყვანდა მუსიკალური, თეატრალური, ქორეოგრაფიული და სახვითი ხელოვნების მრავალფეროვან ხერხებსა და საშუალებებს.

მათ მიაგნეს ამ გასაღებს, მიაღწიეს საოპერო ხელოვნების ფუძემდებლური კომპონენტების სინთეზს, რაშიც დროთა განმავლობაში კინემატოგრაფიც ჩაერთო. ამ მრავალფუნქციური სინთეზის ცენტრში

დააყენეს კომფორტული ჩარჩოდან ანუ სტატიკური მდგომარეობიდან განთავისუფლებული მომღერლები, გაიყვანეს ისინი თეატრალური ბრძოლის ველზე და ჩააყენეს სრულფასოვანი, ცხოველმყოფელი ხელოვნების სამსახურში. ასე გამოჩნდნენ შემოქმედებით ასპარეზზე მსახიობური ტექნიკით აღჭურვილი ვოკალისტები, რომლებმაც საოპერო სცენაზე ადღორძინეს ქმედითი, ცოცხალი, მეტყველი თეატრალური ფორმები, ხორცშესხმული მუსიკალური პარტიტურების სიღრმისეული შრეებიდან აღმოცენებული ენერგიით, პლასტიკით, დინამიკით და ემოციური მუხტით.

აღსანიშნავია, რომ სანდრო ახმეტელი ამ ამოცანების განხორციელებას დამოუკიდებლად შეუდგა თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის პირველივე ნაბიჯებიდან, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

თუ რა შედეგი გამოიღო XX საუკუნის სასცენო ხელოვნების რეფორმატორთა ძიებებმა, ჩანს ვირტუოზული რეჟისურის ეტალონებად აღიარებულ ორ უნიკალურ დადგმაში. ესენია: როსინის „გერია“, რომლის დადგმა განახორციელა გამოჩენილმა ფრანგმა რეჟისორმა და მხატვარმა ჟან-პიერ პონელმა მილანის „ლა სკალას“ თეატრის სცენაზე გასული საუკუნის 70-იანი წლების დამდეგს და ვერდის „ტრავიატა“, რომლის მიხედვით მხატვრული ფილმი გადაიღო საოპერო რეჟისურის მეტრმა, სახელოვანმა იტალიელმა რეჟისორმა და სცენოგრაფმა ფრანკო ძეფირელმა 80-იანი წლების დასაწყისში⁴.

ამ დადგმების არსს ნათლად გამოხატავს კლაუდიო აბადოს კიდევ ერთი გამონათქვამი: „ამაღლევენელია მუშაობა ადამიანის ხმასთან. ვერც ერთი ინსტრუმენტი ასეთი სიღრმით ვერ გადმოსცემს ბედნიერებას და უბედურებას, სიმდაბლეს და კეთილშობილებას, სიყვარულს და სიძულვილს... ადამიანის ხმა მაშინ იძენს ახალ განზომილებას, მაშინ აღწევს განსაკუთრებულ სიმძაფრეს, როცა ურთიერთობაში შედის ორკესტრთან, როცა მომღერალი თავის სათქმელს გამოხატავს მსახიობური თამაშით, მოძრაობით, ჟესტით და მიმიკით.

მხოლოდ ყველა კომპონენტის – მომღერლის, დირიჟორის, რეჟისორისა და მხატვრის ურთიერთქმედება გვაძლევს საშუალებას შევქმნათ სრულყოფილი ნიმუშები“.

თავს უფლებას მივცემ გავაგრძელო აბადოს მსჯელობა და მის მიერ დასახელებულ ოთხეულს დავამატო კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი. ეს გახლავთ კომპოზიტორი. მომღერლები, დირიჟორები, რეჟისორები და მხატვრებიც კი უპირველესად სწორედ კომპოზიტორთან უნდა ამყარებდნენ განუწყვეტელ კავშირს. მისგან უნდა იღებდნენ შემოქმედებით იპულსებსა და ორიენტირებს. ამ კავშირების საფუძველზე ყალიბდება სისტემური, სინთეზური, ანსამბლური მუსიკალურ-სცენური აზროვნების ფორმები, იზადება ლოგიკური, გამართული და შთამბეჭდავი საოპერო სპექტაკლები. მხატვრული მთლიანობა, სცენური სიმართლე და თანამედროვე ჟღერადობაც ასეთ დადგმებშია მიღწეული.

ამ მრავალწახნაგოვან დიალოგში შესვლა და მასში ტოლფასოვანი მონაწილეობის ძალა შესწევთ მხოლოდ მუსიკალურად მოაზროვნე რეჟისორებს, იმათ, ვინც თავისუფლად კითხულობს მუსიკალურ ტექსტსა და ქვეტექსტებს, იცნობს მუსიკალური ჟანრებისა და ფორმების ბუნებას, მათ სპეციფიკურ კანონზომიერებებს, ვინც ფლობს საოპერო დრამატურგიის პრინციპებსა და მუსიკალური სტილის თავისებურებებს.

„მუსიკალური იდეების წამკითხავ რეჟისორებს“ ხელთ უპყრიათ საოპერო თეატრის რეფორმირებისა თუ მოდერნიზაციის გასაღები, რომელიც თანამედროვე ცხოვრების ზედაპირზე კი არა დევს, მის კოპირებას კი არ ახდენს, არამედ ჩაფლულია მუსიკალური პარტიტურების წიაღში და შიგნიდან აწარმოებს საოპერო თეატრის განაყოფიერების და გაახალგაზრდავებისათვის აუცილებელ ძვრებს.

მუსიკალური აზროვნების და მეტყველების შემეცნების უნარით გამოირჩეოდნენ საოპერო ხელოვნების ზევით დასახელებული რეფორმატორები, რომლებმაც ახალი სუნთქვა შთაბერეს საოპერო ხელოვნების მარადიულ სულს და თანამედროვე ცხოვრების მაჯისცემით დამუხტეს მისი ორგანიზმის მაცოცხლებელი ძალები – ტემპო-რიტმი, დინამიკა, ენერგეტიკული ველი.

სასცენო ხელოვნების ამ რეფორმატორების მწკრივში დგას სანდრო ახმეტელიც, რომელმაც ეროვნული თვითმყოფადობით ხორცშესხმული სპექტაკლებით შორს გაითქვა სახელი და ქართულ თეატრს საერთაშორისო აღიარება მოუტანა. ახმეტელის ხელოვნებას მაღალ შეფასებას აძლევდნენ ცნობილი უცხოელი მოღვაწეები. მათ შორისაა მოსკოვის კამერული საოპერო თეატრის ფუძემდებელი, „დიდი თეატრის“ სცენაზე არა ერთი გახმაურებული სპექტაკლის დამდგმელი-რეჟისორი ბორის პოკროვსკი, რომელმაც დაგვიტოვა საყურადღებო წერილი „გამაოგნებელი თეატრალური შთაბეჭდილება“, სადაც ის წერს:

„ჩემი თეატრალური ცხოვრების დასაწყისში, „რეჟისორული სიყმაწვილის წლებში“ სამი დიდი თეატრალური შთაბეჭდილების ტყვეობაში აღმოვჩნდი. ესენია: სტანისლავსკის „ფიგაროს ქორწინება“, მეიერჰოლდის „რევოზორი“ და ახმეტელის „ყაჩაღები“ („ინ ტირანოსი“). ეს შედეგები ფორმალიზმში დაადანაშაულა 30-იან წლებში მოძალეებულმა უმეცრებამ. არა უშავს! ჩემი თაობა მოესწრო, უყურა ამ განსაცვიფრებელ სპექტაკლებს. მათი იმპულსები სამუდამოდ ჩაეჭიდა ჩვენი თეატრალური ყოფიერების უჯრედებს. მადლობა ღმერთს, ამ სპექტაკლებმა უკვდავება მოიპოვა. ერთხანს დროებით მიიძინეს, თავი მოიმკვდარუნეს, რათა, თავის დროზე გამომჟღავნებულიყო მათი ძლევა-გამოსილება და ცხოველმყოფელი ძალა!

ბავშვობიდან შევიყვარე ოპერა. მას დღემდე ვემსახურები. ოპერა – მუსიკით განხორციელებული დრამაა. რა თქმა უნდა, კიდევ ბევრია სათქმელი. მაგრამ ეს მაინც მთავარია. ახმეტელის სპექტაკლებს აღვი-

ქვამდი, როგორც ოპერას, თუმცა, არ მახსოვს ჟღერდა თუ არა მათში მუსიკა, ორკესტრი, სიმღერა. ხშირად დრამატულ სპექტაკლებში ჭარბად ხმოვანებს მუსიკა, რაც სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს სპექტაკლები მუსიკალურია.

„ყაჩაღები“ მუსიკალური სპექტაკლი იყო. ახმეტელი გახლდათ ამ დადგმის კომპოზიტორი. მასში მეფობდა რიტმი, რომელიც საფუძველს უყრიდა ნაწილების უნატიფეს ორგანიზაციას, დროში განფენილი გამო-მსახველობითი საშუალებების ურთულეს სინთეზს. აქ ჰარმონიას ქმნიდა ზუსტი და მხატვრულად გააზრებული ტექსტის, მოძრაობის, ნიუანსის, პაუზის და ჟესტის თანხმიერება. მუსიკალურ აკორდში ერთი ბგერაც რომ შეიცვალოს, უმაღლე ირღვევა ტონალობა და განწყობილების ხასიათი. ასევე იყო ახმეტელის სპექტაკლებში, სადაც შეუძლებელი იყო თუნდაც შემთხვევით დარღვეულიყო გრძნობების, მოძრაობის, მოქმედების თანხმიერება. ზუსტად იყო დადგენილი ტონალობა. ერთმანეთს ემორ-ჩილებოდა თითოეული ჟესტი და ინტონაცია. თანხმიერებათა უფაქი-ზესი ურთიერთობა ჩართული იყო უწყვეტი, მწყობრი, დაუბრკოლებელი მოძრაობის დინებაში. ტექსტი და ახმეტელისათვის უმნიშვნელოვანესი ქვეტექსტები, ორგანიზებული ხშირად თავისებური, მაგრამ ყოველ-თვის მიზანდასახული რიტმით, გადმოსცემდა არა მარტო აზრს, არამედ კონტრაპუნქტით, სიმფონიური განვითარებით და ტემბრული ფერა-დოვნებით ხორცშესხმულ მელოდიასაც.

„ფორმალისტი“ ახმეტელი აქ ბახის, მოცარტის, პროკოფიევის დო-ნეზე იდგა. კომპოზიტორივით აგებდა სპექტაკლის მთელ სახეობრივ წყობას. ზუსტი იყო და მხატვრულად გათვლილი, შემოწმებული თითო-ეული მოძრაობა, ყოველი ბგერა, პაუზა, რაკურსი, ნაბიჯი... აი, ეს არის ხელოვნება, ეს არის ოსტატობა და პროფესიონალიზმი. ასე იქმნება სპექტაკლების ხატი და მუსიკალური სახე. ახმეტელის სპექტაკლების ფორმა მძაფრ ემოციას, გზნებას, ექსპრესიას ასხივებდა და აჯადოებდა მაყურებელთა დარბაზს.

ახმეტელის სპექტაკლები გვაოგნებდა ელვის და ჭექა-ქუხილის მსგავსად, უეცრად მოვარდნილი ქარიშხალივით... ჩვენთან კი ამ დროს გულისგამაწვრილებელი წვიმა გადაუღებლად, ნაცრისფრად სცრი-და, რასაც თვით სტანისლავსკი საკუთარ მყუდროებადაკარგულ სა-ცხოვრებელში ემალებოდა.

ახმეტელი! ახმეტელი! ახმეტელი...

გაოგნების მთავარი მიზეზი გახლდათ საქართველო და ახმეტელის ჭეშმარიტად ქართულ სპექტაკლებში გაცხადებული ეროვნული თეატ-რალობის ზეიმი⁵.

დიახ, ახმეტელი მუსიკალურად მოაზროვნე რეჟისორი გახლდათ. ამიტომაც მისთვის ახლობელი იყო საოპერო ხელოვნება, რომლის სპე-ციფიკას მთელი არსებით გრძნობდა და საფუძვლიანად იცნობდა. ამ ჟანრის ელემენტებს ნერგავდა დრამატული თეატრის სპექტაკლებში.

გგულისხმობ, თუნდაც, მელოდიურ რეჟიტაციას, ტემბრული პალიტრის მრავალფეროვან ჟღერადობას, საფუძვლად რომ ედო ახმეტელის სპექტაკლების სასცენო მეტყველებას.

ამასვე ადასტურებს თეატრის ისტორიის ცნობილი მკვლევარის, ლენინგრადელი პროფესორის ვ. ვსევოდსკი-გენგროსის წერილი, რომელშიც ვკითხულობთ:

„სანდრო ახმეტელმა შექმნა სიმფონიური და მუსიკალური სპექტაკლის განსაკუთრებული ჟანრი, რაც რუსთაველის თეატრის მთავარ მახასიათებლად მიმაჩნია. აქ ორგანულ მთლიანობაშია მოცემული ორკესტრი, სიმღერა, მეტყველება, მოქმედება, ცეკვა. ახმეტელის სპექტაკლებში რეჟისორული პარტიტურის განსახიერება საათის მექანიზმის სიზუსტით ხდება. ყოველ სპექტაკლში დასახული რიტმული ამოცანა პოულობს შესატყვისგადაწყვეტას. დომინანტს წარმოადგენს აქტიორების მოქმედება, რომელიც თავისუფლად გადადის დრამატული ჟანრიდან ქორეოგრაფიულში. უზადლოა რუსთაველის თეატრის მსახიობთა პლასტიკური ოსტატობა. მუსიკალური ელემენტებიდან აღსანიშნავია პოლიფონიურობა, რეპლიკების დუეტური თანხმიერება და ა.შ.“⁶

საგულისხმოა ამერიკელი ჟურნალისტის ანა ლუიზა სტრონგის შთაბეჭდილებაც: „ქართული თეატრი, რომელსაც უნიჭიერესი ოსტატი სანდრო ახმეტელი ხელმძღვანელობს, გვანცვიფრებს მაღალი სცენური კულტურით, გვაჯადოებს თავისი სიმფონიური სპექტაკლებით“.

ახმეტელის თეატრის მუსიკალურ საფუძვლებზე ყურადღებას ამახვილებდა ცნობილი თეატრმცოდნე, ახმეტელის შემოქმედების დაუღალავი მკვლევარი ვასილ კიკნაძეც, რომელიც აღნიშნავდა, რომ ახმეტელის სპექტაკლებში „მუსიკა და ცეკვა, მუსიკა და სიტყვა, მუსიკა და პლასტიკური ნახაზი, მუსიკა და დეკორაციული რაკურსები - ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც სცენაზე ცოცხლობდა, რასაც აზრი და მხატვრული ფუნქცია ჰქონდა, გარკვეულ კავშირში იყო მუსიკასთან“⁷.

როგორც ვხედავთ, ახმეტელის დადგმებში მუსიკა დიდ როლს თამაშობდა, მისი ესთეტიკური კონცეფციის საყრდენს წარმოადგენდა, რიტმულ-პლასტიკური კამერტონის ფუნქციას ასრულებდა, სინთეზური სტრუქტურების ჩამოყალიბებას ემსახურებოდა. ქართულ თეატრში, ამ ამოცანების განხორციელების მიზნით, მოიყვანა კომპოზიტორები, დირიჟორები, სიმფონიური ორკესტრი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა მხატვრული ამოცანების გადაწყვეტაში. მან ეს სიახლე პირველივე დადგმაში დაწერა. მანამდე ქართულ თეატრში სპექტაკლები მუსიკის გარეშე იდგმებოდა.

სინთეზური სტრუქტურის მომღერალ-მსახიობთა აღზრდის ამოცანა ახმეტელმა პირველად დააყენა ახლადდაარსებული საოპერო სტუდიის სცენაზე, სტუდიისა, რომელიც გაიხსნა 1919 წლის 8 დეკემბერს, „სახალხო სახლის“ შენობაში (ახლანდელი მარჯანიშვილის თეატრი), დიმიტრი არაყიშვილის ოპერით „თქმულება შოთა რუსთაველზე“⁸. ეს

იყო ახმეტელის პირველი დადგმა. დღემდე საიდუმლოდ რჩება თუ რატომ შეჩერდა კომპოზიტორის არჩევანი უცნობ რეჟისორზე, რომელსაც არ ჰქონდა მიღებული არც მუსიკალური და არც თეატრალური განათლება, თუმცა, დაჯილდოებული იყო აბსოლუტური მუსიკალური სმენით, ნამდერი ჰქონდა სოლო პარტიები ნიკო სულხანიშვილის გუნდში, კარგად იცნობდა ქართლ-კახურ მრავალხმიან სიმღერებს, მშვენივრად უკრავდა ხალხურ საკრავებზეც. შესაძლოა, დიმიტრი არაყიშვილი, როგორც კომპოზიტორი-ფოლკლორისტი ახმეტელმა სწორედ ხალხურ წყაროებთან სიახლოვით მოხიზლა.

თვით ახმეტელი კი საოპერო თეატრში მიიყვანა მუსიკის სიყვარულმა და სასცენო მოღვაწეობის მოთხოვნილებამ, ეროვნული კულტურის წინაშე ვალდებულების გრძნობამაც, რასაც თავის პუბლიცისტურ წერილებში გამოხატავდა. და მაინც, მთავარი მიზეზი უნდა ვეძებოთ მრავალკომპონენტური საოპერო ჟანრის სინთეზურ ბუნებაში, რაც მას განსაკუთრებით იზიდავდა და აინტერესებდა.

ახალგაზრდა რეჟისორის დებიუტი იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ სტუდიური პრემიერიდან თვენახევრის შემდეგ, მისი პირველი საოპერო დადგმა გადაიტანეს (1920 წლის 20 იანვარი) თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე, სადაც შოთას როლს ვანო სარაჯიშვილი ასრულებდა, აბდულ-არაბისას კი სანდრო ინაშვილი.

არაყიშვილის ოპერამ ახალგაზრდა რეჟისორი ურთულესი გამოცდის წინაშე დააყენა. მის ხელთ იყო დრამატურგიულად გაუმართავი მუსიკალური პარტიტურა, რომელსაც საფუძვლად ედო გაუგებარი სიუჟეტი, სუსტი, ჩამოუყალიბებელი ლიბრეტო. „თქმულება შოთა რუსთაველზე“ სცენას ვერ შემორჩა სწორედ ამ სერიოზული ხარვეზების გამო. დღეს ამ ოპერიდან სრულდება მხოლოდ რამდენიმე მუსიკალური ფრაგმენტი, რომელთა შორის საუკეთესოა აბდულ-არაბის ცნობილი არიოზო. ახმეტელის ესთეტიკურ იდეალებს, ალბათ, არც ამ ოპერის ლირიკულ-კამერული ჟანრი პასუხობდა.

ჩემთვის ძნელი ასახსნელია, თუ როგორ დადგა მან ასეთი არასრულფასოვანი მასალის საფუძველზე შთამბეჭდავი და საინტერესო, თანაც პირობითად გადაწყვეტილი სპექტაკლი, რომელსაც იმდროინდელმა რეცენზენტებმა მაღალი შეფასება მისცეს სიახლისა და ორიგინალობის გამო.

მაინც რა იყო წარმატების მიზეზი?

ამ კითხვაზე პასუხს გვაძლევს ცნობილი საოპერო რეჟისორი მიხეილ კვალიაშვილი, რომელიც თვითონაც მონაწილეობდა ამ სპექტაკლში, როგორც მომღერალი:

„სანდრო ახმეტელმა სტუდიაში მისვლისთანავე, პირველივე რეპეტიციებზე სამაგალითო დისციპლინა დაამყარა. ყველანი გატაცებით ვუსმენდით და აშკარად ვხედავდით, რომ მის მიერ დადგმული მიზანსცენები არ გავდა სტატიკურ, ტრაფარეტულ ოპერულ მოქმედებას.

ახმეტელმა უმაღლეს მოსპო დრომოქმული გაცვეთილი შტამპები, ბრძოლა გამოუცხადა საოპერო ვამპუკას, სრულიად სხვა სახე მისცა სახალხო სცენებს, სპექტაკლს ცხოვრებისეული სუნთქვა და ადამიანური სული შთაბერა. მას სრულ მორჩილებაში ჰყავდა გამოუცდელი სტუდიელები. სცენურ მოქმედებას ემოციურობით მსჭვალავდა. მუსიკალურ სახეებს გამოხატავდა შესაბამისი რიტმით და პლასტიკით. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მომღერალთა დიქციას, მოითხოვდა ყოველი სიტყვის მკაფიოდ გამოთქმას, მსმენელამდე მუსიკალური აზრის მიტანას. ჩვენგან მოითხოვდა დაუმაბავ მოქმედებას, გამომსახველ მიმიკას, ჟესტს, მიხრა-მოხრას... სანდრო ახმეტელი გვანცვიფრებდა არა-ჩვეულებრივი რეჟისორული ალღოთი... ყოველ წამს ვიხილებოდით მისი უბადლო ნიჭით, მოზღვაებული ფანტაზიით და ენერგიით“⁹.

როგორც ვხედავთ, ახმეტელმა პირველივე დადგმაში წამოსწია საოპერო რეჟისურის ფუნდამენტური საკითხები. აქ უკვე ჩანს მისი ხელწერის ნიშნები. ახალგაზრდა რეჟისორმა ყურადღება გაამახვილა მიზანსცენების დინამიზაციაზე, რიტმულ მოქმედებასა და პლასტიკურ გამომსახველობაზე, რაც გამომდინარეობდა მუსიკალური პარტიტურის ანალიზიდან. გამოუცდელ სტუდიელებთან მუშაობაში ვლინდებოდა ახმეტელის პოზიცია: მომღერლებში თავიდანვე და ერთდროულად უნდა ვითარდებოდეს ვოკალური და აქტიორული ტექნიკა, რათა მათში გაიღვიძოს მისწრაფებამ სინთეზური აზროვნებისაკენ, რაც თანდათან ორგანულ შემოქმედებით თვისებაში უნდა გადაიზარდოს. ეს ძალზე აქტუალური პრობლემაა რეფლექსოლოგიისა და ბიომექანიკის საკითხებით დაინტერესებული ახმეტელისათვის. ამ გზაზე, სამწუხაროდ, მას მიმდევრები არ გამოუჩნდნენ, რის გამოც ქართულმა საოპერო რეჟისურამ, ცალკეული მიღწევების მიუხედავად, განვითარების მაღალ დონეს ვერ მიაღწია. თვით ახმეტელს კი საოპერო თეატრში მუშაობა ეპიზოდურად უხდებოდა. რომ დასცლოდა, შესაძლოა, ეს საქმეც წინ წაეწია და გარკვეული, სისტემური მიმართულებაც მიეცა ამ ძალიან მნიშვნელოვანი წამოწყებისათვის, რომლის დანერგვას ცდილობდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაშიც, სადაც 1924-1926 წლებში სტუდენტ-ვოკალისტებს სასცენო ოსტატობას ასწავლიდა.

„თქმულება შოთა რუსთაველზე“ მჭიდრო კავშირშია ახმეტელის პირველ დრამატულ სპექტაკლთან „ბერდო ზმანიასთან“ (1920). ეს ორი დადგმა ქმნის მნიშვნელოვან ტანდემს, რომელშიც დევს ახალგაზრდა რეჟისორის ნოვატორული, ექსპერიმენტული მიეზების გასაღები.

„ბერდო ზმანიაში“ ახმეტელმა გამოიყენა საოპერო სტუდიაში მიღებული გამოცდილება, მოიზიდა დრამატული, საოპერო და საბალეტო ხელოვნების ფორმები. მათი სინთეზის საფუძველზე შექმნა მრავალჟანრული ფაქტურის სპექტაკლი, რაც ამ დადგმის სიახლესა და უნიკალობაზე ლაპარაკობს. პოლიჟანრობის ფენომენმა, რომელმაც ნამდვილი გადატრიალება მოახდინა XX საუკუნის მუსი-

კალურსა თუ თეატრალურ ხელოვნებაში, ტრადიციული ჟანრების გადახალისებასთან ერთად, ახალი ტიპის სინთეზური სტრუქტურებიც წარმოქმნა. ახმეტელი თავიდანვე დაადგა ამ გზას და თავის პირველივე სპექტაკლში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო მუსიკას, რომელსაც გამოყენებითი როლი კი არ დააკისრა, არამედ იმთავითვე მისცა დრამატურგიული ფუნქცია. მისი დაკვეთით კომპოზიტორმა დიმიტრი არაყიშვილმა დაწერა რვა მუსიკალური ნომერი. სპექტაკლში უკრავდა ინსტრუმენტული ანსამბლი, მღეროდა გუნდი, სრულდებოდა სოლო-სიმღერები, მონაწილეობდა ქალთა საბალეტო ჯგუფი. ეს სრულიად ახალი სიტყვა იყო, მანამდე ქართულ სცენაზე მსგავსი რამ არ ყოფილა. ამ სპექტაკლს დღევანდელი გადასახედიდან თუ შევხედავთ, მასში თანამედროვე მიუზიკლების პროტოტიპს დავინახავთ. დიახ, ახმეტელი წინ უსწრებდა დროს.

„ბერდო ზმანიაში“ ახალგაზრდა რეჟისორმა დააყენა უნივერსალური სტრუქტურის მომღერალ-მოცეკვავე მსახიობთა აღზრდის ამოცანა, რაც შემდგომში ვირტუოზულ ფორმებში გადაიზარდა და მის დადგმებს უდიდესი წარმატება მოუტანა. ამ ამოცანას საფუძვლად უდევს ახმეტელის ერთი ფრიად საინტერესო დებულება: „ქართველი მუდამ სახიობობს, რადგან მუდამ მღერის. ვინც ვერ მღერის, ის ვერც სახიობობს“.

1920 წელს კი ეს ამოცანა იმდენად ახალი, რთული და უჩვეულო იყო, რომ იმდროინდელ მსახიობებში გაღიზიანება და უკმაყოფილება გამოიწვია:

„ჩვენ ბალერინები და მომღერლები კი არა ვართ!“ ჩვენ ასე არ დავდიოდით და ასე არ ვლაპარაკობდით, მაგრამ კარგად ვთამაშობდითო.

დიახ, ამ დადგმაში ყველაფერი ახალი იყო: მეტყველებაც და მოძრაობაც, სპექტაკლის პირობითი თეჯირულ-კონსტრუქციული გაფორმებაც (მხატვარი ვ. სიდამონ-ერისთავი) და სასცენო კომპონენტების სისტემაში მოყვანის ტექნიკაც, მიზანსცენების რიტმულ-პლასტიკური გააზრებაც და სიმეტრიულად განლაგებული საგუნდო სცენების ბარელიეფური გადაწყვეტაც, ანსამბლური თამაშის ფორმებიც, პერსონაჟების გაორების პრინციპიც, მთხრობელის მონაწილეობაც და მსახიობთა მიერ ორ-ორი როლის შესრულებაც.

სიახლე იყო სცენაზე დაყენებული მბრუნავი წრეც და განათების მრავალფეროვანი პარტიტურაც, რომელიც ზევიდან აშუქებდა და იდუმალებით მსჭვალავდა სცენაზე გათამაშებულ რეალურსა თუ ირეალურ მოვლენებს, ფანტასტიკურ მეტამორფოზებსა და ფატალურ პერიპეტიებს. სპექტაკლში გაუქმებული იყო რამზაც.

ამ დადგმით ახმეტელმა „წარმოდგენის თეატრის“ პრინციპები დაუპირისპირა „მთვლემარე ნატურალიზმს“, რომელიც იმდროინდელ ქართულ თეატრში ბატონობდა. დრამატურგმა ნიკო შიუკაშვილმა

„ვირტუოზული რეჟისურა“ უწოდა ახმეტელის ნამუშევარს. ასეთი წარმატება აღსანიშნავია მით უფრო, რომ ახალგაზრდა რეჟისორს ნაკლებად უწყობდა ხელს ს. შანშიაშვილის სიმბოლისტური პიესა, რომელშიც ახმეტელი მიიზიდა არა იმდენად ფილოსოფიურმა რიტორიკამ ყოფნა-არყოფნის თემაზე, რამდენადაც ეროვნული სახეების და ატმოსფეროს შექმნის პერსპექტივამ. პიესაში ჩაქსოვილმა ზღაპრულ-ფანტასტიკურმა და რეალურ-მისტიკურმა მოტივებმა ფრთები შეასხა მის გამომგონებლობასა და ფანტაზიას.

პირველივე დადგმებში ჩაგდებულია ახმეტელის შემოქმედებითი სისტემის მარცვლები, ფოკუსირებულია როგორც მხატვრულ-ტექნიკური, ისე შიდა თეატრალური ცხოვრების მოწესრიგებაზე მიმართული ორგანიზაციული ხასიათის ნოვაციებიც, რომელთა ავტორი არ ტოვებს გამოუცდელი რეჟისორის შთაბეჭდილებას, მიუხედავად იმისა, რომ მანამდე არ უმუშავია თეატრში.

მაშ, როგორ დადგა მან ეს თვისობრივად ახალი სპექტაკლები ოპერასა და დრამაში? სად შეიძინა საამისო გამოცდილება?

ამ კითხვებზე გვპასუხობს დიდი კოტე მარჯანიშვილი. მისი პასუხი მომყავს მარჯანიშვილთან ახლომდგომი რეჟისორის დოდო ანთაძის წიგნიდან „დღეები ახლო წარსულისა“, სადაც ვკითხულობთ:

„...მარჯანიშვილმა აღზარდა მსახიობთა მეტად ნიჭიერი და საინტერესო პლეადა... ასევე აღზარდა თეატრალური მხატვრები, კომპოზიტორები... ამ მხრივ მას შედარებით ნაკლები ღვაწლი მიუძღვის ჩვენს რეჟისურაში. მარჯანიშვილი ამტკიცებდა, რომ რეჟისორის აღზრდა არ შეიძლებაო. რეჟისორმა უნდა შეიძინოს საერთო კულტურა, მაგრამ სარეჟისორო ხელოვნების სისტემატური სწავლა შეუძლებელია. ეს უნარი ადამიანის ბუნებაში უნდა იყოს. აი, მიყურეთ და ისწავლეთო!“¹⁰

1907-1917 წლებში, პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლის დროს, ახმეტელი ევროპული და რუსული თეატრალური და მუსიკალური კულტურის ეპიცენტრში იმყოფებოდა და თანამედროვე სასცენო ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს უყურებდა და სწავლობდა. პეტერბურგში გაიარა მან დიდი თეატრალური სკოლა. იქ ეზიარა მაღალ პროფესიულ კრიტერიუმებსა და ესთეტიკურ კატეგორიებს.

მომავალი რეჟისორის ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა უაღრესად პრინციპულმა პუბლიცისტურმა მოღვაწეობამაც. 1910-17 წლებში ქართული და რუსული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე სისტემატურად იბეჭდებოდა მისი რეცენზიები, პრობლემური და პოლემიკური წერილები თეატრალური ხელოვნების შესახებ, რომელთა შორის აღსანიშნავია 1915 წელს გამოქვეყნებული პროგრამული წერილი „არის თუ არა ქართული თეატრი ქართული?“¹¹.

პირველი დამოუკიდებელი დადგმები: „თქმულება შოთა რუსთაველზე“ და „ბერდო ზმანია“, მათ შესახებ გამოქვეყნებული რეცენ-

ზიები, თანამედროვეთა შეფასებები ცხადყოფს, რომ სანდრო ახმეტელი ქართულ თეატრში მოვიდა საკუთარი ესთეტიკური კონცეფციით, რომელიც მიზნად ისახავდა ახალი ქართული ეროვნული თეატრის შექმნას. პირველივე სპექტაკლები თანამედროვეებს აცვიფრებდა უჩვეულო მიდგომით და ახლებური ხედვით.

საყურადღებოა ცნობილი მწერლის შალვა აფხაიძის აზრი „ბერდო ზმანას“ შესახებ: „ეს იყო სრულიად ახალი სიტყვა ჩვენს სათეატრო ხელოვნებაში: სცენა პირველად ამდერდა მუსიკით, არტისტმა პირველად იგრძნო თავისი სხეული, როგორც შემოქმედების მასალა, პირველად აითვისა სიტყვა, როგორც მხატვრული სახის გადმომცემი იარაღი. ამ სპექტაკლში სანდრო ახმეტელმა პირველად დააფხვიერა ნიადაგი ჩვენში სინთეზური თეატრის შექმნისათვის... ანსამბლის და არა ინდივიდუალური თეატრისა“¹².

ამრიგად, „თქმულება შოთა რუსთაველზე“ და „ბერდო ზმანია“ ქართულ სცენაზე დადგმული პირველი რეჟისორული, სინთეზური და ანსამბლური სპექტაკლებია. აქედან იღებს დასაბამს ახალი ქართული ეროვნული თეატრის განვითარების გზა.

საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ნოვატორულმა, ფუძემდებლურმა სპექტაკლებმა ვერ დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი ქართული თეატრის ისტორიაში, რაც ახმეტელის მიმართ მტრულად განწყობილი ძალების - საბჭოთა კონიუნქტურის მიმდევართა ზეწოლის შედეგია.

პირველივე ნაბიჯებიდან ჩანდა, რომ ახმეტელი თვითნაზადი რეჟისორი-ნოვატორია! გენეტიკური კოდიდან იღებდა სათავეს მისი თვითმყოფადი მუსიკალურ-სცენური აზროვნება და მხატვრული ფანტაზია, პროფესიონალიზმი და ოსტატობა, შემოქმედებით ნებისყოფა და ენერგია. მას შესისხლხორცებული ჰქონდა ქართული ხალხური სასიმღერო და საცეკვაო შემოქმედების მრავალფეროვანი ფორმები, ეთნიკური კულტურის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს ეყრდნობოდა. ამ სამყაროში დაეწაფა ეროვნული რიტმის, პლასტიკის, ენერგეტიკის ამოუწურავ საბადოს, რომელიც მის ესთეტიკურ კონცეფციას ასაზრდოვებდა, საფუძველს უყრიდა მის შემოქმედებით მეთოდს. ამ ნიადაგიდან აღმოცენდა ქართული თეატრის ეროვნული მოდელი, რომელმაც თეატრალური ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის აღორძინება გამოიწვია. ახალ ენაზე ამეტყველდა დრამა, ოპერა, პანტომიმა... „ვეფხისტყაოსნის“ მოტივების მიხედვით ბალეტის დადგმასაც აპირებდა.

დროდადრო ახმეტელი უბრუნდებოდა საოპერო რეჟისურის პრობლემებს. განსაკუთრებული წარმატებით სარგებლობდა თბილისის კონსერვატორიის სტუდენტთა ძალებით წარმოდგენილი ნაწყვეტები როსინის („სევილიელი დალაქი“), გუნოს („ფაუსტი“), ჩაიკოვსკის („ევგენი ონეგინი“ და „პიკის ქალი“), დ. არაყიშვილის („თქმულება შოთა რუსთაველზე“) ოპერებიდან.

აღნიშნული ნაწყვეტების საფუძველზე პირველად ჩატარდა საოპერო კლასის საჩვენებელი კონცერტი. მას შემდეგ საჯარო გამოცდის ეს ფორმა სამუდამოდ დამკვიდრდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის კედლებში.

საყურადღებოა ახმეტელის მიერ შეტანილი კიდევ ერთი სიახლე. ის არ ეთანხმებოდა ვაჟების როლში ქალების გამოყვანას. მაგალითად მეიერბერის „ჰუგენოტებში“ პაჟის პარტიას მუდამ ქალი, კოლორატურული სოპრანო ასრულებს. ახმეტელის გადწყვეტილებით კი ეს პარტია ლირიკულ ტენორს უნდა ემღერა. ასევე იყო გუნოს „ფაუსტის“ და ჰალევის „რახილის“ ნაწყვეტებშიც, სადაც ქალების ნაცვლად ტენორებს ამღერებდა¹³.

ახმეტელის საოპერო დადგმები აღწერილი აქვს ცნობილ საოპერო მომღერალს მიხეილ ყვარელაშვილს, რომელიც რუსთაველის თეატრშიც მოღვაწეობდა. ძვირფას მასალას გვაწვდის მისი წერილი „სანდრო ახმეტელის საოპერო დადგმები“¹⁴, საიდანაც გამოვიყენებ რამდენიმე მნიშვნელოვან ამონარიდს. მიხეილ ყვარელაშვილი მაღალ შეფასებას აძლევს ახმეტელის პედაგოგიურ მეთოდს და ხაზგასმით აღნიშნავს:

„აღ. ახმეტელის წყალობით სცენაზე მოქმედებდნენ ცოცხალი ადამიანები, პლასტიკური და რიტმული იყო ახალბედა მსახიობთა მოძრაობა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ მღეროდნენ სცენის დიდი ოსტატები და არა გამოუცდელი სტუდენტები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია როზინასა და ფიგაროს სცენა და მათი დუეტი როსინის ოპერიდან „სევილიელი დალაქი“ (II მოქმედება), რომელიც დაიდგა თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე. ეს იყო ბრწყინვალე დადგმა. ვასო გომიაშვილის ფიგარომ თავისი ხმით და სიმღერით (ბარიტონი), არტისტიზმით მოხიბლამაყურებელი, რომელმაც მასში პერსპექტიული მომღერალი დაინახა. მაგრამ ახმეტელის წვრთნამ მას გზა გაუკაფა რუსთაველის თეატრში. მან მიატოვა სიმღერა, თუმცა, კონსერვატორიაში მიღებულმა ცოდნამ დიდი სამსახური გაუწია ამ შესანიშნავ არტისტს, როგორც დრამაში, ისე ესტრადაზე.

ახმეტელმა სტუდენტური ძალებით დადგა მესამე მოქმედება გუნოს ოპერიდან „ფაუსტი“. სცენა ბაღში მარგარიტასთან. ამ ნაწყვეტს სრულიად ახალი გადაწყვეტა მისცა, მისტიური ელფერი ჩამოაცილა და გამსჭვალა ადამიანური განცდებით. თვით მეფისტოფელის სახეც ადამიანური ვნებებით წარმოგვიდგინა. მარგარიტა აივნის მოაჯერზე ჩამოსვა და მისი ფიგურა გაანათა იისფერი სხივებით, რაც მთვარიანი ღამის ილუზიას ქმნიდა. საერთოდ, იისფერი ახმეტელს ძალიან უყვარდა. მეფისტოფელი გაშიშვლებული დანის წვერით აჯადოებდა მარგარიტას. მარგარიტასა და ფაუსტის წმინდა ამბორის დანახვაზე მეფისტოფელი ხარხარით გორდებოდა კიბეზე“.

საოპერო თეატრში იშვიათობას წარმოადგენს რეჟისორული გამოგონებლობით და მახვილგონივრული მიგნებებით ხორცშესხმული

სპექტაკლები, რაც ოპერული შტამპების ძალმომრეობის შედეგია. ახმეტელი ებრძოდა ამ შტამპებს. საოპერო სცენაზეც არაორდინალურ ექსპერიმენტებს აწარმოებდა და შთამბეჭდავ თეატრალურ ეფექტებს ქმნიდა.

რეჟისორულმა გამომგონებლობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა ა. იურასოვსკის ოპერა „ტრილბის“ დადგმაში (1924), რომლის შესახებ მიხეილ ყვარელაშვილი საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის:

„ტრილბი“ დაწერილია ფრანგი მწერლის დე მორიეს ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით. მოქმედება მიმდინარეობს პარიზის ერთ-ერთ სამხატვრო სტუდიაში, სადაც მხატვრების გარდა არიან მუსიკოსებიც, მათ შორისაა ცნობილი პიანისტი და ჰიპნოტიზიორი სვენგალი. ტრილბი მოდელია, მას მხატვრები ხატავენ, ერთ-ერთი მხატვარი - ბილი მას ეტრფის. სვენგალი ცდილობს ტრილბის მოხიბვლას. ჰიპნოზის ზემოქმედებით თავს აყვარებს და მომღერლად აქცევს.

ოპერის IV მოქმედებაში სცენაზე სცენაა წარმოდგენილი. ტრილბი გამოდის მაყურებელთა წინაშე, რომელთა შორის იმყოფება ბილიც. მისი დანახვისთანავე ტრილბი ჰიპნოზისაგან თავისუფლდება და გარბის სცენიდან კივილით „სიმღერა არ შემიძლია, ძალას მატანენ...“

ეს სცენა ახმეტელს საინტერესოდ, ორიგინალურად ჰქონდა გადაწყვეტილი. მოქმედება გადმოიტანა მაყურებელთა დარბაზში. ბილი თვალსაჩინოდ დასვა მარცხენა ლოჟაში. როცა ტრილბი ავანსცენაზე ჩნდებოდა, მაყურებელთა დარბაზში სინათლე საზეიმოდ ინთებოდა, ტრილბი ლოჟაში თვალს მოჰკრავდა ბილის და სცენიდან კივილით გარბოდა. ამ დროს კულისებიდან მინათებული პროექტორების საშუალებით მაყურებელთა დარბაზში არეულობის შთაბეჭდილება იქმნებოდა. პარტერსა და იარუსებზე განთავსებული მსახიობები სტვენითა და ყვირილით აცილებდნენ სცენიდან გაქცეულ ტრილბის. შექმნილი აურზაური მაყურებელზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. დამაბული და გაურკვეველი სიტუაცია იქმნებოდა. მაყურებელი უნებლიედ ერთვებოდა ამ „პროვოკაციაში“ და ალიაქოთის ამტეხ მსახიობებს სიჩუმისკენ მოუწოდებდა. ეს ხმაურიანი ობსტრუქცია რეჟისორული ხერხი რომ იყო, მაყურებელი ამაში მხოლოდ ფარდის დაშვების შემდეგ რწმუნდებოდა.

ოპერა „ტრილბის“ დადგმა ახმეტელის რეჟისორულ ფანტაზიაზე, კულტურაზე და დახვეწილ გემოვნებაზე მეტყველებს. რაც შეეხება ოპერის IV მოქმედებას, იგი იმდენად შთამბეჭდავი და ამაღელვებელი იყო, რომ თეატრიდან გამოსული მაყურებელი მას დიდხანს ვერ ივიწყებდა. წარმატებას ხელს უწყობდა ირაკლი გამრეკელის ნახევრად ფერწერული და ნახევრად კონსტრუქციული დეკორაციები“.

ახმეტელი ქართული საოპერო ხელოვნების გულშემატკივარი იყო. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ ჟანრის განვითარებას. მაღალ შეფასებას აძლევდა ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებით მოღვაწეობას. აღტა-

ცებით გამოეხმაურა „აბესალომ და ეთერის“ დაბადებას: „...აღარა ვარ გულნატკენი, რადგან გვაქვს კულტურის მშვენიერი თარგი ოპერა - „აბესალომ და ეთერი“.

სიმღერა - უდიდესი განძი ქართული ხელოვნებისა - ფალიაშვილმა მსოფლიო ხელოვნების უმაღლესი ფორმით შემოსა. გამარჯვება დიდია, განუზომელი...

სიმღერა - ქართველი ხალხისა სიმბოლოა მისი მარადისობისა. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ მარადისობისაკენ მანათობელი გზაა“¹⁵.

ახმეტელი 1924 წელს კოტე მარჯანიშვილის თანადამდგმელი იყო ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ იმ ისტორიული სპექტაკლისა, რომელიც ვანო სარაჯიშვილის ხსოვნას ეძღვნებოდა და რომელშიც აბესალომის პარტიას ვანოს ნაცვლად ჩელისტი ე. კაპელნიცკი ასრულებდა.

1928 წელს ახმეტელს დაევალა თბილისის საოპერო თეატრში ზაქარია ფალიაშვილის ახლადშექმნილი მესამე ოპერის „ლატავრას“ დადგმა, რომელშიც მან საინტერესო ექსპერიმენტი ჩაატარა, თავისებურად გადაწყვიტა მოქმედების დროისა და ადგილის განზოგადების ამოცანა და სცადა ამ ოპერის დაახლოება თანამედროვეობასთან. მხატვარ ირაკლი გამრეკელთან ერთად სპექტაკლს მონუმენტური კონსტრუქციული გადაწყვეტა მოუძებნა. ძველი ქართული ხუროთმოძღვრების მოტივებთან ერთად თანამედროვე დიზაინიც გამოიყენა. სპექტაკლის ამგვარი გადაწყვეტა უჩვეულო სიახლე იყო თბილისის საოპერო თეატრისათვის. ლატავრა, რომელიც სანდრო შანშიაშვილის ლიბრეტოში საქართველოს სიმბოლოს წარმოადგენდა, ძველებურ ტრადიციულ ქართულ კაბაში გამოაწყო. ელიშუხს, რომელიც კაპიტალისტს ანსახიერებდა, შავი ფრაკი ჩააცვა. მუშები ყოველდღიურ წინსაფრიან ფორმებში გამოდიოდნენ. ჯარს ტყავის ქურთუკები ეცვა და „ბუდიონოვკები“ ეხურა. ამ ხერხს, რომელსაც ახმეტელმა 1928 წელს მიმართა, დღეს აქტიურად იყენებენ საოპერო თეატრებში. ამ ხერხით ახმეტელი ზ. ფალიაშვილის ოპერის სტატიკურობასა და მონოტონურობას ებრძოდა. საქმეს მაინც ვერ უშველა. მიუხედავად იმისა, რომ გუნდთანაც და სოლისტებთანაც სერიოზულად იმუშავა და ამ სპექტაკლშიც მიზანსცენების პლასტიკურ გამომსახველობას მიაღწია. ეს დადგმა საზოგადოების დიდმა ნაწილმა მოიწონა, ნაწილი კი აკრიტიკებდა.

1932 წელს თბილისის საოპერო თეატრში დაიდგა კომპოზიტორ ფემელიდის ოპერა „რღვევა“, რომელშიც ახმეტელმა თითქმის უცვლელად გადმოიტანა რუსთაველის თეატრის ცნობილი სპექტაკლი („რღვევა“) და საოპერო მომღერლებს წარმატებით დაამღევინა ეს საკმაოდ რთული რეჟისორული პარტიტურა. აქედან ჩანს, რომ ახმეტელი დრამის მსახიობებს და საოპერო მომღერლებს ერთნაირ მოთხოვნებს უყენებდა.

მიხეილ ყვარელაშვილის გადმოცემით:

„ახმეტელმა მთელი ყურადღება გაამახვილა მომღერლებთან მუშაობაზე. დიდ დროს ანდომებდა მათ დიქციას, მკაცრად მოითხოვდა სიმღერის დროს სიტყვების სწორად და მკაფიოდ წარმოთქმას. მომღერლებს აქტიორული გამომსახველობისაკენ მოუწოდებდა, ებრძოდა სტატიურობას, მანერულობას, სიყალბეს. მომღერლებთან მუშაობდა მანამდე, სანამ მათ სხეულს დამაბულობისაგან არ გაათავისუფლებდა. მომღერალთა მოძრაობას წვრთნიდა მუსიკის რიტმთან და ტემპთან მჭიდრო კავშირში. მან ისიც კარგად იცოდა, რომ საქმე ჰქონდა ვოკალისტებთან. ამიტომაც მათი მოძრაობის გადატვირთვასაც ერიდებოდა... მან მომღერლებს სპეციალურად აჩვენა რუსთაველის თეატრის სპექტაკლი „რღვევა“, რათა მათში აღედრა გმირული რომანტიკის პათოსი. ამან, მართლაც, დიდი დახმარება გაუწია საოპერო თეატრის კოლექტივს. გამოჩენილ რეჟისორთან მუშაობამ სწორ გზაზე დააყენა ნიჭიერი მომღერლები.

მასიური სცენების გასააქტიურებლად ახმეტელმა ამ სპექტაკლში შეიყვანა ახალგაზრდა მსახიობები რუსთაველის თეატრის დადგმიდან. ამით მან ხელი შეუწყო საოპერო სპექტაკლის დინამიზაციას“...

თბილისის საოპერო თეატრის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლეონკავალოს ოპერის „ჯამბაზების“ დადგმას, რომელიც განხორციელდა 1926 წელს რუსთაველის თეატრის სცენაზე, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან ახლადდაარსებული საოპერო სტუდიის ძალებით. სპექტაკლს ივანე ფალიაშვილი დირიჟორობდა.

მ. ყვარელაშვილის გადმოცემით:

„ალ. ახმეტელის „ჯამბაზებმა“ ნამდვილი გადატრიალება მოახდინა ეროვნულსაოპეროხელოვნებაში. ოპერასჩამოსცილდნატურალისტური ელემენტები და მელოდრამატულობა, დამახასიათებელი ტრადიციული დადგმებისათვის... ალ. ახმეტელმა მთელი სპექტაკლი განმსჭვალა მუსიკალური პარტიტურიდან მომდინარე რიტმითა და დინამიკით...“

სცენაზე წარმოდგენილი იყო მთა-გორაკებზე შეფენილი XVIII საუკუნის იტალიური სოფელი, რომლის მოსახლეობა კომედიანტების მოსვლას ელოდებოდა. თავი მოეყარათ მოხუცებს, ახალგაზრდებს, ბავშვებს.

ორკესტრის პირველივე აკორდზე ფარდა ელვის სისწრაფით იხსნებოდა. თავიდანვე განსაზღვრული იყო სპექტაკლის ტემპი და რიტმი. სცენაზე მღელვარება, ფუსფუსი, ჟრიამული სუფევდა... სპექტაკლში მონაწილეობდა რუსთაველის თეატრის მთელი დასი. მათ შორის იყვნენ: ნიკო გოცირიძე, უშანგი ჩხეიძე, გიორგი დავითაშვილი, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, თამარ ჭავჭავაძე, თამარ წულუკიძე და სხვები, დიდი და პატარა მსახიობები. თვითუღოს ევალეობდა გარკვეული ამოცანის შესრულება. ყოველი მათგანი ქმნიდა თავისებურ სახეს ან ასახიერებდა თავის როლს რუსთაველის თეატრში დადგმული სპექტაკლებიდან, რაც არ არღვევდა საოპერო დადგმის სტილს. გუნდის მომღერლებს,

გამოუცდელობის გამო, ერთდროულად სიმღერა და რეჟისორის დავალებების შესრულება გაუჭირდებოდათ. ახმეტელმა რუსთაველის თეატრის მსახიობები ამიტომაც მოიხმო.

შორიდან ისმოდა კომედიანტების საყვირები. უეცრად მთელი მასა წყვეტდა მოძრაობას და გაქვევდებოდა ხოლმე იმ პოზაში, რომელშიც მანამდე იმყოფებოდა. მუსიკის მომდევნო ტაქტზე, თითქოს ქარის ერთი შემობერვით, ყველა იცვლიდა მდგომარეობას და ელვის სისწრაფით მაყურებელთა დარბაზისაკენ ტრიალდებოდა. საყვირების ხმათა თითოეული ტაქტი გუნდის ცელკეულ ჯგუფებზე იყო განაწილებული. მთლიანობაში ეს მსუბუქი პლასტიკური მოძრაობა მარაოსავით სწრაფად იშლებოდა და სწრაფადვე იკვრებოდა. თითოეული მსახიობი თავისებურად გამოხატავდა ცნობისმოყვარეობასა და განცვიფრებას. ეს შესანიშნავი სცენა ტაშის გრიალს იწვევდა. მსახიობთა უზარმაზარი მასა ზედმიწევნით იყო დაუფლებული ლეონკავალოს მუსიკის თითოეულ ტაქტს“.

მოულოდნელი და შთამბეჭდავი იყო ჯამბაზების შემოსვლის სცენაც. მაყურებელთა დარბაზში სინათლე საზეიმოდ ინთებოდა, პარტერში შემოსასვლელი კარები იღებოდა და დერეფნებიდან დარბაზში შემოცვივდებოდნენ ხოლმე საყვირებით, დაფდაფებით, სკივრებით, ფარდაგებით და სხვა ინვენტარით ხელდამშვენებული კომედიანტები. ეს ხმაურიანი მოხეტიალე დასი მთელ დარბაზს ჩამოივლიდა, გზადაგზა მაყურებელსაც ეხმიანებოდა და საორკესტრო ორმოზე გადებული ხიდების საშუალებით შეესეოდა სცენას, სადაც ნამდვილი სახალხო დღესასწაული იმართებოდა.

„ჯამბაზებში“ მთავარ როლებს ასრულებდნენ ახალგაზრდა მომღერლები: ბარბაღე მრავალი (ნედა), დავით ანდღულაძე (კანოი), შალვა ცირდილაძე (ტონიო). ეს შესანიშნავი მომღერლები სპექტაკლში მღეროდნენ და თამაშობდნენ, ვით ნამდვილი არტისტები და დიდ შთაბეჭდილებასაც ახდენდნენ.

„ჯამბაზები“ იმთავითვე ეროვნული საოპერო ხელოვნების დიდ მიღწევად აღიარეს.

ამას მოწმობს მიხეილ კვალიაშვილის მოგონება:

„ეს იყო ნამდვილი თეატრი. საოპერო სცენაზე მანამდე არ გვინახავს ასეთი ცხოველმყოფელი, მოძრავი და მარავალსახოვანი სახალხო სცენები. ყველაფერში, მთლიანობაშიც და ცალკეულ დეტალებშიც, დიდი ოსტატის ხელი იგრძნობოდა. ახმეტელმა განსაცვიფრებელი მუსიკალურობა გამოამჟღავნა. მისი მიზანსცენები სრულ შესაბამისობაში იყო მუსიკალურ ფაქტურასა და დინამიკასთან.“

შეუძლებელია ეს მღელვარე, ფერადოვანი, დრამატული სიტუაციებით დახუნძლული სპექტაკლი დაწვრილებით აღწერო. ახმეტელმა ყველა მომღერალთან სკრპულიოზური, საფუძვლიანი მუშაობა ჩაატარა და მკვეთრი, შთამბეჭდავი ვოკალურ-სცენური სახეების ანსამბლი შეკრა.

ასეთი სპექტაკლით ნებისმიერი სახელმგანთქმული საოპერო თეატრი იამაყებდა“¹⁶.

ათეული წლების შემდეგ დიდმა ქართველმა მომღერალმა და პედაგოგმა, კანოის როლის უბადლო შემსრულებელმა დავით ანდლულაძემ მადლიერებით გაიხსენა თავისი მასწავლებელი:

„ახმეტელი 1924 წელს, თბილისში ჩამოსვლისთანავე გავიცანი. ახალგაზრდა მომღერლებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. ვოკალურ ხელოვნებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. როცა ვერდის „ბალ-მასკარადში“ ჩემი დებიუტი დაინიშნა, გავბედე და ვთხოვე, რომ ჩემთან რიჩარდის სახეზე ემუშავა.

დებიუტი წარმატებით ჩატარდა. სპექტაკლს მოწინავე საზოგადოება ესწრებოდა. არასოდეს დამავიწყდება მხცოვანი მწერლის დავით კლდიაშვილის განცვიფრება: „ნუთუ ეს დებიუტანტია, ასე თავისუფლად რომ მოძრაობს სცენაზე?“ ცხადია, ეს ქება სანდროს უფრო ეკუთვნოდა.

1926 წელს მან რუსთაველის თეატრის სცენაზე ლეონკავალოს „ჯამბაზები“ დადგა. სპექტაკლს ივანე ფალიაშვილი დირიჟორობდა. ეს იყო ბრწყინვალე სპექტაკლი, აღსავსე ვნებათა ღელვით, განცდათა სიმძაფრითა და სიწრფელით. ლეონკავალოს მუსიკამ ტოლფასოვანი ხორცმესხმა ჰპოვა. რეჟისორმა ახალბედა მომღერალთა სხეულები მოდრიკა, აამოქმედა, პლასტიკური გამომსახველობით აამეტყველა. მან შექმნა მხატვრულ სახეთა მონოლითური ანსამბლი. თითოეული გმირი მკაფიო ხასიათით და ტემპერამენტით გამოირჩეოდა. მასობრივ სცენებში რუსთაველის თეატრის დასი გამოიყვანა. ყოველი მონაწილისათვის ნაპოვნი ჰქონდა განსაკუთრებული სცენური პოზიცია. ხალხმრავალი სპექტაკლი ერთი მძლავრი მაჯისცემით ფეთქავდა. ეს დადგმა საოპერო შტამების გადალახვის იშვიათი ნიმუშიც იყო. ახმეტელის „ჯამბაზები“ დღემდე უბადლო მხატვრულ მოვლენად რჩება...

სანდრო ახმეტელი სინთეზურ თეატრს ქმნიდა. მის ხელწერას მუსიკალურობა მუდამ თან ახლდა. საოპერო ჟანრი მისთვის ახლობელი იყო. ოპერის სინთეზურმა ბუნებამ ახმეტელის მხატვრულ პრინციპებს ფართო გასაქანი მისცა. საოპერო კომპონენტების გამახვილება და გამთლიანება ემარჯვებოდა. დაჯილდოებული იყო მუსიკალური პარტიტურის წაკითხვის იშვიათი უნარით. ისეთ სახეებს ძერწავდა, რომელთა პლასტიკური მოქნილობა და სცენური მოძრაობა ჰარმონიულად ერწყმოდა მუსიკალურ ნახაზს.

რიტმი, პლასტიკა, დინამიკა, ცეცხლოვანი ტემპერამენტი საოპერო სცენას სიცოცხლით მსჭვალავდა და წარმოდგენას ცხოველმყოფელს ხდიდა.

თავს ბედნიერად ვთვლი, რომ შემოქმედებითად ვიყავი დაკავშირებული ამ დიდ ხელოვანთან და ადამიანთან!“¹⁷

სიცოცხლის ბოლო წლებში ახმეტელი მეიერბერის ოპერის „ჰუგენოტების“ ახალ მონტაჟზე მუშაობდა და პარტიტურაშიც მნიშვნელოვანი

ცვლილებები შეჰქონდა, რაც ძალიან თამამი გადაწყვეტილება იყო. ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრში ბოროდინის ოპერის „თავადი იგორის“ რეპეტიციებს ატარებდა. ამ რეპეტიციებს ესწრებოდა ახალგაზრდა ვახტანგ ჭაბუკიანი, რომელიც იმხანად ამავე თეატრში მოღვაწეობდა. ათეული წლების შემდეგ მან ეს ფაქტი თავის მოგონებაში გაიხსენა:

„1936 წელს პირადად შევხვდი სანდრო ახმეტელს ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, სადაც ბოროდინის ოპერას „თავად იგორს“ დგამდა. საოპერო დასი აღფრთოვანებული იყო მისი შემოქმედებითი პრინციპებით, მომღერლებთან მუშაობის მეთოდით. მის დიდ ნიჭსა და შემოქმედებით ინდივიდუალობაზე ლენინგრადის მთელი თეატრალური საზოგადოება აღაპარაკდა“¹⁸.

აღნიშნულ რეპეტიციებს ესწრებოდა საბალეტო ხელოვნების ისტორიკოსი, კრიტიკოსი და სცენარისტი იური სლონიმსკი, რომელიც ლენინგრადის საოპერო თეატრის ლიტერატურულ ნაწილს განაგებდა. მისი გადმოცემით:

„დარბაზი, სადაც ახმეტელის რეჟისორული ტალანტის ზემოქმედებით გაცხარებული რეპეტიციები მიმდინარეობდა, ყოველ დღე სავსე იყო არტისტებით, მხატვრებით, მუსიკოსებით, რეჟისორებით. აღფრთოვანებულები ვიყავით მსახიობებთან მუშაობის მისეული მეთოდით, დაუშრეტელი ენთუზიაზმით, აზროვნებით და, რა თქმა უნდა, შემოქმედებითი პრინციპებით. ახმეტელი ღრმა პატივისცემას იმსახურებდა. ახალგაზრდობა მას აღმერთებდა. ჩვენს თეატრს სწორედ ისეთი რეჟისორი ესაჭიროებოდა, როგორიც ახმეტელი იყო...“¹⁹

სამწუხაროდ, პოლიტიკური რეპრესიების გამო, ახმეტელმა მეიერბერის და ბოროდინის ოპერებზე მუშაობა ვერ დაამთავრა. 1937 წელს ის ამ ტრაგიკულ კატაკლიზმებს შეეწირა. ასევე, განუხორციელებელი დარჩა მოსკოვის „დიდი თეატრში“ დაგეგმილი „აბესალომ და ეთერის“ დადგმა. მანამდე, ჯერ კიდევ 1930 წელს, „დიდი თეატრის“ ხელმძღვანელობამ მას შესთავაზა რიმსკი-კორსაკოვის „ფსკოველი ქალის“ და ბერგის „ვოცეკის“ დადგმა, მაგრამ არც ეს შეთანხმება შედგა, ახმეტელის მოუცლელობის - ამერიკული გასტროლებისთვის სამზადისის გამო.²⁰

ესეც ბედისწერაა, ალბათ, რომ სანდრო ახმეტელის შემოქმედებითი ცხოვრება საოპერო დადგმებით დაიწყო და დამთავრდა!

„ჯამბაზების“ დიდი წარმატება მაფიქრებინებს, რომ „ჰუგენოტების“ და „თავადი იგორის“ დადგმებით ახმეტელი საოპერო რეჟისურის სამყაროში გადატრიალებას მოახდენდა. ასეთი პროგნოზის საფუძველს მაძლევს, ერთის მხრივ, ამ ოპერების მონუმენტურობა, ემოციური ტონუსი და საგუნდო სცენების ქმედითობა, რაც ახლობელი იყო ახმეტელის თეატრალური ესთეტიკისათვის და, მეორეს მხრივ, საოპერო პარტიტურებზე სკრპულიოზური მუშაობის მეთოდი, რომელიც მან „ჯამბაზების“ დადგმის პროცესში საბოლოოდ ჩამოაყალიბა. მუ-

სიკალური ტექსტი დეტალურად, ტაქტების მიხედვით ჰქონდა გათვლილი. ასეთი შრომატევადი სამუშაოს ჩატარება საჭირო იყო სპექტაკლის ტემპო-რიტმის და მისი გრადაციების დასადგენად, მუსიკალურ-სცენური ფორმების სინქრონულობის და პლასტიკური გამომსახველობის მისაღწევად. ამ მეთოდის საფუძველზე ახმეტელი დაეუფლა მუსიკალური სტრუქტურების ვიზუალიზაციის პრინციპს, ამოუწურავ შესაძლებლობებს რომ იძლევა მხატვრული სახეებისა და დრამატურგიული პროცესის გასცენიურებისათვის.

ამ პრინციპმა არნახული ეფექტი მოახდინა - პოლიჟანრული, პოლირიტმული ელემენტებით გაამდიდრა „ჯამბაზების“ დადგმის ფაქტურა, რომელმაც კულმინაციურ დამაბულობას მიაღწია ლეონკავალოს პარტიტურაში ჩართული ისეთი ორაზროვანი დრამატურგიული კონტრაპუნქტის გათამაშების დროს, როგორიცაა თეატრი თეატრში. მხედველობაში მაქვს ყოფითი დრამის კონტექსტში ჩასმული ტრაგიკომედიური ინტერმედია (კოლუმბინას და არლეკინის სცენა), რომელშიც ახმეტელმა იტალიური ნიღბების თეატრის „კომედია დელ არტეს“ ტრადიციებს მიმართა და სპექტაკლის ქსოვილში ცეკვისა და პანტომიმის ელემენტებიც ჩართო.

ახმეტელმა ლეონკავალოს პარტიტურის ანალიზის საფუძველზე მიაგნო ამ ექსპრესიული ვერისტული დრამის გასაღებს. მგზნებარედ, განუმეორებელი თეატრალური ელვარებით და გამომგონებლობით გამოხატა ხალხური ცხოვრების სურათებიც, კომედიანტების ვნებათა ღელვაც და სცენაზე დატრიალებული ტრაგედია.

„ჯამბაზებში“ განხორციელებული რეფორმატორული ძიებებით ახმეტელი ეხმიანება XX საუკუნის სასცენო ხელოვნების ნოვატორებს, რომელთა შემოქმედებაში მუსიკალურპარტიტურებზე სკრპულიოზური მუშაობის მეთოდმა და მუსიკალური სტრუქტურების ვიზუალიზაციის პრინციპმა დიდებული ნაყოფი მოიხსნა - ახალი ჰორიზონტები გახსნა საოპერო და საბალეტო ხელოვნების წინაშე და კლასიკური ჟანრების ბირფესვიანი განახლება განაპირობა.

ეპოქალური მნიშვნელობის ამ ფუნდამენტური ძვრების შედეგად დაიბადა ქორეოსიმფონიებად მონათლული ჯორჯ ბალანჩინის შედევრები და ფრანკო ძეფირელის უნიკალური საოპერო დადგმები თეატრსა და კინოში.

დიახ, სანდრო ახმეტელი წინ უსწრებდა დროს!

ლიტერატურა

1. Д. Шостакович «Страница памяти» («Сандро Ахметели» «Хеловнеба». Тбилиси 1977. ст. 434.)
2. ალ. ახმეტელი „წერილები“ („ლიტერატურა და ხელოვნება“ თბილისი. 1964. გვ.48. გვ. 165)
3. Claudio Abbado „Grosse Sänger - Weltstars in Szene und Portrait“ (1990. Wien); კლაუდიო აბადო „დიდი მომღერლები“ („საოპერო სცენები და პორტრეტები“ 1990. ვენა)
4. აღნიშნული დადგმები განხილულია მ. ახმეტელის წიგნში „ცხოვრება ხელოვნებაში“ (საქართველოს მუსიკალური საზოგადოება 2009. თბილისი) იხ. წერილები „ლა სკალა მოსკოვში“ (გვ. 75), „ვერდის ოპერის ევრანული ადაპტაცია“ (გვ. 99).
5. Б. Покровский «Театральные потрясения» ერთჯერადი ქართული და რუსულენოვანი გაზეთები „სანდრო ახმეტელი 100“ (საქართველოს თეატრალური საზოგადოება. გვ.5. 14 იანვარი 1987).
6. В. Всеволодский – Генгрос «Театру им. Руставели в знак глубочающего к нему уважения» («Сандро Ахметели» «Хеловнеба». Тбилиси. 1977. ст. 516)
7. ვ. კიკნაძე „სანდრო ახმეტელი“ („ხელოვნება“. 1977. იხ. წერილი „მუსიკის სამყაროში“. გვ. 274)
8. დ. არაყიშვილის ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“ პირველად დაიდგა 1919 წლის 5 თებერვალს, თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე.
9. მ. კვალიაშვილი „განუმეორებელი, დაუვიწყარი“ (ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“. 1967. №5. გვ.62)
10. დ. ანთაძე „დღეები ახლო წარსულისა“ („ლიტერატურა და ხელოვნება“. თბილისი. 1966. გვ.145)
11. ალ. ახმეტელი „წერილები“ („ლიტერატურა და ხელოვნება“ თბილისი. 1964. გვ.55)
12. შ.აფხაიძე „სანდრო ახმეტელი“ (კრებული „რუსთაველის თეატრი“. ტფ. 1934. გვ.19)
13. ე.დავითაია „მარჯანიშვილისა და ახმეტელის ერთობლივი დადგმები“ („ხელოვნება“. თბილისი.1981. გვ.130).
14. მ. ყვარელაშვილი „ახმეტელის საოპერო დადგმები“ (ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ 1977. # 4. გვ.39)
15. ვ. გვახარია „ქართული მუსიკის მშვენიება“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1971. გვ.47.)
16. М. Квалиашвили «Несколько слов о Сандро Ахметели» («Сандро Ахметели» «Хеловнеба». Тбилиси. 1977. ст. 384.)
17. დ. ანდლულაძე „ადამიანი, შემომქმედი“ (ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“. 1967. გვ. 45.)
18. В. Чабукиани «Великий создатель» («Сандро Ахметели» «Хеловнеба». Тбилиси. 1977.ст. 429.)
19. А. Чхеидзе «Сандро Ахметели – новые принципы режиссерского таланта» («Сандро Ахметели» «Хеловнеба». Тбилиси. 1977. ст. 329.)
20. „ალექსანდერე ახმეტელი“ კრებული (გამომცემლობა „ხელოვნება“. თბილისი. 1958. გვ. 267).

SANDRO AKHMETELI AND THE PROBLEMS OF OPERA DIRECTING

Summary

The eminent director Sandro Akhmeteli (1886-1937), whose ground-breaking work has shaped the national model (which was embodied in his famous innovative performances) of the Georgian theater, worked fruitfully in the opera theater, too. He suggested solutions for problems in this genre, too, that are still relevant today.

In the present paper, Akhmeteli's creative principles are discussed against the background of the current processes occurring in the field of opera directing.

As early as in 1915, Akhmeteli wrote in the newspaper "Sheets of Georgia": "Every national theater grows and develops in three fields: theater-drama, theater-opera and theater-ballet. These three fields of theater are the highest expression of the aesthetic growth and development of the nation. The only difference is in the forms..."

This expression is interesting also due to the fact that here Akhmeteli, with such precise and laconic concepts as theater-opera and theater-ballet, transferred his accent to the theater, the revival of which is the most difficult task for both the opera and ballet stages.

From the very first opera staging it can be seen that Akhmeteli already knew how to solve this task: in order that the theater could enjoy its full rights and operate on the opera stage with all of its mighty force, first of all, it is necessary to bring up singers and actors of synthetic structure.

For Akhmeteli, it seemed unacceptable from the very beginning a provision focused on the specifics of vocal performance, which believes that a song is a leading factor in the opera house, so, priority must be to create comfortable conditions for the singers on stage. This provision puts the stage action into frames and does not allow its development. Such regulation of opera directing completely destroys both the idea and the perspectives of revival of the theater on the opera stage.

Followers of this provision try to create the illusion of theater on the opera stage at the expense of scenography. This trend has intensified over the last few decades and has found expression in inadequate scenographic forms that have nothing to do with classical musical scores. However, they present claims on modernization of the Opera House. In such performances, the epoch presented in classical operas, the behavior of the actors, the attire, the panorama of life are mechanically transferred to our time or to a completely foreign social at-

mosphere and are under the influence of mass culture. The musical aesthetics and ideology of opera classics cannot get adapted to such manipulations. This striking inconsistency kills the magic of operatic art, prompting a fair protest from prominent musicians, conductors and directors.

Luckily, the great masters of the performing arts of the 20th century stood on the guard of this glorious genre from the very beginning: Stanislavski, Meyerhold, Felsenstein, Pokrovsky, Zeffirelli, Strehler, Jean-Pierre Ponnelle, who valiantly defended the honors of the operatic arts and implemented the process of reformation of the opera staging with great bravery.

Sandro Akhmeteli is also one of the reformers of the performing arts, who raised the fundamental issues of opera directing ever since his very first staging (D. Arakishvili's opera "Tale on Shota Rustaveli" in 1919). He made the focus on the dynamism of target scenes, the rhythmic action, and the plastic imagery that resulted from the analysis of the musical score. Akhmeteli's position was immediately revealed: vocal and acting techniques must be developed in singers from the very beginning and synchronously, in order to awaken an aspiration for synthetic thinking in them, which must gradually turn into organic creative qualities. This was a very topical problem for Akhmeteli, who was interested in reflexology and biomechanics. He tried to accomplish this important task at the Tbilisi State Conservatory, where in 1924-1926 he taught student vocalists the discipline of stage skills.

Excerpts from Rossini ("The Barber of Seville"), Gounod ("Faust"), Tchaikovsky ("Eugene Onegin" and "The Queen of Spades"), presented by the students of the Tbilisi Conservatory, were especially successful. From the operas of Arakishvili ("Tale on Shota Rustaveli"), Halévy ("La Juive"). These performances are discussed by M. Kvarelashvili, the famous opera singer, a former student of Sandro Akhmeteli himself, in the paper "Sandro Akhmeteli's opera performances", where he highly appreciates Akhmeteli's pedagogical work and emphasizes:

"Thanks to Alexander Akhmeteli, live people acted on the stage, the movement of novice actors was plastic and rhythmic, the impression was created that the great masters of the stage used to sing instead of, in fact, inexperienced students."

He also analyzed S. Akhmeteli's opera performances, staged at the Tbilisi Opera House in different times: Yurasovsky's "Trilby" (1924), Paliashvili's "Latavra" (1928) and Femelidi's "The Break-up" (1932).

A special place in the history of the Tbilisi Opera House is occupied by the staging of Leoncavallo's opera "The Clowns" (1926), in which Akhmeteli finally established the method of scrupulous work on the operatic score. The musical text was counted in details, according to the bars. Such laborious work was necessary to determine the tempo-rhythm of the performance, to achieve

the synchronicity of the musical-scenic forms as well as the plastic expression. Based on this method, Akhmeteli mastered the principle of visualization of musical structures, which gave him the key to this expressive realistic drama. In “Clowns”, Akhmeteli passionately expressed the images of folk life, the excitement of the comedians’ passions and made the tragedy look on the stage with unique theatrical brilliance.

In the mentioned paper, the theatrical aesthetics of Sandro Akhmeteli is highly appreciated by famous Georgian and foreign figures; among them, by Dmitry Shostakovich, who shares his views with the readers:

“... In 1936, Sandro Akhmeteli staged Borodin’s “Prince Igor” at the Leningrad Opera House. He often visited me, shared his plans. I was amazed by his creative energy and optimism, his extraordinary musicality, his rare sense of music and his knowledge. If he lived, he would make a great contribution to the development of modern opera theater. Unfortunately, his creative plans were not destined to be implemented...”

ელდარ ნადირაძე

ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ეთნოკულტურა და ხელოვნება

საკითხი, რომლის განხილვასაც ვთავაზობთ მკითხველს, თავისი მნიშვნელობით უაღრესად საინტერესოა, რადგან იგი ეხება კულტურის ისტორიის პრობლემას და აქედან გამომდინარე, მისი შემდგომი ნაკადების განვითარების პროცესს. ეს არის საზოგადოებრივი ცხოვრების სფერო, სადაც რელიეფურადაა გამოხატული ადამიანთა საყოფაცხოვრებო და ესთეტიკური ღირებულებანი, მათი მოთხოვნილების დონე და ამ მოთხოვნილებათა შესრულების ხარისხი. ცნობილია, რომ ხელოვნება სხვადასხვა საშუალებებით ცდილობს წარმოადგინოს ადამიანთა საზოგადოების სამყარო იგი მოითხოვს კონკრეტული წესების ან ტექნიკის გამოყენებას, რომელიც საჭიროა ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად და რამდენადაც შემოქმედი ფლობს ამ თვისებებსა და წესებს, იმდენადაა მისი ქმნილება ყურადღების ღირსი. თანამედროვე მეცნიერული დეფინიციით ხელოვნება ყველაზე უფრო განზოგადებული ფორმით გულისხმობს: ხელოვნების ნიმუშების შექმნას, ხელოვნების ესთეტიკის გავრცელებასა და მის აღქმას (N. Carroll, 2000: 56). ხელოვნება თავისი არსით მრავალფეროვანია რომლის პროდუქტი იქმნება ადამიანის ნიჭით, შრომით, კრეატიულობით, თვითგამოხატვისა და თვითშემეცნების უნარის მიხედვით, ხელოვნების მიზანში ხშირად წარმოჩინდება იდეათა გაზიარების სურვილი, პიროვნულ ურთიერთობათა სპექტრი, საყოფაცხოვრებო და სოციალური საჭიროებით გამოწვეული მოთხოვნილების დაკმაყოფილების აუცილებლობა.

როგორც ხელოვნების ისტორიიდანაა ცნობილი XIX ს-ის 50-იან წლების ევროპაში წარმოიშვა ფორმალიზმის პირველი ნიშნები, რომლის დეკადენტური აზრი გამოხატული იყო ლოზუნგით „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. ამ უკიდურესობით გამსჭვალულმა თეორიამ სულ წამდენიმე წელი იცოცხლა და მიუხედავად იმისა, რომ მისი სკეფსისით დამძიმებული საფუძვლების შექმნაში დიდი შემოქმედებითი ნიჭის ადამიანებიც იღებდნენ მონაწილეობას, ეს თეორია ვერ იგუა და ვერ გაითავისა კაცობრიობის რაციონალურმა აზრმა. ვერ შეიგუა რადგანაც ადამიანისათვის ყველაზე ძვირფასია მზით განათებული სამყარო,

მისი ბუნება, ყოველდღიური ცხოვრების რიტმი: შრომა, გართობა, სიყვარული, შემოქმედებითი მოღვაწეობა ამ ნიადაგზეა ამოზრდილი ხელოვნება. იგი იქმნება ადამიანური ვნებათაღელვის მრავალფეროვან გარემოში და ამიტომაც შეუძლებელი დავუმორჩილოთ იგი ერთი კონკრეტული სფეროს, ჩაკეტოთ და შემოვავლოთ ბარიერი, რომელიც მის სიმდიდრეს კი არ დაიცავს, არამედ გააღარიბებს ახალი ნაკადების მიუერთებლობით.

წარმოდგენილი ნაშრომის დედააზრს სრულიად პასუხობს ამერიკის ესთეტიკის საზოგადოების პრეზიდენტი, ცნობილი ფილოსოფოსისა და კულტუროლოგის, ჯორჯ დიკის დასკვნას იმის შესახებ, რომ ხელოვნების პირველ ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ კულტურის არქეტიპი ანუ არტეფაქტი (G. dickie, 1971:13-18). ფაქტობრივად, ამ მოსაზრებით, დაშვებულია იმის აღიარება, რომ ხელოვნების პირველსაწყისს ადრეკლასობრივ საზოგადოებაში უდევს საფუძველი, რის შემდეგაც ხელოვნების უკვდავი ქმნილებანი შეიქმნა ძველ აღმოსავლეთში, ეგვიპტეში, ჩინეთში, ინდოეთში, სპარსეთში, საბერძნეთში, რომში და ხმელთაშუაზღვის კულტურასთან ნაზიარებ ხალხებში (H. Дмитриева, 1956:), რომელშიაც იგულისხმება კავკასიის აბორიგენი მოსახლეობაც. საგულისხმოა, რომ ამ მასალის დიდი ნაწილი ეთნოკულტურის სფეროშია შექმნილი, უფრო მეტიც, შესაძლოა ითქვას, რომ ხელოვნების პირველსაწყისები და მისი განვითარების პირველადი ფორმები მხოლოდ ეთნოკულტურაშია საძიებელი. ეთნოკულტურული არქეტიპები გამოხატავენ და ამყარებენ ეთნოსის, როგორც კულტურული მთლიანობის ფუძემდებლურ თვისებებს. ყოველ კულტურაში საკუთარი ეთნოკულტურული არქეტიპები დომინირებენ, რომლებიც მნიშვნელოვანწილად განაპირობებენ ეთნოსის მსოფლმხედველობას, მის ხასიათს, ისტორიულ ბედსა და თავისებურებებს. ეთნოკულტურულ არქეტიპებში კონცენტრირებული სახითაა წარმოდგენილი ეთნოსის კოლექტიური გამოცდილება. ეთნოკულტურული არქეტიპების არსებობა მნიშვნელოვანი პირობაა კულტურის მთლიანობისა და თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. საგულისხმოა, რომ ბერძნულ-რომაული, ბიზანტიური, შუასაუკუნეების, აღორძინების ხანის, ისლამური, ინდური, ჩინური თუ იაპონური ხელოვნება არასდროს ყოფილა უტილიტარული ხელოვნების გარეშე, ეს ფაქტი პირველყოვლისა გამჟღავნებულია საცხოვრისში, ავეჯში, ჩაცმულობაში, შეიარაღებაში, საყოფაცხოვრებო საგნებისა და ზოგადად, ხელოსნობის დარგების მრავალფეროვან პროდუქციაში.

რა თქმა უნდა, ჩვენ ვიზიარებთ ხელოვნების სამყაროში მიღებულ გამიჯვნას ხელოვნებასა და ხელობას შორის. განსხვავება ამ ორ დარგს შორის არის ის, რომ ხელოვნების ნიმუში, როგორც წესი, უნიკალური ნაწარმოებია, რომელსაც ავტორის გენიალობას მიაწერენ, ხოლო ხელოსნები ძირითადად მისდევენ ტრადიციული მოდელების გამეორებას,

რაც სრულდება სერიული პროცესის შედეგად (S. Davies., 1991: 99). ეთნოკულტურული მემკვიდრეობის შეფასებისას ზოგჯერ ამ აზრს ერთმნიშვნელოვნად იზიარებენ და ნაკლებად ცდილობენ დაინახონ ორიგინალობისა თუ გენიალობის ნიშნები ამ სფეროში, რაც შეცდომად მიგვაჩნია.

წარმოდგენილი შრომის ძირითადი მიზანია მსოფლიოს ერთ-ერთი საინტერესო რეგიონის - ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ეთნოკულტურაში ხელოვნების ნაკადებზე ყურადღების გამახვილება და იმ ტიპის მასალის ილუსტრირება, რომელიც მათი, როგორც ხელოვნების ნიმუშის, შეფასებისათვის გამოდგება. გვსურს აღვნიშნოთ, რომ ამ საკითხის კვლევის ორიგინალობას ვერ დავიჩემებთ, რადგან ხელოვნების მრავალფეროვანი პლასტების კვლევის საქმეში უამრავი ნაშრომია გამოცემული, როგორც ჩვენში ასევე საზღვარგარეთ. თუ მაინც ვაპირებთ ვისაუბროთ ამ თემის ირგვლივ, მხოლოდ იმიტომ, რომ შეძლებისდაგვარად წარმოვაჩინოთ ეთნოგრაფიულ ყოფასა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული ეთნოკულტურული მემკვიდრეობის სფეროში შექმნილი ხელოვნების ნიმუშები, რომელთაგან ზოგი უკვე ცნობილია სამეცნიერო საზოგადოებისათვის, ხოლო ზოგიერთი სფერო ჩვენ მიერ შესწავლილი და პირველად მოექცა ფართო მკითხველთა ყურადღების ქვეშ. ჩვენი მთავარი მიზანია წარმოვაჩინოთ ესთეტიური თუ გამოყენებითი ხელოვნების სფეროდან გამოსულ უსახელო შემოქმედთა წვლილი, წარმოვადგინოთ ნითიერი მასალა, როგორც საბუთი, დავარქვათ მას თუნდაც ექსპონატი, რომელიც შეიქმნა გარკვეული კორპორაციის ნიშნის ქვეშ, მაგრამ ისინი სუნთქავენ შემოქმედი ადამიანის გენიალობით. ცნობილია, რომ ხელოვნების დეფინიცია განიმარტება როგორც „საუკეთესოდ გაკეთებული“, ხოლო თუ ასეა, საუკეთესოდ გამკეთებელი სად ქმნის თავის ქმნილებას, რაიმე ტიპის კორპორაციაში, სოფლის სამჭედლოში თუ ქალაქის სარდაფში, ამას ნაკლებად აქვს მნიშვნელობა.

აკადემიკოსმა გიორგი ჩიტაიამ, ქართული ეთნოკულტურის მიღწევებს „მსოფლიო მნიშვნელობის უნიკალური კულტურის საგანძური“ უწოდა (გ. ჩიტაია, 2001:3), ცხადია, რომ ეს შეფასება დაყრდნობილია პრაქტიკული გამოცდილებისა და მეცნიერული კვლევების საფუძველზე და წარმოადგენს სრულ ჭეშმარიტებას. მართებულად მივიჩნევთ, თუ ეს შეფასება გავრცელდება ზოგადად მთელი სამხრეთ კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ეთნოკულტურის მიმართ. ვთვლით, რომ ეს მემკვიდრეობა არის ყველაზე ძლიერი საყრდენი ნებისმიერ ხალხთა კულტურული მიღწევებისა და ეთნიკური თვისებების შენარჩუნებისათვის, რათა არ იქნენ დაკარგულნი მსოფლიო ინტეგრაციის გლობალურ ოკეანეში. ეთნოკულტურული მემკვიდრეობის ზოგადი მნიშვნელობის განსაზღვრისათვის აქ ურიგო არ იქნება ვახსენოთ სახელი ნიკო მარისა, რომლის ინიციატივით 1919 წელს

მოსკოვში დაარსებული იქნა რუსეთის მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემია (რ.მეტრეველი, 2019: 409).

მსურს რამოდენიმე სიტყვით შევხვო ნივთიერი მასალის წარმომავლობის საკითხს, რომლის შესახებაც მექნება საუბარი წინამდებარე სტატიაში. ეს გახლავთ ეთნოკულტურული მემკვიდრეობა, რომელიც დღემდე დაცულია სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ამას ემატება ეთნოგრაფიული ექსპედიციების დროს შეკრებილი მასალა და იშვიათ რარიტეტულ გამოცემებში დაცული მხატვრული შედეგები.

ცნობილია, რომ პირველი ოფიციალური სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც რუსეთის იმპერიის მმართველობის ხანაში, კერძოდ, 1852 წელს დაარსდა სამხრეთ კავკასიაში, იყო რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმი (გ. ჟორდანია, 1951. გ. ჩხაიძე, 2003). ისე, როგორც მეფისნაცვალის რეზიდენცია და მთელი კანცელარიული სისტემა, სამუზეუმო რგოლიც დაფუძნებული იქნა თბილისში. ამ დაწესებულების ბაზაზე 1865 წელს შეიქმნა დიდი სამუზეუმო ინსტიტუცია „კავკასიის მუზეუმის“ სახელწოდებით, რომლის ადმინისტრაციამ სხვადასხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარების შემდგომ პრიორიტეტულ მიმართულებად გამოაცხადა ეთნოკულტურული მასალის შეკრება კავკასიის ხალხთა მატერიალური კულტურის სფეროში. სახელწოდება - „კავკასიის მუზეუმი“ - უკვე თავისთავად მიანიშნებდა, რომ ამ პროცესს უნდა მოეცვა მთელი კავკასია, განსაკუთრებით მისი სამხრეთ რეგიონები, რომელნიც დასახლებულნი იყვნენ უძველესი კულტურის მქონე ხალხებით. ამ ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებით კავკასიის მეფისნაცვლის, ცნობილი კულტურტრეგერის, მიხეილ ვორონცოვის მითითებით, გამართული სხდომების ანგარიშებში საბოლოოდ გამოიკვეთა ნივთიერი მასალის შეგროვების, სისტემატიზაციის, დაცვისა და მეცნიერული შესწავლის პერსპექტივები. რუსული მმართველობის სისტემამ, გარდა პოლიტიკურისა, კავკასიის სოციალურ-კულტურული ცხოვრებაც მოაქცია ერთიანი იმპერიული სისტემის ქვეშ. ეს ვითარება გავრცელდა ყველა სფეროზე და მისი ერთი გამოვლინება იყო კავკასიის მხარის, როგორც იმპერიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სივრცის კულტურული მემკვიდრეობის ფასეულებათა შეკრება და დაუნჯება, რაც გარკვეული სახის რევერანსს წარმოადგენდა დაპყრობილ ხალხთა მიმართ. გარდა ამისა, კავკასიის მუზეუმის მესვეურნი ცდილობდნენ, მასალის მოძიებისას არ შემოფარგლულიყვნენ მხოლოდ აღნიშნული რეგიონებით და შეძლებისდაგვარად მიეღოთ საინტერესო ექპონატები ირანისა და თურქეთის იმპერიაში მცხოვრებ სახვადასხვა ეთნოსთა კულტურული მემკვიდრეობიდან. ამ ორგანიზაციულ საქმიანობას სათავეში ჩაუდგა მუზეუმის პირველი დირექტორი გუსტავ რადე, ხოლო შემდგომ პერიოდში მუზეუმის თანამშრომლების ალექსანდრე კახნაკოვის, ივან

შელკოვნიკოვის, ვლადიმერ სოლოგუბის, ადოლფ ბერჟეს, ალექსანდრე ნიკოლაის და სხვათა ხელშეწყობით და უშუალო მონაწილეობით, მუზეუმის ფონდებში შემოვიდა მდიდარი მასალა. ეს პროცესი იყო პერმანენტული და იგი არ შეწყვეტილა XX საუკუნის 80-იან წლებამდე. საგანგებოდ უნდა ითქვას შემოწირულობათა შესახებ, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა მიხეილ ვორონცოვმა, მის კვალს მიჰყვნენ დიდი მთავარი, მეფისნაცვალი - მიხეილ ნიკოლოზის ძე, ლევან ჩოლოყაშვილი, რაფიელ ერისთავი, მარიამ ბებუთოვი, ეგორ მაკინცევი, გიორგი კაფაროვი, ვასილ მირზოევი, ზურაბ კობიაშვილი და სხვანი. კავკასიის მუზეუმის კოლექციებით გამრავალფეროვნებისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სპარსელი სამხედრო მოღვაწის, ურმიის ყოფილი გუბერნატორის, ყაჯართა საგვარეულოს წარმომადგენლის, გენერალი მაჯდ-ოს-სალტანეს აღმოსავლური ნივთების ძვირფას კოლექციას, რომლის ნაწილი, მისი მფლობელის ემიგრაციაში წასვლის შემდეგ, გაიყიდა თბილისის აუქციონზე, ნაწილი კი გადაეცა კავკასიის მუზეუმს. ამ კოლექციაში მოხვდა ხელოვნების უიმვიათესი ნიმუშები, რომლებიც გამოირჩევიან სპარსულ-აზერბაიჯანული კულტურის სიმბოლური ნიშან-თვისებებით. ეს არის ორი ერის თანაცხოვრების ამსახველი მასალები, კულტურათა შერწყმის საუკეთესო შედეგით.

1867 წლისათვის უკვე ისეთი მნიშვნელოვანი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ნივთები დაგროვდა, რომ მუზეუმის მესვეურებმა საჭიროდ ჩათვალეს მოეწყოთ პირველი გამოფენა. ეს იყო კავკასიის მასშტაბით უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რომელმაც რუსეთის იმპერიის კულტურულ ცენტრებშიც კი დიდი რეზონანსი გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ მუზეუმის შენობა არ შეესაბამებოდა სამუზეუმო სტანდარტებს, ექსპოზიცია, ექსპონატების მრავალფეროვნების თვალსაზრისით, რომელიც კავკასიის თითქმის ყველა კუთხიდან იყო წარმოდგენილი, უაღრესად უხვი და საინტერესო გამოდგა. საგულისხმოა, რომ გამოფენას ამშვენებდა კავკასიის ეთნოსთა ნაციონალურ კოსტიუმში გამოწყობილი მანეკენები, რომლებიც დამზადებული იყო პეტერბურგში ცნობილი მხატვრის, ლევ გეიზერის სახელოსნოში. 1872 წლისათვის მოსკოვში გაიმართა კავკასიის კოლექციების დიდი საერთაშორისო გამოფენა, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად.

ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ეთნოკულტურული და ხელოვნების ნიმუშების შეგროვებისა და შესწავლის პროცესს, ველზე თუ კამერალურ პირობებში, თან ახლდა ნივთიერი მასალის ჩახატვა, რომელსაც ასრულებდნენ ისეთი სახელოვანი მხატვრები როგორებიცაა: მაქს ტილკე, გრიგოლ გაგარინი, იოსებ შარლემანი, ნიკოლოზ სევეროვი, ანატოლი კალგინი, სერგო ქობულაძე, ვლადიმერ წილოსანი, ალექსანდრ სავინი, ნინო ბრაილაშვილი, ოლღა კონიაშვილი, ზურაბ წერეთელი, ჯემალ ლოლუა და სხვანი, სულ 60 მეტი მხატვარი.

ვფიქრობთ, რომ ეს მცირეფორმატიანი შესავალი გარკვეულ წარმოდგენა ქმნის იმის აღსაქმელად თუ რა რიგის მასალასთან გვაქვს საქმე და როგორია მისი პროფილი, რამდენადაა იგი დაახლოებული ხელოვნების მიმართულებასთან და პასუხობს თუ არა ეთნოკულტურული მე-მკვიდრეობის პროდუქტი ხელოვნების დარგის მოთხოვნილებებს.

კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ტიპაჟისა და ეროვნული კოსტიუმის წარმოჩენის თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მუზეუმის დირექტორის ალ. კაზნაკოვისაგან მსოფლიოს კოსტიუმების ცნობილი მკვლევარისა და მხატვრის, გერმანელი მაქს ტილკეს კავკასიის მუზეუმში მოწვევას. ტილკე 1910 წელს ჩამოვიდა საქართველოში და შეუდგა კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ტიპაჟებისა და მათი კოსტიუმების ატლასისისათვის მხატვრული ტილოების მომზადებას. ამისათვის ტილკე მოგზაურობდა ესპედიციებში და როგორც ადგილზე, ასევე სტაციონალურ პირობებში, ახდენდა ტიპაჟთა და მასთან ერთად, ნაციონალური კოსტიუმების ჩახატვას. მისმა ფუნჯმა შემოგვინახა შესანიშნავი ტიპაჟები: ქართველის, ბერძნის, ებრაელის, სპარსელის, სომხის, დაღესტნელის, ქურთის, თათრის, თურქის, ნოღაელის, კავკასიელ ალბანელთა უკანასკნელ შთამომავალთა უდიდების, ყარაფაფახის და კიდევ სხვადასხვა კულტურებში გატყორცნილი ცალკეულ ეთნოსთა ნარჩენებისა. ამ მიმართულებით გაწეული მუშაობა საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა მხატვრისათვის, მან საკუთარი თვალთა იხილა მრავალფეროვანი და მომხიბლავი ბუნება, ადამიანები, თვალი მიადევნა უძველეს წეს-ჩვეულებებს, საყოფაცხოვრებო ურთიერთობას და მათი ქცევის არააშკარა მოდელებს. ასეთ გარემოებათა ერთობლიობამ, საკმაოდ მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო, რაც გამოიხატა რამდენიმე ათეული მაღალმხატვრული ნამუშევრის შექმნით. მაქს ტილკესათვის, როგორც მხატვრისათვის, უპირველეს ყოვლისა, დამახასიათებელია მაღალი მხატვრული კულტურა ფართო დიაპაზონისა და დახვეწილი ოსტატობის ნიშნით. ტილკეს უზარმაზარი მხატვრული მემკვიდრეობა მსოფლიო კოსტიუმების სფეროში, დღემდე მიუწვდომელ სიმაღლეზე დგას და ამავე დროს, მისი დოკუმენტური ღირებულება დროის გასვლასთან ერთად მატულობს, ესაა მასალა-უნიკუმი თანამედროვე ურბანიზებული ჩაცმულობის გამრავალფეროვნების თვალსაზრისითაც. ტილკესათვის ნახატი მაშინაა ფასეული, თუ მასში შესაბამისადაა შერწყმული ტანსაცმლის მორთულობა ეთნოგრაფიულ ტიპთან. სოციალური ფენის სხვადასხვა წარმომადგენელთა ნამდვილი ტიპაჟის შექმნა, მისი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა. ტილკეს ნახატები მოწმობენ, რომ იგი ღრმად იცნობს თავისი საქმის ყველა ნიუანსს - მისი ხელი გაწაფულია, მაგრამ არა მაშინააღიერი. ტილკეს აშკარად სიამოვნებს ჭრელა-ჭრულა ფერების, ხვეულების, ხლართების, ნაყმების, მაქმანების, თეთრი აბრეშუმის თავსაფრების, რბილი ხავერდების, ზოლებიანი და მანებიანი პერან-

გების, ჩალმების, შავი ახალუხების, მეწამული, ხაოიანი შალებისა თუ დახუჭუჭებული ნაბდების ხატვა. იგი დღესასწაულს გვიწყობს, ყოველი ნახატის ჩვენებისას, თითქოს დაყვადეთ ამ დღესასწაულზე გვიჩვენებდეს ადამიანთა შემოქმედებას და გვარწმუნებდეს, თუ როგორაა დასადგურებული კაცობრიობის სულის სილამაზე მრავალფეროვნებაში.

საგულისხმოა, რომ ტილკეს თავისი სამსახურებრივი მოთხოვნილებით სრულიად არ ევალეზოდა სული ჩაედგა ეთნოგრაფიული ნატურისათვის. მას სთხოვდნენ კოსტუმის დეტალურ გადმოცემას - იმას, რაც ჩაცმულობის ისტორიისათვის იყო საჭირო, მაგრამ იგი ყოველთვის სრულყოფილად აფასებდა თავისი არჩეული ნატურის ყველა ღირსებას და ამიტომაც გამოსდიოდა რეალისტური და ესთეტიკურად მომხიბლავი ნაწარმოები. ტილკეს ნახატების ცქერისას სრული უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ იგი კარგად იცნობდა, როგორც კავკასიის, ასევე მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ნიუანსებს, მას უსათუოდ საკმარისი ცოდნა ჰქონდა დაგროვილი ამ ხალხთა ზნე-ჩვეულებათა სფეროში და პატივისცემით იყო განმსჭვალული მათ მიმართ. საბედნიეროდ, ტილკეს შეუმჩნეველი არ დარჩენია ხევისურთა ტანსაცმლის მომხიბვლელობა და მან რამდენიმე ნამუშევარი მიუძღვნა ამ თემას. მაქს ტილკე იკვლევს არა მხოლოდ ჩაცმულობის ისტორიას, არამედ წარმოაჩენს ადამიანთა ცხოვრების სოციალურ ბუნებასაც. მის ზოგად მახასიათებლად უნდა მივიჩნიოთ პორტრეტისადმი რეალური დამოკიდებულება, ფერთა მრავალფეროვანი გამა, კომპოზიციური სიმართლე, მკაფიო კონტრასტულობა, ზოგჯერ მაჟორული ტონალობა და ფერთა დიდი ინტენსიურობა, იგი ახერხებს, აკვარელის მისეული გამჭვირვალობით მაქსიმალური ეფექტურობით გამოხატოს ერთი შეხედვით, მეორეხარისხოვანი მომენტი. მას არ ავიწყდება ნოღაური და თურქული იურტების გადაღმა ჩამავალი მზის მშვენიერი დაისების ხატვა, რბილი ჩრდილებით დათალხული მთები, კავკასიონის ზეგანზე მომთაბარე მწყემსების მკაცრი ცხოვრების სულ რაღაც ნიუანსებით გადმოცემა და კიდევ სხვა უბრალო მშვენიერებანი, რომელიც ასე აუცილებელი და არსებითი გამხდარა მისი ძირითადი სამუშაოს შესასრულებლად. ალბათ, ქართველ მხატვართა შემოქმედებაშიაც ვერ შეხვდებით ბევრ ისეთ პორტრეტს, როგორსაც ტილკესეული ქართველი ქალი წარმოადგენს, ჩვენთვის ასე ძვირფასი, ასე ნაცნობი, ასე მართალი, თვალეში ოდნავ ნაღველჩამდგარი ქართველი ქალი, ქართული კაბით, შვინდისფერი რბილი ქათიბით, ტრადიციული ჩიხტიკოპით, დგას და შემოგვცქერის: სიმართლით და სიმშვიდის განცდით... საბოლოოდ, აღვნიშნავთ, რომ მაქს ტილკეს ნამუშევრები ბევრ საინტერესო მასალას მისცემს, არა მხოლოდ ხელოვნებამცოდნეებს, მხატვრებსა და ეთნოგრაფებს, არამედ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ისტორია, ხელოვნება კერძოდ, ზოგადად კი, ადამიანთა შემოქმედების მრავალფეროვნება და ნაციონალური ღირებულებანი, როგორც საკაცობრიო

კულტურის არსებობის ნიშანსვეტი. მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ მაქს ტილკე გერმანიაში წავიდა და წაიღო თავისი ნამუშევრების ერთი ნაწილი რომელიც იქ გამოსცა (Max Tilke, 1923) მეორე ნაწილი კი, 83 ნახატის რაოდენობით, დარჩა საქართველოს მუზეუმში, რომლის შესწავლა და გამოცემა, ჩვენი ინიციატივით და თანაავტორობით მოხერხდა მხოლოდ 2005 წელს. (T. Geladze, B.N. Smits, E. Nadiradze, 2005)

აქვე შეუძლებელია არ ვახსენოთ, ტილკემდე გაცილებით ადრე, ასეთივე ჟანრში შესრულებული, ცნობილი ფერმწერის, თავადი გრიგოლ გაგარინის მხატვრული ნამუშევრები, რომელნიც ეთნიკური კავკასიელთა ასახვის ერთ-ერთ საუკეთესო ნამუშევრებს წარმოადგენენ. საგულისხმოა, რომ თავისი შემოქმედების ამ პერიოდს დიდათ აფასებდა მხატვარი და მასთან დაახლოებული წრე, რომელთა წყალობითაც ეს ნახატები სტამბური წესით პარიზში გამოიცა 1847 წელს.

ხელოვნების შესანიშნავი ექსპონატებითაა წარმოდგენილი საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფერადი ლითონების ფონდი, სადაც დაცულია აღმოსავლური კულტურების უნიკალური მასალა. ესა არის ირანულ-აზერბაიჯანულ-სომხური-ქურთული სიმბიოზური ნაწარმი, რომელის ნაწილის შესწავლა მოხდა ჩვენს მიერ და გამოცემული იქნა ექვსი ნაშრომის სახით. ესენია: „აზერბაიჯანული ხალიჩები“, 2014 წ. „ერევნის სახანო“, 2019 წ. „ყარაბაღის სახანო“ 2022 წ. „ბაქოს კულტურული მემკვიდრეობის თბილისური პროფილი“ 2018. „სომხეთის კულტურული მემკვიდრეობა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში“ (ელ. ვერსია) 2002 და „ყაჯარული ეპოქის ხელოვნება“ 2008. ექვსივე ეს ნაშრომი შეიცავს ხელოვნების ნიმუშების ანალიზს, რომლთა ქრონოლოგიური ჩარჩო განისაზღვრება XVIII ს. დასასრულისა და XX ს. შუა ხანით. ამ მასალაში შედარებით გამოკვეთილადაა წარმოდგენილი ყაჯარული პერიოდის, ერევნისა და ყარაბაღის სახანოთა კულტურული მემკვიდრეობა.

როგორც ცნობილია, საქართველოში, ისევე როგორც ზოგადად ამიერკავკასიაში, ყოველთვის დიდი იყო ინტერესი ირანული კულტურისადმი, მის საუკეთესო ესთეტიკურ ღირებულებათა მიმართ დამოკიდებულება, რომელმაც განსაკუთრებულ სიმაღლეს მიაღწია გვიანფეოდალურ ხანაში. ამ პერიოდის ქართული, სომხური და აზერბაიჯანული საზოგადოება, სხვა კულტურებთან შედარებით, ახლო იდგა ირანულთან, მიუხედავად რელიგიური განსხვავებულობისა ქრისტიანი საზოგადოება იღებდა და საზრდოობდა ამ კულტურით, რაც თავის მხრივ აპირობებდა არა მხოლოდ ესთეტიკურ, არამედ სოციალურ სფეროში დაახლოებასაც. თბილისი, ბაქო, შემახა, შუშა (Описание, 1866) და მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქები, მუდამ წარმოადგენდნენ ამ რეგიონის იმპორტისა და ექსპორტის მნიშვნელოვან ცენტრებს, საიდანაც შეეძლო ესარგებლა ყველას, ადგილობრივსა თუ უცხოელს. ჩვენ მიერ წარმოდგენილ მასალაში განსაკუთრებული

ადგილი უჭირავს ყაჯართა დინასტიის მმართველობისას (Ҳ. Қаджар, 2001) შექმნილ უტილიტარული და ესთეტიკური დანიშნულების ნივთებს და ეს გასაგებიცაა, რადგან ამ პერიოდის ირანული ხელოვნება გამოირჩევა მკვეთრი ორიგინალობით (A. Pope, 1939), რომელსაც ჰყავს, როგორც მომხმარებელი, ასევე მიმბაძველი და იქმნება სიმბიოზური კულტურის ნაზავი, რომელშიც გამოხატულია როგორც ირანის, ასევე სამხრეთ კავკასიის ხალხთა სახელოსნო და სახელოვნებო მიღწევანი. ყაჯარულ ხელოვნებაში, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფერადი ლითონებისაგან (ვერცხლი, თითბერი, სპილენძი, კალა, თუთია, რკინა) დამზადებულ საგნებს. უტილიტარული თუ ესთეტიკური საჭიროებისათვის განკუთვნილი ეს ნივთიერი მასალა მოიცავს უზარმაზარ სფეროს კულტურისას, რაშიაც სრულად აისახა ირანული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებანი. ცნობილია, რომ ირანული ჭურჭლის თვითმყოფადმა სტილმა დიდი გავლენა იქონია მთელს რეგიონში ხელოსნობის ამდარგის განვითარებაზე. აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ ირანსა და ირანის აზერბაიჯანში (ზენჯანი, ურმია, თავრიზი, არდებილი) ლითონის ჭურჭლის დამზადების ასეთ მაღალი კულტურა განაპირობა ადგილობრივად არსებული საბადოების სიმდიდრემაც, სპილენძის მოპოვების ინტენსიურმა ხასიათმა, რომლის ამოღება და დამუშავება ხდებოდა ქაშანში, ხორასანში, ქირმანში, ყარაღალის ქედზე და განსაკუთრებით ანარეკში, სადაც ძირითადად სულფიდურ მადანს ამუშავებდნენ. საგანგებო აღნიშვნის ღირსია ხელოსნური წარმოების მასშტაბები და შრომის ორგანიზაციის დახვეწილი ფორმები, როგორც აუცილებელი წინაპირობა მაღალი ხარისხის ხელოსნური პროდუქტის შექმნისათვის. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ირანში ხელოსანთა სტრუქტურა მოწესრიგებული იყო საგანგებო შრომის წესდებების ე.წ. “რესალიების” საშუალებით, არსებობდა ხელოსნური გაერთიანება “ჰამქარის” სახელწოდებით და მოქმედებდა “ტრაქტატი ოქრომჭედლობის, მესპილენძეობის, ვერცხლისა და სხვა მეტალთა დამუშავების შესახებ” (გ. კვირკველია, 1975:10-30). აღნიშნული რეგიონიდან მუზეუმში შემოსულია ჯამების, ბადიების, ლანგრების, ლარნაკების, დეკორატიული შორენკეცების შესანიშნავი ნიმუშები, ასევე მონოქრომილი, კობალტით მოხატული და ვარაყიანი ფაიანსის ჭურჭელი. ცალკე აღნიშვნის ღირსია შორენკეცების კოლექცია, მათთვის დამახასიათებელი რელიეფური სიუჟეტებითა და ასეთივე ტექნიკით შესრულებული ორნამენტული დეკორით. ყაჯარული მატერიალური კულტურისა და ხელოვნების ნიმუშების მნიშვნელობას განსაზღვრავს მკვეთრად ინდივიდუალური ორნამენტული სამყარო და სიუჟეტური მოტივი საგულისხმოა, რომ ასეთი დამოკიდებულება შეიმჩნევა არა მხოლოდ ფერწერულ ნამუშევრებში, არამედ ლითონის ნივთების შემკულობაშიაც. ლითონის ზედაპირი დამორჩილებულია ხელოსნის ნებას და “ყალამზან”-საჭრეთელი თითქმის არ ჩამოუვარდება ფერწერაში

მომუშავე მხატვრის ფუნჯს. ამის დასადასტურებლად გამოდგება აქ წარმოდგენილი საოცრად მაღალი დინამიურობით შესრულებული სინებისა და თეფშების შემკულობა. ნივთიერი მასალის ორნამენტულადაა დიდი ადგილი უჭირავს ე.წ. “ისლიმის” ტიპის მცენარეულსა და გეომეტრიული “მეანდრის” ტიპის ორნამენტს, ყვავილების უდაბვეწილეს ეგზემპლარებს, რომლებიც ადამიანური სამყაროს ყოფიერების ხატადაა ქცეული, სპილენძ-თითბრის ჭურჭლის შემკულობაში გარკვეული ადგილი უჭირავს ხის გამოსახულებასაც, როგორც უძველესი რწმენა-წარმოდგენების დანაშრევის ფაქტს. ნივთიერი მასალის სიუჟეტები ძირითადი ნასაზრდოებია საზოგადოების ცხოვრების ამსახველი მომენტებით, იქნება ეს ტახტზე მჯდომი ხელისუფალი თავის დიდებულებთან ერთად, თუ უბრალო ადამიანთა ყოველდღიური საქმიანობის სცენები. მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს, იქნება ეს ლაქის ფერწერა, ძვალზე შესრულებული მინიატურა, ქაშანურის მოხატულობა თუ ლითონის ჭურჭლის გრავირება, წარმოადგენს ირანული-აზერბაიჯანული ლიტერატურის უკვდავი ძეგლების სიუჟეტები: ფირდოუსის “შაჰ-ნამე”, ნიზამი განჯევის “ხოსროვი და შირინი”, “ლეილა და მიჯნუნი”, საადის “ბუსტანი” და “გოლესტანი” და სხვა. ზოგადად თუ ვიტყვით, ირანული ჭურჭლის მხატვრული სამყარო მარადიულ დღესასწაულადაა გაცხადებული, გასაოცარია ადამიანის დამოკიდებულების ხარისხი ბუნების, ფრინველების, ცხოველების, ფანტასტიკური არსებების მიმართ, არცერთი შტრიხი შებოჭილობის, რელიგიური ორთოდოქსულობის, მონური თაყვანისცემის. ლხინი, ილუსტრირებულად გამოსახული სულიერი და ხორციელი სიყვარული, საამო მუსაფი, თამაში, ცხენთა ჯირითი, ნადირობა, რომლის დროსაც ხშირად ვაწყდებით ისარგაციოლი მომაკვდავი ცხოველების სურათებსაც, მაგრამ მათი ხილვისას შეუძლებელია მტრობის რაიმე ნიშანს გრძნობდე, ყველაფერი ეს მიემსგავსება ბავშვის თამაშს რომელიც არ აღძრავს ტრაგიკული დასასრულის გრძნობას.

უმნიშვნელოვანეს ექსპონატად მივიჩნევთ თბილისის ხელოსანთა ამქარის კუთვნილ ირანის სახელმწიფო დროშას. დროშის ატრიბუტიკაში ყურადღებას იქცევს ირანისა და აზერბაიჯანის სახანოებისათვის დამახასიათებელი ძველი სიმბოლოს ქალ-მზესთან ერთად ლომის გამოსახულება, რომელიც ამ ქვეყნის ისტორიის მანძილზე, სხვადასხვა ვარიაციითაა წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ დროშაზე ქალ-მზის გამოსახულების შესახებ სპარსეთში გავრცელებული იყო ლეგენდა, რომლის მიხედვითაც სელჯუკების ერთ-ერთ მმართველს ხოჯა ედ-დინ ქაიხოსროს, ცოლად ჰყოლია ქართველი ქალი და სიყვარულის ნიშნად მონეტაზე გამოუსახავს მისი პორტრეტი, რომელიც შემდგომ გადასულა დროშის ატრიბუტიკაშიც.

გვსურს საგანგებოდ შევხებით, წარსულში ცნობილი, გვიანფეოდალური ხანის პოლიტიკური ერთეულების ერევნის და ყარაბაღის

სახანოთა (И. Шопен, 1852), კულტურულ მემკვიდრეობას, რომელთა ნაწილი, ამ სახანოთა რუსეთთან შეერთების შემდეგ, აღმოჩნდა კავკასიის მუზეუმში. ცნობილია, რომ ირანის სახანოები გამუდმებით ცდილობდნენ გამოსულიყვნენ ირანის პოლიტიკური სივრციდან და დამოუკიდებლობა მოეპოვებინათ, (В. Петрушевский, 1949: 14-56) ამ სურვილის თავისებურ რეალიზაციას ასევე წარმოადგენდა მისწრაფება ესთეტიური თუ საყოფაცხოვრება სფერო, ირანის შაჰის კარის მიხედვით გაემართად. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენდა ერევნის ხანის რეზიდენცია, რომელიც მოიცავდა ციხეს, სავაჭრო უბანს და ხანის სასახლეს ყველა თავისი ატრიბუტიკით. ერევნის ციხე, სადაც ხანის სასახლე იდგა, თავისი მასშტაბით და მოსახლეობით წარმოადგენდა ქალაქში ქალაქს, მისთვის დამახასიათებელი სოციალური ინფრასტრუქტურით. ერევნის უმნიშვნელოვანესი ნაგებობა იყო ხანის ანუ სარდრის სასახლე, რომელიც თავისი აგებულებითა და ინფრასტრუქტურით გამორჩეული იყო რადგან იგი განსაზღვრავდა ხანის ქონებრივ და წარმომადგენლობით ხარისხს. სასახლის კომპლექსში შედიოდა მეჩეთი, მედრესე, აბანო, მსახურთა საცხოვრისი და დამხმარე ნაგებობანი. ერთობლიობაში ეს იყო მუსულმანურ სტილში გაწყობილი სასახლის კომპლექსი, რომელიც დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მნახველზე. სასახლე მორთული იყო აღმოსავლური სტილით მისი კედლები დაფარული იყო შორენკეცებით, ფარშევანგების, ლომებისა და მზის გამოსახულებიანი ნახატებით. იატაკად ჰქონდა გლაზურიანი აგური, ხოლო ჭერი დაფარული იყო სარკეებით. სარდარ-ხანის (უმაღლესი მთავარსარდალი) დროს სასახლის სარკეებიან კედლებზე ჩამოკიდებული იყო ოქრონემსული მძიმე ფარდები. სარკეები იყო მოთავსებული კედელზე დახატულ პორტრეტებს შორისაც. ნახატებიდან ცენტრალური ადგილი ეჭირა ირან-აზერბაიჯანული ეპოსის გმირის რუსტამის თავგადასავალთან დაკავშირებულ სიუჟეტებს და მასთან ერთად სხვადასხვა პიკანტურ ამბავთა გადმოცემ სცენებს. დროთა განმავლობაში სასახლე დაზიანდა. 1850 წელს დაიგეგმა სასახლის ნაწილის რესტავრაცია და აზერბაიჯანული დაზგური ფერწერის საფუძვლის ჩამყრელმა მირზა ყადიმ ერევანმა ზეთის საღებავებით ტილოზე (დაახლ. 1X2 მ.) შეასრულა პორტრეტები, რომლებიც დიდი დარბაზის ნიშებში იქნენ განლაგებული (E. Nadi-radze, 2019:70-79). 1914 წელს, როცა საბოლოოდ გადაწყდა სასახლის დანგრევა სურათები მოხსნეს და შემდგომ პერიოდში ზოგიერთმა მათგანმა ბინა დაიღო კავკასიის მუზეუმში.

რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიაში წარმოებული ბრძოლებისა და გენერალ პასკევიჩის მიერ ერევნის ციხისა აღების შემდეგ (И. Дыровин, 1871-1880) სახანოს კულტურული მემკვიდრეობა თანდათან განიავდა. ამასთან ერთად, რუსები ანგარიშს უწყევდნენ სომეხთა განწყობას, როგორც თავიანთი მოკავშირის, ასევე მათი სურვილის გათვალისწინებით, ხელს უწყობდნენ პროცესს, რომელიც მიმართული

იყო აქ ყოველგვარი მუსულმანურის წასაშლელად. საბოლოოდ სარდრის სასახლე მთლიანად დაანგრეს და მის ადგილას, საბჭოთა პერიოდში, სხვა დანიშნულების შენობა ააგო სომხეთის მთავრობამ. რაც შეეხება სასახლის ვიზუალურ მხარეს, ეს იყო თავის დროისათვის ერთ-ერთი შესანიშნავი არქიტექტურული ანსამბლი, რომელიც გაფორმებული იყო აღმოსავლური კულტურისათვის დამახასიათებელი უმნიშვნელოვანესი ნიუანსებით. საჭიროდ მიგვაჩნია აღინიშნოს, რომ ერევნის სახანოს კულტურულ მემკვიდრეობაში, მიუხედავად იმისა, რომ აქ სომხური კულტურის არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტია დადასტურებული, დომინანტური ადგილი უჭირავს ირანული და აზერბაიჯანული ხელოვნების შერწყმით ჩამოყალიბებულ სტილს. სარდრის სასახლე როგორც ერევნის სახანოს პოლიტიკური და კულტურული ცენტრი მთლიანად ამ ნიშნითაა დახასიათებული.

ყარაბაღის სახანოს (Описание Карабагскои... 1866. М. Дхаваншир, 1959) კულტურული მემკვიდრეობა, ერევნის სახანოს მსგავსად, ფაქტობრივად ნაწილია იმ დიდი სიმბიოზური კულტურისა, რომელიც სამხრეთ კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელი ნიშნითაა დახასიათებული. როგორც ცნობილია ყარაბაღის დღევანდელი ტერიტორია, წარმოადგენდა სამხრეთკავკასიის ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ქვეყნის ალბანეთის ნაწილს. აქ დაფუძნებული იყო განძასარის საეკლესიო ცენტრი და ალბანეთის კათალიკოსის რეზიდენცია. არაბების შემოსევის შედეგად, ალბანეთის სახელმწიფოს ძლიერება საგრძნობლად შეირყა, რამაც საბოლოოდ მისი დაცემა გამოიწვია, ალბანეთმა დაკარგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ალბანთა ეთნიკური ერთობის პირველადი შერწყმის პროცესი მეტნაკლები ინტენსივობით მიმდინარეობდა ქართულ, სომხურ და მოგვიანებით აზერბაიჯანულ მოსახლეობასთან. ყარაბაღის ვაკეზე ძირითადად მოსახლეობდნენ თურქმანი ტომები, ხოლო მის მთიან ნაწილში სომხები. ყარაბაღის სახანოს ჩამოყალიბების შემდეგ სახანოში სწრაფად იწყებს ზრდას თურქმანული მოსახლეობის რიცხვი. ყარაბაღის დედაქალაქსა და მისი ძველი და ახალი კულტურის ცენტრს წარმოადგენს ქალაქი შუშა. ქალაქი შუშას გააჩნია თავისი კულტურული პროფილი (Ф. Брокгауз, И. Ефрон, 1904:469), რომელიც გამოკვეთილია ხელოვნებისა და ხელოსნობის სხვადასხვა დარგებში. მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილია აზერბაიჯანული ეროვნული მუსიკალური კულტურის მონაპოვარის მულამის შუშის სკოლის მიღწევები. შუშა განთქმული იყო ხალიჩური ნაწარმის მაღალი ხელოვნებით, რომელიც ხელოსნობის დარგის ყველაზე განვითარებულ ფორმას წარმოადგენდა. ყარაბაღის სახანოს ხელოვნების ქმნილებანი მოექცა ჩვენი ინტერესის სფეროში, რამაც ასახვა ჰპოვა ამავე სახელწოდების მქონე ნაშრომში (E. Nadiradze, 2022).

კავკასიის მუზეუმის საცავებში თავის დროზე მოხვდა სომხური და ქურთული ეთნიკური კულტურისა და ხელოვნების ნივთიერი მასალა, რომელიც გამოირჩევა თვითმყოფადობითა და მაღალი საშემსრულებლო ხელოვნებით.

სომხურმა მასალამ მუზეუმში შემოსვლა დაიწყო კავკასიის მუზეუმის მიერ განხორციელებული პირველი ექსპედიციებიდანვე, სომხური მოსახლეობით დასახლებულ ისეთი ადმინისტრაციული რეგიონებიდან როგორებიც იყვნენ: ელიზავეტოპოლის გუბერნია, ერზრუმის, არტაანის, ოლთისის, ნოვობაიაზეთის, ჯევანშირის და ალექსანდროპოლის მაზრები. ასევე, ყარსის ოლქი, არაქსის რეგიონი და მთიანი ყარაბაღი. იყვნენ სომხური პროფილის მქონე ნივთიერი მასალის შემომწირველებიც რომელთაგან აღსანიშნავია: მარიამ არლუთინსკაია-დოლგოროუკოვას, კაფაროვის და მირზოევის კოლექციები (გ. ჩხაიძე, 2003:46-82). ეს მასალა საკმაო საფუძვლიან წარმოდგენას გვიქმნის სომხურ ეთნოკულტურ მიღწევებზე და საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ მასში ინდივიდუალური სომხური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ნიუანსები, კერძოდ ესაა: ორნამენტული დეკორის განსაკუთრებული აქცენტირება, წარწერათა ლაპიდარული ფორმა, გრავირების, ინკრუსტაციისა, სევადის, ცვარასა და ფილიგრანის დახვეწილი ხელოვნება და სხვა. დაახლოებით ამავე პერიოდისაა ქურთული მასალა, რომელიც თავისთავად დიდ იშვიათობას წარმოადგენს სახელწიფოებრიობა დაკარგული იმ ხალხისა, რომელმაც მიუხედავად იმისა, რომ მოუხდათ სხვადასხვა ეთნიკურ გარემოში ცხოვრება, მაინც მოახერხეს შემოენახათ თავიანთი ტრადიციები და კულტურული მემკვიდრეობა (E.Nadiradze.,2007)

ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთ ხალხთა კულტურაში უდიდესი როლი უჭირავს ხელოვნების ისეთ უნიკუმს, როგორიცაა ხალიჩური ნაწარმი. მხატვრულ-დეკორატიული ღირსების გარდა, ხალიჩურ ნაწარმს დიდი ისტორიული და კულტურული ღირებულება გააჩნია. ეს პროდუქტი მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელია რაც კარგად ჩანს ქსოვილის ხარისხში, მის ფერადოვნებაში, ორნამენტებსა თუ შესრულების ტექნიკაში, ხელოვნების ამ დარგში გამოკვეთილია ეთნოსის მწარმოებლური კულტურული ტრადიციები, მისი ესთეტიკური მოთხოვნილებების დონე და სამეწარმეო ჩვევები დახვეწილობა. პირველად, 1866 წელს კავკასიის მუზეუმს გადაეცა ყუზის ოლქის უფროსის მიერ ადგილობრივ მოძიებული ხალიჩების პირველი მნიშვნელოვანი კოლექცია. მომდევნო წელს, კავკასიის მუზეუმის დირექტორმა გუსტავ რადემ, შეიძინა ქირმანული, ყარაბაღული, თალიშური და ყუბური ხალიჩების საუკეთესო ნიმუშები. ამ დროიდან მოყოლებული მუზეუმში არა შეწყვეტილა კავკასიური და ირანული ხალიჩური ნაწარმის შეძენის პრაქტიკა, ამის ნათელი მაგალითია ხალიჩებზე შებმული კავკასიის მუზეუმის საცნობარო იარაღიყები,

სადაც აღნიშნულია იმდროინდელი გუბერნიების, ქალაქების, მხარის თუ სოფლის სახელი. მათ შორის ვხდებით ისეთ ადმინისტრაციულ დასახელებებს როგორიცაა: ელისავეტოპოლისა და ბაქოს გუბერნია, ყარაბაღი, შუშა, ყაზახის და შემახის მაზრა. სოფლები: ალსტაფა, იმამ კული კენდი და სხვა. ძველი იარლიყები გვაწვდიან ინფორმაციას ექსპონატების ფუნქციისა (ხალიჩა, ფარდაგი, ტომარა, ასალი, მაფრაშა) და ქსოვის სახეობების (სუმახი, შადა, ზილი) შესახებ. წარწერების ერთი ნაწილი გვამცნობს აგრეთვე მუზეუმში ხალიჩების შემომტან ცალკეულ პირებსაც, რომელთაც კავკასიის მუზეუმისათვის ხალიჩების შეძენა ჰქონიათ დავალებული. ხალიჩური ნაწარმის მოძიების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მუზეუმის დირექტორის, ალ. კაზნაკოვის მიერ ყარაბაღული ხალიჩების ნიმუშების შეძენას. განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა მისი მუშაობა 1912-1913 წლებში, ამ რეგიონში მოპოვებული მასალები თვალნათლივ წარმოაჩენს აზერბაიჯანული ხალიჩური ნაწარმის მაღალესთეტიურ დონეს, საგულისხმოა რომ ამ მასალის გარკვეული ნაწილი შესწავლილია და ბეჭდური სახითაა გამოცემული. (E. Nadiradze, N. Axalkaci. L. Alieva, 2014)

1872 წელს იმპერატორ პეტრე პირველის დაბადებიდან 200 წლის-თავისადმი მიძღვნილ დიდი საერთაშორისო გამოფენაზე პეტერბურგში, წარმოდგენილი იქნა თბილისში დაუნჯებული კავკასიის ხალხთა კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშები და მათ შორის ირანული და აზერბაიჯანულ ხალიჩები, რომელმაც დამთვალეირებელთა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია და პრესის ფურცლებზე საგანგებოდ გაესვა ხაზი ამ ნაწარმის მაღალმხატვრულ ღირებულებას. 1873 წელს ხალიჩების ეს კოლექცია გატანილ იქნა ვენის საერთაშორისო გამოფენაზე სადაც უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. როგორც ცნობილია ხალიჩურ წარმოებას, რომელიც განსაკუთრებული თვითმყოფადობით ხასიათდება, გამოყენებითი ხელოვნების დარგებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. ირან-აზერბაიჯანული ხალიჩური ნაწარმი გამოირჩევა გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტის სიუხვით, ზოომორფული და ანთროპომორფული შინაარსის შემცველ მოტივებით და უხვი ფერადოვანი გამით. ქსოვის მხატვრული ფორმები და ფერთა შერჩევის ტექნოლოგია უძველესი დროიდან ხალხურ ემპირიულ გამოცდილებას ემყარება და ეთნოგრაფიულ ყოფაში საუკუნეების განმავლობაში იხვეწებოდა. მხატვრული და დეკორატიული ღირსების გარდა, ხელოვნების დარგის ამ უნიკუმს დიდი ისტორიული ღირებულება გააჩნია. ზოგადად ხელოვნების ეს ნიმუშები ერთ-ერთი საუკეთესოა რაც კი ოდესმე ეთნოკულტურის სფეროში შექმნილა (Л. Керимов, 1961)

როგორც უკვე აღინიშნა კავკასიის მუზეუმის მესვეურთა ინტერესის სფეროში, თავდაპირველად ყველაზე მასშტაბური ყურადღება დაეთმო აღმოსავლეთის ხალხთა ეთნიკურ ტიპებს და განსაკუთრებით მათ

ჩაცმულობას, როგორც ერთ-ერთ ორიგინალურს. ვინაიდან შეუძლებელია ამ უამრავი მასალის, წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში, რამდენადმე სრული სურათის წარმოდგენით შევეცდები, ვიზუალური ფორმით ვაჩვენო ესთეტიკური თვალსაზრისით განსაკუთრებულად დახვეწილი ნიმუშები. (იხ. ილუსტრაციები) მანამდე კი საჭიროდ მიმაჩნია მოკლედ შევეხო სამოსის როგორც კულტურის ელემენტის რაობასა და მის მნიშვნელობას. უდავოა, რომ ჩაცმულობის კულტურა ადამიანის ესთეტიკური სფეროს უდიდესი მონაპოვარია, პრაქტიკული საჭიროების გარდა ტანსაცმელში გამოხატულია გემოვნებისა და დახვეწილობის უმნიშვნელოვანესი ნიუანსები. შესაძლოა ითქვას, რომ განათლებული კაცობრიობის ისტორიაში არ ყოფილა მეტ-ნაკლებად მშვიდობიანი ცხოვრების პირობები რომლის დროსაც ადამიანის შესამოსელს მის ესთეტიკურ მხარეს და მასზე მოთხოვნილებას ოდნავ მაინც დაეკარგოს ინტერესი. კავკასიისა ხალხთა კულტურის მნიშვნელობა შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ნაციონალური კოსტიუმის გაუთვალისწინებლად, პრაქტიკული ცოდნა, რომელიც ჩამოყალიბდა ამ დარგის განვითარებასთან ისტორიის ხანგრძლივი დროის განმავლობაში, აუცილებლად განსაზღვრავს ეთნიკურ ერთობათა თუ ერის კულტურულ დონეს და ამავე დროს მიგვანიშნებს სოციალურ სტრუქტურაში განვითარებულ მოვლენებზე, რომელიც თავისთავში აერთიანებს როგორც შინარეწვის მასშტაბებს, ასევე, ადამიანთა მისწრაფებას ესთეტიკური ღირებულებებისადმი. როცა ჩაცმულობის ესთეტიკაზე ჩამოვარდება საუბარი შეუძლებელია არ ვითვალისწინებდეთ ხალხთა ჩაცმულობის ისტორიას და კულტურულ-სოციოლოგიურ ასპექტს, რომელიც გარკვეულ სოციუმს, ეთნიკურ ჯგუფს თუ ზოგადად ერს გააჩნია ამ დარგის მიმართ, ამიტომ შევეცდებით ცოტა რამ ვთქვათ ქართული ჩაცმულობის ისტორიის შესახებ და მივანიშნო ხასიათზე რომელიც ჩამოყალიბდა როგორც ხალხში იტყვიან, „ჩაცმა-დახურვის“ მიმართ.

არქეოლოგიურ მასალას თუმოვიშველიებთ საქართველოში ჩნეულია სელის ქსოვილის წარმოების ერთ-ერთ უძველეს ეპიცენტრად, რაც დაადასტურა ზემო იმერეთში მიკვლეულმა სელის ბოჭკოს ქსოვილის ნაშთმა, რომელიც ზედა პალეოლითის ხანით ანუ 34.000 წლის წინანდელი დროის არტეფაქტად იქნა მიჩნეული. ზოგადად, კავკასიური ტანსაცმლის ისტორიისათვის მნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს ჰეროდოტეს ცნობა, რომლის მიხედვითაც კავკასიის მცხოვრებნი განსაკუთრებულ ფოთლებს არჩევენ, ახმოვენ, ნაყავენ, ურევენ წამალს და ამით ხატავენ ტანსაცმელს, ხოლო ეს ნახატები დროთა განმავლობაში კი არ ხუნდება არამედ ცვდება შალთან ერთად თითქოს თავიდანვე ჩაქსოვილი ყოფილიყო მასშიო. (ჰეროდოტე, 1975: 111) ვისაც ხევსურული “ტალავარი” უნახავს შეუძლებელია ამ სიტყვებმა გარკვეული ასოციაცია არ აღძრას ისტორიული პარალელის გავლებისა. როგორც ცნობილია “ისტორიის მამა” ასევე დიდი წარმოდგენის იყო კოლხური სელის

შესახებ რომელიც მისივე ცნობით, საკმაოდ პოპულარული ყოფილა იმდროინდელ კულტურულ სამყაროში. არაერთი უცხოელი ავტორი შეეხო ქართველ ტომთა ჩაცმულობას, განსაკუთრებით მეომრებისას, რომელთა საომარ აღჭურვილობაში ადვილი გამოსარჩევია საერო სამოსის ელემენტები, მაგ. ქსენოფონტეს ცნობით მისი დროის (ძვ.წ. 427-355) ხალიბებსა და მოსინიკებს მუხლებამდე დაშვებული სელისაგან დამზადებული კვართები სცმიათ, ხოლო თავზე ტყავის ქუდეები ჰხურებიან. სხვათაშორის, მათი შორეული შთამომავლები XIX საუკუნის მეგრელი გლეხები, ყანაში მუშაობის დროს, თავიანთ მოქსოვილ სელის პერანგება ატარებდნენ როგორც გრილსა და მოხერხებულს. გაცილებით გვიან ბიზანტიელი ისტორიკოსები (ნიკეტა ხონიატე, მიხეილ ატალიატე, ევსტატე თესალონიკელი ახსენებენ იბერიულ და ლაზურ შესამოსელს, რომლებიც აცვიათ იმპერიის კარის დიდებულებს (გეორგიკა, 1970:15). ქართული კოსტიუმის ისტორიისათვის, წერილობითი წყაროების გარდა უდიდესი მნიშვნელობა აქვს მატერიალური კულტურის ნაშთებს, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოებულ ნივთებს და რა თქმა უნდა ეთნოგრაფიულ მასალას, რომელიც ყველა სხვა წყაროსთან შედარებით შეიცავს რეალურად მოცემულ: ფაქტურას, თარგებს, დამზადების პროცესებს, ჩაცმა-დახურვის ხერხებს, სამოსლის ტარების მანერას და სხვა, რაც არცერთ სხვა წყაროს არ გააჩნია. საგულისხმოა, რომ საქართველოს საოჯახო მეურნეობაში უახლოეს წარსულამდე იყო შემორჩენილი შალის, ბამბის, აბრეშუმის, კანაფის და სხვა ქსოვილთა დამზადების ტრადიციული წესი, რომელიც სრულდებოდა, როგორც ვერტიკალური, ასევე ჰორიზონტალური ტიპის საქსოვ დაზგებზე. ძირითადი საილუსტრაციო მასალა რომელიც ქართული სამოსის ისტორიულ ხასიათს წარმოაჩენს ასევე დასტურდება მემორიალური კულტურის ძეგლებზე, ნუმიზმატიკაში, იკონოგრაფიაში, საეკლესიო არქიტექტურასა და მხატვრობაში, ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ფეოდალური პერიოდის ნიმუშები რომლის საერთო ქრონოლოგიური ჩარჩო შესაძლოა VI საუკუნიდან მოკიდებული გვიან-ფეოდალური ხანის დასასრულამდე განისაზღვროს.

ადრეფეოდალური ხანის ქართული სამოსის რეკონსტრუქციისათვის დიდი მნიშვნელობისაა მცხეთის ჯვრის ბარელიეფები რომელზედაც თავიანთი ორიგინალური ჩაცმულობით გამოსახული არიან მაღალი წრის დიდებულნი (ნ. ჩოფიკაშვილი, 2013: 10-15), ჯვრის მაშენებელთა და ქტიტორთა სამოსელში კარგადაა გამოკვეთილი VI-VII სს. სამოსის ფორმები და მნახველს საკმაოდ ცხად წარმოდგენას უქმნის ჩაცმულობის ისეთ უნივერსალურსა და საყოველთაოდ გავრცელებული ტანსაცმლის ტიპის შესახებ როგორიცაა კაბა და მოსასხამი. ამ რელიეფებში, პირველად არის შემჩნეული შარვლის ტიპის სამოსი და ე.წ. “ცრუსახელოიანი მოსასხამი,” რომლის ფორმა და ტარების წესი ბოლო დრომდე შემოინახა ქართულმა ეთნოგრაფიულმა ყოფამ. საყურადღებოა, რომ ამ

ხანის კოსტიუმის ერთადერთი ელემენტი-ქალის ქუდი აღმოჩენილი იქნა მცხეთაში. ეს უნიკუმი ნივთი დამწვარ-დანახშირებულია მაგრამ ფორმა კარგად აქვს შენარჩუნებული და მნახველს საშუალებას აძლევს წარმოდგენა შეექმნას ადრეფეოდალური ხანის მცხეთელი არისტოკრატი ქალის თავსაბურის შესახებ. ფორმით ერთიანი, ოღონდ სხვადასხვა ვარიაციებით მოსასხამის, კაბის და შარვლის ტიპები დამოწმებულია: დმანისის, უკანგორის, უსანეთის სტელებზე, ასევე, ტბეთის, კუმურდოს, ზეგანის, ატენისა, ოშკის, ვალეს, უდეს, შეპიაკის, ფეტობანის, დოლისყანის, ქოროლოს, საფარის და სხვა ქართული არქიტექტურის მნიშვნელოვან ძეგლებზე. მიუხედავად იმისა, რომ ესენი ქვაზე ამოკვეთილ რელიეფებს წარმოადგენენ, გარდა ფორმისა ამ პერსონაჟთა ჩაცმულობაში შეიმჩნევა სახიანი, სადა, ჭადრაკული, გოფირებული, მსუბუქი და მძიმე ქსოვილები, ტანსაცმელია: საყელიანი, უსაყელო, ყოშებიანი, ოლვილი, ქობიანი, ცრუსახელოებიანი, ფართესახელოებიანი, გრძელი, გულჩახსნილი, წელვიწრო, ბოლოგანიერი, სადა, ნაკეცებიანი, ღილებიანი, მარგალიტებით მორთული და ა.შ ცალკე აღნიშვნის ღირსია სამეფო კარის შესამოსელი რაც უხვი ილუსტრირებითაა წარმოდგენილი ვარძიის, ბეთანიის, ყინწვისის, ბერთუბნის, გელათის, ნეკრესის და სხვა ქართულ ტაძართა ფრესკებზე (ი. ციციშვილი, 1954). სამოსელის კულტურა, როგორც ადამიანის ესთეტიზმისა და მენტალობის ერთ-ერთი გამომხატველი, ჩვეულებრივ ხასიათდება ნოვაციურობით, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს ამ დარგში ცალკეული ეტაპების ჩამოყალიბას, ამიტომ დღემდე შემორჩენილი საილუსტრაციო მასალის მიხედვით შუა და გვიანფეოდალური ხანის საქართველოში სამოსის იმდენად მრავალფეროვანი სახეობაა დადასტურებული, რომ არათუ ცალკეული ტიპების, არამედ ქვეტიპების ჩამოყალიბებაცაა შესაძლებელი. ქართული ტანსაცმლის შესახებ ძალზე საყურადღებო ცნობებია დაცული ადრეფეოდალური ხანის ისეთ მნიშვნელოვან წერილობით წყაროებში, როგორიცაა „შუშანიკის წამება“, „ევსტატე მცხეთელის მარტვილობა“, „აბო ტფილელის წამება“, ზოგადად, „ქართლის ცხოვრება“, შუა საუკუნეების ნიკორწმინდისა და მცხეთის სიგელები, XIV საუკუნის „ხელმწიფის კარის გარიგება“, ვახტანგ VI „დასტურლამალი“ XVII საუკუნისა, ამავე პერიოდის ისტორიკოსის ფარსადან გოგიჯანიძის თხზულება და სხვანი.

ცალკე უნდა აღინიშნოს, დიდი მოღვაწის, ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომი-„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, სადაც არაერთგზისაა წარმოდგენილი საქართველოს ცალკეული კუთხეთა ჩაცმულობის ფორმა და ხასიათი (ვახუშტი ბატონიშვილი 1941). აღმოსავლეთ საქართველოს ტიპიურ ჩაცმულობის ვახუშტისეული აღწერილობა მამაკაცთათვის ასეთია: მუხლს ქვემოთამდე დაშვებული, სარტყელშემოჭერილი სკლატის (შალის, მაუდის) კაბა, კაბის შიგნი: საგულე, აბრეშუმის, ბამბის ან ტილოს უსაყელო პერანგი (ახალუხი), ამავე მასალის ნიფხავი

და საწმერთო, საზამთროდ დიდი ტყავი და ტყავ-კაბა, ფეხზე მოგვი (ჩექმის ნაირსახეობა), ასევე მაშია, ჩუსტი, ქალამანი, წულა და წვივის საფარი პაიჭი, თავზე შალისაგან შეკერილი, გრძელ-წვრილი, ბეწვეულით გაწყობილი ქუდი. ქალთათვის: მამაკაცთა მსგავსად კაბა (ახალუხი) ოღონდ, გრძელსარტყლიანი და მის ქვეშ პერანგი, ნიფხავი და ფეხზე წულა, ქოში და მაშია, ზამთარში კოჭებამდე დაშვებული ტყავი, ბეწვეულით გაწყობილი ქათიბი და ტოლომა, თავზე ლეჩაქი, ყბის ქვეშ ამოვლებული მარგალიტის მძივით და კავებით. ქალებს გრძელი თმა დაწნულ უტარებიათ, ხოლო კაცებს ყურებამდე შეჭრილი. ვახუშტის ეს აღწერილობა სრულად არ ასახავს საქართველოს მცხოვრებთა ჩაცმულობას და თავად ავტორის შეხედულებით საქართველოს კუთხეების მიხედვით სამოსი ყოფილა გაცილებით მრავალფეროვანი და ორიგინალური სახის.

გვიანი შუასაუკუნეების ქართული ჩაცმულობის შესახებ მდიდარი მასალაა დაცული ე.წ. “მზითვის წიგნებში” (მ. იაშვილი, 1974), როგორც ცნობილია, მზითევი წარმოადგენდა ქალისათვის მამის ოჯახიდან მიცემულ ქონებას. მზითევი ფორმდებოდა საბუთით, რომელსაც იურიდიული ძალა ჰქონდა და ამდენათ მას, როგორც ისტორიულ დოკუმენტს, სანდოობის დიდი გარანტიაც გააჩნია. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი სახის წყაროებში, მაღალი წრის საზოგადოების ქალთა ჩაცმულობა საკმაოდ მრავალფეროვნად და მდიდრულადაა წარმოდგენილი. მაგალითად, ქართლის მეფის ასულს, სხვადასხვა ძვირფას ნივთებთან ერთად, მზითევაში გაჰყოლია: მარგალიტებით, იაგუნდითა და ფირუზებით შემკული 11 პერანგი და მისი ამხანაგი, ასევე, სხვადასხვა ძვირფასი ქვებითა და ბეწვით შემკული 20 ტყავკაბა, 82 სხვადასხვა ქსოვილისა და ფორმის კაბა, 45 საგულე, 21 წყვილი ოქრომკედითა და ზარბაბით ნაკერი მაშია და ჯორაბი (ნაქსოვი ფეხსამოსი), სირმით ნაკერი და მარგალიტებით მორთული 10 ქუდი, 9 სარტყელი და სხვა. 1634 წლის საბუთით, ქართლის მეფის მეუღლეს მარიამს, მზითევაში მარტო ფრანგული ნაჭრის 14 კაბა მოჰყოლია, ანუკა ბატონიშვილს კი 18 ახალუხი, 9-9 სარტყელ – საგულე, 55 კაბა, 15 ტყავკაბა, 4 ქათიბი, 27 წყვილი პერანგი და მისი ამხანაგი, 20 წყვილი ფეხსაცმელი და სხვა. XVIII საუკუნის ქართველი მამაკაცის ჩაცმულობისათვის საინტერესო ცნობას გვაწვდის ერეკლე მეფის კარის მდივნ-მწიგნობარის იესე ბარათაშვილის ბიოგრაფია-ანდერძი, სადაც გადმოცემულია არა მხოლოდ ტანსაცმლის სახეობათა ჩამონათვალი, არამედ დამოკიდებულება სამოსის მიმართ. კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ ჩაცმა-დახურვა უყვარს და კარგად უვლის სამოსს, რომ მას გამიჯნული აქვს ერთმანეთისაგან საშინაო და საგარეო, საზაფხულო და საზამთრო, სალხინო და სამგლოვიარო ტანსაცმელი, ამ არცთუ დიდ სახელმწიფო მოხელეს, ერთდროულად აქვს 12 კაბა, 5-5 ქართული ნაოჭიანი ახალუხი და პერანგი, 12 სხვადასხვა ტიპის ქუდი, რამდენიმე წყვილი ხირღა (წამოსასხამი), ქურქები, ქუქანაკი (მოკლე

ტოლომა, კურტაკი), ქათიბები, გარდა ქართულისა ყიზილბაშური კაბები, დაბამებული, საწვიმარი, ჩახრუხი, პაიჭები, მაშიები, ქოშები და მოგვები (ჩექმები). იესეს ტანსაცმელის ქსოვილია: ტილო, დარაია, ლაინი, ბამბა, შალი, მაუდი, ატლასი, მოვი, აბრეშუმი. ზოგი ადგილობრივად დამზადებული, ზოგი ევროპიდან, ოსმალეთიდან და ირანიდანაა შემოტანილი. (ი. ო. ბარათაშვილი, 1913: 23). სხვათაშორის, ქართული ჩაცმულობის ვიზუალური მხარე კარგად წარმოჩნდა ქართული ტრადიციული სამოსისადმი მიძღვნილ ბოლო დროს გამოცემულ ნაშრომებში (ი. მელიქიშვილი, ე. ნადირაძე, ლ. ტოგონიძე 2016. გ. კვანტიძე, 2019). XVIII საუკუნის დასასრულისათვის, ქართული სამოსის კომპლექტში, აქტიურად შემოიჭრა ჩოხის ტიპის კაბა, რომელმაც გულისპირზე დაკრებული ქილების წყალობით, განსაკუთრებული ორიგინალობა შეიძინა და საყოველთაოდ გავრცელდა, განსაკუთრებით, საქართველოს ბარში. ჩოხის გავრცელებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ქართულ კაბასთან შედარებით იგი უფრო იაფსა და ხელმისაწვდომს წარმოადგენდა. დროთაგანმავლობაში, გამოიკვეთა ჩოხის სხვადასხვა ტიპები, შეიქმნა მისი დახვეწილი ფორმები და საბოლოოდ ტანსაცმლის ამ ტიპმა იმდენად მასშტაბურად დაიკავა ჩვენი ჩაცმულობის კულტურაში თავისი ადგილი, რომ ქალის ქართულ კაბასთან ერთად, ეროვნული სამოსის სიმბოლოდ იქცა.

რადგანაც ტანსაცმელი ხალხის ეთნიკურ იერსახესაც გამოკვეთს, მისდამი პატივისცემა ტრადიციული ფორმების გამოყენებითა და გაგრძელებით მოვალეობის გრძნობით არის გაჯერებული. უკმაყოფილების გამოძახილი, რომელიც ტანსაცმლის ფორმის ცვალებადობით იყო გამოწვეული (რასაც აპირობებდა დამპყრობთა მიერ თავს მოხვეული კულტურა), ყველა ეპოქიდან მოისმის, მაგრამ ის რაც მოხდა XIX საუკუნეში იყო ყველაზე მასშტაბური და ფაქტობრივად დამანგრეველი ქართული ტრადიციული ჩაცმულობისათვის, ევროპულმა ტანსაცმელმა და მასთან დაკავშირებულმა აქსესუარებმა უპრობლემოდ შემოაღწია ჩვენში და ისე სწრაფად წავიდა წინ, რომ ტრადიციული ტანსაცმლის ქომაგებმა თავიანთი უკმაყოფილება, მხოლოდ წყენასა და საყვედურში გამოხატეს, ეს იყო ისტორიული მომენტი ძველის და ახლის დაპირისპირების. შესაძლოა ითქვას, რომ ორთქმავალს არ მოუხდენია ადამიანებზე იმდენი შთაბეჭდილება, როგორიც მოახდინა პარიზის, ლონდონისა და ვენის საგალანტერიო ფაბრიკებში დამზადებულმა მდიდრულმა ტანსაცმელმა. და, თანდათან შეცვალა ქართული კაბა შლეიფიანმა კრინოლინის კაბამ, წითელი ხავერდის ბეწვშემოვლებული ქულაჯა-პალტომ, ლეჩაქი და ჩიხტიკოპი – ვუალმა, მამაკაცის ყურთმაჯიანი კაბა და ჩოხა – ფრაკმა და სერთუკმა, ბუხრისა და ყალმუხის ქული – შლაპამ და ცილინდრმა, ძვირფასბეწვიანი ქათიბი – მანტომ, მაშიები, ქოშები და ჩითები – შტიბლეტებმა და პოლსაპოშკებმა, ხმალ-ხანჯლი მაგივრად გაჩნდა ტროსტი, ქისის მაგიერ ვერცხლის სათუთუნე, კრიალოსანი შეცვალა

ლოტომ და ა.შ. მართალია, სოციალურად დაბალ ფენებში ეს პროცესი გაიწელა, მაგრამ ქართულ არისტოკრატიულ წრეებში იგი იყო სწრაფი და შეუქცევადი. XIX საუკუნის პროგრესმა არა მხოლოდ ადათ-წესები შეცვალა, არამედ ადამიანთა შეგნებაშიც მოახდინა გადატრიალება, იგი ყველა სფეროს შეეხო, მან ყველაფერი თავის თარგს მოარგო და შექმნა თავისი კულტურა, რომლის უარყოფა დროის გარეშე დგომას მოასწავებდა, ბუნებრივია ეს შეეხო სოციალურ ესთეტიკასაც, კერძოდ, ჩაცმულობის კულტურას.

აქვე შეუძლებელია, გაკვრით მაინც არ შევეხოთ ადამიანის ისეთი საჭირო საგანთა ერთობლიობას, როგორიცაა იარაღი, რომელსაც ბრძოლის გარდა ჰქონდა სამშენისის დანიშნულებაც. პრაქტიკულმა საჭიროებამ და იარაღის ტარების ყოველდღიურმა ჩვეულებამ ხელი შეუწყო იარაღის მაღალმხატვრული გაფორმების კულტურას. ამ მხრივ უაღრესად საინტერესოა ირანულ-კავკასიური სტილის საბრძოლო იარაღთა საერთო სურათი. რომელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ქართული ხმლის ტიპები: დავითფერული, გორდა, იმერული კაბიანი ხმალი, ხევსურული ხმალი, კავკასიური ლეკური, ასევე ცნობილი ქართველი ხელოსნების: ჯღამაძის, კვატაშიძის, ელიზარაშვილის, მაძამიას და სხვათა მიერ დამზადებული ხანჯლები და ხმლები, აღმოსავლური ფარები, სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი, ოქროვარაყით მორთული ბრწყინვალე სპარსული მუზარადები და ფარები, შუბები, მახვილები, ცხენის აღკაზმულობა და სხვა. ამ ნამუშევრებში შეხვდებით ხელოვნების ბრწყინვალე ექსპონატებს, ოქრომჭედლობის შედეგებს, ცვარათი, გავარსით, ინკრუსტაციით და ჭედურობით შესრულებულ ნივთიერ მასალას, რომელთაც ანალოგი არა მოეპოვებათ.

ასევე მოკლედ შევეხებით, ეთნოკულტურული სფეროს ისეთ უნიშვნელოვანეს ელემენტს, როგორიცაა საცხოვრისი. სახლი ეს არის მსოფლიო ცივილიზაციის უდიდესი მონაპოვარი და პასუხს იძლევა კაცთა მოდგმის გონიერების, გარემოსა და ბუნებრივ პირობებთან შეთანხმების, სოციალური წყობის, რაციონალური აზროვნებისა და ესთეტიკურ მოთხოვნილებათა დონის განსაზღვრისათვის. (P. Агабнян, 1945) სახლი სარკეა ადამიანის კულტურის წარმოსაჩენად და ამავე დროს სოციალური რგოლის უნიშვნელოვანესი ადგილი, რომელსაც გააჩნია მისთვის დამახასიათებელი ცხოვრების წესი. ამიერკავკასიის ხალხთა კულტურის სიმბიოზური ხასიათი არცერთ სფეროში არ არის ისე გამოკვეთილად წარმოდგენილი როგორც საცხოვრისში (P. Кобищев, 1957). ამის მაგალითია საცხოვრისის ტიპი, რომელსაც საქართველოში დარბაზი ანუ ერდოგვირვინიანი სახლ ეწოდება, სომხეთში გლახატუნი და აზერბაიჯანში ყარადამი (თ. ჩიქოვანი, 1960, 90). სახლის ასეთი ტიპისათვის დამახასიათებელია ბანურ გადახურვაში ამაველი გვირგვინი რომლის საყრდენს წარმოადგენს დედაბოძი.

ერდოგვირგვინიანი სახლის დედაბოძი და მისი ბანური გადახურვა მიჩნეულია სამშენებლო ხელოვნების მაღალარქიტექტურულ მიღწევად. საგულისხმოა, რომ აკადემიკოსმა გიორგი ჩუბინაშვილმა, 1922 წელს, პირველმა დააყენა საკითხი დარბაზულ-ერდოგვირგვინიანი სახლის მნიშვნელობის შესახებ ქართულ კულტურაში, მანვე გამოთქვა უაღრესად მნიშვნელოვანი მოსაზრება ამ ტიპის საცხოვრისის ქართულ მონუმენტალურ ხუროთმოძღვრებასთან ტრადიციული კავშირის არსებობის შესახებ, (ჩუბინაშვილი, 1927, 65), რაც შემდგომში, კიდევ უფრო გააღრმავა არქეოლოგიური აღმოჩენების შედეგად გამოძიებულმა მასალამ. აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას აზრით ერდოგვირგვინიანი სახლში გამოკვეთილადაა წარმოდგენილი ადამიანთა კულტურის სამომხმარებლო ასპექტები და მისი ესთეტიკური ღირებულება, რაც საცხოვრისს აქცევს ადამიანური ყოფის მიკროკოსმოსად. საერთო-ქართული სახლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ნიმუშებს წარმოადგენენ: სვანური სახლი-მაჩუბი, იმერული ოდა, კათხა, ძეღური და ბოყვებიანი სახლი, მეგრულ-აფხაზური ოდა და ფაცხა, რაჭული დუროიანი სახლი, ლეჩხუმური შუა სახლი, ხევსურული კალოიანი სახლი, მთიულური კოშკური სახლი, ხულა სახლი, ლაზური სახლი აჭარასა და ლაზეთში, სიპებიანი სახლი თუშეთში და სხვა. (ქმკელ., 2013, 390-392) სახლის ეს ტიპები წარმოადგენენ ეთნოკულტურული მემკვიდრეობის ბრწყინვალე ნიმუშებს, რომელთა არქიტექტურაში, ხითხურობითა და ქვითხურობით განხორციელებულია ისეთი დახვეწილი ფორმები, რაც უდავოდ ხდის დამკვეთთა თუ ხელოსან-ხუროთმოძღვართა მაღალესთეტიურ გემოვნებას. აღარას ვიტყვი ამ სახლთა თანმდევი სითბოს წყარს ბუხართა შესახებ რომელნიც თავის პრაქტიკული დანიშნულების გარდა სახლის სამშვენიის, მის სამკაულს წარმოადგენდნენ, რაც ქმნიდა მოტივაციას საცხოვრისის ამ ელემენტს თავისი ფორმა-დახვეწილობით ხელოვნების მაღალი დონისათვის მიეღწია.

ხელოვნების გამორჩეული ეგზემპლარები უკავშირდება ქართული ღვინის წარმოებისა და მისი მოხმარების კულტურას. როგორც ცნობილია, ღვინო და მასთან დამოკიდებულების ტრადიციები საქართველოში საუკუნეთა სიღრმეებიდან იღებს სათავეს (ნ, რუსიშვილი, 2013). მსურს გავნაცხადო, რომ ვაზისა და ღვინის მნიშვნელობა ჩანს არა მხოლოდ პრაქტიკულ მოქმედებაში, ეთნოგრაფიულსა და არქეოლოგიურ მასალაში (ლ. ფრუიძე, 1974), არამედ ხასიათსა და ბუნებაში, რომელიც მათთან კავშირში შეიძინა ადამიანმა, ესაა მასპინძლობის კულტურა, ტრადიციული ნორმა და წესი, სუფრის დანიშნულება, სტუმრის დახვედრა, თამაძობის კულტი. სხვადასხვა დროს, საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა, ქართული ღვინის კულტურის შესახებ ოთხი მნიშვნელოვანი გამოფენა გამართა ლონდონში, ბერლინში, ტოკიოსა და ბორდოში (Georgian...2017) ეს იყო სენსაციის მატარებელი აქტი, საერთო

სათაურით: „საქართველო-ღვინის სამშობლო“. ამ გამოფენებს ამშვენებდა ბრწყინვალე არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალა, ერთ-ერთი უმთავრესი საბუთი ქართული მეღვინეობის კულტურის უძველესობის დასამტკიცებლად. მაგრამ, აქ არ იყო და ვერც იქნებოდა ვაზის მოვლით ჩამოყალიბებული სული ქართველი მევენახისა, აქ ვერ იქნებოდა წარმოდგენილი შინაგანი ბუნება ქართველი კაცის გულიდან ამოსული სიტყვებისა: „ვაზო შვილივით ნაზარდო“!! ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ადამიანისათვის სიხარულისა და გართობის გრძნობა ცივილიზაციას არ მოუტანია, არამედ მუდამ არსებობდა მასში და მეტ-ნაკლები გადაჭარბებანიც, რომელიც ლხინით გამოწვეულ ურთიერთობას ახლავს, დამახასიათებელი იყო ყველა ეპოქისათვის, რაც კარგად ჩანს არქეოლოგიურ მასალაში, თუნდაც უცნაურად არატრადიციული სასმისების ფორმებში. არათუ საზოგადოებრივ სირცხში, არამედ მეცნიერულ ნაშრომებში გამოჩნდება ხოლმე აზრი იმის შესახებ, რომ სადღეგრძელოს კულტურა ჩვენში XIX საუკუნეში წარმოიშვა. ამ აზრის საპირისპიროა, თუნდაც მცხეთაში აღმოჩენილი ძვ.წ.VIII საუკუნით დათარიღებული სარტყელის შემკულობა იკმარებდა, რომლის სიუჟეტი წარმოაჩენს ორ მამაკაცს, რომლებიც ერთმანეთს სასმისებს უჭახუნებენ. შეუძლებლად გვეჩვენება ღვინით შევსებული სასმისთა ასეთი „მეხვედრა“ სიტყვის გარეშე წარმართულიყო. ეს სიუჟეტი სავსებით ამტყუვნებს აზრს იმის შესახებ თითქოს ქართული სუფრის სადღეგრძელო გუშინ დაიბადა. ამავე აზრს ამტკიცებს ვანში აღმოჩენილი, ძვ.წ.VI ს. დათარიღებული თამადის ფიგურა - ყანწით ხელში, შეუძლებელია ვირწმუნოთ, რომ სავარძელში ნებიერად ჩამჯდარი, ეს სუფრის თავი, ღვინოს მდუმარედ სვამდა, განა ამის თქმა სურდა ამ ქანდაკების შემქმნელს? თუ იმისა, რომ მის ხელში პერობილი ყანწით საუკუნეებიდან წამოსული სიტყვა გაეგონებია ჩვენთვის. ეს აზრი ვრცელდება საოჯახო და საზოგადოებრივი სუფრების შესახებ, რომლის უწყვეტი ტრადიციულობა არავითარ დამტკიცებას არ მოითხოვს: საქორწინო, სახატო, სათემო, საშობაო, საახალწლო და სამეურნეო დღესასწაულები შეუძლებელია სიტყვის გარეშე წარმართულიყო. თრიალეთის ცნობილი თასის პერსონაჟთა ორგინალური მსვლელობა, რომელთაც ფართოთავიანი სასმისები უჭირავთ ხელში, უკვე სადღეგრძელოს წინაპირობაა, ღვთაებათა მიმართ ამ გრანდიოზულ პროცესიას შეუძლებელია თან არ ხლებოდა სიტყვიერი ლოცვა მთავარი ქურუმისა, რომლის რწმენით დარკინული სიტყვები ეპოქებს გადმოსწვდა და ისინი ახლაც მოისმიან ხევსური და თუში ხევისბერებისაგან. (ალ. ოჩიაური, 2005: 45-98)

ჩვენ მიზანს არ წარმოადგენს ფართოდ შევხებით ქართული მეღვინეობის ისტორიას, უბრალოდ, გვსურს წარმოვადგინოთ რამოდენიმე დამახასიათებელი ილუსტრაცია, რომელიც ხაზს გაუსვამს ღვინის დაყენების ხელოვნებას და მის მოხმარების ესთეტიკას (E. Naidiradze, 2022), იქნება ეს მარნის მოწყობის ხელოვნება თუ ღვინის მოსაკავებელი

და სასმელად გამოსაყენებელი, ესთეტიკურად დახვეწილი ისეთი ტიპის ჭურჭელი, როგორიცაა: ქვევრი, ქოცო, ჩაფი, გოზაური, დოქი, ხელადა, ნიტრა, სურა, ჭინჭილა, კულა, ყარყარა, აზარფემა, ყანწი, ბადია, ჯამი, ფიალა, კოჩხო და სხვა. არცერთი ამ ნივთთაგან არაა ისეთი, რომლებიც მეტნაკლები დოზით არ ამჟღავნებდეს ხელოვნების, თუნდაც ის გამოყენებითი ხელოვნება იყოს, იდეების უმთავრეს პრინციპს: „მიანიჭოს ადამიანს მხნეობა და შთაბეროს მას სიხარული“.

კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის კულტურისა და ხელოვნების ისტორიაში თავისი გამორჩეული ადგილი უჭირავს საქართველოს. ვაზისა და ხორბლეულის ქვეყანამ შექმნა თავისი ორიგინალური კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც გარკვეული თვალსაზრისით, აყალიბებს ჩვენი ერის ცივილიზებულ პროფილს, მის იდენტურობას და გამორჩეულობას. ბუნებრივია, ისე როგორც ნებისმიერი კულტურა, არც ქართული კულტურაა ჩაკეტილი და კონვერგენტული, მასაც უსარგებლია და სარგებლობს სხვათა კულტურათა მიღწევებით, მაგრამ ქართველმა მიწათმოქმედმა, მხატვარმა თუ არქიტექტორმა, ოქრომჭედელმა თუ მჭედელმა, ქვითხურომ თუ ხითხურომ, ხელოვანმა თუ ხელოსანმა, მეღვინემ თუ მეპურემ თავისი ტვიფარი დაადო თავის შექმნილს და ეს ტვიფარი ქართულია, მისი გამორჩეულობა საცნობია და დადასტურებული. კავკასიის მუზეუმში, მისი დაარსების დღიდანვე, შემოდიოდა ქართული მატერიალური კულტურის ნიმუშება, ფაქტობრივად არაა დარჩენილი სახელოვნებო და შინამრეწველობის არცერთი სფერო, რომლის პროდუქცია არ იყოს დაცული მუზეუმის საცავებში. ესა არის უზარმაზარი კულტურული მემკვიდრეობა, რომლის უმოკლეს დახასიათებასაც კი წინამდებარე სტატიის ფორმატი ნამდვილად არ ეყოფოდა. ამიტომ ვირჩევთ ამ შემთხვევაში აქცენტი გავაკეთოთ „ქართული მატერიალური კულტურის ლექსიკონზე“ რომლის ორი გამოცემა 2011 და 2022 წლებში რამდენადმე იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ადამიანმა თვალი გაადევნოს ქართული ეთნოკულტურის სფეროში შექმნილ ხელოვნების ისტორიას, მისი ქმნადობის პროცესებს, მის მონაპოვართა განვითარების მრავალსაუკუნოვან გზას. ლექსიკონის შექმნა მოტივირებული იყო რეალურად არსებული ცვლილებებით, რასაც ადგილი აქვს ქართულ მატერიალურ კულტურაში. როგორც ცნობილია, მსოფლიო გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესი დღის წესრიგში აყენებს ეთნოკულტურულ მემკვიდრეობის მიმართ პრობლემატურ დამოკიდებულებას. ქართული ეთნოკულტურა ესაა უზარმაზარი შემოქმედებითი პროცესი, რომელიც იქმნებოდა საუკუნეთა განმავლობაში. ხალხის ფენაში შექმნილი ეს კულტურა არის განმსაზღვრელი საქართველოს როლისა და ადგილისა მსოფლიოს ხალხთა ცივილიზაციაში. თუ ქვეყანას აქვს პრეტენზია ითვლებოდეს დიდი კულტურული მემკვიდრეობის შემოქმედად ეს უპირველეს ყოვლისა უნდა დაადასტუროს ამ ქვეყნის მოსახლეობის სამეურნეო და

სახელოვნებო ცხოვრების განვლილმა გზამ, რომელიც უნდა აისახებოდეს მისი შრომისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის შედეგებით. ლექსიკონში თავი მოიყარა მატერიალური კულტურის წრეში შემავალმა ნივთიერმა მასალამ, რომელიც დახასიათებულია დანიშნულების, დამზადების წესის, გავრცელების არეალის, ესთეტიკურ-უტილიტალური დონისა და ნივთთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენების ასპექტების განხილვით. ლექსიკონი ფაქტობრივად წარმოგვიდგენს ქართულ ეთნოკულტურაში, საუკუნეთა განმავლობაში შექმნილი ხელოსნობისა და ხელოვნების პროდუქტის შედარებით სრულ სურათს, რომელის მნიშვნელობა მომავლისათვის განისაზღვრება მისი როგორც დოკუმენტალური ავთენტურობით. (ქმკელ... 2011, 2022) აღსანიშნავია, რომ ამ წიგნის შემოკლებული, ინგლისურენოვანი ვარიანტი გამოიცა 2016 წელს და დაურიგდათ მსოფლიოს ცნობილ ბიბლიოთეკებსა და ჰუმანიტარულ სამეცნიერო ცენტრებს. (E. Nadiradze, 2016)

დასკვნა

ხელოვნებათმცოდნეობაში მიღებული დებულების თანახმად, ხელოვნების მიზანია წარმოადგინოს ადამიანთა საზრუნავის სამყარო, იგი მოითხოვს კონკრეტული წესების ან ტექნიკის გამოყენებას, რომელიც საჭიროა ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად და რამდენადაც ხელოვანი ფლობს ამ თვისებებს, იმდენადაა მისი ქმნილება ყურადღების ღირსი. საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ სფეროში, რომელსაც წარმოადგენს ეთნოკულტურა, რელიეფურადაა გამოხატული ადამიანთა ეთიკური და ესთეტიკური ღირებულებანი, მათი მოთხოვნილების დონე და ამ მოთხოვნილებათა შესრულების ხარისხი. ცნობილია, რომ ხელოვნების პირველსაწყისებს ადრეკლასობრივ საზოგადოებაში ჩაეყარა საფუძველი, რის შემდეგაც ხელოვნების უკვდავი ქმნილებანი შეიქმნა ძველ აღმოსავლეთში, ეგვიპტეში, ჩინეთში, ინდოეთში, სპარსეთში, საბერძნეთში, რომში და ხმელთაშუაზღვის რეგიონის კულტურასთან ნაზიარებ ხალხებში, რომელშიაც იგულისხმება კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის აბორიგენი მოსახლეობაც.

წინამდებარე ნაშრომში, შევეცადეთ წარმოგვედგინა მსოფლიოს ერთ-ერთი საინტერესო რეგიონის-ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ეთნოკულტურული მემკვიდრეობა, ყურადღების გაგვემახვილებინა ხელოვნების იმ ნაკადებზე, რომელიც მათი, როგორც კულტურის ელემენტის, შეფასებისათვის გამოდგება. ძირითადად ესა არის ეთნოკულტურული ხელოვნების ის ბრწყინვალე ნიმუშები, რომლის ერთი ნაწილი დადასტურებულია ეთნოგრაფიულ ყოფაში, ხოლო მეორე დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. უმთავრესად ესაა ესთეტიკური და უტილიტარული დანიშნულების: ქართული, ირანული, აზერბაიჯანული, სომხური, ქურთული და სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების სახელთან დაკავშირებული ექსპონატები, რომელთა მასალაა

ვერცხლი, მოოქროული ვერცხლი, სპილენძი, თუთია, კალა, რკინა, თიხა, ხე, ძვალი და სხვა. ფართო სპექტრით წარმოვადგინეთ ხალიჩური ნაწარმი, კოსტიუმი და შედარებით მოკრძალებულად: კერამიკული ნაწარმი, საცხოვრისი, მეღვინეობასთან დაკავშირებული ნივთიერი მასალა, საბრძოლო იარაღები, ყოველდღიური მოხმარების საგნები და სხვა. ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს, ირანის, აზერბაიჯანის, ერევნის სახანოსა და ყაჯარული პერიოდის ნივთებს, რომელნიც მაღალი ხელოვნების ყველა მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ. წარმოდგენილი მასალის ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულია დასკვნა, რომლის მიხედვით ეთნოკულტურა არის ის სფერო საიდანაც დასაბამს იღებს ხელოვნების ძირითადი მიმართულებანი.

ლიტერატურა:

1. გეორგიკა, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, ტ 8, 1970
2. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსი საქართველოსი, 1941
3. იაშვილი მ., მასალები საქართველოს სოციალ-ეკონომიური ისტორიისათვის, 1974
4. იესე ოსეს ძის (ბარათაშვილის) თავგადასავალი, სარგის კაკაბაძის გამოცემა, 1913
5. კვანტიძე გ., ქართული ჩაცმულობა (XVI- XVII სს.) 2019
6. კვირკველია გ., ირანის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, 1968
7. მელიქიშვილი ი., ნადირაძე ე., ტოგონიძე ლ., ქართ. ტრადც. სამოსი XVIII- XIX სს. 2016
8. მეტრეველი რ., საისტორიო ნარკვევები, 2019
9. ნადირაძე ე., ქმკელ (ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, სამეცნიერო ხელმძღვანელი) 2011, მეორე შევსებული გამოცემა 2022
10. ნადირაძე ე., ვაზი და ღვინო საქართველოსი არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მინაცემების მიხედვით, 2022
11. ოჩიაური ალ., ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, 2005
12. ჟორდანია გ., კავკასიის მუზეუმის დაარსება, 1951
13. რუსიშვილი ნ., გადაჭრილი გორანამოსახლარის პალეოეთნობოტანიკური კვლევის პირველადი შედეგები, 2013
14. ფრუიძე ლ., მევენახეობა მეღვინეობა საქართველოში (რაჭა), 1974
15. ჩიტაია გ., შრომები, ტ.III, 2001
16. ჩიქოვანი თ., ამიერკავკასიის ხალხურ ნაგებობათა ისტორიიდან, 1967
17. ჩოფიკაშვილი ნ., ქართული კოსტიუმი VI – XIV სს. 1964
18. ჩუბინაშვილი გ., ქართლის დარბაზი, 1927
19. ჩხაიძე გ., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, 2003
20. ციციშვილი ი., მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის, 1954
21. ჰეროდოტე, ისტორია, ტ.I, 1975

22. Georgia she Gradle of viticulture (Bordeau) 2017
23. Geladze T., B.N Smith., Nadiradze E., Max Tilke – National Costumes of Caucasian People, 2005
24. Davies S., Definition of Art, 1991
25. Dickie G., Art and the Aesthetic: An Institutional Analysis ,Cornell University Press, 1974
26. Carrol N., Theories of Art Today, 2000
27. Nadiradze E., Axalkaci N., Alieva L., Azerbaijani Capters, Baku, 2014
28. Nadiradze E., Irevan Khanate, Baku , 2019
29. Nadiradze E., Karabakh, 2021
30. Nadiradze E., Pashaeva L., D. Pirbari, Kurdish Artifacts from the Museum of Georgia, 2007
31. Nadiradze N., The grapevine and Georgia According to Archaeological and Ethnographic evidence 2022
32. Nadiradze E ., Concise ethnographical VOCABULAR of Georgian Material Culture, 2016
33. Tilke M., Orientalische Kostume in Schmitt und Fabre, Berlin, 1923
34. Pope A., Masterpieces of Persian, New-York 1945
35. Pope A., Survey of Persian Art from prehistoric times to the present, London-New-York 1939
36. Агабабян., Архитектура грузинского народного жилища, 1945
37. Брокгауз Ф., Ефрон., И. Энциклопедический словарь т. 40, СПб. 1904
38. Джавашир М., История Карабаха, М. 1959
39. Дубровин И., История войны и владычества русских на Кавказе I- IV СПб 1871, 1889
40. Дмитриева Н., Происхождение искусства, Всеобщая история искусств. Том 1. М-Л., 1956
41. Каджар Ч., Каджары, Баку, 2001
42. Керимов Л., Азербайджанский кавер т. I., М. 1961
43. Кобичев В., Жилища народов Восточного Закавказья, М. 1957
44. Описание Карабахской провинции, Тифлис, 1866
45. Петрушевский И., Очерки по истории феод. отношений в Азербайджане и Армении в нач. XVI-XIX вв., Л. 1949
46. Шопен И., Исторический памятник состояния армянской области эпоху ее присоединения к российской империи, СПб., 1852.

ELDAR NADIRADZE

ETHNIC CULTURE AND ART OF THE SOUTH CAUCASUS AND THE NEAR EAST

Summary

The paper mostly offers the discussion of the art items kept at the National Museum of Georgia and belonging to the ethnocultural heritage of the South Caucasus and the Near East. Those are the items that started to arrive in the said

institution in the middle of the 19th century and proceeded over one hundred years.

According to the view accepted in art history, the art aims at representing the world of human concern. It requires the application of particular rules or techniques needed in order to create art items, and more skillfully an artist applies those rules and techniques the more noteworthy his creations are. Such aspect of public life as the ethnic culture vividly depicts the ethical and aesthetic values of human beings, the level of their requirements and the quality of meeting those requirements.

As far as is known, the primary art originated in the early class society. As a result, immortal pieces of art have been created in Ancient East, Egypt, China, India, Persia, Greece and Rome as well as among the peoples familiarized with the Mediterranean culture with involved the native population of the Caucasus and the Near East. Noteworthy is that the major part of those items has been created in the ethnocultural field and, what's more, we may say that the ethnic culture is the only field where the origins and the forms of development of art should be searched in.

The major task of this paper is to focus attention on the art trends in the ethnic culture of the peoples in one of the most interesting regions of the world and to represent the material which will promote the evaluation thereof as an element of culture.

The process of collecting the specimens of ethnic culture and art of the South Caucasus and the Near East at the Caucasus Museum, the predecessor of the National Museum, taking place both in field and laboratory conditions, was accompanied by sketching the material, which is of great importance for the reconstruction of cultural life of the peoples of the region under consideration. The well-known artists such as Max Tilke, Grigori Gagarin, Korneli Tatishchev, Sergo Kobuladze, Vladimer Tsilosani, Zurab Tsereteli and others have made a major contribution to the said field.

The paper pays special attention to the brilliant pieces of ethnocultural art found in the ethnographic environment as well as those kept in various collections of the Georgian National Museum. Those are mainly the utilitarian or practical exhibits related to Georgian, Iranian, Azerbaijanian, Armenian, Kurd and other ethnical groups. Those exhibits are made of silver, gilt silver, copper, zinc, tin. In big variety are presented costumes, rug and ceramic pieces as well as weapon, religious and everyday items. Special consideration is given to the utilitarian and aesthetic items of Qajar period that meet all the demands of high art.

As a result of analyzing the presented material, the paper offers a conclusion according to which the ethnic culture is the sphere where the main directions of art take origin from.

ილუსტრაციები



ქართული ტანსაცმლის ტიპები



1



2



3



4

მაქს ტილკე: 1. ქართველი ქალი; 2. ხევსურები;
3. აზერბაიჯანელი ქალი; 4. ქურთი მამაკაცი.



1



2



3



4

მაქს ტილკე: 1. სპარსი მამაკაცი; 2. ყარანოღაული მამაკაცი;
3. ებრაელი მამაკაცი; 4. ბერძენი ქალი



1



2



3



4

გრიგორი გაგარინი: 1. იმერული პრინცი; 2. შეიარაღებული ქართველი;
3. შეიარაღებული ქართველ; 4. მეგრული მამაკაცი



ყაჯარული ეპოქა, სინები



ყაჯარული ეპოქა, ზოომორფული ფიგურები



ყაჯარული ეპოქა, თასები



ყაჯარული ეპოქის ჭურჭელი



ყაჯარული ეპოქა: დეკორატიული მსხალი; დერვიშის ყუთი





ყაჯარული ეპოქა: თასი და იბრიდი

ყაჯარული ეპოქა:
მოჭიქული ღოქი; ქვის ჩაიდან



ყაჯარული ეპოქა: ვაზები

ყაჯარული ეპოქა: შორენკეცები და ქვის სურა



ერეკლის ხანის დარბაზის ინტერიერი



სარდრის სასახლე: ყადიმ ერევანი. პორტრეტები



ერევნის მეჩეთის შორენკეცები



აღმოსავლური მუსიკალური საკრავები



ყაჯარული ეპოქა: საბრძოლო იარაღები



ირანული მინიატურა



ირანულ-აზერბაიჯანული ხალიჩები



სომხური სამღვდლო მიტრა




ქალის თეფელუდი (თავსაბურავი)



ქართული სამკაული

ქალის სარტყელი



ქართული დარბაზი



იმერული ოლა



სვანური საცხოვრისი

ლეჩხუმური
ბუხარიიმერული
ბუხარი



არქეოლოგიური სადვინე ჭურჭელი



ეთნოგრაფიული სადვინე ჭურჭელი



ღვინის სასმისი მარნები



ღვინის სასმისი ხრიკა



ღვინის სასმისი კულა



ღვინის სასმისი თასები



მემორიალური
კულტურის ძეგლები
(საფლავის ქვები)

ერეკლე მაღრაძე, დავით სოსელია, ლევან შუღლიაშვილი,
ირაკლი კობერიძე, შოთა ცისკარიძე, ვიქტორ კახნიაშვილი,
თამარ ჭაღიაშვილი

ქართული დოკუმენტების გაციფრების პლატფორმა

საქართველოში აქტიური საგამომცემლო საქმიანობის დაწყებიდან დღემდე დაგროვდა მოცულობითი ბეჭდური მასალა რომლის გაციფრებაც წარმოადგენს მნიშვნელოვან ამოცანას. გაციფრებული მასალები ხელმისაწვდომი გახდება ფართო აუდიტორიისთვის და შესაძლებელი იქნება მათში ტექსტის მოძიება და სხვადასხვა ფაქტოლოგიური კვლევის განხორციელება. სკანირებული დოკუმენტების გაციფრება გულისხმობს დოკუმენტების სკანირებას, სკანირებული დოკუმენტიდან ტექსტის ამოღებას და ტექსტის შესაბამისი ენის მოდელში დამუშავებას, უზუსტობებისა და გრამატიკული შეცდომების აღმოსაჩენად. ამ ეტაპების განსახორციელებლად საჭიროა ერთიანი, მასშტაბირებადი და ავტომატიზირებული პლატფორმა, სადაც თითოეული ეტაპისთვის შემუშავებული ციფრული სერვისი შეასრულებს მასზე დაკისრებულ საქმეს და ამასთან შესაძლებელი იქნება ამ სერვისების დინამიური განვითარება, ისე რომ პლატფორმის მუშაობაში არ იყოს წყვეტა.

NLP, OCR, BERT, Kubernetes, ტრანსფორმერები

შესავალი

ბეჭდური დოკუმენტების გაციფრების ამოცანა აქტუალურია ბოლო ათწლეულების განმავლობაში. ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ, კერძოდ მაღალი გარჩევადობის სკანერებისა და ბეჭდური მასალის ოპტიკური დამუშავების პროგრამული უზრუნველყოფის სრულყოფამ, შესაძლებელი გახადა დაზიანებული და რთულად კითხვადი დოკუმენტების გაციფრება. გაციფრების ტექნოლოგიები ასეთი დოკუმენტებიდან ტექსტის და ინფორმაციის სრულად ან ნაწილობრივ აღდგენის საშუალებასაც იძლევა.

დოკუმენტების გაციფრების პროცესი შეიძლება დაიყოს სამ ეტაპად. პირველ ეტაპზე ხორციელდება დოკუმენტის მაღალი ხარისხით სკანირება. ამისთვის, სასურველია გამოყენებული იყოს 6400dpi ან 6400x9600dpi ოპტიკური გარჩევადობის სკანერი. მეორე ეტაპზე, მიღ-

ებული ციფრული დოკუმენტი, უნდა დამუშავდეს დოკუმენტში გამოყენებული ენის OCR (Optical Character Recognition) მოდელით. ამ ეტაპის შედეგად სკანირებული დოკუმენტიდან მიიღება გაციფრებული ტექსტი. პროცესის ბოლო ეტაპზე მიღებული გაციფრებული ტექსტი მუშავდება შესაბამისი ენის მოდელის გამოყენებით, რის შედეგადაც მიიღება ტექსტი, რომელშიც ჩასწორებული იქნება პირველად დოკუმენტში არსებული გრამატიკული და ორთოგრაფიული შეცდომები.

დაზიანებული დოკუმენტების შემთხვევაში, OCR მოდელის ეფექტური მუშაობის შედეგად მიღებული იქნება ტექსტთან მაქსიმალურად მიახლოებული მასალა, რომლის ენის მოდელით დამუშავების შემდეგ პირველადი ტექსტი მიღება იქნება შესაძლებელი. ეს და ასევე გაციფრებულ ტექსტში ეფექტური ძებნის განხორციელების საჭიროება, ქმნის დოკუმენტების გაციფრების პლატფორმის შემუშავების საჭიროებას, რომლის მეშვეობით ბოლო 150 წლის განმავლობაში გამოცემულ გაზეთებსა და პუბლიკაციებში არსებული ფაქტოლოგიური მასალის შენარჩუნება იქნება შესაძლებელი. ამასთან, გაციფრებული მასალა გახდება ხელმისაწვდომი ბევრად უფრო ფართე აუდიტორიისთვის და არა მხოლოდ მათთვის, ვისაც ასეთ დოკუმენტებთან შეიძლება მხოლოდ ფიზიკური წვდომა ჰქონდეს.

აღსანიშნავია, რომ ლათინური ანბანით შესრულებული დოკუმენტების გაციფრებისა და დამუშავების მიდგომები და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა უკვე დიდი ხანია არსებობს და საკმაოდ ეფექტურადაც გამოიყენება. თუმცა, ამ მხრივ გამოწვევად რჩება ქართულ ენაზე შესრულებული დოკუმენტების სამ ეტაპიანი გაციფრების მიდგომის რეალიზება.

წინამდებარე ნაშრომში აღწერილია ქართულ ენაზე შექმნილი დოკუმენტების გაციფრების პლატფორმა და მისი რეალიზაციის გზაზე მიღწეული შედეგები. პლატფორმა შემუშავებული იქნა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის, CARYS-19-1287 ფარგლებში.

ნაშრომი ორგანიზებულია შემდეგნაირად: მომდევნო ნაწილში აღწერილია პლატფორმის არქიტექტურა და მისი ძირითადი კომპონენტები, შემდგომი ნაწილი ეთმობა თანამედროვე ქართული ანბანის ასოების ამოცნობის OCR მოდელს, ხოლო ბოლო ორი სექცია ეთმობა ქართული ენის მოდელის შემუშავების გზას, კვლევის შემდგომ ეტაპებსა და დასკვნას.

დოკუმენტების გაციფრების პლატფორმის არქიტექტურა

პლატფორმა დაფუძნებულია მიკროსერვისულ არქიტექტურაზე [1], სადაც დოკუმენტების დამუშავების თითოეული ეტაპი რეალიზებულია როგორც ცალკეული სერვისი, რომელთანაც კომუნიკაცია შესაძლებელია სტანდარტული API (Application Programming Interface) და HTTP პროტოკოლის გამოყენებით [2].

სურ. 2 სკანირებული დოკუმენტების აქტირთვის სამუშაო გარემო

ასევე, სისტემის მრავალრიცხოვანი საკონფიგურაციო პარამეტრების გამოყენებით შესაძლებელია, დატვირთვის ზრდასთან ერთად, აპლიკაციების რაოდენობის ზრდა, რაც წარმოადგენს აპლიკაციებზე მოსული დატვირთვის გადანაწილების მექანიზმს.

OCR ქართული ენისთვის

პლატფორმის OCR კომპონენტისთვის, რომელიც ორიენტირებულია ქართული ბეჭდური ანბანის ასოების ამოცნობაზე, გამოყენებულია მანქანური სწავლების მეთოდი, რომელიც ეფუძნება ნახევრად-ზედამხედველობით სწავლებას (Semi-Supervised Learning). კერძოდ, OCR სერვისის შესაქმნელად საჭირო იყო მანქანური სწავლების მოდელის გაწვრთნა, მაგრამ იმდაგვარად, რომ მოდელი ყოფილიყო საკმარისად ზოგადი, ხოლო საწვრთნელად გამოყენებული ყოფილიყო შედარებით მცირე რაოდენობის დამუშავებული მასალა. მასალის სიმწირე დაკავშირებულია მისი ხელით დამუშავების შრომატევად და ხანგრძლივ პროცესთან.

ამ ამოცანის გადასაჭრელად გამოყენებულ იქნა ნაბეჭდი ტექსტი, რომელიც ღია წვდომაშია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ გვერდზე [10]. ჩამოტვირთულ და დამუშავებულ იქნა მეოცე საუკუნის სხვადასხვა პერიოდში გამოცემული 100 გაზეთი. განხორციელდა აღნიშნული გაზეთებიდან 2000 ასოსა და სიმბოლოს ამოჭრა და მონიშვნა. ამოღებული სიმბოლოების გამოყენებით, ნახევრად-ზედამხედველობით რეჟიმში გაიწვრთნა ნეირონული ქსელი Fix-Match მიდგომის [11] საფუძველზე. ჩამოტვირთული გაზეთები ასევე დამუშავდა Tesseract [12] მოდელის გამოყენებით და მომზადდა Fix-

Match მიდგომის საფუძველზე გაწვრთნილი მოდელის ეფექტურობის შესამოწმებლად.

სიმბოლოებისა და ასოების აღმოჩენის ნეირონული ქსელი, შემდეგი საწყისი პარამეტრებით [1,36,0,1 Ct3,3,16 Mp3,3 Lfys48 Lfx96 Lrx96 Lfx256 Olc111], გაიწვრთნა 30000 იტერაციის განმავლობაში. შედეგად მიღწეულ იქნა მოდელის 99%-იანი სიზუსტე, რაც სატესტო მონაცემებზე შემოწმებით დადასტურდა.

მიღებული მოდელი შეიფუთა დოკერის კონტეინერიზაციის ხელსაწყოს საშუალებით და დაინერგა Kubernetes სისტემაში. ამ გზით კი განხორციელდა მისი ინტეგრაცია პლატფორმის სხვა სერვისებთან

ქართული ენის მოდელი


ფაილების OCR-ით დამუშავების შემდეგ მიღებულ ტექსტს პლატფორმის ბირთვი (BackEnd Application/Core სურათი. 1) აგზავნის ქართული ენის მოდელის სერვისზე. ამ სერვისის საშუალებით მიღებულ ტექსტში გრამატიკული უზუსტობებისა და შეცდომების აღმოჩენა და გასწორება უნდა განხორციელდეს.

ქართული ენის მოდელი მანქანური სწავლების პრინციპებზე დაფუძნებულ მათემატიკურ მოდელს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში მოდელი იყენებს BERT-ს (Bidirectional Encoder Representation from Transformers) [13] და ტრანსფორმერების [14] დასწავლის მიდგომას.

ტრანსფორმერების გამოყენება მონაცემებზე წვრთნის პროცესში იძლევა საშუალებას, რომ გათვალისწინებული იქნას მონაცემებს შორის კავშირი და კონტექსტი, რაც ბუნებრივი ენის მოდელირების პროცესში გადამწყვეტ როლს ასრულებს. კონტექსტის გათვალისწინების მაღალი სიზუსტე სწორედ მაშინ მიიღწევა, როდესაც გასაწვრთნელი ტექსტობრივი მასალის დასწავლა ხდება ინვარიანტულად, ანუ ტექსტის ორივე მხრიდან, მარცხნიდან მარჯვნივ და პირიქით.

ტრანსფორმერი შედგება ორი დამოუკიდებელი კომპონენტისგან: ენკოდერისა და დეკოდერისგან. ენკოდერი კითხულობს შემავალ ტექსტს, ხოლო დეკოდერი წაკითხული ტექსტის მიხედვით ცდილობს მომდევნო სიტყვის ან წინადადების პროგნოზირებას. BERT-ის შემთხვევაში საჭიროა მხოლოდ ენის მოდელის გაწვრთნა, ანუ შემავალი მონაცემების წაკითხვა და მის საფუძველზე ტრანსფორმერების დასწავლის პროცესის გაშვება, პროგნოზირების საჭიროება ამ შემთხვევაში არ არის. ანუ BERT-ის მონაცემებზე დასწავლის პროცესში, დეკოდერის საჭიროება არ არის.

BERT-ის ტრადიციული გამოყენებისგან განსხვავებით, ჩვენ შევეცადეთ გავვეწვრთნა BERT-ი შემდეგი სიტყვის პროგნოზირების (Next Word Prediction) ამოცანის გადასაჭრელად, რაც სწორადაც რომ გულისხმობს დეკოდერის გამოყენებას. ამისთვის გამოვიყენეთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული ენის კორპუსი და სხვა გაციფრებული მასალები, ჯამში 6517 წიგნი, სტატია და რიდერი, რაც



სურ 3. კორპუსის ობიექტების სიხშირული ანალიზის შედეგი

ჯამში 6.05 GB სუფთა ტექსტს შეადგენს. ამ მოცულობის ტექსტიდან მიღებული იქნა 1324271 ტოკენი, აქედან კი უნიკალური არის 167091, ლემატიზებული ტოკენების რაოდენობა კი შეადგენს 29492. აღნიშნული მონაცემების სტატისტიკური ანალიზის შედეგად მივიღეთ ობიექტების შემდეგი გადანაწილება (იხ. სურათი 3).

აღნიშნული რაოდენობის მონაცემებზე გაწვრთნილმა BERT-ის მოდელმა ვერ აჩვენა საკმარისად მაღალი სიზუსტე შემდეგი სიტყვის პროგნოზირებაში. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად დაიგეგმა რამდენიმე კვლევა, რაც განხილულია ნაშრომის შემდეგ ნაწილში.

შეჯამება

ამ ეტაპზე შეიძლება ითქვას, რომ ქართული ნაბეჭდი ასოებისა და სიმბოლოების აღმოჩენის მოდელი მუშაობს ეფექტურად. იგი დანერგილია ავტომატიზაციის ხელსაწყოების გამოყენებით Kubernetes-ის პლატფორმაზე.

ქართული ენის მოდელის სიზუსტის გასაუმჯობესებლად გამართულია დიდი მონაცემების ანალიტიკის პლატფორმა, სადაც გროვდება ქართულ ენაზე შესრულებული სხვადასხვა ტექსტი მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურისა და პუბლიცისტიკის სფეროებიდან. ვიმედოვნებთ, რომ 10 000 000 სიტყვის მოგროვების შედეგად, მიღებული

იქნება მაღალი სიზუსტის შემდეგი სიტყვის პროგნოზირების ამოცანის მოდელი.

კვლევის შემდეგ ეტაპზე დაგეგმილია ქართული ენის კორპუსის გამდიდრება დამატებითი რესურსებით. ასევე, შემდგომი კვლევის ერთ-ერთი მიმართულებაა Transfer Learning-ის [15] მიდგომების გამოყენება, რათა უკვე არსებული საბაზისო მოდელის სიზუსტის ზრდა შესძლებელი იყოს მცირე მოცულობის კორპუსით ან იმ ტექსტობრივი მასალით, რომლიც მოდელის წვრთნის მომენტში კორპუსში არ მოიპოვებოდა.

REFERENCES

1. R. Macdonald, (2015) "Microservices. Pros & Cons of Using Microservices On A Project". MadeTech. Available in: <https://www.madetech.com/blog/microservices-pros-and-cons>
2. Berners-Lee, Tim & Connolly, Dan & Kagal, Lalana & Scharf, Yosi & Hendler, James. (2007). N3Logic: A logical framework for the World Wide Web. Theory and Practice of Logic Programming. 8. 10.1017/S1471068407003213.
3. Boettiger, Carl. (2014). An introduction to Docker for reproducible research, with examples from the R environment. ACM SIGOPS Oper. Syst. Rev.. 49. 10.1145/2723872.2723882.
4. <https://developers.google.com/identity/protocols/oauth2>
5. <https://developers.facebook.com/docs/facebook-login/>
6. <https://developer.linkedin.com/>
7. <https://docs.github.com/en/authentication/keeping-your-account-and-data-secure/creating-a-personal-access-token>
8. Fabiana Rossi, Valeria Cardellini, Francesco Lo Presti, Matteo Nardelli, Geo-distributed efficient deployment of containers with Kubernetes, Computer Communications, Volume 159, 2020, Pages 161-174, ISSN 0140-3664, <https://doi.org/10.1016/j.comcom.2020.04.061>. (<https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0140366419317931>)
9. <https://github.com/kubernetes/kubernetes>
10. <https://dspace.nplg.gov.ge/>
11. Sohn, Kihyuk, et al. "FixMatch: Simplifying Semi-Supervised Learning with Consistency and Confidence" arXiv:2001.07685, 2020.
12. Agnese Chiatti, Mu Jung Cho, Anupriya Gagneja, Xiao Yang, Miriam Brinberg, Katie Roehrick, Sagnik Ray Choudhury, Nilam Ram, Byron Reeves, and C. Lee Giles. 2018. Text extraction and retrieval from smartphone screenshots: building a repository for life in media. In Proceedings of the 33rd Annual ACM Symposium on Applied Computing (SAC '18). Association for Computing Machinery, New York, NY, USA, 948–955. DOI: <https://doi.org/10.1145/3167132.3167236>
13. Devlin, Jacob, Ming-Wei Chang, Kenton Lee and Kristina Toutanova. "BERT: Pre-training of Deep Bidirectional Transformers for Language Understanding." ArXiv abs/1810.04805 (2019)

14. Ashish Vaswani, Noam Shazeer, Niki Parmar, Jakob Uszkoreit, Llion Jones, Aidan N. Gomez, Łukasz Kaiser, Illia Polosukhin: "Attention Is All You Need". ArXiv:1706.03762
15. Dauphin, Grégoire Mesnil Yann, et al. "Unsupervised and transfer learning challenge: a deep learning approach." Proceedings of ICML Workshop on Unsupervised and Transfer Learning. JMLR Workshop and Conference Proceedings, 2012.

გიორგი გოგოლაშვილი

სამხრული მეტყველების შესწავლა თანამედროვე ეტაპზე და მისი მნიშვნელობა ქართული დიალექტოლოგიისათვის

ამთავითვე ვთქვათ: XXI საუკუნის დასაწყისში ქართულ დიალექტოლოგიაში ორი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა – (1) ქართულმა დიალექტოლოგიამ შეიძინა მდიდარი მასალა სამხრეთ საქართველოს (ისტორიული საქართველოს, „ჭოროხის ქვეყნების“) ქართველთა მეტყველებისა და (2) მისი ანალიზის შედეგად შემოთავაზებული იქნა ქართულ დიალექტთა შედგენილობისა და განდასების ახალი ვარიანტი. უფრო დეტალურად:

* * *

ქართული დიალექტების მეცნიერული შესწავლა XX საუკუნის გარიჟრაჟზე დაიწყო. „1911 წელს გამოქვეყნდა ნიკო მარის მიერ სანიმუშოდ ჩაწერილი იმერხეული (კლარჯული) ტექსტები და მისი მოკლე ფონეტიკურ-გრამატიკული მიმოხილვა“ (ვ. თოფურია 1963: 168). ფაქტობრივ, იმერხეული (კლარჯული) მეტყველების შესწავლით დაიწყო ქართული დიალექტების მეცნიერული კვლევა და, რამდენადაც ბედისწერულია, მომდევნო პერიოდის კვლევა-ძიებამ მოიცვა სრულად ქართველური დიალექტოლოგიური სივრცე, გარდა კლარჯული მეტყველებისა... ანუ, იმის გარდა, რითაც დაიწყო ქართული მეცნიერული დიალექტოლოგია...

მცირე ისტორიული ექსკურსი:

ნ. მარის დაწყებული ქართული დიალექტების კვლევა წარმატებით გააგრძელეს პეტერბურგის უნივერსიტეტში აკაკი შანიძემ და იოსებ ყიფშიძემ. ამავე პერიოდში შეიქმნა ქართული დიალექტების გამოყოფისა და დაჯგუფების პირველი ვარიანტები (იხ.: გ. გოგოლაშვილი 2005)... ქართული ენის დიალექტური შედგენილობისა და დაჯგუფების სურათი სხვაობს სხვადასხვა მეცნიერთან; ამ ფაქტს თავისი ახსნა აქვს – არსებითია, რა ფაქტორი ედება საფუძვლად დიალექტთა გამოყოფას; მეთოდოლოგიური თვალსაზრისით საგულისხმოა აკაკი შანიძის მსჯელობა, რომელიც მეცნიერმა თავისივე შემუშავებულ სქემას დაურთო: „ჩვენი პრეფიქსების განხილვის დროს ყურადღებას თუ არ მივაქცევთ ფონეტიკურ ცვლილებასა და სხვადასხვაობას, არამედ მხოლოდ

მორფოლოგიურ აგებულებას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ აღმოსავლური კილოები თავის მხრივ კიდევ ორ ჯგუფად გაიყოფა...(...) ხოლო თუ დაჯგუფების საზომად O_3 -ის ხმარების წესს მივიღებთ, მაშინ ცალკე გამოიყოფა ხევსურული, სხვები კი (...) მეორე მხარეს მოექცევა..." (ა. შანიძე 1920: 145). ამ მსჯელობიდან ჩვენთვის არსებითი ის არის, რომ დიალექტთა გამოყოფისა და დაჯგუფების სხვადასხვაობის მიზეზი საკლასიფიკაციო ნიშნის სხვადასხვაობაა... ამის თაობაზე ორიოდ სიტყვას ქვევითაც ვიტყვით, აქ კი შევნიშნავთ იმას, რომ ქართული დიალექტების თითქმის საუკუნოვანი კვლევის შედეგად ძირითადად გაზიარებულია დიალექტთა გამოყოფისა და განდასების ასეთი ვარიანტი:

I. აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტები:

- ა) მთის დიალექტები: 1. ხევსურული
2. ფშაური
3. თუშური
4. მოხეური
5. მთიულურ-გუდამაყრული

- ბ) ბარის დიალექტები: 6. ქართლური
7. კახური
8. ინგილოური
9. ფერეიდნული

- გ) სამხრეთ-დასავლური დიალექტი
10. მესხური (სამცხურ-ჯავახური)

II. დასავლეთ საქართველოს დიალექტები

11. რაჭული
12. იმერული
13. ლეჩხუმური
14. გურული
15. აჭარული
16. იმერხეული (კლარჯული)

(ბ. ჯორბენაძე 1989)

როგორც ვხედავთ, თურქეთის ტერიტორიაზე, ისტორიულ საქართველოში, ერთი დიალექტია გამოყოფილი – იმერხეული (კლარჯული) და იგი დასავლურ-ქართულ მეტყველებად განიხილება; სამწუხაროდ, იძულებული ვიყავით, დავკმაყოფილებულიყავით იმ მასალით, ნიკო მარმა რომ მოიპოვა 1904 წლის ექსპედიციის შედეგად (და 1911 წელს რომ გამოიცა); ეს ტექსტები შევიდა 1961 წელს გამოსულ ქრესტომათიაში „ქართული დიალექტოლოგია, I“ (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფური, ი. ქავთარაძე 1961); სწორედ ამ მასალის მოკლე ლინგვისტური ანალიზი შემოგვთავაზა ბ. ჯორბენაძემ თავის მონოგრაფიაში (ბ. ჯორბენაძე 1989: 577-588)... ესაა და ეს.

ვინც იცნობს ამ სფეროს, დამეთანხმება: ქართული დიალექტების შესწავლის საქმეში ძალიან ბევრი გაკეთდა ნ. მარის ნაშრომის

გამოცემის შემდეგ; თითქმის ყველა დიალექტი იქნა გამოკვლეულია მონოგრაფიულად; აღიწერა სისტემური თვალსაზრისით; შესწავლილი იქნა ლექსიკა, შედგენილია ლექსიკონები და ა. შ.

ეს, სამწუხაროდ, არ შეხებია იმერხელს (კლარჯულს): მე-20 საუკუნეში, კომუნისტურეპოქაში, თურქეთთან სსრკ-ის არაკეთილმეზობლური დამოუკიდებლობის გამო ისტორიულ საქართველოში ქართული მეტყველების შესწავლა ვერ ხერხდებოდა... და ეს უზანი ქართული დიალექტოლოგიისა დარჩა იმ დონეზე, რაც იყო დიალექტოლოგიური კვლევა-ძიების დაწყებისას, „XX საუკუნის გარიჟრაჟზე“.

და XX საუკუნის ბოლოს, ეროვნული მოძრაობის აღმავლობისა და კომუნისტური იმპერიის საფუძვლის მორყევის შედეგი იყო ის, რომ გადაიდგა პირველი ნაბიჯები ისტორიულ საქართველოში გადწევისა, იქაურ ქართველებთან შეხვედრისა და მათი მეტყველების უნიკალური მასალის მოპოვებისა.

1989 წელს არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორს ბესარიონ ჯორბენაძეს ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტმა შუშანა ფუტკარაძემ თავისი განზრახვა გაანდო და მხარდაჭერა სთხოვა. ბ. ჯორბენაძისა და ინსტიტუტის საპატიო დირექტორის აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძის აქტიური მხარდაჭერით შ. ფუტკარაძემ შეძლო 1989 წელს ემოგზაურა თურქეთში, ისტორიულ ქართულ მიწაზე (ფაქტობრივ, ეს იყო ნახევრად პარტიზანული საველე საქმიანობა)... შ. ფუტკარაძე იყო პირველი ქართველი, რომელმაც ნ. მარის მოგზაურობის შემდეგ (1904 წ.) შეძლო ადგილზე ჩაეწერა ქართული მეტყველება. ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს მნიშვნელობა იმ მასალისა, რომელიც მოიპოვა შ. ფუტკარაძემ. ახლაც მახსოვს, როგორი მღელვარებითა და აღტაცებით ვეცნობოდით საკმაოდ რთულ პირობებში მოპოვებულ აუდიო და ვიდეო მასალას ენათმეცნიერების ინსტიტუტში... ამ მასალის ანალიზის საფუძველზე 1995 წელს შ. ფუტკარაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. მან მის მიერ მოპოვებული მასალა და გამოკვლევა ორ წიგნად გამოსცა: „ჩვენებურების ქართული“, წიგნი I (ტექსტები და სალექსიკონო მასალა), 726 გვ., 1993 წ.; წიგნი II (გამოკვლევა), 662 გვ., 2016 წ.

უნდა ითქვას, რომ ეს იყო პირველი (საწყისი) ეტაპი იმ ენობრივ სამყაროსთან ენათმეცნიერული ინტერესებით ხელახლა (ნ. მარის შემდეგ) შეხვედრისა... მაგრამ ეს მაინც იყო ინდივიდუალური ინიციატივა, პიროვნული მცდელობის მაგალითი...

გეგმაზომიერი და სისტემატური ხასიათი ამ მხარის მეცნიერულ შესწავლას გასული საუკუნის 90-იან წლებში მიეცა. ეს საქმე ითავა ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტმა. აქ 1995 წელს ჩამოყალიბდა „ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევის ლაბორატორია“ (ხელმძღვანელი დოც. მამია ფაღავა). განისაზღვრა ლაბორატორიის კვლევის პრიორიტეტები – ისტორიული სამხრეთ საქართველო („ჭო-

როხის ქვეყნები“), ლაზეთი და მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლებები თანამედროვე თურქეთში. იმავე წელს მოეწყო პირველი კომპლექსური ექსპედიცია ტაოში (30 აგვისტო – 14 სექტემბერი). 2000 წელს ზემოხსენებული ლაბორატორიის საფუძველზე ჩამოყალიბდა „მემედ აბაშიძის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“, რომელიც 2004 წელს გადაკეთდა „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევით ცენტრად“; 2009 წლიდან ეს ცენტრი „ქართველოლოგიის ინსტიტუტად“, ხოლო ამჟამად „ქართველოლოგიის ცენტრად“ იწოდება. ხელმძღვანელი ამ სტრუქტურული ერთეულისა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და გახშირებული ექსპედიციებისა არის პროფესორი მამია ფაღავა. ესეც ვთქვათ: მამია ფაღავამ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი სწორედ „ჭოროხის ქვეყნების“ მეტყველებას ეხებოდა (მ. ფაღავა 2004)... (ექსპედიციების წევრებზე და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართულ პირებზე მეტი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ: გ. გოგოლაშვილი 2018).

როგორც ვთქვით, გასული საუკუნის დასაწყისში ტაო-კლარჯეთში იმოგზაურა ნიკო მარმა და დაგვიტოვა ფასდაუდებელი მასალა ამ მხარის შესასწავლად. როცა ჩვენი ბათუმელი კოლეგები შეუდგნენ ამ დიდ საქმეს, ნ. მარის „დღიურები“ მათ-თვის ერთგვარი გზამკვლევი უნდა ყოფილიყო... სწორედ ამიტომ, უპირველესად, დღის წესრიგში დადგა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული ნ. მარის „დღიურების“ თარგმნა და გამოცემა; ეს ჩანაფიქრი შეასრულეს და 2012 წელს (მეორე გამოცემა 2015 წელი) ბათუმის უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა ნიკო მარის „შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები“ (თარგმნა რევაზ დიასამიძემ. რედაქტორი მამია ფაღავა). რედაქტორის თქმით, ამ წიგნის „საჭიროებას ყოველდღი-ურად გრძნობს ქართული ყოფისა და კულტურის მკვლევარი, განსაკუთრებით ის, ვინც თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკის ქართულ პროვინციებს იკვლევს“ (ნ. მა-რი 2015: 5).

სწორედ ეს წიგნი გამოდგა ფეხბედნიერი მეგზური ბათუმის უნივერსიტეტის ქართველოლოგიური ცენტრის მიერ „ჭოროხის ქვეყნების“ შესწავლის საქმეში.

ივარაუდებოდა მონოგრაფიული კვლევა ცალკეული კუთხეებისა; პირველი მონოგრაფია შავშეთს უნდა მიძღვნოდა. ექსპედიციის მოწყობამდე შემუშავდა მომა-ვალი მონოგრაფიის გეგმაც; ამას თუნდაც იმიტომ მივაპყრობთ ყურადღებას, რომ ამ გეგმის მიხედვით მუშაობდა ქართველოლოგიური ცენტრი სხვა მხარეებშიც. გეგმა ასეთი იყო:

ნაწ. I. გამოკვლევები

1. შავშეთის ისტორია
2. შავშეთის მატერიალური კულტურა
3. შავშეთის ეთნოლოგია

4. შავშური კილო
5. შავშური ტოპონიმია
6. შავშური ფოლკლორი

ნაწ. II. შავშური დიალექტისა და ფოლკლორის მასალები ლექსიკონითურთ.

სამეცნიეროსაქმიანობამ მიიღო ძალიან ინტენსიური და სერიოზული სახე: კომ-პლექსური ექსპედიციები (1995 წლიდან დღემდე მოეწყო 40-მდე ექსპედიცია ჭოროხის ხეობაში, ისტორიულ ლაზეთსა და მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლებებში თურქეთის შიგა პროვინციებში), მათ საფუძველზე გამართული სა-მეცნიერო კონფერენციები (ჩატარდა 20 კონფერენცია) თუ გამოცემული „კრებულები“ (გამოიცა 13 წიგნი) არის ამის დასტური...

არსებული ისტორიული და სამეცნიერო მასალის საფუძველიანმა ანალიზმა ექსპედიციის წევრები მიიყვანა იმ ზოგად დასკვნამდე, რომ „ჭოროხის აუზი ერთიანი კულტურული სივრცეა“ და იგი საერთო ქართული კულტურული სივრცის ორგანული ნაწილია. ეს ის მხარეა, სადაც ისტორიულად ჩამოყალიბდა რამდენიმე ქართული „ქვეყანა“ – სპერი, ტაო, შავშეთი, კლარჯეთი, აჭარა. ამ კულტურულმა სივრცემ „თავისი წვლილი შეიტანა ერთიანი ქართული კულტურის მშენებლობაში“... აი, ამ სივრცის მეცნიერული შესწავლა დაისახეს მიზნად ბათუმელმა კოლეგებმა და ჩვენ მოწმენი გავხდით სამეცნიერო გამარჯვებებისა:

მოპოვებული დიალექტური მასალის დამუშავებისა და მეცნიერული ანალიზის შედეგად

2011 წელს გამოიცა ფუნდამენტური მონოგრაფია „შავშეთი“ (618 გვ.)...

ჩვენი დიალექტოლოგიური ინტერესებიდან გამომდინარე ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ მონოგრაფიის მეორე ნაწილზე; აქ არის წარმოდგენილი მდიდარი ტექსტები – დიალექტური და ფოლკლორული მასალა (გვ. 366-568), ლექსიკონი (გვ. 569-614), კილოს ლინგვისტური ანალიზი (გვ. 219-358).

შეიძლება ითქვას, ეს იყო კარგად დაწყებული დიდი საქმე; გაგრძელდა კიდეც ასეთივე წარმატებით.

2016 წელს გამოიცა მონოგრაფია „კლარჯეთი“ (1088 გვ.). მდიდარი ტექსტობრივი მასალა: ფოლკლორული და დიალექტური (გვ. 705-1038), ლექსიკონი (გვ. 1039-1083); კილოს ლინგვისტური ანალიზი (გვ. 529-661).

2020 წელს გამოიცა მონოგრაფია „ტაო“ (1214 გვ.). ტექსტობრივი მასალა: ფოლკლორული და დიალექტური (907-1106), ლექსიკონი (1107-1192); კილოს ლინგვისტური ანალიზი (გვ. 682-872).

ამავე პროგრამითა და მიზნებით მომზადდა და

2020 წელს გამოიცა მონოგრაფია „მარადიდი“ (980 გვ.). ტექსტობრივი მასალა: ფოლკლორული და დიალექტური (გვ. 671-912), ლექსიკონი (913-960); კილოს ლინგვისტური ანალიზი (გვ. 538-670).

„ჭოროხის ქვეყნების“ კვლევის ძირითად მიზნებს ემსახურება 1998 წელს გამოცემული მონოგრაფია **„სამხრული კილოები და ქართული სამწერლობო ენა“** V-XVIII სს. (ავტორები: მერი ცინცაძე, მამია ფაღავა)...

თურქეთის რესპუბლიკის სხვადასხვა პროვინციაში გაშენებულ მუჰაჯირთა და-სახლებებში მოწყობილი ექსპედიციების შედეგად (2012-2016 წ) 2017 წელს გამოიცა ამ სერიის პირველი წიგნი: **„ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები თურქეთში. მა-ჭახლელი მუჰაჯირები“** (450 გვ.)

იმედია, ასეთივე წარმატებით გასრულდება მუჰაჯირთა შესახებ ჩაფიქრებული სხვა წიგნების გამოცემაც...

აქ დავამატებთ მხოლოდ იმას, რომ, როგორც ჩანს, პირველ კომპლექსურ მონოგრაფიებში – „შავშეთი“ და „მაჭახლელი მუჰაჯირები“ – ლინგვისტური სათქმელი ბოლომდე ვერ ითქვა, ამიტომ გამოსაცემად მომზადდა და, როგორც გვაცნობეს კოლეგებმა, მალე დაიბეჭდება მონოგრაფია „შავშური კილო“ (გამოკვლევა, მასალები, ლექსიკონი. დანართი: მაჭახლელ მუჰაჯირთა მეტყველების თავისებურებანი (გამოკვლევა, მასალები ლექსიკონითურთ), ავტორები: მ. ფაღავა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე).

და კიდევ: ამ დიდი საქმის ნაწილია და ამიტომ აქვე გვინდა აღვნიშნოთ ნ. მარის „დღიურების“ პრინციპზე შედგენილი მამია ფაღავას წიგნები: „შავშური ჩანაწერები“ (2011), „კლარჯული ჩანაწერები“ (2017), „ტაოური ჩანაწერები“ (2021) და „მუჰაჯირთა შთამომავლებთან“ (2016); და ორიგინალური და საინტერესო გრამატიკული ნაშრომი „სამხრული დიალექტები – ბრუნებისა და უღლების პარადიგმები“ (ავტორები: – მ. ფაღავა და ნ. ცეცხლაძე – 2017); ფაქტობრივ, ესაა დამხმარე მასალა შემდგომი მორფოლოგიური კვლევა-ძიებისათვის (უფრო კრებსითი ანალიზის დონეზე)...

როგორც ვხედავთ, მოპოვებულია ძალზე მდიდარი და ფასეული მასალა „ჭოროხის ქვეყნების“ ქართველთა მეტყველების შესასწავლად. ამ ეტაპზე კვლევა-ძიების შედეგებიც შთამბეჭდავია. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ **ქართული დიალექტოლოგიის ეს უბანიც დღეს სხვათა გვერდით ღირსეულად წარმოჩნდა...**

ამ შედეგებმა, თავისთავად ცხადია, კორექტივები შეიტანა ქართული ენის დიალექტური შედგენილობის ტრადიციულ სქემაში:

გამოითქვა ძირითადად ორგვარი თვალსაზრისი:

I. შ. ფუტკარაძის აზრით, „ტაო-კლარჯულ ქართულში გამოიყოფა რამდენიმე დიალექტური ერთეული, როგორიცაა: იმერხეული (ისტორიული შავშური), ლივანუ-რი, მაჭახლური და ტაოს ქართული. მათ შორის ექცევა აჭარულიც“ (შ. ფუტკარაძე 1995). ამათ გვერდით ავტორი მიმოიხილავს „მუჰაჯირთა მეტყველებას“, მაგრამ მას არ მოიხსენიებს დიალექტად. აღნიშნავს მხოლოდ, რომ მუჰაჯირთა მეტყველებას „შენარჩუნებული აქვს 100-150 წლის წინანდელი აჭარული დიალექტის იერსახე“ (შ. ფუტკარაძე 1995).

მოკლედ, ასეთი არის ერთი ვარიანტი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქართუ-ლის დიალექტური დაყოფისა:

1. იმერხეული (ისტორიული შავშეთი)
2. ლივანური
3. მაჭახლური
4. ტოს ქართული
- (5. მუჰაჯირთა ქართული)

განსხვავებულ ვარიანტს გვთავაზობს მ. ფალავა; მისი აზრით, „ჭოროხის ქვეყნების“ მასალის ანალიზის საფუძველზე სამი დიალექტი უნდა გამოიყოს:

შავშური (კილოკავებით: მაჭახლური, იმერხეული)

კლარჯული (ზემოკლარჯული, ქვემოკლარჯული – იგივე ლივანური)

ტაოური

მკვლევარი **მუჰაჯირთა** შთამომავლების **ქართულს** ნარევ მეტყველებად განიხილავს და მას სამხრული მეტყველების შესასწავლ დამატებით მასალად მიიჩნევს (მ. ფალავა 2003; მ. ფალავა 2004; მ. ფალავა 2013).

ფაქტობრივ, ეს არის ქართველოლოგიური ცენტრის თვალსაზრისი; ეს ვარიანტი შემუშავებულია ლინგვისტური, ისტორიული, ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებით. ლოგიკურია მათი მსჯელობა: ქართული დიალექტების **აღმოსავლური და დასავლური ჯგუფების გვერდით** უნდა გამოიყოს **მესამე – სამხრული – ჯგუფი, სადაც შავშური, კლარჯულ და ტაოურ კილოებთან ერთად შევიდოდა აჭარულიც.**

ძნელია ამჟამად ჩვენ განვსაჯოთ, რომელი ვარიანტი უფრო ახლოსაა ჭეშმარიტებასთან; ფაქტია, მეორე ვარიანტი უფრო ფართო მასშტაბისაა და მრავალფეროვანი მასალის ანალიზის შედეგია; ამიტომაც „ახალი ქართული ენის“ ოთხტომეულზე მუშაობისას ამ ვარიანტს დავემყარეთ (ახ. ქართ. ენა 2017). ისე კი ამ შემთხვევაშიც წარმოჩნდება ის სირთულე, რაც საერთოდ დამახასიათებელია მეტყველების ნაირსახეობათა გამოყოფისა თუ კვალიფიკაციის დროს. გავიხსენოთ: გავრცელებული თვალსაზრისით, მესხურ-ჯავახური ერთ დიალექტად მოიაზრება, ზოგ ავტორთან მესხური და ჯავახური ორ დიალექტადაა მიჩნეული, ზოგი ავტორი მათ ქართულური დიალექტის ნაწილად განიხილავს... დაახლოებით მსგავსი ვითარებაა ქვემოიმერული და ზემოიმერული მეტყველების შემთხვევაშიც (იხ.: გ. გოგოლაშვილი 2005). აქ ფაქტობრივ, თავს იჩენს ის პრობლემა, რომ **დიალექტთა გამოყოფისას პირობითობას ვერ ავცდებით**; მთავარია, აღწერის გარეშე არ დარჩეს რომელიმე ნაირსახეობა, ქართული დიალექტური სივრცის რომელიმე ნაწილი...

მომავალმა კვლევა-ძიებამ სურათი შეიძლება გარკვეულწილად შეცვალოს; ყო-ველ შემთხვევაში, შეიძლება დაზუსტდეს ვითარება.

დღეისათვის კი, ქართული დიალექტური სივრცე ბოლო ათწლეულებში ჩატარებული კვლევების შედეგად ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

I. აღმოსავლური დიალექტები:

1. ხევსურული
2. ფშაური
3. თუშური,
4. მოხეური
5. მთიულურ-გუდამაყრული
6. ქართლური
7. კახური
8. ინგილოური
9. ფერეიდნული
10. მესხურ (სამცხურ)-ჯავახური

II. დასავლური დიალექტები:

11. რაჭული
12. იმერული
13. ლეჩხუმური
14. გურული

სამხრული დიალექტები

15. აჭარული
16. შავშური
17. კლარჯული
18. ტაოური

დაბოლოს, თავში ნათქვამი შეიძლება დასკვნის სახითაც გავიმეოროთ:

XXI საუკუნის დასაწყისში ქართულ დიალექტოლოგიაში ორი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა – (1) ქართულმა დიალექტოლოგიამ შეიძინა მდიდარი მასალა სამხრეთ საქართველოს (ისტორიული საქართველოს) ქართველთა მეტყველებისა და (2) მისი ანალიზის შედეგად შემოთავაზებული იქნა ქართულ დიალექტთა შედგენილობისა და განდასების ახალი ვარიანტი.

ეს ფაქტი მიგვაჩნია ქართული დიალექტოლოგიის მნიშვნელოვან მიღწევად.

ლიტერატურა:

1. ახ. ქართ. ენა 2016 – ახალი ქართული ენა, წიგნი IV, დიალექტების მორფოლოგია, პარადიგმები, თბ. 2016;
2. ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე 1961 – ი. გიგინეიშვილი,
3. ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961.
4. გ. გოგოლაშვილი 2005: გ. გოგოლაშვილი, ქართული ენის დიალექტური დანაწევრებისა და დიალექტთა განდასების საკითხისათვის: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IX, თბ., 2005;
5. გ. გოგოლაშვილი 2018 – გ. გოგოლაშვილი, ქართული ენის სამხრული დიალექტების შესწავლა თანამედროვე ეტაპზე: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, XIV, თბ., 2018;
6. ვ. თოფურია 1963 – ვ. თოფურია, ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბ., 1963.
7. ნ. მარი 2015 – ნ. მარი, შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები (თარგმანი რუსულიდან), ბათუმი, 2015.
8. მ. ფაღავა 2003 – მ. ფაღავა, ენობრივი სიტუაცია სამხრეთ საქართველოში და სამხრული მეტყველების დიალექტური შედგენილობის საკითხი: ბათუმის სახ. უნივერსიტეტის შრომები, V, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია, ბათუმი, 2003;
9. მ. ფაღავა 2004 – მ. ფაღავა, ქართული ენის სამხრული კილოების ფონემატური სტრუქტურა, სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი, 2004.
10. მ. ფაღავა 2013 – მ. ფაღავა, მუჰაჯირთა მეტყველება და აჭარულის კილოკაური შედგენილობის საკითხი: იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი საერთაშორისო-სა-მეცნიერო კონფერენციის მასალები, გორი, 2013.
11. შ. ფუტყარაძე 1993 – შ. ფუტყარაძე, ჩვენებურების ქართული, I, ბათუმი, 1993.
12. შ. ფუტყარაძე 1995 – შ. ფუტყარაძე, ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით, სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბი-ლისი, 1995.
13. ა. შანიძე 1920 – ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნაში თბ., 1920.
14. ბ. ჯორბენაძე 1989 – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.

CURRENT STUDIES OF THE SOUTHERN DIALECTS OF GEORGIAN AND THEIR IMPORTANCE FOR GEORGIAN DIALECTOLOGY

Summary

With the investigation of the Tao-Klarjian dialect of historical Georgia, Tao-Klarjeti, (now on the territory of Turkey), Niko Marr started to research the dialects of Georgian at the beginning of the 20th century. In 1912 his work on the Klarjian dialect was published. Throughout the 20th century almost all the Georgian dialects were explored monographically; the only exception being the Klarjian dialect whose investigation was hindered because of the tense relations between the USSR and Turkey.

Only at the end of the 20th and beginning of the 21st century there became possible to carry out an intensive, comprehensive study of the Georgian dialects spoken on the territory of Turkey. The results of the research are impressive: about 40 interdisciplinary scientific expeditions were organized by the Kartvelological Centre at Batumi University; there were held 20 conferences and published 14 collections of works, of particular relevance is the preparation of comprehensive monographs: “Shavsheti” (2011), “Klarjeti” (2016), “Tao” (2020), “Maradidi” (2020), “Machakhelian Muhajirs” (2017).

The research has shown that at present on the territory of Turkey there can be singled out three dialectal units - Shavshian, Klarjian and Taoan - that together with Acharan form the Southern Group of the Georgian Dialects.

ორი წიგნი ისლამის ზნეობრივ-ესთეტიკურ სამყაროს პრობლემებზე

ბოლო ორ წელიწადში, ერთიმეორის მიყოლებით, გამოვიდა ცნობილი მეცნიერის, აღმოსავლეთმცოდნე-თურქოლოგის, ქართველოლოგისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, ელიზბარ ჯაველიძის დიდი მოცულობის ორი წიგნი, რომლებიც ისლამის რელიგიის მოძღვრების ზნეობრივ-ესთეტიკურ სამყაროს პრობლემებს ეძღვნება.

პირველი წიგნის სათაურია **„ოდეს შავისაგან თეთრის გამორჩევის ჟამი დადგება“** (გვ. 342 თბ., 2020), ხოლო მეორის – **„განთიადის გამნათებელ ღმერთს ველტვი, რათა უკუნი ღამის ბოროტებას განვერიდო“** (გვ. 312, თბ. 2021).

ორივე წიგნი დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საგამომცემლო-სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილებით, და ავტორის ამ ორტომეულისთვის 2022 წელს მიენიჭა მეცნიერებათა გიორგი წერეთლის სახელობის პრემია.

პირველ წიგნში, **„ოდეს შავისაგან თეთრის გამორჩევის ჟამი დადგება“**, რომელიც შედგება ხუთი თავისა და ქვეთავებისგან (I. „რას გვაუწყებს უძველესი აღმოსავლეთის ცივილიზაცია ესთეტიკურ-მორალური სისტემის თაობაზე“ /ქვეთავები: ეგვიპტე, შუმერი და ბაბილონი, ძველი ირანი, ინდოეთი და ჩინეთი/, II. „სიცილის ესთეტიკა“, III. „ბრძენი დედე ქორქუთის ზნეობრივ-ესთეტიკური სამყარო“, IV. „ქოროღლის“ ზნეობრივ-ესთეტიკური მრწამსი“ და V. „ქვაზე ამოტვიფრული ხიბლი“. შესწავლილია თურქულენოვანი ფოლკლორის ზნეობრივი საკითხები, სადაც წარმოჩენილია საერთო ხედვა წინარე ცივილიზაციის შემქმნელი უძველესი აღმოსავლეთისა და შუა საუკუნეების მახლობელი აღმოსავლეთის ზნეობრივ-ესთეტიკური იდეალებისა. განხილულია როგორც მოლა ნასრედინის ფენომენი, ასევე ძველი თურქული ხალხური ეპოსის უკვდავი ნიმუშების „დედე ქორქუთისა“ და „ქოროღლის“ მხატვრული თავისებურებანი. შესწავლილია აგრეთვე გახმაურებული უძველესი ორხან-ენისეის სარიტუალო ქვებზე ამოტვიფრული რუინული წარწერების ესთეტიკურ-სიმბოლური არსი.

მეორე წიგნში – **„განთიადის გამნათებელ ღმერთს ველტვი, რათა უკუნი ღამის ბოროტებას განვერიდო“**, რომელიც შედგება სამი თავისგან

(I. /შედგება ორი ნაწილისგან/: „მუჰამედის მოღვაწეობისა და ქადაგების საწყისი პერიოდი“ და „ყურანი და მისი გავლენა“, II. „ვინც სიყვარულსა არ ეწაფება, ის უფროთო ფრინველს ჰგავს“ /ქვეთავები: „ადრეული ისლამი და სუფიზმის საწყისი ხანა“, სუფიზმის განვითარება“, „აბსოლუტური ჭეშმარიტება (ღმერთი)“, „კოსმოლოგია“, „სოფელი და ზემთასოფელი“, „ჭეშმარიტება და ილუზია“, „ერთი და მრავალი“/), III. „ადამიანი“ /ქვეთავები: „სული და სხეული“, „სრულყოფილი ადამიანი“, „მე ვარ ღმერთი“, „სიყვარული“, „ქალი ღვთის სხვია – ჭეშმარიტება ერთია. „სემა“/) განხილულია ისლამის რელიგიის ეგზოტერულ და ეზოტერულ მოძღვრებათა ზნეობრივ-ესთეტიკური პრინციპები, რაც გულისხმობს ისლამის ყურანის აიების ზნეობრივ-ესთეტიკურ ასპექტში გააზრებასა და მუჰამედის ხილვებისა თუ ქცევების მეტ-ნაკლებ წვდომას, რასაც მოჰყვება სუფიზმის ზნეობრივ-ესთეტიკური მოდელის სიღრმისეული ანალიზი.

ისლამის ამ დიდ მიმდინარეობაზე – სუფიზმზე – დიდძალი სამეცნიერო ლიტერატურაა შექმნილი როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში, მაგრამ ისინი, შეიძლება ითქვას, ძირითადად ან აღმოსავლური, ან დასავლური წყაროებით არიან ნაკვებნი.

ელიზბარ ჯაველიძის ნაშრომი კი ორივე მხარის მიერ, თანაბრად არის ნასაზრდოები და ასეა შექმნილი სრული სურათი სუფიზმის სახით იმ მისტიკური მიმდინარეობისა, რომელიც ჯერ კიდევ ნეო-პლატონიზმიდან იღებს სათავეს.

შეიძლება იცნობდე დიდ დროსა და სივრცეში განფენილ თურქულოენოვან ხალხთა ფოლკლორის ცალკეულ უკვდავ ნიმუშებს, ცალკე ისლამსა და მისტიციზმს, მაგრამ ნაკლებად გქონდეს წარმოდგენილი ერთიან ისლამურ სივრცეში მათი ზნეობრივ-ესთეტიკური იდეალების არსი, რაც სრულიად ახლებურად, ერთ თაიგულად არის შეკრული აკად. ელიზბარ ჯაველიძის ამ ორ წიგნში, რომლებიც დიდი შენაძენია როგორც ისლამის ზნეობრივ-ესთეტიკურ სამყაროთი, ისე, საერთოდ, ორიენტალისტიკითა და, ზოგადად, სულიერი ფასეულობებით დაინტერესებულ პირთათვის.

ნომადი ბართაია

ფილოლ. მეც. დოქტორი,
პროფესორი.

ვალერი ასათიანი, ანტიკური კულტურა, ბიზანტია და საქართველო, „ლოგოსი“, თბ., 2021

წიგნში წარმოჩენილია მრავალსაუკუნოვანი ისტორიულ-კულტურული ურთიერთობები, რომლებიც საქართველოს დღემდე ევროპული კულტურის საფუძველთან - ელადასთან აკავშირებს. ავტორის თქმით, კორნელი კეკელიძის სიტყვებს - „კლასიკურ-ელინური, მზიური, ლაღი, ჰუმანური და ოპტიმისტური კულტურის შეთვისებისათვის ხელსაყრელი პირობები ჩვენში სწორედ რუსთველის ხანაში დადგა...ერთი სიტყვით, ამ ხანაში თქვენ უკვე სუნთქავთ ძველი ელადით და მისი სულით“, საუკუნეთა განმავლობაში საქართველოში დიდი გაგრძელება მოჰყვა.

გამოკვლევაში განხილულია უძველესი ქართულ-ბერძნული მითოლოგიის საკითხები (ამირან-პრომეთე, არგონავტები...), ძველი კოლხეთი და ბერძნული სამყარო, ანტიკური მითოლოგიის კვალი ძველ ქართულ მწერლობაში, ჰომეროსი ქართულ მწერლობაში, ქრისტიანობა, ქრისტიანობის ელინიზაცია, ბიზანტიური ჰუმანიზმი და ბიზანტიურ-ქართული ადრეული ლიტერატურული ურთიერთობები, მისიონერობა, დიპლომატია, რუსთველი და ანტიკურობა, პლატონური და ნეო-პლატონური „ვეფხისტყაოსანში“, არისტოტელეს ფილოსოფიისა და არისტოტელიზმის ანარეკლი პოემაში, ადამიანის ანტიკური იდეალის აღორძინება რენესანსულ აზროვნებაში და „ვეფხისტყაოსანი“, ჰომეროსი და რუსთაველი. წიგნში ქვეყნდება ვ.ასათიანის მიერ ძველი ბერძნულიდან თარგმნილი ალექსი მაკრემბოლიტესის „მდიდართა და ღარიბთა გაბაასება, რას ეტყოდნენ მდიდარი ღარიბთა და რას უპასუხებდნენ ისინი მათ“. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ისეთი თემებს, როგორიცაა-ელინოფილური მიმართულება ქართულ მწერლობაში, ანტიკურობა მე-13-18 საუკუნეთა ქართულ მწერლობაში, ანტიკურობის გამოძახილი თანამედროვე ქართულ მწერლობასა და ხელოვნებაში (თეატრი, მუსიკა, ბალეტი, მხატვრობა), კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიისტიკისა და ნეოგრეცისტიკის განვითარება საქართველოში და მრ. სხვ.

„დიდი წიგნი დიდთა თამაზე. ჰელადოს - ეს ჩვენთვის მარტო ნოდარ დუმბაძის გმირების ცრემლიანი თავგადასავალი არ არის. ეს არის დრო და ზნეობანი, საუკუნეები, ათასწლეულები, ურთიერთობები, ტრადიციები, ხასიათები, ცხოვრების გაკვეთილები, ბედი და ბედის-

წერა... მითოლოგიურ-ისტორიული წარსული, მეხსიერების აწმყო და მეცნიერებით განჭვრეტილი მომავალი.

„ბერძნულ სამყაროსთან საქართველოს ოდინდელი და თანამედროვე კონტაქტების შესწავლასა და განმტკიცებაში სრულიად განსაკუთრებულია გრიგოლ წერეთლისა და სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ შექმნილი მეცნიერული სკოლის დამსახურება, რომელმაც რისმაგ გორდეზიანის ძალისხმევითა და ALMA MATER-ის, თბილისის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის - როინ მეტრეველის მხარდაჭერით, 1997 წელს დაფუძნებული კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიზმისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის სახით დიდი საერთაშორისო აღიარება ჰპოვა“ - წიგნის ანოტაციიდან. დიდი წიგნი ქართულ გრეცისტიკაში - „ანტიკური კულტურა, ბიზანტია და საქართველო“. ავტორი - ვალერი ასათიანი. კულტუროლოგიური კვლევები, ფაქტოლოგია, ტექსტები - კვალიფიციურობისა და სანდოობის გარანტიით“ (იხ. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 2022, 15 აპრილი, 7 (4042).

ეკატერინე კვირკველია

დამარბული საიდუმლოს ძიების შედეგები

გამოიცა რჩეულ გამოკვლევათა კრებული **„ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ (2021, გამომცემლობა „საარი“)**. წიგნი ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია მეორის აღსაყდრების 42-ე და დაბადების 88-ე წლისთავს. ამ წიგნის შედგენის ინიციატორი და ხელმძღვანელი იყო ცნობილი ქართველი ლიტერატორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი, პროფესორი **რევაზ სირაძე**. რაკი ამ წიგნის გამოცემა მეტად გაჭიანურდა, პროფ. რევაზ სირაძე ვერ მოესწრო (გარდაიცვალა 2012 წელს) მის ხილვას. ასევე ვერ მოესწრო პროფ. გრივერ ფარულავა (გარდ. 2020 წელს). მათ გარდა სარედაქციო საბჭოს წარმოადგენენ ავთანდილ არაბული, მანანა ტუსკია და ანდრო ბედუკაძე; შემდგენელ-კოორდინატორი მ. ტუსკია.

კრებული მოიცავს უმნიშვნელოვანეს გამოკვლევებს ქართული ენის ამ მისტიკური სადიდებლის აღმოჩენიდან დღემდე, მაგრამ ის მაინც არ ასახავს სრულად ამ პრობლემის შესახებ შექმნილ მთელ ლიტერატურას, ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო ძველი პერიოდის კვლევებზე, რომელთა ნაწილი ფაქტობრივ რარიტეტად იყო ქცეული. სწორედ ამას ასახავს წიგნის ანოტაცია: „ჩანაფიქრი ამ სამეცნიერო კრებულის შედგენისა ეკუთვნის პროფ. რევაზ სირაძეს; იდეის ხორცშესხმაც მისივე ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. კრებულის შედგენის მიზანი იყო ერთ წიგნად ყოფილიყო თავმოყრილი სხვადასხვა თაობის ქართველ თუ უცხოელ მეცნიერთა სხვადასხვაგვარი და, არცთუ იშვიათად, ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებანი არაორდინარული ქართული ქრისტიანული საგალობლის „ქებაის“ შესახებ. წინამდებარე ტომი მოიცავს ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანეს გამოკვლევებს. ამავე დროს, ამ თემაზე შექმნილი ნაშრომების არცთუ მცირე ნაწილის თავმოყრა და გამოქვეყნება შემდგომი ამოცანაა.“

კრებული იხსნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ქადაგებით ლაზარეს შაბათს, 1986 წელს - **„ამას ენასა ლაზარე ჰრქვიან“**. უწმიდესი ბრძანებს: „იმის შემდეგ, როცა ცნობილი გახდა ეს დიდი საიდუმლო, იმის შემდეგ, როცა უფალმა გამოუცხადა ჩვენს წინაპრებს, რომ „სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვიან“, იგი ზეიმობდა ქართული ენის დღესასწაულს

- ლაზარეს შაბათს. მაგრამ ქვეყნის ავბედობამ, მისმა მძიმე წარსულმა წაშალა ეს კურთხეული და წმიდა ტრადიცია. დღეს კვლავ დადგა ჟამი და აღვადგინეთ ეს დღესასწაული.“

კრებულში უპირველესად ყურადღებას იქცევს პირველადი ცნობები სინის მთის ხელნაწერთა ჩვენების თაობაზე ამ უკვდავი საგალობლის შესახებ - მარი ბროსე, ალექსანდრე ცაგარელი, ნიკო მარი. შემდეგ მოდის პავლე ინგოროყვასა და კორნელი კეკელიძის ერთი საუკუნის წინანდელი ფუნდამენტური შეხედულებები ნაწარმოების წარმომავლობისა, შინა-არსისა და დანიშნულების შესახებ. განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ამ ტექსტის საიდუმლოს გახსნის ისეთი სიღმისეული და, ამავე დროს, ურთიერთგანსხვავებული ცდები, როგორადაც წარმოგვიდგება რამაზ პატარიძის, აკაკი ბაქრაძის, თამაზ ჩხენკელისა და ზვიად გამსახურდიას მოსაზრებები. არაერთი სიახლე შემოაქვთ საკითხის კვლევაში შემდეგი დროის ავტორებს: ნესტან სულავა, თენგიზ ალდამიძე, ბაბილინა ლომინაძე, ნინო დობოჯგინიძე, ლია წერეთელი, ბიძინა ჩოლოყაშვილი...

წიგნის ბოლო განსაკუთრებულ ნაწილს შეადგენს რუბრიკა „ენა და ეროვნული ენერგია“, რომელიც უპირველესად გერონტი ქიქოძის ამავე სახელწოდების წერილითაა წარმოდგენილი, შემდეგ მოსდევს უმნიშვნელოვანესი წერილები ქართული ენისა და დამწერლობის არსისა და მნიშვნელობის შესახებ: თამაზ გამყრელიძე - „მწიგნობრობა ქართული“; ვინფრიდ ბოედერი - ენა და ვინაობა ქართველთა ისტორიაში; ბესარიონ ჯორბენაძე - ენა და კულტურა; რევაზ სირაძე - ქართული კულტურა და ენობრივი მსოფლმხედველობა“; გრივერ ფარულავა - ქართული ენა, ლიტერატურა და სარწმუნოება, მიწა-წყალი და ქართველი.

მკითხველმა კარგად იცის, რომ ეს თემა კვლავაც აქტიური ინტერესის საგანია. ამიტომაც ინტერესით დაელოდება მომდევნო ტომის მომზადება-გამოცემას. რაც მთავარია, ეს კრებული გაუადვილებს საკითხით დაინტერესებულ სპეციალისტებსა და ფართო საზოგადოებას ეზიარონ ამ უმნიშვნელოვანესი ისტორიული წყაროს კვლევის ისტორიას და ამით ახალ სტიმულს მისცემს ახალი მოსაზრებებისა და კვლევის შედეგების წარმოჩენას მომავლის ქართველოლოგიურ სივრცეში.

ავთანდილ არაბული

რეუვენ ენოხი (რუბენ ენუქაშვილი), ქართველ ებრაელთა ქართულის ლექსიკა, იერუსალიმი, 2020

2020 წელს ისრაელში, ქალაქ იერუსალიმში გამოიცა მეტად საინტერესო სამეწიკონი ლექსიკონი „ქართველ ებრაელთა ქართულის ლექსიკა“. მისი ავტორი გახლავთ ქართული სამეცნიერო საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი, ამჟამად იერუსალიმში მოღვაწე ენათმეცნიერი, პროფ. რეუვენ ენოხი (რუბენ ენუქაშვილი). ბატონი რუბენ ენუქაშვილი წლების განმავლობაში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ძველი ქართული ენის კათედრის წევრი. კოლეგები და ფართო საზოგადოება მას იცნობდა როგორც ძველი ქართულის შესანიშნავ პედაგოგსა და ნაყოფიერ მკვლევარს. ისრაელში გადასვლის შემდგომ მან განსაკუთრებული ყურადღება გადაიტანა მრავალსაუკუნოვანი ქართულ-ებრაული ენობრივი ურთიერთობების კვლევაზე და ამ მიმართულებით რამდენიმე წარმატებული პროექტი განახორციელა. წარმოდგენილი ლექსიკონი მეცნიერის თავდაუზოგავი, დაუღალავი შრომის შედეგია.

საქართველოში ხანგრძლივმა ცხოვრებამ, როგორც ცნობილია, ებრაელთათვის ქართული თანდათან მეორე მშობლიურ ენად აქცია. ქართველი ებრაელები საუკუნეების განმავლობაში ქართულად მეტყველებდნენ, ქართული ენა იყო მათი ტკივილისა თუ სიხარულის გამოხატველი, მათი უმთავრესი კომუნიკაციის საშუალება. ამავე დროს, დროთა განმავლობაში ებრაელთა სასაუბრო ენაში თავი იჩინა გარკვეულმა თავისებურებებმა, რომელთა ერთობლიობამაც ქართველ ებრაელთა მეტყველება ქართული ენის ერთგვარ „დიალექტად“ ჩამოაყალიბა. ლექსიკონში უხვადაა ასახული ეს თავისებურებანი. ისინი საკმაოდ არაერთგვაროვანი და განსხვავებულია.

საინტერესოა შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ ქართულ სიტყვას ებრაელთა მეტყველებაში დამატებით სხვა მნიშვნელობაც უჩნდება. მაგ.: **აბმანება**, **გადამანება**, ქართულისათვის ჩვეული მნიშვნელობების, გარდა ქართველი ებრაელისათვის „გარდაცვალებასაც“ ნიშნავს (**აბმანდება** 1. აბრძანდება. 2. გარდაიცვლება; **აბმანებული** 1. აბრძანებული. 2. გარდაცვლილი...). **დავალიანება** „ცოდვის დადებასაც“ აღნიშნავს (**დავალიანებს** ცოდვას დაადებს; **დავალიანდება** ცოდვა დაედება; **დავალიანებული** ვისაც ცოდვა ადევს...).

ზოგ შემთხვევაში სიტყვა მხოლოდ ქართველ ებრაელთა მეტყველების კუთვნილებაა, თუმცა მისი ძირიცა და წარმოებაც ქართულია.

მაგ., **დამადლიანება** მადლის წევა (**დაამადლიანებს** მადლოს აქმნევინებს; **დამადლიანდება** მადლოს ეწევა; **დამადლიანებული** ვინც მადლოს ეწია...).

ხშირად სიტყვის საწარმოებლად გამოყენებულია ებრაული ძირი (ფუძე), რომელიც ქართულ ყალიბშია მოქცეული (ქართული აფიქსებითაა გაფორმებული). მაგ.: ებრაულში **ფახადი** „შიშს“ ნიშნავს. მისგანაა ნაწარმოები: **ეფახდება** ეშინია, **აფახდება** აშინებს... **ქაფარა** „თავს შემოსავლები (ფრინველი, ფული)“-ა (**ექაფრება** ენაცვალება, **დაქაფრებული** შემოვლებული...). **დაყათი** „ჰკუას, აზრს, გონებას“ აღნიშნავს (**დაყათიანი** ჰკვიანი, გონიერი; **იდაყათებს** ჰკუთით მოიქცევა...). **თალმიდი** ებრაულად „მოწაფეა“ (**თალმიდობს** მოწაფეობს, **თალმიდობა** მოწაფეობა...).

ზოგჯერ ქართულ კომპოზიტში ერთ-ერთი კომპონენტი ჩანაცვლებულია ებრაულით. მაგ.: **ბედ-მაზალი** ბედ-იღბალი; **მაზალდამწვარი** ცუდი ბედის მქონე (**მაზალი** ბედი).

გვხვდება ისეთი შედგენლობის კომპოზიტებიც, რომლებიც ქართულისათვის უცხოა. მაგ., **თავ-რუახი** გონება. ამ კომპოზიტში პირველი კომპონენტი ქართულია „თავი“, მეორე - ებრაული (**რუახი** „სული“).

ლექსიკონში ასახულია ის ებრაული ლექსიკაც, რომელიც უკვე კარგა ხანია ქართული ჟარგონული ენის კუთვნილება გამხდარა. მაგ.: **თომარი** 1. ლაპარაკი. 2. არშიყობა (**ეთომარება** ელაპარაკება, ეარშიყება, **თომარობს** ლაპარაკობს, **ათომარებს** ალაპარაკებს). **თოხლი** საჭმელი (**თოხლამს** ჭამს, **თოხლაობს** ჭამს, **თოხლაობა** ჭამა, **ათოხლებს** 1. აჭმევს. 2. მოატყუებს...). **დაიადებს** მიიღებს (**დაადება** მიღება, ხელში ჩაგდება, **დაუადებს** მისცემს). **განაბი** ქურდი (**განაბობს** ქურდობს, **დააგანაბებს** გაქურდავს, წაჰგლეჯს). **გოიმი** 1. არაებრაელი. 2. ქართველი. 3. უცო-დინარი (**გოიმდება** ებრაელობას კარგავს; **გოიმობა** 1. არაებრაელობა. 2. უხეირო საქციელი; **გოიმური** 1. არაებრაული. 2. შეუფერებელი...).

ლექსიკონი განმარტებით-თარგმნითი ტიპისაა, სამეწიფიანი: ჯერ მოყვანილია ქართველ ებრაელთა მეტყველების ნიმუში ტრანსლიტერაციით, შემდეგ - იგივე სიტყვა ქართული დაწერილობით, მას მოჰყვება სიტყვის ქართული განმარტება, შემდეგ - ებრაული და ინგლისური თარგმანი.

ლექსიკონში მეთაურ სიტყვად გამოტანილია: ზმნებისათვის - აწყო დროის მესამე პირის მხოლოდობითი რიცხვის ფორმა, სახელთათვის - სახელობითი ბრუნვის მხოლოდობითი რიცხვის ფორმა.

ლექსიკონი ორ ტომადაა გამოცემული და მოიცავს 1239 გვერდს; ნაშრომს უძღვის ავტორ-შემდგენლის წინასიტყვაობა ებრაულ ენაზე.

ლექსიკონი დიდ დახმარებას გაუწევს ქართულ-ებრაული ენობრივი ურთიერთობების მკვლევართ. იგი უთუოდ საინტერესო იქნება ფართო საზოგადოებისთვისაც.

ლალი ბინიაშვილი

ენათმეცნიერების ინსტიტუტის
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა
თბილისი – 2022
რუსთაველის გამზ. 52

Georgian National Academy Press
Tbilisi – 2022
52, Rustaveli Ave.